

716
1970

საქართველო

XIV

საქართველო

XIV

KAVKASSIONI

Recueil littéraire et historique

(en Géorgien)

*Djobadze's
Library*

საბჭო

1970

ეპიტაფია სანჩოს შირს

გიორგი გამყრელიძე

უკანასკნელი სპრინადა მთვარის

ყველა მიჯნურმა ტყბილი ოცნება
გაგიზიარა გულში ნადები.
ბევრჯერ შეგამკეს ლექსით მგოსნებმა
და აშუღებმა სერენადებით.

შენი სჭარბობდა სურნელს ყოველი
წელსაცხებელი კედლის ტანისა.
გჭონდა ღიმილი დამათრობელი
თვით თინათინის და წესტანისა.

ოდეს ყვითელი ხავერდის ფლასი
ჩამოგიბურა ღრუბლის მანდილმა.
მარგალიტებით აღვსილი თასი
საჩუქრად გიძღვნა შენ ავთანდილმა.

ხშირად ტან სავესე, ხანაც ტან ნემსი
თუ დაჯდებოდი გორების ფხაზე:
ლერწმის სალამურს მიჯნური მწყემსი
ააკენესებდა აკაკის ხმაზე.

ფიქრობდი ალბად, რომ მანძილია
ხელუხლებლობის შენი თავდები,
მაგრამ მოტყუვდი... ყველაფრის მძლეა
გამიჯნურება ასტრონავტების.

დიდხანა აშენეს კიდობან-ნავი,
ხომალდს-ხომალდი რიგში მოება,
გახილეს უცხო და უნახავი,
მოგტაცეს ნაზი უმანკოება.

და თუმც აქამდე ამშვენებ ცასა
ჩვენი დღეების უღამობ ხანაში,
შენ გახდი კაცის პირველი ხასა —
ციურ-სხეულთა ჰარამხანაში.

და თუნდაც იფქლი აწ ღვარძლად შექცეს —
შენი შექება ჩემთვის ძნელია...
ჩემგან შენ ჩუღარ მოელი ლექსებს —
ვუმღერებ წესტანს და ოფელიას.

დღეს გამახსენდი, — არ ვიცი რატომ!
სანჩოს ერთგულო, საწყალო ვირო!
ეხლა მდებარევე ლოდის ქვეშ მარტო
და აღარ ძალგდის რომ დაიყვირო.

ბევრი ვაება დაგატყდა თავზე,
გაზომე ბევრი სივრცე, ფართობი.
და წუთისოფლის უკულმართობით —
იყავი მარად კაეშნით სავესე.

ოდეს საწუთრო გადაგხდა ვალი
და დაგებინდა წყნარი თვალები,
სილაზე მაინც დასტოვე კვალი
შენი ფლოქვების ნატყრფალების.

შენ ყოველ შუკას და ყოველ შარას
სტოვებდი დარდით და დანანებით,
რათვან დაცინვით გხვდებოდნენ მარად
სოფლის ავეცია სალახანებით.

განა მეც მიტომ ჩავთვალო არად,
რომ ცხენზე მცირე იყავი ტანით,
და რომ შენს ზურგზე არასდროს მჯდარა
არც კეისარი და არც სულთანნი?!

არა! არასდროს... მწვავს სახსოვარი
დიდი წარსულის უცხო და ძვირი:
რომ ერთხელ ქრისტე და მაცხოვარი
ერუსალიმში შებრძანდა ვირით.

ძალი და ღონე შესწევდა დიდი
უფალს, არაბულ მერნის ფლობისა,
შენ ავიჩია ცხოველი მშვიდი,
ნიშნად სულგოძელი თავმდაბლობისა.

მას გულში ჰჭონდა სხვა ნეტარება,
სხვაგვარ დიდების იყო მდომელი.
და განა ქრისტეს შეედარება
დარიუსი ან მაკედონელი?!

თუ როსინანტი ლამანჩელ მხედრით
ებრძოდა ლანდებს ძლიერ ტოჩრებით,
სანჩოც იქ იდგა მისი სახედრით —
უმხერდნენ დრამებს განმეორებით.

და თუმც სამარე ამ ქვეყნად მწიბრი
დაფარულია ეკლით ხშირითა,
იმ ქვეყნად სანჩომ ერთგული ვირით
სასუფეველში შეიჯარიბა.

82206



გიორგი გამყრელიძე

ორიოდე ცნობა ჰერმან ჰესსს-ზე

ჰერმან ჰესსე ნაკლებად ცნობილია ქართველი მკითხველისათვის, როგორც პოეტი და ნოველისტი. დაიბადა 1877 წლის ორ ივლისს ვაჟრტვის მუნიციპალიტეტის ქალაქ კალეში. სწავლა-განათლება მიიღო გერმანიაში და ლექსების წერა დაიწყო 18 წლის ასაკში. მუშაობდა ტაუბინგენის წიგნთ გამომცემლობის საწოგადოებაში. შემდეგ კი საკუთარი წიგნის მალაზია გახსნა შვეიცარიის ქალაქ ბაზელში, სადაც ის ხანგრძლივ ცხოვრობდა და საბოლოოდ შვეიცარიის მოქალაქეობა მიიღო.

ჰერმან ჰესსემ ბევრი იმოგზაურა უცხო და ეკზოტიკურ ქვეყნებში, სადაც შრომითა და დაკვირვებით ისეთი უცნობო ცოდნა შეიძინა, რომელსაც მას ვერც ერთი უნივერსიტეტი ვერ მისცემდა. ეს ეხება ფლორასა და ფაუნას და უცხო მცენარე-ყვავილების მოვლა-მოშენება და მებაღეობა იყო მისი საყვარელი ამატორული გასართობი შრომა სიკვდილამდე.

ჰესსეს ლექსებს ახასიათებს სტილისტური დახვეწილობა, ღრმა მგრძობიარება და საკაცობრიო მოტივები. ჰესსე მოთხრობის დიდი ოსტატია, და რასაც არ უნდა ჰყვებოდეს, მკითხველის ყურადღება მებოჭვილი აქვს. ის თხრობას იწყებს ხოლმე თითქოს-და სულ უბრალო

და უმნიშვნელო საგნებზე, შორიდან და შემოვლით და თანდათან ორიგინალური თხრობის ხერხით, წარუხოცელი სურათებით, გმირების სულიერი ძლიერებით მკითხველი შეყავს საკუთარი სამყაროს ოცნებათა ლაბირინტში.

აი, მოკლედ ის თვისებები, რომლებმაც მას დიდი პოპულარობა მოუპოვა, როგორც გერმანულ ენაზე ჰოლბაჩის მსგავსი მწოდელი, ასევე საერთაშორისო ლიტერატურაში, რისი წყალობითაც მას 1946 წელს ნობელის სალიტერატურო პრემია მიანიჭეს.

სამწუხაროდ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლო ათეულ წლებში ნობელის პრემიამ დაჰკარგა თავისი პირვანდელი შარავანდედი და ის ხანდახან ტენდენციური მიდგომისა და პოლიტიკური მიკერძოების მსხვერპლი გახდა. ამით, რა თქმა უნდა, არ მინდა ვთქვა, თითქოს ყველა ნობელის ლაურეატს ის უსამართლოდ მიეღოს, მაგრამ ვაძლევ თავს გამბედაობას და ვამბობ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იშვიათად თუ ვინმეს რგებია ნობელის პრემია ისე სამართლიანად და დამსახურებულად, როგორც ჰერმან ჰესსეს. მის საუკეთესო მოთხრობებზე ითქვამის: „სტეპების მეფე“, „ნარცისი“, „მარგალიტი“, „მადიებელი“, „ჯუჯა“ და მრავალი სხვა ცნობილი მოთხრობა. აქვე ვაწოდებ ქართველ მკითხველს განსვენებული ჰესსეს ერთ ლექსს: ცხენის ნაბიჯით ტარება მიყვარს“ და ერთ მოთხრობას: „ჯუჯა“.

ჰერმან ჰესსე

ცხენის ნაბიჯით ტარება მიყვარს

მზისა და ჩრდილის ატარებს ნიღაბს
და გზას დუმილი ფარავს.
ცხენის ნაბიჯით ტარება მიყვარს;
ნაბიჯით წინ სვლა — არა!

ვიდრე გაწოლილ მდინარეს ვხედავ,
ბრწყინავს ჯავარი წყალის...
ღმერთო! მოგეცა ჩემთვისაც ნეტავ —
სვლა მძლავრი ქარიშხლის.

მე მომაქვს შენთვის ძვირფასი ძღვენი,
გულის კამკამა ბროლი,
თუმც მიყვარს ნელი ტარება ცხენის —
მაგრამ სიცოცხლე — ქროლით.

როს ჩამიქრება სინათლის კვარი,
საფლავში ჩავალ ოდეს —
მინდა, რომ სული კვლავ დარჩეს ჩქარი,
ლურჯ მერცხალივით ჰქროდეს:

თარგმნა გიორგი გამყრელიძემ

ჭერმან ჰესსე

ჯ უ ჯ ა

(თარგმნა გერმანულიდან გიორგი გამყრელიძემ)

ერთ საღამოს, ნავთსადგურის ერთ ღვინის საზღაფში, ასე დაიწყო ჩემომ თავისი საუბარი:

—თუ თქვენ გესიამოვნებათ, ბატონებო, დღეს თქვენ გაიმბობთ ერთ ძველ ამბავს: ერთ მშვენიერ ქალზე, ერთ ჯუჯაზე, სიყვარულის ელექსირზე, ერთგულებაზე და ორგულობაზე, სიყვარულზე და სიკვდილზე და ყველაფერზე, რაზედაც ძველი და ახალი რომანები მეტყველებენ.

მარგარეტა კალორინო, ასული დიდი აზნაურის ბატისტა კალორინისა, მისი დროის ვენეციელ ქალთა შორის — ულამაზესი ქალი იყო. მასზე შეთხზული ლექსთა სტრიქონები და სიმღერები, გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე თაღები და სარკმელები არხიან გასწორებულსა და სისასხლეებისა და მეტი, ვიდრე ყველა გონივრული, რომელიც გაზაფხულის წყნარ ღამეებში, პონტე დელეგინისა და ლოგანოს შორის დასცურავდნენ.

ასი ქაბუკი და მწიფე ვაჟკაცი ვენეციიდან, მურანოდაც და რა თქმა უნდა, პადუიდან, თვალს ვერ დახუჭავდნენ, რომ მარგარეტა არ დასისმრებოდათ და დილით, როცა თვალს გაახელდნენ, ისევ და ისევ მისი სახე თვალწინ არ დადგომოდათ. მთელ ქალაქში იშვიათად მოიძებნებოდა ლამაზი ასული, რომელსაც მარგარეტას შური არ ჰქონოდა. მისი სილამაზის აღწერას მე ვერ შევძლებ... დაკვამყოფილდები მხოლოდ იმით, რომ მოკლედ აღვნიშნავ მის გარეგნულ მშვენიერებას. ის იყო ქერა, ტანწერწეტი და მოწინილი, როგორც ახალგაზრდა გავაზა. მის თმებს — ცის ლაქვარდი, — და მისი ფეხის ტერფებს, მიწა ეალერსებოდა და მის სიმშვენიერეზე დაახლოებით მაინც რომ გქონდით წარმოდგენა, გეტყვი: თურმე, როცა ტიციახს ენახა ეს მშვენიერი ქალი, უთქვამს: „რომ შემეძლოს ერთი წლის განმავლობაში არავის და არაფერს დაეხატა და, გარეშე კალორინის ასულისა“-ო.

არც ნაქარგი, არც ნაქსოვი, არც ოქსინოსა და ხავერდის ძვირფასი სამოსელი, არც პატიოსანი თვლებით შემკულნი სამკაულნი მას არ ჰქვამდა. მამა-მისიან სისასხლე საესე იყო ზირამდე განძითა და სამკაულთ. მის ფერხთა ქვეშ გაშლილი იყო ძვირფასი, რბილი სპარსული ნოხები. მისი ოთახების კარადები საესენი ვერცხლის ჭურჭლეულით. მაგიდებზე უძვირფასესი ფაიფური ელაგა. დარბაზ-

თა ქერი მოოქვილი მოზაიკის საუცხოვო მხატვრობით; კედლები დაფარულნი გობელენებით, ხოლო მისი ძრავალრიცხოვანი მოახლეები, ფარეშები, მეჯინბეები და გონდოლის მენიხბენი — კარგად ჩაკმულნი და ზრდილნი. მაგრამ ასეთი სიმდიდრე და განძეული არ ყოფილა იშვიათი სხვა სისასხლეებისათვისაც; პირიქით, კალორინის სისასხლეზე უფრო დიდი და უფრო მდიდრულად მორთული სისასხლეებიც იყვნენ. უფრო მეტი ოქროვერცხლის საგნებით გატენილნი მათი დარბაზები და მეტი ფაიფურით, გობელენებით და ნოხებით შემკულ-მოფარულნი. ვენეცია იმ დროს ერთი უმდიდრესი ქალაქი იყო მთელს დასავლეთში.

მაგრამ მშვენიერ მარგარეტას ერთი რამ ჰქონდა, რაც მრავალ მდიდარსა და ძლიერ მფლობელსაც კი შეშურდებოდა... ეს იყო ჯუჯა, რომელსაც ფილიპოს ეძახდა.

ჯუჯა ზომით სულ ორიოდ წყრათა თუ იქნებოდა და ზურგზე ორი კუზი ჰქონდა. ის მართლაც რომ ზღაპრულ არსებას წარმოადგენდა. ის დაბადებული იყო კუნძულ კვიპროსზე და როცა მარგარეტას მამამ ვიტორიო-ბატისტა კალორინიმ ის მგზავრობიდან შინ მოიყვანა, მან მხოლოდ ბერძნული, სირიული და არაბული ენა იცოდა, მაგრამ სულ მოკლე ხანში მან ისეთი სუფთა ვენეციური კილოთი დაიწყო ლაპარაკი, რომ ყველას რავაში ან გიოზე-ში დაბადებული ეგონა.

რამდენადაც მისი ქალბატონი ტანწერწეტი და ალვის მსგავსად იყო აშხვართული და მშვენიერებით ალვისილი, იმდენად იყო მახინჯი და დალეული მისი ჯუჯა და პატრონთან შედარებით ისე ჩანდა, ოგორც მებადურის პატარა ფაცხა ეკლესიის მაღალ სამრეკლოსთან.

ჯუჯას ხელების კანი დანაოქებელი და თითები სახსრებში დაკორძილი ჰქონდა. სიარული წარმოუდგენელად სისაკილო... მოზრდილი ცხვირი გადმოსკუპული იყო მის პატარა სახეზე. ფეხები ფართოდ გაჯაჯულნი და ირიბულად მიმართულნი. მორთული კი იყო მუდამ ისე, როგორც მთავრის ან თავადის შვილს შეეფერებოდა, აბრეშუმის საცვლებით და სტავისა და ხავერდის ტანსაცმელით. მარტო მისი გარეგნობა ხდიდა მას არაჩვეულებრივ საუნჯედ და ასეთი სახის სულიერის ნახვა, არა მარტო ვენეციაში, არამედ მთელ იტალიაშიც, მილანოს ჩათვლით, ალბათ არც კი შეიძლებოდა. მრავალი მეფე ან მთავარი ინატრებდა ჰყოლოდა ასეთი საკვირველი და სასაცილო „კაცუნია“ და სიხარულით გადაიხდიდა ჯუჯის წონა ბაჯალლო ოქროს მისთვის, რომ ეს შესაძლებელი ყოფილიყო. მაგრამ თუ ზოგიერთ მეფეს, დოჯს მაინც ჰყავდა ფილიპოს ზომის ან უფრო პატარა ტანის ჯუჯები, რომლებიც ფილიპოს არც სიმახინჯეში ჩამორჩებოდ-

ნენ, სამაგიეროდ ვერც ერთი ჯუჯა მას, სიბრძნით ვერ შეედრებოდა. ფილიპოს თავისუფლად შეეძლო მჯდარიყო სახელმწიფო სათათბიროს ათი უხუცესის გვერდით და იქ მისი რჩევა მიღებული იქნებოდა აუცილებლად, როგორც საუკეთესო. მასვე შეეძლო ყოფილიყო, რომელიც ვნებათ, სახელმწიფოს დესპანი და თავისი დავალება უაღრესი წარმატებით შეესრულებინა.

ჯუჯა რამოდენიმე ენაზე ლაპარაკობდა სისრულით; ის გაწოთენილ - განსწავლული იყო ისტორიაში, ვარსკვლავთმრიცხველობაში, ალქიმიაში და ამას გარდა, მას შეეძლო გამოეგონებინა მრავალი რამ და მიეცა კეთილი ან ბოროტი რჩევა; მანვე შესანიშნავად იცოდა არა მარტო ძველი ამბების მოყოლა, არამედ ამ ამბების თავისებურად შეფერადება, ან სულ ახალი რამის ზედ დართვა. ის დახელოვნებული იყო მსმენელთა მოჯადოებაში და მასვე შეეძლო იათი რჩევების მიცემა, რომელიც ზოგს სიხარულით აღავსებდა და ზოგსაც სასოწარკვეთილებამდე წიყვანდა.

ნათელ დღეებში მისი ქალბატონი აივანზე იჯდა. მის მშვენიერ ოქროს ნაწნავებს მხურვალე მზეზე ახამებდა, როგორც ეს მაშინ იცოდნენ, და ამ დროს მარგარეტას ამაღლას ორი მხევალი, ერთი აფრიკული თუთიყუში და ჯუჯა ფილიპო შეადგენდა. მხეველები მის ტალღოვან ოქროს დაღალეებს შლიდნენ და ვარცხნიდნენ ვერცხლიან სავარცხელით, სპირიტულ ნელსაცხებელსა და ბერძნული ვარდისწყალს აკურებდნენ და მზეს უფენდნენ, რათა კიდევ უფრო გაეყვითლებინა მის სხივებს ისედაც ბაჯალლოს ფერის თმები. თანაც მხეველები თავიანთ ქალბატონის ყველაფერს, რაც კი ქალაქში მომხდარიყო, ან მოელოდნენ რომ მოხდებოდა, უამბობდნენ. იქ იყო ლაპარაკი აიკვდილის შემთხვევებზე, ქიეფ-ზეიმზე, ქორწინებაზე და მშობიარობაზე, ქურდობა-ავაზაკობაზე და ყველაფერზე, რაც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო საინტერესო სასაუბრო საგანი.

ლამაზი მრავალ-ფეროვანი თუთიყუში ამ დროს, რათა ყურადღება თავისაკენ მიექცია, სამ გვარ ოსტატობას იჩენდა; ჯერ რაღაც ძველი სიმღერის სტევნას დაიწყებდა; შემდეგ როგორც თხა აკიკინდებოდა და ბოლოს „ღამე მშვიდობია“-ს დაიძახებდა.

ჯუჯა კი ამ დროს ხალხიანე იყო მოდრთხნილი მხურვალე მზის ქვეშ და გატაცებით კითხულობდა ძველ გრაგნილებს. რა თქმა უნდა, ის არავითარ ყურადღებას მხეველების ლაქლაქს ან კოლოების ბზუილს არ აქცევდა. მაგრამ ეს იდილია მალე თავდებოდა შემდეგხაირად: თუთიყუში მოქნაჩებდასა და თვლემას დაიწყებდა და მალე დაიძინებდა... მხეველები უფრო და უფრო დაბალი ხდით ლაპარაკობდნენ, სანამ სულ არ დადუმდებოდნენ და მზით დათენთილები თავიანთ საქმეს უფულოდ ასრულებდნენ. ეს არც გასაკვირველი იყო — ვენეციის შუადღის

მხურვალე მზის სხივებ ქვეშ მყოფათათვის. მაგრამ სწორედ ამ დროს, მარგარეტა გამოცოხლდებოდა და ხმა მაღლა დაიწყებდა ტუქსვას. პირველი, რომელმაც მისი ისარი მოხვდებოდა, იყო ჯუჯა ფილიპო. „წაართვით ახლავე ეს ნაწერები“-ო, მიმართავდა ის მხეველებს და ისინიც მაშინვე აკრებდნენ ფილიპოს მუხლებზე გადაშლილ პერგამენტებს. ჯუჯა აღელდებოდა და გამჟარდებოდა, მაგრამ სწრაფად სძლევდა ცულის წყრომას, მორჩილად წარსდგებოდა ქალბატონის წინაშე და ზრდილობიანად შეეკითხებოდა: „რა ნებათ ქალბატონს?“ და მარგარეტაც ამით გულმომბალი, თავაზიანად უპასუხებდა: „ძამბე რამე ამბავი“-ო.

„უნდა ცოტა დაეფიქრდე“-ო, მიუგებდა ჯუჯა და ჩაფიქრდებოდა. ხშირად ხდებოდა, რომ ქალბატონს ჯუჯა დიდ ხანს ალოდინებდა. მაშინ მარგარეტა გაცხარდებოდა და ისევ ტუქსვას დაუწყებდა, მაგრამ თითქოს აზაფერიც არ მომხდარიყო, ჯუჯა დინჯად ეტყოდა: „ცოტა კიდევ მოითმინეთ ქალბატონო!! კარგი და თქვენი საკადრისი ამბავი, უცხო და იშვიათი ნადირის მსგავსია. ის დამალულია თავის სამყოფელ ჯანგრებში, უღრან ტყეებში და გამოქვაბულებში. მას დიდ ხანს უნდა ვუცადოთ, სანამ თვალს წაეტანდეთ. დამაცადეთ ცოტა კიდევ, ვიფიქრო“. როცა საკმაოდ მოიხებდა გულს და თავის ქალბატონს ლოდინით საკმაოდ დასჯიდა, წიგნების წართმევისათვის, ის ამბის თხრობას დაიწყებდა და ისეთი გასაოცარი გულმოდგინებით, რომ სანამ არ დაასრულებდა, არ შესწყვეტავდა. ის ჰყვებოდა ხოლმე საინტერესოდ აკინძულ ამბავს და როგორც კლიდან გადმოვიარდნილ ნაკადულის კამკამა ტალღებში ყველა საგანის ახარეკლები ჩანს — პაწაწინა ბალახის ყურიც კი, ლურჯი ზეცის თალამდე, ისე მის ნაამბობშიც მოქმედი პირების სრული სახეობა, მოსჩანდა.

თუთიყუშს ეძინა. ძილში ალბათ სიზმარს ხედავდა და კაჭუტა ნისკარტს ერთმანეთზე აკლაპუნებდა. აივნის წიხწყლით სავსე ღრმა არხში, როგორც სარკეში, ისე მოსჩანდა სასახლის ნაგებობა და მისი აივანი, როგორც ძველიან-ძველი გობელენი. ღია აივანზე მზე ბუღს ადებდა. სააოწარკვეთილი მხეველები ძილს ებძოდნენ; ჯუჯას კი სულაც არ ეძინებოდა და როგორც ნამდვილი ჯადოსანი, თავისი ხელოვნებით თითქოს მზის სხივებსაც კი სიმხურვალეს უკარგავდა. ახუც მისი ქალბატონი გრძობდა მოთენთვას და სიციხით შეწუხებას. დიდი ყურადღებით უსმენდა ფილიპოს, რომელიც მას ხან დაბურულ, უღრან ტყეში დაატარებდა, ხან ლურჯ უძირო ზღვის ფსკერზე, და ხანაც, უცხო და ზღაპრული ქალაქების ქუჩებში.

ჯუჯა თხრობის დიდი ხელოვანი იყო. მას ეს ოსტატობა აღმოსავლეთში ჰქონდა ნაწავლი, სადაც ამბების მოქმელნი და მეზღაპრენი მსმენელთა სულს ისე ათამაშებდნენ, როგორც დასავლეთში ბავშვები ბურთს.

არასოდეს ის თავის ამბავს უცხო და შორეულ ქვეყ-

ნებში არ დაიწყებდა, სადაც მსმენელს არ შეეძლო მოულოდნელად შესვლა და იმ გარემოცვით გაგება. ჯუჯა თავის ამბავს ახლობელი, ნაცნობი ადგილებიდან და საგნებიდან იწყებდა ზოლმე, იქიდან, რაც მსმენელს ნახული ჰქონდა და მისთვის ნაცნობი იყო. ეს ოქროს სამაჯური, თუ ხორასნული თავშალი, ან სხვა რამ იყო, ის დაიწყებდა ამ საგნის მყიდველისა და გამყიდველის ამბით და შემდეგ, შეუმჩნეველად, მსმენელს თავისი ოცნების წიაღში გადაიყვანდა. ჯერ დაიწყებდა ნამდვილი და სავესებით ჩვეულებრივი ამბის თქმას, რათა მასზე აგებული ძისი შეთხზული ამბისათვის მყარი საფუძველი მოენახა და შემდეგ მსმენელი იქ წაეყვანა, სადაც სურდა.

თავის ქალბატონს აივნიდან მალე ნავთსადგურში შეიყვანდა; შემდეგ გემზე აიყვანდა და შორეულ ქვეყნებისაკენ წაიყვანდა და ამას ისე კარგად და შეწყობილად აკეთებდა, რომ მსმენელს მართლა სჯეროდა, თითქოს მან სინამდვილეში იხილა და იმოგზაურა ამ უცხო ქვეყნებში. ამ დროს მსმენელი სხელით თუმცა ჯუჯის წინ ვენეციას იმყოფებოდა, სულით ის, ხან მხიარული, ხანაც შემკრთალ-შემინებელი, უცხო ზღვებზე და გასაოცარ ქვეყნებში დაეხეტებოდა. ასე იცოდა ჯუჯამ ამბების თხრობა.

ერთ დღეს მისმა ქალბატონმა მძინარე თუთიყუშის შესახებ ჰკითხა: „ფილიპო! შენ ყველაფერი იცი; მითხარი, რას ხედავს სიზმარში ჩემი ფრინველი?“ ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ, ჯუჯამ დაიწყო მეტად გრძელი ამბავი ისე, თითქოს თვით ის ყოფილიყოს თუთიყუში და როცა ამბავი დაამთავრა, სწორედ თუთიყუშმაც გამოიღვიძა, შემოჰკრა ფრთას და თხსავით კიკინი დაიწყო, თითქოს ჯუჯის ნაამბობის სიმართლეს ადასტურებდა.

მარგარეტა ხანდახან აიღებდა ხოლმე კენჭს და არხში გადისვრიდა. კენჭის ჩაძირვისას წყლის ბუტბუტი გაისმოდა და მარგარეტა ჯუჯას ჰკითხავდა: „ფილიპო! რა ემართება ეხლა ჩემს მიერ გადასროლილ კენჭს?“ და ფილიპო უამბობდა, რომ ის ჯერ წყალში ღორჯოებსა და ლიფსიტებს გაეცნობოდა; შემდეგ კიბობსა და ცხრაფეხებს და წყლის ფერიებს შეხვდებოდა და ბოლოს დამხრჩვალ მებღვავარის სულს, ზღვისქინკებსა და წყლის ფერიებს შეხვდებოდა და ყოველივე ამას ისეთი დაჯერებით და წვრილმანებით უამბობდა თავის ქალბატონს, თითქოს ჯუჯა მათ პირადად იცნობდა.

როგორც ყველა ლამაზი, ამაყი და ზვიადად აღზრდილი დიდი აზნაურის ქალი, მარგარეტაც ამპარტავანი და საკმაოდ გულცივი იყო სხვების მწუხარების მიმართ. მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, ფილიპოსადმი მას ერთგვარი სიბრალული და თანაგრძნობა ჰქონდა. ამის გარდა, მას სწამდა, რომ მისი ჯუჯა იყო მეტად ჰკვიანი და შერი ისეთი რამის მცოდნე, რაც სხვებმა არ იცოდნენ. ამიტომ ფრთხილად ადევნებდა თვალ ყურს, რომ ის არავის

დაეჩაგრა, ან უხეშად არ მოქცეოდნენ. მაინც თვით მარგარეტა მას ხშირად აწვალებდა, არა დასჯის ან რაიმე ბოროტი განზრახვით, არამედ მხოლოდ თავისი ბავშვური და ლალი გრძნობის დასაკმაყოფილებლად ზვიადი ქალი ამაში არაფერს ცუდს არ ხედავდა. განა ჯუჯა მისი არ იყო?

ხანდახან, თითქოს გაჯავრებული მარგარეტა წაართმევდა და გადაუმალავდა წიგნებსა და ნაწერებს ჯუჯას. ზოგჯერ თუთიყუშის დიდ გალიაში დაამწყვდევდა და ხშირად კიდევ, უხარმაზარი დარბაზის გაკრიალებულ იატაკზე არბენინებდა, რათა ჯუჯას ფეხი აცურებოდა და წონასწორობის შესანარჩუნებლად, ტანის საოცარი მანქვა და გრეხა დაეწყო, რისი დანახვაც მას ამხიარულებდა და ხმა მალლა აკისკისებდა. ერთი სიტყვით, მარგარეტა ამითი ისე ერთობოდა, როგორც პატარა გოგონები დედოფალებთან თამაშით.

ფილიპომ ეს მშვენივრად იცოდა და არასდროს ქალბატონს ამის გამო პირდაპირ საყვედურს არ ეთბნებოდა. მაგრამ ჯუჯა არაფერს ივიწყებდა და ხანდახან თავის მოთხრობებში ამ საქციელს ქარაგმებითა და ალევორიებით ჩაურთავდა ხოლმე და როგორც წემსის წვერით, იე ჩხვლეტდა და ჰკიცხავდა თავისი ქალბატონის სინიღისს.

მარგარეტა კარგად ხედებოდა, თუ ვის გულისხმობდა ფილიპო, მაგრამ მშვენივრად იტანდა ასეთი გაკიცხვას; არაფერს ამბობდა და თითქოს კიდევაც უხაროდა, რომ ჯუჯა მას სამაგიეროს უხდიდა და ამით მას დანაშაულს უმსუბუქებდა. ამავე დროს ასეთი გაკიცხვა მარგარეტას აშკარად უჩვენებდა იმ საზღვარს, რომლის გადალახვა ფილიპოს მიმართ დაშვებულ საქციელში აღარ შეიძლებოდა. მარგარეტას ისე, როგორც სხვებს სჯეროდათ, რომ ჯუჯას აქვს მაგიური ძალა და თუ მოისურვებდა სამაგიეროს გადახდა შეეძლო. ყოველ შემთხვევაში ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ფილიპოს შეეძლო ზოგიერთ ცხოველთან ლაპარაკი, ამინდის წინასწარ გამოცნობა და ქექა-ქუხილისა და ქარიშხლის მოახლოება.

ჯუჯას უყვარდა გრძელი ამბების მოყოლა, მაგრამ შეკითხვებზე, ის მოკლე პასუხს იძლეოდა და უმთავრესად თავისი მოძრაობით, რაც „ჰო“-ს და ან „არა“-ს ხიშნავდა. მაგრამ როცა აღმაჯერ ბეჭებზე ამ დროს, მოზრდილ თავს წინ და უკან, ან აქეთ იქით ქნევას დაუწყებდა, მაშინ შემკითხველთ პასუხი ავიწყდებოდათ და ხმა მალლა სიცილს დაიწყებდნენ ხოლმე.

ცნობილია მრავალ ადამიანს მიღრეკილება აქვს, კავშირი გააბას სულიერ არსებებთან, მათთან დამეგობრების, თუ მათთვის მფარველობის გაწევის მიზნით. არც ფილიპო წარმოადგენდა ამ მხრივ გამოჩაკლისს, გარდა თავისი წიგნებისა და ხელთნაწერების კითხვისა, მას შეტად უყვარდა და დიდი მეგობრობა ჰქონდა ერთ პატარა, შავი-ფერის ფინია ძაღლთან, რომელიც მის საკუთრებას შეადგენდა და რომელსაც მასთან ეძინა.

თავი მეორე

ეს ჯიშინი ძალი, ერთხელ, ერთმა სასიძოდ მოსულ-
მა და შემდეგ დაწუნებულმა ვაჟმა აჩუქა მარგარეტას.
მაგრამ, პირველ დღესვე, ცუგრუმელა ფინიას დიდი უბე-
დურება დაატყდა თავს და მძიმედ დაშვდა. მუხის დიდი
კარი მოულოდნელად მოვარდნილმა ქარმა სწრაფად მი-
აჯახა პატარა ძალს და უკანა მარცხენა ფეხი გადაუშ-
სვტია. ძალის მოკვლა მაშინვე უნდოდათ, მაგრამ ჯუ-
ჯამ ის თავის ქალბატონს გამოსთხოვა და მანაც მოწყა-
ლება მოილო და ფინია ჯუჯას აჩუქა.

დიდის მზრუნველობით და გარჯით ჯუჯამ ძალი
მოარჩინა; მია უკანა ფეხის ძვალი თუმცა შეხორცდა,
მაგრამ ფინიას ფეხის ძარღვები მძიმედ დაზიანებული
იყვნენ და ფეხი გაშემებული დარჩა. ფინია ამ ფეხს ხან
მიწაზე მიათრევდა სიარულის დროს და ხანაც თემოს ძა-
ლლა ასწევდა და ფეხი ჰაერში დაკიდებული მიჰქონდა.
პატარა, ჰკვიანი და მგრძნობიარე ცხოველი, დიდის ერთ-
გულეობით და სიყვარულით უზღიდა ჯუჯას სამაგიეროს.
ჯუჯა და დაკოტლებული ძალი კარგად შეეფერებოდ-
ნენ ერთმანეთს მათი ნაკლით და ისინი ყველას დაცინ-
ვია და მასხრობის საგნად იქცნენ.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი მეგობრობა ვერაფერ-
მა ვერ დაჩრდილა; მათ შორის წრფელი და სპეტაკი ურ-
თიერთი სიყვარული სუფევდა და მე ვფიქრობ, რომ
მრავალი კეთილშობილი თავადი ან აზნაური ინატრებ-
და ასე გულითადად ცუგრებოდათ ის, მის შინაყმებსა და
მეგობრებს, როგორც ფინიასა და ჯუჯას ერთმანეთი
უყვარდათ.

ჯუჯამ ძალს სახელად „ფილიპინო“ დაარქვა, რაც
შემდეგ შემოკლდა და „ფინო“-დ იქცა და ძალი „ფი-
ნო“-ს იაე სათუთად უვლიდა, როგორც დედა ჩვილ
ყრმას. ესაუბრებოდა როგორც დედა ადამიანს; მიჰქონდა
მისთვის გემრიელი ხორცის ნაჭრები საკუთარი კერძიდან
და მას, თავის საკუთარ, „ჯუჯა“-ს ლოგინში აწვენდა.

მოკლედ, მან ამ ძალზე გადაიტანა მოელი თვისი ყუ-
რადღეობა და სიყვარული. თავის საცოდავ არსებობას
ჯუჯა, თავის უთვისტომობას და უსიხარულო დღეებს
ამ პატარა გონიერი ცხოველით იმსუბუქებდა, თუმცა
ამის გამო მრავალი დაცინვისა და უსიამოვნების გად-
ტანა უზღებოდა მსახურთა მხრივ.

თქვენ მალე დაინახავთ, რომ არაფერი დასაცინი და
გასამაზრებელი მათ მეგობრობაში არ ყოფილა და იმა-
საც, რომ ამ ძლიერმა სიყვარულმა, არა მარტო ჯუჯასა
და ძალს, არამედ მთელ სასახლეს უდიდესი უბედურე-
ბა თავს დაატყდა. მაგრამ გთხოვთ ძვირფასო მკითხველო!
ნურც მოიწყენთ და ნურც უსაყვედურებთ — „ჰე, რა
მოხდა, რომ გული გააწყალა ამხელა ამბით, ამ ერთი
დამთხვეული ფინია ძალის გამო,“-ო. უნდა იცოდეთ,
რომ ხშირად უფრო მცირე და უმნიშვნელო მიზეზისა
გამო, მძიმე და დიდი უბედურებანი მომხდარან

მრავალი კეთილშობილი, მდიდარი და ახოვანი ვაჟა-
კის თვალი შესცქეროდა მარგარეტას და დღე და დღე
მათ გულში მისი სახე იყო ჩახატული.... მაგრამ თვითონ
მარგარეტა იყო ისე მიუჯარებელი და ამპარტავანი, თი-
თქოს დედამიწაზე მისი შესაფერისი საქმრო არც დაბადე-
ბულიყო. ეს ნაწილობრივ, ალბათ იმის გამო მოხდა,
რომ მარგარეტას, მისი დედის დონა-მარია ჯიუსტიანის
სიკვდილამდე, მეტად მკაცრი, ტრადიციის არტახებით
შეკრულ-შებოჭვილი აღზრდა მისცეს. ის სიყვარულს
სხვაგვარი თვალთ უყურებდა და მის ანკესზე ადვილად
არ წამოეგებოდა. ამიტომ, მთელს ვენეციაში მას სახე-
ლი ჰქონდა განთქმული: როგორც — „გულქვა მზეთ-
უნახავს“.

როცა მისთვის დღელში მოიკლა ორი ოფიცერი პა-
დუადან და ერთიც მილანოდან, მარგარეტას ეს ამბავი
გადასცეს და ამბავთან ერთად ერთი დაღუპულის ხელით
დაწერილი წერილი; მარგარეტას მალა და მარმარი-
ლოსავით თეთრ შუბლზე სულ პაწაწინა მწუხარების
ჩრდილიც კი აჩავეს შეუქმნევია. მისთვის შეთხზულ სო-
ნეტებზე და სერენადებზე რაიმე სასაცილო უნდა დაე-
მატებინა, სოათა მათთვის სერიოზულობა დაეკარგა. ერ-
თსა და იმავ დღეს ორ მეტად მდიდარ და სახელოვან
კეთილშობილს უთხრა უარი ცოლობაზე და ორივე სახ-
ლიდან დაითხოვა, მამა-მისის სამწუხაროდ, რომელსაც
გამგუნებელი სასიძონი სამარადისოდ გადაემტერნენ.

მაგრამ პატარა ფრთიანი ღმერთი დიდხანს და გულ-
მოდგინედ უმიზნებს ხოლმე ისარს თავის მსხვერპლს,
სანამ მან შუაგულში არ სტყორცნის და მაშინ კი, ხში-
რად ამაყი და თავგასული ქალები ისე მოღვებებიან და
მოღბილდებიან სიყვარულის ცეცხლით, როგორც ზამთ-
რის ცივი და ყინულიანი თოვლი, გაზაფხულის მზურვა-
ლე მზის ქვეშ.

მარგარეტას ასევე დაემართა, ერთი ზეიმის დროს მუ-
რანოს ბაღებში, სადაც მისი გული სიყვარულმა სავე-
ბით გააღხო. ახალგაზრდა რაინდი მეზღვაური — ბალ-
ტაზარე მოროსინი, რომელიც სწორედ ეხლა დაბრუნე-
ბულიყო ლევანტიდან, კარგად ასწონ-დასწონა თვალთ
მარგარეტამ და აშკარად დაინახა, რომ ბალტაზარე მას
არც სილამაზით და არც გვარისივილობით და სიმდი-
რით არ ჩამოუყვარებოდა. თუ ქალი მზესავით ნათელი
და ოქრო-თმიანი იყო, ბალტაზარე მზითა და ქარით გა-
სოუჯული, შავთვალწარბა წარმოსადეგი ვაჟაკი იყო,
რომლის არწივისებრ ცხვირს, ლამაზი და ენერგიით სავ-
სე თვალები ამშვენებდა. ისინი მართლაც რომ შესაფე-
რისი რწყვილი იყო; და მარგარეტას გულმა, ჯერ კიდევ
სანამ რამეს ჰკითხავდნენ, თანხმობა განაცხადა — ვაჟ-
კაცთან შეუღლებაზე. ბალტაზარეს არ შეეძლო ასეთი
ქალი, როგორც მარგარეტა იყო, არ შეემჩნია, და შეამ-

ჩნია ის თუ არა, მაშინვე გადაწყვიტა მას და მის ოჯახს
გასცნობოდა, რაც მრავალგვარი ეტიკეტისა და სალაქუ-
ცო სიტყვების შემდეგ მოხდა.

ერთ საღამოს, მარგარეტა და მამა-მისი, ბალტაზარემ
მურანოს ბაღებში დაპატიჟა. ზეიმმა შუალამემდე გასტა-
ნა. ბალტაზარე მუდამ ქალის გვერდზე იყო და მარგარე-
ტა გულისყურით უსმენდა ვაჟის ლაპარაკს, მაშინაც კი,
როცა საუბარი პირდაპირ მას არც კი შეეხებოდა. რო-
გორც ეს საფიქრებელიც არის, ბატონ ბალტაზარეს ხში-
რად თხოვდნენ ხოლმე მოჰყოლოდა მათ თავისი თავგა-
დასავალი ზღვაზე მოგზაურობის დროს, რომელიც სავსე
იყო იშვიათი და სახიფათო შემთხვევებით, მეკობრეთან
ბრძოლის ეპიზოდებით და საგმირო ამბებით. ბალტაზარე
თხოვნას თავაზიანად ასრულებდა და თითქოს ამბებს
ყველასათვის ერთგვარი ინტერესით ჰყვებოდა; სინამდ-
ვილეში კი, მთელი მისი ლამაზსიტყვაობა დამიზნებული
იყო მხოლოდ მარგარეტას მიმართ, მას სურდა გაეგო, თუ
რა შთაბეჭდილება სტოვებდა მისი ნამშობი ქალზე,
რომელიც დიდი ყურადღებით უსმენდა მას.

ბალტაზარე საოცარ და უჩვეულო შემთხვევებს ისეთი
ჩვეულებრივი ტონით, ჰყვებოდა, თითქოს ასეთი რაბ
ყველას ენახოს და თავს გადანდომოდეს. ამავე დროს, თა-
ვის თავს ის არულიად ამბის შუაგულში არ აყენებდა,
როგორც ამას ახალგაზრდა მეზღვაურები ხშირად სჩადი-
ან. მხოლოდ ერთხელ, როცა ის ერთი ბრძოლის ამბავს
ჰყვებოდა აფრიკელ მეკობრეთან ბრძოლაზე, მან ერთი
მძიმე ჭრილობა ახსენა, რომელიც მას მარცხენა ბეჭის
ფრთაზე მიაყენეს.

მარგარეტა ამ ამბავს სულგანაბული უსმენდა, მოხიბ-
ლული და შემკრთალი. როცა ლხინი დაარულდა, მარგა-
რეტა და მამა-მისი, ბალტაზარემ გონდოლამდე მიაცილა,
დაემშვიდობა და კიდევ დიდხანს დაჩჩა ხაპირზე და დიდ
ხანს ადევნებდა თვალს ლამპიონის სინათლეს, რომელ-
საც თავლის ფერად სტოვებდა მიშავალი გონდოლა
ლურჯ ლაგუნაზე. როცა ყველაფერი სიბნელეში ჩაიძი-
რა, ბალტაზარე თავის მეგობრებს დაუბრუნდა, რომელ-
თაც ზღაში სუფრა გაეშალათ. იქ იყვნენ ახალგაზრდა,
კეთილშობილი ვაჟაკები და ლამაზი, მაგრამ სახელ-გა-
ტყხილი „მჩატე“ გოგონები, რომლებიც ღამის დახარჩენ
ნაწილს ყვითელი ბერძნული ღვინისა და წითელი და
ტყბილი ალკარმესის სმაში ატარებდნენ. შეკრებილთა
შორის იმყოფებოდა ვინმე ჯანბატისტა ჩენტარონი, ვე-
ნეციის ერთი უმდიდრესი და დარდიმანდი ახალგაზრდა
კაცი. ის ნელა მივიდა ბალტაზარესთან, ხელი მხარზე
დაადო და სიცილით უთხრა:

„ჰო, როგორ ვოცნებობდი, რომ შენ ამ ღამით შოგვი-
ყვობდი შენ თავგადასავალს, სიყვარულის ამბებს და
რომანებს, რომელიც შენ მოგზაურობის დროს თავს გა-
დაგხდა, მაგრამ ვხედავ, რომ აჩაფრები გამოვა. ვხედავ,

იცი შენ? რომ იმ მშვენიერი ქალის გული მაგარია, რო-
გორც ქვა? მას არც სული აქვს... ის არის სოფლორც ჯორ-
დანეს სურათები, რომლის ქალებსაც ჭეშმარიტად ვერა-
ვინ დაიწუნება, მაგრამ რომელთაც არც ხორცი და არც
სისხლი არ გააჩნიათ და მხოლოდ ჩვენი თვალებისათვის
არიან დახატულნი. გირჩევ, კადორინის ქალიდახ თავი
შორს დაიჭირო! ან იქნებ გსურს, რომ შენც დაგიწუნოს
და გაგაძიონ და კადორინის მსახურთა ყბადასაღებად გა-
გხადონ?“

ასეთ შენიშვნაზე, ბალტაზარი მხოლოდ იცინოდა და
საჭიროდ არ სთვლიდა თავი დაეცვა, ან რაიმე უარ-
ეყო. მან გამოსცალა რამოდენიმე თაბი მძიმე ზეთისსგა-
ვის კვიპროსული ღვინო და სხვებზე ადრე წავიდა მის.

მეორე დღეს მოძებნა მან კადორინის სასახლე და მას
ეწვია. ამ მშვენიერ, მაგრამ მცირე სასახლეში ბალტაზა-
რე ყოველ მხრივ ცდილობდა ბატონი კადორინისათვის
თავი კარგად მოეჩვენებინა, რათა მისი განწყობილება
თავის მხარეზე გადმოეტანა. როცა გვარნიანად შეღამდა,
რამოდენიმე მომღერლისა და მუსიკოსის დახმარებით,
მშვენიერი მარგარეტას ფანჯრების ქვეშ, მან მომაჯა-
ღობელი სერენადა უმღერა ქალს და მეტად კარგი შე-
დეგით. ქალი ფანჯარას მზადგა და მერმე, მცირე ხნით,
აივანზეც გამოვიდა. რაღა თქმა უნდა, მთელი ქალაქი
აალაპარაკა ამ ამბავმა და მრავალმა უსაქმოდ მოწანწა-
ლემ და ჭორიკანებმა უკვე იცოდნენ დანიშვნისა და
ქორწინების დღე, უფრო ადრე, ვინემ თვით მოროსინმა
და მარგარეტამ.

თუმცა იმ დროს წესი იყო, რომ საქმროს თავისი უან-
ლოესი მეგობრები მიეგზავნა ქალია მშობლებისათვის,
ასულის ხელის სათხოვნად, მაგრამ ბალტაზარეს ეს წესი
არ მოსწონდა და თავისი ბედისხალი თვით აიღო ხელთ:
წარსდგა მარგარეტას მამის წინაშე და ბალტაზარემ მას
თავისი გულის საიდუმლო გააცნო. ქალის მამა შეკრთა
და ოდნავ დაბნეულმა უპასუხა:

— „ჩემო ძვირფასო რაინდო“, — დაიწყო მან საყვე-
დურის ხმით, — „ღმერთია მოწმე, რომ ამ დიდ პატივს,
რომელსაც თქვენ მდებთ, არ ვამცირებ. დიდად სასიხა-
რულლოა ჩემთვის და მეტად სასახლეო თქვენი წინადა-
დება. მიუხედავად ამისა, მაინც გულითა და სულით
გთხოვთ, თქვენი განზრახვა უკანვე წაიღოთ. ამით ჩვენ
ოჩივეს აგვიკიდებდა დიდი მწუხარება და სიმძიმე.
თქვენ ამდენხანს მოგზაურობდით, შორს იმყოფებოდით
და არც კი იცით, თუ რა საშინელ მდგომარეობაში ჩამა-
ყენა ჩემმა ქალიშვილმა იმ ყოვლად უმიზეზო და გაუ-
მართლებელი უარის თქმით, რომელიც მან ორ მეტად
მალალ და ღირსეულ ვაჟაკს ხელის მთხოვნელს განუტყა-
და. ჩემს ქალს სიყვარულის და ვაჟაკობის არაფერი გა-
ეგება და უნდა გამოვტყდე, რომ ამაში ოდნავი ზრალი
მეც მიღვეს. მე ვარ სუბტი და ღმობიერი ჩემი ქალის

მიმართ, რათა მას ძალით გავაკეთებინო ის, რაც მისთვის
ღა ჩემი სახელისათვის კარგი და შესაფერი იქნებოდა“-ო,
დაასრულა ბატონმა გოდორინმა.

ბალტაზარე უსმენდა მოკრძალებით, მაგრამ თავისი
წინადადება უკან არ წაუღია, არამედ მთელი ძალღონე
მოიხმარა, რათა ქალის მოხუცი მამა გაემხნეებინა და
კარგ გუნებაზე დაეყენებინა. საბოლოოდ კი, ბატონი კა-
დორინი დაპირდა მას, რომ თავის ქალიშვილს მოელაპა-
რებებოდა.

მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს, თუ როგორი იქ-
ნებოდა მარგარეტას პასუხი. თუმცა ამპარტავნული ჩვე-
ულების გამო, მან დასაწყისში ოდნავ იუარა და კიდევ
ერთხელ ეცადა ეთამაშა ამაყი ქალბატონის როლი, მაგ-
რამ მის გულს უცვებ ნათქვამი ჰქონდა „ჰო“ და ეს უფ-
რო ადრე, ვიდრე მას შეეკითხებოდნენ.

თანხმობის მიღების შემდეგ ბალტაზარი გამოცხადდა
ძვირფასი საჩუქრებით მარგარეტას სასახლეში, დანიშ-
ნულს თითზე ძვირფასი ბეჭედი წამოაცვა და პირველმა
და პირველად აკოცა მის მშვენიერ საცოლეს, მარჯნის-
ფერ ბაგეზე.

ახლა კი, მართლაც გაუჩნდათ სალაპარაკო ვეცეციე-
ლებს. არავის არ ახავდა, რომ ასეთი დიდებული წყვი-
ლი ოდესმე დანიშნულიყო. ორივე იყო ალფა ტახის;
ორივეს ეჭირა ამაყად თავი და არც ამპარტავნებით და
არც გვარიშვილობით არავის ისინი არ ჩამოუფარდებოდ-
ნენ. ერთი რამ კი არ მოსწონდა მშვენიერს, რომ დანიშ-
ვნის შემდეგ, ბატონმა ბალტაზარემ განაცხადა, რომ მა-
ლე კვიპროსზე გაემგზავრება, რათა იქ დაწყებული სა-
ვაქრო საქმეები დააბოლოოს და როცა იქიდან დაბრუნ-
დება, მაშინ დიდებული ქორწილი გადაიხადონ. მთელი
ქალაქი ამ ქორწილისათვის იანე ემზადებოდა, როგორც
ქრონული დღესასწაულისათვის. დანიშნულები კი ჩუქ-
ბედნიერებას და სიხარულს ეძლეოდნენ, ხელ შეუშლე-
ლად. ბატონი ბალტაზარე სხვა და სხვა გართობას და
წვეულებებსაც არ ივიწყებდა; ამათ გარდა, მიუხედავად
იმისა, რომ იმ დროინდელი ჩვეულება კრძალავდა, მათ
დახურულ გონდოლაში მარტოდ ზღვაზე ესეირნათ, ამა-
საც ხშირად ფარულად სჩადიოდნენ.

თუ მარგარეტა ოდნავ ამპარტავანი და ოდნავ მკაცრი
იყო, რაც მაშინდელი კეთილშობილი ქალიშვილებისათ-
ვის გასაგებია, მისი საქმრო ბალტაზარე მეტად ფიცხი,
დაუზოგავი და არჯალი ბუნებისა იყო. ზღვაზე შოგზა-
ურობამ და მრავალმა საშინელმა თავგადასავალმა ის ამ
მხრივ უარესი გახადა. საკვირველია ის, რომ მას თავი-
დანვე არ მოსწონდა ბევრი რამ თავისი საცოლის ირგე-
ლივ. ყველაზე უფრ სძაგდა თუთიყუში, პატარა ძალღა
ფინო და ჯუჯა ფილიპო. როგორც კი ის მათგან რო-
მელსამე დაინახავდა, მაშინვე გულს ბოროტება დაეუფ-
ლებოდა და ყველაფერს სჩადიოდა: ისინი როგორმე ეწა-

მებინა, დაესაჯა და პატრონისათვის შეეშულებინა. რო-
გორც კი ის მარგარეტას სახლს ეწვეოდა და მისი ხმა კი-
ბეზე გაისმოდა, ძალღი სადღაც წკავწკავით გადაიკარგე-
ბოდა; ფრინველი ფრთების ფათქუნს და საშინელ ყვი-
რილს ასტებდა; ჯუჯა კი ტუჩებს მოკუმავდა და ძლი-
ერად დაძაბული, თავს იკავებდა, რომ ბაგე არ გაეხსხა.
პიმართლისათვის ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მარგარე-
ტა თუ ცხოველებს ვერ შველოდა, ფილიპოს მაინც ესაჩ-
ილებოდა და რამდენჯერმე მისთვის ორიოდ თბილი
სიტყვაც კი გაიმეტა. მაგრამ თავისი საქმრო რომ არ გა-
ეჯავრებინა, მას არ უნდოდა უფრო ენეგრიულად დაეც-
ვა ის და ამით თავიდან აეცილებინა წამება ფილიპოსა
და ცხოველებისათვის.

თუთიყუშის ამბავი სწრაფად დასრულდა. ერთ დღეა,
როცა ბატონი ბალტაზარე მოროსინი ამ უწყინარ ფრინ-
ველს გოძელი ჩხირის ჩხვლეტით, ჩვეულებრივ აწაბებდა,
გაანჩხლებული და გაკაპასებული ფრინველი მისწვდა
მის ხელს და საჩვენებელი თითიდან, თავისი მოკაუტებუ-
ლი მაგარი ნისკარტით, მუხუდოს მარცვალის - ოდებსა
ხორცი ამოგლიჯა. სისხლის დანახვასზე ბალტაზარე გა-
გიჟდა... დაავლო ხელი თუთიყუშს, რამოდენჯერმე შო-
უგრიბა კისერი ღვლენჭივით და უკანა აივნიდან ვიწრო
და ბნელ არხში გადაისროლა. არავის ამ ლამაზი და მზი-
არული ფრინველის მკვლელობის გამო მისთვის საკვე-
დური არ უთქვამს... არავის ამ სიციცხლით სავსე ფრინ-
ველის სიკვდილი არ უგლოვია...

არც ძალღი ფინოს ბედი ყოფილა უკეთესი. ერთ
დღეს, როცა ბალტაზარე თავისი საცოლის სახლს მიადგა,
ძალღი, როგორც ყოველთვის გაუჩინარდა და კიბის ქვე-
და საფეხურის ქვეშ დაიმალა. ბალტაზარემ კიბეზე ასე-
ლა დაიწყო, მაგრამ რამოდენიმე საფეხურის აბიჯების
შემდეგ გაახსენდა, რომ გონდოლაში თავისი საცოლი-
სათვის მოტანილი რაღაც საჩუქარი დაავიწყდა და მის
მოსატანად უკანვე გაბრუნდა. ამ მოულოდნელობით და-
ფეთებული ძალღი, საშინელი წკავწკავით გამოვიარდა
თავისი საფარავიდან სწორედ იმ დროს, როცა ბალტა-
ზარემ უკანასკნელ საფეხურზე ჩამოაბიჯა; უბედური
ფინო იმგვარად გაეხლართა მას ფეხებში, რომ ცოტალა
აკლდა და ბალტაზარე კინალამ წაიქცა, მაგრამ თავი შე-
იკავა და ბოძივით ძალღს დაედევნა. ძალღს არხის პირას
დაეწია, რომელშიდაც ღრმა წყალი იდგა და რომლის მარ-
ცხენა ფრთა იქვე გაშლილ ზღვას უერთდებოდა. გაბო-
როტებულმა „რანდმა“ შიშით მოცახცახე პატარა ძალღს
ისე მაგრად გაჰკრა ფეხი, რომ ფინო ბურთივით შუა
არხში გადაისროლა. სწორედ იმავე წუთში იქ მივიარდა
ჯუჯა, ფინოს გულწამლები წკავწკავის გამო და ბალ-
ტაზარეს გვერდით დადგა. ბალტაზარე ბოროტი სიცი-
ლით უმხერდა ნახევრად კუტი ძალღის უიძედო წკბუ-
ტუნს, რომელიც შიშით დამბლა დაცემული სულაც ვე-

ღარ ხმარობდა თავის უკანა ფეხებს. წინა ფეხებით ის ტალღებს ეპობდებოდა და სურდა როგორმე გადაჩხებილიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა და წყლიდან მხოლოდ თავი და წინა ფეხების თათებილა მოუჩანდა. სასახლის პირველი სართულის აივანზე მარგარეტა გაძოჩხდა და ეს სურათი დაინახა.

— გაგზავნეთ ახლავე გონდოლა, ღვთის გულისათვის! — შესძახა ფილიპომ თავის ქალბატონს ტირილით, — გამოაყვანიეთ წყლიდან ეხლავე, ქალბატონო, გვედღრებით, დამეხრჩობა, უთუოდ დამეხრჩობა ფინო, ჩემი ფინო... ჰოპ! —

ბალტაზარე ახლაც იცინოდა და მხეხავებს, რომელთაც ძალღია შეველა უნდოდათ, თითოთ ანიშნა, რათა თავის ადგილზე დარჩენილიყვნენ. ჯუჯას კიდეც ერთხელ უნდოდა თავისი ქალბატონისათვის ეთხოვება, მაგრამ სწორედ იმ წუთში, მარგარეტამ თვალეზზე ხელი მიიფარა და უსიტყვოდ აივანი დასტოვა.

ახლა კი ამაყი ჯუჯის სულმა ქედი მოიხარა, ორივე მუხლზე დაეცა, თავისი მტანჯველის და მტარვალის წინაშე და ქვითინით შეღალადა, რათა ძალღია გადაერჩინა, მისთვის ერთი ბეწო სიცოცხლე ეჩუქებინა... მაგრამ ადამიანის სახეობის მქონე მხეცმა, ჯუჯას, მისკვებ ბიუხედავად, სასტიკი ხმით უბრძანა, ახლავე სახლში წათრეულიყო. თვითონ კი, არხის პირას დარჩა და მანამდე უმზერდა და უსმენდა პატარა დაკუთებული ძაღლის საოწარკვეთილ ბრძოლას და მწარე წკავწკავს, სანამ ხროტინით ტალღებში ჩაიძირებოდა.

ჯუჯა ფილიპო სულ მალა, სახურავის ქვეშ მდებარე სართულზე ავიდა და ერთ ბნელ კუთხეში მძიმალა. თავისი პატარა, ჯუჯის მოკლე ხელეზზე დააყრდნო მოჭრილი თავი და პნელში რაღაცას მიმტეხებოდა. ჯუჯის ვახშობამდე ამ მდგომარებაში დარჩა. ჯერ ქალბატონის ერთ-ერთი მოახლე ავიდა და უთხრა ქალბატონთან ჩაუღიყო ახლავე, მაგრამ ჯუჯა ადგილიდანაც არ განძრეულა; შემდეგ ფარეში ამოვიდა და მანაც თავისი ქალბატონის ასეთივე ბრძანება გადსცა, მაგრამ ჯუჯა ისევ უძრავად დარჩა მის ადგილზე.

როცა ვახშობა მოთავდა, თვითონ მარგარეტა აყვა კიბეებს სანთლით ხელში და გაშტერებულ ჯუჯას ცოტა ხანს დააკვირდა; შემდეგ კი შეეკითხა: — „რატომ არ დგები ზეზე?“ — უფრო ხმამალა იყვირა მარგარეტამ, და მხოლოდ ეხლა, თითქოს მან ღრმა ძილიდან გაღვიძებოდეს, თვალის უბეები მალა ასწია და ძლივს გასავონი ხმით წაილულულა: „რად მოკალით თქვენ ჩემი ძაღლი?“ — „მე არა მაქვს დანაშაული, შენ იცი, ვინც ის ჩაიღინა“-ო, — იმართლა თავი მარგარეტამ. რაზიდაც ჯუჯამ აღელვებით უპასუხა: — „ეგ ვიცი, მაგრამ თქვენ ხომ შეგეძლოთ იმის გადარჩენა! თქვენ ის გასწორეთ!“ — ჯუჯას ამის თქმის შემდეგ თვალეზი მოუწყ

ლიანდა და უეცრად გულშემზარავი ქვითინი ამოღშვა... — „ჰო, ფინო ჩემო უძვირფასესო და უსაყვარლესო ფინო!... ფინო... ფინო!“ — მარგარეტა ამაზე განრისხდა და იმის ნაცვლად, რომ უბედური ჯუჯა როგორმე ენუგეშებინა, მან ფილიპეს მწყურლად შესძახა, ამდგარიყო და საწოლში წასულიყო; ჯუჯამ ბრძანება უსიტყვოდ შეასრულა. წავიდა, დაწვა თავის ლოგინში და სამი დღისა და ღამის განმავლობაში უსიტყვოდ და სიცოცხლის უნიშახწყალოდ იწვა. იღვა, როგორც მკვდარი; არც საამელი, არც საჭმელი ამ დროის განმავლობაში არ მიუღია და არც არაფერს ამჩნევდა, რაც მის ორგელივ ზდებოდა.

თავი მესამე

ამ ხნის განმავლობაში ქალბატონ მარგარეტას დიდი მოუსვენრობა და შიში შეესადგურა. ამის მიზეზი იყო ის, რომ მან სხვა და სხვა წყაროდან შეიტყო თავის საქმროზე ბევრი რამ იკეთი, რამაც მას მშვიდობა და ძილი გაუფრთხო. მას უამბეს, რომ კვიპროსზე და ყველგან, თავისი საზღვაო მოგზაურობის დროს, ბალტაზარე ზღვაზე შეკობრობას ეწეოდა, დაქირავებული მებღვაურების შეძქეობით, და უცხო საეაქრო ხომალდების დაღეწვისა და გაძარცვის შემდეგ, ველურ ორგიებს მართავდა ტყვედ აყვანილ გოგონებთან და ჩვეულებრივ კახა ქალებთან. ისიც უამბეს, რომ სადაც კი ოდესმე ის შეჩერებულა, ყველგან საცოლო და საყვარლები ჰყავდა დატოვებული და კიდეც მრავალი სხვა ისეთი წვრილმანიც, რისთვისაც უბრალო მეკობარიც კი გაწითლდებოდა. — „ნუთუ ყველაფერი ეს მართალია?“ — ფიქრობდა სასოწარკვეთილებამდე მისული ქალი და კენწისათვის თავი ვეღარ გაერთმია. ექვით და მწუხარებით მოცული ქალი, შეშინებული ფიქრობდა თავისი საქმროს მომავალ მგზავრობაზე; მის მწარე ფიქრებს ხანდახან მძიმე ამოხვნეშები ამყლავნებდა ხოლმე. მაგრამ საბოლოოდ ამდენი დარდი ამაყ გულში ვეღარ დაიტია საიდუმლოდ. ერთ დილით, როცა ბალტაზარე მათ ოჯახში იყო, ყველაფერი უამბო მას და არაფერი დაუმალავს, რაც კი მის სულსა და გულს ღრღინდა.

ბალტაზარემ ჩაიკინა და დინჯად დაიწყო: — „ჩემო ძვირფასო და მშვენიერო მარგარეტ! რაც შენ გესძა, ხაწილობრივ მართლაც რომ სიცრუეა, მაგრამ მეტი წილი სიმაართლეს შეეფერება. სიყვარული ზღვის ტალღებს წააგავს; ის მოვა — აღიმართება ყალყზე და თან წაგვიღებს ხოლმე ისეთი ძალით, რომლის წინააღდგომა ჩვენს ძალას აღემატება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მაინც კარგად ვიცი, თუ რა ვალდებულება მაწევს ჩემი ძვირფასი საცოლის, ცნობილი ოჯახის მიმართ. აი, რატომ გმართებს აყო სრულიად გულშემვიდად. მართალია, აქ-იქ მინახავს მშვენიერი ქალები და ზოგ მათთაგან დროც გამიტარებია, მაგრამ განა იანინ შენ შეგედრებიან?“ — დაასრულა ბალტაზარემ.

ბალტაზარეს გაბედული და ზოგ რამეში აღიარებული დანაშაული მარგარეტას გულს უფრო ესაღებუნა, ვიდრე ის, რომ ბალტაზარეს ცივი უარი ეტკიცა ყველაფერზე. ამან ქალის გული დაამშვიდა და თავისი მშვენიერი თავი ვაჟის მკერდზე მიაყრდნო. ვაჟი, თავის ბრინჯაოს-ფერ-მძლავრ ხელს ქალის პერგამენტივით ნათელ და გამჭვირ-ვალე ხელს უსვამდა; მაგრამ, როგორც კი ვაჟი შინ წავი-და, ყველა მწუხარება, შიში და ეჭვი ისევ შეეპია ქალის გულს და დიდი აზნაურის ამპარტავანი ქალი ისევ 'მეუ-რაცხოფისა და ეჭვების გრძობებმა შეებოჭა და ისე მა-გრად, რომ უძვირფასესი აბრეშუმის საბნების ქვეშაც ველარ ხუჭავდა თვალს.

ერთხელ, ასეთი კაეშანის დროს, მან თავიან ჯუჯას, ფი-ლიპოს მიმართა. ჯუჯამ ამ ხნის განმავლობაში თავისი ჩვეულებრივი, ძველებური ცხოვრება ისევ განაახლა და იან იქცეოდა, თითქოს თავისი საყვარელი ფინოს სიკვდი-ლი უკვე დავიწყებოდეს. ის, ისევ მოფროთხილი იჯდა ხა-ლიჩაზე, როგორც წინად, და იანე უზარმაზარ ხელონა-წერებს ათვალერებდა. ზოგჯერ ქალბატონს უამბობდა ხოლმე რამე გასართობს, როცა ის თავის ოქროს-ფერ თმებს, ბერძნული ვარდისწყლით დანაძულს, აივანზე მხეს უფიცებდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გაიხსენა ჯუჯამ ის უბედური დღე და ესეც იმი-ტომ, რომ მარგარეტა შეეკითხა, თუ რად არის ის ფიქ-რებში ასე ღრმად ჩაფლული. ქალბატონის შეკითხვამ ჯუ-ჯა გააოცა და მწუხარე ხმით უპასუხა: — „მოწყალეო ქალბატონო ჩემო! კურთხეულ იყოს სახელი ესე ღვთი-საგან, რომელსაც მე მალე დავტოვებ, ან ცოცხალი და ან მკვდარი“. — „რატომ, რა მიზეზით?!“ — შეაწყვეტი-ნა გაკვირვებით მარგარეტამ. ჯუჯამ ჩვეულებრივ ცალი მხარი აჩიჩა სასაცილოდ და გარკვეულად წარმოსთქვა: — „ამას ვგრძნობ, ქალბატონო, წინასწარ: თუთიყუში აღარ არის; ძალი ფინო აღარ არის; ჯუჯან რაღა და რ-ჩინა აქ?!“ — მარგარეტამ აღუქმალა მას ასეთი ლაპარა-კი და აღარც დაუწყიათ მათ ამის შემდეგ ასეთ რაზეხე საუბარი.

მარგარეტა იმ აზრისა იყო, რომ ჯუჯა აღარ ფიქრობ-და ჩვეობების დაკარგვაზე და ამიტომ ისევ სხვა თემბე-ზე და ძნელ საქმეებზე ესაუბრებოდა ხოლმე და ხშირად რჩევასაც კითხავდა. ეჭვებით გულ-დაღრღნილი ქალი ხა და ხან თავის საქმროზე გააბამდა ხოლმე ლაპარაკი, იმ იმედით, რომ ჯუჯას მისი აზრი გამოეთქვა, მაგრამ ჯუ-ჯა ისე იქცეოდა, თითქოს ვერაფერს ვერ ხვდებოდა და ბალტაზარეს გაკრიკიტების ან დატუქსვის შავიერ, მის მხარეზე იდგა და ხშირად იცავდა მას. ამას ჯუჯა იმიტომ სჩადიოდა, რათა მარგარეტას აზრითარი ეჭვი არ აეღო რომ ჯუჯან თავისი ფინო ისევ ახსოვდა და ამავე დროს ბალტაზარე შხამივით ეზარებოდა. ამით კი ფილიპომ თავისი მეგობრობა და ნდობა კიდევ უფრო გაეძლიერებინა,

კიდრე წინად ჰქონდა.

ზაფხულის ერთ საღამოს, როცა ზღვიდან გრილი სი-უბერავდა, მარგარეტა თავისი ჯუჯით გონდოლაში ჩაჯ-და და მენიბეს უბრძანა: გაშლილ ზღვაზე გასულიყო. გონდოლა მურანოს ბალებს გაუსწორდა, საიდანაც ვენე-ცია ამ დროს, ლაგუნაზე მოტივტივე სიზმარში ხახულ მკრთალ სურათს წაავადდა. მარგარეტამ ჯუჯან უბრძანა ეამბო მისთვის რაიმე. ქალი გაწოლილი იყო ძვირვასი ნოხებით მოფენილ ტახტზე. ჯუჯა კი, მოფროთხილი იყო მის პირდაპირ, ნავის ფსკერზე დაგებულ სქელ ჭი-ლოპზე. მას გონდოლის კედლისათვის მიეყრდნო თავისი ორი კუზი. ჩამავალი მზე ეს-ეს იყო ამოეფარა შორეულ მთას და ვარდისფერი ნისლით დაეფარა არემარე. შერი-ნოდან ზარის ხმა მოისმა. მწუხრისას რეკდხენ. მებავე სიცხით მოთენთილი, ნახევრად მძინარე, ზარბაცად უს-ვამდა ნიბებს და მისი მალალი, მოძრავი ზეჭები, გონდო-ლას ჩრდილთან ერთად, კამკამებდა აქა-იქ ქაფით დაფა-რულ წყალში. ხანდახან მათ ჩაუვლიდა დატვირთული ხომალდი; ხანდახან იალქნიანი სათევზაო ნავი, რომლის ლათინური აფრა, მისი სამკუთხოვანი ფორმით, რამო-დენიმე წამით მხედველობიდან ფარავდა ქალაქის შორ-ეულ კოშკებს.

— „მამბე რამე თავგადასავალი!“ — ბრძანა მარგა-რეტამ და ფილიპომაც ძირა დახარა თავისი მოზრდილი თავი, თითუბით თამაში დაუწყო თავისი სამოსის ატლა-სების ფორებს... დაფიქრდა რამდენიმე წამს და შეძღვე დაიწყო თხრობა: „ერთი მეტად საკვირველი და გაუგო-ნარი ამბავი შეემთხვა მამა-ჩემს იმ დროს, როცა ის ბი-ზანტიონში ცხოვრობდა. ეს მოხდა, სანამ მე დავიბადე-ბოდი. მამა ექიმი იყო და ასტროლოგოსი — ბედია წი-ნასწარ გამოძცნობი. თავისი ხელობა — ექიმობა და წამლების შეზავება მან ისწავლა სპარსელი მისხისაგახ, რომელიც ბიზანტიონში მოსვლამდე უფროსი დერვიში იყო გელისტანში და ეხლა კი იქ, სმირნაში დასახლდა. და მართლაც, დიდი და საიდუმლო ცოდნა შეიძინა მამამ სპარსელი მოგვისაგან.

მამა-ჩემი მეტად კეთილი და პატიოსანი ადამიანი იყო. არც ვინმეს მოტყუებას იკადრებდა და არც ვინმეს და-წინაურებისათვის ლაქუცს დაუწყებდა. ის მხოლოდ და მხოლოდ თავის თავს და თავის ცოდნა-ხელოვნებას ეხ-დებოდა; ამიტომ მას ბევრი მტერი და მოშურნე გაუჩნ-და, ცრუ მარჩიელების და უფიცი ექიმბაშების სახით, რომელნიც სულითა და გულით ნატრობდნენ: მამას ან რაიმე ფათერაკი შემთხვეოდა, ან იმ ადგილს სამუდამოდ გასცლოდა და თავის სამშობლოში დაბრუნებულყო. მაგრამ, უბედურ მამა-ჩემს არ შეეძლო შინ დაბრუნება ხელცალიერს, უნდოდა როგორმე პატარა თანხა შეე-გროვებინა, რათა შინ მისიანებისათვის მძიმე მდგომარე-ობა შეემსუბუქებინა. რაც უფრო ნაკლებად უღიძოდა

მამას ბედი, მით უფრო სწრაფად მდიდრდებოდნენ ძა-
ტყუარები და არაფრის მცოდნენი. ეს მის გულს სევდიოთა
და ხალვლით ავსებდა. საწყალ მამას არაფერი ამ ქვეყნად
იყო არ სძაგდა, სოფორც თავის თავზე ყვირილი და კვეხ-
ნა. მას არ შეეძლო და არ უნდოდა ქუჩუყანი გზით და
საშუალებით დაწინაურება; წესიერი და პატიოსანი
გზით ეს შეუძლებელი იყო. მაჩთალია, მას კლიენტები
არ აკლდა და აბობით განკურნა მან მძიმე სენით და სა-
ხადებით დაავადებულნი და მრავალი გააბედნიერა თავი-
სი რჩევებით, მაგრამ მისი მუშტრები უმთავრესად ღარი-
ბი ხალხისაგან შესდგებოდნენ, როგორც თვით მამა-ჩემი
იყო და მას რცხვენოდა მათთვის ფული ეთხოვა. იღებ-
და მცირე რამეს, სწორედ იმდენს, რაც საჭიარისი იყო
ყოველდღიური მარტივი ცხოვრებისათვის.

ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში მყოფმა მამა-ჩემმა
უკვე გადასწყვიტა სმიონა დაეტოვებინა, მაგრამ თავისი
გახსოვნა ერთი თვით გადადო. მან როგორც ასტრო-
ლოგოსმა, ცაზე ვარსკვლავთა ხომალში ერთი ვარსკვლავ-
ის მოძრაობა შეამჩნია, რასაც მის ცხოვრებაში დიდი
ცვლილება უნდა შეეტანა, კარგი ან ავი. ეს დამოკიდე-
ბული იყო მიმართულების ცვლებადობაზე. მაგრამ სო-
ცა ეს ვადაც გავიდა ისე, რომ არაფერი ცვლილება არ
მომხდარა, მან თავისი ფუთა შეკრა, შიგ თავისი საექი-
მო ხელსაწყო ჩაალაგა, საცვლები და წვრილმანები, და
მეორე დღესვე ნავთსადგურში წასასვლელად გაემზადა.
უნდოდა იქ კვიპროსისაკენ მიმავალი ხომალდი ეპოვნა,
რომელზედაც ის რაიმე სამუშაოს იშოვნინდა და სამ-
შობლოში მუქთად დაბრუნდებოდა.

ცოტა რამ წაივხშმა და ტახტზე გაიშხლართა გამო-
საძინებლად; მან ეს ვერ მოახერხა, მის თვალებს ძილი
არ ეკარებოდა. ზღვიდან მონაბერი სიო რსდაც ძველ
ზღაპარს უთხრობდა მას და უცნაურის ძალით იწვევდა
ბაღში გასულიყო. ის ადგა და ბაღში გავიდა; შემდეგ
გადასწყვიტა ზღვის პირად წასულიყო, რათა სრული სუ-
ლიერი სიმშიდე ეპოვნა.

როცა ზღვის ნაპირს მიუახლოვდა, შუალამე უკვე გა-
დასული იყო და ცის ლურჯი ფირმამენტი ვარსკვლავე-
ბით მოოჭვილიყო. მამამ ცას ახედა და მისი ბედის ვარ-
სკვლავი დაინახა. არასდროს მას ასეთი შუქი და სიცო-
ცხლე არ ჰქონია. ვარსკვლავი თავისი ძლიერების ზეხი-
ტზე დგასო, გაიფიქრა მამამ და სწორედ ამ დროს ზღვის
პირიდან კვენესის ხმა მოესმა. ხმა ადამიანის ამოხერხას
ჰგავდა. მიმოიხედა ირგვლივ, მაგრამ ვერაფერს შეამჩნია.
ეს მამამ ცუდ ნიშნად მიიღო და შინ დაბრუნება გადასწყ-
ვიტა, მაგრამ სწორედ ერთხელ კიდევ და ამ უამად უფ-
რო ძლიერად გაისმა კვენეა და ქვეთინი. მამა-ჩემმა ხმა
მალლა დაიძახა — „ვინ ხარ მანდ?, — და მას უძალე
ხმა მოესმა ზღვიდან წყლის შხაპუნისა და ტირილისა.
მამა მაშინვე გაემართა წყლისაკენ. ეგონა ნავიდან გად-

მოეპარდნო, ზღვის ნაპირზე გამორიყული, უპატრონო
ვინმე იყო და დახმარება სურდა აღმოეჩინა..

საქორწილოდ მოსოთულ ცაზე ვარსკვლავები საამუ-
რად კიაფობდნენ და ზღვის ტალღებს მუქს ფენდებნენ.
როცა მამა სავესებით ნაპირთან მივიდა, დაბალ წყალში
ხედავს გასაოცარი სილამაზის, თოვლივით ფიქალი გულ
მკურდის მქონე ზღვის ასულს: წელამდე ქალს და წელს
ქვევით — თევზს, რომელსაც ბერძნები ნერეიდებს უწო-
დებენ. მაგრამ მამა-ჩემის გაოცებას საზღვარი არ ჰქონ-
და, როცა ნერეიდემ მამას ჩვეულებრივი ენით ჰკითხა:
— „შენ ხომ კვიპროსელი მოგვი ხარ, ყვითელ ქუჩაბანდ-
ში რომ ცხოვრობ“ — „დიახ, ის ვახლავართ“ — „ო, — უბა
სუხა მამამ მეგობრული ხმით და დასძინა: — „რა გხე-
ბავთ, რა გაწუხებთ“ — „ო? — „მე შენ ყველაფერს გაიბ-
ბობ, მაგრამ მაცალე, ჯერ მული დავიმშვიდო“ — „ო, —
თქვა მშვენიერმა ქალთევზამ სირინოზის ხმით და როცა
ოდნავ დამშვიდდა, კვენეს-ტირილი განაგრძო. ნერეიდემ
მამას თხოვა: შეემზადებინა მისთვის სიყვარულის ელექ-
სირი, რათა თავის საყვარელ არსებას დააღვივისოს და
ამით თავისი დიდი ხნის სურვილს მიიღწიოს. ლაპარაკის
დროს ქალთევზამ მწუხარებით სავეს თვალეები მამა-ჩემი-
ათვის მიეპყრო და ცდილობდა მამის თანაგრძობა გა-
მოეწვია.

მამას უბედური ქალთევზა შეებრადა და გადასწყვიტა
მისი სიყვარულით გამაქვალული გული განეკურნა. მაგ-
რამ სიყვარულის ელექსირის შემზადება მნიშვნელოვან
თანხას მოითხოვდა და მამა ქალს შეეკითხა, თუ მას მუ-
ძლია ხარჯების ანაზღაურება. მაშინ ქალთევზამ მამას
უპასუხა, რომ მან მისცემს საუკეთესო მშოგალიტების
ველსაბაძს, რომელიც ყოველ მანდილოსანს შვიდ წყებად
შეუძლია ყელზე შემოიბასო. მაგრამ, როცა შენს წამალს
გამოვცდი და დავრწმუნდები კარგ შედეგშიო. ასეთი წა-
მლის შეზავებაზე მამას თავი არ სტკიოდა; მან ის ზედმი-
წვენივით იცოდა და ქალთევზას დაჰპირდა, ხვალ ნაშუა-
ლამეც იქ მივიდოდა და ელექსირს მიუტანდა.

მამა-ჩემი მაშინვე თავის ოთახში დაბრუნდა. გახსნა თა-
ვისი ფუთა და წამლის შემზადებას შეუდგა. ფხვნილები-
სა და ხსნარების ხარშვა-დუღებაში გაატარა ღამის დარ-
ჩენილი დრო და მეორე დღის დიდი წილი და ნაშუალა-
მედე ზღვის პირად მივიდა, სადაც ქალთევზას უნდა შე-
ხვედროდა ნაშუალამეცს, მაგრამ ქალთევზა მამას უკვე
უთმენლად ელოდა. მამამ მას პატარა შუშაში ჩასხმული
წამალი გადასცა. ქალმა მადლობა უთხრა და თხოვა ხვალ
შუალამით იქვე მიიშლიყო და დაპირებული ჯილდო მი-
ეღო.

მე აქ აღარ გავაგრძელებ დიდ ხანს ისედაც გაჭიანუ-
რებულ ამბავს. როცა მეორე ღამით მამა-ჩემი, დაღლი-
ლი და უძილარი, ზღვის პირად მივიდა, ქალთევზა ახ-
ლაც იქ დახვდა, მაგრამ არა მოტირალი და მგლოვიარე,

არამედ მხიარული და ბედნიერი. ამის მიზეზი მამამ ძა-
ლედ დაინახა, რამაც მამა-ჩემს თავზარი დასცა...

ქალთევზას თავის მარცხენა მკლავში დამხრჩვალნი ქა-
ბუჯის თავი გამოეჩყო და მას გულში იკრავდა. ქაბუჯს
სამოსელზე ეტყობოდა, რომ ბიზანტიური ხომალდის ბე-
საჭე იყო. მინ გაფითრებულ, აწ უსულო სახეზე, მოგრო
წაბლისფერი კულულები ჩამოშლოდა, რომელსაც წყალი
აქეთ-იქით აქანავებდა. მკედარი მეზღვაური, ძართლაც
ზღაპრული სილამაზის ქაბუჯი უნდა ყოფილიყო. ბედნი-
ერი ქალთევზა ვნებით იკრავდა მას მკერდზე და სიცი-
ლით კოცნიდა მის ცივისა და მდუმარე ბავეს.

როგორც ზევით ვთქვი, მამა-ჩემს ამ სურათმა თავზარი
დასცა, მუხლი მოეჭრა და სილაზე გონ-დაკარგული გა-
იშლართა.

როცა კვლავ გონზე მოვიდა, ნაპირი დაცალიერებული
იყო და მას ეგონა, რომ რაღაც ახელ ორიოდე წუთის წი-
ნად ნახა, ალბათ მოეჩვენა ან სიხმარი იყო. მაგრამ როცა
ფეხზე წამოდგა, მის წინ, მარგალიტების გრძელი ყელსა-
ბამი, სილაზე მდებარე, დაინახა.

ყელსაბამი შესდგებოდა საუკეთესო ხარისხის, მუხუ-
დოს მარცვლის-ოდენა, ობოლი მარგალიტებისაგან და ის
შვიდეჯერ კი არა, ცხრა წყებათაც კი შემომწვდებოდა
ყელზე ყოველ მანდილოსანს.

მამამ, მცირე ქოჭმანის შემდეგ, ყელსაბამი უბეში ჩა-
იღო და შინ გასწია. მარგალიტების ერთად გაყიდვა, მისი
დიდი ღირებულების გამო, შეუძლებელიც და საბიფა-
თოც იყო; ამიტომ მან მარგალიტების ერთი წილი გაყი-
და, აიღო მოზრდილი თანხა და კვიპროსისაკენ მიმავალ
მდიდრულ ხომალდზე ავიდა, შინ დასაბრუნებლად.

არც ამ ქონების შეძენამ მოუმატა მამა-ჩემს მშვიდობა
და ბედნიერება. გაშლილ ზღვაზე ხომალდს აფრიკელი
მეკობრენი დაესხნენ, ხომალდი დაღწეს, მასზე მყოფნი,
ზოგი დახოცეს და ზოგიც ტყვედ წაიყვანეს. მამა-ჩემს მი-
სი მარგალიტები და ფული წაართვეს და ნაცემ-ნაგვეძი
ზღვაში გადაადგეს. ზღვის ტალღებმა ის, ცოცხალძვედ-
არი ტრიპოლისის სანაპიროზე გარიყეს, საიდანაც დიდი
გაჭირვებითა და უბედურებით, სამი თვის ხეტიალის შე-
მდეგ, თავის სამშობლო კვიპროსს მიაღწია, მაგრამ არა
როგორც სახელოვანმა, მდიდარმა და კარგად ჩაცმულმა
ეჭიშმა და ვარსკვლავთმრიცხველმა, არამედ როგორც ჩა-
მოგლეჯილ-ჩამოძონძილმა მაწანწალა მათხოვარმა.

ამის შემდეგ მამა დიდ ხანს აღა უცხოვრია“-ო, —
დაამთავრა ჯუჯამ თავისი ამბავი.

იმ ღამეს მარგარეტას მშვიდად არ ეძინა. სიყვარულის
ელექსირის ამბავმა, როგორც ეს ჯუჯამ წინასწარ გაი-
თვალისწინა, ის იმ აზრამდე მიიყვანა, რომ თვით მას
ასეთი საშუალება ეხმარა, საქმრის გულის საშუალოდ
თავის გულთან გადასაჯავად. მეორე დღეს მან ფილი-
პოს დაუწყო ამის შესახებ საუბარი, მაგრამ არა პირდა-

პირ და გულახდილად, არამედ კითხვების შევარებით.
მის უდიდეს ინტერესს წარმოადგენდა, გაეგო: თუ რო-
გორ იყო შეზავებული ასეთი ელექსირი; თუ დღეს კი-
დედ არსებობს ვინმე, რომელმაც ეს საიდუმლოება იცის;
თუ წამალი ჯანმრთელობისათვის საზიანო ნივთიერებას
შეიცავს, ან მისი გემო და სუნის არის ისეთი, რომელსაც
ადამიანი დაღვევის დროს შეამჩნევს. ჭკვიანმა ჯუჯამ
ყველა ამ კითხვაზე იმე უპასუხა, თითქოს ეს მისთვის
საინტერესო არ ყოფილიყოს და, რა თქმა უნდა, ისე და-
იჭირა თავი, თითქოს არც კი იცის, თუ მის ქალბატონს,
ასეთი ცნობების მიღება რად სურდა.

მარგარეტა იძულებული იყო უფრო ცხადად ელაპა-
რაკა. ბოლოს პირდაპირ ჰკითხა: — ნეტა თუ არის ისეთი
ვინმე ვენეციაში, რომელსაც შეუძლია ასეთი წაბლიან
დამზადება-ო. ახლა კი ჯუჯამ ჩაიციინა და თქვა: —
„თქვენ, როგორც გეტყობათ, მეტად მცირედ აფასებთ
ჩემს სწავლასა და ცოდნას, ჩემო ძვირფასო ქალბატონო!
მაგრამ თქვენ ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ, მამა-ჩემი,
რომელიც დიდი ბრძენი იყო, ასეთ რამეს არ შემასწავ-
ლიდა!“ — „მამ შენ შეგიძლია თვითონ შეამზადო სი-
ყვარულის წამალი!“ — აღმოხდა ქალს სიხარული. —
„ამის უადვილესი ჩემთვის არაფერი არის! თუმცა არ შე-
მიძლია წარმოვიდგინო, რად გჭირდებათ ჩემი ხელოვნე-
ბა! თქვენ ხომ თქვენს სურვილს მიაღწიეთ და თქვენ
ცველაზე ღამაში და ყველაზე მდიდარი საქმრო გაყავთ!“

ქალბატონმა ამაზე არაფერი უპასუხა, მაგრამ დაუი-
ნებით მოსთხოვა ჯუჯას წამლის შემზადება. უგულოდ,
მაგრამ ბოლოს ფილიპო დასთანხმდა. მარგარეტამ საქი-
რო ფული ფხვნილისა და ხანარებისათვის საყიდლად
ჯუჯას გადასცა და აღუთქვა, რომ თუ მის ხელოვნებას
სასურველი შედეგი მოჰყვებოდა, „დიდსა და საპატიო“
წყალობას მიანიჭებდა.

ორი დღის შემდეგ, ჯუჯას პატარა შუშის ფილა
ჰქონდა სავსე ამ ჯადოსნური სასმელით. როცა ბალტა-
ზარეს კვიპროსზე გამგზავრების დრო მოახლოვდა, მან
წინადადება მისცა მარგარეტას: ფარულად გასულიყვენ
სასეირნოდ გაშლილ ზღვაზე. ცხელი დღეების გამო გა-
სეირნება საღამოს, ნასამზრევა უნდა მომხდარიყო. ეს
დღე მარგარეტას და ჯუჯას საუკეთესო შემთხვევას აძ-
ლევდა სიყვარულის ელექსირის გამოსაცდელად. როცა
ღანიშნულ დროს, ბალტაზარეს გონდოლა მარგარეტას
სახლს მიუახლოვდა ზღვის მხრიდან, მისი საცოლო და
ჯუჯა სანაპიროზე იცდიდნენ. ფილიპოს ხელთ ატებით
კალათი და სურა ეკავა. ბატონი და ქალბატონი გონდო-
ლაში შევიდნენ. ჯუჯამ კალათი და სურა შიგ შეიტანა
და მესაჭეს ახლო ნავის ფსკერზე მოიკეცა. ბალტაზარეს
არ მოეწონა ჯუჯის იქ ყოფნა; უნდოდა მაშინვე გონდო-
ლიდან გაეგდო, მაგრამ თავი შეიკავა. იცოდა, რომ ეს
მარგარეტას არ მოეწონებოდა და არ სურდა გამოთხო-
ვების წინ საცოლესათვის მცირე უსიამოვნებაც კი მიეყ-

ნებიანა. მესაქემ წავი გაუშვა. ბალტაზარემ გონდოლას კამერაზე ფარდები ჩამოუშვა და ნდობითა და ვებობით დაეწაფა წინასწარ განმზადილ განცხრომას.

ხანდახან მოფარდაგული გონდოლას კამერიდან გულიანი სიცილ-კისკისი გამოდიოდა; ხან ჩუმი ჩუქჩულის ხმა და სიტყვების ნაწყვეტები, საუბრის ფრაგმენტი... მაგრამ ფილიპო არ იყო ცაობის მოყვარე; მას არ აინტერესებდა სიტყვების მნიშვნელობა. ეს ეხლა მისჩერებოდა უზარმაზარი ლომის ქანდაკს პიაკო მეტატზე რომ იყო წარმომდგარი. ხანდახან ი მენავეს შეხედავდა ჩუმად და ხან კიდევ სახრეს, რომელიც მან გონდოლაში იპოვება, წყლის ტალღებს უწყაუუნებდა. გარეგნულად ის სრულიად პუტლევებული და მშვიდი ჩანდა. სინამდვილეში კი მისი დიდი თავი, დიდსა და მშფოთარე ფიქრებს წაელო.

უწინაეს ყოვლისა ჯუჯა თავის დაღუპულ ძაღლზე ფიქრობდა. შემდეგ კისერ-მოგრეხილ ლამაზ თუთიყუშზე, ასე უღმერთოდ რომ გაგუდა მრისხანე მტარვალმა და რომელიც შემდეგ, გაჯიჯგნილ - გაჩიქნილი და პოველი, ბნელი აზხის პირად იპოვნა... ჰო, რა საცოდავი იყო მკვდარი ფრინველის ტიტველი ქუთუთობებით დახურული, ოდესღაც სიცოცხლით სავსე და ეშმაკი თვალები! გულ-მოწამლული ჯუჯა ფიქრობდა, თუ რა საცოდაოდ არის მოწყობილი ცხოველებისა და ადამიანების სიკვდილი! სულ ერთი ბეწვით მათთან მიახლოებულხი, მაინც აზ გრძობენ რაიმე საფრთხეს, მომავალ ფათერაკს და თვით უბრძნებმა კაცმაც არ იცის წინასწარ თავისი უკანასკნელი წუთის მოახლოება. გარდაუვალი მხოლოდ სიკვდილია, — ეს ყველამ იცის, მაგრამ როდის და სად?!

ჯუჯას შემდეგ თავისი ყრმობა გაახსენდა. მოიგონა სამშობლო და მამასთან გატარებული დრო. მწარე და ძრონიულმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე; დანახა, რომ ყველგან ამ ქვეყნად, ბრძენი ბრიყვებსა და გიჟებმა სახეობდნენ. როგორ ჰგავს ადამიანთა სიცოცხლე მეტად უშნოდ და ულაზათოდ დაწერილ კომედიას? ფიქრობდა ის მწარედ და თვალებით ცაზე დაჩრჩილ პაწაწისა ვარდისფერი ღრუბელის ქულას მიშტერებოდა.

სანამ ფილიპო ასე ჩუმად, ფიქრებში წასული იჯდა, მოხდა ის, რასაც ის მოელოდა. მოფარდაგულიდან ბალტაზარეს ბოხი ხმა მოისმა; მას ეძახოდა, მაგრამ მარგარეტამ ფარდა ასწია და ჯუჯას ტკბილი და სასიამოვნო ხმით მიმართა: „სადა გაქვს ღვინო და თასი ფილიპო? ბატონ ბალტაზარეს მოსწყურა“-ო. უკვე მოსულიყო დრო, როცა ჯუჯას სიყვარულის ელექსირი ღვინოში უნდა შეერია.

ფილიპომ ლურჯი შუშია პატარა ფიალას საცობი მოხადა და მიხაკის ფერი ხსნარი ექსტრატის თასში ჩასცალა. შემდეგ ღვინით თასი აავსო და მოფარდაგულს მიადგა. მარგარეტამ ჯუჯა შიგ შეუშვა. ფილიპომ ატმებით საესე კალათა ქალბატონს გადასცა. თვითონ კი ბატონ

ბალტაზარეს ღვინით სავსე ვერცხლის თასი მიასწავდა. მარგარეტამ ჯუჯას რამოდენჯერმე ისე შეხედა, თითქოს ეკითხებოდა „ხომ ყველაფერი კარგად და კეთილად დაბოლოვდება“-ო. მაგრამ ასეთი კითხვის დასმა, ეხლა ბალტაზარეს იქ დგომისას, შეუძლებელი იყო და ქალიც სდუმდა. ბალტაზარემ თასი აიღო და მისი ნაპირი ბაგეთან მიიტანა. უეტრად შეჩერდა, ჯუჯას მრისხანედ შეხედა... თავიდან ფეხებამდე ზიზლით შეათვალიერა საცოდავი კაცუნა, რომელიც კამერიდან გასვლას ეპირებდა.

— „შესდე!“ — მიადახა მან ჯუჯას, „შენისთანა ჭიხკებს და გვაჯა-კუხიანებს, არასოდეს არ უნდა ენდოს კაცი. სანამ მე დავლევდე, აბა! ინებე და პირველ შენ გასინჯე ღვინო!“

ფილიპო ოდნავაც არ აღელვებულა; ამ მოულოდნელობას სულაც არ დაუბნევი; მან წყნარად და დაჯერებით მიუგო, რომ ღვინო მეტად კარგიაო. მაგრამ ასეთმა პასუხმა ბალტაზარეს ექვები ვერ გაჰფანტა და ჯუჯას გესლიანად შეეკითხა: — „როგორ! გეშინია ღვინის მოსმისა, ბიჭო?“ — მრისხანედ დასძინა მან.

— „მაბატეთ, ბატონო!“ — უპასუხა დინჯად ჯუჯამ, — „მე არა ვარ შეჩვეული ღვინის სმას“.

— „შეჩვეული ხარ, თუ შეუჩვეველი, მე შენ გიბრძანებ და სანამ ამ თასიდან პირველად არ მოსვამ, მას პირს არ დაეკარებ, გესმის?“

— „ნუ გეშინიათ, ნუ სწუხართ“ — გაიღმა ჯუჯამ და თავდახრილმა ჩამოართვა თასი ბალტაზარეს; მოსვა ორი ყლაპი და ისევ უკან გაბრუნდა. ბალტაზარემ კიდევ ერთხელ უსროლა ჯუჯას დამცინავი მხერა. შემდეგ თასი მოიყუდა და უკანასკნელ წვეთამდე ერთბაშად გამოსცალა. თასი ჯუჯას ესროლა, რომელმაც ის ჰაერში დაიჭირა და მაშინვე კარში გავიდა.

მეტად ცხელი დღე იდგა. მზის სხივებით აკრიალებული ლაგუნები ზეთით ნახატ ტილოს წააგავდნენ. შეყვარებულნი მოფარდაგულ გრილ კამერაში სიამოვნებდნენ. ჯუჯა კი, ფარდის გარეთ, მენიჩბეს გვერდით მოკალათდა. თავისი დიდი თავი მარცხენა ხელის გულზე დაეყრდნო; მარჯვენაში ფართო ცხვირსახოცი ეჭირა და შუბლზე მომდგარი ოფლის ხშირ-ხშირად იწმენდა. ტუჩები ეხლა კიდევ უფრო მოეკუმა; ჩანდა: დიდ ტკივილს განიცდიდა.

ფილიპომ დანამდვილებით იცოდა, რომ ნახევარი საათის შემდეგ ცოცხალი აღარ იქნებოდა... „სიყვარულის ელექსირი“ სინამდვილეში მძაფრი შხამი, საწამლავი იყო.

გასაოცარი გრძობები დაეუფლნენ მის გულს. ეხლა, როცა სულ ორიოდ წუთით იყო დამოუკლებელი სიკვდილიდან, მას თავში ელვასავით უტრიალებდნენ სიცოცხლის განვლილი სურათები. გაახსენდა ისიც, თუ როგორ განსუცხადა თავის ქალბატონს, რამოდენიმე კვირის წინად, რომ მის სახლს მალე დასტოვებს ან მკვდარი და ან

ცოცხალი. როგორ ზუსტად სჩულებოდა ეს წინასწარ-
მეტყველება... ჯუჯა ნავის გვერდით მიმავალ შხაპუნა
ტალღებს ჩაატყროდა და თან ფიქრობდა: ნუთუ ოდეს-
მე ეს ტალღები კიდევ ერთხელ შეეხებიან ამ ნავის კედ-
ლებს? და თვითონვე უპასუხებდა თავის კითხვას: არა-
სოდეს... არასოდეს... ეს არის განუმეორებელი შემთხვე-
ვა მილიონ წლები... ერთხელ რომ ხდება; მეტად, მეტად
ძნელი და არასოდეს კიდევ განმეორებელი... ისე, რო-
გორც ადამიანის სიცოცხლეა და მისი პიროვნება, რომე-
ლიც ერთხელ ჩნდება და აღარასოდეს აღარ მეორდება.

დიახ, ერთხელ ჩნდება და აიცოცხლე არასოდეს აღარ
მეორდება... მაგრამ ღირდა კი ამ იშვიათი და განუძეო-
რებელი შემთხვევის, რომელსაც სიცოცხლეს უძახიან,
კვლავ გამოვლინება? სად არის ახში და სამართალი?
რად იყო მისი სიცოცხლე ასე უფერული და ლატაკი?
ყველგან ბრძენნი — გიჟთა და ბრიყვთა სამსახურში...
რას სასაცილო და ერთფეროვანი კომედიას, უაზრო და
გაუმართლებელი...

როცა ჯუჯამ სიკვდილის მოახლოება გულის ფეთქვის
დარღვევით იგრძნო; როცა სუნთქვა შეეკრა და მისი დი-
დი შუბლი ცივი ოფლის წვეთებმა მარგალიტებივით და-
ფარა, მან მოულოდნელად ზაგე ფართოდ ახსნა და საში-
ნელი წყველა აღმოთქვა, წყველა და საყვედური შემო-
ქმედისადმი...

— „ჰეი, შენ, ვინც სიცოცხლეს იძლევი; ვინც საწუთ-
როს განაგებ და ბედის წიგნს სწერ; რად დაგჭირდა ჩემი
შექმნა ამდენი წამება - დამცირებისათვის? განა შეგიძ-
ლია შენ, სიამე წყალობით და საჩუქრებით ამინაზლაუ-
რო ჩემი ტკივილები ნაწილობრივ მაინც? მე უარს ვაც-
ხადებ ყველა შენს წყალობაზე.. ფუი, ასეთ სამართალს“...
ჯუჯამ უკანასკნელი სიტყვები მარცვალ-მარცვალ ამო-
ისროლა და თავისი მოზრდილი თავი გონდოლის ხის ია-
ტაკს მრახუნით დაახალა

ტუჩებზე ქაფი მოსდგომოდა და ჰაერში გაშვებული და-
მუშტული ხელი ისე უცახცახებდა, თითქოს კამათლება
იმარჯვებდა გასაგორებლად. ერთხელ კიდევ შეარყია
თავი და სამარადისოდ დადუმდა.

არავის მისთვის არ მიუხედავს; არავის სიკვდილის წინ
არ უნუგეშებია და არავის მისი ხმა არ გაუგონია. სი-
ხით დათენთილმა, ნახევრად ძილში წასულმა მენავემ,
თუმცა ყური მოჰკრა მის ხროტინს სიკვდილის წინ, მა-
გრამ თავი არ შეუწუხებია გაეგო ამისი მიზეზი. მას ის
მთვრალი ეგონა ალბათ. მარგარეტა კი, ვერმიხდილი და
ძალზე შეშინებული მოფარდაგულში იჯდა და მის ხელ-
ში ამაყი ახნაური ბალტახარე სულსა ჰლევდა. როცა ქა-
ლის ყელზე მოხვეული ბალტახარეს გაცივებული ხელი
ძირს ჩამოეშვა, თავზარდაცემული ქალი კაშკაშა გაშო-
ძირს ჩამოეშვა, თავზარდაცემული მარგარეტა კარში გა-
მოვარდა, და ჯუჯას დაუწყაო ყვილი, თითქოს მას
შეაძლებოდა უბედურების კვლავ გამოსწორება. მა-
დად; თითქოს ეძინა; ან ღრმა ფიქრებში ყოფილიყო გა-
ბმული... ჯუჯა ფილიპო, რომელიც ჩაცმული იყო ისე,
როგორც იმდროინდელი ვენეციელი კეთილმოზილი პა-
ტრიციების პაყები იყვნენ, ესლა უპატიოდ და უსულოდ
ნავის მტვრიან ფსკერზე გდებული.

ასე იძია შური თავისი პატარა კოჭლი ძაღლისათვის.

ამ არაჩვეულებრივმა — ორი ადამიანის სიკვდილმა —
მთელი ვენეცია ფეხზე დააყენა... რას არ ლაპააკობდა
და სთხვედა ხალხი, ჭორსა თუ მართალს, კაცი ვერ გა-
არჩევდა. მაგრამ დრო, თუ ყველაფერს ვერ ჰკუთხავს,
დავიწყების ხავსს მაინც ადებს.

კოდორინის ასული დონა მარგარეტა ჭკუიდან შეიშა-
ლა. მისი ამაყი სული ქაოსმა დაიუფლა, მაგრამ რამო-
დენიმე წელს ის კიდევ ცოცხლობდა. ხანდახან მას გაშო-
იყვანდნენ ხოლმე აივანზე, რომელიც გაშლილ ზღვას
გადაჰყურებდა და იქ მოაჯირზე ჯაჭვით მიაბამდნენ. თუ
ამ დროს მის მახლობლად დატვირთული ხომალდი, ან
იალქნიანი სათევზაო ნავი ჩამოივლიდა, მარგარეტა სა-
გარძლიდან წამოხტებოდა, ხელით შუბლს მიიჩრდილებ-
და და ხმამალა ძახილს გააბამდა: — „აჩიქა, უშველეთ,
უშველეთ! გადააჩინეთ ძაღლი ფინო! გადააჩინეთ სა-
წყალი ჩქარა! ჩქარა!“-ო — მაგრამ მარგარეტას ყველა
იცილობდა და უბედური ქალის შეძახილებს ყურადღებას
არ აქცევდნენ.

ელ. მაყაშვილი

ოთხი ბლის ხა

„მოდიან! მოდიან, ქალბატონო!“ — ეყენების ხმა გაისმა, — „ფირუზ! ფირუზ! მოდიან!“ მოისმა მამიდას ხმა.

პაპა ფირუზა დინჯი ნაბიჯით შარაზე გავიდა; ლარივით სწორ გზას გახედა. ცხენთა ფეხების ხმას წკრიალა ეყენების ხმა უერთდებოდა. „პწწ! პწწ! ჰევე!“ — გამოცემდა ხმას მეეტლე. რწყვილმა ცხენმა კობტა თოხარით ეტლი ეზოში შემოაქანა. მამიდა ჯერ ანიკოს გადაეხვია; შემდეგ სათითაოდ, ოთხი ერთმანეთის მომდევნო: დათა, მიხელი, ბიძინა და ელიზბარი გულში ჩაიკრა. პაპა ფირუზა შეიღს მიუახლოვდა —

„კეთილი იყოს, შვილო ანიკო, შენი მოსვლა, შენი ოთხივე გვრიტით“ — წარმოთქვა მოხუცმა მგრძობიარე ხმით და თვალეზი მომდგარი სიხარულის ცრემლებით. მან შვილი გადაკოცნა მხურვალედ. ოთხი შვილის შვილი პაპას გარშემო შემოეხვია:

— პაპა ფირუზას გაუმარჯოს, პაპა ფირუზას!

პაპა ფირუზამ გულიანად გადაკოცნა ბავშვები და იაინი ყრიმულით მოედენენ ამწვანებულ, ფართო ეზოს. გამზრდელი თამარიც გადაკოცნეს. ანიკო ყველას მიესალმა სათითაოდ.

— გიოს გაუმარჯოს! მიქელას სალამი! ვანო შენც გამარჯვება!

თეთრ-წვერა მოურავი, მოხუცი მეზვრე, ახალგაზრდა მეველე ქუდის მოხდით ესალმებოდნენ ანიკოს. ბანჯგელიან და ერთგულ ქოფაკებს ბავშვები თავზე ხელს უსვამდნენ; ქოფაკებიც ალერსიანი და ჭკვიანი თვალებით ბავშვებს შესცქეროდნენ და თან ხელებს ულოკავდებნ ხოლმე. მამიდა მარო და ანიკო უკვე სახლის დიდ აივანზე იყვნენ სავარძელში ჩამსხდარნი. გამზრდელი თამარი მაგიდაზე საუზმეს აწყობდა. პაპა ფირუზამ ეტლის უკან მაფრაშა ჩამოახსნევინა. მეეტლე გიუსამ ცხეხები გამოუშვა; დიდი კაკლის ხია ძირში მიბმულთ ქერი მისცა; გებრიელად შეექცეოდნენ ცხენები ქერს და კუდის ქნევით ბუზებს იგერიებდნენ. თვით გიუსაც დიდი ქვიტკარის სახლის გვერდზე, პატარა ორი თვალის ფიცრულ სახლში მოურავ გიოსთან და მეზვრე მიქელასთან ერთად მაგიდას შემოჯდომოდა; სველი ხელადა სუფრას ამშვენებდა.

— ბავშვებო ხელ-პირი დაიბანეთ და საუზმეს შეუდგით! — გაისმა ანიკოს ხმა. სუფრის ძმა დათა, სუფთა პირსახოცით და სურნელიანი საპონით ხელში, ძმებს წინ

გაუძღვა; პატარა, ჩუხჩუხა რუის პირას ჩაცვებული ბავშვები სიცილ - ყრიმულით ხელ - პირს იბაადიეს. ძალე, გასუფთავებულნი და თა-გადავარცხნილნი მაგიდას შემოუსიდნენ...

— ძიოთვით, ენაცვალთ გადა! ნაზგაზვრებს შოგ-შვიდებოდათ! — ეუხებია მათ თამარი და შოთის პურზე წასძულ ახალ კარაქს და უცეცხლო თაფლს სთავაზობდა. პაპა ფირუზას ხაბაგი უკვე დაეზინავებინა; თავის ერთადერთა შვილს გვერდით მიჯდომოდა. ბავშვები გემრიელად ილუკებოდნენ.

— დაზრდილან! გამოცვლილან, ენაცვალთ მამიდა!

— მაშა, მაშა! ვაჟაკები არიან! — კვერს უკრავდა პაპა ფირუზა. დათამ და მიშამ სუფრიდან ადგომის ხება ითხოვეს; წამოდგნენ.

— ჩვენც! ჩვენც! — დაიძახეს ბიძინამ და ელიზბარმა. უფროსებმა კიბეზე მარდად ჩაირბინეს; ფრთხილად და ნელა ჩაჰყენნ ბიძინა და ელიზბარი...

— დათა! მიშა! პატარებს თვალ-ყური ადევნეთ!

დათამ ბიძინას ხელი მოჰკიდა; მიშამ კი ელიზბარს.

— სხვა, შვილო! რა ამბავი არის ქალაქში? როგორ არის, გიორგი, შენი მეუღლე?

— კარგად, მამილო; ამ ორ კვირაში ისიც აქ გაჩნდება, როცა მოათავენს საქმეებს. უპასუხებდა ანიკო, ნახევრად მიწოლილი სავარძელში. მამიდა ჩვეულებრივად წინდას ქსოვდა; ხან-გამომშვებით აივანიდან იცქირებოდა, ეზოში მოთამაშე ბავშვებს თვალს ადევნებდა.

— ოოოჰ! რა სუფთა და მშვენიერი ჰაერი არის! თბილისის დახშულ ჰაერს კი არა ჰგავს! — წარმოთქვა ანიკომ და მძლავრად ჩაისუნთქა.

— აქ, მამა, როგორ არის საქმეები? მოსავალს რა პირი უჩანს?

— არა უშავს რა შვილო, ღვთის მოწყალებით. დღეს დაისვენე; ხვალ-ღილით ყველაფრეს გაიმზობ...

მზე ნელნელა დასავლეთისაკენ იწვედა. შორიდან მოისმოდა ხმა სიმღერის, დაბრუნებული სამუშაოდან მუშებისა. აივნიდან მოჩანდა ლამაზად გაშლილი ველი და დინჯი, ამაყი ალაზანი.

— რა კარგია სოფელი! — წარმოთქვა კვლავ ანიკომ.

— მუუუ... — გაისმა ძროხების ღმუილი. უშველებელ ეზოს მიმდგრიდან დაბრუნებული ნახირი მოადგა. ლამაზად მოღერებული კისრით და მოკაკული რქებით, შავი კამეჩი „შაქარა“ წინ მოუძღოდა.

— ხიოოა, მამოს, დიდიდოს!“ ძახილით შემოჰყვა ნახირს წელზე გულდა გადაგდებული, 16 წლის შენახირე. დათა და მიშა მისკენ გაეშურნენ.

— სანდროს გაუმარჯოს, სანდროს! — შორცხვად და მოუხეშავად მან ხელი ჩამოართვა მათ; ბიძინას და ელიზბარს აკოცა.

— შაქარ! ბაღდად! ქარუმ! ლაბო! — იძახდნენ ბავშვები და ძროხა-კამეჩს ესალმებოდნენ.

— აი, შვილებო, გენაცვალოთ პაპა, ეს ოთხი ძირი ბალი ჩემი სახელით დავრგე. პირველი — ყველაზე მალალი დათას ეკუთვნის; მისი გვერდზე, მისი მოძღვევო, თითქმის მისი ტოლი — მიხეილს; პირდაპირ ორი უფრო მომცრო — ბიძინას და ელიზბარს...

თვითეული ბავშვი თავ თავის ბალის ხეს მიუახლოვდა; ალერსიანად შეკუყურებდნენ მათ ბავშვები. პატარა ელიზბარმა ხელიც კი მოუსვა ჯერ კიდევ ნორჩ ბალის ძირს. — შრრრ... შრრრ — ისმოდა პასუხად ფოთლებიდანა.

იზრდებოდნენ ოთხივენი. იზრდებოდნენ რვავე. უყვარდათ ერთმანეთი; დათა და მიშა უკვე ვრძელ მარულეს ატარებდნენ; ბიძინა და ელიზბარიც წამოიზრდილიყვნენ. პაპა ფირუზა უკვე გარდაცვლილიყო, მაგრამ მისი ხელით დარგული ნორჩი ბლის ხეები უკვე ხამდნელი ხეებად გადაქცეულიყვნენ. უყვარდათ ბავშვებს პაპა ფირუზას სახსოვარი; უვლიდნენ მათ; ევლებოდნენ თავს. ხეებიც სამაგიეროს უხდიდნენ და საზაფხულოდ სოფელში დაბრუნებულთ ახვედრებდნენ წითლად დაბრაწულს და ტკბილ ბალს. დათა და მიშა სწრაფად ბალის კეპწეროზე ექცეოდნენ; ბიძინა და ელიზბარიც თავის ხეზე აცოცდებოდნენ და გემრიელად შეექცეოდნენ მჭიფე ბალს. ტოტებს უფროხილდებოდნენ; ტოტის მოტეხა, ეს ხის ტკენა იყო! და საყვარელი ხის ტკენა ხომ დიდ დახაშაულად ითვლებოდა. ყოველ წელს ოთხი სულიერი ძმა ოთხ უსულო ძმას ძმურად ხვდებოდა. ყოველ წამს ერთი და იგივე ხმა იყო: — ჩემი ბალი კიდევ გაზრდილა! ჩემიც! ჩემიც! ჩემიც!

შემოდგომა ჩვეულებრივი მოწყენილობით გამოიციქირებოდა; წვრილად და გამუდმებით სცრიდა. გაყვითლებული ფოთოლი უჩუმრად სცილდებოდა ტოტებს. ფრიხველთაც ჭიკჭიკი და გალობა შეეჩერებინათ. ყურძენი კი დამწიფებულიყო. მეზვრე მიქელა, ჩიბუხით პირში, მხარზე ჩახმახიანი თოფით, დაახმულ ვახთა შორის ნელი ნაბიჯით მიდიოდა; ხანდისხან შეჩერდებოდა. წაქცეულ, მჭიფე ყურძნით დატვირთულ ვახს წამოაყენებდა, ჭიგოს გაუმბარებდა. ყვითლად მოლულუნე რქა-წითელა, მოგრძობო ტკბილი ბუდეშური, საფერავი, მსხვილ-მარცვლიანი ხარი-თვალა თითქოს უღიმოდნენ. მიახვიებდა მეზვრე მიქელა. გაუარა ოთხ ბალს. შეჩერდა. მიხეილის ბალს დააკვირდა. — რა ვქნა, რა მოსდის ამ ბალს? გახმობას იწყებს! — მიშას ბალი დაღონებული გამოიციქირებოდა. ერთი ნაწილი ტოტებისა გამხმარიყო.

— საკვირველია, — წაილაპარაკა კვლავ მიქელამ ნეტავ რა გაამხო? მოვლა არ დამიკლია!..

ამოიძრო ქამარში გარჭობილი წალდა და ხის ძირს ქერქი ჩაათალა. — საწყალი ხე დაკარგული არის! — წარმოთქვა ნაღვლიანად და გზა გააგრძელა; საურმე გზა გადასჭრა; გასავალ ჭიშკარს მიაღდა.

— გიოს გაუმარჯოს!
— გაგიმარჯოს მიქელ!
მეზვრე მიქელა და მოურავი გიო ერთერთს შიესალმნენ. — დაბრძანდი მიქელ!

მიქელამ ჩამქრალი ჩიბუხი პირიდან გამოიღო; ხელია გულზე ნაცარი დაბლურტა. გიოსაკენ თავი მიიბრუნა.

— გიო, გონი დრო არის რთველზე ვიფიქროთ; ყურძენი მჭიფე არის; კოლობუხს ნულარ შევაკტევეთ; ღვთის მადლით, მოსავალს კარგი პირი ურანს.

— მეც მაგ აზრისა ვარ, ჩემო მიქელ. იმ ბავშვის ავად მყოფობამ ყველაფერი არია!

— მართლა, რა იცი? როგორ არის მიშეიკო?

— ცუდად. ქალბატონმა ანიკომ საჩქაროდ დაიბარა თაკისი ძეუღლე თელავში და ქალბატონი მაროც გაცივებულა. სამ-სამი ექიმი თავს ადგა. აახადი, ძმაო, ხუშრობა კი არ არის! მეც ვაყვევი. ექიმებს იმედი არ დაუკარგავთ. ცოტა მოვითმინოთ; რას ვიზამთ?!

დაფიქრებული ბრუნდებოდა მიქელა თავისი ბიძისაკენ. კვლავ ოთხ ბალს მიუახლოვდა. შეჩერდა...

— საკვირველი არის: მიშა სახადით ავად გახდა; მისი ბალი თითქოს გრძნობდეს, იგიც ავად არის, ტოტები უხმება! მიშას ექიმები უვლიან; მეც ვიქნები შენი ექიმი! მოვივლი, გადარჩენ...

— თქვენი აზრი, ექიმებო, მითხარით. სიმართლეს ხუ დამიმალავთ! რას ფიქრობთ? მორჩება ხომ, ჩემი მიშეიკო? გადარჩენთ ალბათ! — ეკითხებოდა სასოწარკვეთილი თვალებით ექიმს მიჩეჩებული ანიკო. — გადამირჩიხეთ, გემუდარებთ; ზეგ მიხდება 17 წლისა, ჩემი ბიჭიკო!

— ყველაფერს ვიზამთ; ყველა ზომას მივიღებთ. იმედი არ დაჰკარგოთ — უპასუხა ყველაზე უფროსმა, ჭაღარა ექიმმა. ექიმები კარვისაკენ გაემუზნენ: კართან შეჩერდნენ. უკან მოიხედეს. ანიკო უკვე ავადმყოფის ოთახში დაბრუნებულიყო.

— გიორგი! თქვენ მამაკაცი ხართ; სულით არ დაგვიმით; არ დაგიმალავთ: თქვენი ბავშვი ცუდად არის; მისი გადარჩენა ძნელი იქნება, მაგრამ შეუძლებელი არაა. ყველაფრის მოლოდინში იყავით; თუ მისმა გულმა აიტახა, შეიძლება გადარჩეს. მაშ, ამ საღამომდის...

გიორგის თვალებზე ცრემლები მოადგა; მწაჩედ ამოიხარა; ავადმყოფის ოთახში შევიდა.

საღამოზე ავადმყოფს სიცხემ უმატა. ანიკო და მადიდ მარო მას თავს ევლებოდნენ; სველი ტილოთი გამუდმე-

ბით შუბლს უგრილებდნენ; შფოთავდა ახალგაზრდა მი-
შა; სიციხიან თვალებს ხან დედას, ხან მამიდას და მამას
მიაჩერებდა. რალაცის თქმას სცდილობდა; ვერ ახერხებ-
და. უაზრო სიტყვები-ლა ისმოდა. ექიმმა კარი შემოაღო,
ავადმყოფს მიუახლოვდა; მაჯა გაუსინჯა.

— მოისვენეთ ცოტა! საჭირო არის თქვენთვის; აგერ
რამდენ ღამეს უკვე ათენებთ თეთრად!

— დავისვენო?! რას ბრძანებთ ექიმო! არ შემიძლია,
— უპასუხა ანიკომ. გათენებისას მიშა თითქოს დამშვიდ-
და; შფოთვას უკლო; თვალები მიხუჭა. დედას და მამი-
დას იმედის აჩრდილმა გადააჰკრა. მიშამ თვალები კვლავ
გაეხილა...

— დედა! მამა! მამიდა! — წარმოთქვა. კვლავ მიხუჭა
თვალები. მამლებმა იყვილეს, როდესაც მან უკანასკნე-
ლად გამოიხენდა; რალაცის თქმა სურდა: სიტყვის მაგიერ
ჭეჭითინის ხმა აღმოხდა... სული განუტევა...

— შვილო! — დაიგმინა დედამ და უსულო შვილის
გვამს დაემხო.

იმავე საღამოს მეზვრე მიქელა მიშიკოს ბლიან ხეს გა-
მხმარ ფესვს უთხრიდა და დაეცა მიწას გამხმარი ბალი.
მიქელაც შეჩერდა...

— ეეს, უბედურებაე! გარდაიცვალა ალბათ მიშიკო!
ექიმებმა ვერ უშველეს მიშას და ვერც ბებერმა მიქელამ
— მის საყვარელ ბალს! — წარმოთქვა ოხვრით და თვალ-
თვან დაპაღუპით ცრემლებმა დენა იწყეს.

წლებმა საჩქაროდ გაირბინეს. ბევრი რამ გამოიცვალა.
სამი ძმა დავაეკაცდა. მამიდა მოხუცდა. მამა და დედა
ხანში შევიდნენ. მათმა სამშობლომ რამოდენიმე ომი გა-
დაიტანა. ხან-მოკლე სიხარულით სავსე თავისუფლების
შემდეგ, საქართველო კვლავ მტერმა დაიპყრო. სამი ბლის
ხე ძველ ალაგას იდგა; მიშას ბალის ხის მიერ დატოვე-
ბულ ცალიერ ალაგს, დათას ბალი, ორ მასზე მოძკრო,
ბალის ხისათვის დაეშორებინა. თვით დათაც ოჯახს და-
შორებოდა; ისიც შორს, უცხოეთში განიხნულოყო. ბიძი-
ნა და ელიზბარი კი მტერს საპყრობილეში გამოაწყვედე-
ული ჰყავდა. აგვისტო იყო. ცა დილიდანვე მოღუშულად,
მრინანვე მუქარით გამოიყურებოდა. ღამის ცამ მუქარა
სინამდვილედ გადააქცია; თვალის მომჭრელი სინათლით
გააშუქა ბნელი ღამე დაკლაკნულმა ელვამ...

— გირორო... გირორო — გაისმა ქუჩილი. ცამ პირი შო-
ხნა. ნიაღვარი დაიძრა. ქარი დაჭრილი მხეცივით გმი-
ნავდა. ღრიალით პასუხს აძლიევდა ადიდებული სოფლის
მდინარე. სარკმელზე მიმდგარმა მოხუცებულმა მიქელამ
პირველად გადაიწერა.

— მეორედ მოსვლას ჰგავს! რა ამინდია, ღმერთო!

სამი ბლის ხე წელში იხნიებოდა
— ჭაახ, ჭაახ — გაისმა ჭახანი. დააა! ბიძინა ბალი
შუაზე გაჩეხილი მიწას დაეშვა...

მეტეხის ციხეში, ნესტოანი საკნის ფიჯრებზე შიგდე-
ბული ბიძინა ფიქრებს წაელო. ფიქრობდა შშობლებზე.
ფიქრობდა თავის ახალგაზრდა მეუღლეზე და ნორჩ, ჯერ
კიდევ უსუსურ თავის ბავშვზე. დიდი ხნის დაღამებული
იყო. მის გვერდზე მიწოლილი შეგობარი პატიძოები
ძილს მისცემოდნენ. ბიძინას თვალს კი ძილი არ ეკიდე-
ბოდა. მანქანის მოტორის გრიალი გაისმა. საყვირმა სა-
ხარლად გაჰკვილა. ბიძინა ლოგინზე წამოჯდა. გამოიხ-
დნენ ჯალათნიც, ბიძინას ეძახდნენ. ხელ-ფეხ შეკრულ
ბიძინას მანქანა სასაკლაოზე მიაქანებდა და იმ წუთს, რო-
დესაც მისი საყვარელი ბლიან ხე შუაზე გადაჩეხილი მი-
წას ხმაურით დაეცა, ჯალათის რევოლვერმა დაიჭექა და
მისმა ტყვიამ ბიძინას თავი გაუხვრიტა...

ბაღში ბლის ორი ხე-ლა იდგა. ყველაზე დიდი და ყვე-
ლაზე პატარა. დათასი და ელიზბარის. შორი — შორს.
ხშირად, როდესაც საამო ნიავე იდგა, იხრებოდნენ ერთი
მეორესაკენ; სცდილობდნენ ერთმანეთს დაახლოვებოდ-
ნენ. ერთხელ კიდევ მოახერხეს: ორი ხის კენწერო ერთ-
ერთს შეეხო. დიდი ხნით არა. მათი განშორება სწრაფი
იყო.

დათა და ელიზბარი ერთმანეთს შეხვდნენ უცხოეთში.
მრავალი წლის უნახავმა ძმებმა ერთმანეთი გადაკოცნეს.
უბედურებას გადარჩენილი ობოლნი კიდევ ერთხელ ბე-
დნიერი იყვნენ. ომის საშინელმა ქარიშხალმა ძმები ისევ
ერთმანეთს დააშორა. სამუდამოდ...

იქ, სამშობლოში რას შვრება ნეტავი ბლის ორი ხე?!
ერთი ალბათ, პატარა, კიდევ დგას. მეორე? ვინ იცის?!
დათას ბალი! ვაი, თუ ისიც... მაგრამ არა, მე ის წაქცეუ-
ლი, ჩემი თვალთ არ მინახავს. იქნებ ქარიშხალმა ისიც
ფესვიანად ამოაგდო?! იქნებ მისმა მწვანე ფოთლებმა
სიყვითლე იწყეს და ტოტებმა კი განმობა?! მისი ფესვე-
ბი?! თავის დროზე მძლავრნი იყვნენ. ვაი, თუ საშინელ-
მა გვალვამ და უწყლობამ გაანხო?! ღმერთმა ნუ ქნას!
არა! არა! შეიძლება კიდევ ფეხზე დგას! შეიძლება შეყვი-
თლებული ფოთოლით, მაგრამ ჯანსაღი ფესვებით უმაგ-
რდება ქარიშხალს; იხნიება წელში და კვლავ სწორდე-
ბა. კიდევ ვინ იცის?! თუ იგი არ უტყდება ქარიშხალს;
თუ მისი ფესვები უძლებენ გვალვას, — დათაც ხომ გა-
უძლბს უბედურებას?! დათას ბალი ხომ დათა არის და
მათი ბედიც ერთმანეთზე არის დაკავშირებული!

ღმერთო გადააჩინე!

ორაბული

ჯერ გათენებული არ იყო, რომ კარზე ბრახუნი მომესმა და თან ვიციანი ბათირას ხმა.

—მასწავლებლო! გაიღვიძე! დრო არის, თუ გასურს, სათევზაოდ წასვლა!

უცბად ლოგინიდან წამოვხტი. საჩქაროდ ჩავიცივი და კარი გავაღე. კართან ხანში შესული ბათურა იდგა. სათევზაო ბაღე მხარზე გადავდო. მოღიშარი პირით შემომყურებდა. ღიმილი შევნივთა ბათირას. თეთრი კბილები, ქალარა უღვამ-ქვეშ ბროლივით ელავდნენ. კეთილი თვალები ღმობიერად გამოიყურებოდნენ.

— ძილი დაგიფრთხე, მასწავლებლო! რას იხამ! თუ თევზაობა გსურს, გათენებამდე უნდა იყო ალაზნის პირას. — წარმოთქვა ბათირამ თავისი ჩვეულებრივ ვაჟკაცური და თანაც ტყბილი ხმით. საჩქაროდ პირი დავიბანე და ბათირასთან ერთად სათევზაოდ გზას გავუდგიქი.

ბათირა უკვე 65 წელს გადასცილებოდა. შეძლებულ კაცად ითვლებოდა. წარმოსადეგი ვაჟკაცი. პასუხის პატრონი. განთქმული მონადირე პანკისის ხეობაში. პურ-მარილიანი. მრჩეველი და დამრიგებელი ხალხია.

ნადირობა და თევზაობა ბავშვობიდანვე მიყვარდა. ჩემი თხოვნით დავითანხმე ბათირა და ერთ დილა-ადრიახ კვირას სათევზაოდ გზას გავუდგიქი. მალე ბათირა და მე ალაზნის ლამაზ ხეობას ავეყვით. დინჯად მიაბიჯებდა იგი, დაკაპიწებული, ალაზნის ნაპირებზე. ხან შეჩერდებოდა და მორევებს აკვირდებოდა.

— აი, აქ უნდა დავკრათ ბაღე! ბევრი თევზი ჩანს.

მოხდენილად ნატყორცნი ბაღე გადავშალა მორევს. ბათირამ აუჩქარებლად დაუწყო ბაღეს ნაპირისაკენ გაძოწევა; სულ მალე, ზრჭყვივალა, ვერცხლისფერით დაფენილმა თევზებმა ნაპირზე ფართხალი და ხტუნაობა დაიწყეს. ბათირამ ბაღე დაბერტყა მე ხალისით დავიწყე თევზების კრეფა.

— აბა, ეხლა შენი ჯერია მასწავლებლო!

ბაღე მოვიმარჯვე. ბათირას მოწაფე ვიყავი თევზაობაში და ბაღის სროლაში. ამიტომ ვცდილობდი მისთვის მიმებაძა. ბაღე კვლავ გაიშალა და მორევს გადაეფარა.

— ყოჩაღ, მასწავლებლო! ეხლა კი ნართლა გამოცდილი შებადურსავით ისროლე ბაღე! — მომმართა ღიმილით ბათირამ. ბაღეს ნაპირისაკენ დაუეწყე წევა. ძალიან მძიმედ მომეჩვენა.

— რაღაც მძიმე არი! — ვეუბნები მას.

— უცებ ნუ მოსწევ, არაფერს იყოს მოდებული!

უფრო ნელ-ნელა დავიწყე მოწევა, ძაგრა მანც ძალიან მძიმედ მეჩვენება. ბათირა წყალს დააკვირდა.

— შეაჩერე! არ გამოსწიო! ბაღე არ გაიხეს, შიგ რაღაც დიდი არის მოდებული...

ბაღის გამოწევას ვაჩერებ. გული სასიამოვნოდ მიცემს. ბათირამ შარვლის ტოტები უფრო ზემოდ აიწია წყალში შეტოპა და რაც შეიძლება, მოკლედ უწყო ბაღეს წევა.

—ნელ-ნელა გასწიე, მასწავლებლო! — ჩვეულებრივი ღიმილით მეუბნება ბათირა. მთელი ჩემი ყურადღება ბაღისაკენ არის მიპყრობილი. ნელ-ნელა ბაღემ წყლიდან იწყო გამოცურვა. შიგ რაღაც მოჩანს! რაღაც უზარმაზარი ფართხალობს, არა ჩვეულებრივი ძალით.

— ორაგულია! ორაგული! — დაიძახა გახარებულმა ბათირამ და მთელი ტანით ზედ გადააწეა უკვე ნაპირზე გამოთრეულ ბაღეს.

იშვიათი არის ორაგულის ბაღეში გაბმა. საერთოდ, ორაგული ბუდობს წყლისაგან გამოთხრილ ქვესკნელის ძირში და მას მეთევზენი იჭერენ ხარისზე წამოცმული ჩანგლებით, ან წყლის ტოტის დაწყვეტის დროს. ბათირას თავის ხანგრძლივ მეთევზეობაში მხოლოდ ორი შემთხვევა ახსოვს, რომ ორაგული ბაღეში გაბმულიყოს. მეც არა ჩვეულებრივი მღელვარებით ვფუსფუსობდი. ჩემთვის ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო. მე, პანკისის ხეობის მასწავლებელმა, და მეთევზეობაში გამოუცდილმა, ბაღეში უშველებელი ორაგული გავაბი! ეს რაღაც საწაულად ჩაითვლებოდა! ვინ დამიჯერებს? ბათირამ ნელ-ნელა ბაღე გადასწია. გამოჩნდა ორაგულის ხახა. მე ის უშველებელი ვეშაპის ხახად მომეჩვენა. სხვა თევზებთან შედარებით. ბევრი იყო წვრილმანი თევზიც ბაღეში გაბმული, მაგრამ მათ ყურადღებას არ ვაქცევდით. საშინელი ძალით ხტოდა ბაღიდან განთავისუფლებული ორაგული; მიწას ასკდებოდა. იბრძოდა თევზთა მეფე; ვერ ურიგდებოდა იგი საცოდავად სიკვდილს და სულთმობრძავიც კი რაღაც შესანიშნავი სილამაზით გამოიყურებოდა.

— უნდა დავკლა! — წამოიძახა ბათირამ და მოშორებით სილაზე დადებულ სატევრისაკენ გასწია. ერთხელ კიდევ მძლავრად გაიბრძოლა ორაგულმა და დიდი ხანტომით მდინარის ნაპირს მიუახლოვდა.

— არიქა ბათირ! გაგვექცა ორაგული! — შევძახე ხმა მალლა და ორაგულს ვეცი; მძიმე თევზის ხელით დაჭერა და მალლა, ჰაერში აყვანა მოვინდომე. მძლავრად იბრძოდა ორაგული და მდინარისაკენ მიიწევა. ორივემ წყალში შეეტოპეთ და ტყაპანი მოვადინეთ.

— გაუშვი ხელი, მორევში არ შეგითრიოს! — რაღაც შორიდან ყრუდ შემომესმა. აღარაფერი მახსოვს. ჩემი ფეხები წყლის მეტს არაფერს ეკარებოდა. მორევში შეთრეულმა ჩავიყურეყუმალე. ჩემდა საუბედუროდ, მოკუწავე არ გახლდით. „ჰაერი! ჰაერი! ღმერთო ერთხელ კიდევ მასუნთქე ჰაერი!“ თავი მიბრუნის. „აი, რა საშინელი ყოფილა წყალში დახრჩობა! უუუ! უჰაერობა!“ გონებას ვკარგავ...

— მაგრა იყავ, მასწავლებლო! აჰ ვაჰ! — ყრუდ შე-
მომესმა. თვალი რომ გავახილე, ყველაფერი ბუნდად
მომეჩვენა. წელ-წელა ბინდი იყრება; მდინარის პირას
ვწევარ; გარკვეულად ვხედავ ჩემს მეგობარ ბათირას.
ზემო ტანზე გახდილი, გამხდარი, მაგრამ არაჩვეულებ-
რივად კუნთებიანი მისი მკლავები საჩქაროდ ამოდრავე-
ბენ ჩემს კლავებს. სიამოვნებით ვსუნთქავ ალაზნის სუფ-
თს ჰაერს; ვხედავ ჭალარა უღვაშს...

— ცოცხალი ვარ! ორაგული სად არის, ორაგული? —
ამოვილულულლე დააუსტებულმა. კვლავ ბურანში გა-
ვებვიე. მსურს წამოვჯდე, წამოვხტე. სიამოვნებას კი
გაძნობს ჩემი სხეული. როდესაც სავსებით გრძობაზე
მოველ, ვხედავ: თავზე მათირა მადგია. მის გვერდით,
უსწავლელი, მაგრამ ხევში განთქმული მკურნალი იო
ფუსფუსებს. ლოგინზე წამოვჯექე. მეც ვიღიმები...

— ორაგული წავიდა, ბათირ? — იყო პირველი ჩემი
კითხვა.

— ორაგული სად წავიდოდა?! როგორ გავუშვებდი
ხელიდან?! — იცინის ბათირა: ცალი ხელით შენ გამო-
გიყვანე და ცალით კი ხანჯალ - გაყრილი ორაგული...

— მერე და როგორ ცურავდი უხელებოდ?!
— ღმერთს საცურავოდ ჩემთვის კიდევ მოუცია ორი
ფეხი, თავი და ნიკაპი, — მიპასუხა ბათირამ.

— მერე რამდენი წლისა ხარ, ბათირ?

— სამოცდაათს მივუახლოვდი, დავბერდი...

— კიდევ ბევრს ახალგაზრდას აჯობებ ბევრ რამეში,
— ჩაილაპარაკა იომ.

მეორე დღით სუფრას ვუსხედით; გემრიელ ორაგულს
მივირთმევდით. კახური ღვინით სავსე ყანწებით სადღე-
ვირძელოება ვამზობდით.

ხევში ზმა გავარდნილიყო: მასწავლებელმა უშველე-
ბელი ორაგული დაიჭირაო. ყველა ხელის ჩამორთმე-
ვით მილოცავდა. ბათირა იღიმებოდა და ყველას კვერს
უკრავდა:

— მაშა, მაშა! ჩვენმა მასწავლებელმა გააბა დიდი
ორაგული ზადეში! — იმეორებდა ყველასთან თავმდა-
ბალი მოხუცი ბათირა.

მონპელიე, 1968 წ. ივლისი.

საბედისწერო ჟორჯილი

შუალაბე გადაწურულიყო. არემარეს ღამის წყვილი-
დი, ვით დედაბერს თალხი თავშალი, გადაფარებოდა.
არ ჩანდნენ ამაღა ვარსკვლავები. გამარჯვება დარჩებო-
და ღამის წყვილადს და იგივე თითქოს საჩუბლობდა თა-
ვისი გამარჯვებით და სიბნელით იცავდა ყველაფერს.
ყველაფერს ეძინა. ეძინა კახეთის ერთ პატარა სოფელს
აწ...ასაც; ღამის წყვილადს და სიჩუმეს არღვევდა ხა-
მუშ-ხამუშად ძაღლების ყეფა და ქოტის გამუდმებული
ძახილი. ამ წყვილად ღამეში მახვილი და დაკვირვებული
თვალი შეატყობდა ერთი პატარა ფიცრული სახლიდან
გამონავალ მბუტუტავ სინათლეს. დიახ, სახლში სინათლე
იყო! არ ეძინა სახლის პატრონს დავითს. შუა ოთახში
მდგომ მაგიდას შემოსხდომოდა რამოდენიმე პიროვნება.
ყველაზე უფროსი 50 წელს მიახლოებული იყო. ახო-
ვანი ტანი. გრძელი და შავი უღვაში. ოდნავ მოგრები-
ლი ცხვირი, გამჭრიახი და ამათანავე კეთილი თვალე-
ბი, ვაჟკაცური გამომეტყველებით. ყველაფერი ეს ერ-
თად ხატავდა მის გამბედაობას და გონებაგახსნილობას.
იგი, დაბალი, მაგრამ გარკვეული ხმით ესაუბრებოდა და-
ნარჩენთ. და ისინიც გულმოდგინედ ყურს უგდებდნენ
თითოეულ მის სიტყვას.

— მაშ აგრე, ყმაწვილებო! ხვალისათვის ყველა მოემ-
ხადეთ; თუმცა დრო ბევრი არა გაქვთ, მაგრამ ყველანი
უნდა იყვნეთ მზად, იარაღში ჩამსხდარნი და პირველი
ნიშანის მიცემისათანავე დაიწყებთ სამხედრო მოქმედე-
ბას. ერთას და იმავე დროს. ერთსა და იმავე წუთს და-

იწყება საქართველოს ყოველ კუთხეში აჯანყება, საქარ-
თველოს განთავისუფლებისათვის! მართალია, ბევრი
არის რუსის ჯარი, მაგრამ რას გვიხამს მტრის სიმრავ-
ლე, როდესაც თვითეული ქართველი მამულისშვილი,
გამაჟვალული სამშობლოს სიყვარულით, თავისი ვაჟკა-
ცობით, გმირობით, მამაცობით და სიმარჯვეთ უდრის ათ
რუსის ჯარისკაცს; განა ერთი და ორი მაგალითი ახ-
სოვს ჩვენს ბედკრულ ერს, როდესაც ერთი მუჭა ქართ-
ველთა ლაშქარი მუსრავდა და ამარცხებდა მტერთა უთ-
ვალავ ჯარებს? აი, კვლავ დაგვიდგა უამი სამშობლოსა-
თვის თავის დადებისა. ქართველმა ერმა კვლავ წაიგლო
ბასრ ხმაღზე ხელი; კვლავ იბრძვის იგი დაკარგული
თავისუფლების მოსაპოვებლად. ქართველმა ერმა უკვე
საკმარისი ითმინა; რუსის ჩექმამ მას გულზე დალი დაა-
სო; და დიახ, ყმაწვილებო, დრო არის მოვაშოროთ სამ-
შობლოს სიბნელით შეღებილი რუსის ლურსმინი ჩექმა.
საქართველო უნდა აღსდგეს; აღსდგეს, როგორც თავი-
სუფალი ერი, ვით აღსდგა იესო ჯვარცმული. და ჩვენც,
ჩვენ მოძმებთან ერთად, მოვალენი ვართ ამ დიდ საქმე-
ში ჩვენი წვლილი შევიტანოთ. უფროსად ლევანი გეყო-
ლებათ, გამოცდილია ბრძოლებში; იგი გიწინამძღოლებთ.
განთიადისას პირველი ნიშანი არის შეუშხუნა, აშვებუ-
ლი ცაში. და თქვენც ვაჟკაცური ყიჟინით თავზარს და-
სცემთ მტერს. და მალე, ძალიან მალე კახეთის დედაქა-
ლაქს, თელავს, უნდა ამშვენებდეს სამფეროვანი დროშა
საქართველოსი... — მოსაუბრე შედგა; მძლავრად ამოი-
სუნთქა და შემდეგ მიუბრუნდა ერთ მათგანს: არჩილ!
შენ რამდენი კაცი გყავს მზად?

— ოცდაათი და მაგდენივე უთოფოდ.

— შენ ვახტანგ?

— მაგოდნევე.

დანარჩენებისაგან მიიღო რა შესაფერი პასუხი, მიუბრუნდა ყველაზე ახალგაზრდას:

— შენ კი, ვანო, ჩემთან დარჩები.

უკანასკნელი იქნებოდა 18-19 წლისა; ახლად აბიბინებული ჯუნკში. გამხდარი სახე. მოელვარე თვალები გამოხატავდნენ იმის გამბედაობას და ერთგულობას თავისი საქმისადმი. ფეხზე წამოიჭრა.

— მესმის უფროსო! — მიუგო მკვირვხლად და მის სახეს ოდნავი დარდი დაეტყო.

— ეხლა შეგიძლიათ წახვიდეთ!

ყველანი წამოიშალნენ და გამოსალმების შემდეგ, თითოეული თავის სახლისაკენ გაემშურა. ოთახში დარჩნენ მხოლოდ სახლის პატრონი და ახალგაზრდა ვანო.

— ვანო! მოდი აქ! დამიგდე გულმოდგინეთ ყური! როდესაც მოგმართე მე, ჩემთან დარჩენილიყავი, შენს სახეს ნაღველი დაეტყო; მე მსწრაფლ მივხვდი, რომ გეძნელობდა შენი მეგობრების მიტოვება; ვიცი, შენ გასურს მათთან ერთად ბრძოლა მტრის წინააღმდეგ. არ გეგონოს, რომ ჩემთან დარჩენით არ გააკეთებ დიდ საქმეს ჩვენი პატარა ქვეყნისათვის! ან იქნებ გგონია, თუ მე თვით არ მივალ სხვებთან ერთად, ეს მიტომ, რომ არ მინდა საერთო ბრძოლაში მონაწილეობა მიღება? ან იქნებ გგონია, მეშინია?!

— უფროსო! — წამოიძახა ვანომ: ეგ ფიქრი ჩემს თავში თავის დღეში არ გაივლის! — მისმა თვალებმა უცნაურად გაიქცვეს.. უფროსმა კვლავ ბაასი განაგრძო:

— ან და ფიქრობ, ვულზე ხელდაკრეფილმა მინდა ვუცქირო შორიდან სეირს? ქართველთა ბრძოლას?! არა, ვანო; ჩვენი საქმე უფრო რთული საქმე არის. ყველაფერს ავიხსნი. მიგდე ყური. ალბათ გეცოდნიება, რომ სანდრო ჯვარს იწერს; ქორწილი ხვალისათვის არის დანიშნული. მე და შენ ქორწილში გვაბატიყოვენ.

— როგორ? იმ დროს, როცა ჩვენი ძმანი იწყებენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მტრის წინააღმდეგ, ნუთუ ჩვენ ამ დროს ქორწილში ვიქნებით? არა, უფროსო! ეგ შიშობლებელი არის! — წამოიძახა ვანომ, სახეგაწითლებულმა. უფროსმა ჩაიცინა.

— ვანო! მაცინებს და მაკვირვებს შენი საქციელი! დამაცა, დავამთავრო, რასაც ვამბობ და შემდეგ ვნახოთ. სანდრო ჯვარს იწერს. ქორწილი მოხდება თელავში. ამ შემთხვევით განზრახვა გააქვს მტრს თვალი ავუბათ. სიმამაკეთაძე ერთად ეხლანდელ დროში საჭიროა ცოტაოდინი სიიშმაკიც. ერთი ნაწილი მამულიშვილებისა იქნებიან ქორწილში მიწვეულნი. დაპატიჟებული იქნებიან აგრეთვე მტერთ მთავარი მოხელენი: რუსის ჯარის ოფიცრები, ჩეკისა და მილიციის უფროსნი, ერთი სიტყვით,

ყველა ჩვენი ბატონ-პატრონი და მბრძანებელი. განთიადზე, როდესაც თამადა, თასით ხელში, შესვამს სადღეგრძელოს განმეორებით დედოფლიას, ეს იქნება ნიშანი და ჩვენებიც უმალ აპყრიან იარაღს მტერთა ბელადებს; დანარჩენნი, ვით ხაფანგში გამომწყვდეულნი, დაგვებდებიან. გარუდან კი მოწოლილი აჯანყებულთა რიგები მთლად ადვილად ჩაიგდებენ ხელში ქალაქ თელავს. შეც იქ ვიქნები და შენც ჩემთან, ქორწილში.

იგი შეჩერდა და მოლიმარი სახე ვანოს მიაპყრო. დუმილი ჩამოვარდა. სიჩუმე ვანომ დააჩუქრა:

— უფროსო! გონიერი აზრი არის; სულით და გულით ვიზიარებ თქვენს გეგმას, მაგრამ ერთ რამეს კი შემოგაკადრებ. სანდროზე ცუდი ხმა დაირბა. ამბობენ, რომ იგი რუსის მოხელეებთან ძალიან კარგად არისო; ისიც გავიგე, ჯამუშობსო და მეც პირადად ვაგებდავ და გეტყვი, რომ მე იგი არ მიყვარს, თითქმის მეჯავრება კიდევ. მისი საქციელი, ლაქუტი ბუნება სრულიად ჭკუაში არ მომდის. მასზე გული ისე არ მენდობა, ვით შხაძიან გველზე...

უფროსმა ოდნავ ჩაიხითხითა.

— ვანო! ვანო! მაკვირვებს შენი უნდობლობა სანდროსადმი! სცდები, ვანო! სანდრო მოლაღატე არ არის! მას არ შეუძლია ჩვენი გაცემა. იგიც იგეთივე ქართველი არის, როგორც ჩვენ. სტუმართა შორის მისი სამი ბიძაშვილიც არის! იგი მათ ვერ გასცემს. ვერ გაშცემს აგრეთვე მეც. თითქმის ჩემს ხელშია გაზრდილი. არა, ვანო! გასდევნე შენი თავიდან ეგ აზრები და ყური უგდე ყველაფერში შენს უფროსს. ეხლა წადი, დაიძიხე. სადაც არის, მამლები იყივლებენ; დაიძინე ტკბილად და ხვალისათვის საქორწილოდ მოემზადე.

ვანო მორჩილად ფეხზე წამოდგა და სახლისაკენ გასწია. ყველას ტკბილად ეძინა, გარდა ვანოს; მის თვალს ძილი არ მიკარებია. ფიქრობდა სანდროზე. სცდილობდა დაერწმუნებინა თავისი თავი სანდროს პატიოსნებაში: „იქნებ მართლაც, სანდრო მოლაღატე არ უნდა იყოს, თორემ უფროსი მას ამ საპასუხისმგებლო საქმეს არ მიანდობდა. სცდები, ვანო, სანდრო მოლაღატე არის! ჩასჩურჩულებდა მას რაღაც იდუმალი ხმა...

თითქმის გათენებული იქნებოდა, როცა ვანოს ჩაეძინა. ჯერ კიდევ ტკბილ ძილში იყო, როდესაც ხმა შემოესმა; თვალები გაახილა. მის წინ უფროსი იდგა.

— აბა, ვანო, ჯერ კიდევ ლოგინში ხარ? მოემზადე საქორწილოდ; მაყრიონი მზად არის. მზე უკვე შუადღეს გვაჩვენებს.

ვანო მსწრაფლ წამოხტა, ჩაიცივა, პირი დაიბანა და უფროსთან ერთად მაყრიონს შეუერთდა. მაყრიონმა სიმღერა შემოსძახა —

მოვდივართ, მოგვიხარია, მოგვეყვს დედალი ხოხობი! და თელავის გზას დაადგა. სიმღერაში ერჩეოდა დავითის

კრიალა ხმა. საუკეთესო და დარჩეულ ქართველობას მოეყარა თავი, საქართველოს საწილოდ; პირი-სახეზე ყველას აღფრთოვანება ეტყობოდა. დაკვირვებული თვალი შეატყობდა, რომ ასეთი აღფრთოვანება არ იყო ჩვეულებრივი; აღფრთოვანებასთან ერთად რაღაც მღელვარებაც მოსჩანდა; მხოლოდ ვანოს დარდიანად დაეღუნა თავი; მის გულს საძაგელი წინაგრძნობა დაუფლებოდა...

კარგა დაღამებული იყო, როდესაც სტუმრები სუფრას შემოუსხდნენ. ხელისუფლების მრავალი წარმომადგენელი იყო აქ. აგერ მოჩანდა ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, მთავარი მოლაპატე, გაფლანგვაზე ყოფილი პატიმარი და დღეს კი კახეთის პატონ-პატრონი, ცრუ ამპარტავანი და პატიოსნებას მოკლებული. მის გვერდით ჩეკია უფროსი, ცნობილი ჯალათი; რუსული ჯარის უფროსი, ლოთი რუსი და სხვანი.

დავითი თამადაობდა. დიდი თასით მან მეფე-დედოფლის სადღევრძელო გამოსცალა...

— ალავერდი შენთან ირაკლი, — მიმართა მან მაგიდის ბოლოში მჯდომ ერთ-ერთ სტუმარს და გამოცლილი თასი მოხდენილად გადაუგდო.

— და ამასთანავე გნიშნავ ჩემ თანაშემწედ. აბა, შენ იცი, ღვინო არაგის მოაკლო! ვიმედოვნებ, გამიწეე ერთ-ჯერ შემწეობას! მით უმეტეს შენ ამ საქმეში სხვებზე გამოცდილი ხარ!

— იახშიოლ! — უპასუხა ირაკლიმ და ფეხზე წამოდგა. ეშმაკურად ჩაიციხა. მიხვდა დავითის სიტყვებს, რომ დავითი მას ირჩევდა არა მარტო თამადის თანაშემწედ, არამედ როგორც აჯანყებულთა ბელადის თანაშემწედაც. ეს უკანასკნელი იქნებოდა 35 წლია; შუატანის, მხარ-ბეჭიბანი გაყვანილი. ლამაზად დაგრებილი უღვაში, ხშირი წარბ-წამწამი; მოკინარი თვალები; ლამაზად გადავარცხნილი თმა ამშვივებდა მას. ნადიმი გაიბა. თასი თასზე იკლებოდა. სიმღერას სიმღერა მოსდევდა. თამადის მოსწრებული ენა ახარებდა ყველას. მხოლოდ ვანოს სახეს დარდინ კვალი არ შორებოდა, იქვე სანდროზე კიდევ უფრო უძლიერდებოდა.

— ლეკური! ლეკური! — გაისმა თამადის მჭექარე ხმა. მეთარემ თითები აამუშავა; მეჭიანჭრემაც მის მაგალითს მიჰბაძა. არაკუნდა დოლიც. თამადა ფეხზე წამოდგა; არწივივით გაშალა მხრები და ლეკური ჩამოუყარა. ერთ ადგილას შედგა, ფეხები გაუსვა და თავის მეუღლეს თავი დაუყრა. უკანასკნელს ბევრი ლოდინი არ დაჭირვებია. მოსხლეკით გვერდზე ჩაუსრიალა; მაგარი ტაში და ბარაქალას ძახილი ყურს აყრებდა.

— აბა ლიზა! ყოჩაღად იყავით ყველა ქალი! არ შეშინ-

დეთ! უამი ახლოვდება! — ჩაუჩურჩულა დავითმა თავი მეუღლეს. ლიზამ უსიტყვოდ შესცინა. გაჩერდნენ მოცუკვავენი; გაისმა ხანგრძლივი ვაშას ძახილი.

— როგორა ყმაწვილებო? ხომ ხედავთ, ჯერ არ დაბრუნებულვარ?... ეს ლეკური იყო და ხვალ დილით კი დავლურს დავუვლი... — თქვა დავითმა და თავის ალაგს დაბრუნდა. კედელზე ჩამოკიდებული საათის ისარი ნელ-ნელა წინ მიიწედა. აგერ საღაც მამალმა იყვილა. ქართველთა გულმაც მღელვარებას უმატა. ვანოს გულიც არ ჩამორჩენია სხვისას; მანაც რამოდენჯერმე შეახო ჯიბეში ხელი თავის რევოლვერს. ახლოვდება საბედისწერო წუთი. თამადამ მძლავრად ჩახველა. ხელში სავეს თასით წამოდგა; არწივისებური თვალები თავის მრევლს მოავლო. ჩაიღიმა.

— ყმაწვილებო! ამ სავეს თასით...

სიტყვა არ დაესრულებინა, რომ კარი გაიღო დიდი ხმაურობით და დარბაზში შეიარაღებული ხალხი შემოცვივდა...

— ხელები მალა, კონტრრევოლუციონერებო! დაგვინებდით! — გაიხმა ხმა, — ხელი არავინ გაანძროთ! სახლს ალყა აქვს შემორტყმული! ბრძანება არის, თუ ვინმე გაინძრა, ვისროლოთ სახლში!

შეიქმნა ქალთა კვილი; ერთ ხანს ამ მოულოდნელმა თავდასხმამ შეარყია შეთქმულთა რიგი; თამადის სიმტკიცეც. მაგრამ დავითი სწრაფლ გონზე მოვიდა...

— ყმაწვილებო! ლალატი!! ნუ ჩავუვარდებით მტრებს უბრძოლელად! — დაიძახა დავითმა და ჰაერში რევოლვერი ააპრიალა. მის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს და შემოაეული მტრის რიგებში ვილაცამ დაიგმინა. ბევრი იყო შემოჭრილი და დამხვდურნი გააკავეს. დავითს ხუთი კაცი შემოსევდა...

— უფროსო! მეც შენთანა ვარ! — მოესმა დავითს ვანოს ხმა. მას ორი რუსი ეჯავჯვურებოდა.

— ვანო! თავს უშველე! შეატყობინე დანარჩენთ!

გადსძახა მას დავითმა. ვანო უცბად მძლავრი გაბრძოლებით ჯალათებს ხელიდან გაუსხლტა და თვალის დახმამებში გაღებული ფანჯარიდან გადახტა; გარეთ რამოდენჯერმე გავარდა თოფი.

— ვაიმე, მოჰკლეს! — ჩაილაპარაკა დავითმა. უცებ წილში გააწორდა და შალალი ხმით თავის მეუღლეს მიმართა:

— ლიზა! ყოჩაღად იყავ! თასი დასალევი დამრჩა! შენ გამოსცალე და მისი გემო შეილუბსაც აგემე!

ხელებ-შეშობილი დატყვევებული ქართველები, შე-

მორტყმული მტრის დიდი ალყით საპატიმროსაკენ გააგზავნეს. მხოლოდ ვანო, გადახტომის შემდეგ, მიაქანებდა ცხუნს, რათა მემამბოხეთათვის ღალატის ამბავი შეეტყობინებინა... მაგრამ ღალატი აქაც მისწვდა და ლევანი თავისი ხალხით უკვე ციხეში იყო გამოძწყვდეული, ცივსა და ბნელ სარდაფში ჩეკისა...

მეორე დღეს, თელავის მოედანზე შეჯგუფებული ხალხი კოტხულოზადა კედელზე გაკრულ ფართო განცხადებას...

— კონტრ - რევოლუციისათვის და იარაღით ხელში აჯანყების მოწყობისათვის, სავანებო კომისიის მიერ დაისაჯნენ უმალლესი სასჯელით, დახვრეტი, რაც სისრულეში იქმნა მოყვანილი დილის 5 საათზე შემდეგი პირობები....

სია იწყებოდა დავითის სახელით. მაყრონიდან ვანოს მეტი არავინ გადაარჩენილა...

მაგრამ არა!

მაყრონს აკლდა ერთი წევრი! დახვრეტილთა სიაში არ ჩანდა სანდროს სახელი. ამ საზედისწერო ქორწილის შემდეგ საღამოს გაიღო ციხის კარი, საიდანაც ერთი პატიმარი გამოვიდა. იგი ქურდულად აქეთ-იქით იცქირებოდა, ვილაცა ემალებოდა; სწრაფი ნაბიჯით გაემართა სახლისაკენ, სადაც ქორწილი მოხდა. ვინ იყო იგი? იგი იყო სანდრო. ვის ემალებოდა იგი? ალბათ დავითისა და დანარჩენ დახვრეტილთა თვალებს.

ელიზბარ მაყაშვილი

საფრანგეთი. 1930 წ.

თამარ პაპავა

საქართველოს უკანასკნელი დედოფალი

მ ა რ ი ა შ ი

1950 წელს პარიზში მოეწყო დედოფალი მარიამის გარდაცვალებიდან აბი წლისთავზე მოგონების დღე. სხვათა შორის, ამ დღეს წაიკითხეს თამარ პაპავას ქვემოთ დაბეჭდილი მოხსენება, რომელიც მან წინასწარ გამოუგზავნა საქართველოს პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას წასაკითხად. ნ. ჟორდანიას ეს ნარკვევი წაუკითხავს და ერთ ადგილზე ჩაუმატებია: „მეფე ერეკლემ დასდო რუსეთის მეფესთან“... ეს ჩანართი თავდება სიტყვებით: „რომლის მთავარი გმირია მარიამ დედოფალი“.

ეს მოხსენება სხდომაზე წაიკითხა ბ-მა ლევან ფაღავამ.

ეს მოხსენება დაცული იყო ნოე ჟორდანიას არქივში.

ამ ასი წლის წინად, მარტიან 30-ს, დღის ათ საათზე მოსკოვში მიიღვა ჯარდასახლებაში მყოფი უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი — მარიამ.

სამშობლოში, თუ გარდახვეწილობაში მყოფი ყოველი ქართველი მოწიწებით მოიძრეკს თავს ამ წამებულ დედოფლის ხსოვნის წინაშე და მთრთოლვარე ხელით გადაფურცლავს საქართველოს სამეფო მატინის უკანასკნელ ფურცლებს. დიდი დრამატიზმით არის ეს ფურცლები დატვირთული და დრამატიზმს აღრმავებს ის გზა, ჩვენი უკანასკნელი დედოფლისა, რაიც მან განდევნაში გაატარა მრავალ წელთა მანძილზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი ერის და დედოფლის ღირსება მტერს არ შეალახვინა.

ამით დედოფალმა მარიამმა ერთხელ კიდევ გაამართლა ის დიდი საპატიო როლი, რომელიც ქართველ ქალს ისტორიამ დააკისრა.

უკანასკნელმა დედოფალმა, საქართველოს სადარაჯოზე მდგომმა, ერის უზენაესობა და ღირსება ძლიერსა და ვერაფერს არ დაუთმო, სისხლისაგან დაიცალა, მაგრამ ქვეყანას და მთელ საქართველოს ნამუსი და ღირსება შეუნახა; დამცემს მამაპაპური ხანჯლით გული გაუგმირა...

ამ ასი წლის შემდეგ პატარა გვირგვინი მაინც მივუძღვნათ დედოფალი მარიამის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს უკანასკნელი დედოფლის გზა თავიდანვე ეკლიანი გამოდგა და თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მხოლოდ ამ ეკლიანი ბილიკებით იარა. საყვარელ სამშობლოს ტკივილებს, მისი პირადი ცხოვრების წამება დაერთო. მარიამმა 69 წლის მანძილზე ატარა სახელი დედოფლისა, ნამდვილად კი მხოლოდ ორ წელიწად ნახევარი თუ იდედოფლა.

[მეფე ერეკლემ დასდო რუსეთის მეფესთან ხელშეკრულება დახმარების და პროტექციის საქართველოს სამეფოს, მისი თავისუფლების და დამოუკიდებლობის. იმ მიიღვა 1798 წ., ტახტზე ავიდა მისი შვილი გიორგი, მაგრამ ამ ავანთყოფ და დასწეულებულ მეფეს დიდ ხანს არ უცოცხლია: ის გარდაიცვალა 1801 წ. ტახტზე უნდა ასულიყო მისი მემკვიდრე ბატონიშვილი. და აქ იწყება დრამატიული ამბები, რომლის მთავარი გმირია მარიამ დედოფალი].

მშენიერ ასულს თუ ციციშვილისას ჯერ კიდევ 14

წლისას, ტახტის მემკვიდრეზე, გიორგი ბატონიშვილზე ჯვარი დასწერეს... განვლო 16 წელმა, ვიდრე მას დედოფლის გვირგვინის დადგმა ელირსა. შემდეგ ხომ შრისხანე ბედმა თითქმის ნახევარი საუკუნე ისტორიაში დაყოფინა ტანჯულ მარიამს.

მძიმე უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა და სრულიად გამოუცდელი მარიამისათვის შეცვლა იმ ღირსეული რძლისა, რომელიც ერეკლეს მოეყვანა ანდრონიკაშვილთა ოჯახიდან პირველი მეუღლე გიორგისა. პირველი მეუღლე გიორგისა იყო ქეთევან, ასული ჭიჭიყის მოურავისა, პაპუნა ანდრონიკაშვილისა, — ქალი, ფრიად დარბაისელი, ჭკვიანი, მამაცი და ერთგული მეფე ერეკლესი. აი, ამ შესანიშნავი ქეთევანის ადგილი უნდა დაეჭირა მარიამს.

მარიამის ნორჩი მხრებისათვის ეს საპატიო მოვალეობა იყო, მაგრამ ქართული სამეფო სახლი ხომ უმაღლესი და უკეთილშობილესი სკოლა იყო ასეთი გამოუცდელი ასულისათვის, სასახლის სარძლოდ რომ ამზადებდნენ. მარიამსაც მალე შეითვისა ეს ტრადიცია ქართული სასახლისა. ის ყველასათვის ძვირფასი და საყვარელი გახდა, განსაკუთრებით აფასებდნენ იმ მფარველობას და მზრუნველობას, რაიც გამოიჩინა გიორგის იმ ცხრა შვილისადმი, რომლებიც ქეთევანს დაარჩინოდნენ.

ღალი და ბედნიერი იყო მარიამის რძლობის პირველი წლები. შემდეგ, მართალია, ქვეყანამ და სამეფო ოჯახმა მრავალი ვაება და უბედურება გადაიტანეს, განსაკუთრებით ალა მაჰმად ხანის შემოსევის გამო, 1795 წ. მაგრამ მაშინ საქართველოს მცველად იდგა ძლიერი რაინდი მეფე ერეკლე და ქვეყნის ტვირთიც მის მხრებს აწვა. ეს ჯგებრივ დაირღვა, „სვეტი დაეცა“; სიმძიმე ამ არეული დროისა მარიამმა მთელი სიმძაფრით შეიგრძნო... ეს დაბნელება ქვეყნისა მან განიცადა მის შემდეგ, რაც დიდი ერეკლე 1798 წლის იანვრის 11-ს ღრმა მოხუციებაში მიიკვალა. მისი ადგილი, ამ უმძიმეს დროში, ზუსტ გიორგის უნდა დაეჭირა.

აქ ჩვენ მოკლედ მაინც უნდა შეიჩერდით და თქვენი ყურადღება მიექაჩოთ იმ რთულ პოლიტიკურ ვითარებაზე, რაც ახალგაზრდა მარიამს თავიდანვე დახვდა და რაც მას ერეკლეს სიცოცხლეში არ უგრძენია.

პოლიტიკა რუსეთთან დაახლოებისა და ერთგულებისა, რომელსაც მარიამის მეუღლე, გიორგი მეცამეტე აწარმოებდა, ახალი არ იყო. მისი ძირები მთაქვსმეტე საუკუნემდე უწევდა. ამას თავისი ღრმა მიზეზები ჰქონდა. ამ გარემოებამ წარმოშვა ერეკლეს ცნობილი ტრაქტატი 1783 წლისა, რაც მან 12 წლის დიპლომატიური მზადების შემდეგ გიორგიევსკში ეკატერინე დედოფალთან დასდო. მისი შვილი გიორგი და მარიამი გამგრძელებელნი იყვნენ ამ გზაზე და თუ სრული კატასტროფით

და მთელი სუვერენობის დაკარგვით დასრულდა, მაშინ ბრალი მართა მეფე-დედოფალს არ უდევს. საქართველო სამეფო იყო დასუსტებული, დიდი იმპერიის ტალღებს ველარ შეაყენებდა. უკუღმართმა ბედმა გიორგი მეფის სისუსტემ დააჩქარა ის უბედურება.

ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული კავშირი, რაც დიდი ხნიდან აახლოებდა საქართველოს ევროპასთან, საერთოდ დასავლეთთან, ბიზანტიის დაცემის შემდეგ, როცა 1453 წ. კონსტანტინოპოლი და ბოაზორი ოსმალეთის ხელში გადავიდა, ერთბაშად გაწყდა. ქვეყანა ჩაკეტილი შეიქმნა და რენესანსის გზაზე დამდგარის მისი ხმა ევროპამდე ვეღარ აღწევდა. მაშინ ევროპის და საქართველოს სავაჭრო კავშირი დასავლეთთან, კერძოდ ვენეციათან და გენუასთან, წარსულს ჩაბარდა.

გაძლიერებულმა ოსმალეთმა მალე ჩრდილოეთითაც მოუჭრა გზა; ამას თან დაერთო საქართველოს პოლიტიკური დაქვეითებით გამოწვეული ტერიტორიული დაქუცმაცება. ყოველნაირი ცდა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფოდ აღდგენისათვის კიდევ უფრო აგულღიანებდა მის მაჰმადიან მეზობელ სახელმწიფოებს, რომლებიც სამეფოთა და სამთავროთა ქიშპობასა და მიხტომ-მოხტომას მოხერხებულად იყენებდნენ.

ამ დაშლის პროცესს კიდევ უფრო აძლიერებდა პატრონჟიმობაზე აგებული პირობები და წოდებრივი გათიშვა; ცალკეული ფეოდალები დამოუკიდებლად ეწევიან მართვაგამგებობას, დიდად იურჩებიან საკუთარ მთავრობას და მეფეებს. კარჩაკეტილობა მატულობდა, შინაური ომი ხშირდებოდა. ამ ყოფამ საქართველოს საგრძნობი ტერიტორიული ერთეული გამოაცალა და მაჰმადიან შეზობლთა გავლენას დაუმორჩილა.

ხალხში პრიმიტიული მეურნეობა მყარდებოდა; უცხო ელემენტების ჩამოსახლება იზრდებოდა; ქართული მთლიანი კერა იშლებოდა. საქართველო ამ ჩიხიდან უნდა გამოსულიყო. მაჰმადიან სახელმწიფოთა რკალში მომწყვდეულს სხვა გზა არ დაშთენოდა, თუ არ ჩრთილოეთიდან მოწოლილ საიმპერიო ძალასთან შეკავშირება.

ამით აიხსნება, რომ ბიზანტიის დაცემის შემდეგ, საქართველო გულწრფელად ეძიებდა კავშირს ერთ მორწმუნე რუსეთთან. ჯერ კიდევ 1587 წ. კახეთის მეფე ალექსანდრე მეორესაგან დაწყებული ცდა რუსთთან დაკავშირებისათვის, განხორციელებას ჰპოულობს 1783 წ. ერეკლე მეორეს მიერ იმპერატრიცა ეკატერინესთან დადებული ტრაქტატით.

ამ საქმეზე ზრუნავდნენ თეიმურაზ პირველი, არჩილ მეფე, ვახტანგ მეექვსე, იმერთა მეფე ალექსანდრე მესამე, სოლომონ პირველი, თეიმურაზ მეორე და გურია სამეგრელოს მთავრები... ამ დაახლოვებას არა მართა მეფეები გადაყენენ, არამედ ვახტანგ მეექვსესთან ქართლის ბაგრატიონების დინასტიაც.

ამ დაახლოებებაში არა ნაკლებ დაინტერესებული იყო რუსეთი: საქართველო ხიდად უნდა დადებოდა აღმოსავლეთის სავაჭრო გზას, რის დაპატრონებას ლამობდა; საქართველო დასაყრდნობ წერტილად გამხდარიყო. რუსეთს აქედან ადვილად შეეძლო გაეკაფა გზა კასპიის ჰღვის სანაპიროებისკენ, სპარსეთზე; იქედან შორეული ინდოეთის სავაჭრო გზათა პერსპექტივაც იშლებოდა; შემდეგ მას მიყვნიენ ეკატერინე მეორე, პავლე პირველი, და სხვები. ამ კავშირით, მეორე მხრით, საქართველო, ვაზტანგ მეექვსე, ირაკლი მეორე, გიორგი მეცამეტე საკუთარ გარკვეულ პროგრამას ემსახურებოდნენ: დიდი იმპერიის ძალების გამოყენებას ცდილობდნენ. ეს პროგრამა იყო საქართველოს ცენტრალური უფლების განმტკიცება, ურჩ ფეოდალთა ალაგმვა; სპარსეთ-ოსმალეთის ბატონობისაგან თავის დაღწევა, ევროპასთან ეკონომიკური და კულტურული კავშირის აღდგენა და სხვა.

მთავარი ამ პროგრამაში იყო საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების აღდგენა, მაჰმადიანური ქვეყნების ხელში მყოფ ნაწილების კვლავ შემოერთება.

ამ პროგრამის გაატარებლად ძლიერი რუსეთის ძალების გამოყენება ადვილი არ აღმოჩნდა; ამას დიდი მოქნილობა, სიფრთხილე და, ასე ვთქვათ, ვერაგობაც კი ჭირდებოდა. მთავარი შეცდომა ის იყო, რომ რუსეთი საქართველომ ევროპის მსგავსად მიიღო და მიენდო მას წმინდა გულით; მიენდო მის აზიურ - მონგოლურ პოლიტიკას ქრისტიანული მსახურებით და რაიდულად შეხვდა... ერეკლე მეორე რუსეთის განმეორებით ღალატზე თვალებს ხუჭავდა...

აი, ამ უმად, დღეს ხომ მისი პროტექტორი განათლებული, ერთმორწმუნე მონარქი იყო! ქართველ მეფეებისადმი მეტი ერთგულება უნდა გამოეჩინა, მაკრამ რუსეთი აულ სხვა იყო: საქართველოსათვის უცნობი და ამ სფინქსს თავისი დაფარული ზრახვები ამოძრავებდა. მას საქართველოს მომავალი უფრო მარტივად ჰქონდა წარმოდგენილი; ქვეყანა და მისი სიმდიდრე იმპერიის დასაყრდენად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ამისათვის სურლიად არ იყო საჭირო საქართველოს თავისი სამეფო შეენარჩუნებინა. სუვერენული პატარა სამეფო შეიძლება ადვილად მოქცეულიყო სპარსეთის, ან ოსმალეთის გავლენაში და ეს იმპერიის საქმეებს გაართულებდა. ყველაზე მარტივი გზა იყო საქართველოს პროვინციად გადაქცევა. აი, ასე უდგებოდა რუსეთი საქართველოს საკითხს, რასაკვირველია, ქრისტიანობისა და მფარველობის ნიღაბით. ამის გამო ყოველგვარი ცდა საქართველოს მხრივ თავის გადასარჩენად, წინასწარ განწირული იყო.

ასეთივე განწირული შეიქნა ერეკლეს ცდა 1783 წლის ტრაქტატით საქართველოს კვლავ ფეხზე დაყენება, სა-

მცხე - საათაბაგოს დაბრუნება და სპარსეთ - ოსმალეთისაგან თავის დახსნა.

იმპერატორიცა ეკატერინემ მალე დაივიწყა საქართველოს ინტერესები და ნელ - ნელა შეჰკვეცა ტრაქტატის მუხლები. რუსეთიდან არ მოდიოდა არც შეპირებული ჯარი და არც აღთქმული არტილერია.

მეორე მხრივ, რუსეთთან კავშირის გამო ერეკლეს კიდევ უფრო გადაეკიდნენ მაჰმადიანი მეზობლები, ხან პირდაპირ, ხან დაქირავებული ლეკთა საშუალებით ქვეყანას უტევდნენ, არბევდნენ და იკლებდნენ. ყველაზე უფრო დიდი უბედურება ის იყო, რომ სამეფო ერთიანად დაარბია და დააუძლურა 1795 წ. ალა მაჰმად ხანის შემოსევამ, სწორეთ ამ ცნობილი ტრაქტატის საპასუხოდ, რომლითაც ერეკლეს რუსეთის გავლენა კავკასიაში შეჰქონდა. რუსეთისაგან საშინლად მოტყუებული ერეკლე მეფე ამ ბრძოლაში მარტოდ დარჩა და მრავალრიცხოვანი მტრისაგან ძლიერ იქმნა. ასე დამთავრდა ერეკლეს ცდები რუსეთისადმი, სრულიად მისი ძალების გამოუყენებლად.

1795 წ. ქარიშხლის შემდეგ მართლაც საშინელი მემკვიდრეობა ხვდა მეფე გიორგის და დედოფალ მარიამს წილად: დაქცეული ქვეყანა და ხაზინა, დანგრეული მდინები ახტალისა; დამწვარი, აოხრებული, გაუკაცრიელებული ქვეყანა. ამას ზედ დაერთო ასჯერ უფრო გათავხედებული მტრები და ოსმალეთ - სპარსეთისაგან შემოჩენილი ლეკები და ახალციხის საფაშო. ანეთ პირობებში გიორგის არა დარჩენოდა-რა გარდა იმისა, რომ ისევ რუსეთზე მინდობის პოლიტიკას გაჰყოლოდა და მეფე გულმოდგინებით გაუდგა სახელოვანი მამის მიერ აღებული გზას; დედოფალი მარიამიც მეფესთან ერთად ფიქრობდა, რომ მხოლოდ რუსეთთან და მისი მხედრობისაგან ლოიალობა და აღმოსავლეთის ფანატიკურ სამეფოებისაგან სრული გამიჯვნა თუ იხსნიდა ამ პატარა საქართველოს დაღუპვისაგან.

საქართველოს წარჩინებულთა დიდი ნაწილი ამ საკითხში მეფე-დედოფლის გვერდით არ უდგა; მხნე და გამჭრიახი ერეკლეს ქვრივის, დარეჯანის მეთაურობით დიდ წინააღმდეგობას უწევდა გიორგი მეფეს და დედოფალ მარიამს; მათ გვერდით უდგა ბრძენი ძველი კანცლერი სოლომონ ლეონიძე, რომელიც პოლიტიკის ისევ ძველი ნაცადი გზით წაყვანას; ისევ აღმოსავლეთის ქვეყნებთან შეთანხმებას ლამობდა; ელასტიური პოლიტიკით სურდა სამეფოს გადასარჩენა. ამას ხომ უძველესი ტრადიცია ჰქონდა, ჩრდილოეთიდან მოწოლილ ტალღას საქართველო წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა; სამეფოს სრული განადგურება მოელოდა. ამ ოპოზიციას დიდი მომხრეები აღმოუჩნდნენ და გიორგი-მარიამს რთული ბრძოლა უხდებოდათ მათ წინააღმდეგ... მდგომარეობას კიდევ ის ართულებდა, რომ პროვინციები და მათი გამგე ბატონი-

შვილები ცენტრალურ მართველობას, მეფის ავტორიტეტს არ ემორჩილებოდნენ. ამას ზედ ერთგოდა ოპოზიციის ცდა ხსენებული მეფის შემდეგ გაემეფებინათ არა გიორგის ძე დავითი, არამედ მისი ძმა იულონი, თანხმად ერეკლეს ანდრძისა. ეა დავა უბრალოდ დინასტიური არ იყო. ამას უნდა მოჰყოლოდა მთელი საგარეო პოლიტიკის შეცვლა და რუსეთისაგან ჩამოშორება.

სამეფოს ასეთაა მძიმე მდგომარეობამ მეფეს პირველი დიდი დათხოვა უკარნახა: ტახტის მემკვიდრის დახიზვება და დატყვიცება გიორგიმ რუსეთს თხოვა. აძრივად უმალღეა აოხიტრად და იულონის მომხროეთა შორის ატეხილ დავაში გადამწყვეტ ძალად რუსეთი დანიშნა. რუსეთიც სიძოვხეცით შევიდა მეფე-დედოფლის ამ ნაბიჯს. და მეძკვიდრედ დავითი დანიშნა. რუსეთმა სამეფო იავესტიტურის ხიშნები აახლო მეფე-დედოფალს; თან საგაიგებო წყალობის ღრამოტები და ორდენები წარმოუგზავნა; მეფე გიორგი იცხო. საქართველოს მეფედ და მის კარზე მინისტრი კოვალენსკი გამოგზავნა. დავითის მემკვიდრედ დანიშვნა ოპოზიციისათვის სასიკდილო ლახვათი იყო; მეფე-დედოფალი პირველ გამარჯვებას დღესაწაულობდნენ.

ამ ზემის არა მარტო შინაურ განდგომილებაზე უნდა მოეხდინა შესაფერისი შთაბეჭდილება, არამედ მაჰმადიან მეზობლებზედაც, საქართველოს რომ კვლავ დარბევას უქადდებენ... მათ რომ იმედი არ მისცემოდათ, თითქოს რუსეთს არ შეუძლია და არც სურს საქართველოს დაცვა, ამის გამო ყველაზე მეტი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა იმ პოლკს, რომელიც გენერალ ლაზარევის მეთაურობით 1799 წლის ნოემბრის 26-ს თბილისში მოვიდა. მეფე-დედოფალთან ერთად მთელი ხალხი დიდი ზემით შეეგება ამ პოლკს. „აწ განისვენოს გულმან ჩემმან, მივის მცველად მეფობისა იმპერატორი მართლმადიდებელი“-ო, იტყოდა მეფეო, — გვაუწყებს ისტორიკოსი.

ნამდვილად კი რუსეთს ქართული სამეფოს დახმარება კი არ სწამდა, არამედ მისი უფრო დასუსტებით ეპარებულა და ქვეყანა შეეერთებინა... ჯარის ეს შემოყვანა იყო დემონსტრაცია და არა თვით მფარველობა; და ცოტა ხნის შემდეგ, გულნატკენი მეფე გიორგი იმპერატორს სწერდა: ტრაქტატით აღთქმული ჯარი და იარაღი მოგვაწველეთო... და თუ სხვა თქვენი უმეტესი მოწყალება აღრე არ მოგვეშველება, „ეს მცირე ჯარი ჩვენთვის უხარბარი იქმნების“-ო.

რუსეთმა ეხლაც ისევ უყურადღებოდ დასტოვა მტკიცე გაფრთხილება, როგორც ეს 1795 წ. აღა მაჰმად ხანის შემოსევის წინ ჩაიდინა, კრიტიკულ მომენტში არც ჯარი და არც იარაღი არ მოუდიოდა მეფეს. რად სდუმდა იმპერატორი რუსეთისა? აშკარა იყო: ის სწეული და სული მეფისაგან ახალ პოლიტიკურ დათმობებს ელოდა; მან იცოდა, რომ დრო მის სასარგებლოდ მუშაობდა.

აი, ამ რთულ პირობებში, როცა გიორგი მეფეს გარეშე და შინაური მტრები მედგრად უტევენ, მას ლოდინი აღარ შეეძლო; ის ახალ დიდ დათმობაზე წავიდა. უძლურმა მეფემ ერის ფიზიკურად გადარჩენა გაიხადა უდიდეს ამოცანად და ამისათვის სამეფოს სუვერენული უფლებები დათმო. გიორგი და მარიამს წარუდგინეს რუსეთს დესპანი და გადასცეს დასამტკიცებლად „თხოვითი პუნქტები“. ამ აქტით მეფე თითქმის ყველაფერს თმობდა, თუ რუსეთი საკმაო ჯარს მოაშველებდა და ქვეყნის ნამდვილ დაცვას იკისრებდა; ამათანავე ერთგვარი ავტონომიური უფლებები მიანიც უნდა დაშინებოდა საქართველოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, აბა, რა აზრი უნდა ჰქონოდა „მეფის“ ხარისხის შეუხებლად დატოვებას, რასაც ასე დაჟინებით ითხოვდა მეფე გიორგი. რა შინაარსი უნდა მიცემოდა „მეფის ტიტულს“, თუ ყველა მისი ფუნქცია გაუქმდებოდა! სწორედ ეს იყო ქვაკუთხედი მეფე გიორგის ახალი პროექტისა: რომ მეფობის ხარისხი სამუდამოდ დარჩენილიყო საქართველოში და რომ ეს მეფე მუდამ ბაგრატიონთა სამეფო ოჯახიდან დანიშნულიყო, ქართული უძველესი ლეგიტიმური წესით.

სწორედ ეს გარემოება, რომ სამეფო საქართველო საუკუნოდ უხდა დაშთენილიყო და კიდევაც გაფართოებულყო არიგებდა გიორგისა და მარიამს „თხოვითი პუნქტებ“-თან; სწეულ მეფეს უნდოდა დაეჩქარებინა რუსეთის მიერ „თხოვითი პუნქტების“ მიღება. მაგრამ რუსეთს სხვა გეგმა ჰქონდა შემუშავებული, თანახმად მუსინ - პუშკინის საიდუმლო მოხსენებია.

ეს მუსინ-პუშკინი, თითქოს საქართველოს მადნების შესასწავლად იყო წარმოგზავნილი; ნამდვილად კი სომხურ წრეებში აგროვებდა საჭირო ცნობებს და პეტერბურგს აწვდიდა საიდუმლოდ. ეს სომხობა და განსაკუთრებით მისი სავაჭრო წრეები, რომელთაც რუსეთიდან, ცნობილი იოსებ არლუთინსკი ხელმძღვანელობდა, დიდი ხნიდან ცდილობდნენ საქართველოს სამეფოს გაუქმებას და რუსეთის საბოლოოდ დამკვიდრებას კავკასიაში. ამაში არლუთინსკი ხედავდა მტკიცე გარანტიას ოსმალეთის ექსპანსიის საწინააღმდეგოდ და თან იმ ახალი შორეული სავაჭრო გზებით სარგებლობას, რომლითაც რუსეთს სპარსეთით შორეულ ინდოეთისაკენ უნდა გაეხედა.

მუსინ - პუშკინის მოხსენების თანახმად იმპერატორმა პავლე პირველმა მზაკვრული გეგმა შეიზუშავა: რუსეთს ეხლა მართლაც საკმაო ჯარი უნდა დაეგროვებინა „კავკასიის ლინია“-ზე და უნდა ელოდნა სწეული მეფის გარდაცვალებისათვის. როგორც კი გენერალ ლაზარევის კურიერი ამ ჯარს ცნობას მიუტანდა, ის სასწრაფოდ უნდა დაძრულიყო, საქართველოში შესულიყო, მნიშვნელოვანი პუნქტები დაეკავებინა და მემკვიდრე დავითი ტახტზე არი აეშვა. ეს საქმე გენერალმა ლაზარევმა იკისრა, რომელიც თავიდანვე ასე მტრულად იყო განწყობი-

ლი საქართველოს სამეფო სასახლისადმი. მაშინდელ ისტორიკოსებს ალომად შოაქეთ მაგალითი, თუ გეგერალი ლაზარევი როგორ ბრძოლებულად და უხეშად ექცეოდა მეფე გიორგისა და დედოფალ მარიამს. აი, ამ ლაზარევს დაევალა სალონიშვილი დავითის დატუქსება და მისი საშეფო ტახტზე არა - ახვევა. საგახგეო იისტორიუქციის თანახმად, მას სასტიკ ზევრვის ქვეშ უნდა ჰყოლოდა დედოფალი დარეჯახი, დედოფალი მარიამი და ყოველი საძულებსა წაერთმია რაიმე სამეფო ფუნქციათა შესრულებისა. ერთი სიტყვით, გიორგის სიკვდილით უნდა მომკვდარიყო თორბეტ - საუქუნოვანი დინასტია ბაგრატიონთა; გაუქმებულიყო სამეფო და ის რუსეთის პროვინციად გადაქცეულიყო. ასე, ეს მზაკვრული გეგმა შეემუშავებინა იმპერატორ პავლეს და, რასაკვირველია, გახგებ აგვიანებდა პასუხს მეფე გიორგის „თხოვნიითი პუხქტებ“-ზე. ბოლოს რუსეთს მოთმინება დაეკარგა.

იმ იმედით, რომ მეფე გიორგი უკვე გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო, პავლემ 1800 წლის დეკემბრის 18-ს საქართველოს შეერთების მანიფესტი გამოაცხადა პეტერბურგში. რუსთა ხელმწიფე იმენად ჩქარობდა რომ გიორგისთან გაგზავნილ ელჩებს აღარ მოუცადა.

მოახლოვდა საქართველოს სამეფოს აღსასრული. დედოფალი მარიამ ამ საძიხელ ხიფათს კარგად გრძნობდა და ხედავდა; ყოველგვარად ცდილობდა გაეგრძელებინა მეუღლე მეფის სიცოცხლე. ყოველი დღე, ყოველი საათი მეფის სიცოცხლისა იყო გაგრძელება სამეფოს სიცოცხლისა.

უკანასკნელი დაჟინებით თხოვდა, საბედნიეროდ ქვეყნისა და აააცდენად მრავალ განსაცდელისა სამეფო და თავისი ოჯახი რუსეთის ხელმწიფისათვის გადაეცა... ის მოუვლიდა და დაიფარავდა მტერთაგან წამებულ ქვეყანას. ამ ცდას ებრძოდა ლეონიძე. ლაზარევი ამ მოიშორა და ციხეში ჩასვა. ამ საბედისწერო დღეს მარიამის ისტორიულ შეკითხვაზე მეფემ სიჩუმე დაარღვია.

„მივიდა მეფეთან გენერალი ლაზარევი და მას თხოვა მეფემან დასწეროს წერილი იმპერატორ პავლესთან; აცნობოს უკანასკნელი დღე მისის ცხოვრებისა და ესეც, რომელ: ჩამიბარებია ანდერძით ცოლშვილი ჩემი და საქართველო... დაუწერა იქვე წერილი მოკლე, მოაწერა ხელი და დაასვა ბეჭედი თვისი“...

აი, ამ საბუთს სდარაჯობდა მომაკვდავი მეფის სარეცელთან გენერალი ლაზარევი.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა საშინელი მრისხანებით და ზიზლით უტყვეროდა მას დედოფალი მარიამი, რომელიც სულ სხვა პასუხს მოელოდა მეფისაგან. ეს პასუხი შეიქმნა საბედისწერო. დედოფალს კიდევ სჯეროდა უმალღესი სამართლიანობა და რწამდა, რომ არ შეიძლებოდა, რომ რუსეთი ამ უძველესი დინასტიის, ბაგრატიონთა გვარისა, გასაუქმებლად გამოიყენებდა, მო-

მკვდავი, უკვე ნახევრად გონება დაკარგული მეფის მიერ ხელმოწერილ ბარათს; ბარათი ხომ დაჟინებით მოთხოვნიით ჩამოართვა გენერალმა ლაზარევმა ზომაკვდავ მეფეს! ამან კიდევ უფრო გააღრმავა დედოფლის ზიზლი გეიერალ ლაზარევისადმი.

1801 წლის დეკემბრის 28-ს მიიცვალა მეფე გიორგი. გენ. ლაზარევი მეფისაგან ჩამორთმეული წერილი საქაროდ პეტერბურგს აფრინა. პეტერბურგში უკვე ზეიმობდნენ იმპერატორი პავლეს მიერ გამოცხადებულ მანიფესტი, რომლითაც მას საქართველო შეიერთა...

ყოველი ცდა მემკვიდრე დავითისა ტახტის „მისაღებად“ ეჯახებოდა გეო. ლაზარევის დიდ წინააღმდეგობას. საქართველოს ელჩები იავე გაემართნენ რუსეთისაკენ ამ „გაუგებრობის“ გამოსარკვევად. მარიამი ვრხელ კიდევ შეეცადა დროს შოგებას: მეფის დაკრძალვა მან დიდი ხნით გადასდო სხვა და სხვა საბუთის მოსაზრებით. მეფის ცხედარი აანამ მიწისათვის არ მიებარებინათ, სამეფო გაუქმებულად ვერ ჩაითვლებოდა... გენ. ლაზარევი ამან უფრო გააცოფა. მაგრამ დედოფალი მარიამი ამ უამად არა სთმობდა და გენერალს თხოვდა, აწერს ისტორიკოსი, არ აჩქარებულყო და დაეტოვებინა ეგრე ცხედარი მეფისა, ვიდრე ქვეყანა არ დამშვიდდებოდა; გენერალი ლაზარევი კარგად ხედავდა დედოფლის აზრს; იცოდა, რომ სამეფოს გაუქმების გამოცხადების შემდეგ მეფის ცხედრის დატოვება თბილისში სახიფათო იყო. თბილისში კი საქართველოს შესახებ მანიფესტის გამოცხადებას იმპერატორი პავლე აჩქარებდა. ლაზარევი საამისო ზეიმი თებერვლის 16-სათვის დანიშნა. ამ დღისათვის მეფის ცხედარი, ყოველ შემთხვევაში, სატახტო ქალაქიდან უკვე წასვენებული უნდა ყოფილიყო; მაგრამ მარიამს, რომელს გვერდში უდგნენ სამეფოს ერთგულნი, სხვა და სხვა მიზეზის გამო მოუხერხებია, გიორგის წასვენება მცხეთისაკენ თებერვლის ოცისათვის გადაედო.

თბილისის სომხობამ, რომელიც აღფრთოვანებული შეეგება ამ ამბებს, მანიფესტის საქვეყნოდ გამოცხადებას (თებერვლის 16-ს) აღარ მოუცადა და თებერვლის 7-ს (1802 წ.) გადაიხადა საქართველოს სამეფოს მოსპობა და რუსეთთან შეერთების აქტი დიდი ზეიმით.

განსაკუთრებით შეძლებული ვაჭრობა და სამღვდლოება იყო აღფრთოვანებული ამ აქტით. იოსებ არღუთინსკი საგანგებოდ გამოეშურა თბილისისაკენ და ათი დღით ადრე დანიშნა სამადლობელი პარაკლისი, ვიდრე თბილისში სამეფოს შეერთება რუსეთთან გამოცხადდებოდა. ეს პარაკლისი სომხობამ ვანქის ტაძარში გადაიხადა. აქ მონაწილეობას იღებდნენ: არქიმანდრიტი, ასამღვმღვდელი-ტერტერა; პროცესიის წინ იმპერატორი პავლეს დიდი სურათი მიჰქონდათ, და მას მიჰყვებოდა მიტროპოლიტი, რომელსაც თავზე ედგა ვერცხლის ლანგარი, საქართველოს სამეფოს გაუქმების მანიფესტით. ვანქის

ტაძრის წინ იოსებ არღუთინსკიმ მთელი სომხობა, იქ მყოფი, რუსეთის ერთგულებაზე დააფიცა.

მარიამ დედოფლიანათვის და მთელი ხალხისათვის ის იყო ტრადედია, რომ გენ. ლაზარევი, მზაკვრული განკარგულებით, სწორეთ უნდა მიეღოთ მონაწილეობა ამ დამარხვისათვის გამართულ ზეიმზე... ეს ზეიმი მან სომხურ ეკლესიაში გადაახდევინა, როცა მეფე გიორგი მეფის ცხედარი ჯერ კიდევ სიონში ესვენა...

გაიარა კიდევ რამოდენიმე დღემ და ღენერალმა ლაზარევმა თებერვლის 16-ს მთელ ხალხს, ორთავ დედოფალთ, სამეფოს წარჩინებულთ და სამღვდლოებებს სიონის ტაძარში თავი მოუყარა; ტაძარს ირგვლივ შეიარაღებული რუსის ჯარის ალყა შემოარტყა და რუსულ ენაზე საქართველოს სამეფოს აღსრულების მანიფესტი წაუკითხა; ამის შემდეგ დამსწრენი დააფიცა რუსეთის ერთგულებაზე. იქ მყოფი მთელი ქართველობა და დედოფლები აღმფოთდნენ...

გენერალმა ლაზარევმა თავისი თავი მალე სამეფოს სამმართველოს თავჯდომარედ გამოაცხადა.

პეტერბურგის საიდუმლო ინსტრუქციის თანახმად, ის ჯარები, რომლებიც ქართველ მეფეს გარეშე მტრის წინააღმდეგ უნდა მიშველებოდნენ და არ მიეშველნენ, ეხლა მთლიანად შემოვიდნენ თბილისში, გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ; მათ სამეფო კარი კი არ უნდა დაეცვათ, არამედ მოესპოთ. ამ ჯარებს განაგებდა გენ. ლაზარევი და გაბედულად აცხადებდა, რომ იგი საქართველოს ტახტზე არავის აუშვებდა.

ამ დროს პეტერბურგში იმპერატორ ალექსანდრე პირველმა 1801 წლის სექტემბრის 12-ს, ახალი, ვრცელი მანიფესტი გამოაქვეყნა, რომლითაც საქართველო („გრუზია“) რუსეთის პროვინციად აღიარა. და ქართველ ერს მფარველობა დაპირდა; შემდეგ მან გენერალ კრონიგს და გენ. ლაზარევს მეტი ნდობა გამოუცხადა; საქართველოს ბედი საუკუნოდ გადაწყვეტილად აღიარა; ხოლო დედოფალ მარიამს საგანგებო რეპრეზენტით აუწყო, ყოველივე ეს ხდება ქვეყნისა და ბაგრატიონების საკეთილდღეობით. ალექსანდრე პირველმა ამ წერილს თან გააყოლა საიდუმლო ინსტრუქცია, რათა გენ. კრონიგსა და ლაზარევს ეხლავე აათანადო ზომები მიეღოთ დედოფალი მარიამისა, დედოფალი დარეჯანისა და ბატონიშვილების რუსეთს გადასასახლებლად, ყოველგვარი ქონების ჩამორთმევიით.

ეს მზაკვრული გეგმა ბაგრატიონთა განიარაღებისა, იმავე მტკიცე ხელს უნდა ჩაეტარებინა. ეს საქმეც იმავე გენერალ ლაზარევს მიენდო. გენერალმა ბაგრატიონებმა სასტიკი დევნა დაუწყო. ყველაზე უწინ კი დედოფალი მარიამი ამიოლო მიზანში და უმაგალითო შევიწროება მიაყენა; მან არამცთუ მარტო მამულები ჩამოართვა მას, არამედ უბრალო წისქვილიც კი არ დაუტოვა; დედო-

ფალს მისი შესაფერი ღირსება ჩამოაცალა და მისი სილატაკე და უმწეობა ქართველთა წინაშე ნათელჰყო. გენ. ლაზარევმა ესეც არ აკმარა. ბამბუს თათრები, რომლებიც დედოფლის მამულზე ცხოვრობდნენ, იმდენად აუჯანყა დედოფალს, რომ მისი შვილი კინადამ ცეცხლში ჩააგდეს. ამას გარდა, მარიამის მამას სამოურავო ჩამოართვა და სამსახურს გარეთ დასტოვა...

„ჩვენ არავისთვის არ გვითხოვია“, სწერს დედოფალი, „მაგრამ თქვენ ჩემს შვილს ორასი მანეთი დაუნიშნეთ და ხუთასი მე ჯამაგირად. დღემდე რაღაც ზარათებს გვაძლევს ლაზარევი, მაგრამ ფული კი არავისთვის არ მიუცია. ჩვენ იმას ვთხოვთ, წართმეული ქონება დაგვიბრუნდეს და ჯამაგირი არ გვესაჭიროება“-ო.

ხალხში ყოველგვარი უკმაყოფილება ამოსაფხვრელად, სწერს გენერალი ლაზარევი პეტერბურგს, ერთადერთი სწორი გზა არის საქართველოს დასამშვიდებლად, ბაგრატიონთა ჯვარის მთლიანად ჩრდილოეთს გადასახლება. ვიდრე ისინი აქ იქნებიან, არეულობას ბოლო არ მოეღებო... ამ უხეში პოლიტიკა შედეგი ის იყო, რომ გენ. ლაზარევმა და კრონიგმა სულ მალე მთელი ქართველი ერი რუსეთის წინააღმდეგ დაირაზმა.

რუსთა მმართველობისათვის ერთი წელიწადი საკმარის იყო, რომ ყველას აშკარად დაენახა მისი დამპყობლობითი პოლიტიკა; მისი ერთმორწმუნეობა - მფარველობა აღარავის სჯეროდა. ძველი კანონ-წესი და ადათი, სწრაფი მართლმსაჯულობა იშლებოდა, იღვევებოდა და ფეხს იკიდებდა უცხო, ბიუროკრატიული და ანგარებით სავსე კანონი, მმართველობა და სამართალი. ქართული ენა და ყველაფერი ქართული იღვევებოდა. არც თავად-აზნაურების და არც გლეხობის მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა. წინააღმდეგ: ახალი ბეგარა და უღელი ყველას უფრო მძიმედ დააწვა კისერზე.

„რუსთა შემოსვლამო, წერს თვით რუსი ისტორიკოსი დუბროვინი, ძველი ურთიერთობა შეარყია და გამეფდა თვითნებობა, თავგასულობა და სრული დესპოტიზმი. ამას ზედ ერთვოდა თავაშვებული მექრთამეობა და გარყვნილება“-ო და სხვა.

ამ შერყეული ურთიერთობის ნიადაგზე შემოჭრილი სავაჭრო კაპიტალი წელნელა იკიდებდა ფეხს და ია არა ქართველ ელემენტებს უვარდებოდა ხელში. მატერიალურ შევიწროებასთან ერთად პოლიტიკურმა და ეროვნულმა დევნამ საკუთარ ქვეყანაში, ქართველთა ყველა წრეს თვალი აუხილა. ის მშვიდობიანობა, რაც მეფე გიორგის აზრით, რუსებს დაღლილი ქართველობისათვის უნდა მიეცათ, ყინულზე დაწერილი აღმოჩნდა. რუჟეთი ეხლა ქართულ საომარ ძალებს და მატერიალურ მარავს თვით იყენებდა იმავე მეზობელ სამაჰმადიანო ქვეყნების წინააღმდეგ. ითუ წინათ ქართველი საქართველოსათვის

იწირებოდა, ეხლა კი რუსეთის იმპერიის მიზნებისათვის იხსოვებოდა...

რუსეთი თავის მანიფესტში ქართული სამეფოს გაუქმების მიზეზად ტახტის ირგვლივ ატეხილ უთანხმოებას ასახელებდა, მაგრამ დღეს ეს ორივე ფრთა შეერთებული იყო და ორივე დედოფალი და ყველა ბატონიშვილი შეთანხმებული იყვნენ რუსეთის საწინააღმდეგოდ. ისინი ერთხმად მოითხოვდნენ სამეფოს აღდგენას და 1783 წლის ტრაქტატის ცხოვრებაში გატარებას.

მეფე გიორგის „თხოვნითი პუნქტები“ ხელმოუწერელი და დაუმტკიცებელი დარჩა. მაშ მხოლოდ მეფე ერეკლეს ტრაქტატით უნდა განსაზღვრულიყო რუსეთ - საქართველოს ურთიერთობა. ეს ტრაქტატი გახდა ეხლა სამეფო ოჯახის მიზნად და მის ირგვლივ დაირაზმა მთელი ქართველობა.

ბაგრატიონთა გაერთიანებული ფრონტი ჩაუდგა სათავეში 1802 წლის ამბოხებას. დარეჯან და მარიამ დედოფალნი გახდნენ ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელნი. გენ. ლაზარევი ამაზე პეტერბურგს სწერდა: „თვით მარიამ დედოფალი მათთან არის (ესე იგი, შეთქმულებთან) და რუსეთის ერთგულთ ყოველგვარად სდევნის“-ო. „თავადაზნაურთაგან“, წერს იგი მეორე ადგილზე, „რუსთა მომხრე მხოლოდ უმცირესი ნაწილია დარჩა, მაგრამ აღარც ეს ნაწილია ჩვენთვის სახლო“-ო.

პეტერბურგმა აჯანყების ჩაქრობაც გენ. ლაზარევს მიანდო; ამანაც ჩვეულებრივი სისწრაფით მიიტანა იერიში. და 1802 წლის აჯანყება ცეცხლითა და მახვილით ჩააქრო. მან მრავალი განუკითხავად დააპატიმრა და გადასახლა. სასჯელს ვერც ბოღბელი მიტროპოლიტი გადაურჩა. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ გენ. ლაზარევმა ხელი მიჰყო მის ხელმძღვანელთ. მან დედოფალთა გადასახლება მოითხოვა. სწორეთ ამით აიხანება, რომ რუსეთი განმეორებით „პატიუბდა“ დედოფლებს პეტერბურგს მისასვლელად და ამით გარდა ბატონიშვილთაც იწვევდნენ. ეს საქმე არც ისე ადვილი გამოდგა, რუსეთს რომ ეგონა. ის ფუფუნება, მდიდრული ცხოვრება, დიდი პენსიები, ორდენები, რუსეთის მთავრობა ქართველთა რომ პირდებოდა, მარტო ზიზღს იწვევდა, დედოფლებისას და ბატონიშვილებისას განსაკუთრებით. დედოფლები იდგნენ მტკიცედ და იმპერატორ ალექსანდრეს მიპატივებაზე ცივი უარით უპასუხეს: „აკუთარს ქვეყანაში შემოიღოს არჩევდნენ. მათმა ამ სიმტკიცემ მთავარმართებელი კრონინგი შეაფიქრა და ქაღილი სისრულეში ვერ მოიყვანა.

რის ვიავგლახით ჩააქრო რუსეთმა 1802 წლი ამაოხება და ეხლა რომ დედოფალთ შეურაცხყოფა მიაყენონ, პეტერბურგს ძალით გააგზავნონ, შეიძლება მათმა ერთგულმა ხალხმა კვლავ აჯანყება მოაწყოსო; ამიტომ გენ. კრონინგი იჩენდა მერყეობას და აღარ უჯეროდა გენერ.

ლაზარევის დაქინებით მოთხოვნას, რომ დედოფალი გადასახლება ძალით მოეხდინათ.

გენ. კრონინგი იმპერატორს მოახსენებდა: დედოფლები არას გზით აქედან დაძვრას არ აპირებენო. დარია (ესე იგი: დარეჯანი) იხიტომ, რომ მუხუცი ვარო; ხოლო მარიამს კი არ სურს კავშირი გაწყვიტოს თავის ახლობლებთან, თავის სამშობლოსთან; ურჩევნიათ გაჭირვებაში დალიოხ სული საქართველოშიო, ვიდრე ფუფუნებაში ცხოვრება უცხო მხარეშიო.

გენ. კრონინგს სხვა ხერხისათვისაც მიუძმართავს: მას შეძდეგ, რაც დედოფალს ქონება და ყოველი სახსარი ჩამოართვეს და ხივთიერ გაჭირვებაში ჩააყენეს, წინადადება მისცეს შვილები მაისც პეტერბურგში აღსაზრდელად დაენებებინა; ამით მაისც ხუ. დაუკარგავთ იმპერატორი ალექსანდრეს წყალობასო. მაგრამ დედოფალთან ვერც ამ ხერხმა გასჭრა. შვილებიც უნდა ქართველ ხალხთან უნდა დარჩნენო. იმ დევანაში და გაჭირვებაში იცხოვრონ, როგორც დანარჩენები ცხოვრობენო...

„დედოფალმა მარიამმა, — წერს გენ. კრონინგი პეტერბურგს, — რომ თავისი მცირეწლოვანი შვილები რუსეთს წარგზავნოს, სადაც ისინი განსწავლულნი იქნებიან კეთილი აღზრდით, განაცხადა, რომ ის თავის შვილებს ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოიცილებს-ო. ყველა ეს ამბავი იწვევს ხალხში აღელვებას და ამიტომ მოგმართავთ უქვეშევრდომილესი თხოვნით, დამართოთ ნება, სიფრთხილით დავაპატიმრო“-ო.

მაგრამ ეს უკვე გვიან იყო. პეტერბურგის მთავრობის მოთმინების ფიალა აივსო: დედოფლის დატოვება სატახტო ქალაქში, როცა საქართველო შეერთებულად იყო გამოცხადებული რუსეთს სახიფათოდ მიჩნდა; გენ. კრონინგმა იმედი ვერ გაუშართლა იმპერატორ ალექსანდრეს და მან ახალი უფრო მტკიცე და მაგარი მთავარმართებელი გამოაგზავნა. ეს იყო კაცი ქართული გვარით და რუსული სულით, ბაგრატიონთა დიდი მტერი... ეს იყო გენ. ციციანოვი, რომელმაც რუსეთის იმედები გადაჭარბებით გაუმართლა იმპერატორ ალექსანდრეს და იგი საიდუმლო ინსტრუქციებით თბილისისაკენ გამოქანდა.

გენერალ ციციანოვის თბილისის ჩამოსვლის დღიდან იწყება მძაფრი და ტლანქი შეტევა ბაგრატიონთა წინააღმდეგ. გენ. ციციანოვი აავსებით იზიარებს გენ. ლაზარევის უხეშ გეგმას. ლაზარევი ბედნიერია, რომ მთავარმართებელ ციციანოვის განკარგულება მისი ცულის ნაღებს უთანხმდება. ახლა მთავარმართებელი არავითარ სიფრთხილეს და ზრდილობას აღარ მოითხოვს ამ „გაუქმებულ“ დედოფალთა და ბატონიშვილთა წინაშე... გენ. ციციანოვის აზრით, პირველი მაგარი იერიში უნდა მიტანილიყო მემკვიდრე დავით ბატონიშვილზე; მას უნდა დაეწყო გადასახლება ეკლიან გზაზე სვლა. შემდეგ მას განკვირვებულნი დედოფლები მიჰყოლოდნენ. გენ. ლაზარევის

რევის ძველ გეგმას გენ. ციციანოვის სწრაფი სანქცია სჭირდებოდა. გენ. ლაზარევმა ერთი დაკვირით, სულის მოუთქმელად ჩაატარა თავისი სანუკვარი გეგმა. მან ბატონიშვილი დავითი და ვახტანგი 1803 წლია თებერვლის 19-ს რუსეთს გადასახლა. ჯერი მარიამ დედოფალზე მიდგა. გენერალი ლაზარევი უკვე ზეიმობდა. მთავარ-მართველმა გენერალ ციციანოვმა დედოფალ მარიამს აუწყა, რომ იმპერატორის მიერ იგი მიპატიუებულია და პეტერბურგს გამგზავრებაც საჩქაროდ უნდა მოხდესო.

დედოფალ მარიამს კარგად ესმოდა ამ მიპატიუებია ნამდვილი შინაარსი. ის შეეცადა ამ ახალი მთავარმართველის გული როგორმე მოეღბო და მას მისწერა: — „ეს არის მოხსენება ჩემი: როდესაც განავენებულმან მეუღლემან ჩემმან ინება შევრდომა საფარველსა ქვეშე რუსეთისასა, მაშინ იყო აზრი მისი ჩემთვის და შვილთა ჩემთა ცხოვრებისათვის ამასვე მამულაა და ჰაერსა შინა, და თუ სხვასა უცხოსა ქვეყანასა შინა შესაძლებელ ყოფილიყო ცხოვრება ჩვენი, ჰქონდა დრო ყოველთვის და იქნებოდაცა უადრეს გარდაცვალებისა თვისისა... თუ ითხოვა ვინმემ წაავლა თვისი როსიად, ესე სამართალ და ნება მოხოვნელისა არს... მიმიღეს პატივი სახლისა ჩემისა, მომტაცეს ნიშანი მეუღლისა ჩემისა, შეურაცხვეს ზვილნი ჩემნი, დააყენეს მამული შვილთა და სხვანიცა მრავალნი, დამაკლეს საცხოვრებელი ჩემი და ამაებისა საკუთნებელად არა ვინებე წარსვლა წინაშე იმპერატორისა და აწ სიკვდილისა თვის ჩემისა და მცირე შვილთა ჩემთასა, ვითარ შეიძლება წარსვლა ჩემი...“

„ესე არს დღე პატიოსნებია, რათა სახლი დამდაბლებული არა აღისპოს; ვიცი ბედნიერება მომავალი თავისა ჩემისა და კეთილ დღეობაცა ხელმწიფისაგან განსახლვრილი. მე თუმცა აქა გლახაკ და ცხოვრებისაგან დაკმაყოფილებული, მაგრამ შეჩვეულსა შინა ჰაერსა დღითი დღე განვაგრძელებ და სიცოცხლეა ჩემსა ესე მეყოფის ნუგეშად სიმდიდრესა და სამადლობელად ყოვლად უმოწყალებისა ხელმწიფისა, რათა მეც ღირს ვიქმნე საფლავსა თანა მეუღლისა ჩემისა დაფლვად, რომელიც მან აღრევე განმიმზადა და აგრეთვე ჩემთა შვილთაც... და უკეთუ ნებავს, აქაცა შემძლებელ არა, რომ წყალობით მომხედოს მეცა და ჩემთა შვილთაც და უკეთუ არ ინებებს აქა მოწყალებასა ჩვენსას, იყოს ნება ხელმწიფისა“—ო.

ეს დოკუმენტი დედოფლის მორალურ გამარჯვებაზე მეტყველებს! რა შეეძლო ეპასუხა ამაზე გენერალ ციციანოვს? რით უნდა გაებათილებინა ეს ბრალდებები?

ამავე სახის ბრალდებას უყენებს დედოფალი თვითონ რუსთა იმპერატორს იმ წერილში, რომელიც მას გაუგზავნა 1803 წლის თებერვლის 2-ს; დედოფალი იმპერატორს აგონებდა, რომ დიდი იმპერიის ბუერენს არ შეეგნოდა გუშინდელ დაპირებათა ასე ერთბაშად წაშლა და დასძინს: „მე აღთქმულ მფარველობას ველოდი და

ეხლა კი შეილებითურთ რუსეთში მიბარებთ, ვითომდა წყალობათა მისაღებად—“ო და უმატებს: „მე ვიცი, რომ შინა ვაქეთ ჩემი აქ დარჩენისა და გარწმუნებთ, რომ არც მე, არც ჩემი შვილები არ ვეძიებთ დაკარგულ ტახტს. მე მხოლოდ გთხოვთ, რომ ჩემი მეუღლის და მეფის უკანასკნელი სურვილი შემისრულოთ: სურვილი, რომ მე და შვილთა ჩემთა გვეცხოვრა ჩვენს ქვეყანაში, გვესუნთჭა ჩვენის ჰაერითა, გვესვა ჩვენი წყალი და ბოლოს მამა-პაპათა საფლავებ გვერდით დავფლულიყავით“—ო.

მაგრამ იმპერატორი ამ კეთილშობილ სიტყვას ყურს არ ათხოვებდა, საქართველოს მზის ჩასვენებას ბავრატონთა გაქრობაც თან უნდა მოჰყოლოდა და პირველ რიგში ყოფილ დედოფალთა.

გენერალ ციციანოვმა დედოფლის ქონებრივი განაღდება ბოლომდე მიიყვანა. მაგრამ მარიამ დედოფალა ვერც ამ ახალმა მატერიალურმა შევიწროებამ შეაცვლევინა თავისი ხაზი; წინააღმდეგ, ის ეხლა უფრო გაბედულად და ენერგიულად შეუდგა სხვა სამზადისს და თავის ერთგულთა სწრაფ მოქმედებისაკენ მოუწოდა. დედოფალი თუმცა მუდმივი ზვერვის ქვეშ ჰყავდათ აყვანილი ციციანოვს და ლაზარევს, მაგრამ აქამდე მაინც ახერხებდა შეთქმულება დიდი საიდუმლოებით შეენახა. მხოლოდ ვიწრო წრემ და ერთგულებმა იცოდნენ, რომ დედოფალს საიდუმლო ძაფები ჰქონდა გაბმული თუშ-ფშაგ-ხეგსურეთში თავაურელებთან და საერთოდ მთის ხალხთან, ამათ უნდა შეემზადებინათ დედოფლის თბილისიდან გაყვანა; მისი და შვილთა მისთა მთაში შეხიზვნა და ერთ დანიშნულ დღეს დიდი პოლიტიკური აქტის მოხდენა: მარიამის საქართველოს ტახტზე აყვანა და მეფედ კურთხევა. დედოფალი უნდა გამხდარიყო სულის ჩამდგმელი ამ ხალხური აჯანყებია რუსეთის წინააღმდეგ. მას უნდა მოეთხოვა იმპერატორისაგან ყველა დაპირების აღსრულება და თუ ამას ის არ იცნობდა მაშინ იმპერატორს საქართველო უნდა დაეცალა. ჯარები გაეყვანა. შემდეგ დედოფალი მაჰმადიან მეზობლებს თვით მოურიგდებოდა...

მაგრამ ასეთი შეთქმულების მომზადება, რასაკვირველია, დიდი ხნით ვერ დარჩებოდა საიდუმლოდ; ციციანოვს და მის დამჭაშებს მთლად ვერ გამოეპარებოდა ეს ამბავი მით უფრო გენერალ ლაზარევს, რადგან დედოფლის უახლოეს გარემოცვაში, მის სათავარ შტაბში სომეხი კალატოზიანი („აქტებით“ კალატოზოვი) ერია. ეს კაცი მალე გადაიბირეს ციციანოვმა და ლაზარევმა. მანაც დაიწყო ჯაშუშობა. გენ. ციციანოვმა ეხლა კარგად იცოდა, რომ დედოფალი მარიამი დროს მოგებას იცდილობდა; ამიტომ მან დედოფლის გამგზავრება ერთბაშად დააჩქარა და წასვლის დროდ მარტია სამი დანიშნა. იგი თავშეუკავებელის ნერვიულობით სწერდა დედოფალს:

„აკი მოგახსენეთ, რომ თქვენ რუსეთში მიიღებთ არა მარტო იმ შემოსავალს, რასაც აქ აიღებდით ჩამორთმე-

ული მამულებისაგან, არამედ მწყალობელი ხელმწიფი-საგან ბევრი მეტიც მოგეცემათ... ამიტომ თქვენი აღმატე-ბულების გამგზავნება, თანახმად ხელმწიფე-იმპერატო-რის მიპატიებისა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნას გადადებული. უნდა სწრაფად წაბრძანდეთ“-ო.

ამ დაჩქარებამ შეთქმულებიც დააჩქარა: მეტი ცდა აღარ შეიძლებოდა, სახიფათო გამხდარიყო.

დედოფალი მარიამის სიძემ, სარდიონ ასლან ორბელი-ანმა მთაში შიკრიკი აფრინა; უკვე დიდი ხანია სწარბო-ებდა რჩეულთა გაგზავნა - გამოგზავნა ფშავ - ხევსურებ-თან; იქედამ მოურავი ჩოლოყაშვილი ყოველ ნაირად აი-მედებდა დედოფალსა და ბატონიშვილ ბაგრატს. ამ რი-გად დედოფლის სასახლე შეთქმულთა შტაბად იყო გა-დაქვეული. აქ სარიდანთან ერთად სხვებიც ფიცს დებდ-ნენ ამ საიდუმლოს შენახვისათვის. დედოფლის დედამ ელენემ და თვით დედოფალმაც სხვა მხრივაც დაიჭირეს თადარიგი, თუ ვინცობაა დედოფალი და მისი შვილები თბილისიდან ვერ გავიდოდნენ და დედოფალს კრიციანო-ვი მინც გაგზავნიდა რუსეთს; ამ შემთხვევისათვის, რუ-სის ჯარს, რომელიც დედოფალს გააკილებდა, თავაუ-რელები თავს უნდა დასხმოდნენ და დედოფალი შვილე-ბითურთ გამოეხსნათ.

გენ. ციციანოვმა თავიანი აგენტი კალატოზისაგან უკანასკნელ წუთში ყველაფერი დაწვრილებით იცოდა, და იმ დაძესვე განკარგულება მისცა გენ. ლაზარევს:

„თანახმად ჩემდამი მოწეულ ცნობათა, თვით იმ პირ-თაგან, რომელნი შეთქმულობაში არიან, დედოფალი მა-რიამი და მისი ოჯახი და ბატონიშვილი ბაგრატი თბილი-სიდან გასვლას ღამობენ, რისთვისაც საჭირო სამზადისიც მოუხდენიათ. რათა აცდენილ იქნეს ასეთი გაქცევა შუა-გულ ქალაქიდან, რუსის ჯარის შერცხვენა, ვანდობ თქვენს აღმატებულებას სასწრაფოდ ისინი თქვენი თვალ-ყურის ქვეშ, იმავე წესით, როგორითაც თქვენ სახელო-ვნად წარგზავნეთ აქედან ვახტანგი და დაეითი“, წაიყვან-ნოთო.

გენ. ლაზარევი სისწრაფით შეუდგა ბრძანების ასრუ-ლებას. საჭირო იყო ამ „ყოფილი დედოფლის“ სრული განგვირგვინება მის დედაქალაქში. ეს „ვითომდა დედო-ფალი“ დაეჩოქებინა და უბრალო პატიმრად გაეხადა.

1803 წლის აპრილის 19-ს, რიჟრავზე რუს ჯარისკაც-თა და ოფიცერთა თანხლებით გენერალი ლაზარევი დე-დოფლის სასახლეზე ალყის შემოსარტყემლად მიდიოდა. სწორეთ ამ დღეს უნდა გამოეყვანათ დედოფალი ძალით. იმსხვერვოდა ყოველი იმედი; დედოფალმა ველარ აიტანა ასეთი შეურაცხყოფა, დაიცვა სამეფო და თავისი ღირსე-ბაც. „დედოფალია ბუნებაში, — წერს ისტორიკოსი, — დიდი ხნის დაგროვილმა ბრახმა იფეთქა“-ო. თვით გენე-რალი ტუჩკოვი წერს: „დედოფალს ჰქონდა მიზეზი აღ-შვოთებული ყოფილიყო ლაზარევის წინააღმდეგ იმ და-

მკირებათა გამო, რაც ლაზარევი მას მიაყენებდა. დედოფალის მიერ გენ. ლაზარევის მოკვლის ამბავი მრავალნაირადაა სხვა და სხვა წყაროში მოხსენებული: ზოგან მოკლედ, ზოგან დაწვრილებით, ზოგან მოკრძალებით. ამ მკვლელობის სურათს იძლევა „აქტ“-ებში და-ცული დამსწრეთა ჩვენება და გენერალ ციციანოვის პი-რადი მოხსენება იმპერატორისადმი.

„არა ერთხელ მივიღე ცნობები, — სწერს გენერალი ციციანოვი იმპერატორს, — რომ დედოფალი მარიამი ძთელი თავისი ოჯახით და ბატონიშვილი ბაგრატი სხვა შეთქმულებთან ერთად ცდილობდნენ ეძიათ თავშესაფა-რი ხევსურეთში, აადაც კიდევ შერჩენიათ უდიდესი პა-ტივისცემა სამეფო ოჯახისადმი. თუმცა მე მთლად არ მჯეროდა ამ ხმებისა, რაც განუწყვეტლივ აღელვებს სა-ქართველოს, მინც ზომები მივიღე, რათა მათი მოქმედე-ბისათვის თვალი შედევნებინა. გუშინ კი საკომენდანტო პოლიციამ და სხვებმა, რომლებიც სათვალყუროდ დავ-ნიშნე, მაცნობეს, რომ ღამით 18-19-ს ამ თვისას დედო-ფალი მარიამი სრულის თავისი ოჯახით და ბატონიშვი-ლი ბაგრატიც აპირებენ გაქცევას თბილისიდან ავლაბრის კარის გავლით; ცხენები მათ შეკაზმული უდგნენ; ნივთე-ბი ჩალაგებული ჰქონდათ; უმცროსი შვილი წინდაწინ გაგზავნა; გაფრთხილებულმა დარაჯებმა ის არ გაუშვეს. ამის გამო განსაკუთრებული ბრძანება მივეცი გენ. ლა-ზარევს იმავე საღამოს, 10 საათზე დაეყენებინა დედოფ-ლის სასახლიათვის დარაჯები; თვითონ კი რამოდენიმე ოფიცერის თანხლებით შესულიყო დედოფალთან დარ-ბაზში და თავაზიანად განეცხადებინა, რომ დედოფალის განზრახვა უკვე გამოაშკარავდა და ხვალ დილით თბი-ლისი უნდა დასტოვოსო.

„აგრეთვე განკარგულება მივეცი გენერალ ტუჩკოვს, დაეპატიმრებინა თავის სახლში ბატონიშვილი ბაგრატიც. ყველაფერი ეს ისე უნდა მოხდარიყო, რომ ამას ხალხში მღელვარება არ გამოეწვია. სწორეთ იმ დილით, როდენ-საც ლაზარევი ხელმეორედ გამოუცხადა დედოფალს წასულიყო, ყველაფერი მზად იყო მის გასამგზავრებლად.

„დედოფალმა დაფარა რა შორეული ბრახი, ანიშნა გენერალს მიხლოვებოდა. სწორეთ ამ დროს დედოფალ-მა იძრო ხანჯალი კალთის ქვეშიდან და ჩასცა მას მკერდ-ში ისე მძლავრად, რომ გენერალმა რამოდენიმე წუთში დაღია სული. იმავე წამს მარიამის ასული, ბატონიშვი-ლი თამარი მივარდა ხანჯლით თბილისის პოლიციის უფ-როსს, მაგრამ მან აიცდინა ხანჯალი და დედოფალ მარი-ამს მოხვდა, რის გამო დედოფალი ხელში დაიჭრა. დე-დოფლის თბილისიდან გაგზავნის შემდეგ მის სასახლეში იპოვნეს მრავალი სხვა და სხვა სახის იარაღი და ტყვი-აწამალი, საიდანაც ვასკნით, რომ დედოფალს განზრახვა ჰქონდა შურისძიებისათვის რალაც არეულობა მოეხდინა. ამის შემდეგ ვუბრძანეთ გენერალ ტუჩკოვს წასახს და-

დოფალი და ბაგრატი სასტიკი თვალყურის დევნებით, გარეშე ყოველგვარი პატივისა, საჭირო ჯარის დახმარებით, ვლადიკავკაზის ციხეში, სადაც მათ მოხლოების კომენდანტი მიეგებება და მოხლოვამდე მიაცილებს. აქედან კი თავისი მხლებლებითურთ გაშვავებული იქნება ვორონეჟს... მე ვფიქრობ, თქვენი დიდებულება არ მოისურვებს ეს ბოროტი მკვლელი ჩამოვიდეს პეტერბურგს, რათა მანდ ეცადოს მიიღოს ნებართვა პირადად თქვენი ხილვისა. ამის გამო ის დარჩება ვორონეჟში, გუბერნატორ პუშკინის განკარგულებაში“-ო.

ამავე დროს გენ. ციციანოვმა მიმართა გუბერნატორ პუშკინს ცნობით, გენერალი ლაზარევის მოკვლისა და დედოფლის გადსახლების შესახებ. და თხოვა იყოლიოს განსაკუთრებულ მეთვალყურეობაში. ამასთანავე ციციანოვი მას აფრთხილებს: არც ერთ დედოფლის მხლებელს არ ჰქონდეს არავითარი იარაღი. რაც დედოფალს, შეეხება, — ურჩევს იგი გუბერნატორს, — განსაკუთრებით მას თვალი უნდა ადევნოს და უბრალო დანაც კი არ გააკაროთო, რადგან მან მხეცურდ დაჰკლა გენ. ლაზარევი და ასეთი რამ კიდევ მოსალოდნელია კომენდანტს შეემთხვესო. ასე აწერს გენ. ციციანოვი მას: ქამის დროს არ მოხვდეს დედოფალს ხელში დანაო.

საყურადღებოა თბილისის კომენდანტ სააკაძის პატაკი, რომელიც მან 22 აპრილს წარუდგინა მთავარმართებელს: —

„19 ამ თვეს, — სწერს სააკაძე, — თანახმად თქვენი განკარგულებისა, დილით ექვს საათზე მივიდა გენ. ლაზარევი მარიამის სასახლეში, განდევნა რა მან იქიდან ყველა ქართველი მოსამსახურე, დედოფლის კართან რომ იღვწენ, ჩემთან, ოფიცერ იაკიშვიტთან, კარაჩევთან, ხრუსტალევსკისთან, ნაცვალ სურგუნოვთან, კრიშოვთან ერთად შევიდა დედოფლის საწოლ ოთახში და გამოუცხადა მიზეზი მისი მისვლისა. ლაზარევიც ამაზე მკვეთრი და გადაწყვეტი პასუხი მიიღო: დედოფალს წასვლა არ სურდა. ლაზარევიც უბრძანა კვარტირმეისტერ სურკოვს, ქართლის მკოდნება, როგორმე დაეწმუნებინა დედოფალი, ხოლო თვითონ ჩემთან და სხვა ოფიცერებთან დარჩა. გამოვედი, რათა შესაფერისი განკარგულებანი მოგვეძიებინა დედოფლის ძალით წასაყვანად. ამავე დროს მოჰანდო მე ლაზარევიც გამერევა ხალხი, რომელაც ცხოვისმოყვარეობით შეპყრობილი, გროვდებოდა დედოფლის სასახლესთან. როგორც დარწმუნებით გავიგე, სწორეთ ამ დროს, როცა კვარტირმეისტერ სურკოვმა დედოფლისაკენ მიიწია, ბატონიშვილებმა ჯიბრაილმა და თამარმა ინიშვლეს კალთის ქვეშ დამალული ხანჯლები და დაერივნენ სურკოვს და სხვებს, იქ მყოფთ, დარჩაზიდან გამოაღწიანო. გენერალი ლაზარევიც ამ ხმაურობაზე ხელახლა გაექანა ოთახისაკენ, მიუახლოვდა თავის საწოლზედ მჯდომ დედოფალს, რათა მას შეთავაზებინა და დაეტოქ-

სა შვილები გაუგონარი თავხედობის გამო. აი, სწორეთ ამ დროს დედოფლის ხანჯლით მიიღო გენერალმა მარცხენა მკერდში ჭრილობა; ეს ხანჯალი დედოფალს საბნის ქვეშ ჰქონოდა დამალული. ჭრილობის მიღუბასთანავე ლაზარევიც ოთახში ერთი გაიბრინა და იქვე კართან უსულოდ დაეცა. ხოლო დედოფალმა კვლავ აღმატა ხანჯალი იმ განზრახვით, რომ რომელიმე იქ მყოფი მოხელეთაგანი განეგებინა; მაგრამ ნაცვალმა მიკიიტოვმა სურგუნოვმა ააცდინა რუსის ოფიცერებს ახალი უბედურება. მან ფაფახი ხელზე წაიხურა და ამნაირად წაავლო მარჯვენა ხელი შიშველ ხანჯალს და გამოსტაცა ის დედოფალს; ამ დროს ბატონიშვილმა თამარმა, რომელიც საცხებით გონება-არეული იყო, შიშველი ხანჯლით მივარდა მათ და სწაღდა დედის განიარაღებისათვის ხელი შეეშალა; ამ დროს შემთხვევით დასჭრა მან დედოფალი. დედოფალმა მაშინვე წაავლო ხელი თამარის ხანჯალს, რათა, როგორც განაცხადა, თავისი ხელით მოეკლა მიკიიტოვმა სურგუნოვიც, მაგრამ უეცრივ ხანჯალს ხელი შეაჭრა და ხელმეორედ იქმნა განიარაღებული“... და სხვა.

დანარჩენი ოფიციალური და არა ოფიციალური წყაროებზე, ამ ამბავს რომ მოგვითხრობენ, ვეღარ შევჭირდები. ვიტყვი მხოლოდ, რომ საქართველოს უკანასკნელი დედოფლის ამბავმა მაშინდელი ევროპის პრესის ყურადღება მიიქცია.. არც ამ ამბავს გავყვებით. აღვნიშნავ მხოლოდ ფრანგ მოგზაურის როტიერ-ის წერილს, რომლითაც შემდეგ სხვა მწერლებსაც უსარგებლიათ. მაგალითად გერმანელ მწერალს იოჰანე ვილელს.

„დილით ადრე, — წერს როტიე, — ლაზარევი დიდი ამბოხ დედოფალთან მივიდა და უცებ მის საწოლ ოთახში შევიარდა; დედოფალს არ ეძინა და ფეხმოკეცით იჯდა ხალიჩებით მორთულ ტახტზე... გარშემო ტკბილად ეძინათ მის შვილებს. ესენი სულ პატარები იყვნენ. ლაზარევიც, თარჯიმანის პირით, გამოუცხადა დედოფალს: ადექით, უნდა წამოხვიდეთო. დედოფალმა წყნარად მიუგო: რად უნდა ავდგე ასე უეცრად! ხომ ხედავთ, ბავშვებს სძინავთო. ან ვინ მოგცათ ასეთი საჩქარო ბრძანებო? ლაზარევიც უპასუხა ციციანოვმაო. — ციციანოვი ცოფიანი... ბრახით თქვა დედოფალმა. ამ დროს დედოფალმა, ვითომ დასაყრდნობად, მუთაქა მუხლებზე დაიდო, მის ქვეშ მან დამალა მეფის ნაქონი ხანჯალი. ლაზარევი რაკი დარწმუნდა, რომ დედოფალი თავისას არ იშლიდა... ტახტს მიუახლოვდა და რა დაინახა, რომ მუთაქის ქვეშ დედოფალს ცალი ფეხი უჩანდა, დააპირა ამ ფეხში ხელის წაღება და ტახტიდან ძალით გადმოთრევა... დედოფალი მყის ტახტზე წამოვიარდა, ხელში ხანჯალი ეპყრა, რომელიც ისეთი ძალით ჩასცა ლაზარევის მარცხენა მკერდში, რომ ხანჯლის წვერი მეორე მხარეს გამოჩნდა; გამოაძრო რა ხანჯალი, სიბრტყით პირისახეში შემოჰკრა. და შესძახა: „ამგვარი პასუხის ღირსია ის, ვინც გაბედა და

ჩემს უბედურებას შეურაცხყოფაც ზედ დაურთო“-ო. ლა-
ზარევი იქვე დაცა და სული დალია. მის ერთ დაყვირე-
ბაზე თარჯიმანმა სოროკინმა (ნამდვილად: კაჭკაჭოვმა,
რომელიც ტომით სომეხი იყო) ხმალი იძრო და რამოდენ-
ჯერძე დაპკრა დედოფალს მარჯვენა ხელზე. ერთი ღრმა
ჭრილობა მხარზე მიატოვა; ხმაურობაზე დედოფლის დედა
ელენე გამოვარდა; რა დაინახა სისხლი, მივარდა დედო-
ფალს, გულში ჩაიკრა ; მთელი სახლი სისხლით გაივსო.
თოფის კონდახებით სცემეს მარიამს; ის დედა გამოვლი-
ჯეს, მთლიანად გასისხლიანებული გარეთ გაიყვანეს და
ეტლში ჩასვეს. თბილისიდან დედოფალს გარს ერტყა
დიდძალი ჯარი კავკასიის იქითა მხარეშიც. მთელ გზაზე
გამოდოდნენ ქართველები და ეგებებოდნენ დედოფლის
ეტლს. ყველა ცრემლის ღვრით უცხადებდა მწუხარებას
იმის გამო, რომ მას სამშობლოდან ასახლებდნენ. დე-
დოფლის ერთმა ძემ ირაკიმ წყალი ითხოვა. ერთმა ქარ-
თველმა მას ის მიაწოდა. ჯარისკაცმა წაართვა მას ქურ-
ქელი და გადაუგდო“.. და სხვა.

გამცილებელ რუსის დიდ ჯარს თავაუბრელები მანც
თავს დაეხსნენ, მაგრამ ვერაფერი მოახერხეს და უკან და-
იხიეს. გენ. ტუჩკოვის ჯარი სამშვიდობოში გავიდა...

დედოფალი საგანგებო წერილს უგზავნის არა-„ყოფი-
ან ციციანოვს“, არამედ სააკაძეს და მას სწერს:

„არც მე, არც ჩემი მსახურნი და არც სხვა დაპატიმრე-
ბულნი არა ვართ დამნაშავენი. ამიტომ ვითხოვ ყველა
დაპატიმრებული გამოუშვათ. მოიხმოთ ისინი და მასთან
ჩვენი მსახურნი და გამოუცხადოთ, რომ ვინც კი მათგანი
მოინდომებს ან გადასახლებაში თან მეახლოს, ან გამო-
მეშვეილობოს, მიეცეს ეხლავ ამის ნება. ამას გარდა ვით-
ხოვ გამომიგზავნოთ ჩემთან მოხუცი ლეკი მოსე, რადგან
შემდეგ მას არავინ პატრონი და მიმხედავი არ ეყოლება
და ვინმემ ვალი ემართოს ჭაისტუმრე ჩემი თანხებიდან“.

ეს იყო დედოფლის კეთილშობილური ზრუნვა უმწე-
ოდ დარჩენილებზე. თავისთვის დედოფალი არაფერს ით-
ხოვდა: სამშობლოს გარეთ, გადასახლებაში მისი პირადი
სიცოცხლე უაზრო ხდებოდა.

რუსეთმა ამ შევიწროებულსა და დევნილ დედოფალს
უკანასკნელი სასახლეც ჩამოართვა. „თანახმად თქვენი
თხოვნისა, — სწერს ციციანოვს მინისტრი, — ან თქვენ
მოიხმარეთ საცხოვრებლად, ანდა თქვენი სამმართვე-
ლოსთვის“-ო.

დედოფლის მოგზაურობაზე მოხლოებიდან ვორონე-
ჟამდე აქ ველარ შევჩერდებით. ვიტყვი მხოლოდ, რომ 19
აპრილიდან 12 ივნისამდე დედოფალი მხლებლებითურთ
გზაში იყო. 12 ივნისს ჩაბარეს იგი ვორონეის გუბერნა-
ტორს პუშკინს. აქ დედოფალს დახვდა იმპერატორის
ბრძანება სწორეთ ისეთი, რაც ციციანოვს სწავდა. დე-
დოფალს უცხადებენ, რომ ის ვერც პეტერბურგსა და
ვერც მოსკოვს თავის შვილებთან და მახლობლებთან ვერ

დაიდებს ბინას; რომ ის უნდა წაიყვანონ ბელგოროდს,
დედათა მონასტერში, მოსანანიებლად უდიდესი ცოდვი-
სა. დედათა მონასტერში უნდა მოეთავსებინათ დედოფ-
ლის ასული თამარ, რომელმაც მოიწადინა მოეკლა თბი-
ლისის პოლიციის უფროსი. რაც შეეხება სხვა მხლებელთ,
ისინი დედოფალს უნდა ჩამოშორებოდნენ. და გაპყლო-
დნენ ბატონიშვილ ბაგრატს, რომელსაც სადგომად მოს-
კოვი მიუჩინეს.

საყურადღებოა: ამ მხლებლებიდან არავის არ სურდა
დედოფალს ჩამოშორებოდა, გარდა ერთია და ყველანი
გაპყენენ ბელგოროდში, დედათა მონასტერში და დე-
დოფალთან ტყვეობა ირჩიეს. დედოფალმა ერთხელ კი-
დეც მოიკრიფა ძალა და მიმართა იმპერატორსა თხოვნით:
შიეცათ მისთვის ნება ეს გადასახლების დრო შვილებთან
და ბატონიშვილებთან გაეტარებინა. დედოფლის დედამ,
ელენემაც ამგვარივე თხოვნით მიმართა იმპერატორს;
მისმა შვილებმაც, მაგრამ პეტერბურგმა არც ერთის ვედ-
რება არ შეიწყნარა. დედოფალი თავისი 30 მხლებელით
სასწრაფოდ გადაგზავნეს ბელგოროდს, სადაც მათ 30 ივ-
ნისს ვხვდებით. დედოფალზე და მის თანმხლებელ პი-
რებზე, ბელგოროდში მათ ცხოვრებაზე მრავალი ცნობა
ნოგვეპოვება, მაგრამ ეხლა ამას არ შევხებით.

უნდა ითქვას, რომ დედოფალს თავისი ღირსება და სი-
ამაყე არ დაუგდია და მრავალი სახის პროტესტი გამო-
უცხადებია.

ახალი ხანა დედოფლის ცხოვრებისა მოსკოვის ქართ-
ველთა წრეში. ეს ხანა ბევრად ჰგავდა დანარჩენ ბატონი-
შვილთა ცხოვრების ხანას გარდახვეწილობაში. რუსეთის
მთავრობას აქ ისინი სასტიკ ზევრვის ქვეშ ჰყავდა, რათა
მას და მხლებელთ არავითარი რამ საეჭვო კავშირი არ
ჰქონოდათ საქათველოსთან.

ქართველ ხალხს უნდა სამუდამოდ გულიდან ამოეგ-
ლიჯა მისი ყოფილი დედოფალი. მიუხედავად სასტიკი
თვალყურის დევნებისა მოსკოვის და პეტერბურგის ქარ-
თველობა მანც ახერხებდა სამეფო სახლის ერთგულებ-
თან კავშირი გაებათ საქართველოში. ეს უმთავრესად
სამღვდელოების და ვაჭრების საშუალებით ხდებოდა,
რუსეთში რომ საქმეების გამო ჩამოდიოდნენ. ამ ვაჭართა
წრეში სომხებიც ერივნენ, რომელთაც რუსეთმა ბევრნა-
ირად გაუტრუვა იმედები. სომხების ამ ნაწილს სანანებ-
ლად განდომოდა ქართული სამეფოს დამხობა, რუსთა
ვერაგული მოპყრობა; დევნა ყველასი, მოხელეთა მეჭრ-
თამეობა. ხალხის ეკონომიური შევიწროვება და აუტანე-
ლი ბეგარა-გადასახადები, — ერთნაირად აწუხა ქართველ-
სა და სომხებს. საქართველოში ღელვა მატულობდა; ალე-
კანდრე ბატონიშვილი ერთგულთა რაზმით მის საზღვ-
რებთან იდგა და სპარსეთის დახმარებით რუსის გაძევ-
ებას ლაშობდა. 1812 წელს იგი კახეთში შემოიჭრა და დი-

დი ამბების დროშა ააფრიალა. ეხლა იყო ხელსაყრელი დრო: ნაპოლეონი რუსეთის გულში იჭრებოდა. დამარცხებული რუსული ჯარი უკან იხევდა. ამ დროს რუსეთს საქართველოსათვის აღარ ეცლებოდა და ალექსანდრე ბატონიშვილის ცეცხლებრივი მოწოდებები გაიჰმოდა მთაში და ბარში. მთელი მოწინავე ქართველობა იყო დარაზმული. ამ მოქმედების მსწრაფლ განვითარებას დედოფალი და ბატონიშვილები თვალყურს ადევნებდნენ და მწუხარებით ივსებოდნენ, რომ ასეთ დროს ასე შორს იყვნენ. მოსკოვში ნაპოლეონის შეჭრამ და საერთო არეულარეგამ ხელი შეუწყო დედოფალ მარიამს მოსკოვიდან გასულიყო თავისი მხლებლებითურთ. ამის გამო შიშით შეპყრობილი დიდი მოხელე კოზედაევი საქართველოს მთავარმართებელს რტიშჩევსკის აფრთხილებდა და სწერდა: დედოფალი და ბატონიშვილები ნიჟნი-ნოვგოროდში გადასულან და იქიდან ასტრახანისაკენ დაძრულანო განზრახვით, რომ საქართველოში შევიდნენო. ამასთან ზოგი უცხოელიც აპირებს მანდეთკენ გამოჭრას. დიდად შეწუხებული „ტაინი სოვეტნიკი“ ევედრება მთავარმართებელ რტიშჩევსკის არავითარ შემთხვევაში ისინი საქართველოში არ შეუშვას; არც გაქცეული უცხოელებიც.

საფიქრებელია, დედოფალს საქართველოში ჩასვლის იმედი ჰქონოდა და რომელიმე ბატონიშვილი ან წარჩინებული პირის დესპანად ნაპოლეონთან გაგზავნაც სურდა. მაგრამ მალე, ნაპოლეონის დამარცხებით ეს იმედიც ჩაიშალა. ხოლო 1812 წლის აჯანყება და ალექსანდრე ბატონიშვილის თავდასხმა რუსებმა მოშალეს, — ყველაფერი სიბნელეში ჩაახრჩვეს. ალექსანდრე ბატონიშვილმა, დამატებულია, დროშა დაკეცა. იგი სპარსეთში ჩარჩა. დედოფალი და ბატონიშვილები გზიდან დააბრუნეს. ამის შემდეგ დედოფლის დღეები გლოვამ მოიცვა.

ბატონიშვილებმა პოლიტიკურ მუშაობას თავი დაანებეს და ხელი მიჰყვეს ქართული ისტორიისა და კულტურის შესწავლას და მის სამსახურს. ისინი დაუღალავად სწავლობდნენ, სწერდნენ და იკვლევდნენ საქართველოს წარსულს; სწერდნენ გულსაკლავ ოდებსა და საერთოდ ლექსებსაც სიხზავდნენ. ამ შემოქმედებაში ეროვნული და პატრიოტული მოტივები იშლებოდნენ და მაშინდელმა ემიგრაციამ დიდი კვალი დასტოვა ჩვენ მწერლობაში: იოანე, დავით, თეიმურაზ, ბაგრატ, მირიან და სხვათა მუშაობამ, რომლის ცენტრი სამეფო ოჯახის უბუცესი მარიამი უნდა ყოფილიყო; მან მალე თავისი წვლილი შეიტანა ახალ პოლიტიკურ და ეროვნულ დარაზმულობაში. ამას მოჰყვა ცნობილი შეთქმულება 1832 წლისა, რასაც თავიდანვე მოსკოვის ბატონიშვილთა წრე ხელმძღვანელობდა, განსაკუთრებით მარიამის შვილები: მიხეილი და ოქროპირი. ერთ-ერთმა საქართველოში ჩასვლაც კი მოახერხა და თბილისში აჯანყების პირველი შტაბი შექმნა. ამ დიდ ამბავს დედოფალ მარიამში ერთხელ კიდევ განუ-

ცხოველებია იმედი საქართველოს აღდგენისა. ამ შეთქმულების მეთაურები კარგად იცნობდნენ დედოფალს და მასთან კავშირი არასდროს გაუწყვეტიათ. თბილისიდან აღფრთოვანებული ცნობები მოდიოდა; ახლოვდებოდა სანეტარო დღე; სიონის ზარებს „აშეფოს“ აღდგენა მთელი ქვეყნიერებისათვის უნდა ეცნობებინა. დედოფლის თვალს ძილი არ ეკარებოდა: ყოველ დღე ელოდა შიკრიკს თბილისიდან; მაგრამ იგი არ ჩანდა. თბილისში შეთქმულთა შტაბმა აჯანყება რამოდენჯერმე გადადო; ბოლოს შიშით შეპყრობილმა, ფალავანდიშვილმა თავის ძმას, აზილისის დიდ მოხელეს გაანდო და მან ეს ამბავი მთავრობას აცნობა. შეთქმულნი დაიჭირეს და დასაჯეს...

დედოფალი მარიამი დაიღალა, მოიქანცა. და მხოლოდ კულტურულ მუშაობას სულს უდგამდა. ის ამხნევებდა და ეხმარებოდა ქართველ მოღვაწეებსა და მწიგნობართ. დედოფლის მეცადინეობა ყველასათვის ცნობილი იყო. ამ სამსახურს რუსეთის მთავრობა ველარ უშლიდა მას. ეხლა დედოფალი საქართველოს სიმბოლოდ გადაქცეულიყო. მისი მორალური ძალა რუსეთმა ვერ დაამარცხა. დედოფალი ბოლომდე დაჩრჩა სასტიკი ზვერვის ქვეშ. ეს მაინც ხელს ვერ უშლიდა მაშინდელ მოწინავე ქართველებს, როცა რაიმე შემთხვევით, მოსკოვს მივიდოდნენ, პირადად ენახათ დედოფალი. იოანე ხელაშვილი, სოლომონ დოდაშვილი, რაზმაძე, პ. იოსელიანი, სულხან ბარათაშვილი არა ერთხელ სწვევიან დედოფალს და მოწინაებით იგი მოუღსმენიათ. ფრანგი მეცნიერი მარი ბროსიც მისი საპატიო ხშირი სტუმარი იყო. მუდამ ცრემლით აცილებდა მხახველთ და ეტყოდა: „ნეტავი თქვენ! ნახავთ ჩვენ მშვენიერ, საყვარელ ქვეყანას; ნეტავ ოდესმე მელირსოს ვიხილო მისი შვენება და მამა-პაპათა საფლავებსა თაყვანი ესცე და მელირსოს განსვენება მეფის გვერდით“—ო.

ბატონიშვილთა ცდა მოხუც მარიამს ეხლა მაინც მისცემოდა საწულებსა საქართველოს ხილვისა და იქ სამუდამო განსვენებისა, არ შეიწყნარა იმპერატორმა. დედოფალი უფრო და უფრო სუსტებოდა... ასეთი უძლური და მომაკვდავი ხომ აღარავისთვის უნდა ყოფილიყო საშიში? განა მისი საქართველოში ჩასვლა დიდი იმპერიისათვის, ამდენი ხნის შემდეგ, ასე სახიფათო უნდა ყოფილიყო? ეხლა ხომ ყველაფერი გათავებული იყო მოხუცი დედოფლისათვის?!

დედოფალმა ერთხელ კიდევ მიმართა ვედრებით რუსეთის მთავრობას: მისცეს ნება უკანასკნელად თბილისის ნახვისა... დედოფლის ამგვარმა ყოფამ ააღელვა მთელი მოწინავე ქართველობა და ჩაერია ამ საქმეში. ამ ჩარევამ იმოქმედა მთავარმართებელ ვორონცოვზე. ეს კაცი მტად ფრთხილ და მზაკვრულ პოლიტიკას აწარმოებდა ჯერ კიდევ გაუტეხელ, მებრძოლ მთის ხალხებთან, რომლებიც იარაღს არ ჰყრიდნენ დამწვევე ბრძოლას ეწეოდ-

ნენ რუსეთის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მას ქართველთა მორალური დახმარება მაინც ესაჭიროებოდა. ამით იაარგებლა ქართველობამ და ვორონცოვზე შესაფერი ვაგლენაც მოახდინა, რათა მას წამებული დედოფლის ბედი შეემსუბუქებინა. მთავარმართებელმა ვორონცოვმა კარგად იანგარიშა. მან იცოდა, რომ დედოფლის დღეები დათვლილი იყო; ის თბილისამდე ვერ ჩამოაღწევდა და თუ კი მივიდოდა იქამდე, ასეთი უძლური მოხუცი არავითარ საწინარეობას აღარ წარმოადგენდა. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ქართველობის ამ „წყალობით“ შიშობილი იქნებოდა და რუსეთის ერთგულს ვახდინდა. ეს ამ ყამად ხომ დიდად საჭირო იყო! მთავარმართებელმა ვორონცოვმა აგვისტოს 11-ს 1849 წლისა, მინისტრ პეტროვსკის მისწერა: „თანახმად ჩემი მოხსენებისა ხელმწიფესადმი დედოფალი მარიამის თხოვნაზე, რომ მას მიეცეს ნება დაბრუნებისა საქართველოში, რათა თავისი უკანასკნელი დღეები აქ გაატაროს და შემდეგ დასაფლავებულ იქნას განსვენებული მეთულე მეფის გვერდით, მათმა იმპერატორობით უდიდებულესობამ ინება შეწყნარებულ იქნას“.

მთავარმართებელი ვორონცოვი ანგარიშში არ შემცდარა. ქართველობას მან ვითომდა დიდი წყალობა დაანახვა, მაგრამ ეს „წყალობა“ ისეთი მზაკვრული დაგვიანებით მოხდა, რომ დედოფალს ამით სარგებლობა აღარ შეეძლო.

დედოფალი ავად გახდა. იცოდა მან, რომ მშობლიური ქვეყნის ხილვა მას აღარ ეწერა.

1850 წელს მარტის 28-ს თავისი ისტორიული ანდერძი დაწერა. ამ ანდერძით დედოფალი მოითხოვდა, რომ ის „წყალობა“, რასაც ის 47 წლის განმავლობაში ელოდა, მხოლოდ ეხლა მიიღო. სიკვდილის შემდეგ არ დაუკარგონ: მიცვალებულს მაინც აღირაონ და წაასვენონ საყვარელ საქართველოში და იქ ძველ სავანეში, თავის მეუღლესთან დაასაფლავონ. ეს იყო უკანასკნელი აქტი დედოფლისა, რომელს ეროვნულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ის თავის უფლებას სიკვდილის წინაც კი არ თმობდა!.. ორი დღის შემდეგ, მარტის 20-ს, დედოფალმა საუკუნოდ დახუჭა თვალები. ამდენი ხნით ბრძოლით დაღლილმა გულმა შესწყვიტა ძვრა...

მიცვალებული მართლაც აღარ იყო საწიში რუსეთისათვის და მან გადაჭარბებით შეასრულა დედოფლის ანდერძი. რუსეთის მთავრობამ დიდი ზეიმით გამოასვენა გარდაცვალებული დედოფალი მოსკოვიდან. ეს სამგლოვიარო დიდი პროცესია არ შენელებულა მცხეთამდე...

ქართველობა ნახევარი საუკუნის წინ დაპატარავებული დედოფალს ტირილითა და გოდებით მიაცილებდა რუსეთისაკენ. ამავე ერთგულებით და სიყვარულით შეეგებნენ ქართველები საქართველოს საზღვარზე წამებულ დედოფალს და მიაცილეს იგი მცხეთამდე; 1850 წლის ივნისის 17-ს ნაწამები დედოფალი გიორგი მეფის გვერდით დასაფლავეს. ქართველმა ერმა თავისი უკანასკნელი ვალი მოიხადა უკანასკნელი დედოფლის წინაშე...

თამარ პაპავა

დ. კიმერიძე

ახალი წელი

ყველა თქვენგანი დამიკოცნია,
ჩამომირთვია ქართულად ხელი,
და წრფელი გულით მომილოცნია
კარზე მომდგარი ახალი-წელი.

მისურვებია: ყველა კეთილი,
სიტკბო, სიამე, აღურიცხველი,
გაგხსნოდეთ გზები გადაკეტილი
ნატვრის, ოცნების ხელის შემშლელი.

არ დაგევიწყოთ მშობელი ქოი.
კვლავ ყოფილიყოთ მისი დამცველი,
და დაგეთურგნოთ ყოველი მტერი
თქვენი მოზურნე და დამძახველი.

მიზანი თქვენი დარჩეს საერთო.
მტკიცე, საბრძოლო, მარად უცვლელი,
თავისუფლების მზე სულს ჩაერთოს,
დალეწილიყოს ტანჯვის უღელი.

დე, თაობები — თაობებს სცვლიდეს,
ემატოთ ჯანი და სული გრძელი,
მომავლის გზებზე ურყევად ვლიდეს
სალი რწმენით და ქედით უხრელი.

ოჰ, მინდა ვნახო ზეზე ამდგარი
დედა სამშობლო სულ — სანატრელი,
თავისუფალი, შვებით დამტკბარი,
მარად უკვდავი და უძლეველი.

არას ვინაღვლებ; იყავთ, იხარეთ,
ვინც სად არსებობთ ახალი, ძველი,
ჩაგვრა წამება გეყოთ, იქმარეთ,
გეცოცხლოთ კიდევ ას-ასი წელი.

დ. კიმერიძე

სოზო, 29 დეკემბერი 1969 წ.

ვ. ნოზაძე

გამოგებანი ვეფხისტყაოსანისა

გამოგება — სიტყვის გარჩევით თქმაჲ, გინა დახვანჯული ძაფის გამოხსნა (გამორჩევა, გამორკვევა).
ს. ს. ორბელიანი

„ტანაჯორის“ გარკვევისათვის

„კავკასიონი“-ს მეოთხრემეტე წიგნის უკანასკნელ გვერდთა დაბეჭდვის დროს თბილისიდან მივიღე ბარათი. იგი მომწერა ერთმა ჩემმა ძველმა მეგობარმა ქალბატონმა და თავის წერილში, სხვათა შორის, „ტანაჯორი“-ს საკითხსაც ეხებოდა.

ვეფხისტყაოსანში ნათქვამია: „ბრუნავს ვითა ტანაჯორი“. ამ სიტყვის განმარტებას არა ერთი მკვლევარი შეეცადა და მათ შორის, მონა-მორჩილი. არ ვიყავი კმაყოფილი ამ სახელის განმარტებით, თუმცა უკანასკნელად, აკადემიკოს პროფესორ აკაკი შანიძეს ახსნასაც დავეყრდენი.

მიღებულ ბარათში ჩემთვის საყვარელი ქალბატონი, მოკითხვია და კეთილ სურვილთა გარდა, აღძრულ საკითხზე მწერდა —

„შემთხვევით ახალციხეში ყოფნისას ერთერთი საუბარის მოტანილ სიტყვაზე, ჯავახეთის მკვიდრმა შიამპო, რომ ძველად მესხეთ-ჯავახეთში ძალიან გავრცელებული იყო თამაში „ტანაჯორი“. დაწვრილებით ამიწერა იგი და მეც შეძლებისდაგვარად გადმოვცემ:

ცენტრში ძვეს მრგვალი ან ბრტყელი ქვა, სახელით — „ტანაჯორი“. მის სამ მოპირდაპირე მხარეს პატარა ორმოებია. ამ ორმოებს უკან დგანან ბიჭები ჯოხით ხელში. მეოთხე მხარესაც დვას ბიჭი, ისიც ჯოხით ხელში; მხოლოდ მის წინ ორმო არ არის; მეოთხე ბიჭი იწყებს თამაშს ჯოხის გაკვრით ქვა—„ტანაჯორ“-ზე, რათა ის ჩაადლონ რომელიმე ორმოში. ორმოსთან მდგარი ბიჭები ორმოს გამალებით იცავენ ტანაჯორისაგან და თავის მხრივ ჯოხის გაკვრით ქვა ტანაჯორს უკანვე ახეთქებენ. თამაში თანდათან ცხარდება და ქვა-ტანაჯორი განუწყვეტლივ მიხეთქ-მოხეთქებასა და ბრუნვა - ტრიალშია. მანამ, სანამ რომელიმეს ორმოში ჩაუვარდებადეს. უკანასკნელ შემთხვევაში ამ ორმოს მცველი ბიჭი ენაცვლება მეოთხე ბიჭს და თამაში თავიდან იწყება.

თუ ეს საკითხი დაგაინტერესებს, მისი დაზუსტება, მგონია, შეიძლება ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საშუალებით“-ო.

მადლობას მოვახსენებ საყვარელ ქალბატონს ამ ცნობისათვის. აღწერილი თამაშობა მაგონებს იმ თამაშობას, რომელსაც ბავშვობისას გულმოდგინეთ მივდედით საჩხერეში, და რომელსაც ვუსწოდებდით: „ლორობია“-ს.

იმედი მაქვს ამ საკითხს მიაქციეს ყურადღება თბილისელმა მკვლევარებმა.

რომანულისა დედისა

ჩემ წერილში „ათასი თვალი ნაშობი რომანულისა დედისა“ (იხილეთ „კავკასიონი“, წიგნი მე-11, გვ. 100-102) მკითხველს გავაცანი ყველა მასალა, რაც ნოვიპოვე ამ საკითხის გამოსარკვევად და შემდეგი მოვახსენე —

„როგორც გავიგეთ, ამბავი თვალმარჯალიტის დამდები „რომანულისა დედისა“, თუ „რომანულისა დედისა“, ჯერ კიდევ მიუკვლეველია და ამ მასალათა გასიჯვე რომ აღარავის დასჭირდეს, ამიტომ მოვიტანე ეს თქმულება - „ამბავნი“-მეთქი.

ერთმა პატივცემულმა ქალბატონმა თბილისიდან მომწერა: აქ უკვე გამოარკვიესო, რომ ვეფხისტყაოსანის რომანული არაბულ - სპარსული რომმანის-ს მიხედვით გაკეთებული ტერმინიაო: რომმან (ან რუმმან) არიან ბროწეული; რომმანი — ბროწეულებრი; მაგალითად: „მაყუთი რომანი“ — რომანული („ბროწეულებრი“) იავუნდი, საუკეთესო იავუნდი.

პატივცემულ მეცნიერ ქალბატონს მადლობას მოვახსენებ ამ ცნობისათვის და საპასუხოდ შემდეგს ვიტყვი: — არაბთა მეფე როსტევეანმა ნესტანსა და ტარიელს მიუძღვნა — „ათასი თვალი ნაშობი რომანულისა დედისა“ (შაირი 1558). ან სხვა თქმით: „რომანელისა“, „რომანულისა“, „დედლისა“.

თუ ამ სიტყვას „რომანულისა“ ვანემარტავთ სიტყვით „ბროწეული“, ან „ბროწეულებრი“, გამოდის, რომ ეს „ათასი თვალი“ ნაშობი ყოფილა „ბროწეულის მიერ“, ან „ბროწეულებრი“! ეს შეუსაბამოდ მიმაჩნია. ამ საკითხს ამგვარი განმარტება უფრო დახლართულად მაჩვენებს.

ვეფხისტყაოსანის ზოგ ხელნაწერში არის დასაარულს მიწერილი ერთი ლექსი, რომელში ნათქვამია: მე ვთქვი ქება თამარისა და ხმელთა შინა მნათისა, ვთქვი მათი ქება, მიზეზად მქონდა ქებისა მათისა, რომანულისა თვალისა, მის ბოლისა და სათისა... (კ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული ვტი. გვ. 293).

Djobadze's Lib

ამას გარდა, ნოდარ ციციშვილის „შვიდ მთიებ“-ში, (თბილისი, 1930 წ.) ნათქვამია:

ტახტი, თაჯი და გვირგვინი, ნაქმარი ოქრო-მყარითა, წითლითა იაგუნდითა, რომანულისა გვართა... (შაირი 586. გვ. 74).

„რომანულისა თვალისა“, „რომანულისა გვართა“ — უდგება ამას „ბროწეული“, ან „ბროწეულებრი“? საეჭვოდ მიმაჩნია.

ზენენი სამამაცონი

ფიქრადაც არ მომავლია საზღვაო, თუ სახმელეთო ომის თავდადასავალი შემესწავლა, — ამისათვის არც განწყობილი ვიყავი, მაგრამ ვეფხისტყაოსანის განხილვამ იძულებული გამხადა ზოგადად მაინც მას გავცნობოდი. არა მგონია საჭირო იყოს ამ საკითხის თავდადასავალი მოგითხროთ, მით უმეტეს, რომ ომი, რაც კაციობრიობა არსებობს, დღემდე შეუწყვეტელი არის. ამ ნარკვევში შევეხები მხოლოდ იმ საკითხებს, რასაც ვეფხისტყაოსანში ვხვდებით. აქ მხოლოდ ორ თავს ვბეჭდავ.

წავგრძელი და წავე გრძელად

ტარიელმა, თავის ვაზირთა რჩევით, გადაწყვიტა ხატა-ელთა წინააღმდეგ ომში ფრთხილად მოქცეულიყო. მაგრამ, როდესაც მან შეიტყო, ხატაელნი ღალატს მიპირებენო, აჩრია თვითონვე დაეწყო ბრძოლა. მეო — ქედსა რასმე გარდავადეგ, მინდორს მტვერი დავინახე; ვთქვი, თუ: „შოვა რამაზ მეფე; ჩემთვის უდგას თუცა მანე, (439) და ტარიელი განაგრძობს — ვუბრძანე ჩაკმა აბჯრისა ღალმან სიტყვითა ხაფითა; დავეკაზმენით საომრად ჯაჭვ-ჯავშანითა, ქაფითა; რაზმი დავაწყვე; მივკმართე, წავე დიდითა სწრაფითა...“

რამდენი მეომარი ჰყავდა თან ტარიელს? ჩვენ ვიცით, მას უჩიცივი ლაშქარი ჰყავდა, მაგრამ მთავარი ძალა მან უკან მოიტოვა, ხოლო სამასი მეგრძოლი მას თანეახლა. მათ ლაშქართაგან სამასნი კარგი მოყმენი ქველანი, თანა წამომყვეს, წა-ცა-ვე, დავყარენ სპანი ყველანი..., რომელნიც იმ გზითვე უნდა წამოსულიყვნენ, სადაც ტარიელს ევლო და — ახლოს მომდევდით, მიშველდით, გიხმობ, თუ მინდებ შევლანი (427).

როდესაც ტარიელი, თავისი სამასი თანამხლებელი მეომართა, რამაზ მეფის დიდ ლაშქარს მიუახლოვდა, ხატაველებმა — კვამლი შექმნეს, გამოვიდეს, თავნი ორგნით აქარავნეს, შექმნეს რაზმი მრავალ-კეცი, თუცა, ღმერთო, ვერა მავნეს (444). კვამლიანი ცეცხლის ნიშანზე რამაზის ლაშქარი, რომელნიც დამალულნი იყვნენ, სამალავიდან გა-

მოვიდნენ და თავნი ორგნით აქარავნეს, ანუ ორი მხრით ქარავანივით ორი კოლონით წამოვიდნენ. რამაზის მთელი ლაშქარი მრავალ-კეცად დაეწყო: მთავარი ნაწილი, ცენტრი ლაშქარისა და ორი მისი ფრთა, მარჯვენა და მარცხენა ფრთა. ეს ლაშქარი მრავალ-კეცი იყო, ესე იგი, ერთ რაზმს უკან მეორე, მესამე და შემდგომი რაზმი ედგა. მთელი ეს დიდი ლაშქარი დაეწყო ერთ ხაზზე და ტარიელის შეტევას მომზადებული უცდიდა, იდგა აუშლელად —

მათ უჩიცივი რაზმი ეწყო, წყნარად დგეს და აუშლელად.

საომრად ლაშქარის განლაგების ეს წესი ოდითგანვე ცნობილი არის.

ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ ომების შეახინშნავი პოემა და ცხადია, აქ ხშირად ვეცნობით ომის დიდებულ აღწერას და მხატვრულად დასურათებას, ოღონდ აქ ჩვენთვის საინტერესო არის მხოლოდ ომში სპარსულ ლაშქართა განწყობა და განლაგება ბრძოლისათვის. მაგალითად, როდესაც მეფე ფერიდუნი (ქართულად: ფრიდონი) მენუჩხერს (ქართულად: მანუჩარი) აგზავნის წინააღმდეგ სელმისა და ტურისა; ბრძოლის წინ ხდება შემდეგი განკარგულება: მეფე ლაშქარია მარცხენა ფრთას ჩააბარებს გერშასპს; მარჯვენას — სამს და კობადს, ხოლო ლაშქარის ცენტრს ხელმძღვანელობს სევრ მენუჩხერთან ერთად. 1).

მაშასადამე, აქ მთელი ლაშქარი განაწილებულია სამად: 1. მარცხენა ფრთა ლაშქარია, 2. მარჯვენა ფრთა და 3. ცენტრი, შუაგული მისი. შემდეგ იქვე ნათქვამია: „დახელოვნებულად გააწყლო მან ლაშქარი, მისი შუაგული და ორივე ფრთა“-ო. (იქვე გვერდი 134).

შაჰ-ნამეს განმამარტებელი, მკვლევარი ა. ა. სტარიკოვ ამ ლაშქრული წყობის გამო ამბობს: სამხარო გაყოფა საბრძოლო წესრიგისა იყო საფუძველი ტაქტიკისა ანტიკურ მსოფლიოშიც და შუასაუკუნეთა მანძილზეც; ფირდაუსის პოემაში გარკვეულობაა ლაშქარის ტაქტიკურ დაწყობაში; რაც დამახასიათებელი იყო სასანიდთა ხანისათვის, გადატანილი არის წინაისტორიულ მითოსურ დროშიო. (იქვე, გვ. 620).

ნოვზერისა და აფრასიაბის (ქართულად: აფრასიონი) ბრძოლაში: ნოვზერთან ერთად კარენს უკავია ლაშქარის შუაგული; მარცხნივ დგას ტელიმანის მეომარი შვილი; მარჯვნივ — შაპურ-ბუმბერაზი (იქვე, გვ. 293). ქაბულელი მეპრავი (ქართულად: მერაბი) — ერთ ფრთაზე; მრისხანე მეომარი გოსტეპემ — მეორეზე; კარენი — შუაში (იქვე, გვ. 335). ტუსმა გასწია თავისი მარჯვნივ მდგომი მხედრობით; გულდერზი (ქართული გოდერძი) იყო მარცხენა ფრთაზე; კავუსი — შუაგულში. (იქვე გვ. 400)

ლაშქარის განლაგება - ბრძოლისათვის იგივე წყობაა

განმეორებული გუდერძის, ჩოხვაძის და ვოროგინის ბრძოლაში (იქვე, გვ. 403).

არაბთა ლაშქარის გაწყობისა, ანუ განლაგების წესიც (ნობილი არის: 1. ცენტრი, 2. მარჯვენა ფრთა, 3. მარცხენა ფრთა, 4. წინა რაზმი, ანუ წინამბრძოლი, 5. სათადარიგო ლაშქარი, რეზერვი. ლაშქარის განწყობის ამ წესს ეწოდებოდა „ხუთ - წვერიანი“, „ხუთეული“ („ხამის“). კალღერია იცავდა ფრთებს და ისრის მსროლელნი უკვე თავიდანვე, მაჰმადის დროიდანვე, ცალკე ერთეულს წარმოადგენდნენ. 2).

როგორც აღვნიშნე. — ამბობს გერმანელი მკვლევარი ალფრედ ფონ კრემერ, — არაბთა ლაშქარის განლაგება-გაწყობა იყო ხაზისებური; ლაშქარი დგებოდა ერთ ხაზზე, რომელს მოსდევდა მეორე ხაზი და ასე შემდეგ. ლაშქარის მთავარი ნაწილი იყო ცენტრი, მარჯვნივ და მარცხნივ უდგნენ „მემარჯვენენი“ და „მემარცხენენი“, ხოლო მთელი ამ ლაშქარის უკან იმყოფებოდა სათადარიგო ლაშქარი, რეზერვი. მთავარსაზღვრული იდგა ცენტრში. ეს იყო რომაული ლაშქარის განლაგების წესი; ასეთივე წესი ჰქონდათ ბიზანტიელებსაც, რომელთაგანაც არაბებმა იგი შეითვისეს.

არაბთა ბრძოლის წესი ორგვარი იყო, იბნ - ხალდუნის (1337 — 1377 წ.წ.) მოწმობით: თავდასხმა-შეტევა სწრაფი ბრძოლით და შემდეგ უკან დახევა; ხაზებზე განლაგებული ლაშქარის ბრძოლა და სხვა. 2). გვ. 217.

ქართული ლაშქარის ჩვეულებრივი გაწყობა ანუ განლაგება იყო: 1. წინამბრძოლი, 2. მარჯვენე ფრთე, 3. ესენი იყვნენ „წინამბრძოლი“, „მემარჯვენეთ მიმსვლელ - მცემელი“, „მემარცხენეთ მიმსვლელ - მცემელი“ და დამხმარე ძალა, რეზერვი.

„ქართლის ცხოვრება“-ში ნათქვამია: „დააწყუეს რაზმი წეპისებრ; მიუწია წუერმან რაზმისამან მარჯუენითმან (მთად) და მარცხენითმან (მტკვარად). და წარემართნეს და წავიდეს სიახლესა შანქორისასა, გარდაეცნეს ზედა და განყო რაზმი მიმახლებელმან ქალაქისამან და ომთამან. თუთ მეფე (დავით), რაზმითა დამდებელი მარჯუენით შანქორსა, მოაწრაფე იქმნა განსვლად წყლისა შანქორისასა კერძოსა, და უმციურეს რაზმისასა კართა ზედა და კიდთა. შეიქმნა ომი და სროლა“.. (იქვე, გვ. 7შ)

ვეფხისტყაოსანის რამაზ მეფის ლაშქარის განლაგება იყო: ორი ფრთე კავალერიისა; რაზმი მრავალ-კეცი, ანუ ერთი მეორეზე მიყოლებით მდგარი მთავარი ძალა, ყრიცხვი რაზმი, ერთ ხაზზე — ცენტრი — რომელს ტარიელი უწოდებს: „სად უფროსი ჯარი დგესა“.

მაშასადამე, ტარიელმა კარგად დაინახა მოწინააღმდეგის ლაშქართა განლაგება. და რა გადაწყვიტა ტარიელ-

მა? როგორ უნდა შეებოდა იგი დიდ მტერს? იგი გვიამბობს:

ერთსა წავსწვდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად (445). ტარიელის ეს ნათქვამი: „წავგრძელდი და წავე გრძელად“, ჩემთვის გაუგებარი იყო, სანამ ძველ საომარ ტაქტიკას არ გავეცანი.

„ემბოლონ“, ანუ „ემბოლოა“ ბერძნულად არის (სხვა მნიშვნელობათა შორის): ლაშქარის გაწყობა-განლაგება საბრძოლოდ: სოლის მსგავსად, წაწვეტილად, რასაც რომაელები უწოდებდნენ: „კუნეუს“, „აციეს კუნეატა“. 4).

ძველად, ნათქვამია „ლარუს“-ში ლაშქარს აწყობდნენ სამკუთხედად, ძალიან წაგრძელებულად, და ამ წყობის თავი-წვეტი მიმართული იყო მტრის წინააღმდეგ. რასაც უწოდებდნენ „ლე კუან“ = „კუნეუს“ არის ჯარის ერთგვარი განლაგება, რომელსაც ბაზა აქვს ფართო და თავდება წინ, ფრონტზე თავისი წვეტით; ამ განლაგებას ხმარობდნენ, რათა მტრის ჯარი გაერღვიათ. ეს წესი საკმაოდ დიდ ლაშქარს საშუალებას აძლევდა ერთბაშად და ერთსა და იმავე დროს ეტყორცნათ ისარი ერთსა და იმავე წერტილში. მოლაშქრენი ჯარის ასეთ განლაგებას უწოდებდნენ: „ლორის თავი“.

ბერძენი მწერალი ქსენოფონტესი (მეექვსე საუკუნეში ქრისტეს წინ) მოგვითხრობს, ბრძოლის ასეთი წესი პირველად კრესუს-მა (560—548 წ. ქრისტეს წინ შემოიღო.

„კუნეუს“, — ნათქვამია ლათინურ ლექსიკონში, — არისო სოლისებური დაწყობა ჯარისა. 5).

„კუნეუს“ (მილიტარული) — სოლისებური დაწყობა ლაშქარისა ბრძოლისათვის; სოლი ბერძნულად არის „ემბოლოს“ ანუ „ემბოლონ“. 6).

„კუნეუს“, ამბობენ დარაბზავ და საგლიო, — იყო სოლისებური ფორმაცია ლაშქარისა რომაელთა შორის, როგორც ბრძოლის წესი. 7).

საბა ორბელიანი განმარტავს: სოლი არისო ძელთა საბოძი.

ძველ გერმანელთა საბრძოლო განლაგება იყო სოლისებური („დი კაილფოერმიგე შლახტორდუნგ“).

ერთი თქმულების მიხედვით, ომის დმერთმა ოდინ-მა მოიგონა ასეთი წყობა. მაგრამო, — ამბობს გოეტცინგერ, — მერვე საუკუნეში ქრისტეს წინ ინდოეთში უკვე იყო შემოღებული სოლისებური წყობა ლაშქარისა, — გერმანთა შორის ასეთ წყობას ერქვა „ტახის“ = „ლორის-თავი. ამ „სოლის“ წყობაში პირველ რიგში იდგა ორი მოლაშქრე, მეორეში — ოთხი; მესამეში — რვა და ასე შემდეგ. ამ „სოლის“ დარტყმა ანუ ძგერება ძლიერი იყო, მაგრამ, თუ მას მტერი გაუძლებდა, მაშინ მიაი დამარცხება იოლი აღა იყო. 8).

ლაშქარის განლაგების ამგვარი წესი ჩვეულებრივი იყო შუასაუკუნეთა ომის ისტორიაში. ამიტომ ცდება

პროფესორი სარგის კაკაბაძე, როდესაც ამბობს: „რომ ქართველებს ნაწილობრივ მაინც ჯვაროსნებისაგან ათვისებული ჰქონდათ რაინდების სოლისებური წყობა, ეს ჩანს გოტიეს ცნობიდან, რომ დავითმა დიდგორის ბრძოლის წინ თავისი რაინდები დააწყო სოლებად“—ო. 9).

აეთი შეხედულება შეუწყნარებელია, რადგან სოლისებური ბრძოლა ჯვაროსნებზე უფრო ადრე იყო გავრცელებული, როგორც რომში, ისე ბიზანტიაში, და საერთოდ აღმოსავლეთში და უეჭველია, ლაშქარის სოლისებურ წყობასა და ბრძოლას ქართველებიც კარგად იცნობდნენ და მას მიმართავდნენ ხოლმე.

განვიმეოროთ, რას გვეუბნება ტარიელი — ერთა წავსწვდი უტეევანსა, წავგზდელი და წავე გრძელად (445). „ერთსა წავსწვდი უტეევანსა“ ნიშნავს: ერთ სტადიონზე, ერთ ასპარეზზე შეედექი, ესე იგი, ჩემი თანამხლებელნი მებრძოლნი დავაწყვე ერთ უტეევანზეო. „უტეევანი“, ს. ს. ორბელიანის განმარტებით, არის ფართობი 143 ბიჯისა. ამგვარად, ტარიელმა თავისი სამასი მეომარი დააყენა დაახლოებით 143 ნაბიჯის ფართობზე, მაგრამ როგორ? მან ეს სამასი კაციანი რაზმი დააყენა სოლისებურად; სოლის მსგავსად წააგრძელა — წინ იდგა თვითონ; მერმე ორი, მერმე — ოთხი, შემდეგ — რვა და ასეთნაირად წაგრძელებულად. მაშასადამე, ტარიელმა მთელი თავისი მცირე რაზმი მოაწყო „ემბოლონ“ ანუ „ემბოლოს“, სოლის მსგავსად.

„წავგრძელდი და წავე გრძელად“, ეს როგორც ზოგს ჰგონიათ, არ არის ტაგთოლოგიური თქმა. აქ ორი მოვლენა არის: 1) წავგრძელდი, 2) წავე გრძელად. ამ ორი ზომით ხასიათდება ლაშქარის წყობა და შემდეგ სვლა, საბრძოლო მიზნისათვის, — ეს არის საომარი ტაქტიკა.

ამნაირად იოლად გასაგები ხდება, თუ რას ნიშნავს: „წავგრძელდი და წავე გრძელად“. ეს არის ლაშქარის, კავალერიის დაწყობა ემბოლოდ, კუნეუა-ად.

ტარიელის მცირე რაზმის ასეთი წყობა მოულოდნელი იყო ხატაელთათვის და როდესაც ტარიელი ამბობს: ახლოს მივე, შემომხედეს და „შმაგაო“, გაგიჟებულიო, „ესე თქვესა“ (446).

ამ ემბოლოს წესით, სოლის მსგავსად დაწყობილი ტარიელის სამასი რაინდი მტერს ეკვეთა იქ, სადაც დიდი ჯარი იდგა — მუნ მივმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა (446). ყველანი — ერთობილნი მომეხვიენეს, მრგვლივ შექმნა ომი დიდი (448).

რასაკვირველია, ტარიელი ლომივით იბრძოდა, მისნი თანამებრძოლნიც გამირულად იმობდნენ; მათ გაარღვია ხატაელთა ცენტრი და სადამო-უამს მათ წამოეწია უკან დატოვებული ლაშქარი, რომელსა ტარიელმა უკვე შეატყობინა წამოსულიყო სისწრაფით:

ჩემნი ლაშქარნი, რომელნი წამომეტანეს მე არა, ვერ დაიტევდეს მინდორი და არე მათა ეარა, გამოჩნდეს, სცემდეს ტაბლაკაა, ბუკმა ხმა გაიზიარა (405)

რამაზის ლაშქარი ამის ცნობაზე გაიქცა: იგი ნახეს, გასატყვევად გაემართნეს, შევკვივლენით (450), უკანანიცა ლაშქარნი მოესწრნეს მათ გაქცეულთა, დაუწყეა პყრობა, ჩამოყრა შეშინებულთა, ძლეულთა...

ამნაირად, სოლისებური, ემბალო-კუნეუის ტაქტიკით ტარიელმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა.

როგორც ვნახეთ, ტარიელმა თავისი 300 მეომარი სოლისებურად დააწყო 1-2-4-8-16-32 და სხვა ასე სამასამდე. ასე წაგრძელდა და ასე გაექანა იგი რამაზ მეფის ლაშქარის ცენტრისაკენ, ხოლო რამაზის ლაშქარი ხაზებზე მდგომი, წყნარად, აუშლელად, ამ დარტყმით შედრკა და დამარცხდა.

ტარიელი ცუტლუშიშარი რაინდი იყო, მაგრამ ამასთანავე სტრატეგოსიც. მას არ უბრძოლია იანე, ვით ფრანგ რაინდებს, რომლებიც ბრძოლაში თავგამოდებით და აღფრთოვანებით შეიჭრნენ და სტრატეგია უგულვებელ ჰყვეს, ეგრეთ წოდებულ „ასი წლის ომში“ (1339-1453) ინგლისელთა და ფრანგთა შორის, პირველნი დიდნი ბრძოლანი ფრანგებმა იმიტომ წააგეს, რომ მოუფიქრებლად და გიჟურად ინგლისელების კავალერიას დაეჯახნენ და მხედველობაში არ მიიღეს არავითარი ტაქტიკა. ეს იყო, — ამბობს კლენმან, — გმირული, ოღონდ მენებელი მოქმედება, თუმცა ვაეკატური და სახელოვანო (10). ტარიელი კი, როგორც ვთქვი, იყო დიდი რაინდი და შესანიშნავი ტაქტიკოსიც.

ძელის სახნისის წვერითა

ავთანდილი ზღვის პირას ქარავანს შეხვდა. ქარავანი იდგა; გაჩერებული იყო ხომალდიც, — ლუწით დაბმული. ავთანდილმა ვაჭართა უხუცესისგან შეიტყო შემდეგი: აქ ჩვენ ზღვისაგან გამოგდებული კაცი ვნახეთ; მას ვუშველეთ, მოვაუღიერეთ და მან გვირჩია ზღვაში არ შეხვიდეთ, თორემ მეკობრენი დაგზოცავენო. ჩვენ ეგვიტყვიან წამოვედით, მრავალფერი საქონელით დატვირთული გემით ვგზავრობდით, მაგრამ მეკობრეებს გადავეჩებეთ მუნ მეკობრეთა დაგზოცეს ძელის სახნისის წვერითა; ყველაი წახნდა, არ ვიცი, აქა მოსრულდვარ მე რითა! (1033)

ავთანდილმა მოჭარავნენი გაამხნევა: მე ვიკისრებო თქვენს დაცვას, თქვენი ბაღრაგი—მცველი ვიქნებო. და იქინიც —

შევიდნენ, ჩასხდეს ხომალდსა, გამართეს ზღვითა კიდითა (1036), ანუ ხომალდი ზღვის ნაპირს გაჰყვა, მაგრამ — გამოჩნდა ნავი მეკობრე დროშითა მეტად მრძელითა მას ნავსა ნავთა სალენად სახნისი ჰგია ძელითა (1037)..

ამის დანახვაზე ყველა შეშინდა. ავთანდილმა ვაჭრებს უთხრა: თქვენ ომში ჯაბანნი ხართ; აჯობებს ხომალდის

წიგნით ჩახვიდეთ, რათა მეკობრეებმა იპარით არ დაგზო-
ცონო. თვითონ კი აბჯარი ჩაიკცა, წარდგა ხომალდის
თავზე და ხელთ რკინის კეტი დაიკავა. თავდამსხმელნი
მეზღვაურნი ავაზაკნი, ანუ მეკობრენი, როგორც ეს ჩვე-
ულება იყო ყველგან, ყვირილ - კივილით მოაქანებდნენ
იავის ნაევებს და როცა აეთანდილის ხომალდს მიუახ-
ლოვდნენ —

აძგერეს ძელი, რომელსა ზედა სახნისა ჰგებოდა (1042).

„სახნისის“ რაობა ცნობილი არის და საბას განმარტე-
ბით, იგი არის სათხროლი ანუ ხენიათვის ძელზე წამო-
გებული წვეტიანი ფოლადი, მიწის საჭრელად.

რა მოიმოქმედა ავთანდილმა? როდესაც მეკობრეებმა
თავისი ნავი ვაჭართა ხომალდს მიუახლოვეს, მათ აძვე-
რეს სახნისიანი ძელი ამ ხომალდში შეიარტობად, მის გა-
სახვრეტად და დასალეწად; სწორედ ამ წამს, ხომალდის
თავზე მდგომმა ავთანდილმა თავისი კეტი რკინისა ამ ძე-
ლიან სახნისის ისეთი ძალით დაარტყა, რომ იგი გადატეხა:
ძელი მოსტეხა ავთანდილ, დაჩა ნავ-დაულეწავი (1043).

მეკობრეების ბრძოლის ხერხი შიშალა, შეეცადნენ
გაქცეულიყვნენ, მაგრამ —

ველარ გაესწრნეს (1043); ავთანდილი მათ გემზე გადახ-
ტა და შეშინებული მეკობრენი ამოხოცა; მათი ნადავლი,
ცხადია, ვაჭრებმა თავის გემზე გადმოჰიდეს, ხოლო მე-
კობრეთა ნავეები კი დასწვეს (1047, 1053). ასეთი იყო ეს,
მოკლედ და შესანიშნავად აღწერილი საზღვაო ბრძოლა
მეკობრეთა წინააღმდეგ.

რა არის ეს ძელი? ეს სახნისის ძელი? იხმარებოდა იგი
ოდესმე, თუ იგი გამოგონილი ამბავი არის?

ეს საკითხი არც ისე ძნელი გამოსარკვევი იყო, ვინაი-
დან უძველესი დროიდან ასეთი სახნისიანი ძელი იხმარე-
ბოდა.

ბერძნული სიტყვა „ემბოლე“ ნიშნავს: ა). სროლა,
ტყორცნა რამე საგანისა ჩაიშეს მიმართულებით; ბ). მო-
ტეხა სახსარისა; გ). შეჭრა, თავდასხმა რომელიმე მხა-
რეზე; დ). დაძვრება, შეტევა მტრის წინააღმდეგ; გაქა-
ნება ლაშქარისა; გაქანება ნავისა, გემისა, რათა თავისი
წვეტით, ნისკარტით მტრის გემს დაეძვროს და ამით
მისი დალევას; ე). საერთოდ, ჩაჭრა, ძლიერი შეჭრა; ად-
გილი, სადაც ასეთი შეჭრა ზდება; ვ). ციხის კედლის
შეტეხა ძელზე წამოცმული ვერძისთავის მსგავსი საგა-
ნით. „ემბოლონ“, ლათინური „ემბოლოუს“ = ბოლი,
სარჭობი (საბას განმარტებით: ძელთ გასაბობი); რკინის
წვეტი ანუ ნისკარტი გემისა, რომლის დაძვრებით მტრის
გემს ხვრეტდნენ და სძირავდნენ; ლათინური „როსტრუმ
ნავის“, ფრანგულად: „ეპერონ დენ ნავირ დე გერ —
დეზი საომარი გემისა; ვერძისთავი, რომელიც ძელზე იყო
წამოცმული. რათა ვერძისთავიანი ძელით სიმაგრის, ცი-
ხის კედელი შეენგრიათ, შეელეწათ. 4); 17).

„სახნისიანი ძელი“, ანუ ვეფხისტყაოსანის „ძელი-სა-
ნისის წვერითა“ უდრის ინგლისურ ცნებას „რამ“; გერ-
მანულს — „რამმე“; ფრანგულს — „ეპერონ“, დეზ.

ინგლისურ ენაზე „რამ“ - „რემ“-ს სხვა და სხვა მნიშე-
ნელობა აქვს (საგრეთვე გერმანულადაც); რამ = რამმე
არის სარის ჩაჩქობა დარტყმით; მტერთა გემზე დატა-
კება; მაგარი წვეტიანი საგანი, ნისკარტიანი ნივთი, რო-
მელს მოწინააღმდეგე გემზე მშვილდით ისროდნენ, რათა
გემი გაეხვრიტათ და დაეღწათ, ჩაეძრათ.

ჩვეულებრივად და უფრო -ხშირად „რამმე“ გემის
ცხვირზე წამოცმული და დატედილი წვეტიანი, ანუ ნი-
სკარტიანი ძელი იყო. ეს წვეტი, ანუ ნისკარტი იყო რკი-
ნისა, ან ფოლადისა. მტრის გემთან მიახლოებისას ამ
წვეტიან ძელს მას დაუპირდაპირებდნენ, მით დაეტაკე-
ბოდნენ, მას აძგერებდნენ; გემი იხვრიტებოდა, ილეწე-
ბოდა და ჩაძირვას იწყებდა. 11).

ამგვარი სახნისიანი გემები ძველი საბერძნეთის საზღ-
ვაო ქალაქებსაც ჰქონდათ და ქალაქ ათინას ამ წვეტიანი
გემების მეოხებით არა ერთჯერ გამარჯვება მოუპოვე-
ბია. 12). ამ ემბოლოს-ის შესახებ დაწვრილებით არის
მოხსენებული „კლასიკურ მეცნიერებათა ჩეალ - ენცი-
კლოპედი“-აში: — ემბოლოს ანუ როსტრუმ ჩნდება უძ-
ველეს დროში, როგორც საჭურველი საომარი ნავისა.
პირველად იგი აღნიშნული არის ჰეროდოტეს მიერ (485
— 425 წ.წ. ქრისტეს წინ), საზღვაო ბრძოლის გამო,
ალალია-სთან. მაგრამ უძველად იგი უფრო ძველად
იყო გამოყენებული. თავიდან ემბოლოს იყო შედარებით
გრძელი ძელი, ოდნავ მოღუნული საძვრებელი, წაწვე-
ტილი კბილით; შემდეგ განვითარდა ბრინჯაოს, ან რკი-
ნის წვეტით აღჭურვილი ძელი, ხშირად სამ-წვეტიანი.
იგი დამაგრებული იყო ნავის ცხვირზე. სარტყელი, რომ-
ლითაც ეს ძელი მიკრული იყო ნავზე გრძელად, ან წყა-
ლის ჰორიზონტალურად, ან წყალის ზემოდ, გემზე უფ-
რო მაღლა იყო მიმაგრებული და წინ ძირს თავმოლუ-
ნული. მას ერქვა „პროემბოლოს“; შიში გაკეთება სხვა
და სხვა იყო, განსაკუთრებით, მეტალურ წვეტიანისა. 13).

სახნისიანი გემის ბრძოლა შემდეგნაირად აქვს აღწე-
რილი ეკ. აიკპოვს: პირველად შორიდან ისარია, ქვების,
ან „ბერძნული ცეცხლის“ სროლა იწყებოდა. ამას შემ-
დეგ მებრძოლი გემი (თავისი სახნისიანი ძელით) დაე-
ტაკებოდა მოწინააღმდეგე გემს ან ცხვირში, ან გვერდ-
ზე. ამ ძელზე წამოცმული იყო წვეტიანი რკინა. ასეთი
დატაკებით მტრის გემი არ უნდა ჩაძირულიყო და აქ პირ-
ველად მეზღვაური ოფიცერი, „პროპეტოს“ გადაბტებო-
და მტრის გემზე; მას მიჰყვებოდა მსუბუქად შეიარაღე-
ბული ჯავშნიანი მებრძოლი და ამავე დროს მტრის გემს
ჩანგალით მოსწევდნენ; შემდეგ მენიჩენი თავის ნიჩბებს
სტოვებდნენ, შუბსა და ხრმალს ხელთ აიღებდნენ და იწ-
ყებოდა ხელჩართული ბრძოლა.

ამ სახნისიან გემს პირდაპირ დააძვერებდნენ მტრის გემს ან ცხვირში, ან გვერდში, წყალის დონის ქვემოლან და ჩასძირავდნენ ხოლმე. 14).

ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე მონომახოსის ხანაში (1043 1055 - წ.წ.) (მონომახოს = ერთმბძროლი), ქალაქ კონსტანტინოპოლს მიადგა როსების (რუსების) მრავალრიცხოვანი ლაშქარი მრავალი ნავით. როსსთა ნავეები გარს შემოერთყნენ ბიზანტიელთა გემებს და „ცდილობდნენ ისინი შუბების საშუალებით გაეხვრიტათ“ და ჩაეძირათ. მაგრამ ახლო მისულ ნავეებს ბერძნებმა თავიანთი გემებიდან ქვეები დააყარეს და ხრმალით დაღებდნენ; აგრეთვე იხმარეს ეგრეთ წოდებული „ბერძნული ცეცხლი“; როსები ჭაიქნენ; მათ მოუსწრო გრიგალმა და ბევრი მათგანი ზღვამ შთანთქა. 15).

აქ ჩვენ გვაქვს ნავეების გახვრეტისა და ჩაძირვისათვის ბრძოლა არა ემბოლოს-ის, არამედ შუბთა საშუალებით.

ვენეციელთა საზღვაო ბრძოლა (1081 წელს) ნორმან ბოჰემონდის ფლოტის წინააღმდეგ ანა კომნენას-ს ასე აქვს აღწერილი — ვენეციელებმა ერთმანეთს გადააბეს თავისი დიდი გემები ჯაჭვებით; თვით გემებზე ააშენეს ხის კოშკები, გოდოლები იალქანთა შორის და ჯაჭვთა საშუალებით ზედ ჩამოჰკიდეს ნავეები. ამ ნავეებში მათ ჩასხეს მებრძოლნი; მათ თან ჰქონდათ ძალიან დიდი ნაჭრები ხისა, რომლის სიგრძე ერთ წყრთას არ აღემატებოდა (წყრთა არს იდაყვიდან თითის წვერამდე. სპა). ხის თითოულ ნაჭერს დაკრული ჰქონდა ძალიან მჭრელი წვეტიანი რკინა. ვენეციელებმა ბოჰემონდის ფლოტს დაუცადეს; სარდალმა ბოჰემონდმა ვენეციელთა ფლოტს შეუტია და დაძაბული ბრძოლა გაიმართა. ამ დროს ვენეციელებმა ხის კოშკებზე ჩამოკიდული ნავეებიდან ისროლეს წვეტიანი ძელები; ერთი წვეტიანი ძელი თვით ბეჰემონდის გემს დაეცა და იგი გახვრიტა. ცხადია, გემში წყალი შეიჭრა და მისი გავსება დაიწყო; თავია გადასარჩენად ბევრი ზღვაში გადავარდა და გადარჩენის ნაცვლად დაიხრჩო. თვით ბეჰემონდი კი სხვა ნავზე გადავიდა და თავი იქ შეაფარა. ნორმანები სასტიკად დამარცხდნენ. 16). აქ ჩვენ ვხედავთ არა ემბოლოს-ს, არამედ წვეტიან ძელს, რომელს მტრის ნავს ესროდნენ ხოლმე.

ძელ-სახნისიანი, ანუ ემბოლოს-ით აღჭურვილი გემები დიდი ხნის განმავლობაში იხმარებოდნენ საზღვაო ბრძოლაში. ასეთი სახნისიანი გემი, რა თქმა უნდა, უკვე დიდად გაუძღვობებულნი იყო და მას მეცხრამეტე საუკუნეშიც ვხედავთ. უკანასკნელად, 1886 წელს, ძელ-სახნისიანი გემებით ავსტრიელებმა კუნძულ ლისსა-სთან საზღვაო ომში იტალიის განთავისუფლება - გაერთიანებისათვის მებრძოლ იტალიელთა ფლოტი დაამარცხეს.

ვეფხისტყაოსანს მივუბრუნდეთ. ავთანდილი უეჭველად, სახნის - წვეტიან ნავს, გემს, თუ ხომალდს იცნობ

და, იცოდა ამგვარი ნავით ბრძოლის წესი და მეკობრეთა ნავი ხომ სახნისიანი იყო, როგორც უამბო ვაჭრებს, მათ მიერ გადარჩენილმა ვაჭარმა —

მუნ მეკობრეთა დაგვბოცეს ძელის სახნისის წვერითა (1033). ამიტომ ავთანდილმა მოითხოვა რკინის კეტი, რომლის დარტყმით მეკობრეთა ნავის ძელი წვეტიანი, ანუ ემბოლოს უნდა გადაეტეხა და თავისი ხომალდი დაღწვისაგან გადაერჩინა. ეს ამოცანა ავთანდილმა დიდებულად შეასრულა.

თავის თავად ცხადია, საზღვაო ომთა ისტორიას არა ვწერ, მაგრამ აქ მოტანილი ცნობა უკვე საკმარისი არის იმის დასადგენად, რომ ვეფხისტყაოსანში, ასე მოკლედ და მშვენიერად აღწერილი საზღვაო ბრძოლა ავთანდილისა მეკობრეებთან, არც გამოგონილი არის და არც გამოგონების უჩვეულო ნაყოფი. ასეთი საზღვაო ბრძოლა ცნობილია საზღვაო ისტორიაში. და ვეფხისტყაოსანის დამწერმა ეს კარგად იცის.

ფიცხლად ზედა შევეჯახე

ყოფილება უნდა მივაქციო აგრეთვე იმ საზღვაო ომს, რომელიც ფრიდონ-ტარიელმა გადაიხადეს. ტარიელი მოგვიხსრობს —

დავაკაშმეთ ნავი, კატარღა და რიცხვი სპათა ჯარისა (613)

აქ არ არის ნათქვამი, თუ რამდენი იყო ნავი; რამდენი — კატარღა; რამდენი — ჯარი, ანუ სიმრავლე სპათა. ცნებას „სპა“ ვტყვი რამოდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. სპა, ვითარცა სამეფო სამხედრო ძალა — „ფუელუმ მილიტის“; 2. სპა, ვიწრო მნიშვნელობით — რაინდები; რიტტერტუმ, კავალერია. (იხილეთ ჩემი ნარკვევი: ვტრია საზოგადოებათმეტყველება, 1958 წ. გვერდი 74-76).

უეჭველია, კუნძულის დასაპყრობად ფრიდონს თავისი სპა=კავალერია თან ჰყავდა. ეს კავალერია გემებზე იყო აყვანილი. და შემდეგ მან მონაწილეობა მიიღო თვით კუნძულზე ბრძოლაში.

პირველად დაიწყო, რასაკვირველია, საზღვაო ბრძოლა. ტარიელი ამბობს, მტრის —

მათი მემამ დაპირება, ჩაბალახთა ჩამობურვა (614)

ანუ: გავიგონეო, გავიგე მათი დაპირება (განზრახვა, მომზადება) მით, რომ ჩაბალახით პირისახენი ჩამობურვოსო; მერმე — ნავი წინა მომეგება, არა ვიცი, იყო თუ არა. ფიცხლად ზედა შევეჯახე, მათ დაიწყეს ამოდ ცურვა; ქუსლი ვკარ და დაუქცივე, დაიზახეს დიაკურ ვა! (614).

რა ხდება აქ? ტარიელი თავისი ნავით მტრის ნავეებს „შევეჯახა“; მათ „ქუსლი ჰკრა“ და ნავეები დაუქცია, დაუნგარია. რით და როგორ? აქაც საქმე გვაქვს ემბოლოს - თან, ანუ ძელ - სახნისიან ტარიელის ნავთან. ტარიელი თავისი ემბოლოს-იანი, ანუ სახნისიანი ნავით მტრის ნავეებს დაეჯახა და ისინი დახვრიტა: მათ „ქუსლი ჰკრა“.

ეს „ქუსლი“ ტარიელის ფეხის ქუსლი კი არ არის (ასეთი მოქმედება სინამდვილეში შეუძლებელია), არამედ არის „ნავის ქუსლი“.

როგორც ჯკვე აღვნიშნე, ფრანგულად ამ „ემბოლოს“ — „სახნისიან ძელს“ ფრანგულად ეწოდება „ეპერონ“, რაც არის „დეზი“, ქუსლზე წამოსაცემელი. უნდა ვიგულისხმო, რომ ამ ფრანგულ „ეპერონ“-ს ქართულად ერქვა არა „დეზი“, არამედ (აღბათ) „ქუსლი“. ასე ჩანს ეს ვეფხისტყაოსანიდან.

ამგვარად, ძველი კლასიკური ბრძოლით ტარიელმა მტრის ნავეები ვაანადგურა. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ტარიელი იყო ინდოეთში აღმირალი და მას საზღვაო ხერხები ბრძოლისა კარგად უნდა სცოდნოდა და იცოდა კიდევ კარგად.

მოვკიდე ხელი ნავისა ბაგესა

მაგრამ ტარიელი უმატებს კიდევ — კვლა სხვასა მივე, მოვკიდე ხელი ნავისა ბაგესა, ზღვასა დავანთქი, დავზოცე, ომიმცა რალა აგესა (615).

მაშასადამე, ტარიელმა ნავთა კიდეს, ანუ ბაგეს ხელი მოკიდა, ასწია ზღვის პირიდან და ზღვას დაახეთქა... შესაძლებელია ასეთი მოქმედება, თუ ეს არის პოეტური გადაჭარბება?! შეიძლება ასე მოგვეჩვენოს, მაგრამ ხაზვილად ასე არ არის.

ტარიელის ნავის მენიხბეები უსათუოდ გამოცდილი და გამოწრთვნილი მენიხბეები იყვნენ; ისინი ნიჩაბთა სწრაფი მოსმით ტარიელის ნავს მტრის ნავთან ფიცხელად მიატყობდნენ და ამ ნავს ჩანგალით დაიჭერდნენ და, ცხადია, თავისკენ მოზიდავდნენ, მოსწევდნენ; ტარიელს კი აღარ გაუჭირდებოდა მტრის ნავისათვის ხელი მოეკიდა; იგი აეწია და ზღვაზე დაემხო. ასეთი მიზიდვა და მიწევა გემისა, თუ ნავისა, იყო ბრძოლის წესი, რომელს ერქვა „აბორდაჟი“; მეომარნი გადადიოდნენ ამ ნავზე; აქ ნავის მიზიდვა-მიწევა, მის დასამხოზად.

ამგვარად: ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში, გამორკვეულად მიმაჩნია, რომ ვეფხისტყაოსანში გვაქვს კლასიკური საომარი ნავი და კლასიკური საზღვაო ომი —

1. ნავი სახნისის ძელითა; იგი არის ძველთა „ემბოლოს“-იანი ნავი;
2. ქუსლიანი ნავი, რაც არის იგივე ემბოლოს, ანუ დეზიანი ნავი = ეპერონ.
3. ემბოლოსით აღჭურვილი ნავით ბრძოლა;
4. ჩანგალით ნავის დაჭერა და მიზიდვა = აბორდაჟი და ამით მტრის ნავის დამხოზა.

ყველა ეს ხერხი საზღვაო ბრძოლისა ისტორიაში კლასიკური არის და ცნობილი. ვეფხისტყაოსანის ავტორიც კარგად არის ვაცნობილი თავისი ხანის საზღვაო ომს და მას მართლაც მკაფიოდ, მოკლედ, შეკუმშულად აღწერს, რითაც იგი თავისი ერთგული რჩება: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“ (12).

მასალათა მათიითმებელი

1. ფირდოუსის შაჰ-ნამე. მოსკვა, 1957. ტ. 1, სტ. 132
2. Alfred von Kremer, Culturgeschichte des Orients unter den Chalifen, wien, 1875, I Band S. 80.
3. ქართლის ცხოვრება. ტომი მეორე, გვერდი 249
4. Franz Passow, Hand-Woerterbuch der griechischen Sprache. Leipzig, 1874. Ersten Bandes Zweite Abteilung. S. 886.
5. A. Walde, Lateinisches etymologisches Woerterbuch. Heidelberg, 1938. B.I. S. 308.
6. Karl Ernest Georges, Lateinisch-deutsches Hand-Woerterbuch. B.I. S. 1808. Basel, 1967.
7. Ch. Daremberg et Edm. Saglio, Dictionnaire des Antiquités grecques et romaines. Paris, 1887, tome I^{er}.
8. E. Goetzing, Reallexicon der deutschen Altertuemer. Leipzig, 1885. S. 533-Y.
9. პროფ. სარგის კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი. თბილისი, 1966. გვ. 208
10. Philippe de Gui de Clinchamps, La cavalerie. Paris, 1961, p. 97-101.
11. The Oxford English Dictionary, 1933. Vol. VIII, p. 127.
12. W. L. Rodgers, Greek and roman naval warfare. London, 1937, p. 105, 123, 143, 193.
13. Paulys Real-Encyclopaedie der classischen Altertumswissenschaften. Stuttgart, 1931. Supplement Band V. S. 928-930.
14. Ekkehard Eickhoff, seekrieg und Seepolitik zwischen Islam und Abendland. 1964. S. 96.
15. Michel Psellos, Chronographie ou Histoire d'un siècle de Byzance (976-1077). Paris, 1928, tome II, p. 11.
16. Anne Comnène, Alexiade. Texte... par Bernard Leib. Paris, 1937, tome I^{er}, p. 147-8.
17. Grand Dictionnaire universel du XIX^e siècle : rostrum, bec, éperon.

SOHTA RUSTAVELI, The Knight in the Panter's Skin. Translated from the Georgian by Venera Urushadze. Publishing House "Sabchota Sakartvelo", Tbilissi 1968.

გერმანულ ენაზე შექსპირის თარგანმა ათს გადააჭარბა, — უკანასკნელი თარგმანის გასომცემელი გერპარდ მუელლერ-შეფე იმ შეხედულებას იზიარებს, რომ შექსპირის თხუთხულებათა საქვეყნო ფავლენა - ქმედობა აჩსებითად თვით მათ თარგმანზე არის დამოკიდებული, ასე რომ, ამ აზრით, შექსპირის ქვეყანა ჩვენ ქვეყანასთან, მიაი შემოქმედება შემდეგ ხანათა და ხალხთა

ენასთან და შეგრძობასთან არის გადამხული. მუელ-
ლერ - შვეფე თანამედროვე, სადღისო შექსპირის თარ-
გმანს სახავს ვით გაგებისა და განმარტების, ინტერპრე-
ტაციის საკითხად და გვიჩვენებს, რომ ერთგული ნაძღ-
ვილი თარგმანი შექსპირისა შეუძლებელი არის და არც
მოსალოდნელიაო. არც ერთი ჩვენი დროის ენა, არც
თვით ინგლისური, არ იცნობს იმ სიმდიდრეს, იმ საუნ-
ჯეს და მოქნილობას, რასაც წარმოადგენს ელსაბედური
ხანის შექსპირული ენა; ამიტომ არის შექსპირის სწორი
თარგმანი შეუძლებელი...

**Gerhard Müller Schwefe — Shakespeare — seine Welt,
unsere Welt. Verlag Max Niemeyer, Tübingen, 1965.**

ნაზამი განჯევის პოემების გერმანულად მთარგმნელი
პროფ. რუდოლფ გელპე გულწრფელად გვიამბობს —
წინასწარ განწირული არის ცდა ნაზამი სიტყვა-სიტყ-
ვით გადათარგმნაო. შეუდარებელი შევენება სპარსული
შაირისა და სურათთა — რაც გადამხულად რჩება სპარ-
სულ ენასთან და ნაწილობრივ თვით თქმის სიტყვის მუ-
სიკასთან — იძულებული აუცილებლობით — თარგმანში
უკვე არარად იქცევა; „სიტყვა-სიტყვითი გადათარგმნით“
პოეტს თავს ატყდება მწარე უსამართლობა, ვინაიდან
ასეთი თარგმანის მიმართება დედანის მიმართ არის ვი-
თარცა შამფურზე წამოცმული პეპელას ნაშთი ცოცხალ
პეპელასთან შედარებითო...

**Nizami — Die sieben Geschichten der sieben Prin-
zessinnen. Aus dem Persischen verdeutscht und heraus-
gegeben von Rudof Gelpre. Manesse Verlag Zürich, 1959.
Seite 293.**

განა ყველაფერი ეს არ ითქმის ვეფხისტყაოსანის "შე-
სახებაც?!? რუსთაველის პოემა-რომანი ვეფხისტყაოსანი
დიდ ნაწარმოებთა ბედს იზიარებს; თუ შეუძლებელი არ
არის, უეჭველად მეტისმეტად ძნელი მაინც არის ვეფხის-
ტყაოსანის უტეხო ენაზე თარგმნა, კარგ მთარგმნელს ამბო-
კოლებს არა იმდენად თვით პოემის ტექსტი, არამედ ში-
სი ქართული ენის ელფერი, ნაუნისი და განსაცვიფრე-
ბელი მუსიკა; და უცხოელმა რომ იგემოს ვეფხისტყაო-
სანის შეწინიერება, — ამის მიღწევა თარგმანში მართლაც
შეუძლებელია. ამდენად: ვერც ერთ წესიერ გადამთარ-
გმნელს ვერ დავემდურებთ, რომ მან თავის მიზანს ვერ
მიადრია და ამასთან ერთად: მჯობს მჯობნი ხომ არ და-
ეღევა! თითქმის ყველა თარგმანი ვეფხისტყაოსანისა წა-
კითხული მაქვს, — პროზითაც და ლექსითაც, — ცხა-
ლია: არც ერთმა არ გამაკმაყოფილა, მაგრამ მკითხველი
თუ მაინც ვეფხისტყაოსანს ვერ ჩასწვდება, ან მის სი-
მაღლემდე ვერ ააღწევს, შინაარს ხომ გაიგებს!..

უკანასკნელ ხანამდე ინგლისური პროზული თარგმანი
მარჯორი უორდროპისა საუკეთესოდ მიმაჩნდა, — ვე-
ფხისტყაოსანის იმდროინდელი ტექსტის ერთგული თარ-
გმანობის მიხედვით. მაგრამ მას შემდეგ ბევრმა დრომ

განვლო; ტექსტიც ასე თუ ისე შეიცვალა შესწორებითა
შედევად და საჭირო იყო მისი ახალი თარგმანი.

ეს ფრიად ძნელი ამოცანა იკისრა ქალბატონმა ვე-
ნერა ურუშაძისამ. ქალბატონ ვენერას ვიცნობდი, რო-
გორც ქართული პოეზიის ანთოლოგიის ინგლისურად
შემდგენელს და არამც თუ მე პირადად, არამედ თვით
ინგლისელები ამ თარგმანს მაღალ შეფასებას ანიჭებდ-
ნენ. ამ ანთოლოგიაში გავეცანი ვეფხისტყაოსანის ერთი
ნაწყვეტის თარგმანს და წამსვე ვიფიქრე, რომ ამ ქალ-
ბატონს შეეძლებოდა შეესრულებინა ვეფხისტყაოსანის
კარგი თარგმანი. ეს ჩემი გაფიქრება მართლაც სინამდ-
ვილედ იქცა.

ქალბატონმა ვენერა ურუშაძისამ გადათარგმნა ვეფ-
ხისტყაოსანი ინგლისურად, და პატივისცემით, ჯერო-
ვანად იგი პირველ მთარგმნელს, ქალბატონ მარჯორი
უორდროპის ხსოვნას მიუძღვნა.

რა გზა აირჩია ქალბატონმა ვენერამ ეტის სათარგმ-
ნელად? იგი ფრთხილად მოიქცა: მან ვეფხისტყაოსანის
შესავალი თარგმნა პროზით; მისი ჩატევა ინგლისურ ლექს
ში შეუძლებელად მიიჩნია, ხოლო დანარჩენი მთელი ტე-
ქსტი ე. წ. „თეთრი ლექსით“ თარგმნა. ამით კარგად
არის დატყული, თუ რითმა არა, რიტმი კი უეჭველად და
სწორედ ამიტომ იკითხება იგი ნებიერად, თავისუფლად,
რამეთუ თარგმანს თქმისა და გამოთქმის ძალა შერჩენი-
ლი აქვს. ეს არის ქალბატონ ვენერას თარგმანის უმაღ-
ლესი ჯილდო. ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ქალბატონ
ვენერა ურუშაძის ინგლისური თარგმანი ვეფხისტყაოსა-
სა (ჯერჯერობით) საუკეთესოდ ჩაითვლება. და მგონია:
ქალბატონი ვენერა ვეფხისტყაოსანს აღარ მოეშვება და
შეეცდება თავის თარგმანს კიდევ უფრო უმეტესი სი-
ლამაზე და ბრწყინვალეობა მიანიჭოს.

ტექნიკურად წიგნის გამოკრემა მაინც და მაინც მოსა-
წონი არ არის, რადგან აწყობილია წერილი შრიფტით
და შაირთა ნუმერაციასაც მოკლებულია არის. ხოლო
ბ-ნ ზურაბ კაკაბაძის დასურსათება ორიგინალური და
კარგი.

ვ. ნაზამი

გიორგი ყიფიანი

პოეზიის და სიცოცხლის ვაჟი

მკვლელობიდან ოცდაათი წლის თავზე

ჩივიან ჩაბიძის ხსოვნას

†

აი ის ქარი, შენ რომ გახმოვდა,
გაუხარებელ მიხაკის ფერო!
იყო სუფრაზე უცხო იუდა,
მან ტყვეით გითხრა შენ სადღევრძელო!

†

ან ის ყვავილი, ხეტავ სად აოი,
რომ დადიოდი შენ მის ამარა; —
მოგკლეს პოეტი და იმ ყვავილძა
იქნებ შენ გვერდით დაისამარა!

†

იქნებ შაირის გესმის შრიალი,
მზე ატრიალებს მარცვლების წისქვილს;
იქნებ პაეჭრობთ პოეზიაზე
შოთას გამწირზე გაზრდილი ფიჭრით!

†

შემოგეპიტყვა ბედისწამება,
ცივ ქარიშხალმა წავილო ძალით,
ისიც არ ვიცით ჩვენ, ბედშეგებმა,
რომელმა მიწამ გიმარბა კრძალვით.

†

შენ და ყვავილი — შენ და ყვავილი, —
პოეზიის და სიცოცხლის ვაჟი,
მზის სიყვარულით ამოყვანილი,
ყვავილი გლოვობს, ყვავილი ნაზი.

„სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო
ან და არ იყოს ასე ლამაზი!“

1967 წ. პარიზი.

ლევინის ცაცხვებს

რისთვის ცახცახებთ ცაცხვებო?
ქარი ზად გიშლით ნერვებსა!
რისთვის დასტირით წვიმებით
მიულწევლობის მერმეთაა?

ნუთუ არ გესმით ძახილი
ამოგარდნილი ლამეთა

არ გამოცვლილა

ციურ სხივებით შეიმოსა წითელი მგზავრი,
ვარდ-ყვავილები უცინოდნენ პრაგის გაზაფხულს,
მაგრამ ანთო დამპყრობელმა ძველი ხანძარი,
ცრემლი აღინა სათნოებას მზით გამოასხულს.

ოქტომბრის ცეცხლში ჩაიფეოფლა თეთრი ტაძარი,
საკუთარ ძვლებზე დააფიცეს შორივი მონა;
ქართლოსის კენესა, ქარიშხალის ნაანდერძალი
წელთა წამებამ ტკივილებით განიმეორა.

თავისუფლება ძალადობით კვლავ დაიპაჯა,
მაისის სხივებს აედევნა წითელი მკვლეელი,
თებერვლის დანით გადაჭრილი აგვისტოს მაჯა
საკაცობრიო სათნოების იყო დამცველი.

აწ გაგიყებულ საუკუნეს ვინ შეაჩერებს,
ვინ უპასუხებს ძველ თბილისს და წაშებულ პრაგას?
მსოფლიო აწყობა ძალადობის ახალ არჩევნებს,
კაცობრიობას ემუქრება ახალი წარღვა.

უსამშობლოა სამშობლოს გრძობა,
ყველას ეკუთვნის, დიდს და პატარას,
ბუნების ძალა თუ კი მენდობა,
ქიანჭველასაც ვაძლევ სამართალს.

1969 წ. პარიზი.

და საუბარი სიცოცხლის
თვალეზ დახუტულ მამებთან?

ტრიალებს ქარი, ქაქანებს,
წლებს იტაცებს, აქანებს, —
შორეთის მწვანე ფოთლებში
ახმობს და ისევ ახარებს.

გიორგი ყიფიანი

1969 წ. ლივილი

ბ. ბებურიშვილი

ალინაჲ — ალიყან

მიტაცებდა ჩემის ქაბუკობის ხანაში ისტორია. არც ახლა ვარ მისდამი გულგრილი. ხალხთა, თუ პიროვნებათა თავგადასავალში მათ მისწრაფებას, ბრძოლას, გაქანებას, ამალღებას თუ დატყმას ვხედავ და დღევანდელ ამბებს ვადარებ ხოლმე.

ისტორია, როგორც ეს ათაჯერ თქმულა, არ მეორდება; მაგრამ ბევრი რამ ხდება ისეთი დღესაც, რაც წარსულში მომხდარა და თუმცა ამ მოვლენას რაიმე მტკიცე კანონი არა აქვს სარჩულად, მაინც ერთგვარი კანონზომიერება ყურადღებას იპყრობს ხალხთა და პიროვნებათა ცხოვრების განვითარებაში...

სპარსეთში, ანუ ირანში ვიმყოფებით. ძველ დიდებულ ირანს ახლა მონღოლები ფლობენ, — აღძოსავლეთ საქართველოსაც. მოულოდნელად გარდაიცვალა ირანის მპყრობელი აბალა, დიდი ყაენი აბალა. მოულოდნელად რომ გარდაიცვალა, მამასადამე, მან ტახტზე ვერც ნაცვალის აყვანა მოასწრო და ვერც სათანადო ანდერძის დატოვება. და, რასაკვირველია, ამ ვეებერთელა ირანი იმპერიის, ილხანთა საფლობელოს დიდ კაცთა შორის ტახტის გამო ქიშობა-მეტოქეობის მადა აღიძრა. ამგვარი მადა მოჰკვეთეს დიდი დარბაზის დიდ-კაცებმა, რომელთა არჩევანი ახლად გარდაცვალეული აბალას ძმას ტაკუდარს ხვდა და მათ ირანის ტახტი მიანიჭეს. იგი იყო დიდი ჰულაგუს, ბრწყინვალე ქალაქ ბაღდადის დამპყრობელის, (1263 წელს) და გამაპარტახებელის მეშვიდე შვილი. მისი უპირველესი და რთული ამოცანა იყო ტახტზე მყარად მჯდარიყო და ხელისუფლება მტკიცედ დაეპყრო.

ეს იყო ხანა, როდესაც დამპყრობი მონღოლები ჯერ კიდევ წარმართი იყვნენ; ისინი არ იყვნენ არც ქრისტიანები და არც მაჰმადიანები; მაგრამ მათ უზარმაზარ სამღლობელოებში ორივე სარწმუნოების ხალხები ცხოვრობდნენ და სარწმუნოება იმ დროს ცხოვრების ღერძი იყო! და ამასთანავე ეროვნობის აღმნიშვნელიც.

ქვეყანათა დაწყნარებისა და შემომტკიცებისათვის დიდებულ მონღოლთა შთამომავალმა ტუდაკურმა მაჰმადიანობა აღიარა და სახელად დაირქვა: „აჰმად“. ეს იყო, ცხადია, პოლიტიკურად სარწმუნოების გამოყენება, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივად გამართლებული.

ყაენმა (ყენმა) აჰმადმა პირველად ყოვლისა ეგვიპტის მიმართა. ეგვიპტე! ეს უძველესი და უშუალოდ მანამდე

ყანა, დაპყრობილი არაბთაგან: „ღმრთის ლომის“, ხალხის სარდლობით ეგვიპტე დაიპყრეს არაბებმა მეშვიდე საუკუნეში და მას დაერქვა არაბული სახელი „მისრეთი“, თუმცა ევროპაში მას დღესაც უსამართლოდ შერჩა ეს მზვინვარე სახელი დიდებული ეგვიპტისა, „ეგვიპტე“.

ჰო-და, ყაენმა აჰმადმა ეგვიპტის მპყრობელთ მამულეებს ელჩები გაუგზავნა; თავისი გამაჰმადიანება აცნობა და მშვიდობაც შესთავა.

1282 წელს ირანის დიდი მპყრობელის ელჩები ეწვივნენ ეგვიპტეში სულთანს, ყალაუნ-ს და ყველაფერი დანაბარები მას აღუწყეს. მისრეთი—ეგვიპტეში ყველა ცნობა ცივად მიიღეს და არც აჰმადის ელჩებს შეხვედრიან მაინც და მაინც მხურვალე ზემოთ. მაგრამ წესი და ზრდილობა არის: მისრელებმა ირანის ყაენა მისი გამაჰმადიანება წერილობით მიულოცეს და საქმე ამით დასრულდა. რადგან მისრეთი-ეგვიპტეში სამშვიდობო ბასახე არც კი ფიქრობდნენ — სადავო იყო სირიის ფლობის საკითხი.

არც ირანის იმპერიის ცხოვრებაში მოუტანია გემზი-ელი ნაყოფი ყაენ აჰმადს გამუსულმანებას, ვინაიდან მონღოლთა უმრავლესობა ისლამის დამწუნებელი იყო და ეს წუნი თვით ყაენის მოქმედებასაც დაედო, რაც შემდეგ მოწინააღმდეგობადაც განვითარდა. ამ დამწინააღმდეგელებს მეთაურად გაუჩნდა „ნეტარხსენებული“ ყაენის, აბალას შვილი არლუნ, რომელთანაც საიდუმლო კავშირი დაიკავა დიდმა გავლენიანმა პირმა მაჯიდ ოლ-მულკმა. ეს საიდუმლოება გამოჰქლავნდა და 1282 წლის აგვისტოს 13-ს ოლ-მოლკი ყაენ აჰმადს ბრძანებით სიკვდილით დაისაჯა.

არლუნმა თავისი დამქაშებით უკვე აშკარად დაიწყო მოქმედება ყაენ აჰმადს წინააღმდეგ სირიაში და თავის ბიძას აჰმადს ბრძოლით აუმხედრდა, ოლონდ საერთო აღრეთლობამ არლუნის იძულებული გახადა მანანდარანს გაბრუნებულიყო და იქ გამაგრებულიყო.

მცირე აზიაში ამავე დროს აჯანყდა პრინცი ყონლორატაი. ყაენმა იგი დაამარცხა. აჯანყებული ტყვედ ჩავარდა და იგი სიკვდილით დასაჯეს 1284 წელს იანვრის 13-ს. ყაენ აჰმადს ბრძანებით მას გააყოლეს ყველა მისი დამქაში და არლუნის მომხრენიც. მაგრამ ბევრმა მონღოლმა გაქცევით თავს უშველა, არლუნს მიაშურა და მას მიეკედლა.

უცხოეთის ემიგრანტულ პრესაში (მაგალითად: „ობი-
ედინიონნი კავკაზ“, ნომ. 2-3, წლისა 1964-ისა) ზოგი ამ-
ტყეებს: რელიგიას მნიშვნელობა არა ჰქონდა პო-
ლიტიკაში და მუსულმანობა პოლიტიკის საგანი არ
იყო.

მუსულმანობის, გამუსულმანების ზემოდ აღნიშნულ
მოვლენებთან დაკავშირებით გერმანელი მეცნიერი -
მკვლევარი ისტორიკოსი ბერტოლდ შპულერ გვეუბნება:

თუ რელიგიური მომენტი ამ ამბავთა აღწერისას სა-
თანადოდ დაფასებული არ არის, როგორც ეს უეჭვე-
ლად უნდა ყოფილიყო, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ
მუსულმანი მწერლები ძალიან არა-სიამოვნებით წერენ
ისლამის წინააღმდეგ მტრობაზე, რაც მაშინდელ ამბავთ
განვითარებაში მთავარი მამოძრავებელი იყო. (ბერ-
ტოლდ შპულერ, დი მონგოლენ ინ ირან. ლაიპციგ, 1939
ზაიტე 80). მაგრამ ამას თავი დაეხებოთ: ემიგრაციის
პრესაში ბევრი რამ უსუსური და უხამსი იწერება, რო-
გორც ქართულად, ისე რუსულად, და უფრო მეტად კი-
დედ უცხო ენებზე!

პრინცი ყონლორტაის (რომელს ჩვენი „ქართლის ცხოვ-
ებ“ - ით ეწოდება „ყონლადარ“), შეთქმულება - აჯან-
ყების აღმოფხვრის შედეგად არღუნმა ბევრი ახალი და-
მქაში შეიძინა და უმეტესად გაძლიერდა.

აპრილის 19-ს 1284 წლისა არღუნი თავისი ლაშქარით
დასავლეთისაკენ დაიძრა. ირანის ყაენმა აჰმადმა მის წი-
ნააღმდეგ გაგზავნა **ქართველი გენერალი** (დერ გეორგი-
შე გენერალ, როგორც ნათქვამია ზემოდასახელებულ
წიგნში) **ალიყან**.

არღუნის და „ქართველი გენერალის“ ლაშქარი ერთ-
მანეთს მალე შეხვდა: 1284 წლის მაისის ოთხსა და რვას
რაიისთან ახლოს, ჰახუშან-თან. არღუნი ბრძოლაში ჩა-
ება და დამარცხდა; გაიმარჯვა ყაენ აჰმადის ლაშქარმა
„ქართველი გენერალის“ ალიყან-ის სარდლობით.

დამარცხებული არღუნი იძულებული იყო ფირუზკუჰ-
სთან დაბრუნებულიყო; აქ მას შეუერთდნენ ყარაუნას
მოლაშქრენი; მასვე მიემხრო ემირი ბოლა, და მასვე მი-
ეკედლნენ მონღოლი, ჯერ არ-გამაჰმადიანებული დიდ -
კაცები და არღუნმა უკვე ირანის ტახტი მოითხოვა.

ირანის ტახტის პატრონი, აჰმად, უკვე შეშინებული,
ისპაჰანს წავიდა და თავისი დედის პორდაში მივიდა. იქ
მას ანაზღად თავს დაესხნენ ყარაუნა მოლაშქრენი და
მათ იგი ტყვედ ჩაიგდეს, — ეს ყაენი ტყვე არღუნს მი-
ჰგვარეს. არღუნმა თავისი ბიძა — ირანის ყაენი, გამაჰმა-
დიანებული აჰმად, ახლა ტყვედ ქმნილი, მის მიერ სიკვ-
დილით დასჯილის ყონლორტაის შვილებს გადასცა.
შვილებმა მამის სისხლი იძიეს და 1284 წლის 17 აგვის-
ტოს ირანის ყაენი აჰმად სიცოცხლეს გამოასალმა.

რალა დაემართა ირანის ყაენი აჰმადის „ქართველ გე-

ნერალს“, ალიყანს, რომელმაც გუშინ არღუნი დააპატი-
და და დღეს გამარჯვებული არღუნის ხელში ჩავარდა?

უეჭველია, ამ „ქართველმა გენერალმა“ წინასწარ იგა-
ძნო, არღუნი გაიმარჯვებო, აწონდაწონა ამბები და არ-
ღუნს გვერდით ამოუდგა, მის მხარეზე გადავიდა, მაგ-
რამ, — როგორც ამბობს ისტორიკოსი ვასსაფ, — მისი
მერყევი და ნაწილობრივად გაურკვეველი ყოფაქცევისა
ცამო შეიპყრეს იგი და მოჰკლესო.

თუ როგორ მოხდა ეს ამბავი, ამის შესახებ სხვა და
სხვა გადმოცემაა, მაგრამ ყველა ერთს მაინც ამბობს —
„ქართველი გენერალი“ ალიყან დაიჭირეს და არღუნის
დამქაშებმა მოჰკლესო.

ირანის დამარცხებული ყაენის ქართველი გენერალი
ალიყან გამარჯვებულ და მომავალ ყაენს არღუნს მიე-
მხრო და შემდეგ მისგანვე მოიკლა!! რამდენი ასეთი ამ-
ბავი მოხდა ჩვენს დროში?! რამდენი ასეთი პირი დაიხვ-
რიტა, ან კონცენტრაციულ ლაგერში მოკვდა, რომელიც
გამარჯვებულს მიემხრო?!

ეს ამბავი აჰმად - არღუნ ყაენებისა და ქართველი გე-
ნერალ ალიყან-ისა გამორკვეულია ევროპელ ისტორიკო-
სთა მიერ სპარსულ - არაბულ მასალათა მიხედვით. აქ
ჩვენ დავასახელებთ ქართველი გენერალი ალიყან (ან ალი-
ნაყ). იხსენიება იგი ქართულ ისტორიულ წყაროებში?
და როგორ არის მისი ამბავი „ქართლის ცხოვრება“-ში
მოთხრობილი?

ირანის ყაენ აბაღას სიკვდილის შემდეგ ირანის ტახტ-
ზე ავიდა მისი ძმა აჰმად, რომელმაც შემდეგ მაჰმადიან-
ობა აღიარა. ქართველთა უმთავრესი მის შესა-
ხებ ამბობს იგი იყო „არარა ნიჭთა სახელმწიფოთა
მქონებელი“-ო. აჰმადმა მოაკვდინა ძმა თავისი ყოხლა-
დარ ამის გამო, იხილეს რა ასეთი უწესოება, აჰმად გა-
ნადგდეს და დასვეს ყაენად ძე აბაღა ყაენისა, სახელით არ-
ღუნ. როგორც კი ეს ცნობა მიუვიდა ყაენს, მან შეკრიფა
ლაშქარი და მოუწოდა ქართველთა მეფეს დიმიტრი მე-
ორეს თავისი ლაშქართურთ. მეფეც ეახლა მას. მივიდ-
ნენ იმ ადგილას, სადაც არღუნი იდგა. როდესაც ამ უკა-
ნასკენელმა ყაენის ძალა იხილა, ვერ წინააღმდეგა მას და
შეიკეტა ციხეში. აქ დიდ ხანს ყოფნა მას არ შეეძლო
და ამიტომ ყაენ მაჰმადისთან მშვიდობაზე მოლაპარაკე-
ბა დაიწყო. ყაენმა შეინდო არღუნი და შეირიგა ფიცით.
ერთად მგზავრობის შემდეგ თავისი ძმისწული არღუნ
ყაენმა დასტოვა რეჰს-ს და სარდალნი „უოველი დაუტე-
ვა არღუნს თანა, და დავედრა ალიყანს და სხვათა ნო-
ინთა („მონღოლთა ერისთავთ“), რათა მცირედნი დღე
ნი დაყვენ და მერმე მოაკვდინონ არღუნ. და იყვნენ
ნოინნი არღუნს თანა, და ქმნეს განზრახვა დიდმა ბულა
და იარაბულა, ნათესავით ოირღირთა მთავარმან, რათა
აბაღას შვილი არღუნ ყაენად დასუან და აჰმად მოაკუ-

დინონ, რომელ ყვესცა. და მსწრაფლ მივიდეს ღამით, და გამოიყვანეს ალიყან, კარავსა შინა მწოლი, და მოაკლ-
დინეს. და ვითარ განთენდა, არღუნ ყაენად ქადაგეს, (ეაე
იგი: ყაენად გამოაცხადეს) და წამოვიდეს დევნად აჰმა-
დისა (ყაენისა), ხოლო იგი მივიდა უკდოთა შინა მისთა,
უჟანს, მოეწინეს და საბლითა მოაშთვეს“. („ქართლის
ცხოვრება“, თბლ. 1959. ტომი მეორე, გვერდი 284/5).

„ქართლის ცხოვრებ“-ის მონათხრობსა და მაჰმადიან
ისტორიკოსთა ნაამბობს შორის არსებითი განსხვავება
არ არის: ყაენი აჰმად ტახტიდან გადააგდეს და არღუ-
ნი გაამეფეს. აჰმადი მოჰკლეს. მაჰმადიან ისტორიკოსებზე
დაყრდნობით დაწერილ გერმანულ ისტორიაში „მონღო-
ლები ირან“-ში მთელი ამბავი უფრო დაწვრილებითაა
მოთხრობილი. მაგრამ აქ ჩვენ გვინტერესებს ალიყან —
ალინაყ-ის თავადადასავალი.

უეჭველია, ალინაყ მაჰმადიანი ისტორიკოსებისა არის
იგივე ალიყან „ქართლის ცხოვრები“-სა.

როდესაც ყაენმა აჰმადმა არღუნი შეირიგა, იგი დას-
ტოვა ბანაკში და ჩააბარა ალიყანს და სხვათა ნონთა.
მაგრამ აქედან ცხადი არ არის, იყო ეს ალიყან მონღო-
ლი, თუ ქართველი. მუჟღუმანური წყაროები ამ ალი-
ყანს უწოდებენ ალინაყ-ს და თვლიან მას ქართველად.

რა ინტერესი ჰქონდათ მაჰმადიან ისტორიკოსებს ეს
ალინაყ=ალიყან მაინც და მაინც ქართველად გამოეც-
ხადებინათ? რა ინტერესი ჰქონდა „ქართლის ცხოვრე-

ბის“ ჟამთა აღმწერელს გაჩუმებულიყო და მთელი ამ
ბავში ეს „ქართველი გენერალი“ ალინაყ თუ ალიყან
ქართველად არ მოეხსენებინა?

შეიძლება სხვა და სხვა მოსაზრება მოიტანოს კაცმა:
ამიტომ და იმიტომ, ასე და ისე მოხდაო ეს ამბავი.

თავის თავად საინტერესოა ასეთი განსხვავება ერთი
და იმავე ამბავის მოთხრობაში და სწორედ ეს გვიკარ-
ნახებს დიდი სიფრთხილით გაისინჯოს ხოლმე წარსული
მოვლენა, ხოლო ქართველ ისტორიკოსებს მოეთხოვებათ
გამოარკვიონ ამ „ქართველი გენერალის“ ნამდვილი სა-
დაურობა და ვინაობა.

ერთი დამატება: მონღოლთა პირველი სასინჯი შემო-
ტევა საქართველოზე მოხდა 1220-21 წ.წ. მთავარი და
დამპყრობელი თავდასხმა კი მოხდა 1235-36 წ.წ. ამ ხა-
ნაში დაიკავეს მონღოლებმა აღმოსავლეთი საქართველო
და როდის მოასწრო ამ „ქართველმა გენერალმა“ მონ-
გოლთა მხარეზე გადასვლა, გამაჰმადიანება და სატახტო
ბრძოლაში დიდი მონაწილეობის მიღება; როდის დაიწყო
მან საჩდლობა, გენერლობა და ყაენის ინტერესებისათ-
ვის ბრძოლა?! დიდი ავანტიურისტი უნდა ყოფილიყო ეს
ალიყან — ალინაყ! ასეთ პირებს დიდ ამბავთა დროს სა-
ხარბიელო პირადი განდიდება-შეძენისათვის ფართო ას-
პარეში ეძლევათ და არც თუ იშვიათად აგრეთვე საში-
შინელი მარცხით სრულდება.

ბ. ბებურიშვილი

გიორგი ყიფიანი

ტყემლის ყვავილები

ტყემლის ყვავილები,
ნაზი დედოფალები,
თეთრი თავსაფარებით
გზებზე იცქერიან;
მოდის სიყმაწვილე
მიწის სიმწიფიდან,
მიწა გადახნული,
ფურთა მისტერია, —
დილის საფეხურზე
გული ამოვიდა,
სხივთა თაიგული
ზეცას მიაწოდა.
მიცქერს სიყმაწვილე,
გზაში გაჩინდული,

მწვანე აივნები
ლურჯმა გაიყოლა, —
ფიქრთა ფერიები,
სიზმრის ზემია,
სახე ეფემერი
ჩემი სიხარულია,
მძინავს სიცოცხლეში
და გულს ვეფერები,
ტყემლის ყვავილები
რომ არ დაივიწყა.

გიორგი ყიფიანი

1967 წ. პარიზი.

ვეტიხი აბულაძე

სევდის მგოსანი
(დაბ. 150 წ. თავზე)

სულში შემძვრალი ჭია ღრღინდა შენ სათუთ სხეულს,
დაჭრილ სამშობლოს სატყევეარი გულს გიძძიძებდა,
გიყვარდა იგი ჭაბუკ მგოსანს და გამოჩრჩეულს —
მას უმღეროდი და მისივე გახრჩობდა სევდა.

ყოველ საღამოს იწყებოდა მწუხრის განგაში,
სევდის ისრები გაწვალებდნენ, როგორც ავაზაკს!
და აიბეჩავემ ქართველით სავსე ასაკში
წინა თაობის მძიმე ტვირთი შემოგთავაზა.

გარდასულ დროთა გადმოცემით იყავ ნაქები,
ჰქროდნენ მერნები, შაშხანები და არწივები,
მხოლოდ არწივებს შვილდოსნებმა მოკვეთეს ფრთები
და გარდამავალ ჯვარედინზე დაკლეს მერნები.

დაქანცულ მხედრებს აღარ სჭირდათ ბრძოლა ხალისად,
დაკიდეს ხრმლები, შეასვენეს მკლავი გრებილი,
და სატყევეარი დაქვრივებულ დედოფალისა
დაესო რუსის მზაკვარ მკერდზე გარდატეხილი...

იმ დროს საღილე სასახლეში ინასკვნებოდა,
შენ კი სიმშვიდეს დაეძებდი მტკვრის ნაპირებზე;
იქ ცივი ღამის სიჩუმეში ვილაც კვენსოდა,
ვილაცა შვილებს დაეძებდა ნაბრძოლებ ველზე!-

და შენც ბუნების სხვათა უცნობ მეტყველებაში
უხილავ ხედვით ხევე ხშირად ეკითხებოდი:
რად ჩაჭრა შუქი ივერიის მთასა და ბარში!
თავისუფლებას მოვიპოვეთ ჩვენ აწ და როდის?

წინად ჩვენებმა ასი მტერი მოიგერიეს, —
ეხლა კი სულ სხვა ზაფრა გვაზის აზიზად მხრებზე;
ათასწლოვანი ოქროს კვერთხის სამაგიეროდ
გოლგოთა გვიდევს სვეტიცხოვლის საკურთხეველზე.

ოცდაათორმეტი, ასპინძა და კრწანისელები:
ქვაბულიძენი, ლეონიძე, კახი პატარა,
სამასის ფიცი და თბილისის კარის მცველები,
აფორიაქდა — წარსულს ფარდა ჩამოეფარა.

უცებ მოწყვეტილ ვარსკვლავივით სხივს გაუსწარი,
მხოლოდ მანძილი იყო მოკლე — ეკლებიანი;
ჯვრებით შემკულნი იქარვებდნენ დარდებს სიმწარით;
შენ კი გინდოდა საქართველო მძლე და მთლიანი.

სატრფოც მოგტაცეს და ტოლებიც შორს იყვნენ მაშის,
შენ არ შეგეძლო მარტოხელას, მწიკის და უღონოს;
ქართლის მიწაზე წითურებმა იწყეს ფარფაში,
დაღლილი ძარღვი მოიღვენთა, გადაიღუნა!

და ამოდენა მწარე ფიქრებს ვერ გაუძელი:
დაკჭნი, დასუსტდი, დაიფურფლე, დაიმარხევი,
თან ჩაიტანე დაწყებული ლექსის ფურცელი
და შენ მოძმეთა სინანული, გლოვა და ტრემლი.

ეხლა სამშობლო მოგიგონებს შენ მოწიწებით;
იგი შენს გმინვას გაიგებს და გაიზიარებს...
ის დღესაც ეძებს შენებრ შვილებს გაფაციცებით,
დღესაც იშუშებს ძველ ქირსა და ახალ იარებს...

სადაც ღრუბლებში ჰქრის მერანი ფაფარ აშლილი,
გაარღვევს ღამეს, გამოჩნდება არაგვის პირას,
შას მოაქანებს ბედ მომღუფე ბარათაშვილი
და ეხლაც ხელში გატეხილი ჩანგი უჭირავს.

ბრ. რ(მ)ბაძე(მძის საფლავს)ან
მწარეა, მწარე წუთები ესე,
ყურს ზარი კაწრავს და გულს შამფური;
შავი ღრუბლები ჩამოწვენ მთებზე,
როგორც ძეტები და წიწამური.
თამდები სიტყვა ზენგან ქებული
სამომავლისო სვლების გზებია,
დღეს კი აქ წევხარ გაშეშებული,
თვალეი სევდით ამოგვსებია.
დიდო მგოსანო და დიდო კაცო!
ზვიად აზრების ზვიადო ზვიზო,
მოველ — სამშობლოს ამბები გაძცხო,
მაგრამ ვაი თუ გული გატკინო...
ზოგი დასჯილან ყბა გაუხსნელად,
ზოგათთვის სიტყვა კელაპტარია;
შენც აგრე გრწამდა და უეჭველად:
ლაგამი ძნელი ასატანია

პოეტის მხოლოდ სხეული კვდება,
სული კი მარად დაუმცხრალია;
ვაჟას აჩრდილი ვიახლოვდება,
ტოლთან შეხვედრით გაუხარია.
აქ კი მარტო ხარ, მარტო იწული,
ქართველთა მოდგმის ღვიძლი და თესლი,
ცოცხლებს შესცქერი თავაწეული,
მკვდრებშიც პირველი და უკეთესი.
იყო ყაზიბი და ვინმე ყბედი,
იყო ილია, გრიგოლი, ნიკო —
სხვა იქნებოდა სამშობლოს ბედი,
რომ თებერვალი არ ყოფილიყო!
ეხლა კი თითქოს წყნარდება ტალღა,
წყალნი წავლენ და გარდაივლიან;
შენი საფლავი თუ დაიკარგა,
გზა გაკვალული დაჩენილია.

ევტიხი აბულაძე

ბიორბი ბამპრელიძეს.

შენ ფრთებ შესხმული პოეტი ხარ და წელ მაგარი.
(გარეგნულადაც გადარებენ არსენ მარაბდელს);
უკვე აიგე პოეზიის თავშესაფარი
და ხშირად გვასმევ მწიფე ვახის წვეწვს გადმონადებს.

გიყვარს გრძნობათა გაითიმული გადმოლაგება,
აატრიალებ ლექსთა წყობას ახალ ჩარჩოვით,
გიადვილდება მეტოქეთა ფეხქვეშ გაგება
და ვინც დაგძრახოს, ჩამოახრჩვე ის ყაჩაღივით.

გიყვარს ზვირთები ხაზოკებზე გადმონახეთქი
და შენ სახეზე თამაშობენ სხივთა ფერები;
სამშობლოსათვის მიგიძღვნია გულის ნაფეთქი,
საქებ საქმეთა სიმღერებში შენაბურები.

შენ არ გაშინებს დაბრკოლება და სივალახე,
უკუღმართობას მოკუმული თვალით უყურებ;
გაათ გამოვლილმა ვაშინგტონში მე ერთხელ ვნახე
და უმალ ჩემი მეგობრობა დაიმსახურე.

შენ შეეგებე თანამოდმეს, როგორც თანაბარს,
ჩვენს შორის რაღაც უხილავი გადაიხლართა;
არ ავყოლივარ! გარემოცულ დავიდარაბას,
— მხოლოდ გულგყოფდით საიდუმლო შინაგან ხმათა!

შორი-შორსა ვართ; თუ ვერ ვნახოთ აწ ერთმანეთი,
მე შენ სახსოვარს შევიწინახავ, არ შეველევი,
რადგან ჩვენ ეხლა ერთნაირი გვაერთებს ბედი,
და გვადულაბებს ერთი ღმერთის საკურთხეველი.

ბევრს არას გეტყვი, მოკლე სიტყვა უკეთესია,
შეჩვეული ვარ გულწრფელობას და სიმარტივეს;
რა ვქნათ, თუ სევდა სუროსავით შემოგვესია
და ჩვენ ცხოვრებას ტლანქი ტალღა მიატივტივებს!

ხომ შეგვიძლია ბედს შევსჩივლოთ და ვუთხრათ ასე:
„რა ვუყოთ, თუ ჩვენ ამბობებამ ავცივოლია“...
და ეხლა მამულს, ყოველი დღის სისხამ დილაზე
ჩვენი ფიქრები გადუფრენენ, როგორც თოლია.

გადაუფრენენ და აქიქ შეჩერდებიან...
სვეტიცხოველო, გელათო და ჯუმათის მთაო!
თქვენ კარგათ იცით: პოეტები როგორ კვდებიან, —
გთხოვთ შეინახოთ მათი ხსოვნა თქვენ სათითაოდ.

ევტიხი აბულაძე

ნოემბერი 1964

გიორგი ყიფიანი

ჯვარი

რამდენი ხმალი სისხლში გამხმარი,
ჯვრებისა ბრძოლა, ხმალზე ჯვრის ტარი.
ოჭროს მწვერვალზე დვას ვატიკანი,
ყველგან სიმდიდრე, არსად ხის ჯვარი!

ჯარიაკაცს ჯვარი რომ ჩამოკიდეს,
ასე უბრძანეს: იბრძოლე კიდევ!

ჯვარი გენერალს არ ჩამოჰკიდეს,
მტერმა გადუჭრა გზა კიდით-კიდევ!

მშობიარობის გაიხსნა ბაღე,
ჯვარი მოგნათლავს გვიან თუ აღრე!

ქალის თვალებმა მოგტაცა ცქერა,
მოგელის კოცნა და ჯვარისწერა!

შვილი გეყოლა, შვილი მონათლე,
ბარძიმის მძივი ჯვარზე ანათებს.

ხანში შეხვედი, მოგიკვდა დედა,
დედის კუბოზე კვლავ ჯვარსა ხედავ!

გარდაიცვალე, ველარ გიცანი,
დაჯვარედინდა კუბოს ფიცარი!

ჯვარს თან მიჰყვება ვით სამლოცველო
ჩემი სიცოცხლე და ჩემი გვარი;
მაგრამ სხვა იყო, მაგრამ სხვა იყო
ჭრისტეს წამება და ჭრისტეს ჯვარი!

გიორგი ყიფიანი

1967 წ. პარიზი.

ალექსანდრე შათირიშვილი

სამშობლოს ნატვრა

†

ჩვენ უფიანის გარდაცვალების ხუთი წლის თავის აღსანიშნავად (1965-1970).

†

ვალეკო ინწკირველის და ექიმ კობა ხოკოლავას მოგონებისათვის.

ეს ჩემი წერილი არსებითად არის გაგრძელება იმ წიგნისა, რომელიც 1962 წელს გამოიცა, პათაუ-რით: „ერის რაობა და მშობლიური გრძნობა“. ქვემოთ მოთავსებული წერილი ორი ნაწილისაგან შესდგება. ეს პირველი ნაწილი, რაც აქვე იბეჭდება, არის შედგენილი დიდი ემიგრანტების: პუბლიუს ოვიდიუს ნაზო-ს, დანტე ალიგიერი-ის, შატობრიან-ის და პოლ გოგენ-ის მოწმობათა მიხედვით.

ჩვენს წიგნში: „ერის რაობა და მშობლიური გრძნობა“ ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ „წარსულის“ მნიშვნელობისა და ღირებულების შესახებ. ხოლო არაერთ უნდა დაივიწყოს, რომ **ნამყო** (წარსული დრო) თავისთავად დამოუკიდებელი არაა; პირიქით, იგი მჭიდრო კავშირში იმყოფება **აწმყოსთან** (ებლანდელი დრო) და **მყოფალთან** (მომავალი დრო); დროის უფრო დაკავშირებით შესწავლისას აღმოჩნდება, რომ დროის სამ სახეობის ერთი მეორისაგან დაშორება, განკერძოება არც იყ აღვილია, რადგანაც აწმყოსა, ნამყოსა და მყოფალის შორის არსებული საზღვრები მეტად ცვალებადი არიან; ისინი ერთი მეორეზე მოქმედებენ და ერთი მეორის გავლენას აღიბეჭდავენ. ამ ფაქტის დასახასიათებლად ბერგანონ-ის მაგალითით ვისაგებლოთ:

ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, ფრაზა მთლიანი ერთეულია; მიუხედავად ამისა წაკითხვისას და გამოთქმის დროს ფრაზა სამივე მომენტს გულისხმობს; ამ ფრაზაში სიტყვის აზრი და შინაარსი წინამორბედ და მომდევნო სიტყვებთან კავშირზეა დამოკიდებული; ამავე დროს თითოეული სიტყვა თვით ფრაზის განწყობის მთლიანობის მიერ არის გაშუქებული და გაერთიანებული;

ფრაზის გაგებისათვის საჭიროა თითოეული სიტყვის კარგად წაკითხვა და მისი შინაარსის გაგება (= აწმყო), ხოლო თითოეული სიტყვის ნამდვილი, შეუცდომელი აზრის გამოკვეთა განუშორებელია იმაზე, თუ რა ითქვა ამ სიტყვის გამოთქმამდე (= ნამყო) და, აგრეთვე ის, თუ რა ითქმება ამ სიტყვის შემდეგ (= მყოფალი).

კითხვის პროცესში, თავისთავად, არც ერთი სიტყვა არ ეკუთვნის არც მარტო აწმყოს, არც მარტო ნამყოს და არც მარტო მყოფალს; თითოეული სიტყვა არის ჯერ აწმყო და შემდეგ ნამყო; ან ჯერ მყოფალი, შემდეგ აწმყო და ბოლოს ნამყო (მოფიქრებული აზრის ქალაქში გადატანის დროს) იმის მიხედვით, თუ რას ვიღებთ ჩვენ ჩვენი დროის საწყისად (ორივე); თუ მე ფრაზის მეხუთე სიტყვას გამოვთქვამ (= საწყისი), იგი აწმყოშია; ხოლო მეოთხე, მესამე, მეორე და პირველი სიტყვები უკვე ნამყოს ეკუთვნიან; ხოლო მეექვსე, მეშვიდე და... მეათე სიტყვები კი მყოფალში იმყოფებიან; თუ საწყისად მეათე სიტყვას ავიღებთ, მაშინ ეს მეხუთე და ყველა მეათე სიტყვის წინამორბედი სიტყვები ნამყოში იქნებიან, და მხოლოდ მეათე სიტყვის მომდევნო სიტყვები — მყოფალში; ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანისათვის დროის მომენტები ფიქსი, უძრავი არ არიან, ესე იგი, ისინი ცვალებადობენ. თუ ჩვენ ავიღებთ პირველ მაგალითს, რომელშიც საწყისი მეხუთე სიტყვაა, ამ მეხუთე სიტყვის შინაარსს დაგვიზუსტებენ (მაგალითად: სიტყვა რეაქცია = ქიმიური, თუ პოლიტიკური?) ერთი მხრივ, წინამორბედი და მეორე მხრივ, მომდევნო სიტყვები; ორივე ფრაზის საერთო გლობალური განწყობის დახმარებით); ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული სიტყვა ხან აწმყოშია, ხან ნამყოში და ხან მყოფალში, ყველა ისინი ფსიქოლოგიური განწყობის განათების თანახმად იმ თავითვე მთლიან და ერთეულ ფრაზის აწმყოში იმყოფებიან; თუ დროის საწყისად ჩემი მოხსენების მომენტს ავიღებთ (= აწმყო), მოხსენების წინამორბედი მოვლენები ნამყოს წარმოადგენენ; მოხსენების წაკითხვის შემდეგნი კი — მყოფალს; პირიქით, თუ ჩვენ დროის საწყისად დაბა ბოლიოდან პარიზს ჩამოსვლის მომენტს ავიღებთ, ჩემი პარიზში ყოფნა იქნება აწმყო და ყოველივე, რაც პარიზში ჩამოვლამდე მოხდა ნამყო იქნება (მაშასადამე, ამ შემთხვევაში, დაბა ბოლიო ნამყოში იქნება); თუ აგრეთვე, საწყისად ჩემი საქართველოდან პარიზში ჩამოსვლას ავიღებთ, მაშინ პარიზის და, საერთოდ, საფრანგეთის ცხოვრება ჩემი აწმყო იქნება, და სა-

ქართველოში ყოფნა კი — ჩემი ნამყო (ამ შემთხვევაში, დაბა ბოლიო ჩემს აწმყოს მიეკუთვნება) და სხვ. 18), 19).

ამრიგად, ფსიქოლოგიური დროის, ხანიერობის მომენტების: აწმყო, ნამყო და მყოფადის ურთიერთი ზეგავლენა და კავშირი უდავო და უეჭველია; ამ საკითხს განსაკუთრებული სინათლით და აიღობით პიერ ბაურჟელენ შემდეგნაირად გვირკვეს:

ამ სამი მომენტიდან უმთავრესი და ძირითადია აწმყო, რადგანაც იგი შეიცავს მთელს რეალობას; თუ აწმყო არ იქნებოდა, არც ნამყო და არც მყოფადი არ იარსებებდნენ; აწმყო სინამდვილის, ცნობა, შეგნება და წარმოდგენა არის; აწმყო არ-მქონე ადამიანი ფსიქიკურად არის ბრმა.

ნამყო და მყოფადი, ერთგვარი თვალსაზრისით, არა რეალური არიან; ისინი დამოუკიდებელი არ არიან; ისინი უშუალოდ არ წარმოიქმნებიან; ისინი არსებობენ მხოლოდ აწმყოში გავლით, აწმყოს შუალობით.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ აწმყოს შესახებ, იგი ჩვენთვის აწმყო - წამი (ენატან) არაა; აწმყოს ახასიათებს „სი-სქე ჩემი აქტის, სიტყვის, რომელსაც მე გამოვთქვამ, ფრაზის, რომელიც სიტყვას ზიდავს, მთლიანი თქმის (დისკურ), რომელიც მას აზრს ანიჭებს; შეუძლებელია აწმყოს წარმოდგენა გარეშე ისტორიულობისა; სწორედ ისე, როგორც შეუძლებელია რომელიმე ადგილმდებარეობის წარმოდგენა გარეშე მისი გარემოცულობისა.

აღქმა ამ დარბაზისა, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, წარმოგვიდგენს არა მარტო თვით დარბაზს, არამედ აგრეთვე ამ დარბაზის შემცველ სახლს, ქუჩას, რომელიც ამ სახლის წინ გადის; კვარტალს, რომლის ნაწილს შეადგენს ეს სახლი; თვით ქალაქს და ქვეყანას, რომელსაც ეკუთვნის იგი და სხვა. სწორედ ისე, რომ შეუძლებელია რომელიმე რეალური ადგილის წარმოდგენა, თუ ჩვენ მას მათემატიკურ წერტილს გავუთანაგვარებთ.

ანიტომ აწმყო ფსიქოლოგიისათვის სიტუაციის, მდგომარეობის ეხლანდელობაა, რომლის სინამდვილე ისტორიაში იმყოფება; ხოლო აწმყოს ისტორიულობა გულისხმობს არა მარტო წარსულს, არამედ, აგრეთვე, მყოფადს; ყველა მათ ერთად და სოლიდარულად.

აწმყო შეიცავს ორმაგ წინასწარობას (ანტისიპასიონ): 1). უპირველეს ყოვლისა, აწმყო, რომელიც ეხლანდელ დროს წარმოადგენს, ვერ იქნება ჩემი აწმყო, თუ იგი არ ყოფილა ჩემი მყოფადი, ეპე იგი, არ ყოფილა ჩემ მიერ წინასწარ განჭვრეტელი; გუშინ, როცა აღებული მოვლენა ჯერ კიდევ მყოფადში იყო, მე ვითვალისწინებდი, თუ რას მოვიმოქმედებდი, ან თუ რა მომივიდოდა; ეს აწმყო დაახლოვებით ისეთია, როგორც მე იგი წინასწარ გავითვალისწინე; მე მას ვიცნობ, როგორც ჩემს იმ ერთგვარ ფამილარობის შემწევობით, რომელიც მეწინააღმდეგება, რომ მის წინაშე გავიკვირვო; 2). მაგრამ ჩემი აწმყო არ

არის მარტო წინასწარ გათვალისწინებული (ანტისიპე), არამედ, აგრეთვე, თვით იგი არის წინასწარგათვალისწინება; იგი ძიობს მიხვდეს, თუ რა სახის მყოფადს ამზადებს იგი... ერთი სიტყვით, ადამიანი თავის თავს მყოფადში პროექტირობს (მომავალში გადაისვრის, გადაიტანს, რომ თავისი „მომავალი აწმყოები“ მოამზადოს; რომ ეს მომავალი აწმყოები გახდნენ მისნი, როგორც მისი არის ეხლანდელი აწმყო.

ადამიანი არის ერთ და იმავე დროს გონიერი და თავისუფალი: მისი აზროვნება, ისევე როგორც მისი მოქმედება, აქტივობა გარდაუვალობით ირჩევა ორი ალტერნატივის შორის: ყველაფერი აუცილებელია და ყველაფერი განუსაზღვრელია...

ნამყო საკუთარ თავისებურობას ანიჭებს მყოფადს და შესაძლებლობათა იმ ჩონჩხს აწვდის, ურომლისოდაც იგი აზროვნებისათვის მისაწვდომი ვერ იქნებოდა.

მყოფადი კი, თავის მხრივ, ნამყოს საკუთარ დაურწმუნებლობის მოსახსნაში ახვევს და მას ადამიანურობის დასაცემს; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნამყო თავის ღირსებას მყოფადიდან იღებს“. 3).

იმდენად, რამდენადაც ადამიანი სინამდვილეში მოქმედებს და ამ სინამდვილის გაგებას და მასთან შეგუებას ცდილობს, მას არ შეუძლია დროის ერთ-ერთ გამოცალკეებულ მომენტში იცხოვროს.

ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ჩვენ მხედველობაში გვყავს ადამიანი, რომელიც სინამდვილესთან კავშირშია; ხოლო არა ნორმალურ პირობებში, როცა ადამიანი სინამდვილის ფარგლებიდან სხვა და სხვა მიზეზით გამოუსულია, დროის ერთ-ერთ მომენტში ექსკლუზივური ჩამწყვეტვა ხშირი მოვლენაა, რომელიც ფსიქოლოგებს ხშირად დეტალურად აღუწერიათ.

ჯერ კიდევ პასკალმა კარგად შენიშნა ეს პათოლოგიური, არა ნორმალური მოვლენა:

„ჩვენ აწმყო არასდროს ვანიჭებთ დიდ მნიშვნელობას. რადგანაც მყოფადი მოსვლას ძლიერ აგვიანებს, ჩვენ მას წინდაწინვე წარმოვიდგენთ, თითქოს ჩვენ მის მოსვლას ვაჩქარებდეთ; ან კიდევ: ჩვენ ნამყოს ვეპატივებით, რომ იგი, მეტად სწრაფი, როგორმე, მისი სისწრაფე შეეანელოთ: როგორც არაგონიერი ქმნილებები, ჩვენი დროის ისეთ სახეობათა შიგან ვხეტილობთ, რომლებიც ჩვენი არ არიან და სრულიად არ ვფიქრობთ დროის იმ ერთადერთ სახეობაზე (აწმყოზე), რომელიც ჩვენი საკუთრებაა. მეტი ფუჭი ხასიათის მქონენი, ჩვენ ვვოცნებობთ იმაზე, რაც არ არსებულა და საზრიანობის გარეშე გავურბივართ ერთ-ერთს, რომელიც უდავოდ არსებობს; ეს იმიტომ, რომ აწმყო, უმთავრეს შემთხვევაში, გულს გვიკლავს; რადგანაც იგი გვაღონებს, ჩვენ მას თვალებს ვარიდებთ; ან კიდევ, თუ იგი მოგვწონს, ჩვენ ვნანობთ, რომ იგი ჩვენი თვალებიდან იკარგება; ჩვენ ვცდილობთ:

აწმყოს მყოფადის მეშვეობით დავეხმაროთ: ჩვენ ვფიქრობთ, თითქოს ჩვენი შესაძლებლობის გარეშე მყოფ საგნებს ვფლობდეთ იმ დროისათვის, რომლის მოსვლია აუცილებლობაში არავინ არის სრულიად დარწმუნებული“-ო. 4). „აზრი“, ნომ. 172.

ეს, რასაც პასკალი გვისახავს, ფაქტევაა სინამდვილისაგან; როცა სინამდვილის დაძალება მეტად დიდია; როცა ადამიანი მას ვერ ეგუება, იგი შორდება აწმყოს და მთლიანად იძირება ან ნოსტალგიაში, რომელიც აბსოლუტური პასივობა და განსახიერებაა ღრმა მოხუცის თავის მოგონებებში სრული მთლიანი და ზოგჯერ სამუდამო ჩაფლობის; ან კიდევ, ადამიანი თავის თავს მოაჩვენებს, თითქოს იგი მოქმედებდეს და ამ მოქმედებით მყოფადს აშენებდეს; ნამდვილად კი, იგი ოცნების მსხვერპლია და სინამდვილედან მოწყვეტილ, ფუჭე უტოპიებს ჰქმნის; ამ, ანდრე მალროს გამოთქმულ „დროების, ხანიერობის განწყობილებას“ განსაკუთრებული კონკრეტობით და სისრულით პოლ ფრესი განიხილავს;

იგი განიხილავს ცალ-ცალკე 1) აწმყოს, 2) ნამყოს და 3) მყოფადის მოძალეობას; რადგანაც ჩვენ უკვე განვიხილეთ პასკალის მიერ წარმოდგენილი ნამყოს და მყოფადის დაძალება, ჩვენ მოვიტანთ ფრესის წიგნიდან მხოლოდ აწმყოს დაძალებას.

აწმყოს მოძალეობა ახასიათებს იმას, ვისაც არა აქვს დროის ჰორიზონტი: პირუტყვი, ჩჩვილი ბავშვი, გონაკლი, ქუთასუსტი ადამიანი, ზომავზე მეტად მოხუცებული, რომელიც აღარ ფიქრობს მომავალზე და მიაი ნამყოს წარმოდგენები მეხსიერებიდან იკარგებიან. 29), გვ. 182-3. დროის ჰორიზონტის შევიწროება ექსკლუზიურად აწმყოს სასარგებლოდ შეიძლება იყოს შედეგი ადამიანის თავდაცვისა, რომელიმე დიდი საშიშროების წინაშე; ფრესი ასახელებს მაგალითს ფსიქიატრ ანრი ბარუკის წიგნიდან ამოღებულს, რომელიც ჩვენ წავიკითხეთ დიდი ინტერესით; ბარუკ, როგორც ებრაელი, იყო ჰიტლერის საკონცენტრაციო ლაგერებში და კარგად შეიწავლა თავის თავზე და თავის თანამემამულეებზე ეს თავდაცვის მიზნით წარმოქმნილი თავშეფარების მექანიზმი: აწმყოში ჩაკეტვა —

„ეს ტყვეები მრავალ გზის, ხან ერთ და ხან მეორე ადგილში გადაადგებ - ვადმოვლებულნი, დაჩაგრულნი, მუდამ დამუჭრების ქვეშ მყოფნი, ტერორიზებულინი, ხშირად ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებულნი, რომ მათთვის მყოფადი სრულიად დახურული, უიმედო ჩანდა, მიეჩვენენ მყოფადზე ფიქრის აღკვეთას და თავიანთ მეხსიერებაში თავიანთი წარსული წლების მოგონების ჩაკვლას; ამიერიდან ისინი ცხოვრობდნენ მხოლოდ აწმყოში; წარსულიდან მომავლისაკენ მიმართული განუწყვეტლობა მათ გააუქმეს“-ო. 15).

ჩვენ შევეცდებით ეს ჩვენი თეორეტიული მიმოხილვის

სისწორე, შეძლებისამებრ, თვით სამშობლოს განვითარების სხვა და სხვა ფაზებში დაეინახოთ. ამ მხრივ, სხვა და სხვა ქვეყნის, სხვა და სხვა დროის დიდი ემიგრანტების მოწმობა ჩვენთვის მეტად საყურადღებო იქნება. საამისოდ ჩვენ მივმართავთ:

1). რომელ პოეტს **პუბლიუს ოვიდიუს ნაზო**-ს (დაბ. ქ. სულმონა-ში 43 წელს ქრისტემდე; გარდაიცვალა ქ. ტომი-ში, ეხლანდელ კონსტანცა-ში 18 წელს ქრისტეს შემდეგ);

2). იტალიელ პოეტს და საზოგადო მოღვაწეს, იტალიის ენის შემქმნელს **დანტე ალიგიერი**-ს (დაბადებულია ქ. ფლორენცია-ში 1256 წელს; გარდაიცვალა ქ. რავენა-ში 1321 წელს);

3). **ფრანსუა, რენე შატობრიან**-ს (დაბადებულია სენ მალო-ში 1768 წელს; გარდაიცვალა პარიზში 1848 წ.);

4). მხატვარ **პოლ გოგენ**-ს (დაბადებულია პარიზში 1848 წელს; გარდაიცვალა პარიზში ელზვილების ერთ-ერთ კუნძულზე ქალაქ ატუანა-ში 1903 წ.).

ჩვენ შეგვეძლოს სხვებიც დაგვესახელებინა, განსაკუთრებით ვიკტორ ჟუგო, რომელმაც თოთხმეტ წელზე მეტი გაატარა ემიგრაციაში; ზემოდ დასახელებული ოთხი ემიგრანტის განცდების განხილვა საკმარისი იქნებოდა, რადგანაც ისინი თავიანთი ხასიათით და მდგომარეობით, განათლებითა და პროფესიით საკმაოდ დამახასიათებელი არიან; იფიქრობ, მართებულია ამ ცნობილი ემიგრანტების ორ მთავარ ორმაგ ჯგუფად დაყოფა:

პირველ ჯგუფს ეკუთვნიან ისინი, რომელნიც პოლიტიკური მოსაზრებით იყვნენ სამშობლოდან დაშორებულნი:

1). მათში, ერთი ნაწილი მთავრობის მიერ ძალით გადასახლებული, როგორც დანტე ალიგიერი;

2). მეორე ნაწილი, სახელმწიფოში დამყარებულ რეჟიმთან შეუგუებლობის გამო სამშობლოდან თავისი ნებით გახიზნული, როგორც რენე შატობრიანი;

მეორე ჯგუფს ეკუთვნიან ისინი, რომელნიც არა პოლიტიკური მოსაზრებით მოხვდნენ ემიგრაციაში:

1). მათ შორის, ერთი ნაწილი, მთავრობის მიერ იძულებით გადასახლებული, როგორც პუბლიუს ოვიდიუს ნაზო;

2). მეორე კი, საზოგადოებრივ კულტურული მოსაზრებით, თავისი საკუთარი, არა პოლიტიკური, კულტურული კონცეპციების კარნახით სამშობლოდან გახიზნული, როგორც ფრანგი მხატვარი პოლ გოგენი.

აქ აღსანიშნავი და შესანიშნავი ისაა, რომ ეს ემიგრანტები, რომლებიც ერთმანეთთან შედარებით მეტად დაშორებულ ეპოქება ეკუთვნოდნენ (დაწყებული ქრისტიანული წელთაღრიცხვის წინა ხანიდან, მე-13ე, მე-14-ე,

მე-18ე, მე-19ე საუკუნეების გავლით, მეოცე საუკუნეში (რომლებიც სხვა და სხვა საზოგადოებრივ წრეებს ეკუთვნოდნენ; რომლებიც სხვა და სხვა პროფესიის, სხვა და სხვა კულტურული ფორმაციის იყვნენ, დაახლოებით, ერთ და იმავე სახით ალგვიწერენ ემიგრანტულ ცხოვრებას, სამშობლოს ნატურის სიმძიმეს და სიმწარეს და რაც მთავარია, ერთგვარად ჩევაგრობენ გაღმავლების მიმართ.

დავიწყეთ თვითნებური მათგანია უცხოეთთან კონტაქტის და შემდეგ უცხოეთში ცხოვრების აღწერით:

პუბლიუს ოვიდიუს ნაზო-ს სამშობლოდან დაშორება მეტად მტკივნეული იყო; მცირეოდენი მეგობრების თანადასწრებით, მისიანები, მონები, მამა და დედაკაცი და ბავშვები ცხარე ცრემლებით სტიროდნენ, გულ-მკერდს მუშტებს იცემდნენ, რადგანაც მათი პატრონი ოჯახს შორდებოდა. ეს ოხვრა და ტირილი ყოველი კუთხიდან ისმოდა... მისი ცოლი, გაწეწილი თმებით, ლარებისა და პენატების საკურთხეველის წინ მიწაზე დამხობილი; უკანასკნელი რჩევები, დაუფიქრებლად მიცემული; გამომშვიდობება, თითქოს უკანასკნელი; მრავალგზისი წასვლა და იმეგ მობრუნება, რაღაც დამავიწყდაო... და ბოლოს წასვლა, დაშორება; ცოლის დაცემა გაყინულ იატაკზე; გადასახლების დამის წყვილიადში გაქცევა, როცა სინათლის მათუწყებელი ვარსკვლავი ამოსვლას იწყებდა; უკანასკნელი დილა... გემი, უფრო უბრალო ტარტანა, ბრინდიზის ნავთსადგურზე. დეკემბრის ცივ ღამეში გემზე ასვლა... იტალიის ნაპირების დატოვება; ცუდი მგზავრობა, რასაც ნაზო გემზევე დაწყებული პოემა „ტრისტია“-ში ასე აგვიწერს:

„წარმოუდგენელი მძვინვარე ქარი ტალღებს იზიდავს; ქვიშა ზღვის ფსკერიდან აფხეკილი, დულს; მაღალი მთების-ოდენა ზვირთები გემის მორგვალეებულ ცხვირსა და კიჩოს ეცემიან და ღმერთების ხატს კიჩოზე ტოვებს ურტყამენ; გემის ფიჭვის შენაერთი ადერს; ზვირთებით ნაჩემი (კორდაი) ბაწრიულობა ჭრიალებს; თვით გემის წყალქვეშა ნაწილი ჩვენი უბედურებით კვნესის. პილოტი (ლოკმანი), რომლის ფერწაპლა დავლის დამცემ შიშს ამჟოავნებს; დამარცხებული პილოტი მთლიანად გემს მიენდობა, რადგანაც მისი ზელობის ცოდნა გემს ველარ წარმართავს; როგორც მეტად სუსტი ცხენოსანი, გამოუსადეგარ აღივრსა ჰყრის, როცა ცხენი ყალყზე დგება, სწორედ ასე პილოტიც აფრებს გემს უტოვებს, რომ გემი წაიღიდეს არა იქით, სადაც პილოტს მისი წაყვანა სურს, არამედ საითაც ტალღების ბობოქრობა იტაცებს მას“-ო. 23). წიგნი 1, თავი 4; გვ. 16-17.

ამ გრძელი, დამალავი და დამამწუხრებელი მგზავრობის შემდეგ დანიშნულების ადგილი: ჭალაჭი ტომის (ბერძნულად: ტომოს, დღევანდელი კონსტანტა, ოდიეს-ლაც კაუსტენჯე); დამალონებელი ბუნება, ზამთრის

(რომთან შედარებით) მკაცრი სიცივე; მღვრიე, უგემური ქაობის წყალი...

ამ ქვეყანაში ნაზო არაფერი მოწონს; **არც იქაური ხალხი**, რომელსაც ნამდვილ ბარბაროსებად სთვლის; არც მათი ენა; არც მათი ზნეობა:

„იქაური მცხოვრებნი, — ამბობს ოვიდუს ნაზო, — საერთო ენას ხმარობენ, მაშინ როდესაც მე ხელების ნიშნობით და მიმიკით ველაპარაკები მათ. აქ ბარბაროსი სწორედ მე ვარ; სწორედ მე ვახლავარ, ვისაც ვერაინი იგებს; ხშირად ისინი არ ერიდებიან პირში დამცინონ; შეიძლება ისინი იმასაც მიძრახვენ, რომ მე ემიგრანტი ვარ“-ო. 5). წიგნი 5, თავი 10, გვ. 157.

და როცა მე ვუცქერ ამ ქვეყანას, მცხოვრებთა ზნეჩვეულებებს, მათ ტანთსაცმელს, მათ მეტყველებას; როცა გავიფიქრებ, თუ რა ვარ დღეს და რა ვიყავი წინად, მე განვიცდი ძლიერ სურვილს სიკვდილისას; გული მტკივა იმაზე, რომ კეისრის მრისხანებამ თავისი, ჩემს მიერ მისთვის მიყენებული შეურაცხყოფის ჯავრი ხმალით არ ამოიყარა“. წიგნი 3, თავი 8, გვ. 13.

არც იქაური ქვეყანა:

„არც ცა, არც წყალი, არც მიწა, არც მრავალგვარი ქარი მე არ მომწონს; აფსუს! ჩემი სხეული განუწყვეტელი პისუსტის მსხვერპლია. ჩემ ჯანმრთელობას დაქანცული სულის ზეგავლენა აავადებს; თუ ჩემი ავადმყოფობის მიზეზი ეს ქვეყანაა, მას შემდეგ, რაც მე მივალწიე პონტოს, უძილობა მტანჯავს; მქლე ტყავი ძლივს ფარავს ჩემ ძვლებს; არავითარი საკმელი არ ეამება ჩემ საასს; ჩემი სხეულის ფერი სწორედ ისეთია, როგორც შემოდგომის ფოთლებისა, რომლებსაც ზამთრის პირველმა სუსხმა დაარტყა და დააშავა“...

ოვიდიუს ნაზო ევედრება თავის ცოლს იშუამდგომლოს იმპერატორ აუგუსტუსთან, რათა მან ინებოს, მოწყალობა გამოიჩინოს და გადასახლების ადგილი გამოუთცვალოს:

„მე მეშინია, რომ ჩემი სურვილი გადაჭარბებული არ იყოს; ხოლო როცა მისი რისხვა ჩემ მიმართ დაცხრება, შემეძლება, ეგების, ეს წყალობა მომიშვებით ვთხოვო მას; ამის მოლოდინში უმცირესი წყალობა ჩემთვის უდიდესი სიკეთე იქნება“. წიგნი 3, თავი 8, გვ. 82.

ნაზო ვერ ეგუება ვერც სამწერლო პირობებს:

„ჩემი მუხა, — განაგრძობს ნაზო, — რომელიც მე ასეთ უბედურ მდგომარეობაშიც მეწვევა ზოლმე, ახერხებს ძველებური რიტმის და კულტის მიგნებას; საუბედუროდ, არავინაა აქ, ვისთვისაც ამ ლექსების წაკითხვა შემეძლებოდეს; არავინ, ვისი ყურები შესძლებდენ ამ ლექსების ლათინური სიტყვების გაგებას; ამიტომ ისევ ჩემთვის ვწერ; სხვა რა უნდა ვქმნა? გარდა იმისა, რომ დავწერო და თვით წავიკითხო ჩემი ნაწარმოებნი, რომელთაც სრულიად არ ერიდებთ თავიანთი მსაჯულისა;

თუმცა მე ხშირად მოთქვამს: ასეთ პირობებში ვილასთვის ან რისთვის გჭირდება ან გარჯა, ან გულდასმითი სიზუსტე? სარმატები და გეტები ხომ ვერ წაიკითხავენ ჩემს ლექსებს? ხშირად მე კიდევაც მიტირია წერის დროს და თვით ნაწერები ცრემლებით დამისველებია... როცა მე რიგ-რიგობით ვითვალისწინებ, თუ რა ვარ ეხლა და რა ვიყავი წინადა; როცა მე ვფიქრობ იმაზე, თუ სად გადმო-მაგლო ბედმა და რა დამატარებინა მან, ხშირად, ჩემი ხელი გიჟდება: მას თავისი ვნების და თვით თავისი თავის წინააღმდეგ მძვინვარების დროს ჩემი პოემები კოცონზე დაუწვავს“... 5). წიგნი 4, თავი 1, გვ. 102.

განსაკუთრებული სიძლიერით ნაზო კულტურულ სიღარიბეს დასტირის: აქ არც ერთი წიგნი არაა და არც ჩემი ნათქვამის გაგონება; აქ ყველაფერი ბარბაროსობაა და ყველაფერი ველურობაა; მე ვფიქრობ, რომ თვით მე დავივიწყე ლათინური და ვისწავლე გეტური და სარმატული; მიუხედავად ამისა, ჩემ მუხას არ ძალუძს შეთხზვაზე ხელი აიღოს; მე ვწერ და ვწვავ წიგნებს, რომელნიც მე პატარა ხნის წინ დავათავე.. ის, რასაც თქვენ იღებთ, ჩემი შთაგონების ნაფლეთებია, რომლებიც ცეცხლის ალა შემთხვევით ან ეშმაკობით გადაეპარინე“-ო. 3). წიგნი 5, თავი 12, გვ. 156.

„პოეტ ნაზოს აკლია თავისი ტოლები, რომელთაც შეძლებოდათ მისი მუშაობის გაადვილება:

„ხშირად, — ამბობს იგი, — როცა რომელიმე სიტყვას, რომელიმე პიროვნების ან ადგილის სახელს ვეძებ, ჩემთან არავინ არის, რომელს შეეძლოს მათი ჩემთვის გახსენება; შრცხვენია იმის გამხელა, რომ ხშირად მინდა რამე ვთქვა და საამისოდ შესაფერ სიტყვებს ვეღარ ვპოულობ და ამრიგად ვეღარას ვახერხებ ჩემი აზრის მართებულად გამოთქმას; ჩემ გარშემო მე თითქმის მხოლოდ თრაკიული და სკვითური მენძის... დამიჯერე, ვშიშობ, რომ შენ ჩემს ლათინურ ნაწერებში არეულად პონტოს სიტყვებსაც აღმოაჩენ“... 5). წიგნი 3, თავი 14, გვ. 96.

აი, ასეთი მძიმეა ნაზოს პირველი კონტაქტი ემიგრაციაში. ამავე საკითხის გასაშუქებლად მივმართოთ აგრეთვე დანტე ალიგიერის.

ვიდრე დანტე ალიგიერის ემიგრანტობის შესახებ რამეს ვიტყვოდეთ, საჭიროა ორიოდე სიტყვით დავხაზაიათოს დანტეს სამშობლო, ქალაქი ფლორენცია და მისი პოლიტიკური ვითარება.

მეთორმეტე საუკუნიდან ფლორენციამ მისი ინდუსტრიი: წყალობით განავითარა თავიანი ვაჭრობა მთელ ევროპასთან; მისი ვაჭრები სერავდნენ ევროპის ყველა გზას; მონაწილეობას იღებდნენ ევროპის ყველა ბაზარზე და ამრიგად ფეოდალიზმის ნანგრევებზე ავითარებდნენ ფულის ძლიერებას. ნელნელა ფლორენციამ შექმნა მოძრავი კაპიტალი, რომელიც ძირითადად განსხვავდებოდა ძველი დროის მძიმე, უძრავი მიწის საკუთარებისა-

საგან; ფლორენციის ვაჭრებმა შემოიღეს და განავითარეს ახალი ხანის ვაჭრობა, რომელიც დამოკიდებული იყო არა გასაცვლელ საგნებზე, არამედ ამ საგნების ურთიერთ მიმართებაზე: ფინანსებზე და ბანკებზე.

მე-13 საუკუნეში ფლორენცია გახდა ევროპის ნამდვილი ბანკირი. ეს 12.000 მცხოვრებთაგან შემდგარი ქალაქი გახდა ისეთი ფინანსური ძალა, ურომლისოდაც ქვეყნიერებაზე არაფერი კეთდებოდა; ამავე დროს ევროპის პოლიტიკაზეც ფლორენციელები დიდ გავლენას ახდენდნენ. საზოგადოებრივი დანაწილების თვალსაზრისით, ფლორენცია სამ კატეგორიად იყოფოდა: დიდებულები, ძველი ფეოდალების ნაშთი, რომლსაც ძველი პრივილეგიები ჩამორთმეული ჰქონდათ, ხოლო ხალხში ჯერ კიდევ დიდი პრესტიჟით სარგებლობდა; ამიტომ ეს ფეოდალური ჩამომავლები რესპუბლიკაში მოუსვენრობდნენ და ხშირად არეულობას იწვევდნენ; შემდეგ მოდიოდა „პრიმო პოპოლო“, როგორც მათ ეძახდნენ „გრასსო პოპოლო“, რომელიც ბურჟუაზიას შეიცავდა: სოცდაგრები, ტილოს, მატყლეულობის, აბრეშუმეულობის მწარმოებელი და ვაჭრები და აგრეთვე ფინანსისტები, რომელთა ხელში იყო რეალური ხელისუფლება; და პოლოს „პოპოლო მინუტო“, ანუ მკლე ხალხი, პლებსი, რომელიც რესპუბლიკის საბჭოში არ შედიოდა; ხშირად დიდებულები მათ უკავშირდებოდნენ, რათა ბურჟუაზია დამორჩილებინათ ან რესპუბლიკის სხვა და სხვა დაწესებულებებში გავლენა და წონა მოეპოვებინათ.

ფლორენციის რესპუბლიკაში არსებობდა მთელი რიგი ინსტანციებისა, რომლებსაც პატარა ხალხი უნდა დაეცვათ, როგორც ხალხის კაპიტანი ანუ ხალხის თავისუფლებათა დაცვის კაპიტანი (მეთაური = კაპუტი-დიან), სამართლის ბელადი (გონფალონიე); 1293 წელს მიღებულ იქნა კანონი „ორდინენტა იუსტიციე“, მიმართული შეძლებულთა წინააღმდეგ, რომელნიც ზიანს მიაყენებდნენ პატარა, მცირე ხალხს, „პოპოლანი“-ს. ამავე დროს, კორპორაციებს, რომლებიც აერთებდნენ მსაჯულებს, ნოტარიუსებს, ზარაფებს, მემატყლეებს, მეაბრეშუმეებს, ეჭიმებს და მეაფთიაქებს უფლებით გაუთანასწორეს დაბალი კორპორაციები მეძველეების, მეწაღეების, ყასბების, მჭედლების, ქეი მთლლების, დურგლებისა და სხვ. ხოლო ყოველივე ეს ისე იყო მოწყობილი, რომ პატარა ხალხის დამცველი ორგანოების და კანონთა დანიშნულების შემოვლა მრავალი სახით ადვილი იყო; ამავე დროს საზოგადოებრივი დაწესებულების პირად ინტერესები მსახურად გამოყენება, ნეპოტიზმი და მიჭრათამეობა ხშირი იყო; ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ვადახრა, რომელსაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, იყო შემდეგი: ხალხის უფლებათა დაცვის მიზნით, ადმინისტრაციული ფუნქციები ღია იყვნენ მხოლოდ იმათთვის, ვისაც რაიმე ხელობა ჰქონდა; ხოლო საკმარისი იყო ხე-

ლობის არ მქონე ადამიანი ჩაწერილიყო რაგინდ რომელ კორპორაციაში, რომ მისთვის ყოველი გზა საზოგადოებრივი დაწესებულებისაკენ გახსნილიყო; სწორედ ასეთი შემოვლით კეთილშობილთა („ნობლესსე“) ჩამომავლობის, არავითარი ხელობის მქონე დანტემ ექიმთა და მეაფთიაქეთა კორპორაციაში ჩაწერით შესძლო აკმაო მნიშვნელობის პოლიტიკური კარიერის გაკეთება. ეს მისი პოლიტიკური კარიერა დაიწყო 1259 წელს; მის შემდეგ, რაც დანტემ გიბელინელთა საწინააღმდეგო ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა.

ამრიგად, 1295 წლიდან 1296 წლამდე დანტე იყო სახალხო სპეციალური საბჭოს წევრი და აგრეთვე წევრი იმ საბჭოსი, რომელიც „წინამძღვართ“ („პრიორ“) ირჩევდა; 1296 წლიდან იგი „ასთა საბჭოს“ წევრი იყო.

1300 წელს დანტე გახდა „წინამძღოლთა საბჭოს“ წევრი; ეს საბჭო, რომელიც კანონმდებლობდა, შედგებოდა ჯერ სამი, მერმე ექვსი და ბოლოს რვა წევრისაგან. დანტენ საბჭოში შესვლისას იყო ექვსი წინამძღოლი, თანახმად ფლორენციის საცხოვრებელ სექტორისა. დანტე იქ დარჩა 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე, რადგანაც წინამძღოლები ორი თვით ირჩეოდნენ, რაც წინამძღოლთა უძღურებას ჰქმნიდა. მით უმეტეს, რომ წინამძღოლთა გადაჩრევა, ხელახლა არჩევა აკრძალული იყო.

დანტეს ხანაში ძველ პოლიტიკურ ფორმაციებს: გველფებს (პაპის მომხრეები) და გიბელინებს (იმპერიის მომხრეები) აზრი დაეკარგა; 1266 წელს, გიბელინების ფლორენციიდან გაძევების შემდეგ, გველფები ორ, ერთი მეორის საწინააღმდეგო პარტიად გაიყვნენ: თეთრები და შავები. გველფების წრიდან გამოსული ორი პარტიის სახელი განასახიერებს ერთ და იმავე დროს მამის შვილების ბრძოლას; შვილებისა, რომლებსაც სხვა და სხვა დედა ჰყავდათ; ერთი დედის სახელი იყო „თეთრი“ („ბიანკა“) და მეორესი: შავი („ნეგრი“). შავები თავიანთი პოლიტიკით უკიდურესნი იყვნენ და პაპს ემხრობოდნენ; თეთრები კი, რომლებსაც დანტე მიემხრო, უფრო ზომიერნი იმპერიის იდეას მიემხრნენ. ამ ორი პარტიის გამწვავებული დამოკიდებულება (პაპობა — იმპერია) კიდევ უფრო გამწვავდა იმით, რომ ამ ორი პარტიის მეთაურად გახდნენ, ერთი მხრივ, კორსო დონატი (შავი) და მეორე მხრივ ჩერკი, რომლებიც ერთი მეორის მოსისხლე მტრები იყვნენ და ამიტომ პოლიტიკურ მოსაზრებებს თავიანთი საგვარეულო მტრობის მოაზრებები და გრძობები დაურთეს; დანტეს ექვსთა საბჭოში შესვლის შემდეგ ეს გამწვავება უკიდურესობამდე მივიდა; დაშოშმინების მიზნით დანტემ სხვა წინამძღოლთა თანხმობით გადაწყვიტა გადაესახლებინა შვიდი თეთრი და შვიდი შავი, უფრო მოურგებელთა შორის; ამათში თეთრი გვიდო კავალკანტი, დანტეს საუკეთესო მეგობარი, რომელსაც

გადასახლებაში ციებ-ციხლება შეეყარა და ბრუნებისას გარდაიცვალა.

რომის პაპისათვის ეს არეულობა ხელსაყრელი იყო, რადგანაც მას სურდა ესარგებლა ამ არეული მდგომარეობით და აგრეთვე პაპის კარზე მყოფ შავების მტრული განწყობილებით, რომ იგი ერთი ნაბიჯით მაინც დაახლოვებოდა თავის პანუკვარ იდეას სასულიერო და საერო ხელისუფლების თავის ხელში გაერთიანებას არა მარტო ფლორენციაში, არამედ მთელ იტალიაში და სხვა კათოლიკურ ქვეყნებშიც, ამიტომ პაპმა გაგზავნა ფლორენციაში კარდინალი და-აკვასპარტა, თითქოს დაზავების ხელის შეწყობის მიზნით, ნამდვილად კი ფლორენციელ შავებთან კავშირის გაბმისათვის;

პაპი ამ დროს მოითხოვდა სუბსიდებს და ას შეიარაღებულ მხედართა გვარდია მისთვის გაგზავნას; დანტე თავის კოლეგებთან ერთად პაპის მოთხოვნას ყველა პუნქტში მკაცრ უარს მოახსენებს; რადგანაც თეთრები ცუდად დახვდნენ კარდინალს, იგი იძულებული იყო რომს გაწვილებული დაბრუნებულიყო.

პაპის რეპრესიებით შეშინებულმა საბჭოს წევრებმა საქმის გამოსასწორებლად სამი დესპანი გააგზავნა, მათ შორის თვით დანტე, პაპის წინააღმდეგ მებრძოლი, რომელიც პაპის საწინააღმდეგო ძალებს ფლორენციის გარეშეც ეძებდა; სწორედ იმ მომენტს უკავშირებენ დანტეს სიტყვებს:

„თუ მე წავალ, ვინლა დარჩება აქ? თუ მე დავრჩები აქ, ვინლა წავა იქ?“

პაპმა დესპანებთან მოლაპარაკება გააჭიანურა, რათა მის მიერ ხმობილ შარლ დე ვალუა ფლორენციაში შესვლის დრო ჰქონოდა; და მართლაც, 1301 წლის 1 ნოემბერს შარლ დე ვალუა ფლორენციაში შევიდა ჯარით, თითქოს თეთრებისა და შავების მორიგებისათვის; ნამდვილად კი შესვლისათანავე, მან შავთა ძალაუფლება დააწყა; იმ დღესვე ახალმა პოდესტამ გადასახლებულთა სია შეადგინა, რომელშიაც დანტეს სახელიც იყო მოხსენებული; დანტეს აბრალებდნენ მექრთამეობას და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას; იგი უნდა გამოცხადებულიყო ახალი ხელისუფლების წინაშე და თავისი გასამართლებია საბუთები წარმოედგინა. დანტემ რომი დასტოვა და ფლორენციის არიდებით სიენაში ჩავიდა, სადაც მან ფლორენციის ამბები გაიგო. ამრიგად, დანტე ხელისუფლების წინაშე არ გამოცხადებულა და არც რაიმე პასუხი მიუცია. 1302 წლის იანვრის 27-ს დანტეს დაუსწრებლად მიუსაჯეს ხუთი ათასი ფლორინის ჯარიმა, სამოუდამოდ სამოქალაქო თანამდებობის დაჭერის უფლების ართმევა და ფლორენციიდან ორი წლით გადასახლება.

იმავე 1302 წლის მარტის 10-ს დანტეს სასჯელი გაადიდეს: დროებითი გადასახლება სამუდამოთი შეუცვალეს და დაემუქრნენ, თუ მას ფლორენციის ტერიტორი-

ახე დაიჭერდეს, ნელ ცეცხლზე სასიკვდილოდ დასწავ-
დენ; ეს სასჯელი დანტეს 1311 წელს და 1315 წელსაც
გაუმეორება, სასიკვდილო განაჩენი დანტეს შვილებზეც
ვაავრცელეს; ასე დაიწყო დანტეს გადასახლება, რომე-
ლიც 1302 წლიდან მისი ფლორენციის უნახავად 1321
წლამდე გაგრძელდა.

როგორი იქნებოდა დანტეს სულიერი განწყობლება
სამშობლოსაგან დაშორების დროს?

უდავოა ამ მომენტში დანტე დამწუხრებული და გულ
გატეხილი იქნებოდა.

დანტე ძალიან მგრძობიარე ადამიანი იყო; ყველაფე-
რი, რაც მას უყვარდა, პასიონური სიძლიერით უყვარ-
და; და რა თქმა უნდა, გადასახლება მას დიდად დაამ-
წუხრებდა და გულს ატკენდა. და, მართლაც, თვით მის
მიერ აღწერილი გამოთხოვება სამშობლოსაგან და გა-
დასახლების ადგილისაკენ წასვლა მეტად ამაღლებული
და ნაზია:

„ეს ის მომენტი იყო, რომელიც ზღვაზე გამოსულ ნა-
ვისანის სულში მის ნაღველს აორკეცებს და რომელიც
გულს უჩუყებს იმ დღის საღამოს, როცა მან მშვიდობა
უთხრა თავის ტკბილ მეგობრობას; მაშინ შორიდან მო-
ღწეული ზარების რეკა (ერთ თარგმანში: ქვითინი) გმი-
რავს გამოუცდელი მგზავრის გულს, თითქოს ისინი გლო-
ვობენ ამ დღის ბინათლეს, რომელიც მიიცვალეოდა“.
6). სალხინებელი, 88, 1-8.

სხვა ადგილას იგი ეუბნება ყოველ ემიგრანტს, რო-
გორც თავის თავს:

„შენ დატოვებ ყოველივეს, რაც შენთვის მეტად საყვა-
რელი და ძვირფასია; ეს იქნება ემიგრანტობის მშვილ-
დით შენსკენ გამოტყორქნილი პირველი ისარი“. 6). სა-
მოთხე, თავი 17, 55-60.

მიუხედავად ასეთი მწუხარებისა და სევდისა დანტე
სიმწრის ტკბუნებით და თავისი უბედურების ჭკრებით
თავს არ ირთობს და არც თავის თავს არ იბრუნებს; იგი
ემიგრაციაში მოსვლისათანავე უერთდება უცხოეთში
მყოფ თავის თანამოაზრე თეთრებს და აგრეთვე, როგორც
ფიქრობენ, გიბელინებს, რომლებსაც ფლორენციაში ია-
რალით შესვლა სურდათ. ხოლო ფლორენციაზე თავდა-
სხმა ძალიანი სიმჩატით და დაუფიქრებლობით წარმო-
ებული იყო და, რასაკვირველია, იგი სამარცხვინოდ და-
მაჯარდა; უკვე წინასწარ, ემიგრანტების კრებაზე დასწ-
რების დროს დანტე დარწმუნდა, რომ ეს ხალხი, ეგოი-
ტი, პირადი სიძულვილით და შურისძიების წყურვილით
გამსჭვალული, უფრო თავიანთ თავზე ფიქრობდა, ვიდრე
სამშობლოს ბედნიერებაზე; ამიტომ დანტე მათ და-
შორდა და თვით დანტეს სიტყვებით „თავისი საკუთარი,
ერთადერთი წევრისაგან შემდგარი პარტია“ დააარსა;
და ეს შენთვის სასახელო იქნებაო. „სამოთხე“, თავი 17,

68-69. ამის შემდეგ დანტემ თავისი მონეტიალურ ცხოვ-
რება დაიწყო; ერთი, თუ ორი წლის გადახვეწილობის
შემდეგ დანტე დამკვიდრდა ბოლონაში, სადაც ძველი,
განთქმული უნივერსიტეტი იყო; დანტე ამ დროს იყო
ორმოცი წლისა; მიუხედავად ამისა იგი ჩაეწერა სტუ-
დენტად ამ უნივერსიტეტში და იქ ბევრი იმუშავა თავისი
კულტურის დასაგვირგვინებლად. იქ დასწერა მან
თავისი „კონვივიო“, „დე ვულგარე ელოკენცია“ და
ზოგი „ეპისტოლე“-ბი. აქ ბოლონაში დანტემ ნამდვილი
მეორე სამშობლო იპოვა, რომელიც მას ფლორენციის
სრულ მაგიერობას, რასაკვირველია, ვერ უწყევდა, მაგრამ
ფლორენციის დაკარგვით აღძრულ ტკივილებს და ია-
რებს, ასე თუ ისე, უშუშებდა.

როგორც უკვე ვთქვით, ფლორენცია ძლიერი გავლენის
რესპუბლიკა იყო, რომელსაც მთელი ევროპა ანგა-
რიშს უწყევდა; ამ გავლენიან რესპუბლიკის შავთა ხელის-
უფლებას არ მოსწონდა თავისი შეურთგებელი და აქტი-
ური მოწინააღმდეგის, დანტეს საუნივერსიტეტო ქალაქ-
ში ასე კარგად მოწყობა და იქ სამწერლო მოღვაწეობის
განახლება; ამიტომ ფლორენცია ხელისუფლების მოთ-
ხოვნით, ბოლონა, რეპრესიების შიშით, იძულებული იყო
მის ტერიტორიაზე შეფარებული პოლიტიკური ემიგრან-
ტი დანტე გაეძეებინა.; ეს მეორე გაძევება დანტესათვის
ამდენადვე მტკივნეული იქნებოდა, როგორც პირველი.

ერთჯერ კიდევ დანტე სახეტიალო გზას გაუდგა ახა-
ლი თავშესაფარის საპოვნელად; ეს თავსაყუდელი მან
დიდებულებთან იპოვნა; ჯერ ვერონაში აკალიერ-თან და
მალასპინასთან და შემდეგ რიმინიში და პოლენტალ-თან.

მის ჭირვეულ, დიდგულა, თავის თავზე გაზვიადებუ-
ლი წარმოდგენის მქონე მასპინძლებთან ცხოვრება ად-
ვილი და სასიამოვნო არ იქნებოდა; ეჭვი არაა, დანტე
ამ თავის მასპინძლებისა და მათ მსახურებისაგან არა ერთ
დამცირებას, თავმოყვარეობის შელახვას და, შეიძლება,
შეურაცხყოფასაც იგეგმებდა. ამას ჩვენ დანტეს ემიგრან-
ტებზე მორგებული სიტყვები გვიმტკიცებენ:

„შენ გაიგებ, თუ რაოდენად მლაშეა უცხოთა პური; და
რაოდენად ძნელი გზაა სხვების კიბებზე ასვლა და ჩა-
მოსვლა“. „სამოთხე“, 27, 55-60.

უფრო კონკრეტული და პირდაპირია შემდეგი ნაწყ-
ვეტი: —

„მას შემდეგ, რაც რომის ულამაზესი და დიდად გან-
თქმული ქალიშვილის, ფლორენციის მოქალაქეებმა ინე-
ბეს ჩემი მოწყვეტა თავიანთი გულიდან და ჩემი გადაგ-
დება ფლორენციიდან, სადაც მე დავიბადე და სადაც მე
გამოვკვებე ჩემი ცხოვრება სავსეობამდე, და სადაც, თუ
ეს მათთვის მისაღები იქნება, მე მთელი გულით მწყურია
დავასვენო ჩემი დაქანცული სული და დავაბოლოო ჩემ-
თვის მოზომილი წლები; მე მოვიარე საკუთარი ნება-სუ-
რვილის წინააღმდეგ თითქმის ყველა მხარე, სადაც გან-

ფენლია ეს ენა; მე იქ ვიყავი, როგორც მოგზაური, თითქმის მათხოვარი, რომელიც თავისი უბედობის იარებს სხვების წინაშე უნებურად გადმოფენს... ქვეშაობრივად, მე ვიყავი ხომალდი, რომელსაც აფრები და საჭე მოვლევლი ჰქონდა და რომელსაც ხმელი ქარი, აუტანელი სიღარიბის ამონასუნთქი, ნავთსაყუდლებისა, ლიმანებისა და ნაპირებისაკენ მიმაქანებდა; მე წარმოვდექი ამ ადამიანთა წინაშე, რომლებიც ალბათ გავონებით, მე სრულიად სხვაგვარად წარმომიდგენდნენ; ეხლა კი, მათი თვალების წინაშე ყოფნისას არა მარტო ჩემი პიროვნება ჩანდა ფასდაცემული, არამედ აგრეთვე მთელი ჩემი ნაწარმოებიც: ისიც, რომელიც უკვე დავწერე და ისიც, რომელსაც მომავალში დავწერ“. 6). „ნადიმი“, 1,3.

ეს ნაწყვეტი მხოლოდ ნამდვილ ემიგრანტს შეეძლო დაეწერა.

რომაელმა პოეტმა ნაზომ-აც კარგად შენიშნა ის გარემოება, რომ ემიგრანტი, რაგინდ ვანათლებული და ღირსეულიც არ უნდა იყოს, ყოველთვის დამცირებულია; მისი დამტვირთული უცხო ენაზე ბლუყუნი ხშირად მდიდარ აზრებს და იდეებს მეტად ღარიბი და პრიმიტიული საშოსით გადასცემს უცხოელს; ეს უკანასკნელიც ემიგრანტის სულიერი ცხოვრებას ასევე პრიმიტიულად წარმოიდგენს და მის წინაშე მორიდებას ჰკარგავს.

„ბარბაროს სკვითებში ბარბაროსი მე თვითონ ვიყავი“ — ამბობდა ოვიდიუს ნაზო. და მისი ველური მასპინძლები კიდევაც დასცინოდნენ მას, მასხარად იგდებდნენ და მის ნაწერებს არავითარ ფასს არ აძლევდნენ. სწორედ ამასია ყოველი ემიგრანტის ტრაგედია; ხოლო მიუხედავად ამისა, ასეთ ძნელ პირობებშიც და ასეთ მღვრიე სულიერი განწყობის დროს დანტე, როგორც დავინახეთ, მაინც ახერხებდა შემოქმედებას; ამ სამწერლობო მუშაობის დროს დანტემ უცებ გაიგო მიათვის მეტად ამაღლებელი ამბავი: ბარონ ანრი ლუქსენბურგელი, ანრი მეოთხის სახელით, იმპერატორად იქმნა არჩეული; ამ ამბავმა მყისვე დაავიწყა დანტეს თავისი კალამი, ლექსები; და მთლიანად, მისთვის დამახასიათებელი აღფრთოვანებით, მენარბოლ ემიგრანტთა პირველ რიგებში გადაავლო; ამიერიდან მისთვის ყველაფერი იყო შესაძლებელი, და, მაშასადამე, ყველა იმედი ხელახლა ანთებული; იგი ამ ცნობას შემდეგი აღტყინებით და პოეზიით სავსე სიტყვებით მიესალმება: —

„აი, ნანატრი დღე, რომელიც ნუგეშის და მშვიდობიანობის მოახლოების ნიშნებს გვამცნობს. დღე თენდება და განთიადს გვაუწყებს, რომელიც ჩვენი გრძელი ხნის ტანჯვის წყვილადს გაჭფანტავს: აღმოსავლეთის მსუბუქი ქარი საამურ სურნელებას აფრქვევს; ცა ალის ფერი ღიმილით ინთება; მამ ჩვენ, ბოლოს, ვიხილავთ მას; მოვესწრებით ამ დიდი ხნიდან უდაბნოს ღამეში ნანატრ სიხარულს; აი, ჰუკვე ჰორიზონტზე გამოჩნდა მშვიდობის

ვარსკვლავი და ვისაც სამართალი სწყურია, ყველა მათი გული მოიხიბლება მისი სხივებით; ბორცვები კი, ამ ვარსკვლავის შუქით გადახვეტილნი და მისი ელვარებით შეძრწუნებულნი იქნებიან.

მამ, გაიხარე, ჩემო იტალიავ მოიწმინდე შენი ცრემლები, ო, ჩემო მშვენებავ!“

სავალალოდ ფუქი და უშედეგონი აღმოჩნდნენ დანტეს ცეცხლის ალივით ავარდნილი იმედები. ანრი მეოთხე ზოგი იმედის მომცემი ბრძოლის შემდეგ, იტალიის დამპალი ჭაობების და აუტანელი სიციხების მსხვერპლი გახდა; იგი გარდაიცვალა სიენა-ს ახლოს, სოფელ ბუენო კონვენტო-ში და ამით საბოლოოდ დაიმსხვრა დანტეს ყველა პოლიტიკური გეგმა. ანრი მეოთხის სიკვდილი დანტესათვის გამოუწერებელი პოლიტიკური კატასტროფა იყო.

ასეთივე სიმწარით იყო სავსე აგრეთვე რენე შატობრიან-ის ემიგრანტული ცხოვრება.

გავიხსენოთ, რომ ფრანსუა, რენე ვიკონტ შატობრიან, კეთილშობილთა ჩამომავალი, საფრანგეთის რევოლუციის ვერ მოიწონებდა და ვერც თანაუგრძობდა; პირიქით, იგი მას ეწინააღმდეგებოდა და მიი განვითარებისა და გაღრმავების პროცესს დიდი წუხილითა და შიშით ადევნებდა ყურადღებას; მისთვის საფრანგეთი თანდათან უწესოებისა და ანარქიისაკენ მიემართებოდა; იგი როიალისტების ჯარს შეუერთდა; მონაწილეობა მიიღო ბრძოლაში, დაიჭრა და საბოლოოდ დასახლდა ინგლისში, სადაც პირველ ხანებში მას და მეგობარს ინგან-ს კოტა ფული ჰქონდათ; ეს ფული ადრე დადნა; ასე რომ ამ ორ მეგობარს აღარ გააჩნდა 60 ფრანკზე მეტი. მათ შეამცირეს დღიური ულუფა; დილით ჩაიწა დროს სრულიად აღკვეთეს კარაქი და პურის წონა გაანახევრეს; ინგან-ი, დაღლისა და საჭმელის ნაკებობის გამო, გიჟს დაემსგავსა... როცა მათ მხოლოდ ერთი შილინგი და დარჩათ, ისინი შეთანხმდნენ ეყიდათ ორი სუა პური; სახლის პატრონს თხოვეს ადუღებული ცხელი წყალი, რომ ეს წყალი ჩაის ჩაუქრელად შაქრის რამდენიმე ნამცეცხით დაეღიათ; ასე გავიდა ხუთი დღე. შატობრიანი თვითონ განაგრძობს: —

„შიშშილი მკლავდა; სიცხე მწვადა; ძილს ვეღარ ვახერხებდი; მე ვწუწუნდი შვიარის ნაფლეთებს, რომლებსაც წყალში ვასველებდი. მე ვღუჭავდი ბალახს და ჭალალდს. როცა მეფურნის დექნის წინ გავივლიდი, ჩემი წუხილი იყო საშინელი; ზამთრის ცივი საღამოობით მე საათების მანძილზე გაგჩერებულვარ გამშხარი ხილის, დაშაშხული ხორცის მალაზიის წინ და თვალებით ვცლაპავდი, რაააც ვხედავდი. მე შემეძლო შემეჭამა არა მარტო ყოველი საკვები, არამედ აგრეთვე მათი ჩასაწყობი ყუთები და კალათები“—ო.

ხუთი დღის შემდეგ შატობრიანი ინგან-ის სანახავად

თითქმის ჩოქვით წავიდა; საწყალს პატარა ჯიბის დანით თავის მოკვლა განეჭრა. მისთვის მოყვანილმა ქირურგმა განაცხადა, რომ ინგან-ის ქრილობა საშიში იყო; შატობრიანმა ინგანის თავგადასავალი აცნობა მის წათესავს, ყოფილ იუსტიციის მინისტრს და თვით ემიგრანტს ბატონ ბარანტონს, რომელმაც თავისი ნათესავი სოფლად წაიყვანა; შატობრიანს უცბად ბედმა გაუღიმა და მისმა გულკეთილმა ძია ბედემ-მ ორმოცი ეკაუ გამოუგზავნა; შატობრიანს ეს ფული „პერუს მთელ ოქროს მადნად“ ეჩვენებოდა; ეს ფულიც მას ჩქარა გამოეღია და აღარ იცოდა, თუ რა ექნა; ამ დროს, მის საშველად „რესურსების მქონე ადამიანი“ პელტიე გაჩნდა; მან აცნობა შატობრიანს, რომ ბიკლე-ის პანსიონი ეძებდა ფრანგული ენის მასწავლებელს; პელტიე-მ ეს პოსტი შატობრიანს შესთავაზა; ახალგაზრდა რაინდის ამყობა ყალყზე აღვა; უარის თქმას აპირებდა, პელტიემ შატობრიანი რესტორანში წაიყვანა და იქ კარგი ბევშტეკის მიაართვა; შემდეგ კარგი კოსტიუმი უყიდა და ამით შატობრიანის ამყობა მოსტება; შატობრიანი წავიდა სუფოლკ-ის პატარა ქალაქის პანსიონში, რაც მას შემდეგში არ უნანებია, რადგანაც ამ თანამდებობამ მას მისცა საშუალება სამწერლო მუშაობა გაეგრძელებინა და ამით ფრანგი ერის კულტურა გაემდიდრებინა.

არა ნაკლები ტკივილებით იყო სავსე პოლ გოგენ-ის ემიგრანტული ცხოვრებაც. ხოლო ამ ცხოვრების აღწერამდე გავიხსენოთ, თუ რატომ დასტოვა გოგენ-მა სამშობლო და რატომ წავიდა იგი შორეულ უცხოეთში?

ამისი მიზეზი იყო არა ერთი: უპირველეს ყოვლისა, გოგენი იწუნებდა საფრანგეთის ფერებს; მართალია, პროვენსალური ფერები ბრეტონეთის ფერებზე უფრო მდიდარი არიან, მაგრამ ისინი სრულიად გაცრეცილი ჩანან ტროპიკების ფერების წინაშე; ვან გოგი ამბობს: —

„ის, რასაც გოგენი ფიქრობს ტროპიკებზე, მე საუცხოოდ მეჩვენება“-ო. და ამიტომ გოგენის მიერ მისთვის გადადებული სიხარული და აღტაცება ამ ქვეყნის ფერების არაჩვეულებრივობის შესახებ, არწმუნებს მას, რომ „მხატვრობის დიდი რენესანსის მომავალი აწორედ ტროპიკებზეა და იგი თუ ათი წლით უფრო ახალგაზრდა იქნებოდა, მონაწილეობას მიიღებდა „იავაში კოლორისტული სკოლის შექმნაში“. 7).

მეორე — პარიზიდან საფრანგეთის სამხრეთში გოგენს ცუდი ამბები მოსდის: მაშინ, როდესაც, მისი აზრით, მას არასდროს შეუძლებია უკეთესი ტილოები, ყველა მის მიერ ტეო-სთვის გაგზავნილი სურათები, გარდა „ლამაზი ანჯელა“-სი, მძინვარე კრიტიკას იწვევენ გამოფენის მნახველებში; თვით მხატვარ „დედა“-შიც; სხვებთან ერთად „თეო“-ც გოგენის ტილოებზე უარყოფითად აფასებს.

ეს „მოულოდნელი ქარიშხალი“ გოგენს გულსა სტკენს და მას მუშაობის ხალისს უკარგავს; შრომის ენერჯიას უკლავს; იგი სასოწარკვეთილებამდე მიდის და ფიქრობს: „თუ ისინი, ვინც მე მახალისებდნენ და მამხნეებდნენ, ველარ მიგებენ და ჩემი მათ არაფერი ესმით, რისთვისაა უნდა ვიმუშავო“-ო. 25).

და ამ დაბნევის დროს გოგენი თითქმის სრულიად ანებებს თავს მუშაობას. იგი ბერნარსა სწერს: „გასული იანგრიდან მე მხოლოდ 925 ფრანკის (დაახლოებით ეხლანდელი 2.300 ფრანკის) სურათი გავყიდე; 42 წლის ადამიანისათვის ამ თანხით ცხოვრება (ოჯახით), ვერადების ყიდვა და სხვა, ისაა, რაც მუშაობაზე გულს აუფლებდა საუკეთესოდ გამოზრდილი სკლის ადამიანსაც კი... ამ შეუძლებელი ცხოვრების წინაშე მე ერთი-ლა დამრჩენია: ყოველგვარი ღონისძიება ვიხმარო, რათა ტონკინ-ში რაიმე პოსტის მიღება მოვახერხო; შეიძლება შევძლო იქ, მყუდრო ატმოსფეროში შევქმნა ხელოვნების ნიმუშები ჩემი ქეიფის თანახმად... დასავლეთი ჩვენს ეპოქაში დამპალია; და ყველა, ვინც ჰერკულესს წააგავს, შეუძლია გმირ ანტე-ს მიხედვით შეიძინოს ძალა და ძლიერება იქაური მიწის შეხებით; შემდეგ, ერთი ან ორი წლის მერმე, საფრანგეთს დაბრუნდეს გამაგრებული“-ო. 7). 1895 წლის გაზაფხულზე გოგენის აღარაფერი სწაპს გაზდა იმ უსაზღვრო მყუდროებისა, რომელსაც იგი ეზიარება, თუ იგი მოახერხებს ევროპისა და ევროპელებისაგან შორეულ წყნარ ოკეანეს კონძულებზე გაქცევას; ევროპაში და ევროპელთა შორის იგი ველარ ღებულობს ვერაფერს, გარდა უბედურებისა; და რა იპოვა მან ამ ეგზოტურ ქვეყნებში, რომლებიც მას ნუსხავდნენ?

ტანჯვის, წამების, ტკივილების, იმედების გაცრუების, ავადმყოფობის, გაჭირვების და ტილების მეტი არაფერი!

საფრანგეთში დატოვებული მეგობრები, რომლებიც დაპირდნენ მან მისი ტილოების გაყიდვას და აღებული ფულის გაგზავნას, გაზდა მანფრედისა, გაყუჩდნენ; ამიერიდან გოგენი საფრანგეთიდან მეტად უმნიშვნელო თანხებს იღებდა და ისიც მეტად იშვიათად; აქედან გაგზავნილი ფული მას არ ჰყოფნიდა და ამიტომ იგი, თავმოყვარე და ამაყი ადამიანი, იძულებული გახდა, ბოლოს და ბოლოს გადაეწყვიტა, ყველაფერზე ფეხი დაედგა და მმართველის წინაშე „გაწოლილიყო“, რომ უკანასკნელს მისთვის უმნიშვნელო თანამდებობა მიეცა; იგი მიიღეს საზოგადო სამუშაოების და კადასტრის კონტორაში მწერლობის და ხაზვის განყოფილებაში; მას დაუნიშნეს დღეში ექვსი ფრანკი; ამ თანხის დაჭერით, როცა იგი არ იმუშავებდა. ამ დროს მისი ჯანმრთელობა მეტად დასუსტდა: მას ორმაგი კონიუნკტივიტი დაემართა; შემდეგ ფეხების ტკივილები დასჩემდა; მისი ფეხები შეშუპების (ოდემ) გავლენით გასივდნენ; ამავე დროს მან საშინლად აწვალებდა ეგზემა; იგი თავის თავს თვითონვე ეჭიმობდა

დურმიშხანათი, ყოველგვარი გაუკეთესების გარეშე; აუტანელ ტკივილებს დაემატნენ თავბრუსხმა და ტემპერატურის აწევა; მან მაღწია ისეთ მდგომარეობას, რომ მას აღარ შეეძლო ფეხზე დგომა ოთხ საათზე მეტი... დურმიშხანას დოზა იმდენად დიდი იყო, რომ გოგენი წამ და უწუმ პირს აღებინებდა; მისი სხეული „იკრუნჩხებოდა“; მთელი ღამის განმავლობაში იგი საშინელ ტანჯვას განიცდიდა; გამთენიეს გოგენი იძულებული იყო ელიარებინა, რომ იგი სიკვდილს არ უნდოდა.

აი, ასეთია ემიგრანტების ცხოვრება: გადასახლება, გაძევება, ოჯახის, თავიანთი მეგობრების, ამხანაგების, თავიანთი სოციალური წრის, სოციალური პოსტის და დანიშნულების დატოვება, სოციალური მდგომარეობის და ზოგჯერ კულტურული დაქვეითება;

ემიგრანტობა, ჩვენ მიერ ნახსენებ პირთა ცხოვრების ნამდვილ ტანჯვად და წაშებად აქცევდა; მათ ჯანმრთელობას ძალზე აუსტებდა და ზოგჯერ, გადაჭარბებული ხელმოკლეობის გამო პირად თავმოყვარეობასაც ამცირებდა; პოეტს, მხატვარს, მწერალს თავისი შემოქმედების კეთილად წარმართვას ძალის ძალზე უფრო აძნელებდა; იგი მათ ართმევდა იმ წრეს, რომელიც მათი შემოქმედების ღირების შეგნებას და ხალისს აძლევდა და მათი მძიმე მუშაობის წარმართვაში სხვა და სხვა სახით ეხმარებოდა;

ემიგრანტობა მათ საკულტურო მუშაობისათვის მიუცლიებელ იარაღს ართმევდა: იგი მათ აუდიტორიას აცლიდა, წამახალისებელთ და თანაგრძნობთ ამორებდა; წიგნებს, ფერადებას, მუშაობის შესაძლებლობას ართმევდა; თავის ნაწარმოებთა გამოცემას ან გამოფენას თითქმის შეუძლებლად ხდიდა; თავის ეროვნულ გარემოცობას სპობდა, რომელთანაც პოეტი, მწერალი და მხატვარი მუდმივ ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო და საიდანაც მათ თავისი შთაგონების საზრდო უნდა მიეღოთ;

უნდა ითქვას **საერთოდ**, რომ ხშირად ემიგრანტობა ადამიანის შემოქმედების სულიერ განწყობილებასაც აუსტებდა: ემიგრანტობის ცხოვრების ძნელი და დუხჭირი პირობები მათში განუზომელ სევდას და მწუხარებას აღძრავს;

სევდა კი მათ აქტივობას აძნელებს, ფრთებს ჰკვეცს; ზოგჯერ იმედებით, გეგმებით, მიზნებით, დაუზრეტელი სიყვარულით, დაუღვეელი ხალისით სავსე ადამიანს სუსტი ტოტის მსგავსად სტებს; მის იმედებს სასოწარკვეთილებით სცვლის; მის გეგმებს, აზრებს, ღირებას და მნიშვნელობას აცლის, მის სიყვარულს სითბოს ართმევს, მის ხალისს მომაკვდინებელი მელანქოლიით აბნელებს, მის სიხარულს მწუხარებით აჭრებს; ნოსტალგია ადამიანს ზოგჯერ ჰკლავს აცდენს და სიკვდილისაკენ მიაქანებს;

განა ყოველი ემიგრანტი ექვემდებარება, და ისიც

მთლიანობით, ემიგრანტული ცხოვრების სიმძიმეს განა ემიგრანტულ ცხოვრებას მხოლოდ უარყოფითი ნიშნები ახასიათებს?

განა ემიგრანტობას არა აქვს ერთგვარი აზრი და მნიშვნელობა? რომლის შემწეობით ადამიანი ახერხებს არა აუ ემიგრანტობის ცხოვრების ძნელი პირობები აიტანოს, არამედ, პირობით, ტანჯვაში და წუხილში რაიმე დიდი აზრი იპოვოს; და ამით თითქოს უაზროდ დაკარგულ, ცხოვრებას მაღალი დანიშნულება და დიდი ღირსება მიანიჭოს?

განა იგი, ტანჯვით შეწუხებული, პასიურად, უაზროდ ანიავეს თავის ერთადერთ, განუთმეორებელ ცხოვრებას, თუ ბრძოლის ყინით ანთებული, იგი ყოველ გაჭირებაში და ყოველგვარ განსაცდელში გაორმაგებული მხნეობით გამაჩვევებას ეძებს?

ამ კითხვების პასუხს მოგვეცემენ თვით ემიგრანტების რეაქციები თავიანთი მძიმე ემიგრანტული ცხოვრების მიმართ, რომელიც ჩვენ რიგ-რიგობით აღვწერთ. მაშ, მივმართოთ ჯერ შატობრიანს და შემდეგ სხვებს.

1800 წელს ინგლისში ემიგრანტობიდან საფრანგეთში დაბრუნებისას ნაპოლეონმა დანიშნა შატობრიანი ჯერ ვალე-ში (შვეიცარიის კანტონში) საელჩოს ატაშედ და შემდეგ საფრანგეთის მინისტრის თანამდებობაზე; შატობრიანი ჰერცოგ დენგენ-ის დახვერტის შემდეგ თანამდებობიდან გადადგა და მხოლოდ მწერლობას ეწეოდა.

ბურბონების დაბრუნების შემდეგ 1814 წელში, შატობრიანი დაუბრუნდა აქტიურ პოლიტიკას, სადაც მან მნიშვნელოვანი კარიერა გააკეთა; იგი დანიშნეს საფრანგეთის „პერ“-ად; 1821 წელს ელჩად ბერლინში; 1822 წელს საგარეო საქმეთა მინისტრად; 1828 წელს ელჩად რომში; 1830 წლის მოძრაობამ საფრანგეთში, შატობრიანი პოლიტიკას საბოლოოდ დააშორა და მწერლობას დაუბრუნა...

ამ დასახელებულ თარიღთა შორის ჩვენ ეხლა მხოლოდ 1822 წელი გვანტერესებს, სახელდობრ, შატობრიანის ლონდონში ელჩად დანიშვნა, რადგანაც ლონდონში ჩასვლის აღწერით შატობრიანი ჩვენ უდავო საბუთს გვაძლევს იმის მტკიცებისათვის, რომ ემიგრანტული ცხოვრება, მსგავსად ტანჯვისა, აწყოში მეტად მწარე და ძნელი, მოსაგონებლად სასიამოვნოა, თუ იგი დაკავშირებულია რაიმე იდეალის და მიზნების სამსახურთან;

შატობრიანი თავის წიგნში (26) ნათლად ხატავს და ერთგვარი ენთუზიაზმით აღწერს, თუ როგორ მიიღეს ის ინგლიელებმა და როგორ მოიქცა თვით იგი იმ ქალაქის ხილვისას, სადაც მან შვიდი წლის განმავლობაში ბევრი ტანჯვა, მომაკვდინებელი სიღარიბე, ავადმყოფობა, აუწერელი შიმშილი და ყოველგვარი ნაკლუფანება იგემა; დაუუჯდოთ ყური შატობრიანს:

„ოცდა თერთმეტი წლის შემდეგ, რაც მე, უბრალო

ქვე-ლეიტენანტი, ინგლისში წასასვლელად გემში ჩავჯექი, მე გეძით ხელახლა გავემგზავრე ლონდონისაკენ პასპორტით, რომელიც იწყებოდა სიტყვებით: „ნება ეძლევა მის წყალობას ვიკონტ შატობრიანს, საფრანგეთის პერს, მეფის ელჩს ბრიტანეთის მეფის წინაშე... და სხვა და სხვა“. სპეციალურად ჩემთვის გაწყობილ ორთქლ-მავალ გემს კალედან დუვრში მივყევართ. 1822 წლის აპრილის 5-ს, ფენის მიწაზე დადგმიანათანავე, ფორტის ზარბაზანი სალუტს მამღვეს; ერთი ოფიცერი მოდის წარმომიდგინოს საპატივო დარაჯი; „შიშპრაიტინი“-ს ჩამოვხტი; ამ სასტუმროს პატრონი და მოსამსახურეები, ქუდმოხდილნი, სძებაზე გამოჭიმულნი, მიღებენ; ქალბატონი მერის მეუღლე ქალაქის უღამაზეს ქალთა სახელით საღამოზე მიწვევს; ბატონი ბელინგი-ი, ჩემი საელჩოს ატაშე, მიცდის; სადილს, უზარმაზარ თევზებისა და ხარის მეოთხედის კარგ კერძებს უნდა გაედლო ბატონი ელჩი, რომელსაც ჭამის მადა სრულად არ ჰქონდა და რომელიც არ იყო დაღლილი; უცებ ჩემი ჟანჯრის ქვეშ მოგროვილმა ხალხმა ჩემ საპატიოდ „ჰუზა“ შემოსძახა; ინგლისელი ოფიცერი ისევ ჩემსკენ დაბრუნდა და ჩემდა დაუკითხავად ჩემ კარებთან შეიარაღებული დარაჯები დააყენა;

ბევრი ფული დავარიგე, გავუდექი ლონდონის გზას, ზარბაზნების გრიალით, პატარა, მჩატე ეტლით, რომელსაც ჭენებით მიატარებდა ოთხი ლამაზი ცხენი, ორი კონტად ჩაცმული „ჟოკი“-ს ხელმძღვანელობით; ჩემი მზღებლები მომდევდნენ სხვა ეტლებით; შიკრიკები, საელჩოს „ლივრეა“-ში გამოწყობილნი, „კორტეჟს“ აცილებდნენ; ... ამგვარად გადავჭერი მთელი ლონდონი. და მივადექი პორტლანდ - პრასს, საელჩოს რეზიდენციას... საქმეთა რწმუნებული ბატონი ფრაფი დე კარამახ, ბატონი მდივნები საელჩოსი, ბატონი ვიკონტი დე მარსელუს, ბ-ნი ბარონი ე. დეკაზ, ბ-ნი დე ბურკენ, საელჩოს ატაშეები, მომესალმნენ კეთილშობილი ზრდილობით; ყველა მეკარე, კამერდინერები, რეზიდენციის მახურნი ტროტუარზე მოგროვილიყვნენ; მომართვეს მიასალმებელი კარტები ინგლისელ მინისტრებისა და უცხო სახელმწიფოთა ელჩებისა, რომელთაც უკვე ეუწყათ ჩემი ჩამოსვლა“. 8). გვ. 209-214.

ყველას შეუძლია წარმოიდგინოს, თუ რაოდენ საწყლად უნდა მოჩვენებოდა ბატონ ელჩს, ვიკონტ შატობრიანს, საფრანგეთის პერს, საფრანგეთის ელჩად ბრიტანეთის მეფესთან მიგზავნილს, თავისი ემიგრანტობის ხანა ლონდონში: მისი შიმშილი, ავადმყოფობა, სიღარიბე, ანონიმობა, უყურადღებობა და სხვა.

შეიძლება ვინმემ წარმოიდგინოს, რომ ბატონი ელჩი იქნებ ჩუმად, სხვებისაგან დაფარვით პირცხვილის ოფლსაც იწმენდა იმის გამო, რომ მას, ასეთი მაღალი მდგომარეობის აღმიანს ასეთი დამამცირებელი წარსული

ჰქონდა. შეიძლება!.. მაგრამ დაენებოთ თავი პიპოტეზებს და მივმართოთ თვით შატობრიანს:

„როცა ლონდონში ჩავედი, როგორც საფრანგეთის ელჩი, ჩემი უდიდესი სიამოვნება იყო დამეტოვებინა ჩემი ეტლი ერთი სკვერის კუთხეში და წავსულიყავი ფენით, რომ ჩამველო ქუჩები, სადაც მე ღშირად გამივილია, ქალაქის გარე უბნებში, სახალხო და იაფ-ფასიან განაპირა კვარტალებში, სადაც მოაღალათებულია ერთი და იმავე ტანჯვით დაფარული გაჭირვება; ის უცნობი თავშესაფარები, რომლებსაც ღშირად ვწვევივარ ჩემი გაჭირვების ამხანაგებთან ერთად; როცა არ ვიცოდი, თუ მე ხვალ პურის ნატეხი მექნებოდა; მე, რომლის 1822 წლის მაგიდას სამი, თუ ოთხი სერვისი ჰფარავდა; ყველა ამ ვიწრო და ლატაკ კარში, რომელიც ჩემთვის ოდესღაც იღებოდა, მე ეხლა მხოლოდ უცხო საწებებს ვხვდებოდი; მე ველარ ვხედავდი ჩემს, ქუჩებში მოხეტიალე თანამემამულეებს, რომლებიც განირჩევიდნენ თავიანთი უესტებით, ტანისამოსის ფორმით და სიძველეობით.“ 26). გვ. 211... როგორ ვნანობდი მე, ამ უგემური პომპის შემეყურე, იმ მწუხარებით და ცრემლებით ავისილ აღამიანებს; იმ დროებას, როცა ჩემს გაჭირვებას საცოდავ ფრანგთა კოლონიის გაჭირვებას ვუერთებდი... რა დამართა ჩემი ემიგრანტობის ჩემს ძმებს? ზოგნი მოკვდნენ, დანარჩენებს სხვა და სხვა ხვედრი შეხვდათ: იმათაც იხილეს, როგორც მე, თავიანთი მახლობლების და მეგობრების გაქრობა; ისინი ეხლა უფრო უბედურნი არიან თავიანთ სამშობლოში, ვიდრე ისინი იყვნენ უცხო ქვეყანაში...

განა ჩვენ არ გვქონია ამ მიწაზე ჩვენი კრებები, ჩვენი გართობები, ჩვენი დღესასწაულები და, განსაკუთრებით, ჩვენი ახალგაზრდობა? ოჯახის დედები, ქალიშვილები, რომლებიც თავიანთ ცხოვრებას ბედის უკუღმართობით იწყებდნენ, მოჰქონდათ ერთი კვირის მძიმე შრომით ნაშოვნი ფული, რათა გაეხარებინათ თავიანთი თავი მშობლიური რომელიმე ცკვიით...

ჩვენ ვსირობდით ტემზას ნაპირებზე, რომ დაგვენახა ხან თუ როგორ გამოჩნდებოდა უცებ ქვეყნიერების სიმდიდრით დატვირთული გემები; ხან კიდევ იმისთვის, რომ დავმტკბარიყავით სახლების ცქერით... ჩვენ, რომლებსაც არ გავაჩნდა მამისეული არც ჭერი და არც სახურავი; ყოველივე ეს ნამდვილი ნეტარება იყო“. 8). გვ. 212.

აი, ასეთ დიდ ღირებულებას ანიჭებს შატობრიანი ემიგრანტულ ცხოვრებას; და ასეთი ხალისით, სიხარულით, მისი ღირებულების ასეთი შეგნებით იჯონებს იგი მას.

როგორ რეაგირებდნენ სხვები მათი მძიმე ემიგრანტული ცხოვრების მიმართ? აფასებდნენ კი მას? ახერხებდნენ კი ისინი ამ გამწარებულ ცხოვრებაში რაიმე აზრის პოვნას? მიუხედავად თავისი მდგომარეობის აუტანლობისა ნაწილ მხნეობას არ ჰკარგავს; იგი ცდილობს ამ მწა-

რე. მომავლდინებელი აწმყოსაგან (როგორცე თავი დი-
ხსნას და თვით თავისი თავის დაცვის დროს თავისი ქვეყ-
ნის მომავალ მყოფადზედაც იზრუნოს; მისთვის სამშობ-
ლოსაკენ მავალი გზა მთლიანად არაადროს მოკვეთილი
არ არის; იგი ყოველთვის ახერხებს თავისი ხმის სამშობ-
ლოსათვის მიწოდებას; თუ ზამთარში, ნავთსადგურის
გაყინვის გამო, გემები იქ არ მიდიოდნენ, სამაგიეროდ,
ზაფხულში იგი ნაპირზე მომდგარ არც ერთ გემს არ უშ-
ვებდა, რომ მეზღვაურებისათვის რომის ამბები არ ეკით-
ხა; ზოგჯერ იგი ამ მეზღვაურების შემწეობით რომში
თავისი ლექსების გაგზავნასაც ახერხებდა; მისი ორი უკა-
ნასკნელი დიდი შრომების „ტირიატი“ და „ექს პონტო
ეპისტოლაე“-ს გაგზავნა სწორედ ასეთი გზით მოახერხა
მან. ნაზოს წარუღი იმდენად მდიდარი და ძლიერი იყო,
რომ შეუძლებლად ჩანდა მისი სამშობლოსგან მოკვეთა;
ნაზო შეუძლებელს შერბა, რომ თავისი პოეზია რომაე-
ლებს მიაწვდინოს; რომ ამით თავისი თანამემამულეები
დაატკბოს და აღტაცებაში მოიყვანოს; ყოველივე ამით
მათ მეხსიერებაში თავიანი სახელი დავიწყებას გადაარჩი-
ნოს. ნაზო თავის გაჭირვებაში თავის ცოლზეც ფიქრობს
და მას ამხნელებს; თუმცე იგი ამ დარიგებებით ახანებს
ცოლს, თუ როგორ, ვისთან, რანაირი სახით უნდა იშუამ-
დგომლოს ნაზოს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

„იმისთვის, — ამბობს ნაზო, — რომ იუბიტერმა მე
ულმობელი მეხი დამცა; შენი ნაზი სახე სირცხვილმა არ
უნდა გააწითლოს; პირიქით, მხნეობა მოიკრიბე და ჩემს
დაცვას შეუდექი; მომეცი კარგი მეუღლის მაგალითი და
ასარულე შენი სათნოების შემწეობით შენი ძნელი რო-
ლი! დიდების წარმატება ძნელ ციცაბო გზაზე სვლით მო-
იპოვება. ვის ეცოდინებოდა ჰექტორის სახელი, ტროია
თუ ბედნიერი იქნებოდა! საზოგადოებრივმა უბედურებამ
გზა გაუხსნა ჰექტორის გულადობას. შენი ოსტატობა,
ტიფის (არგონავტების პირველი პილოტი, დახელოვნე-
ბული ქართა და მნათობთა მიმდინარეობის ცოდნაში),
უსარგებლო იქნებოდა, თუ ზღვა არ აღელდებოდა; შენი
ოსტატობაც ფებუსს (მედიცინის ღვთაება) უსარგებლო
იქნებოდა, თუ ადამიანები მუდამ კარგად იქნებოდნენ;
სათნოება, რომელიც ბედნიერების დროს დაფარული,
უსაქმური და უცნობია, ვლინდება და მტკიცდება მხო-
ლოდ უბედურებაში“. წიგნი 4. თავი 3, გვ. 109.

... „ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც ვფლობთ, წარ-
მავალია, გარდა გულის და გონიერების (ესპირიტუს) ავლა-
დიდებისა; შემხედვე მე: მოწყვეტილი ჩემ სამშობლოს,
თქვენს სიახლოვეს, ჩემ სახლს; გაძარცული ყველაფრით,
რისი ჩემგან წართმევა შეიძლებოდა, მე მაინც ვა-
ხერხებ: ჩემ გარემოცულობად და ჩემი სიამოვნების საგ-
ნად ჩემი გონება გარდავექმნა; კეისრისათვის ჩემი გონიე-
რება ხელუხლებელია; მას შეუძლია ზრმალის ერთი მო-
ქნევით სიცოცხლე წამართვას; ხოლო ვიდრე გამარჯვე-

პული მარსისეული რომი თავიანი ქედების სიმბოლოდნ
მთელს დაქვემდებარებულ მსოფლიოს სჭვრეტს, ჩემ ნა-
ნაწარმოების კითხვას სხვა და სხვა ხალხები განაგობო-
ბენ“. წიგნი 3, თავი 3, გვ. 81.

ამრიგად ნაზოც ემიგრაციაში რალაცა აზრს პოეულთ-
ბდა და ამით თავის ტანჯულ სტოვრებას ასატანად ხდი-
და. ვიკითხოთ ეხლა, თუ როგორ რეაგირობდა დანტე
ემიგრაციის მიმართ.

ლუი ჟილე თავის მეტად საინტერესო წიგნში დანტეს
ასე ახასიათებს:

„ეს პოეტი ჰქმნის თავის მითოსა; იგი კარნახობს თა-
ვის ლეგენდას, ლეგენდას გაძევებულისას, რომელიც და-
ნტე ჰქმნატიად იყო: ერთი ქალაქიდან მეორეში გაძე-
ვებული, დანტე მის სამშობლოსაკენ მიმართული ცოც-
ხალი საყვედური იყო მაგავსად ანტიკური დროის აედე-
ბისა და რაპსოდებისა, რომელნიც თავიანთი ლატაკობით
პრიმიტიულ სიმარტივემდე, პოეტისა და მათხოვარის
მდგომარეობამდე დავიდნენ: ვინაიდან, ღარიბი და ბედ-
კრული, ყოველ ძველ ცივილიზაციაში, რომელიც ღირსი
არის თავისი სახელისა აედებმა და რაპსოდებმა შეიძინეს,
თვით ამ ბედკრულობის წყალობით, საზოგადოებრივი
დაწინაურება: სუვერენობა, მფარველობის და სხვა სამო-
ტალაქო უფლებების დაკარგვით ისინი ღმერთების წარ-
მომადგენელნი გახდნენ“-ო. 11). გვ. 329.

თვით დანტე, თავისი თავის მათთან გაიგივებით, მათ-
ზე ამბობს:

„ქვეყნიერებას რომ სკოდნოდა, თუ როგორი გული
ჰქონდა ამ მათხოვარს, რომელიც საკუთარი თავის შე-
წყალებისათვის კარხიდან კარზე დაიდოდა, მის მაქებარ
ქვეყნიერებას აღარ ექნებოდა ზოტბის საკმაო მარაგი“-ო.
„სამოთხე“, 6, 140-142.

დანტე და ყველა სხვებიც ემიგრანტობის ღირებულე-
ბას თავიანთი ცხოვრებით ამტკიცებდნენ; ისინი, რო-
გორც უკვე ვთქვით, თავიანთი საკუთარი იდეალით იყე-
ნენ აღჭურვილნი; იდეალი პოლიტიკური, ან კულტურუ-
ლი ხასიათისა, რომელსაც თვითეული მათგანი თავდავიწ-
ყებით, ტკივილების, სიღარიბის, სოციალური დაქვეითე-
ბის, არა ადამანური გამძლეობით და განუზომელი მო-
თმინებით ემსახურებოდნენ; ეს იდეალი მათთვის აბსოლუ-
ტური, ხელუხლებელი, განუწევრებელი იყო, რომლის საშა-
ხური მათი ცხოვრების აზრი, ღირსება, გამართლება,
ვალდებულება და სიხარული იყო; ეს იდეალი მათ იმ-
დენად ფლობდა, რომ მათ არ შეეძლოთ არა თუ მისი
დალატი ან უგულებელყოფა, არამედ არც უბრალო ვულ-
გრილობა, კომპრომისი ან სამსახურის შენელება, მისი
დროებით მივიწყება; ამ იდეალის პატივისცემით თავის
ემიგრანტობას უაღრესი სიხარული შესწირეს, ყოველ
წუთში თავისი ნაფიქრალი, უგულისთადესი ზრახვა, თა-

ვისი მრავალი წლის იღუმალი და აშკარა, ერთა და იმავე დროს, გულის გამხსნელი და გულის მომკვლელი ოცნებები — სამშობლოს ხილვისა!

სამშობლოს უადრესად მონატრებულ დანტეა ადვილად შეეძლო სამშობლოში დაბრუნება; მას საამისოდ რამდენიმე შემთხვევა ჰქონდა; განსაკუთრებით, 1315 წელს, როდესაც უგუჩიონე დელლა ფაჯიულოს ფლორენციის გასათავისუფლებლად დაწყებული ბრძოლების წარმატების დროს ფლორენციის რესპუბლიკამ ამნისტია გამოაცხადა: ყოველ ემიგრანტს შეეძლო სამშობლოში დაბრუნება, თუ იგი თავის თავს ტყვედ გამოაცხადებდა და სანჯივანის კათედრალის „მოსანათლავი აუზის“ წინ პატივებს ითხოვდა; ეს ცერემონია, უბრალო ფორმალობა, ნახევრად რელიგიური და ნახევრად იურიდიული, არ შეიცავდა არავითარ დამცირებას... ხოლო იგი ამჟამად დანტემ, მიუღებელად მიიჩნია; ამაში მან თავისი იდეალის შეზღუდვა და თავისი თავის შეურაცხყოფა დაინახა; ამიტომ იმის ნაცვლად, რომ მას იმ წუთშივე თანხმობა მიეცა და მონატრებულ სამშობლოში დაბრუნებულიყო, მან თავის მეგობრება, ფლორენციის ხელისუფლების წინაშე მოშუადგომილებს, ამჟამად და გააფთრებით აცნობა: „განა ეს არის ზრდილობიანი მოწვევა, რომ დანტე ალიგიერი სამშობლოში დაბრუნდეს გადასახლების ხუთმეტე წლის მანძილზე ატანის შემდეგ? განა მხოლოდ ეს დაიმსახურა დანტემ და მისმა ყველაათვის ნათელმა უმწიკვლობამ? არა, — სწერდა იგი თავის ერთ მეგობარს, ცნობილ წერილში (ეპისტოლე მე-12-ე) —

„არა!

ეს არ არის ის წესი, რომლის მიხედვით შეუძლია სამშობლოში დაბრუნდეს ისეთი ადამიანი, (როგორიც შევარ! მონახეთ სხვა საშუალებები დანტეს სახელთან და მის ღირსებასთან უფრო შეფარდებული; მიაღებინეთ ისინი ხელისუფლებას და თქვენ დაინახავთ, თუ შევცუბმანდები სამშობლოში, რაც შეიძლება ჩქარა, დაბრუნებისათვის; წინააღმდეგ შემთხვევაში, არა!

თუ მე მხოლოდ თავდახრილს შემეძლება ფლორენციაში ჩასვლა, მე ფლორენციაში არასოდეს არ ჩავალ!“

არა ნაკლებ მკაცრია აგრეთვე გოგენ-ის პასუხი მონფრედს, რომელიც გოგენის უკანასკნელი წერილით თავსარდაცემული, სხვა მეგობრებთან, განსაკუთრებით დოკტორ გუზენ-თან ერთად ურჩევდა მას საფრანგეთში დაბრუნებას:

„არა! ნულარას მეთყვეთ დაბრუნებაზე!

მოწამეობა ხშირად საჭიროა ყოველი რევოლუციისათვის! ჩემს ქმნალობას, განხილულს, როგორც უბრალო პიროვნულ მხატვრულ მიღწევას, მცირე მნიშვნელობა აქვს; ხოლო საბოლოო მიღწევებთან, მხატვრობის მომავალ სრულ განთავისუფლებასთან, ამიერიდან მხატვრო-

ბის სიძღვრების, აკადემიების, უნიჭობის მიერ შექმნილ ყველა არტახებიდან დახსნასთან შედარებით მისი მნიშვნელობა განუზომელია; შეხედეთ რას ბედავენ უკვე საფრანგეთში იმ გაუბედაობასთან შედარებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ათიოდე წლის წინ“. 7).

ასეთი პასუხი განსაცვიფრებელია იმ ადამიანის პირში, რომლის უფულობა, სიღარიბე, ავადმყოფობა, დამცირება და სიკვდილის წინაშე თითქმის ყოველდღიური დგომა, წარმოდგენდნენ მისთვის აუტანელ და აღუწერელ წამებას.

ანრი პერრფეშო დიდი სიმართლით და ღრმა ჩაწვდენით აღწერს გოგენის სულიერ განწყობილებას საფრანგეთში მიწვევის პასუხის მიცემის მომენტში:

„რას გააკეთებს იგი ევროპაში? რომელიმე პრობლემატურ თანამდებობას მოაქვბნის იგი რომელიმე ფინანსური ხასიათის დაწესებულებაში, როგორც, მონფრედი უკარნახებდა მას?

სასაცილოა!

ყოველი იმისგან, რაც გოგენს თავის ბრძოლაში დღიური დღემდე ხუთმეტე წლის განმავლობაში ამხნევებდა, მას მხოლოდ ერთადერთი რამ დარჩა: იდეა, რომელიც მან თავისი მხატვრული ღირებულების შესახებ გამოსჭვდა; სხვა მას აღარაფერი გააჩნია და თვითონ იგიც აღარაფერია; მაგრამ მას რჩება ეს იდეა, რომელიც მას თვით თავისი თავის წინაშე ამართლებს და რომელიც მისი ხუთმეტე წლის მარცხებს აზრს ანიჭებს; თუ მას აღარ შეუძლია დაეყრდნოს ამ იდეას, მისი სიცოცხლე ყოველგვარ აზრს დაჰკარგავს; ამით მას ყველაფერი დაეკარგება, გარდა თავისი თავის შეზიზღებისა.... ეს იქნებოდა იგივე, რომ ჩვენ გოგენს მოვთხოვოთ, მან თავისი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის დაამსხვრიოს ყოველივე, რაც მისი სიცოცხლის აზრია (რეზონ); გამოვიდოდა, რომ მას ამდენ ხანს ფუჭად უწვალებია თავისი თავი; უწვალებია სასაცილოდ და სულელურად! ეს იქნებოდა მისთვის საბოლოოდ თავის თავზე ხელის აღება და თავისი თავის შეზიზღება, რასაც რა გინდ რანაირი უკიდურესი სილატაკე სჯობს!

ტანჯვის ატანა მისაღებია, როდესაც ადამიანმა იცის, რომ იგი უაზროდ არ იტანჯება; როცა მის ტანჯვას ისეთი დარწმუნებულობა აქვს, რომელიც თქვენ საშუალებას გაძლევთ — დარჩეთ გამართული და გამძლე, როგორც რკინის კორსეტი; განაგრძოთ ბოლომდე, რა ძვირიც არ უნდა დაჯდეს ეს ტანჯვა, თვით მწვალებლობამდე“. 7). გვერდი 336-37.

აი, ასეთია დიდი ემიგრანტის სამშობლოს სიყვარული და მისი ნატვრა; ამ ემიგრანტების დამახასიათებელი ის არის, რომ მათი აწმყო, გადასახლებაში მწარე, მძიმე, მეტად მტკივნეული, დიდი სევდიანი, დიდი მწუხარების, დი-

დი ტანჯვების შემცველი იყო; საბედნიეროდ მათში აწმყო არასდროს, არც ერთ მომენტში წარსულს და მყოფადს არ მოსწყევტია; ნამყო, ტუბილ-მწარე მოგონებებით, ემიგრანტის აწმყოს მტრულობას ასატანად ხდიდა; და ამავე დროს ეს ნამყო (წარსული) მშობელი ქვეყნის მყოფადის (მომავლის) სხივსნობით განაყოფიერებული, სამოქმედო მისწრაფებების აღძვრას ცდილობდა;

მყოფადი კი, თავის მხრივ, ნამყოს თანადროულობის იერს აძლევდა, მთლიანად მომავლისაკენ მიმართავდა და მთლიანად მომავლიან მსახურად ხდიდა; ყველა ეს ემიგრანტი ბევრს მუშაობდა, ბევრს იბრძოდა, ბევრ ღირებულებას ჰქმნიდა: ამას ისინი აკეთებდნენ აწმყოს ცუდ პირობებში, ნამყოს მონაბოვართა დახმარებით და სამშობლოს მყოფადის დაუფლებების მიზნით; ეს შემოქმედება და აქტივობა ემიგრანტისათვის სამშობლოს მომავლის კარს აღებდა და მას წარსულის და აწმყოს დაძალებიდან იხსნიდა; ისე, რომ თითოეული ემიგრანტი თავიან სამშობლოს აწმყოს, ნამყოს და მყოფადს ერთ და იმავე დროს ერთმანეთისაგან განურჩევლად განიცდიდა; ამის გამო ეს ემიგრანტი, არსებითად თავის სამშობლოს არ დაშორებია, მას ცოცხლად განიცდიდა და მისი ვითარების შეთვისებით სულდგმულობდა;

ეს ემიგრანტები თავიანთ ემიგრანტობას სთრუგვნიდნენ მაშინაც კი, როცა ისინი სამშობლოში წასვლაზე უარს ამბობდნენ; ამან შეინახა ეს ემიგრანტები მშობლიური გავლენის ქვეშ;

ამან შეუნახა თვით ისინი სამშობლოს მომავალს;

ამან მოამზადა მათი შემოქმედების და მოღვაწეობის მშობლიური სინამდვილესთან უმტკივნეულო შეხორცება, თითქოს ისინი მშობლიურ ცხოვრებიდან არასდროს გამოსულიყვნენ; შატობრიანმა სწორედ ემიგრაციაში შექმნა ზოგი თავისი შედეგები, რომლებიც შემდეგ მან საფრანგეთს დაბრუნებისას გამოსცა და რომლებმაც მშობლიური ლიტერატურა გაამდიდრა და დაამშვენა; დანტემ სწორედ ემიგრაციაში შეუქმნა თავის სამშობლოს იმ მთლიანი იტალიური ენა, რომელმაც „საღმრთო კომედის“ შემწეობით მის დაკუწმანებულ სამშობლოს მთლიანობის ძირითადი და მთავარი აუცილებელი პირობა მოუწმზადა; გოგენმა სწორედ თავის ემიგრანტულ სიღარიბეში და გაჭირვებაში შექმნა ბევრი შედეგო, რომელმაც საფრანგეთის მხატვრობის განვითარებაზე გავლენა მოახდინა და ამით მისი მომავლის წარმატებას ემსახურა; ოვიდიუს ნაზოს პოეტური შემოქმედება გადაახლებების აუტანელ პირობებშიც არ დაშრეტოდა; იგი იქაც, უცხოეთში, გალექსილ პოემებს სწერდა, რომლებსაც დღესაც კითხულობენ, იწონებენ და სწავლობენ.

ამ ემიგრანტების ძლიერება ის არის, რომ ისინი, მიუხედავად, ან, უკეთ, სწორედ იმიტომ, რომ მათ სამშობლოს დიდი ნატვრა ჰქონდათ, ისინი წარსულის მონები

არ გახდნენ; მათი წარსული მათი საპრობილეო განაღდა და თვით იაინი თავიანთი წარსულის ტყვე არ შეიქმნენ; ისინი წარსულთან ერთად აწმყოსაც და მყოფადსაც დიდ ანგარიშს უწევდნენ.

ანდრე ბრიდუ ამბობა: „მე თავს ანგარიშს ვაძლევ, რომ დაქვემდებარება იმ აზრისადმი, თითქოს წარსული წარუძღლეო იყო, ნიშნავს დროის ცუდი მიმართულებით, წინიდან უკანისაკენ, დანახვას; მაშინ, როდესაც ნამდვილი მიმართულება დროის მიმდინარეობისა არის უკანიდან წინისაკენ გახედვა; ამ ახალ პერსპექტივაში განხილული, მოგონებები წარმოსახებიან არა როგორც ფიზიკური გადაღებული უცვლელი ანაბეჭდები, არამედ უფრო როგორც მომავლის თესვები, რომლებსაც შეუძლიათ მყოფადში მოიტანონ ნაყოფი და იქ იპოვონ სრული განხორციელება“-ო. 9). გვერდი 6). გვერდი 65.

წარსულის უბრალო პასიური ჰერეტა, მისთვის აწმყოს და მყოფადის უგულებელყოფა, წარსულის დამატორობელი აკვიატება არის მოგონებათა დანიშნულების გამრუდება, რადგანაც, როგორც უკვე ვთქვით, მოგონება თავისი ხასიათით ფსიქიკაში უბრალო და მკვდარი ფოტოგრაფიული სურათი არ არის; იგი უფრო მოქმედების აღმძვრელი, მოქმედების წამმართველი აქტიური ფაქტორია; „როცა ჩვენს ცნობიერებაში მოგონებები გამოჩნდებიან, ისინი აწმყოს ფარგლებში მოქმედებისათვის საჭირო ვალდებულებებს გავგანსენებენ; ისინი გვეხმარებიან სამუშაო დროის საზრიანად განლაგებისათვის; გვირკვევენ, თუ რას წარმოადგენს ჩვენ შესაძლებლობათა მთლიანობა, რომელიც ჩვენ მომავლისათვის გავგანხნა; იმ მომავლისათვის, რომლის შექმნა თვით ჩვენ გვევალება“. 9). გვერდი 83.

წარსული უნდა იყოს დინამიური, მოძრავი... წარსულის მოგონებებმა ადამიანს ცხოვრება უნდა გაუადვილოს, მოქმედების და აზროვნების სფეროში ზოგი რამ გაუნათოს. ზოგი რამ გასაგებად გახადოს, დასახული მიზნის განხორციელებისათვის დაეხმაროს;

წარსული აწმყოზე და მყოფადზე უდავოდ მოქმედებს; ხოლო მყოფადიც, თავის მხრივ, წარსულზეც მოქმედებს, მასზე ზეგავლენას ახდენს, მას ასხვადერებს და მის არსს მყოფადში დასახული მიზნების თანახმად გარდაქმნის;

წარსულიც, როგორც მყოფადი, ადამიანის აქტივობას ემსახურება; ხოლო წარსული აქტივობა მხოლოდ აწმყოში და მყოფადში გამოსტყვის, რის გარეშე წარსული მკვდარი და არ-არსებული იქნებოდა;

წარსულის დამსახურება ის არის, რომ იგი აწმყოში და მყოფადში სამოქმედოდ საჭიროო ძალის ხმევას იწვევს; წარსულის ღირების საზომი წარსულის მიერ აღძრული სამოქმედო დაძაბულების ხარისხია: რამდენადაც უფრო ძლიერია ეს სამოქმედო დაძაბულება, მით უფრო დიდია ამ წარსულის ღირებულება;

ამის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს ფსიქიკაში მოგონებები იმის მიხედვით და მხოლოდ იმის მიხედვით ინახებიან, თუ რა რიგ სამსახურს უწევენ ისინი ადამიანის მოქმედებას;

„ნუ დავივიწყებთ, — ამბობს ბრიდუ, — რომ მოგონებები არიან აზრები; აზრი კი აქტივობაა, დამპყრობი აქტივობა; იმ მომენტიდან, რაც მოგონება აღარაფერს ეპატრონება, არაფერზე მოქმედებს, იგი სწყვეტს არსებობას... გარეშე მებრძოლი აქტივობისა, მოგონებები აღარ არსებობენ“—ო. 9). გვ. 83-4. ამ საკითხის შესახებ იხილეთ აგრეთვე ალექსანდრე ფრანგიშვილის საინტერესო ნარკვევი: „მოგონება და განწყობა“. 14). გვ. 100.

მაგრამ იმისათვის, რომ წარსულმა მოგონებებმა შეძლონ აწმყოზე და მყოფადზე ზემოქმედება, საჭიროა: ეს მოგონებები, ასე თუ ისე, მოერგებოდნენ, ეგუებოდნენ, იგივეფერობდნენ აწმყოს სინამდვილეს; თუ მოგონებები, წარსული აწმყოების ნაყოფნი იმდენად განსხვავებულნი არიან, რომ მათსა და აწმყო სინამდვილის შორის აღარაფერია საერთო, როცა მოგონებები და აწმყო სინამდვილე ერთი მეორისათვის უცხონი, შეუგუებელნი და ერთმანეთისათვის უტყვენი, გამოძახილს მოკლებულნი არიან, ამ მოგონებებმა აღარ შეუძლიათ მოკლებული აწმყოს მსახურება; ეს დაშორება მოგონებებისა და აწმყო სინამდვილისაგან სხვა მიზეზთა გარდა, შემდეგ სამ ფაქტორზეც არის დამოკიდებული:

1). როცა ადამიანი ინტერესს დაჰკარგავს იმისას, რაც მის 'ამშობლოში' ხდება; როცა იგი თვალს არ ადევნებს თავისი სამშობლოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ევოლუციას; მათში ყველაზე უფრო კულტურულ ვითარებას; განსაკუთრებით კი, მისი ენის, ლიტერატურის და ხელოვნების ცვლილებებს;

2). როცა გრძელი ხნით უცხო ქვეყანაში თავის თანამემამულეებთან დაშორების და უკანასკნელებთან ურთიერთობის შეუძლებლობის გამო, ემიგრანტი ყოველივე მშობლიურს სრულიად სწყდება და თავის მშობლიურ ენაზე ლაპარაკი უძნელდება; მაშინაც კი, როცა ადამიანი უცხო ენას მთლიანად ვერ დაუფლება;

3). თანამედროვე ქვეყნების სწრაფი, არაჩვეულებრივი ცვლადობის ზეგავლენით, როცა საზოგადოებრივი წყობა, ეკონომიკური ვითარება, კულტურული ცვლილება, ზნეობრივი ევოლუცია, ჩვეულებების და ტრადიციების გამოცვლა და თვით ენის მნიშვნელოვანი ცვლილება იმდენად დიდი გახდა, რომ დიდი ხნის ემიგრანტი თავის პატარა სოფელს, კიდევ უფრო, თავისი ქვეყნის ქალაქებს ვეღარ ცნობს: ისინი მის ცნობიერებაში მოგონებებს არ იწვევენ და აღარაფერს წარსულთან დაკავშირებულს არ აღვიძებენ; და ამიტომ ისინი მისთვის უცხოდ ინახებიან.

4) ან კიდევ, როცა ემიგრანტი ისე შეეჩვია თავისი მამულის ქვეყნის ცხოვრების პირობებს, რომ მას ყოველივე მშობლიური უცხოდ ეჩვენება, მათ ვეღარ ეგუება და ვეღარ ეწყობა; ამის საუკეთესო მაგალითს ჩვენი ლიტერატურის თანამედროვე კორიფეი კონსტანტინე გამსახურდია გვაძლევს თავის ზღაპრულ მოთხრობაში — „მშენიერება“, — რომელიც დაწერილია პოეტური აღმადურენით, შინაარსის ნამდვილობით და ქართული ენის დამამშვენებელი თავისებური სტილით: —

ერთი ჰაბუკი უკვდავებას ეძებდა; ბევრი თავგადასავალის შემდეგ იგი მიადგა ერთ კოშკს, სადაც კოშკის დიასახლისმა, მისალმების შემდეგ, თავის სადგომში მიიწვია მზეჭაბუკი:

„შენ თუ უკვდავებას ეძებდი, ჰაბუკო, ეს მე ვარ, — მშენიერებაა ჩემი სახელი, რადგან ყველაფერს და ყველა ხმას, ყოველივეს, ჩემს გარდა, წარხოცავს უამი.

ასეთი ვარ, შექმნის პირველივე დღიდან და ასეთი დავრჩები უკუნითი უკანისამდე.

მე ვარ თავად ბედნიერება და უტკნობი სიცოცხლე სამყაროსი. თუ გინდა დარჩი სამუდამოდ ჩემთან, მაგრამ..“

„მაგრამ რაო“
„მაგრამ მერწმუნე, მოკვდავო, შენ უკვდავებაც რომ მოგანიჭო, ოდესმე სანატრელი გაგიხდება სიკვდილი“
უარესად გაოცდა მზეჭაბუკი.

ტახტი, გვირგვინი დამიგდია უკვდავების მაძიებელს, ამდენი მივლია ტყესა და ღრეში, აიბერე და სიკვდილი საკუთარი თვალით ვიხილე და კიდევ როგორ ვინატრებ სიკვდილს...“

„ათასმა წელმა ისე განვლო, როგორც ერთმა თვალის დაფახულებამ“, — შენიშნა მზეთუნახავმა: დარდობდა ჰაბუკი იღუმალ.

„თვალმშენიერო, — ეუბნება ერთხელ მზეჭაბუკი მზეთუნახავს, — გულნაღვლიანობის მიზეზს ნულარ მკითხავ ამიერიდან. ან როგორ გაიხაროს გულმა, როცა ამდენი ხანია საყვარელი დედა აღარ მინახვს, არც მეგობრები, მოკეთენი და საბრძანისი მამისა ჩემისა, სადაც ვშობილვარ და სიყრმიდანვე გავზრდილვარ სადაც..“

ნება მიბოძე, მცირე ხნით, სულ მცირე ხნის განშორებისა, მერმე მოვბრუნდები და სამარადისოდ დავრჩები შენთან“.

ლიმილით უთხრა მზეჭაბუკს მშენიერებამ:
„მე ხომ მცოდნია, რა ძალა აქვს მიწას. წა, შე საცოდავო, და ეწიე ყოველი კაცისა და ყოველი არასი უცილო ხვედრა.“

გახსოვდეს ოლონდ: შენ დაჰყავი ათასი წელი აღმასის კოშკში, ერთი მეათასედი მარადეამობა ერთი წამისა; მეექვსეა, შენიანები დაგიხდნენ ცოცხალნი.

აჰა, ორგვარი ყვაილი, ეს მინდა გაგატანო იმ სოფ-

ლად“. — ეს უთხრა და გაუწოდა ორი ყვავილი, ერთი — უწითლესი სისხლისა, მეორე — უთეთრესი თოვლისა.

„... ვინძლო შენს საბრძანისში მისულს, კვლავ მოგინდეს იცოცხლო ათას წელს, უყნოსე წითელს, ხოლო უკეთეს სიკვდილის ფატი შეიგნო, მაშინ თეთრი მოიშველიე. არ შეგეშალოს ეს ამბავი ოღონდ!“...

მღელვარე გულთი მიეახლა მზეჭაბუკი თავის საბრძანისის სამანებს. აჰა, სანახები მშობელი მხარისა.

გორაკები და გორმახები კვლავინდებურად მიჯნავდნენ ველებსა და კაპანებს. მთებიდან დაძრულნი მდინარენი ძველ კალაპოტებს მიჰყვებოდნენ, ზღვისკენ გავაკებულ ბარს. ასე უცვლელი დარჩენილიყო ყოველივე ბუნებისმიერი. ზღვიდან და ტბებიდან ჭაობის ფრინველები დგებოდნენ შუილით. ჯიხვისა და არჩვის ჯოგები ჩამოდრიოდნენ მყავე წყლებზე ზღვილით, მშველი და ჯეირანი ერეოდა ნახირში.

ახოებიდან, ლოქიანებიდან აფრენილი ხოხბები ახარებდნენ თვალს, ვნოლის გუნდები დაგოვავდნენ ფლატეების ძირას. ყოველივე იაე დაუზვდა სეფეწულს, როგორც სიჭაბუკეში ენახა ოდესღაც.

რა მიეახლა სატახტო ქალაქის სანახებს, აქ ყოველივე შეიცვალა ანახლად.

ტრამალები და ველები მოეხნათ, ტყეები გაქცაფათ, ახოებსა და ეწერებში ბაღნარები გაეშენებინათ, მდინარეებზე ხიდები აეგოთ. ხოლო იმ ნაკრძალებში, სადაც როსტომ მეფეს ნადირობა უყვარდა, გუთნის დედები სიმღერით უკან მიჰყვებოდნენ გუთნეულებს. მხიარულად ლიღინებდნენ მეხრებები.

ბექობზე შემდგარი მწყემსები მზეჭაბუკისათვის უცხო ენაზე უყვიოდნენ ერთი მეორეს.

„აღამიანები შეცვლილიყვნენ გამოუცნობლად.“

„ეუცხოვა სეფეწულს ტანისამოსი და საქციელი მათი.“

„ყოფი მიუგდებდა წინ შემომხვდარი გამვლელებს, აღარ ესმოდა მზეჭაბუკს ნიარეცვლილი მეტყველება ენისა.“

ეს მთები, მხოლოდ მთები არ შეცვლილიყვნენ, ეს საყვარელი მწვერვალები, ეს შრილა ჩქერალები, ეს ჯაქვის ფერი ფლატეები და გვირაბები თვალჩაწავებული.

ამ მინდორზე ყაბახი იყო ოდესღაც. აქ ისარი სჭერია მზეჭაბუკს, ტოლებთან მოჯიბრეს.

ამ მდინარეში უბანავნია, ამ ციცაბოდან გადაუხედავს მზის ჩასვლისას და დამტკბარა, თუ როგორ მოსავდა ოქროცურვილი სხივებით მზე მამისეულ მარმარის სასახლეს, რომელიც იმ ბექობზე იდგა, საბრძოლო გოდოლებით შემორაგული.

ეჰა, სადღა სვიანი ქალაქი ან მშვენება ამაცი სასახლისა, რომლის ზეთავზე ფრიალებდა ოდესღაც დროშა ლომისპირიანი.

„აგერი ნაცნობი ქუჩები და შუტკები.“

ესალმება მზეჭაბუკი გამვლელებს, ეკითხება, რა მომხ-

დარაო ჩემს საბრძანისში, ან სად არისო დედოფალი მაგდანა, მისი ტაძრეული, ან მოკეთენი მისნი?

შესდგებოდნენ გამვლელები, მაგრამ არავინ ესმოდა მზეჭაბუკის ნაუბარი, შეხედავდნენ გაოცებულნი და გაეცლებოდნენ უცხოთავანს აბეზარს.

იავარქმნილიყო ყოველივე ძველი. საბრძოლო გოდოლები შეუმუსრავთ; ახალი სრასასახლენი აეგოთ ზღვის პირად. ჭოტი იგლოვდა ნანგრევსა და ნატამალს. ზვლიკები დანავარდობდნენ სამეფო პალატების, საჯინბოების და ასპარეზების ბალავარებზე; სურო და ხვიარა გასულლიყო ტაძრებისა და სასახლეების სვეტების ნამუსრეკზე. ერთად ერთი გუმბათის მორღვეული სამრეკლოდა დარჩენილიყო თავის უჩინარობის წყალობით....

... შემუსქრილია ცინე-ქალაქი, იავარქმნილია ნატახტარი მამი ჩემისა.

„რაღა ვარ მე აწ, თუ არ მტყნარი მოჩვენება, მხოლოდ ლანდი, გადმოხვეწილი იმ ქვეყანაში, სადაც ყოველივე შეცვლილია, ყოველივე გარდა მთებისა.“

ეს თქვა მზეჭაბუკმა; ამოიღო მკერდიდან ყვავილი თეთრი და ვენებიანად უყნოსა. როდესაც იგი წაიქცა შეძრწუნებულმა ბერნა ყვირილი შორთო. 17). გვ. 124-137.

ასე ემართებათ იმ ემიგრანტებს, რომელნიც მხოლოდ თავიანთი პირადი ბედით არიან დაინტერესებულნი და რომელნიც საზოგადოებრივი გრძნობის აიღრმეს თითქმის მთლიანად მოკლებულნი არიან.

ოვიდიუს ნაზო, დანტე, შატობრიანი და გოგენი უცხოეთში ცხოვრების დროს მთელი თავიანთი არსებით, მთელი თავიანთი აზრებით და ფიქრებით, თავიანთი გრძნობადობით და გრძნობიერებით ამშობლოში იმყოფებოდნენ, თითქოს სამშობლო მათ არასდროს დაეტოვებინოთ; და ამიტომ მათთვის ემიგრაცია პატრიოტული გრძნობის უებრო და უმგალითო სკოლა იყო: ისე, რომ ერთ, დანტეს მოყვარულ და დიდად დამფასებელ, იტალიელ მწერალს უთქვამს:

„დაილოცოს ის განაჩენი, რომელმაც დანტე სამშობლოდან უცხოეთში გადასახლა, თორემ ჩვენ დღეს „ღვთიური კომედია“ არ გვექნებოდა“-ო.

(გაგრძელება იქნება)

ალექსანდრე შათირიშვილი

საფრანგეთი, 1969 წ.

წყაროები

1. Henri BERGSON : L'Energie spirituelle. Paris.
2. Henri BERGSON : Matière et Mémoire. 1959, Paris.
3. Pierre BURGELIN : L'Homme et le Temps. 1945, Paris.
4. Blaise PASCAL : Pensées et Opuscules. 1946, Paris.

5. Publius Ovidius NASO : Tristia. Col. Budé. 1968, Paris.
 6. Danté ALIGHIERI : Œuvres complètes. Trad. : A. Pézard. Bibl. de la Pléiade, 1965, Paris.
 7. Henri PERRUCHÉAU : La vie de Gauguin. Paris.
 8. René CHATEAUBRIANT : Mémoires d'outre-tombe I. 1961, Paris.
 9. André BRIDOUX : Le Souvenir. 1961, Paris.
 10. Paul FRAISSE : Psychologie du Temps. 1957, Paris.
 11. Louis GILLET : Dante. 1941, Paris.

12. Jacques MADAULE : Dante ou La Passion de l'Immortalité. 1965, Paris.
 13. Lucienne PORTIER : Dante. 1965, Paris.
 14) ალექსადრე ფრანგიშვილი, გამოკვლევები განწყობის ფსიქოლოგიის საკითხებზე. თბილისი, 1967.
 15. Henri BARUK : La désorganisation de la personnalité. 1952, Paris.
 17). კონსტანტინე გამსახურდია, ტომი მეორე, თბილისი, 1959.

რუსთაველი ამერიკაში

მოხსენება (შემოკლებით) ალექსი ჩხენკელისა
(„ვიოს ოვ ამერიკა“-ს რადიოგადაცემიდან)

როგორც ცნობილია, წარსული წლის ოც იანვარს მოხდა ვაშინგტონში რიჩარდ ნიკსონის პრეზიდენტობაზე ფიცის მიღება. ამის წინ ორი კვირით ადრე ვაშინგტონში ადგილი ჰქონდა სხვა და სხვა ცერემონიას. წინა დღით, 19 იანვარს დავესწარი საინოვაციო კონცერტს უზარმაზარ კონსტიტუციის დარბაზში. იქ სრულიად მოულოდნელად მოხდა ფრიად საინტერესო მოვლენა

სალამოს ცხრა საათზე, ხალხით გაჭედილ დარბაზში შემოვიდნენ ვიცეპრეზიდენტი და ქ-ნი ჰუბერტ ჰამფრი, და საუბარი დაიწყო დამსწრე დემოკრატ გუბერნატორ სენატორებთან. რაც არ უნდა ყოფილიყო, გადაწყვიტე ვიცეპრეზიდენტთან შეხვედრა და ასე ვთქვათ მისი „დაკითხვა“ ერთ საგანზე, რომელიც ძალიან მაინტერესებდა საპრეზიდენტო არჩევნების დროიდან.

როგორც იყო გავედი ძლივს მრავალრიცხოვან დამსწრეთა და ვიცეპრეზიდენტის დამცველთა შორის და ბ-ნ ჰამფრის წინ აღმოვჩნდი. დავუახლოვდი. მივესალმე. და დავუწყე საუბარი —

— ბ-ნო ვიცეპრეზიდენტო, გთხოვთ ნება მომცეთ და ერთი შეკითხვა მომიმინოთ.

— რასაკვირველია. ბრძანეთ! — ცოტა არ იყოს, გაკვირვებით მიპასუხა მან.

— ბ-ნო ვიცეპრეზიდენტო, — დავიწყე საჩქაროდ მიძართვა: — ვარ ქართველი, საქართველოდან, რომელიც 47 წელია, რაც საბჭოთა კავშირმა ძალით დაიკავა...

— ძლიერ! საინტერესოა თქვენი გაცნობა, — მოულოდნელი ღიმილით მიპასუხა ჰამფრიმ და ხელი ჩამომართვა.

— ბ-ნო პრეზიდენტო! საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს ერთ თქვენ სიტყვაში განაცხადეთ: „რასაც ვასკემ შენია, რას არა, დაკარგულია“... „მიეც გლახაკთა საქურჭლე, ათავისუფლე მონები“... ძალიან მაინტერესებს, ბატონო ვიცეპრეზიდენტო, თუ საიდან აიღეთ ეს სიტყვები თქვენ?

ჰამფრიმ სიამოვნებით გაიღიმა და ხელით მხარზე შემიხეხა.

— როგორც ქართველი, — მითხრა მან: დარწმუნებული ვარ, თქვენ ჩემზე უკეთესად იცნობთ თქვენს უდიდეს პოეტს, შოთა რუსთაველს, მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, არა ერთხელ წამიკითხავს და მუდამ გოცნებული ვიყავი რუსთაველის მიერ შეთარძეებულ საუკუნეში გამოთქმული აფორიზმებით, რომლებიც საკვებით ეგუებიან ჩვენს ახლანდელ საუკუნეს და შეერთებული შტატების დღევანდელ პრობლემებს.

— დარწმუნებული ვარ, ბ-ნო ვიცეპრეზიდენტო, — სიხარულით ვუთხარი, — თქვენ ქართული ენა არ იცით, მაშასადამე, თქვენ ვეფხისტყაოსანის თარგმანი გაქვთ წაკითხული. ვისი თარგმანი წაკითხეთ?

— სამწუხაროდ, მართალი ბრძანდებით. ქართული ენა არ ვიცი, მაგრამ როდესაც გითხარით რამოდენჯერმე წამიკითხავს „ვეფხისტყაოსანი“ - მეთქი, ვგულისხმობდი მარჯორი უორდროპის თარგმანს. მაგრამ იცით თქვენ, — უცებ შემეკითხა ჰამფრი — რომ ამ ჟამად კიდევ ერთი ინგლისელი, ბ-ნი სტივენსონი მუშაობს ამ დიდებული პოემის გადათარგმანზე?

— გამიგონია, ბ-ნო ვიცეპრეზიდენტო!

— როგორც ჩანს უორდროპის წინასიტყვაობიდან, ქართული ენა და ლიტერატურა უმდიდრესთაგანია მთელ მსოფლიოში. სამწუხაროდ, ინგლისურ ენაზე არც ქართული გრამატიკა გვაქვს და არც ქართულ-ინგლისური ლექსიკონი. ეს ძალიან, ძალიან სამწუხაროა!

— სრულიად გეთანხმებით, ბ-ნო ვიცეპრეზიდენტო.

— სხვათა შორის, — უცებ შემეკითხა ჰამფრი: თქვენი ინგლისური კარგია; დარწმუნებული ვარ, თქვენი ქართული კიდევ უკეთესია. მითხარით თქვენ, რატომ არ შეაყვებით ამ ნაკლს?

— ვეცდები ბ-ნო ვიცეპრეზიდენტო. ..

სამწუხაროდ, ამ დროს მოგვადგა სტუმრების ახალი ტალღა... — კეთილი იყო თქვენი გაცნობა და თქვენთან საუბარი, — მითხრა ჰამფრიმ და შემდეგ აჩქარებით დაუშვა — არ დაივიწყოთ, რაც გითხარით და ამის შესრულება შემატყობინეთ. მშვიდობით და გისურვებთ წარმატებას.

ბ-ნმა ჰამფრიმ მეგობრული ღიმილით ხელი ჩამომართვა და მოსულ სტუმრებში გაერია...

დ. ქიქოძე

პოეტის სიტყვა

ნუ დამიშლით,
ძლიერ მიყვარს
საკუთარი თავი,
დედა, მამა, ცოლი, შვილი,
და, ძმა, ნათესავი.
მსურს მოვქარგო
ვარდ-ყვავილით
საყვარლის საფლავი.

ნუ გაწყრებით
რომ გამოვთქვა
ცხოქრებაზე აზრი:
რომ ვარკვიო, გამოვიცნო
დრო სასტიკი, მკაცრი.
და შარბათი ტკბილად შევსვა
ჭინჭილით, ხან კასრით.

არ შეგშურდეთ
რომ ვიფიქრო
ნათელ სიცოცხლეზე,
რომ მეც გავთბე მშობლიურ ცის
ნაზ მცხუნვარე მზეზე;
თავისუფლად ძუძუს ვწოვდე
მსუყე და ტკბილ მკერდზე.

ნუ, ნუ გიკვირთ,
მე რომ ვეძებ
ბრძნულად ნათქვამ აზრებს,
რომ ვაშენებ ოცნებებით
კოშკებსა და ტაძრებს.
დაჩაგრულ ხალხს რომ ვუნელებ
გულში დაძრის ხანძრებს.

აბა, ვისი რა საქმეა
ტკბილ ლექსებს
რომ ვთხზავდე!
ჩემს საკუთარ
ლამაზ სატრფოს
ვკაზმავდე და ვრთავდე!
რომ მის ნათელ მომავლისთვის
ოქროს გვირგვინს ვწნავდე!

აბა, ვის რას დავუშავებ
ტკბილად რომ დავბერდე!
ნება მქონდეს მშობელ დედას

თვალში ლაღად ვმზერდე!
რომ მის მარად სიყვარულზე
დღე და ღამე ვმღერდე!

ნუ დამიშლით:
ნება მქონდეს
ტკბილი ლექსი ვწერო,
ვიოცნებო მომავალზე,
მთები გადავსერო,
და ეს გული დაჩაგრული
სულ არ გავაჩერო.

მინდა ვნახო, ქვეყანაზე
იდგეს კარგი დარი,
ყვავილობდეს ცა და მიწა,
ყველგან მთა და ზარი!
დუღუნებდეს: ამაზონი,
ვოლგა, ნილი, მტკვარი.

რომ ვახარო დაჩაგრული
საკუთარი თავი,
დედა, მამა, ცოლი, შვილი,
და, ძმა, ნათესავი;
და არასდროს არ ვიხილო
დრო და ჟამი
შავი.

17/2/61. ქ. ლიონი

სიზმარი არაბვის პირზე.

კავკასიის მთებზე იდგა სუმბული,
ველებს, ხეობებს ებურა ნისლი,
ვიდექ მარტოკა — ერთი სულდგმული,
ძარღვში მიცემდა სიამით სისხლი.

ცივი ნიავი სწეწდა ლაქაშებს,
ზეფირი კრთოდა ლაქვარდ ფერებით;
მივხვდი, ეთიათ ღამე აღქაჯებს,
გაქცეულიყვნენ ცოცხლე ქენებით.

არავი სჩქედდა ძველი ხმაურით,
მის სწრაფ ტალღებში ვიბანე პირი,
მიმხერდა: ცურად, გამწყრალი შურით,
ოდესღაც ლაღი მისი ნაპირი.

ვერ გავუბედე სიტყვა რომ მეთქვა,
მის ტრფობის რამე გამომსახველი,
გულმა დამიწყო ძალუმად ფეთქვა
და ამეშალა ყველა ნაღველი.

უცბად განათდა, ცა გამობრწყინდა,
სხივთა ჩანჩქერი გარს მომეფრქვია,
არაგვიც გახდა ანკასა, წმინდა,
ოცნების ქსელში გადამახვია.

თვალეებს ებლანდა ფერების რემა,
გაცოცხლდა ირგვლივ არსი ყოველი,
სალამი მომცა ბალახ-ბუჩქ-ხემა,
ყველანი მზერდნენ, სოფორც მოხოველი.

აღვივდა ქვეყნის დიდების ცვილი,
საღლაც დასტვინა მუღბუღმა, სირმა,
გულს ჩამეწვეთა ხმის ტალღა ტკბილი,
გავიხალისე მყის უცხო მწირმა.

ვცნოსე, ვისუნთქე უხვად სურნელი
მშობელი მიწის და მის ლალადის,
ვიგრძენ სიცოცხლის სითბო მკურნელი
და სიტკბოება ცის განთიადის.
ამაცხცახა სიამის ელდამ
და გავიხსენი გულის საკინძე;
გავხედე: ქვევით სვეტიცხოველთან
იღვინენ: შორენა და არსაკიძე.

არ სჩანდა მთებზე სუმბული, მწუხრი,
მღვრიე ნისლებიც სულთქმამ ჩააქრო,
გზად შემეფეთნენ: ვაყას შვლის ნუჭრი
და შემართული ილიას ზაქრო;

მხარში მომიდგნენ, გზა განვაგრძელეთ,
გამანდვეს მყისვე ბედზე ჩივილი,
ავტირდით, თვალნი ცრემლით ვასველეთ,
ერთი გავგანჩნდა გულის ტკივილი.

მედევედით არაგვს ნაბიჯ-ნაბიჯით,
დავზვერეთ ყველა კუთხე, კუნჭული;
გვიკვირდა მშობელ ბუნების ნიჭი,
ოქროს სხივებით გადახუნძული!

შემოგვიერთდა ციდან ფერია,
მიწის წმინდანი — თვით ანგელოზი.
ვთქვით: რა ლამაზი, მშვენიერია
ხმელეთი მშობელ საქართველოსი!

დ. ქიქერიძე

17/5/63 წ.

ქ. ბელფორტი

გიორგი უიფიანი

დამდიდარი

ცელქი ქარით გამიქარვე
ნადრევი გულის დარდი, —
დაუკარი, აამღერე
სიხარულის დამდიდარი!
თუ საშველი არსად არი
და არ მოსჩანს, არსად დარი, —
არვინ მითხრას საყვედური,
არვინ მითხრას სამძიმარი!
ბუნების კარს, დილის ცისკარს

შეეცოცხლა გული მკვდაში.
რა კარგია! რა კარგია!
არსად წვიმა! ყველგან დარი!
მე ოცნებით ვარ მდიდარი,
განთიადის შესადაში!
ლურჯ ტალღებში ფერთა როკვა,
ვარსკვლავების დამდიდარი!

გიორგი უიფიანი

1967 წ. პარიზი.

ილია ჭავჭავაძე

ფილოსოფიური და სოციალ - პოლიტიკური შეხედულებანი. პ. რატინი. მეორე გამოცემა. თბილისი, 1954 წ.

ჩვენი უდიდესი ეროვნული მოღვაწე ილია ჭავჭავაძე ერთ დროს დაგმობილი, დამარხული ქართველი მარქსისტების მიერ (გელეიშვილი-მახარაძე), დღეს კვლავ დგება მკვდრეთით. ილიამ ჭავჭავაძე საფლავიდან მის დამარხვებზე, რანაირიც არ იყოს ილიასადმი მიდგომა დღევანდელი გაბატონებული წრეებისა, ერთი რამ ცხადია: ილიას აიდიადე, მისი განუსაზღვრელი როლი საქართველოს განმანათლებელ ბრძოლებში, ჩვენი ერის აღორძინებისა და განვითარების საქმეში — ერთხმად აღიარებულია. ამიტომ გასაგებია მისი შესწავლისადმი ის დიდი ინტერესი, რასაც ადგილი აქვს დღეს საქართველოში.

საბჭოთა რეჟიმის წლის თავზე, თუ ჯერ კიდევ არ განდგურებულა ის თაობა, რომელიც აღზრდილი იყო თავისუფალი აზროვნებაზე, ერთი რამ მაინც მიღწეულია, რომ მას ხმა ჩაკმენდინეს, ხოლო უარეს შემთხვევაში აიყოლიეს და ამღერებენ თავიანთი შეხედულებათა და აზრთა ჰანგზე.

აქეთ პირობებში, როდესაც აკრძალულია თავისუფალი აზროვნება; აკრძალულია ადამიანმა სთქვას და სწეროს ისე როგორც ის ფიქრობს, იმ მეთოდითა და კონცეპციით რაც ავტორის ინდივიდუალური მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს; როდესაც სავალდებულო კანონად არის გამოცხადებული კომუნისტური პარტიის მეთოდი და აზროვნება, რის მიხედვითაც უნდა ფასდებოდეს ყოველივე — ლოდიკურია, რომ ჩვენ შორს ვართ მოვლენათა მიუდგომელი დაფასებისაგან. იქ, სადაც „მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში ყოველგვარი მეცნიერება ატარებს პარტიულ კლასიურ ხასიათს“ (გვ. 59), საზოგადოდ, მეცნიერებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია!..

რასაკვირველია, რომელიმე ეკონომისტის თეორიები შეიძლება იყვნენ გამომხატველნი რომელიმე კლასის ინტერესებისა, მაგრამ თუ ის არის ავტორის ნამდვილი რწმენის შედეგი, მითვე ის რჩება მეცნიერებად. ხოლო თუ რომელიმე მეცნიერი ქმნის ასეთ თეორიას რომელიმე კლასის სასარგებლო ტენდენციით, მაშინ ის ვერ იქნება მეცნიერება. აღარ ვიტყვით ისეთ მეცნიერებაზე, რომელიც მიზნად ისახავს არა ცოცხალი ბუნების ახსნას და სადაც რაიმე „კლასიურობის“ ძებნა იქნებოდა სრული უმეცრება. საინტერესოა გვითხრან: რომელი კლასის ინტერესებს ემსახურება დღევანდელი ატომური მეცნი-

ერება!! მაშასადამე, მეცნიერება ან არის ობიექტიური, ხოლო თუ ის არ არის ობიექტური, მაშინ სულ არ არის მეცნიერება.

ყოველ შემთხვევაში, ამ ყალბ რწმენას ადგია საბჭოთა აზროვნება. და ამ გვარ სინამდვილეში, მით უმეტეს შეუძლებელია მიუდგომელი დაფასება ისეთი ადამიანისა, რომელიც არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც ებრძოდა საზოგადოებრივ ფენათა, თუ კლასთა დაპირისპირების იდეას. შეგნებულად ქადაგობდა და ემსახურებოდა ერის მთლიან საერთო ინტერესებს. ილიაში ეს იდეა არ იყო შექმნილი მარტო საქართველოს აწმყო მდგომარეობის ნიადაგზე, როგორც ამას ზერელები ხსნიან საბჭოთა მეცნიერები, დამყარებით იმ თითო ოროლა ფრაზეზე, რომელიც შეიძლებოდა ილიას წამოსცდენოდა, როგორც დიდი ჰუმანისტს და ჩაგრულთა ჭირისუფალს. ეს ყოველივე ხელს არ გვიშლის ილიას მთლიანი მსოფლმხედველობა წარმოვიდგინოთ, როგორც გარკვეული ეროვნული დოქტრინა, დაპირისპირებული კლასთა ბრძოლის თეორიასთან.

როგორ გნებავთ ასეთი ადამიანი დააფასოს ისეთმა, ვისთვისაც ილიას აზროვნება და მაშასადამე მაშზე დამყარებული მოქმედებაც არის ფიქცია. რადგან ამ ადამიანების თვალსაზრისით, კლასობრივ საზოგადოებაში არსებობს მხოლოდ და მხოლოდ კლასიური ინტერესები. საერთო ეროვნული არ არსებობს, ის მხოლოდ მოჩვენებითია. გამოდის, რომ ილიას მთელი აზროვნება აშენებული ყოფილა ფიქციაზე და თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობა მან ამ მომზიბლავ, მაგრამ არ არსებულ ზღაპარს შეაღია. მაგრამ ადამიანის გონება ისეა მოწყობილი, რომ რამდენიც არ უნდა ატყუოთ ან ატყვევოთ ის, სადაც მაინც გამოაკრთობს თავისი ბუნებრივი მოქმედების სახეს.

ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი მარქსისტი მწერლების შემოქმედებაში, რომელთათვისაც კონცეპციაც და მეთოდიც ზევიდან, წინასწარ არის ბოძებული, ხანდისხან შელადგება ხალასი ჭეშმარიტებაც. და რომ მათ დაფარონ ეს ჭეშმარიტება, და მკითხველს აჩვენონ. რომ მიჩენილ გზას უხვევიენ — მიმართავენ მთელ რიგ ზერებს ამ „გაუგებრობიდან“ თავის დასაღწევად. აქ იხადება ის გაურკვეველი მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ დავარქმევდით მეცნიერულ ჯამბაზობას, რის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ბ. პ. რატინის აღნიშნული თხუხულოება, ჯამბაზის თოკზე თამაში კი მომზიბლავი იყოს იუმორისტული თხუხულოებაში, მაგრამ ის ვერ გახდება მეთოდი მეცნიერული ძიებისა.

წერილის თანამიმდევრობას გადაუხვევ და აქ ერთ მა-

გალთის დავასახელებ, ბ. რატიანიწ წიგნიდან, რომელიც დაადასტურებს ჩვენს აზრს. მთელი წიგნი ავტორისა აძტკიცებს, და ავტორი ხშირად ხაზს უსვამს, რომ ილიას ერთ და იმავე დროს უხდებოდა დაცვა ყველა კლასებისა, ის იდეა კლასების გარეშე, იცავდა საერთო ეროვნულ ინტერესებს, ეს ერთმა კრიტიკოსმა (საბჭოთა) უფრო ახდილად შენიშნა, მაგრამ ავტორი უხერხულობაში ვარდება, ეს რომ მიიღოს საბოლოოდ, მაშინ ხომ უღალატა მარქსიზმს? რადგან ყოველივე იდეოლოგია კლასიურია, მაშასადამე, გინდ არ გინდა ამ კონცეპციით ილიაც ერთი რომელიმე კლასის იდეოლოგიათ უნდა გამოაცხადოთ, თუ გინდათ დარჩეთ ერთგული მარქსიზმისა, ავტორი თამაშობს თოკზე. ცდილობს მაინც დაინახოს ილიაში მისი უმთავრესი მიდრეკილება რომელიმე წოდების ან კლასისადმი. მან ის მონახა და ფიქრობს კიდევ, რომ თავი დაიხსნა: ეს წოდება არის გლეხობა. მაგრამ ილიას ხომ არ უღალატა კერძო საკუთრების პრინციპისათვის და ის სცდილობდა გლეხობისა და თავად-აზნაურობის მორიგებას. გლეხობაც ხომ ილიას დროს ერთგვარ დიფერენციაციას განიცდიდა. ამიტომ კიდევ ერთხელ ავტორს კევი ნაცარში უყარდება; თოკიდან ბაწარზე გადახტება და შეეცდება ქართული ენის დამახინჯებით თუ ბუნდოვანი ფრაზებით მკითხველი გაურკვევლობის ბურუსში გახვიოს. ბ. რატიანი ერთ ადგილს ამბობს, რომ ილიას „გამოცხადება მარტო მშრომელი ხალხის (გლეხობის) იდეოლოგიად მხოლოდ განსაზღვრული აზრით შეიძლება.“ (გვ. 62) შემდეგ: 2. — „ობიექტურად ილია ჭავჭავაძე გლეხობის იდეოლოგიად უნდა ჩაითვალოს“ (გვ. 64)

„ილია ჭავჭავაძე ძირითადად გლეხობის იდეოლოგი იყო.“ (გვ.334)

400 გვერდიანი წიგნიდან არა სჩანს რომ ავტორმა ქართული ენა არ იცოდეს. ხოლო მოყვანილ ფრაზებში, აბა რა ქართულია! და ეს გაურკვევლობა, საქართველოში, საბჭოთა კრიტიკამაც შენიშნა.

აქ ავტორმა მიმართა გაურკვეველ და ბუნდოვან ფორმებს გამოთქმისა, რათა გაურკვეველად დაეტოვა მისთვის გაუგებარი აზრი, ან გასაგები, მაგრამ განამარტავად უხერხული.

მთელი წიგნი აშენებულია ამ ჯანბაზობის მეთოდით. ყველა საკითხი დაფასებულია ისე, რომ მკითხველს შეუძლია იფიქროს ერთი და მეორეც, რადგან ავტორი ხშირად პირდაპირ გვეუბნება: ილია თეთრი იყო, მაგრამ მაინც მთლად თეთრად გამოცხადება არ შეიძლება. ილია მატერიალისტი იყო, მაგრამ ის მთელ რიგ საკითხებს იდეალისტურად აფასებდა. ილია საუკეთესოდ ხმარობდა დიალექტურ მეთოდს, მაგრამ ის მაინც ვერ ამალდა დიალექტურ მატერიალიზმამდე. ილია ათეისტი იყო, მაგრამ ის ძალიან აფასებდა ქრისტიანულ რელიგიას და კიდევ სცდილობდა რელიგიის და მეცნიერების მორიგებას. ილ-

ია მთელი თავი სიცოცხლე იცავდა მშრომელი ხალხის ინტერესებს, მაგრამ მან მაინც ვერ გაიგო და ვერ ჩასწვდა პროლეტარიატის ინტერესებს, და სხვ.

ავტორის მიერვე მოყვანილი საბუთებიდან სჩანს, რომ ილიას შესანიშნავად გაუგია დიდი მარქსისტების: ბერნშტეინის და პლენანოვის გადახვევა მარქსისაგან, ხოლო თვითონ თურმე ვერ გაუგია მარქსიზმი...

ილიამ არ მიიღო კლასთა ბრძოლის იდეა. ის ებრაძადა მას. ბოლოს კი, თუმცა მან იგრძნო თავისი იდეოლოგიის მარცხი, მაინც ვერ ამალდა რევოლუციისა და პროლეტარიატის ინტერესების გაგების სიმაღლეზე.

„მიუხედავად იმისა, რომ მან ვერ შესძლო მარქსისტულ თვალსაზრისზე დამდგარიყო — მაინც გულის სიღრმეში დარწმუნებული იყო, რომ მომავლის იდეალური საზოგადოება მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტური საზოგადოება შეიძლება ყოფილიყო.“ გვ. (323)

ავტორი სცდილობს ეს წინააღმდეგობები მოხერხებულად დასაგოს და მკითხველი დააბნოს, მაგრამ მათი შემჩნევა მაინც ადვილია. აბა ეს რაღა აღმოჩენა: ადამიანს არ დაუფეროთ, რასაც ამბობს, სწერს, ცხოვრებაში ატარებს, და იმის გულის სიღრმეში ხელია ფათურით ეძიოთ ახალი, ის რაც გსურთ რომ ყოფილიყო!

ილიას თურმე სწამდა სოციალიზმი და ამავე დროს მის წინააღმდეგ მოქმედებდა. და ილიას ეს გულის სიმღერა რაღა მარტო რატიანმა გაიგო! ილიას პიროვნებისადმი მიწერა ასეთი სილაჩრისა, სცილდება ყოველგვარ საზღვრებს სერიოზული მსჯელობისა...

შეუძლებელია ამ ვრცელი წიგნის დეტალური კრიტიკა ერთი წერილით. ამ ზოგადი შენიშვნების შემდეგ, რომელიც შეეხება ავტორის საერთო მიმართულებას, ჩვენ შევჩერდებით ზოგიერთ კონკრეტ შემთხვევებზე ავტორის დაფასებისა.

1. წიგნის დასაწყისშივე ავტორი იმეორებს ცნობილ მარქსისტულ შაბლონს, ერის წარმოშობის შესახებ, რომ თითქოს ერები იბადებიან მხოლოდ კაპიტალიზმის ნიდავზე და ეს დაიწყო ახალ ეპოქაში. რომ თითქოს ქართველი ერი, როგორც ერი, მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში შეიქმნა. (ამაზე ვრცლად იხილეთ ჩვენი თხუთხუთე: „ქართული მოდემის ეროვნული ფორმაცია“. პარიზი 1956) აქ ვრცლად შეჩერება აღარ ღირს, რადგან თვით სტალინის განმარტება ერის რაობაზე, სრულად სამართლიანი ძირში, ეწინააღმდეგება მისავე თეორიას ერის წარმოშობაზე.

თანამედროვე საისტორიო მეცნიერებამ დაამტკიცა ეროვნული ფორმაციების ფაქტი ანტიურ ხანაშიც. ხოლო ქართველი ერი, რომელმაც თავის მაღალ სოციალურ დონეს მიაღწია უკვე ანტიურ ხანაში, უაზრობა იქნებოდა მისი ეროვნული ფორმაციით მივაწეროთ მეცხრამეტე საუკუნეს. ძველ პერიოდებში რომ თავი დავანებოთ, მე-11-ე

საუკუნის დამდეგს მოხდა ქართული მოდემის პოლიტიკური ორგანიზაცია. კულტურული და სულიერი, ენობრივი თუ ეთნიკური მთლიანობა ხომ მანამდე არსებობდა და ამ დროს ქართველი ერის ეროვნული მეობა პოლიტიკურადაც მკვეთრად გამოისახა. ეს მდგომარეობა გაგრძელდა სრული ორასი წელიწადი ფაქტიურად, ხოლო ის იურიდიულად არც ექვსასი წლის შემდეგ დაკანონებულა, როდესაც საქართველოს დაშლა ფაქტად იქცა. ხოლო თუ გარეშე შემოსევებმა დაარღვიეს საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა, ერის სოციალური ბუნება დარჩა შეურყეველი მთელ მის სულიერ და ზნეობრივ შეგნებაში

ბ. რატინს ვთხოვთ, აიღოს ყველა ის ფაქტორები ერთად, როგორც თვით სტალინმა განმარტა ერი, მიუყენოს მეთერთმეტე საუკუნის საქართველოს და დაინახავს, რომ ის მას უღდება ასე პროცენტით და მაშასადამე ამ საუკუნეში ქართველი ხალხი აყალიბებს ერის კლასიკურ ტიპს. ამდენად, სტალინმაც, როგორც მარქსისტმა, ვერ შესძლო ჭეშმარიტების წინაშე თვალების ახვევა, მიიღო კლასიკური განმარტება ერზე და მითვე უარპყიო მარქსისტული გაგება ერის წარმოშეგებაზე.

2. ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური კონცეპციის გასახსნელად ავტორი მიმართავს მთელ რიგ ამონაწერებს, რათა დაამტკიცოს ილია მატერიალისტობა, თუმცა დასაწყისში ის ილიალიზმის გავლენის ქვეშ იყოფა. (გვ. 66) მას უნდა დაამტკიცოს, რომ ილიასათვის პირველი იყო ყოფიერება - მერე ცნობიერება. საფუძველი იყო მოქმედება, აზროვნება მიაწვდევდა. მოვიყვანოთ იგივე ადგილები რასაც ავტორი იყენებს თავისი დებულების დასამტკიცებლად. ილია სწერს:

„ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა, ერთს რომ ხორცისთვის მოაქვს საზრდო, მეორეს სულისათვის, თუ ან ერთი დაშრა ან მეორე, -- გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულო ხორცი და უხორცი სული“. ამ სიტყვებიდან სრულებით არ სჩანს, რომ ილია ხორციელს ე. ი. მატერიალურად აღიარებდეს ბაზად ცხოვრებისა ხოლო სულიერს მის ზედნაშენად. პირიქით, აქ ძალიან გარკვეულად არის წარმოდგენილი ეს ორი ასპექტი ცხოვრებისა, როგორც ერთი მთლიანი და განუყოფელი და ყოველგვარი გაყოფა მიჩნეული ხელოვნურად. ილია რეალობას არა რომელიმე მისი ასპექტის ცალკე წარმოდგენაში, არამედ მის მთლიანობაში ხედავს. შესანიშნავი ფორმით არის ეს ადგილი გადმოცემული. ილიას სწამს, რომ ცხოვრება ერთი მთლიანი მოვლენაა. იმას ხასაც ჩვენ ვეძახით ცალკე სულიერ და ხორციელ მოვლენებს, ეს მხოლოდ მეცნიერების მიერ მოკონილი რამ არის და სინამდვილე ასეთ დანაწილებას ერთი მთელისა არ იცნობს. ილია წარმოდგენა არც დუალიზტურად უნდა გავიგოთ, რადგან ის, რაც შეიძლება აყოს საფუძველი

ასეთი დუალიზმისა, ილიასათვის არ არსებობს. დუალიზტიკური გაგება შეიძლება იმდენად, რამდენადაც თვით ილია არ გაურბის ორი ასპექტის ცალკე დასახელებას. ორი ასპექტის წარმოდგენას ილიასათვის მხოლოდ შედარების მნიშვნელობა აქვს. და ამ მხრივ ილიას მიეკრება რომელიმე ცნობილი ფილოსოფიური სკოლისადმი უპართეზულოა. ილია ამ მხრივ უფრო უახლოვდება დიდ თანამედროვე მოაზროვნეთ, ვიდრე თავისი დროისას. მეცხრამეტე საუკუნეში ფილოსოფიას გაცილებით ნაკლები მეცნიერული მასალა მოეპოვებოდა. თუ მაშინ ადამიანს სულიერ მოვლენათა შესწავლა უბრალო დაკვირვებას ემყარებოდა, დღეს ის ექსპერიმენტის საგნად არის ქცეული და მაშასადამე გაცილებით მეტი საშუალებები გვაქვს ჭეშმარიტ ახსნას მიუახლოვდეთ. თუ ძველი მატერიალისტები მხოლოდ ზეპირად ხსნიდნენ სულიერ მოვლენათა კავშირის საკითხებს ფიზიოლოგიურ მოვლენებთან და ხშირად მათ დამოკიდებულებას ზოგიერთ ორგანოებთან, დღეს შედარებით უკეთ ვიცით როლი, მაგალითად ტვინისა და სხვა. ამ მხრივ ილია ამოიჩნდა უდიდესი დამკვირვებელი და მითვე ის უფრო დაუახლოვდა თანამედროვე აზროვნებას, ხოლო შორს ჩამორჩა მარქსის ცალმხრივი გაგება.

იქნებ ილიას ქვემოთ სიტყვები მაინც ამბობენ რაიმეს ბ. რატინის სასარგებლოდ!? ილია განაგრძობს: „ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზე ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდან ამოხეტილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოსწევენ, ისევე მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები აღმოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზე ამოსულნი შტოები -- მეცნიერება და ხელოვნება -- ისხამენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოსწევენ სათესლედ, ისევე ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსანაკვავად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზე და ცხოვრებას თავის რიგზედ ცნობიერებაზე“.

ილიას ამ დებულებებიდან ნათლად სჩანს, რომ ის ცხოვრების ამ ორი ასპექტის შორის (ცნობიერება და პრაქტიკა) ხედავს ერთგვარ კორელაციას, რომ ილია საერთოდ უარს ჰყოფს პირველადობის იდეას. ეს მისთვის რაღაც აბსტრაქციაა. ხოლო თუ მაინც და მაინც ვინმეს სურს დაინახოს ილიაში პირველადობის აღიარება, ის შეეხება სწორედ ცნობიერებას. რადგან და ბოლოს თუ ადამიანის ევოლუციის მის რეტროსპექტივაში წარმოვიდგენთ, ეს მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ გარიყრაყი ადამიანის ადამიანად ქცევისა ცნობიერების განვითარებით იწყება და ის გახდება ფაქტორად შემდეგ იარსების კეთებისა...

რასაკვირველია უფრო სამართლიანი იქნებოდა ილიას აზროვნება გაგვეგო პირველნაირად. რადგან აქ არის ის მიჯნა, რომლიც იქით ადამიანის აზროვნება ვერ აღწევს,

შედარებისათვის მოვიყვანოთ ის ბანალური მაგალითი, სადაც ადამიანის აზრიცა და მეცნიერებაც აწყდება სიძნელეს. მაგ. ქათამი წინ გაჩნდა თუ კვერცხი. ქათმის შეხედვით აუხსნელია ეს მოვლენა. და სწორედ ანალოგიურად უნდა წარმოვიდგინოთ აზრის და შემოქმედების დამოკიდებულება. ხოლო თუ ბიოლოგიური მეცნიერების საშუალებათ გამოვიყენებთ, ოდესღაც ძალიან შორეულ წარსულში, განვითარების პირველ ფუძეთ უნდა წარმოვიდგინოთ ის უჯრედი, რომელსაც ქათამიც შეიძლება დაარქვათ და კვერცხიც. მსგავსად უჯრედისა, ადამიანის ცნობიერებაც ბიოლოგიურ არსიდან გამოვიდა და ცხადია გარეშე სამყაროს ნიადაგზე ის განვითარდა. ე. ი. მისი გენეზისი იქამდე შორეულ წარსულშია, რომ ის მეცნიერული კონტროლის გარეშე რჩება. პოზიტიური აზროვნება დღეს უნდა შეჩერდეს კორელაციის პრინციპზე.

რომ ილია შორს იყო მატერიალიზმის ასეთი გაგებისაგან, რასაც მას ბ. რატიანი მიაწერს და კიდევ მეტი, თითქოს ილიას ეკონომიკა მიაჩნდეს ბაზად საზოგადოებრივი ცხოვრებისა, (გვ.71 - 72) ამას უარპყოფს თვით ბ. რატიანის მიერ მოყვანილი ცნობები. ილიას არქივში აღმოუჩინათ შენიშვნები პლენაროვზე. ილიას მოჰყავს ადგილი პლენაროვიდან: „მხოლოდ ხალხურ საუბარში შეიძლება ლაპარაკი ეკონომიკაზე, — როგორც პირველ მიზეზზე საზოგადოებრივი მოვლენებისა. ის არა მარტო არ არის პირველი მიზეზი, თვით არის შედეგი, „ფუნქცია საწარმოვო ძალებისა“. ილიას არ აკმაყოფილებს პლენაროვის ეს დებულება და შენიშნავს: „მაგრამ საწარმოო ძალები მიწიდან ამოდინან, ზეციდან ცვივიან თუ თვით შთაისახებიან!“ შემდეგ ილია განავრძობს: „ბელტოვის (პლენაროვის) აზრით საზოგადოების ეკონომიკა და ფსიქოლოგია წარმოადგენენ ორ მხარეს ერთი და იგივე მოვლენისა აქ ბელტოვი სცილდება მარქსს, რომელიც ფიქრობს, რომ „ეკონომიკა არის რეალური საფუძველი, რომელზედაც აღმოცენდებიან იდეოლოგიური ზედნაშენები“ და შერე ილია მარქსაც შენიშნავს: „ეკონომიკა რალაზეა დამოკიდებული!“

ამ შენიშვნის შემდეგ, ჩვენ გვგონია, ყველასათვის გასაგებია ილიას აზრი მარქსის აღნიშნული ძირითადი დებულების მიმართ. ილიამ რამდენიმე სიტყვით მარქსი ჩასჭრა თავის დებულებაში. რადგან ილიას კითხვაზე მარქსი ამოვარდებოდა მარქსიზმის კალაპოტიდან და ალბათ ამიტომ ბ. რატიანმაც ილიას კითხვის უპასუხოდ დატოვება არჩია, ხოლო ერთი სიმართლე მაინც წამოსცდა: „მისი (ილიას) კონცეპცია არის თავისებური, მისთვის დამახასიათებელია“. (გვ. 53) დ ც

3. ორიოდ სიტყვა ილიას დიალექტიკურ მეთოდზე. ავტორის აზრით ილია იყენებს დიალექტიკურ მეთოდს აზროვნებისა: „მაგრამ, მიუხედავად ამისა ი. ჭავჭავაძემ ვერ შესძლო ჩაწვლილობა მოძრაობისა და განვითარების

მთელ დიალექტიკას. მისთვის გაუგებარი დარჩა ის დიალექტიკური დებულება, რომ განვითარების პროცესის შინაარს შეადგენს არა მოვლენათა ჰარმონიული გზოლა, არამედ დაპირისპირებული ბრძოლა, არა წინააღმდეგობათა შერიგება, არამედ მათი შეჯახება“. (გვ. 84) ცნობილია რომ მარქსიზმი სავსეა წინააღმდეგობებით.

მარქსი უფრო ჭკვიანი იყო ვიდრე მისი მიმდევრები. როდესაც თავის თეზისის განვითარების პროცესში ასეთ წინააღმდეგობებს შეამჩნევდა, ის ჩუმდებოდა. სდუმდა, რადგან ახალ ცდას შეეძლო მისი ძირითადი დებულების დარღვევა გამოეწვია. და მარქსს, რევოლუციონერს, ეს ბრძოლის თეორია სჭირდებოდა. აი ასეთმა დუმილმა და ანახა მკითხველს მარქსიზმის უმწეობა. მარქსი იყო დოქტრინიორი, ხოლო დოქტრინა მუდამ რჩებოდა დაცილებული სინამდვილეს. ილია კი არ იყო დოქტრინიორი. მართალია, ილია ყოველთვის ხელმძღვანელობდა გარკვეული დოქტრინით, მაგრამ აზროვნების თუ პრაქტიკის პროცესში -- მისი მთავარი დოქტრინა იყო თვით რეალობა. მოვლენის ახსნის დროს, კონცეპციასთან იშველებდა საკუთარ ხედვას ყოველი კონკრეტული შემთხვევის დროს. აქაც ილია აღმოჩნდა ღრმა მხედველი.

ილია მოვლენათა განვითარების პროცესში ზხვსა და შორიგებას არ ხედავდა, როგორც რატიანი მიაწერს მას. ილია ხედავდა ბრძოლას და შეურიგებლობას, ხოლო მას ამ ბრძოლის ხასიათი და მიზანი იყო არ ესმოდა, როგორც ჩვენ ახალ დიალექტიკოსებს. მთელ სამყაროში და მაშასადამე, ადამიანთა აზროვნებაში უნდა დაეინახოთ ერთი ძირითადი პრინციპი არსებობისა, ან იმისი რასაც ჩვენ არსებობას ვეძახით. კომუნისტებს არ უყვართ სიტყვა „მიზანი“. მნიშვნელობა სიტყვას კი არ აქვს, არამედ იმ აზრს რასაც მასში ვხედავთ. სამყაროში ყოველი მოვლენა რაც განსაკუთრებული დანიშნულებით არის გამოწვეული და აგრეთვე მის მიერ გამოწვეული მოვლენებიც რაც დანიშნულებას ემსახურებიან. მნიშვნელობა არა აქვს აქ არც დროს და არც ფორმას საბოლოო დანიშნულებისა. აქ სიტყვა „დანიშნულება“ პირობითია, რადგან საბოლოო, აგრეთვე პირობაა შორიგი საბოლოოსი და ა.შ. აი, მთელი ეს პროცესი მოვლენათა განვითარებისა თუ გარდაქმნა - გზოლისა სხვა ახალ და უცნობ მოვლენებში, შეიცავენ გარკვეულ ფორმას, რომელსაც ბრძოლას ვუწოდებთ, შეიძლება სხვა სახელი დაგვეჩქმია. მაგრამ მივიღოთ ეს სიტყვა. ეს ბრძოლა არ არის თვით მიზანი. მიზანი მისი და თვით ფაქტი ბრძოლისა გულისხმობს რაც ახალს, მომავალს, შედეგს. და აი, ამ შედეგს ვეძახით წესიერებას, ჰარმონიას, რომელსაც ამა თუ იმ მომენტში მოვლენათა განვითარებისა თუ ბრძოლისა უნდა იჩინოს თავი, თუნდაც წუთიერად, რომ შემდეგ კვლავ დაიწყოს ახალი ეტაპი გარდაქმნისა.

ილიაც, მოვლენათა შორის ბრძოლის ფაქტს არ უარ-

ყოფდა. ეს მან ნათლად გამოსახა ყველა თავის წერილებში და განსაკუთრებით მხატვრულ ნაწერებში. ხოლო ის ბრძოლას სთვლიდა ნაწილად და პირობად წესიერებისა. და უფრო სწორი იქნება ვსთქვათ ილიაზე არა ის, რომ ილია ვერ ამალდა მარქსისტულ გაგებაზე, მოვლენათა შინაგანი წინააღმდეგობებისა, არამედ მან მიიღო ეს გაგება. მაგრამ მას აქვს თავისი საკუთარი გაგება. ილიასათვის ბრძოლა არ არის თვით მიზანი. ის მიიღებს დავი-რგვინდეს ზავით, რადგან ზედვს რომ ეს არის სამყაროს საერთო ტენდენცია. რანაირი ხანმოკლეც არ უნდა იყოს ეს ზავი, ის მაინც არის ერთგვარი მიზანი მოვლენათა განვითარების. უკვე შექმნილ ჰარმონიაში შეიძლება ძალიან მალე კვლავ ახალი წინააღმდეგობები ჩაისახონ, მაგრამ ჰარმონიისადმი ტენდენციის ფაქტები რჩება რეალურ ფენომენად.

აქ მივადექით ერთ დიდ წინააღმდეგობას მარქსისტების სოციალოგიასა და ფილოსოფიის შორის. თუ ბ. რატანს ჰგონია, ყოველ არსებულ საზოგადოებრივ წყობაში მიმდინარეობს განუწყვეტელი ბრძოლა და ეს არის ძირითადი ფაქტი და მიზანიც საზოგადოებრივი განვითარებისა, მაშინ ხომ შეირყა მთელი კომუნისმის დოქტრინა?! რადგან, თუ ამ ბრძოლას საზოგადოების წიაღში, მივიღებთ კლასებათ დაყოფილი საზოგადოებისათვის, მაშინ ის აღარ ყოფილა უნივერსალური პრინციპი. ხოლო თუ ის არის უნივერსალური, მაშინ რაღა დამართებოდა კომუნისმის დოგმას: ვთქვათ რომ კომუნისმი ფანტაზია კი არა რეალობაა. რომ მან ნამდვილად ერთ დღეს უნდა შესცვალოს კაპიტალისტური ფორმა საზოგადოებისა. ბრძოლის თეორიის უნივერსალური ხასიათის თანახმად, კომუნისმის დროსაც უნდა იყოს ეს ბრძოლა. და მერე რა ფორმით!? თუ ეს ასეა, ეს იქნებოდა უარყოფა ევოლუციის იმ პრინციპისა, რომელიც სწამს მარქსს და რომელზედაც არის აშენებული კომუნისმის გარდაუვალობა. ხოლო თუ კომუნისმის ჩასახების დღესვე ეს ბრძოლა აგრეთვე აუცილებელია, მაშინ საერთო ევოლუციის მარქსისტური ლოგიკით კომუნისმიც უნდა დაინგრეს, რაც, რასაკვირველია კომუნისტებისათვის მიუღებელია და ამაზე ცხონებულ მარქსსაც არ უფიქრია...

4. გვინდა კიდევ რამოდენიმე სიტყვა ვსთქვათ ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებაზე საერთოდ მარქსიზმთან. საქართველოში, ილია აღფრთოვანებით მოელოდა ახალი თაობის გამოსვლას, რომელსაც ახალი სიტყვა და აზრი უნდა ეთქვა ერისათვის. ეს თაობაც გამოჩნდა. მაგრამ მან არ გაამართლა ილიას იმედი. ილია მთელი თავისი ძრისით ქართველი ერის ბედს დასტრიალებდა და ახალი თაობიდანაც ამას მოელოდა. ილია ყველა საქმეს დიდის ანგარიშით აკეთებდა. ცოდნა და მეცნიერება იყო მისი მთავარი იარაღი და ამ ხრივ ილიამ ახალ თაობაში ნახა ყველაფერი უარყოფითი. მიმართულება სრულიად მიუ-

ღებელი და ამ ნიადაგზედაც სრული მოუმზადებლობა და ქარაფშეტობა. ილიასათვის ახალისა და ძველის დაფაე-ბა არ განისაზღვრებოდა მხოლოდ სიახლე - სიძველით, არამედ ღირსებით. ილიასათვის ახალი უნდა ყოფილიყო რაღაც მეტის და კარგის შემცველი. მოხდა კი წინააღმდეგო.

ამ ახალი თაობის გამოსვლა მოხდა მარქსისტულ დროში. და ყველამ კარგათ იცის, თუ ილიამ როგორ გააკრიტიკა ამ მოძრაობის პირველი იდეოლოგი ნ. ჟორდანიას. ილია იმასაც უმტკიცებდა ნ. ჟორდანიას, რომ მას თვით მარქსიზმზედაც კი არ ჰქონდა სერიოზული წარმოდგენა. ილიას ამ წერილებს ყველა იცნობს და ნუ შეგვირდებით მასზე. ეს ფაქტი უკვე საკმარისი იყო მარქსიზმის მიმართ ილიას პოზიციის გამოსარკვევად. მაგრამ ჟორდანიას განყოფი ქართველი კომუნისტები მაინც სცდილობენ აღნიშნულ კრიტიკაში დაინახონ მხოლოდ ჟორდანიასებური „მარქსიზმის“ კრიტიკა და არა საერთოდ მარქსიზმისა, თითქოს იმ საბაბით, რომ ილია მარქს პატივით იხსენიებდა. ილია ჭავჭავაძის წერილები, მიმართული ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ, ლოლიკურად იმასაც ამტკიცებენ, რომ ილია საკმარისად კარგათ იცნობდა მარქსის დებულებებს. სხვანაირად ილიასთანა დიდ ბუნებოვანი ადამიანი როგორ გაბედავდა მის კრიტიკას. მაგრამ საინტერესო მასალას გვაწვდის თვით ბ. რატანი ილიას არქივიდან. სჩანს, ილიას, მარქსიზმის გასაცნობათ მიუმართავს თვით დედნისათვის და ისეთი დიდი და საყოველთაოდ ცნობილი მარქსისტებისათვის, როგორც იყვნენ: კ. კაუცკი, ედ. ბერნშტეინი, ე. პლენხანოვი და სხ. მაგრამ ილიას შენიშვნებიდან ჩანს, რომ ის ვერ დააჯერეს მარქსიზმში. ბ. რატანს კი ისე უნდა აჩვენოს მკითხველს, თითქოს ილიამ ვერ გაიგო მარქსიზმი. ე. ი. გამოდის, ილიას რომ რატანსავით კარგად გაეგო მარქსიზმი, ის უთუოდ მარქსისტი იქნებოდა! ერთი წუთითაც არ უფიქრია, რომ შეიძლება რაიმე კარგათ გაიგო და არ გაიზიარო ის. წარმოუდგენელიც არის, რომ ილიასთანა დიდბუნებოვან და ყოველმხრივ განსწავლულ ადამიანს ან მიეღო და ან უარყო ისეთი რამ რაც მას არ ესმოდა! აქ ბ. რატანი იშველიებს იმ გარემობას თითქოს შემოხსენებული მარქსისტები არ ყოფილან მარქსის გაგების სიმალლეზე ან მას გადაუხვიეს, და მათ დააბრალა რომ ილიას ვერ გაუგია მარქსი. ჯერ ერთი, საბჭოთა ხელისუფლება ახლაც განაგრძობს პლენხანოვის ნაწერების გამოცემას და არა მარტო არა ჰგმობს მას კომუნისტური აღზრდისათვის სახელმძღვანელოებათაც იყენებს.

მაგრამ ეს გულუბრყვილო ახსნა სწორედ უარყოფს ავტორის დებულებას. ილიასთანა ბრძენმა და მომზადებულმა ადამიანმა რაც ვერ გაიგო და შეითვისა, იგივე და იმავე წყაროებით და იმავე დროს, ე. ი. 90-ან წლებში,

თურმე გაიგო სულ ახალგაზრდა სტალინმა, მახარაძემ და ძმათა მათათა!

გავიმეოროთ ბ. რატიანის მოყვანილი ცნობები, რომელთაგან ნათლად ირკვევა ილიას დამოკიდებულება მარქსიზმთან. ილია — ბერშტეინზე: „ბერშტეინი თავს ესხმის რა მარქს-ენგელსის მოძღვრების მთავარ დებულებას, დასკვნაში სცილდება მათ მატერიალურ მსოფლმხედველობასაც.“

ილია — „საზოგადოების ეკონომიკა და ფსიქოლოგია, ბელტოვის (პლენანოვის) აზრით, წარმოადგენენ ორ მხარეს ერთი და იგივე მოვლენისა. ამაში ბელტოვი შორდება მარქსს, რომელიც ფიქრობს, რომ „ეკონომიკა არის რეალური ფუძე, რომელზედაც აღმოცენდებიან იდეალური ზედნაშენები.“

და მერე ილია უსვამს საკითხს: „ეკონომიკა რაღაზეა დამოკიდებული!“ პლენანოვი ფიქრობს: „ეკონომიკა თვით არის შედეგი ფუნქცია საწარმოოვო ძალებისო,“ .ილია უპასუხებს: „საწარმოო ძალები მიწაში იზოდებიან. ციდან ვარდებიან თუ თვით შთაისახებიან?“

ამ ორი კითხვით ილიამ დაამტკიცა, ერთის მხრივ, ცოდნა მარქსის დებულებებისა და მეორეს მხრივ გვაჩვენა მისი საკუთარი კონცეპცია; კონცეპცია, რომელიც ვერ იქნებოდა მარქსისტული, რადგან ის იყო საწინააღმდეგო. და ყოველივე ცუდა ილიას ან დაახლოვებისა ან დანათესავებისა მარქსიზმთან და საერთოდ მატერიალისტურ ფილოსოფიასთან ამოა იქნებოდა...

5. ილია და კლასთა ბრძოლა. არც ის არის მართალი თითქოს ილიას ეროვნული ერთობის, კლასთა მორიგების თეორია ნაკარნახები ყოფილიყო მხოლოდ მაშინდელი საქართველოს მდგომარეობით. ილია ერის თავისუფლებისა და დალხენის დროსაც ასეთი წესრიგს იჩინებდა. ეს აზრი მას ყველგან მკაფიოდ აქვს გამოთქმული. ამიტომ არც ის აზრი არის სწორი თითქოს ილიაში პატრიოტიზმი ხელს უშლიდა მოაზროვნეს. ეს უდიდესი შეცდომაა. ილია აქაც მთლიანი იყო. მისი აზროვნება არა მარტო ხელს უშლიდა პატრიოტიზმს, პირიქით ის იყო საუკეთესო პირობა მისი ნანატრი იდილის განხორციელებისათვის. მისი იდეა ემსახურებოდა მის პოლიტიკურ სულისკვეთებას. ილიას დოქტრინა ნაციონალურია, რომლის განხორციელებაში ილია ხედავდა მისი ერის ბედნიერებას. (იხ. ჩვენი წერილი: ილიას ეროვნული დოქტრინა. ყურ. ერის დიდება ნ. 5). ილია ადამიანი იყო და რასაკვირველია მის უხვ ნაწერებში და მრავალფეროვან მოქმედებაში შეიძლება მოინახოს ისეთი ცალკე შემთხვევები, რომელთაგან საწინააღმდეგო დასკვნის გამოტანა შეიძლება. მაგრამ ასეთი ცალკე შემთხვევებით არ ფასდება ადამიანის მსოფლმხედველობა. ამისათვის საჭიროა მისი შემოქმედება მის მთლიანობაში იყოს განხილული და მაშინ კი ილია მოგვევლინება უდიდეს თეორეტიკოსად ეროვნული იდე-

ისა. ისეთად რომლისთვისაც დღევანდელ მეცნიერებასაც კი ვერ ვერ გადაუსწრია.

ის, ვინც ფიქრობდა, რომ ილია იყო ფეოდალების იდეოლოგი, ან ბურჟუაზიისა, რატიანის აზრით შეიცავენ ხაწილს სიმართლისა.

1. თუ ილია ებრძოდა ძველ თავად-აზნაურობას, ბატონყმობის დამცველთა წინააღმდეგ, სამაგიეროდ მას არასოდეს დაუყენებია კერძო საკუთრებისა და ფეოდალური კლასის მოსპობის საკითხი. მას უნდოდა გარდაქმნა ფეოდალური საზოგადოებისა კაპიტალიზმთან შესაგუებლად. ის იცავდა კერძო საკუთრებას.

2. ის თუმცა ქადაგობდა შრომის სუფევას, მაგრამ ეს იყო მხოლოდ გარეგნული, არსებითად ის გულისხმობდა სამართლიან შრომას თავისუფლების ნიადაგზე, დაძვარებული ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

3. ამავე დროს ბ. რატიანი სწერს: „იგი (ილია) სიკვდილამდე დარჩა მშრომელი ხალხის მეგობრად და ჩაგრულთა დამცველად. მიუხედავად ამისა, მისი გამოცხადება მარტო მშრომელი ხალხის (გლეხობის) იდეოლოგიით მხოლოდ განსაზღვრულ აზრით შეიძლება.“ (გვ. 62). აქ ბ. რატიანი დიდი ილია „მხოლოდ განსაზღვრულ აზრით“ მიიღო გლეხობის იდეოლოგიათ. ცოტა ქვემოთ კი სწერს: „გლეხი იყო ილიას სათაყვანებელი, მისი იმედი და საკვირველი როდია, რომ მომავალი უკეთესი საზოგადოების იდეალებს იგი გლეხსა და მის გუთანს უკავშირებდა. სწორედ ამიტომ, ობიექტურად ი. ჭავჭავაძე გლეხობის იდეოლოგიად უნდა ჩაითვალოს“ (გვ. 74). იქვე, ილიას წინააღმდეგობებით“ დაბნეული ავტორი შემდეგსაც სწერს: „რომ ის (ილია) იყო მთელი ქართველი ხალხის წარმომადგენელი, მთელი ერის ინტერესების გამომხატველი და დამცველი“ (გვ. 63).

აქედან მკითხველი დაინახავს, რომ ჩვენი ავტორი სასტიკად დამარცხდა აზრთა წყობისა და ლოლიკის ჯამბაზობაში და საბოლოოდ იძულებული გახდა სიმართლე აღეარებინა. სიმართლე, რომელიც სპობს მის ადრინდელ დასკვნებს ილიას იდეოლოგობაზე და აგრეთვე მის საკუთარ კონცეპციასაც, რომელსაც უნდა რომ ეროვნული ინტერესი იყოს ფიქცია. რადგან მის უკანასკნელ დებულებაში ერის საერთო ინტერესი აღიარებულია.

ამავე საკითხთან დაკავშირებით, ინტერეს მოკლებული არ იქნება შევეხოთ, ილიას დამოკიდებულებას ბატონყმობასთან.

ილია სასტიკად ებრძოდა ბატონყმობის ინსტიტუტს. კლასთა შორის ბრძოლის უნიტა და შურის ძიების გრძნობით გამსჭვალულნი, ბ. რატიანის იდეური წინაპრები, ფ. მახარაძე და პ. გელიევილი, ამას ვერ აფასებდნენ და მრავალი ცილისწამებებით ილია გოლგოთამდე მიიყვანეს. გავიდა დრო და ეს მათმა შვილებმა გაიგეს და დააფასეს. ავტორი სამართლიანად უაზუყოფს ძველი მარქ-

სისტემის დაფასებას. ხოლო ბატონყმობის მოსპობის შემდეგ სამართლიანი საზოგადოების დამყარების საკითხში, ის იყრება ილიასაგან.

შევჩერდეთ ერთ „დიდ წინააღმდეგობაზე“, რომელსაც ნახულობს ავტორი ილიას აზროვნებაში (თუმცა ამავე დროს მას ყველგან აღიარებს მთლიან პიროვნებად). ავტორის აზრით ილიამ იცის კლასობრივ წინააღმდეგობათა ფაქტი ქართველ ერში და ის მკვეთრად დახატა მან თავის მხატვრულ შემოქმედებაში. სხვაგან კი ის თვალებს ხკჭავს ამ სინამდვილის წინაშე და ყველა ფენებს ქართული საზოგადოებისა აყენებს ერთ უფლებბრივ ნიადაგზე. ერთი მხრივ ილია იცნობს მსგავს წინააღმდეგობათა არსებობას სხვა ერებში მსგავსადვე პირობებში, მეორე მხრით ის აკეთებს გამონაკლისს ქართველი ერისათვის. აქ ავტორის აზრით ილია დალატობს მეცნიერებას, რომლისთვისაც გამონაკლისი არ უნდა არსებობდეს. ილია კი მიგვითითებს ჩვენ ქართველი ერის რაღაც თავისებურებაზე: „ქართველ ერს თავისი საკუთარი დეორიტა აქვს“ და ეს კი ვერ აგვიხსნია რა არის „დეორიტა“.

ილიას წინააღმდეგობა ბ. რატინის ხსნის იმ ვარაუდებით, რომ ილიას ჰქონდა შესასრულებელი კონკრეტული მიზანი: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეკუთნოდა“, და მთელი თავი იდეოლოგია და რწმენა ამ საკითხის განადგებას დაუმორჩილაო. ე. ი. ილიამ იდეოლოგიური რწმენა ანაცვალა პოლიტიკურ პრობლემას, — საქართველოს განთავისუფლება. და კლასთა სოლიდარობას ქადაგობდა იმიტომ რომ „ილიას აზრით, ბრძოლას ნაციონალური თავისუფლების მოსაპოვებლად მხოლოდ მაშინ ექნებოდა წარმატება, თუ ამ ბრძოლაში ჩაებმებოდა არა ერთი რომელიმე წოდება, არამედ ყველა წოდება ერთად“ (გვ. 181), რომ ეს სჭირდებოდა ილიას „საერთოდ ხალხის კეთილდღეობის ასამაღლებლად“ (გვ. 181).

აქ მოყვანილი ადგილებიდან თუმცა ხათელია, რომ ილიას აზროვნებასა და მოქმედებაში „წინააღმდეგობა“ იუზმე გამოწვეული ყოფილა საქართველოს მაშინდელი პრობლემით. ხოლო კლასთა ბრძოლის მაგალითი სხვა ერებია ისტორიათა მიხედვით ილიას სწორად ჰქონია წარმოდგენილი. მაშასადამე ილიამ აზრი დათმო პატრიოტული იდეისათვის. ასეთია ავტორის საკმარისად ნათელი განმარტება. მაგრამ იმ სულ მალე წინააღმდეგობაში ვარდება, როდესაც ამ „წინააღმდეგობათ“ ისევ ილიას აზროვნების სიყალბეს მიაწერს, რადგან „ილიამ ვერ შეძლო ყოფილიყო ბოლომდე თანმიმდევარი მატერიალისტი, იმიტომ, რომ იგი ვერ ჩასწვდა ბოლომდე განვითარების რთულ დიალექტიკას და ვერ გაიგო დაპირისპირებულთა ბრძოლის კანონის არსი“.

აქედან ცხადია, რომ ილიას „წინააღმდეგობები“ გამოწვეულია მისი კონცეპციით. რომ ლურჯი სათვალეებით ქვეყანა ლურჯად მოჩანს, ხოლო ვაზდის ფერით, ვარდის

ფერად. ბ. რატინიც ხან ერთ სათვალეს იყენებს და ხან მეორეს.

მაშასადამე ბ. რატინს ან არ ესმის, ან მისი წითელი სათვალეები ხელს უშლის გაიგოს ნამდვილი აზრი ილიას „წინააღმდეგობათა“. თორემ მარტო უბრალო შეხედვითაც დაუშვებელია ილიაში დაინახოთ ისეთი რადიკალური წინააღმდეგობანი, რომელნიც შეეხებიან მის ძირითად მსოფლმხედველობას. გამოდის, რომ ილია ერთ და იმავე დროს გვიქადაგებდა კლასთა ბრძოლის (მხატვრულ ნაწერებში) იდეისაც და მათი მოზიგებასაც. ეს ისეთი უაზრობაა, რომ რატინისებური აკრობატობა მას აზრად ვერ აქცევს. მაშასადამე სერიოზულმა კრიტიკამ სხვაგან უნდა ეძიოს ახსნა ამ „წინააღმდეგობათა“.

მაგრამ შეუძლია ეს მარქსისტულად მოაზროვნეს? არა, რადგან მას გზა და მეთოდი უკვე მოხაზული აქვს. სხვაგვარი მიდგომა და ახსნა მას ეკრძალება: კანონით, პარტიის დადგენილებით და ხშირად საკუთარი სინიდიისთაც, თუ ის ნამდვილი მარქსისტია. რადგან მარქსისტისათვის უკვე საუკუნოდ დადგენილია ძირითადი კახიხი საზოგადოების განვითარებისა. სხვა ყოველივე ყალბია, ცრუმორწმუნობაა. ამის შემდეგ ცხადია, სადაც თქვენი კონცეპტია სუსტია საკითხის ახსნაში, იძულებული ხართ იქ წინააღმდეგობა დაინახოთ ისეთ ნათელ აზრშიც, რაზედაც ზემოდ ვლაპარაკობდით და მითვე მთელი თქვენი კრიტიკა გახდა უაზროდ.

მარქსისტი მუდამ მართალი უნდა იყოს. კლასთა შორის რაიმე ზავი მიუღებელია. თვით მაშინაც, როდესაც ის თვალთ ხედავს, სცდილობს იმ დროებითად გაასალოს, გარდამავალი ხასიათისაა, და ავიწყდება, რომ იმავე მარქსიზმის დოგმით ყოველივე გადამავალია.

ეროვნული მთლიანობის იდეა რომ ილიას დოქტრინის ქვაკუთხედი არ ყოფილიყო, მაშინ ის ძალიან ადვილად განასხვავებდა მომენტს ბრძოლისა, და ხახას, როდესაც ეს ხანა, იმ ბრძოლა იყო უადგილო. ილიამ კი თქვა: ერთობა საჭიროა მაშინაც, როდესაც ერს არავითარი საშიშროება არ ემუქრება. და მან კატეგორიულად უარჰყო იდეა კლასთა შორის ბრძოლისა.

ამ საკითხთან გვინდა დავაკავშიროთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი, რადგან როგორც ქვემოთ ვნახავთ, ის ახლო კავშირშია ილიას სოციალურ და პოლიტიკურ აზროვნებასთან.

ბ. რატინის აზრით, ილია პირველ პერიოდში მომხრე იყო აჯანყებისა და ბრძოლისა საქართველოს გასახთავისუფლებლად. მერე კი დარწმუნდა, რომ სწორედ რუსეთთან ყოფნა იყო საჭირო და იბრძოდა „პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად თვით რუსეთისავე იმპერიის ფარგლებში“ (გვ. 192). ცოტა ქვემოთ სწერს, რომ „... ჰავჭავაძემ საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დააყენა სწორ გზაზე, — რუს

ხალხთან საუკუნო და განუყოფელი კავშირის გზაზე; მას მალე აღმართა დიდ რუს ხალხთან შეგობრობის დროა“

ეს ორი ფრაზა ავტორისათვის დამახასიათებელი გაურკვევლობით არის შედგენილი. ხოლო თუ შევეცდებით მაინც მის გაგებას - დავინახავთ აშკარა წინააღმდეგობას. პირველში სრულებით არ იგულისხმება საქართველოს დამოუკიდებლობა, რაკი ლაპარაკია „იმპერიის ფარგლებზე“. ხოლო გაურკვევლობა იმაშია, რომ „პოლიტიკური უფლებების მოპოება“ იმპერიის ფარგლებში არ შეიძლება. ეს უფლებები გულისხმობენ სწორედ დამოუკიდებლობას. იმპერიის ფარგლებში შეიძლება მოპოებულ იქნას პიროვნების, ან ადმინისტრატიული ან სოციალური უფლებები და არა პოლიტიკური.

მეორე ფრაზაში კი ახდლად იგულისხმება ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, ხოლო (ავტორის აზრით) არა პირდაპირი ბრძოლა, ანამედ იმავე დამპყრობელთან მეგობრობის გზით, თუნდაც ეს იყოს „საუკუნო“. მეგობრობა არ ნიშნავს დამონებას. ხოლო მეგობრობას ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ თავისუფალ პირობებში. საქართველო ვერ იქნება მეგობარი ვერავისი თუ ის არ არის თავისუფალი და ის ვერ იქნება მეგობარი მით უმეტეს მისი დამპყრობელია. ეს შეიძლება მაშინ, როდესაც დამპყრობელი იცნობს მის სუვერენულ უფლებებს. ასეთ პირობებში, დიდი ილია კი არა ყოველი ქვეყანა მყოფელისათვის უნდა სასურველი იყოს მეგობრობა, თუნდაც მის გუშინდელ დამპყრობელთან.

შეუძლებელია აზრთა ეს წაჯექუქუჯექობა ავტორის არ ესმოდას. მაგრამ ეს არის შედეგი იმ უხეში და გაუმართლებელი ტენდენციისა, რომლის მიხედვით ავტორს სურს, რომ დიდმა ილიამ უარპყოს საქართველოს სრული დამოუკიდებლობის იდეა და გაიზიაროს ბოლშევიკების დღევანდელი ლოზუნგი — დიდი რუსეთის ხალხთან ერთად ყოფნისა.

სრულიად გაუნათლებელი ადამიანიც კი, თუ ის გულდასმით გადაიკითხავს ილიას ნაწერებს და დაუკვირდება მის მოღვაწეობას, ასეთ სულელურ დასკვნას არ გააკეთებს! სანამ ამ სიყალბეს ნათელ ვყოფდით, ავტორის ერთ საკითხს დაუსვამდით: როდესაც ის ილიას უტოპისტად აცხადებს იმაში, რომ ილია სურდა ორ (კლასიურ) წინააღმდეგობათა მორიგება ზავით, სურდაო, ავტორს როგორღა მიაჩნია შესაძლებლად ამ ორი ისეთი წინააღმდეგობის ზავითა მორიგება, როგორც არის წინააღმდეგობა დაპყობილისა და დამპყრობელს შორის?!

ილიას წარმოდგენა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისა სრულიად ნათელ ფორმებშია მოკვლეული, ასევე ის მეგობრობა, რომელსაც გულისხმობდა რუსის პროგრესიულ საზოგადოებასთან, რომლია მსოფლმხედველობა სწორედ ემთხვეოდა ილიას იდეალებს. ერთია რუსის

ხალხი და მეორე მისი პოლიტიკა. ილია ებრძოდა რუსეთის დაპყრობით პოლიტიკას და არა მის აგრეთვე იარაღ აყრილ ხალხს.

ბ. რატინის განმარტება ილიაზე, სრულიად მიუღებელია. ილიას სურვილი რუსის ხალხთან მეგობრობისა, ახალი არ არის, და არც ვინმესთვის მიუღებელი. ჩვენი დიდი მეფეებიც ეძებდნენ ამას. მაგრამ ილიამ კარგათ იცოდა, თუ რუსებმა ეს მეგობრობა როგორ გაამართლეს. არც ჩვენი მეფეები და არც ილია ამ მეგობრობას არ ეძებდნენ ერთის ბატონობასა და მეორის მონობაში.

რა ვუყოთ, რომ ილიას ახალგაზრდული ბრძოლის ენის სიბერის დროს სცვლის უფრო მოზომილი და ბრძნული გზებით თავისუფლების მოპოებას. ამით მისი პრინციპი არ შელახულა. ისე როგორც კერძო ადამიანს, ცხოვრებასაც თავისი პერიოდები ახასიათებს. არის პერიოდი შეიძლება ბრძოლისა და არის პერიოდი დუმისისა. და ხშირად ეს დუმისის პერიოდი უფრო ძლიერია ბრძოლის სულითაც და შედეგების ნაყოფიერებითაც. ასე ფიქრობდა ილია. ბ. რატინს ვსთხოვ გადაიკითხოს ილიას წერილები, საქართველოს დამოუკიდებლობაზე როდესაც ის სოლომონ ბრძენს ალაპარაკებს თავის მაგიერ, და დაწვინდება ჩვენს სიმართლეში.

ილიას ბრძოლის ტაქტიკის შეცვლა მეორე პერიოდში, მარტო მისი ხანდაზმულობით არ აიხსნება. ამას მაშინდელი რუსეთისა და თვით საქართველოს საერთო მდგომარეობაც უკარნახებდა. საქართველო ბრძოლებით დაღლილი და განადგურებული იყო. დაცემული მისი ნივთიერი ცხოვრება. აღზეული სოციალურად და ეროვნული შეგნებაც დასუსტებული. შეუძლებელია ერმა შიშველს და შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა, თუ ის ყველა საჩსებო საშუალებით მაგრად არ არის და ილიაც ამ მყარ საფუძვლების შესაქმნელად იბრძოდა. ესეც ყველამ იცის.

მეორე მხრივ, რუსეთშიც იზრდებოდა სოციალურ განმათავისუფლებელი მოძრაობა და ამ ხიდაგზე ეროვნული თავისუფლების განადგებას მეტი შანსი ეძლეოდა. ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ ილიას, როგორც იმედი დაემყარებინა ახალ მდგომარეობაზე. რაც სრულებით არ ნიშნავს რუსეთთან მეგობრობას დაპყრობით პირობებში.

არც შემდეგი არგუმენტი გამოდგება „რუსეთთან დარჩენის“ გასამართლებლად: თითქო ილია კმაყოფილი იყო რუსეთისა, რომლის ხმალმაც საქართველო გადაარჩინა აოხრებისაგან. თუ დამპყრობელი დაპყრობილს, მრავალ უბედურებაათან რაიმე სიკეთეს მოუტანს, ამის უმადურობას როგორ გამოიჩინდა ილიასთან დიდბუნებოვანი ადამიანი! მაგრამ განა ეს ნიშნავს, რომ ილია ურიგდებოდა დაპყრობას?! ავიღოთ ჩვენი დროის ფაქტი: — საფრანგეთი და მის მიერ დაპყრობილი ალჟირი. ამ ორ

დაპყრობას შორის მსგავსებაც დიდი და განსხვავებაც. რუსეთს იმის მეთაფი არ შეუქმნია ჩვენს მიწაზე, რაც საფრანგეთმა შეუქმნა ალჟირს. ალჟირის ხალხი კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური სიმწიფის თვალსაზრისითაც ვაცილებით დაბლა დგას საქართველოზე და თუ ვინმეს სჭირია დახმარება „დამპყრობელი-სა“, ეს სწორედ ალჟირზე ითქმის. ალჟირის ხალხსაც კარგად ესმის ეს. მაგრამ მიიღებენ საბჭოთა მოაზროვნენი ასეთ დაპყრობას, როგორც დადებით მოვლენას? არა. და მართლნიც იქნებიან. ხოლო ფაქტი ის არის, რომ ალჟირის ხალხი წლების მანძილზე სისხლსა ღვრის თავისუფლებისათვის. ერის თავისუფლებას ვერავითარი სიკეთე დამპყრობელისა ვერ აანაზღაურებს!..

6. ილია და პიროვნების როლი ისტორიაში.

ისტორიაში პიროვნების როლის დაფასებაში, კომუნისტები გამოდიან მათი საყრდენი მსოფლმხედველობიდან. მაგრამ კომუნისტ მწერალთა შორის მაინც ვამჩნევთ ორ ტენდენციას: ერთი პირდაპირ უხეშად, პიროვნებას წარმოიდგენენ, როგორც მატერიალურ პროდუქტს მდგომარეობისა. მეორენი, ცოცხალი ფაქტების ზეგავლენით, სცილობენ მექანიკურ ახსნას საკითხისა და კოტა უახლოვდებიან სწორ გაგებას. მარქსისტული სკოლა არა სცნობს ინდივიდში რაიმე გადამწყვეტ ინდივიდუალურ ღირებულებას. რომ ყოველივე ია ძალა, რასაც გარკვეულ პირობებში ინდივიდი ამჟღავნებს, აგრეთვე მდგომარეობის შექმნილია და სხვა.

ბ-ნი რატინის აზრით, ილია მატერიალისტი იყო. ამ მხრივ, ის თუმცა დაბლა იდგა მარქსისტულ მატერიალისტურ გაგებაზე, მაგრამ მაღლა იდგა მეთვრამეტე საუკუნის მატერიალისტებზე. ამიტომ ის ფიქრობს, რომ ილია დაფასება პიროვნების როლისა ისტორიაში, მატერიალისტურიან. ამის დასამტკიცებლად მას მოყავს ილიას ხაწერებიდან შემდეგი ადგილი: „ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლოს ამ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია... ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ამით ვაძობდეთ, ვითომც გენიოსი ციდან იყოს ჩამოვარდნილი. ისიც ისეთივე ნაყოფია თავისი დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ იგი ნაყოფი სრულია, დამწიფებულია“.

ილიას ეს ჭეშმარიტი დაფასება არ ახალია. მარქსამდეც იყო ცნობილი და დღესაც არ აფასებენ სხვახანად. ხოლო ახირებულია ის, რომ თუ რამეში ვისმეა აზრი მიუდგა მარქსისას, ია უთუოდ მარქსისტული უნდა იყოს, თუნდა ეს აზრი მარქსზე ვაცილებით ადრე ყოფილიყოს!

ჩვენ ამ საკითხზე ვჩერდებით იმიტომ, რომ მისი გარკვევა უადგილოს გახდის ილიას მარქსთან დაახლოების ცდას.

ილია გარკვეულად აცხადებს, რომ არსებობს ადამი-

ანი ჩვეულებრივი და გენიოსი, როგორც ის უწოდებს. პირველი ცხოვრების ტალღას ვერ უძლებს და მასსადაზე, ის უცვალოდ ინთქმება ამ ტალღებში და ვერავითარი კვალს ვერ სტოვება ისტორიაში. ხოლო მეორე, თავისი სიმწიფითა და სრულყოფილი ძალებით, ამ ტალღას უმკლავდება და მასზე ბატონობს. მას აძლევს გარკვეულ მიმართულებას. აქ ყველაფერი გარკვეულია და დღესაც სალი გონება ამას ანე აფასებს.

ცხადია, ასეთი პიროვნებანიც მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში ახერხებენ მათ სრულყოფილ ძალთა ხორც შესხმას და სწორედ აქ ასევე ისინი ცხოვრებას თავიანთ პიროვნულ დაღს. თუ არა ხელშემწყობი პირობები, ხშირად დიდი ძალის ადამიანიც შეიძლება უცვალოდ გაქრეს. ასევე ხელსაყრელ პირობებში, თუ კი არსებობს თავისი შინაგანი ძალების მქონე პიროვნება, ვერავითარი მდგომარეობა მას ასეთად ვერ აქცევს. რადგან ადამიანს შეუძლია მიიღოს მხოლოდ ის თვისებები, რასაც ჩვეულებრივ გარემოდან იღებენ და არა ის, რაც თანდაყოლილი, მისთვის ინდივიდუალურია. ყველა ის თვისებები, რითაც დიდი ადამიანები განირჩევიან ჩვეულებრივთაგან, მოცემულნი არიან ადამიანის ინდივიდუალურ ბუნებაში: ნიჭი, ჭკუა, გამბედაობა, თავდადების გრძნობა, უახგაროზა — ეს იქმნებიან მდგომარეობით. მათი მხოლოდ გაუმჯობესება შეიძლება ან გაუარესება. თქვენ რომ შეადგინოთ რჩეული ლაჩრების საზოგადოება, რა პირობებიც არ უნდა შეუქმნათ მათ, ნაპოლეონებს ვერ მიიღებთ. და თუ ოდესმე მასას გამოუყვია გმირი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ადამიანში უყვე არსებულა საამისო თვისებები. ადამიანთა ინდივიდი ანალოგიურია ყოველი ინდივიდისა არსთა სამყაროში. შეხედეთ ვაშლის ხეს: ერთი და იგივე ხე გაუმოსცემს მრავალ ნაყოფს. ისინი ერთი სახეობის არიან, მაგრამ განსხვავდებიან, თავიანთი დასრულებით, გაძლელობით და გემოთიც. ამის უარყოფა იქნებოდა, უარყოფა საერთოდ ბუნების რეალური სტრუქტურისა. ამას ამბობს ილიაც.

ავილოთ ნაპოლეონის მაგალითი. საფრანგეთის რევოლუციის მიერ შექმნილმა მდგომარეობამ შექმნა ნაპოლეონი. ამ ნაწილში მარქსისტებიც თანახმა არიან. მაგრამ ამ მდგომარეობამ შექმნა — ნაპოლეონი და არა ჯარის კაცი ნაპოლეონ ბონაპარტი. საფრანგეთს იმ დროს არ აკლდა გამოჩენილი სარდლები და დიდი გაქანების პოლიტიკოსები. და ყველა მათგანს უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ საზოგადოებაში. ე. ი. მდგომარეობა მათ უფრო უწყობდა ხელს შექმნა მათგან ნაპოლეონი. მაგრამ სჩანს, ამ პირებს არ აღმოაჩნდათ სწორედ ის თვისებები და ძალა, რომელსაც შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა და ნაპოლეონობა ერგო კორსიკელ ბონაპარტს. მასსადაზე მდგომარეობა არ აღმოჩნდა გადამჭრელი. სანამ ბონაპარტი ჩამოვიდოდა პარიზში და ადგილობრივ შექმნილი

მდგომარეობა (რასაც მარქისტებმა ვადამწყვეტ მნიშვნელობას მისცემდნენ) მას გამოატივტივებდა, მას უკვე გამოჩენილი ჰქონდა თავისი, დიდი წინამძღოლობის თვისებები. მისმა ასეთმა თვისებებმა მოიპოვეს მდგომარეობის ყურადღება. გვეტყვიან: ნაპოლეონ ბონაპარტი რომ არ დაბადებულყო მდგომარეობა სხვა ვინმე პიროვნებას წამოაყენებდა მის ადგილსო. ეს შესაძლებელიც არის და შეუძლებელიც. შესაძლებელია იმიტომ, რომ მრავალ ძილიონიან საზოგადოებაში ყოველთვის მოსალოდნელია არსებობა მრავალი ნაპოლეონისა. ხოლო თუნდაც ცხოვრებას სხვა პირი წამოეყენებინა, ილიას სიტყვით რომ ვსთქვათ, ის ვერ იქნებოდა „ჩვეულებრივი კაცი“, ისიც იქნებოდა მეორე ნაპოლეონი, მსგავსი ამ დროისათვის შესაფერი თვისებებით. მისი მსგავსი, „დაძვიფებული“ ან „გენიოსი“.

აი, როგორ უნდა გავიგოთ ილიას აზრი პიროვნების როლზე ისტორიაში, და არა ისე ვულგარულად, თითქოს შეეძლოს ყოველი ინდივიდუუმის ნაპოლეონად ქცევა. თუ ეს ასე არ არის მაშინ ჩვენი მარქისტები, როდესაც თავიანთ დიდ პიროვნებათ ახასიათებენ, რატომ ეძებენ გამართლებას მათ ბიოგრაფიაში?!

ილიას ნათელი შემოქმედება და მოღვაწეობა უარყოფა ისტორიული მატერიალიზმისა. მან ის უარყოფა შეგნებულად და დასაბუთებით. მართალია, არა მარქს-ენგელსის ციტატების კრიტიკით, არამედ აზროვნების ხამდვილი გზის ჩვენებით, ისე, როგორც მას ესმოდა ეს. ხოლო ჩვენი რატონი განუწყვეტლივ თამაშობს ჯამბაზის თოკზე და ათამაშებს მკითხველსაც, რომ როგორმე ილია მარქსს დაუახლოვოს, მისი აზროვნების წინა საფეხურად მაინც გამოაცხადოს. ავტორმა მხედველობიდან ეპარება ის გარემოება, რომ მკითხველს შეუძლია სულ სხვა შთაბეჭდილების მიღება მისი კვლევიდან. სახელდობო, ილია, როგორც ღრმა მოაზროვნე, ბუნებისა და საზოგადოებრივ მოვლენათა შედარებით სწორი შემცხოვბი, რომელიც არ ყოფილა დოქტრინაში ვიწროდ ჩაკტილი, ეკონომიკურ ფაქტორსაც ანიჭებდა თავის კუთვნილ ღირებულებას. მკითხველი, ბატონ რატონის შესწავლიდან ისეთ შთაბეჭდილებას იღებს, რომ თითქოს ილია კი არ ემთხვევა მარქსს, არამედ უკუღმა. ეს უფრო სწორი იქნებოდა. მარქსისტების აზრით, მათი ფილოსოფია მონისტურია. მაშასადამე ერთი თვალსაზრისით მათ შეუძლიათ ყველაფერი ახსნან. რაც სრულიად უცხოა ილიას აზროვნებისათვის. ამითაც მტკიცდება, რომ ილიას არაფერი აქვს საერთო მარქსის აზროვნებასთან.

7. ილია და რელიგია.

კიდევ ერთი თავაპატეხი საკითხი, თავსატეხი ბ. რატონისათვის, თორემ ილიას ისეთი არაფერი გაუკეთებია, რომ ვინმესთვის ამოუცნობი ყოფილიყო. ჩვენ უნდა გავარჩიოთ საკითხის ორი მხარე. პირველი არის რწმენა

ღმერთისადმი. აღიარება რომელიმე რელიგიისათვის ერთ-ერთი რელიგიის დადებითი საზოგადოებრივი ძვიძველობა. არიან ათეისტები, რომელთაც ღმერთი არ სწამთ, ხოლო მინიშნელობას სცხობენ.

კომუნისტები ღმერთსაც უარყოფენ და რელიგიის დადებით მნიშვნელობასაც. ისინი ამას აცხადებენ საზოგადოებისთვის საწამლავად.

ილიას გამოცხადება ათეისტად, სწორედ მარქსისტისათვის სრულიად შეუწყნარებელია. ამას ადასტურებს ბ. რატონის ამონაწერი ილიადან: „ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამც თუ აულიერად, არამედ ხორციელადაც... ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნება“ (გვ. 114). ილიას ამ სიტყვებიდან სჩანს, რომ მას ქრისტიანობაც სწამდა და მის დადებით საზოგადოებრივ ღირებულებასაც აღიარებდა. და ამას თვით ბ. რატონიც ამოწმებს, როდესაც აწერს: „ქრისტიანულ რელიგიაში ი. ჭავჭავაძე ხედავდა ძალას, რომელსაც შეეძლო დიდი სარგებლობა მოეტანა ქართველი ხალხის ინტერესებისათვის“ (გვ. 109). მაშასადამე ილიასათვის სარწმუნოება არ ყოფილა „ხალხის ოპიუმი“!

მეტად გულუბრყვილოა ავტორის დასაბუთება ილიას ათეისტობაზე. ილიას აზრი რელიგიის წარმოშვებაზე, მრავალღმერთიანობაზე და სხვა, რომელსაც იყენებს ავტორი, არაფერს გვეუბნება ილიას უღმერთობაზე. რადგან დღესაც ძალიან დიდი უმრავლესობა მორწმუნე შეცნიერთა, ასევე ხსნიან რელიგიის წარმოშვების საკითხებს. ამიტომ ამ მძიმე და რთულ საკითხში, სადაც ავტორი ტრაფარეტულად დაუზეპირებია ათეისტური ფოხაზები, ის ძალიან დამარცხდა. მას ვერც ილიას რელიგიოზური ბუნება გაუგია და ვერც საერთოდ რელიგიისა.

ილია მორწმუნოებასთან დაკავშირებით არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ ავტორის ერთი ახირებულეება. როდესაც ის აწერს „კაკო ყაჩაღზე“ და სხვ., ამბობს: „მაგრამ სწორედ იმიტომ იყო ილია ჭავჭავაძე დიდი რეალისტი მწერალი, რომ მან მოგვცა არა განყენებული სქემები, არამედ ჩვენი ცოცხალი ცხოვრების რეალისტური სურათები“ (გვ. 95). ცოტა ქვემოთ კი სწერს, როდესაც დაპარაკობს „გლახის ნაამბობზე“; რომელშიც გამოყვანილია იდეალური, ყოველი სიკეთით დაჯილდოებული მღვდელი, „ამ მღვდლის სახით ილიამ დახატა არა რეალური, მაშინდელ საქართველოში არსებული მღვდლის ტიპი, არამედ არ არსებული“... და სხ.

ღიალექტიკაც ასეთი უნდა! როცა სჭირდება „კაკო ყაჩაღის“ ქება — ილია რეალისტია. როცა სჭირდება მღვდლის გმობა — ილია აღარ ყოფილა რეალისტი, ის იდეალეზს ხატავს! ბ. რატონს დაავიწყდა: ნეტავ რას წარმოადგენდა ლუარსაბ თათქარიძე, ის იყო ქართველი თავადის ტიპი თუ იდეალი, ფანტაზია თუ კარიკატურა?!

რასაკვირველია, ასევე გულუბრყვილოა ილიას ახალგაზრდული ალტყინების მომენტების გამოყენება ილიას რელიგიოზურობის გასარჩევად.

ილიას შემოქმედების განხილვა მის მთლიანობაში, მას გცხატავს დიდად რელიგიოზურ ადამიანად. თუმცა თავისუფალ მოაზროვნეთ, მაგრამ მორწმუნე ქრისტიანად. მთელი მისი მორალი აგებულია ქრისტიანულ მორალზე. და თუ ილიას მოენახება კრიტიკული მიდგომა, ეს იმიტომ, რომ ილია არ იყო ბრმა ფანატიკოსი და არავის აპატივებდა სწორი გზიდან გადახვევას.

ილიას რწმენა, პონტანის სიყრმიდან, შემდეგ გამაგრებული იყო მეცნიერებით. მარქსისტისთვის რელიგია უარყოფაა მეცნიერებისა და უკუღმა. მაშინაც და დღესაც ასე არ ფიქრობდნენ დიდი მოაზროვნენი, და ილია აქაც თანამედროვე მეცნიერების სიმალეზე იდგა. ბ. რატიანს მოჰყავს ილიას სიტყვები, წარმოთქმული გაბრიელ ეპიკოპოსის დასაფლავებაზე, და აზრი კი ვერ გაუგია. ილიამ სთქვა: „განსვენებული ღრმად მიწვენილი მეცნიერი იყო და იმდენადვე ღრმად მორწმუნეცა. აქ არის ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება... რადგან ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოუღრმებელნი და მოუთავსებელნი არიანო“. ან კიდევ ილიას აზრი ღმერთზე: „ზოგი საგანია, რომ თუ არა დაიწახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგიც კი იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე ვერ დაინახავ“ (გვ. 107). აქედან ცხადია, რომ ილია პირველში გულისხმობს მეცნიერებას და მეორეში სარწმუნოებას. და ილიას ნამდვილი რელიგიური ფილოსოფიაა ამ სიტყვებშია გადმოცემული. ილიას პროტესტანტული ალტყინება ახალგაზრდობაში, ხოლო

შემდეგ ღრმა რწმენაში გადასვლა აგრეთვე ადამიანური მოვლენაა. ასე დამართათ დიდ მეცნიერთ; დაბადებულთა და აღზრდილთ რელიგიის ნიადაგზე. ოდნავ მეცნიერების შეთვისებასთან, ეწყებოდათ ერთგვარი სკეპტიციზმი სარწმუნოების მიმართ. ხოლო ნამდვილი მეცნიერების შეთვისებისას, ისევ უბრუნდებოდნენ სარწმუნოებას.

ამის ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ მთელი რიგი თანამედროვე განთქმულ მეცნიერებისა. სწორედ ილიას ანალოგიური გზა გაიარეს ისეთმა საყოველთაოდ ცნობილმა მეცნიერებმა, როგორც იყენენ: ალექსი კარელი, სპეციალობით ხირურგი, მიდრეკილებით სოციოლოგი და ფილოსოფოსი, რომელმაც წინა მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მსოფლიო სახელი მოიპოვა. ანალოგიური იყო ხვედრი ორი დიდი ფრანგი მეცნიერისა: ლე კოჰტ დე ნუისა და შარლ ნიკოლისა. ლე კოჰტ დე ნუის ერთ თხუზულეზაზე, რომელმაც დიდი ლახვარი ჩასცა ათეიზმს, კრიტიკა ასე აფასებდა: რომ ასეთი თხუზულეზა მხოლოდ ორ საუკუნეში ერთხელ იწერებაო. დღესაც და ილიას დროსაც იყენენ მრავალი დიდი მეცნიერი, რომელნიც რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთობაზე ილიას ახალგაზრდობაში გამოსთქვამდნენ. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: დიდი ნიუტონი. ამბერი — ელექტროდინამიზმის კანონების აღმოჩენი, ბიო, პასტორი, გოში, გოლა — ელექტრონის ჰორიზონტის აღმოჩენი და კიდევ მრავალი სხვა.

როგორც ვხედავთ, რელიგიის დაფასების საკითხში ილია ჭავჭავაძე მდგარა ამ ბუმბერაზ მეცნიერთა შორის.

ალ. მანველიშვილი

10 დეკემბერი 1958 წ. ვაშინგტონი

ელენე წერეთლის ასული

ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება

1962 წელს თბილისში დაიბეჭდა ვაჟა ალექსანდრეს ძე გვახარიას წიგნი: „ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება“. ეს ყოველად მომხიბლველი და მეცნიერული ნაწარმოები, დიდი ხანია გვესტრდა ქართული საზოგადოებისათვის გაგვეცნო, მაგრამ თავისი მოცულობით და შინაარსით ვ, გვახარიას ნაშრომი მოითხოვს დაკვირვებულ გარკვევას ყველა იმ მაშალისა, რომელიც ემკვიდრება მუსიკალურ ტექნიკას, ისტორიას და ამასთანავე ეთნოგრაფიულ საკითხებს. წიგნი შეიცავს 436 გვერდს. ყოველი თავი დაწვრილებით აღნიშნავს ცალკეულ მასალას; თვით ისტორიული განხილვა ღრმად განსწავლულია და მოითხოვს თითოეული საკითხის რთულ განმარტებას.

ჩვენ შევეცადეთ ვერ ისტორიული მიმოხილვის გად-

მოცემას; შემდეგ კი მითითებას იმ მწვავე საკითხზე, როგორც არის მიქელ მოდრეკილის ხელნაწერი.

ქართული მუსიკის გასარჩევად ბ-ნი ვაჟა გვახარია კაცობრიობის ზოგად ისტორიას ხუთ მთავარ ხანად ჰყოფს: 1) წინარე უკლასო; 2) პირველყოფილი კლასობრივი; 3) ფეოდალური; 4) ბურჟუაზიული; 5) სოციალისტური.

ამგვარი დანაწილება ისტორიისა, რასაკვირველია, ჩვეულებრივია საბჭოთა-სამყაროში და ეს არც გასაკვირველია. ეს არის პავალდებულო წესი კვლევისა.

ავტორი თავის წიგნში ეხება მხოლოდ სამ პირველ ხანას, ვინაიდან ის მუსიკალური სისტემები, რაც მისი წიგნის განხილვას წარმოადგენს, ამ სამი ეპოქით შემოიხაზღვრება. სულ მოკლედ აღნიშნულია რუკით-საქართ-

ველოს შეერთების ხანა, განსაკუთრებით მე-19ის შუა წლებიდან, როდესაც ქართველი მუსიკალური სისტემა იგივე იყო, რაც რუსეთსა და ევროპაში. მაგრამ ამასთანავე აღნიშნავს, რომ საქართველოს "ხოციერთ კუთხე"ში ხალხური მუსიკის წერის სპეციფიკური თვისებები დღესაც არის შეინახული და სპეციალისტთა მიერ შეუწყველელი არის.

ამისდაძინებულად, უძველესი დროის მუსიკალური სისტემებია და საერთოდ ისტორიის თვალსაზრისით, ძირითადად გასათვალისწინებელია: 1. მუსიკალური და ზეპირსიტყვიერი ფოლკლორული მასალები; 2. დღემდე დამკვიდრებული საგლობლები; 3. არქეოლოგიური და ძატერიალური კულტურის ძეგლები და 4. ლიტერატურულ წყაროებში შეთხზული ტერმინოლოგიური, ეთნოგრაფიული და დიალექტოლოგიური ძიებნები.

პიოველი ხანა მიმართავს ერთ წყაროს; ეს არის ჩვენამდე მოღწეული არქეოლოგიური და ძატერიალური კულტურული ძეგლები. აქ ავტორი აღნიშნავს, თუ როგორი მნიშვნელობა იმ დროს, საქართველოში, ძატერიარქატიდას პატერიარქატზე გადასვლა და მიწათმოქმედების განვითარება, რაც შრომის დახაწილებას მოითხოვს და აღწევს ფეოდალიზმის ხანაში, სხვა და სხვა გვარ დანაწევრებას: ლირიკულს, რელიგიურ - საწესის და შრომის სიმღერებს. აქვე არის გათვალისწინებული, მსოფლმხედველობის მიმდინარეობით, უძველეს ტაძრებში წარმართული ლიტურგიები, მისტერიები, დღესასწაულები; აგრეთვე ისტორიულ - კულტურული და ისტორიულ - გენეტური მიმართების საკითხები ძველი აღმოსავლეთის ხალხებთან — ქართველური ენების ჩრდილო - კავკასიურ ენებთან ერთიერთობის საკითხები; ისტორიული და ეთნოგრაფიული დამოკიდებულება მათთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეს სიტყვა: —

„შორეულ წარსულში უკვე ყალიბდება გაერთიანებათა ორი წრე: დასავლური და აღმოსავლური, მუსიკალური თვალსაზრისით, მრავალ - სახელოვანი დიალექტებით თვით საქართველოს ტერიტორიაზე, მიუხედავად აღმოსავლური ძლიერი გავლენისა, რაიც მოქმედობს თვით მუსიკალურ აზროვნებაზედაც და მიუხედავად დიალექტურ სხვაობისა, ყველა კუთხის მუსიკას საფუძვლად უდევს ერთიანი მუსიკალური ქართული ფუძე“. (გვ. 4).

მუსიკალური დიალექტოლოგია ისეთივე მნიშვნელოვან მასალებს გვაწვდის, როგორც ლინგვისტური დიალექტოლოგია, როგორც აგრეთვე არქეოლოგიური ძეგლები საყურადღებო მასალებს იძლევიან მუსიკის ისტორიისათვის. მაგალითად თრიალეთის ვერცხლის თასებზე, სტეფანწმიდის კვერთხი სამი ეყვანით, ცაგერის ითიფალური ქანდაკებები, მცხეთის სამაროვანიდან — სალამური, საკიდები მუსიკალური საკაკუნებელით, მოცეკვავები და ახვა...

მეორე ხანა. აქ ჩვენ ვხვდებით მუსიკის ისტორიისათვის მასალებს, როგორც უცხოურს (ბერძენ და რომაელ ძეგრალთა ცხოვრებით), ისე ადგილობრივს. ძრავალი არის ნათი, მაგალითად უფლისციხეში დიაც-ლძეოთის ქანდაკი მუსიკალური საკრავით ხელში, არიასეს ძიერ აღწერილი, შრთავსებული ქალაქ ფახისის (ფოთის) შესავლელთან, ქსეხოფობტეს ციოციბი და ააერთოდ ელიხური კულტურის გავლენა დღემდე მოღწეულია ორომის სიმღერებში; აღწეოლი არის კლასიფიკაცია იმ სიმღერებისა, რომელიც გასსაზღვოული არიას შეურთეობის სახეობით და თემატიკია შხოივაც. მრავალი მათგანში დღესდღეობით შემოიხიხილხი არიან, მაგალითად მითრახე, რომელიც აღმოსავლურ საძყაროდან შემოიჭრა და რომელსაც სტოამოი (აბ წ. ქრისტეს წინ) „ძხე“-ს უწოდეს. დღეს ეს დღესასწაული სამეგოელოში „ძისაროის“ ან „ძისრომის“ სახელწოდებით არის ცხობილი. გურიანში კი — „ძითსაროია“; ძისი სახეობა — „ძარობა“, რომლის შესახებაც მრავალი საყურადღებო საგლობელი არის შემოიხიხილი სვანეთში „ძარალე“ - „ძარბაოე“, რაც „ლაძარის“-თხ ერთად ოძის ქალღმერთი არის. სხვა სიმღერებიც წამოიშობიან 1. ძეგრული „ბატონებო“, რომელიც გასძაკურნებელ დემონის უკავშირდება. 2. მტრის წინააღმდეგ ძებროლი ღვთაებები. 3. „კეისრული“ — იგი ცხების კულტა უკავშირდება 4. დიონისეს კულტი პარალელს აოველობს სვანურ დღესასწაულ „ტელეფია - ტულუფია“-სთან. 5. „ნახა“-ები, ნყოფიერების ქალღმერთი = ნანა - ნენასაგან მზის კულტთან, წმიდა გიორგისთან დაკავშირებული. 6. ფალოსის კულტი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში, დაკავშირებულია ქართულ ყეენობასთან და უერთდება ზამთრისა და გაზაფხულის პრძოლის მოტივს, საიდანაც წარმოიშობა „მისტერია“.

ამასთან ერთად ბ-ნი ვ. გვახარია აღნიშნავს მრავალ პარალელს ძველ ბერძნულ შემოქმედებასთან: ამირანის და პრომეთეოსის ურთიერთობა, „არგოსის“ მითოლოგიური გმირები, გაგზავნილი კოლხიდას ოქროს საწმისის წამოსაღებად. მათ შორის ღვთაებრივი მუსიკოსი ორფეოს-იც. ეს მითოლოგიური-ღვთაებრივი გმირები დაკავშირებული არიან სვანურ სიმღერა „ლემჩიოკიაშ“-თან. წმიდა გიორგი ჩანგზე დამკვირვლად არის წარმოდგენილი. სხვა პარალელია აგრეთვე „ილიადას მე-24-ე სიმღერასა და ქართულ ბალადასთან „ვეფხისტა და მოყმეს შორის“; შესანიშნავია პარალელიზმი სიმღერა - ლექსის „მთიბლურის“ და ჰომეროსის „ილიადა და ოდისეა“, იგივე დაქტილური ჰეზამეტრით.

რაც შეეხება ინსტრუმენტულ მუსიკას, იგი უძველეს ხანიდან ვითარდება. ქართული ცეკვებიდან აღსანიშნავი არის ფერხულების მრავალსახეობა, ერთპირული ან ორ-

პირული; სრულდება ანტიფონიურად, დიალოგის სახით. დამყარებულია ძველ ფაბულაზე, ან ისტორიულ სინამდვილეზე, ან ეთნოგრაფიულ ადათ - წესებზე, გუნდისა და ბოლისტის დაპირისპირებით, ან ორი გუნდისა. ბ-ნი ვ. გვახარია გადმოგვცემს, რომ ინსტრუმენტული მუსიკა იმპულსის მიმცემია მეტრისა და რიტმის განვითარებისათვის. გარდა დაქტილური ჰეგზანეტრისა, ავტორი აღნიშნავს მარტივ ზომებთა შუა, ხუთწილად ზომებს, რაც უაღრესად მკვეთრი რიტმისა და უძველესია (გავიხსენოთ ცეკვა „ხორუმი“ მეხუთე საუკუნისა). ხშირია შემთხვევა, როდესაც სიმღერის ტემპში, მეტრი და რიტმი გარკვეული პროცესით არის გაპირობებული; ცეკვა ორი არსებითი მომენტით არის შექმნილი, შრომის პროცესითა და რელიგიური შთაგონებით. ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის (58 ქრისტეს წინ) აღწერილობაში აღნიშნული არის ერთ ქართულ ტაძარში შესრულებული სამსხვერპლო რიტუალი. აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა შეადარა ეს აღწერა დღემდე შემორჩენილ ცეკვას „ალავერდობა“-ს.

შემდეგ ბ-ნი ვ. გვახარია მიგვითითებს ძველ სიმღერათა ტექსტების მნიშვნელობაზე:

„საყურადღებოა თავისი სინტაქსური კონსტრუქციითაც ძველი მუსიკალური ნიმუშების სინკრეტული სახეობის გარდა, უძველესი აზროვნების კვალი წიხადადებათა მარტივ „და“ კავშირიან წყობებში: ჰარალო და მოლხინი ვნახოთ და ღვთის მადლსაო ჰარალო აი და...“ (გვ: 7) ამ „და“-მ, — განაგრძობს ბ-ნი გვახარია, — თავისი განვითარებული სახე ჰპოვა მოგვიანო პერიოდში „ვეფხისტყაოსან“-ში და აქედან — სხვა პოეტურ ნაწარმოებებში.

აქ ავტორი ხაზს უსვამს იმ დროის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძლიერებას, — საქართველო იყო დამაკავშირებელი ქვეყანა აზიასა და ევროპის შორის. იმ დროის სავაჭრო გზების განვითარება, ნავოსნობა (ცნობილია, რომ შავიზღვიდან შორაპნამდე გემები შედიოდნენ); აღმოსავლეთის და დასავლეთის წარმომადგენელთა თავის მოყრა მთავარ ქალაქებში, სადაც, მრავალი მოწმობით, (პროკოფი კეიპარელი), არსებობდა თეატრი და ჰიპოდრომი; აგრეთვე მჭევრმეტყველების (რიტორიკის) განთქმული სკოლა ფაზისთან (ფოთი).

ამავე დროს ვრცელდება ხელოვნებაში წმინდა „კოლხური“ მიმდინარეობა, — როგორც ვარაუდობს ავტორი, — მუსიკის კილოების ჩამოყალიბებაც: „სავარაუდებელია კერპისადმი მიძღვნილი სიმღერები. კერპთაყვანისცემა, მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებში სწარმოებდა; ასეთი კერპები (გაცი, გაიამი), როგორც ცნობილი ისტორიკოსის ლეონტი მროველს აქვს აღნიშნული, იყო მცხეთაში, ძველი იბერიის დედაქალაქში; აღსანიშნავია აგრეთვე ჩვენამდე მოღწეული სვანური ჩანგები, თავი-

სი ფორმით, სიმთა განლაგებითა და კონსტრუქციით ღიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ძველ შუმერულ საკრავებთან; ასევე საყურადღებოა „ოსური ფერთმეტ სიმინი ჩანგები დაცული საქართველოს მუზეუმში“.

მესამე ხანა არის ფეოდალური, რომელსაც ჩვენი ავტორი ჰყოფს ქვეყნობად: 1. მეოთხე საუკუნედან მეთექვმდე (ადრინდელი ფეოდალიზმის ხანა).

- 2. მეთექვმდე მეცამეტე საუკუნემდე.
- 3. მე-14 საუკუნედან მე-16-მდე.
- 4. მე-17 საუკუნედან მე-19მდე.

ასეთი დაყოფა ემთხვევა საქართველოს ისტორიის, ხელოვნებისა და ლიტერატურის დაყოფასაც.

გალობა მეოთხე საუკუნეში მკვიდრდება ქრისტიანულ ეკლესიებში. მოგვიანო პერიოდში ბიზანტიის კეისარმა პასილი დიდმა და იოანე ოქროპირმა შეიმუშავეს ლიტურგია.

მცხეთაში, მეექვსე საუკუნეში აშენდა ბოლნისის ტაძარი. მრავალი უძველესი ეკლესია არის: ზეგანის, მატანის, ქუბრაკარა, ანჩისხატის, კალაუბნის და სხვა... ეკლესიები იგებოდა აკუსტიკური კანონების მიხედვით; ლიტურგიისათვის ან გალობისათვის დანიშნული ადგილი ამალღებელი იყო და გამოცალკეებული მლოცველთაგან. საზეიმო ვითარებაში კითხულობდნენ რეჩიტატიულად საღმრთო წერილს; აქედან განვითარდნენ ქადაგებანი. „საქართველოში, — განაგრძობს ბ-ნი ვ. გვახარია, — ახალმა რელიგიამ არა მარტო წარმართული რელიგიის ცენტრები დაისაკუთრა, არამედ სავარაუდებელია, რომ წარმართულ სიმღერებსაც შეუცვალა ტექსტები. წარმართული რელიგიის გადმონაშთები ხელოვნების ძეგლებშიც შეინიშნება, მაგალითად: ბოლნისის ტაძარში — ხარის გამოხატულება; გვხვდება აგრეთვე ჭიკაოკონობა, შელოცვები, გალობები“.

შემდეგ ბ-ნი გვახარია მოგვითხრობს საქართველოს კულტურულ განვითარებაზე: ამონასტრო მშენებლობა ყველა კუთხეში. მონასტრებში ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლების მოღვაწეობა; გელათისა და გრემის აკადემიები; მათი მჭიდრო კავშირი ცნობილ საეკლესიო მოღვაწეებთან; მონასტრებში იქმნებოდა გალობათა სკოლები; ყალიბდებოდა პროფესიული კაპელები; ცნობილია გიორგი მთაწმიდელის მიერ ოთხმოცი ობოლის გუნდი, რომელსაც მთაწმიდელმა შეაწავლა ქართული და ბერძნული გალობანი და კონსტანტინოპოლის კეისრის კარზე აგალობა.

შესანიშნავია ის, რომ იმ დროს, ბერძნული და ქართული საგალობელთა მუსიკის დანსხვავება არსებობს და წარმოდგენილია მიქელ მოდრეკილის კრებულიდან: „შევკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთადათ, მეხურნი, ბერძნულნი და ქართულნი“-ო.

იმ დროს (მეთე საუკუნის) საქართველოში არსებობდნენ თანამდებობანი — 1. მგალობელთა უხუცესი; 2. გალობის მოძღვარი; მწიგნობარ-მგალობელი; 4. მთავარი მგალობელთა; 5. წინამძღვარი გალობისა; 6. ხელოვანთ მთავარი; 7. მძნობარი.

არსებობდა ანსამბლის ტერმინოლოგია: 1. მწყობარი, 2. გუნდი, 3. დასი; აგრეთვე საეკლესიო დარგები: 1: ბიბლიური წიგნების თარგმნა, რედაქციები; 2. აპოკრიფული ლიტურატურა, უმეტესად ხალხურ-რელიგიური ზეპირსიტყვიერება. 3. ბიბლიური ტექსტების ახსნა-განმარტება და მრავალი სხვა დარგი და მუსიკის ისტორიისათვის განსაკუთრებით საყურადღებო ლიტურგია და პოეზია, ფართო გაგებით.

ამ საუკუნეებში ქართული პოეზია შეიცავს პოეტურ ნაწარმოებებსა და მუსიკას. ტექსტი არის ორიგინალურიც და თარგმანიც, ვხვდებით ლექსის სხვა და სხვა ფორმას; პრაქტიკულად სწავლობენ გალობას; კანტილაციის და პუნქტუაციის ნიშნები განიხილებოდა გარამტიკებში, მუსიკის არსისა და ზოგად საკითხებზე განიხილავდა ფილოსოფია; ლიტურატურული პოეზია შოიცავს ჰიმნებს; ბერძნულში ოქტოეხოსი კვირადღის საგალობლებს ეწოდებოდა. „სადა“ ან სხვა დღეებისა (ორშაბათიდან შაბათამდე) იყო „პარაკლიტონი“.

ქართულ ოქტოეხოსში პირველ ოთხს („სადა“-საც და კვირასაც) ცალკე კითხულობდნენ და ეწოდებოდა „ხმანი“ — პლაგალურ მომდევნო ოთხს კი „გუქრდნი“. გარდა ამისა იყო: „მარხუანი“, ანუ დიდი მარხვის საგალობელი წიგნი — „ზატკი“ ანუ აღდგომის საგალობელი; ორივეს ერთად უწოდებდნენ „ხუედრნი“-ს. „თთუენი“ ან „იადგარი“ არის წიგნი წმიდანთა დღესასწაულების საგალობლებისა. ლიტურგიული ჰიმნებია: „გალობა“ ან „საგალობელი“. „ავაჯი“ ანუ კილოს ჰანგი (როგორც აკადემიკოსი კ. კეკელიძე ვარაუდობს); „ძლისპირი“, რომელსაც გარკვეული ავაჯი გააჩნია; რომელსაც ავაჯი არა აქვს, იგი არის „ტროპარი“, ან „დასდებელი“.

მეთე საუკუნეში უკვე პროფესიონალი ჰიმნოგრაფი-ლიბეტული სანოტო სისტემა. გიორგი მთაწმინდელის „სახარების“ ბოლოს დართული აქვს ბერძნული სანოტო ნიშნების წესსა, სულ ბოლოს კი დართული აქვს ქართული ნოტების ტაბულა.

ორიგინალური წარმოშობის ქართული ნოტები ცნობილია გენიალური მოღვაწის მიქელ მოდრეკილისა და იორდანეს კრებულებიდან. აქვე აღნიშნავს ბანი ვ გვახარია, რომ სანოტო ნიშნები გვხვდება სხვა ხელნაწერებშიც, რომელთაც იგი დაწვრილებით აღრიცხავს და ახასიათებს. ამის მიხედვით ავტორს დააკენა გამოაქვს:

„ტექსტზე დაკვირვება ნათლად გვიჩვენებს, რომ ქართველ ჰიმნოგრაფებს, ამ საუკუნეებში შეუქმნიათ და-

ხვეწილი სანოტო სისტემა, რაც მუსიკალური ხელოვნების მაღალ კულტურაზე მეტყველებს“-ო.

მეთე საუკუნეში უკვე პროფესიონალი ჰიმნოგრაფი-კომპოზიტორები გვყავს, როგორც ვარაუდობს ავტორი, საეკლესიო მუსიკას მეშვიდე საუკუნედან ეყრება საფუძველი; პირველი ორიგინალური ქართველი ჰიმნოგრაფი არის მერვე საუკუნის მწერალი ჰიმნოგრაფი იოანე საბანისძე. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ლიტურგიის და მუსიკის განვითარებაში გრიგოლ ხანძთელს (759 - 861 წ.). მიქელ მოდრეკილი მოღვაწეობდა ოშკის მონასტერში; მისი ჰიმნები ორგავარია: 1) საღღესასწაულო და 2) პარაკლიტონი. მის კრებულში მოთავსებული არის შემდეგი პროფესიონალ ჰიმნოგრაფების საგალობლები: თვით მიქელ მოდრეკილისა, იოანე მტბევერისა, იოანე მინჩხისა, სტეფანე სანანოის-ძე ჭყონდიდელისა, ეზრასი, იოანე ქორქოზის-ძის, ბასილი ხანძთელია, კურტანასი და ანონიმური ავტორებისა.

მიქელ მოდრეკილის კრებული შედგენილი არის 978—988 წლებში; მასში წარმოდგენილია მოკლე იადგარები, საგალობელი ქართული „კანონისა“.

ეს კრებული სანოტო ნიშნებით დიდი ყურადღებით აქვს განხილული ავტორს; იგი ახსენებს ყოველ მოღვაწეს, რომელთაც სხვა და სხვა თვალსაზრისით (ენის, პოეტიკის, მუსიკის) უმუშავნიათ ამ საკითხზე და დასკვნით გადმოგვცემს:

„ქართული სანოტო ნიშნები ვერ ამოხსნა ცნობილმა მკვლევარმა ე. თიბო-მ, რომელსაც საქართველოში რამოდენიმე ნაშრომით იცნობენ მხოლოდ; მას ბიზანტიურ-რომაული ძველი მუსიკალური ნიშნების შესახებ მრავალი საყურადღებო გამოკვლევა მოეპოვება. აკად. ი. ჯავახიშვილი „ქართული მუსიკის ისტორიის საკითხებ“-ში განიხილავს მხოლოდ იმ ათ ნიშანს, რომელიც ე. თიბოს ნაშრომშია მოყვანილი, რადგან ამ დროისთვის, როდესაც ეს წიგნი იწერებოდა, მიქელ მოდრეკილის ცნობილი კრებული პარიზში იყო გადატანილი, ხოლო შემდეგ ჩამოიტანა იგი საქართველოში ექვთიმე თაყაიშვილმა. იმავე წელსვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში ქართული მუსიკალური ნიშნების შესახებ წაკითხულ იქნა პროფ. შ. ალაწიშვილის მოხსენება, რომელიც დღემდე არ არის დაბეჭდილი. 1954 წ. სამუსიკო ნიშნების შესახებ გამოქვეყნდა ო. ჩიჯავაძის წერილი „საბჭოთა ხელოვნება“-ში; 1956 წ. 26 ნოემბერს პ. ინგოროყვამ წაკითხა მოხსენება თემაზე: „ძველი ქართული სამუსიკო ნოტები ამოხსნა“; ამავე წლის 14 დეკემბერს „ლიტერატურულ გაზეთ“-ში (№50, 1012) გამოაქვეყნა ინტერვიუ 1957 წლის №2-3, საბჭოთა ხელოვნების“ ფურცლებზე დაბეჭდა წერილი „ძველი ქართული მუსიკის ამოხსნა“, ხოლო უფრო ვრცლად გააშუქა გამოკვლევის თეორიული ნაწილი „მნათობ“-ში (1958

წ. №2); ამ გამოკვლევას და საკითხებზე მიეძღვნა ალ. მა-
ქავარიანის ორი წერილი; ერთი „საბჭოთა ხელოვნება“-
ში, მეორე „სოვეტსკაია მუზიკა“-ში (1957 წ. №9) და
ბოლოს პ. ინგოროყვამ თავისი მოსაზრებები შემოკლებ-
ული სახით გამოაქვეყნა „კულჩიერ უნესკო“-ში №6,
1625 წ. რომელიც დაბეჭდეს „კომპუნისტ“-მა და „ზა-
რია“-მ.

1957 წელს, 18 სექტემბერს პ. ინგოროყვას გამოკვ-
ლევის შესახებ, კონსერვატორიის სამხატვრო საბჭოზე
მოხსენებით და კრიტიკით გამოვიდა პროფ. შ. ასლანი-
შვილი, ხოლო 1956 წლის 26 ნოემბერს თვითონ ვ. გვა-
ხარია, ამ წიგნის ავტორი.

როგორც ვხედავთ, მიქელ მოდრეკილის კრებულის
სანოტო ნიშნების გაშიფვრა და მათი რაოდენობა დღე-
მდე გამოურკვეველი არის და რჩება მწვავე საკითხად
ბ-ნ ვ. გვახარიას მოაქვს თითოეული ხელნაწერის აღწე-
რაში თავისი დასკვნები, რაც ყოველად საყურადღებოა
და ამასთანავე ადასტურებს მის განუწყვეტელ შრომას
ამ საკითხზე.

მიქელ მოდრეკილის და გრ. ხანძთელის შემდგომ უნდა
აღნიშნოს დიდი ქართველი მოღვაწეების ექვთიმე და
გიორგი მთაწმიდელის, ივარემ მკვირის, არსენ იყალთო-
ელის და იოანე პეტრიწონილის ჰიმნოგრაფიული შემო-
ქმედება მე-11 — 12 საუკუნეში. ამ ხანას ავტორი ასახავს
არქიტექტურისა და სასულიერო მუშაების აღმავლობის
ხანაო, რომელსაც მოსიძის საერო ხელოვნების აყვავების
ჟამი მიცამეტი საუკუნეში.

თამარის გამეფებაზე, „მოიღეს გვირგვინი და აღიმალ-
ლეს ხმა მგალობელთა“, ავტორი აღნიშნავს შოთა რუს-
თაიელის მიერ ანალოგიური სურათის აღწერას, თინა-
თინის გამეფების პარალელად; გვიხვენებს, როგორ ვი-
თარდებოდა ქართული პოეზია, მუსიკა, ცეკვა, სიმღერა;
როგორ მალალ დონეზე იდგა მუსიკალური კულტურა
რანდღობის ეპოქის საქართველოში; თან ახსენებს ლიტე-
რატურულ ძეგლებსაც.

მე-13 — მე-14 საუკუნეს მოსდევს საქართველოს პო-
ლიტიკური ძლიერების დაკრემა, დაქვეითება, — ამბობა
ბ-ნი ვ. გვახარია, — მიუხედავად ამისა იწერებოდაო
მრავალნაირი შრომა.

მე-16 საუკუნიდან იწყება აღორძინება, რომელსაც
„ვერცხლის ხანას“ უწოდებენ. აქ ავტორი მოგვახსენებს
ახალი ჟანრების განვითარებაზე პოეზიაში და თვით მუ-
სიკაში. რუსეთთან და ევროპასთან დაახლოვებაზე, გან-
საკუთრებით ძველი თემატიკებიდან ახალი ვერსიების

გავრცელებაზე, უამრავი ვარიანტი: ბაიათური სტილი
ქალაქურ ფოლკლორში; ახალი ტერმინების შემოღება;
როგორ იცვლებიან მუსიკალურ საკრავთა სახეობანი;
სანახაობათა შინაარსიც და ფუნქციაც.

ამ საერთო ისტორიულ შესავალს მოსდევს ხუთი მნი-
შვნელოვანი თავი: 1. იოანე ბაგრატიონის ქართული ვო-
კალური და ინსტრუმენტული მუსიკალური ნიშნების
სახელმძღვანელო; 2. ეკონტრაქტური ნიშნები, ჭრელე-
პის წუსხა; 3. „ხმანი“; 4. ქართული საგალობლების ანა-
ლიზი და აღწერა; 5. მეთაე საუკუნის მუსიკალური სია-
ტიმა. თითოეული გულდასმით დამუშავებულია და გან-
მარტებული, უამრავი შედარებით ბიზანტიურ-რომაულ
ნაწერებთან.

ეს გიგანტური ნაშრომი ავტორისა ძირითადად მუსი-
კის სპეციალისტებმა უნდა განიხილონ. ქართული მუსი-
კალური განძი გადმოცემულია ავტორის მიერ სამას
გვერდზე (გვ. 102 - 404). დაასკვნელად სიტყვა თვით
ჩვენ მივნიერს დაეუთმოთ

„თავისი მოცულობით ქართული ძეგლები ბიზანტიუ-
რის შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანია. შესრულების
ხარისხით მიქელ მოდრეკილის არასრული კრებული
მსოფლიო ლიტერატურის შედეგია. ქართული სამუსი-
კო ნიშნების მართლწერა, შედარებით ბიზანტიურთან
და სომხურთან, მარტივია, სადაა, ეს აღნიშნული იყო არა
ერთჯერ და ამდენად უფრო ადვილი იყო მასიური გა-
მოყინებისათვის.

„ქართული ჰიმნოგრაფიული კრებულები, მსოფლიო
ლიტერატურისათვის საყურადღებო ძეგლებს წარმოად-
გენენ, რადგანაც მათში გარდა მდიდარი, დახვეწილი, მა-
ღალი კოლტურისა, მოკიმილია გამოჩინილი ბიზანტიუ-
ლი ჰიმნოგრაფების ჰერმელოიდან თარგმანები, რომლე-
ბიც ხშირად თავისი მხატვრული თიხისებით ორიგინა-
ლობს ალიმატიზიან და ავსიბენ იმ ხარკის და დაწკ-
ლისს, რომლიც ბიზანტიური ლიტერატურის რიგი ძეგ-
ლების დაკარგვით არის გამოწვრილი.

„ქართული მუსიკალური ნიშნები სისტიმა, რომელიც
ერთ-ერთი უძველესია და უნიკალური მსოფლიოში, სა-
ყურადღებოა იმ მხრივაც, რომ ამ მარტივი კონსტრუქ-
ციის ნიშნებით იმ დროინდელ სამყაროში მრავალხმიანი
მუსიკა გაიმოქიმილი“-ო (გვ. 436).

ჰიმნოსი ეკუთვნის ავტორის ნაშრომს..

ელენე წერეთლის ასული

ბრატუსელი, 3-11/1969 წ.

მალან და მალანია

უკვე კარგა ხანი არის მას შემდეგ, რაც ქართველი მკვლევარები უცხოეთში მოღვაწე ქართველებს დაეძებნენ. ეს საქმები საქმეც არის, მაგრამ ამას ხშირად ტრადიციის უხეირო პროპაგანდისათვის იყენებენ და თავი იძიო მოაქვთ, რომ ჩვენ, საბჭოელები, ჩვენს წარსულს დიდად ყურადღებას ვაქცევთ და კვლევა-ძიება თავის უმაღლეს საფეხურზე გვაქვსო ატანილი. სხვათა შორის მხოლოდ ერთი დამახასიათებელი მაგალითი მსურს აღვნიშნო —

შვეიცარიელი და მერმე ინგლისელი „მალან“ ერთმა მკვლევარმა ქართველ „მალანია“-დ გამოაცხადა. რატომ არა? „მალან“ შეიძლება „მალანია“-დ ადვილად გადაკეთდეს და იმით იამაყონ — აი, ჩვენ ქართველი მეცნიერი სად აღმოვაჩინეთო!

1967 წლის მაისის 17-ს, № 20, გვერდი 4, „სახალხო განათლება“-ში პროფესორი -თედო ბაგიაშვილი ამტკიცებდა: — მალანია ქართველი მეცნიერი არისო და შემდეგ ეს დებულება განიმეორა უშნო და ჭორიკანა პროპაგანდის გაზეითა „სამშობლოს ხმა“-მ. აი როგორი წესით სწერს იგი ამ მოვლენას:

— „ბევრი ქართველი მეცნიერი ეწეოდა უცხოეთში მეცნიერულ მუშაობას. ბევრი მათგანი საქვეყნოდ განთქმული მკვლევარი იყო და ნაყოფიერად იღწვოდა ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.

„ერთ-ერთი ასეთი პიროვნება გახლდათ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მალანია**, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში მოღვაწეობდა ევროპასა და აზიასში. პროფესორი მალანიას შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ მოგვეპოვება. მხოლოდ მცირე რამ იცის საქართველომ მის შესახებ“-ო და სხვა.

არ დაკმაყოფილებულან ქართველი „მკვლევარები“ იმით, (ან არ იციან), რომ 1894 წ. გაზ. „ივერია“-ში დაბეჭდილია ინგლისურიდან, გაზეთი „ტაიმს“-იდან ნათარგმნი ნეკროლოგი. არ დაკმაყოფილებულან, (უფრო სწორეთ: არ იციან!). და პროფესორმა თ. ბეგიაშვილმა ეს შვეიცარიელ-ინგლისელი ქართველად გამოაცხადა...

ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ თბილისიდან არა ერთჯერო მიღებულმა შეკითხვამ ამ მალანის ნამდვილი ვინაობის შესახებ, მაიქულა ეს საკითხი გაშეშუქებინა.

თბილისში წერენ: „პროფესორ მალანიას შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ მოგვეპოვება. მხოლოდ მცირე რამ იცის საქართველომ მის შესახებ“-ო.!

თუ მკვლევარი არის მართლა მკვლევარი იმისთვის ძელი არ უნდა ყოფილიყო გაზეთი „ივერის“ მოძებნა! და თუ მან მალანიის შესახები ცნობები ძველ ქართულ

გაზეთში დაბეჭდილად არ წარმოიდგინა, მაშინ ინგლისური ცნობები უნდა დაეძებნა. ეს ადვილი საქმე არ არის თბილისელისათვის, რომელსაც უცხოეთს თავისუფლად წამოსვლის საშუალება არა აქვს... მაშ, უფრო ადვილია ვინმეს ბიოგრაფიის შეთხზვა!

მალანია - მალანის ცხოვრება აღწერილია ინგლისურ ბიოგრაფიათა წიგნში. მალანიას ოჯახის ისტორია მოთხრობილი აქვს ამ ოჯახის ერთ-ერთ წევრს!

აქ ჩვენ ვტყობილობთ, რომ მალან-ის გვარი, ჩამომავლობით იტალიური, ცხოვრობდა იტალიაში, და ეს გვარი გავრცელებული იყო პიემონტის ხეობაში. იქედან ერთი ოჯახი მალან-თა გადმოსახლებულა სამხრეთ საფრანგეთში და შემდეგ გადასახლებულა უნევაში 1722 წელს. ოჯახის უფროსი, ანრი აბრაჰამ სეზარ მალან იყო სასულიერო პირი და რეფორმატორი. იგი გარდაიცვალა 1864 წელს. იხილეთ:

La vie et les travaux de César Malan... par un de ses fils. Genève, 1869, p. 20-21, 501.

აი, მისი შვილი გახლდათ ჩვენთვის საინტერესო „მალანია“. იგი დაიბადა 1812 წელს და მისი სახელი იყო — სოლომონ სეზარ მალან. მან ხელი მიჰყო მეცნიერულ მუშაობას; 1837 წ. მალანმა ლონდონში მიიღო საშეცნიერო დოქტორის ხარისხი; იგი იყო თეოლოგოსი და ამასთანავე ბევრი ენის მკოდნეც. იგი დანიშნეს ინდოეთს. კალკუტის უნივერსიტეტის პროფესორად შეიღიგაში ბრუნდა ინგლისს და იქ აირჩიეს „ბალიოლ კოლეჯის“ წევრად, ოქტობრში. მან ქათული ენაც იცოდა; 1872 წელს იგი ესტუმრა იმერეთის ეპისკოპოსს. გაბრიელს (ქიქოას); მან ქართულიდან ინგლისურად თარგმნა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი და გამოსცა იგი კიდევ, ისე როგორც პლატონ იოსელიანის ქართულ ეკლესიის ისტორია. ეს მალან გარდაიცვალა 1894 წლის, ნოემბრის 13 (25)-ს.

ლონდონში მცხოვრებ ჩემს ძველ მეგობარს, ა. გ-ს ვთხოვე შესულიყო „ბრიტიშ მუზეუმ“-ის ბიბლიოთეკაში და ჩაეხედა ბიოგრაფიათა ლექსიკონში; მან სიამოვნებით შეასრულა ეს დავალება და მაცნობა:

მალან, სიზარ ეან სალომონ-ის (1812 — 1894 წ.) შესახებ ბრიტანული ნაციონალური ბიოგრაფიის დიქსიონარში ნათქვამი არისო: —

მალან იყო ორიანტალისტი და ბიბლიის მკვლევარი; ის იყო ჩამომავალი ვალენსური ოჯახიდან, თავდაპირველად დასახლებული მერინდოლ - ში, პროვენს-ში (სამხრეთ საფრანგეთში) და რელიგიურ დევნათა შედეგად სხვა და სხვა მხარეში განიზნული 1714 წ. ოჯახის ერთი

ნაწილი ცხოვრობდა ყენევაში და იქ დაიბადა 1812 წლის აპრილის 22-ს სეზარ ჟან სალომონ (დედა-მისი იყო შვეიცარიელი). მას მამა ზრდიდა და უკვი ბავშვობიდან იცოდა ევროპული ენები. შემდეგ შეისწავლა ებრაული, არაბული, სანსკრიტული და სხვა. 1830 წელს იგი წაიყვანეს აღმზრდელად სკოტლანდს (შოტლანდია) ერთი მარკიზის ოჯახში და მერმე იწყება მისი მეცნიერული მოღვაწეობა და წინსვლა... 1872 წელს მან იმოგზაურა საქართველოში, (სადაც იგი იყო სტუმარი გაბრიელ ეპისკოპოსისა და ქადაგებაც წარმოთქვა ქუთაისის ტაძარში, ქართულ ენაზე). იყო სომხეთშიც. მერმე აღწერილია ამ პროფესორ მალან-ის მოღვაწეობა და მის მიერ დაბეჭ-

დილ წიგნთა შორის მოხსენებულია პლატონ იოსელიანის „ქართული ეკლესიის ისტორია“, რომელიც მას უთარგმნია ინგლისურად.

ამ ბიოგრაფიაში. რომელიც არის მოკლე, რატომღაც მოხსენებული არ არის, რომ მან თარგმნა ინგლისურად გაბრიელ ეპისკოპოსის ორ-ტომიანი ქადაგებანი, ოძელიც მე თვითონ მინახავს, ინგლისში ყოფნის დროს...

Dictionary of National Biography, edited by Sidney Lee. Supplement vol. III. London, 1901, p. 133-134.

ასეთი არის, ბატონებო, თქვენ მიერ გაქათველებული მალან-ის მოკლე ბიოგრაფია. აწი მინც იცოდეთ!

ვ. ნოზაძე

ლუი არაგონ ფიროსმანის შესახებ

საქართველოში ბევრს წერდნენ ნიკო ფიროსმანიშვილის გამოფენაზე პარიზში. წერდნენ გადაჭარბებულადაც; წერდნენ სიცრუეააც, — თითქოს ცნობილი კომუნისტი მწერალი, ფიროსმანზე მზრუნველი, ლუი არაგონ გამოფენის გახსნასაც დაესწრო... მკითხველი თვითონ მიხვდება: რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი წევრსა და განთქმულ რომანისტს ამ გამოფენის გახსნაზე დასწრება არ შეეძლო და იცით, რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ცნობილმა ლუი არაგონმა მოსკოვის რისხვა დაიმსახურა. ჯერ ერთი: მან უარი თქვა შოთა რუსთაველის იუბილეს დასწრებოდა, იმის მიუხედავად, რომ ეს ფრანგი კომუნისტი მწერალი ქართველ მწერლებთან მეგობრულ განწყობილებაში იყო. მისი საუარო პასუხი მან მოკლედ გამოთქვა და იგი მიმართული იყო მოსკოვისადმი: თქვენ ცოცხალ მწერლებს ციხეში და კონცენტრაციულ ლაგერებში აგზავნით, ხოლო გარდაცვალებულ მწერლებს იუბილეს უხდითო... შემდეგ, როდესაც მოსკოვში რუსის მწერლები გაასამართლეს და ციხეში დამწყვდევეთ დასაჯეს, არაგონმა ამის გამო პროტესტი განაცხადა და მწერლობის თავიუფლება მოითხოვა.

შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში რუსული ტანკების შესვლით აღშფოთებული არაგონი თავის პროტესტს აძლიერებს, მოსკოვის ამ მზაკვრულ მოქმედებას სასტიკად გმობს და ერთა თავისუფლებას იცავს...

როგორ უპასუხა მოსკოვმა. მან აკრძალა საბჭოთა კავშირში ყურნალის „ლე ლეტრ ფრანსეზ“ ის შეშვება, სადაც იგი სამი ათასი ცალი იგზავნებოდა. და ისიც აღსანიშნავია, რომ ლუი არაგონის მფლობელობაში მყოფი ფიროსმანიშვილის სურათების გამოფენის ნება არ დართეს... დანარჩენს მკითხველი მისი წერილიდან გაიგებს. ლუი არაგონის ეს წერილი თარგმნა მიხეილ ქავთარაძემ.

ახალი ამბავი ის არის, რომ წელს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე, როდესაც მის ერთ-ერთი სხდომის თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო ლუი არაგონი, საბჭოურმა დელეგაციამ ამას წინააღმდეგობა გაუწია, — რსსაკვირველია, კულისებში, გარნა სავსებით უშედეგოდ; თუმცა ფრანგ კომუნისტებს დიდი დევა დასჭიდათ, რათა საბჭოელები დაერწმუნებინათ, რომ ეს ყრილობისათვის საჭირო და აუცილებელი არისო... დანარჩენს მკითხველი თვით ლუი არაგონის წერილიდან გაიგებს...

„მხატვრობა, ხელოვნების სხვა დარგთა შორის, ყველაზე მეტად, მოულოდნელობით სავსე საგანია. ყოველთვის, როდესაც გვგონია, რომ მან განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომლის შემდეგ მას საკუთარ მიღწევათა განმეორება-და დაჩინა, ხდება ამბები, როგორც ზღაპარში: იღება კარი იქ, სადაც აქამდე არავითარი კარი არ იყო; ალაღანის ფრანგი ინთება; და მფრინავი ხალიჩა აღამიანთა გონებას უცნობ მხარეთაკენ იტაცებს. წარმომიდგენია ფრანგ მხატვართა განცვიფრება, რო-

დესაც ფრანსუა პირველმა, თავის ტაძრულთან ერთად, დე ვინჩი ჩამოიყვანა. ან საწინააღმდეგო მიმართულებით რომში ჩასულმა პუტენმა იქაურ მხატვრობაში გამეფებული სინათლე რომ აღმოაჩინა, რომელიც მან საფრანგეთში ამეფა ვიდრე კორო-მდე; დელაკრუამ ლონდონში რომ ბორინტონი იპოვნა. ან კიდევ ყერიკო ბოგარტთან მისული. მაგრამ იქნებ უდიდეს განცვიფრების ერთ-ერთ მომენტთაგანი ის წამი იყოს, როდესაც ჰოკუსაი უტამარო და სხვანი მათგარნი ამ მეოცე საუკუნეში

აკადემიკურ სკოლას წინააღმდეგ — სკოლას, რომელიც მას შემდგომ, ჩვენს მხატვართა მიერ, (კურბე-დან ვიდრე ნიკოლა დე სტალამდე) სადავო საფინანსო არის ქცეული.

და აი, ვინმე ახალმოსული, ჩვენს შორის გაჩნდა და მხატვრობაში შესაძლებელ — შეუძლებელზე პაექრობას ხელახლა იწყებს; ყოველგვარი მათემატიკური ხმაურის გარეშე მოსული — იქედან, საიდანაც ჩვენ სრულებით არაფერს ველოდით.

რომ ჩვენს დროში ეს გაკვეთილი საქართველოდან მოდის, ეს იმდენადვე საკვირველია, რამდენად საკვირველ იყო მისი იაპონიიდან მოსვლა მატისის დაბადების ხანაში. იმ დროში, როდესაც 1863 წელს დაბადებული მხატვარი, რომლის შესახებაც აქ ვლასპარაკობთ, ჯერ ბავშვი იყო და ყოველგვარ ცოდნას მოკლებული ეს ბავშვი, იქ მის სოფელში, კახეთში, უცერად ხატვის გიჟური სურვილით აღივსო და დღეს, როდესაც ეს ბავშვი, რომლის დიდებაც დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ქუჩის საღაშლანდარო საგანი იყო, რაღაც სასწაულით ლუერის მუზეუმში შედის, მე თქვენ უნდა მოგიხროთ ნიკო ფიროსმანიშვილის ისტორია. მას ჩვენ სიადვილსათვის ფიროსმანიშვილის ისტორია. მას ჩვენ სიადვილსათვის ფიროსმანიშვილის ისტორია. მას ჩვენ სიადვილსათვის ფიროსმანიშვილის ისტორია. მას ჩვენ სიადვილსათვის ფიროსმანიშვილის ისტორია.

კახელი, მირზაანელი მებაღის შვილი... აქ ყოველ სიტყვას განმარტება დასჭირდებოდა, მაგრამ თქვენთვის არ აქვს მნიშვნელობა, რომ ალექსანდრე პირველმა, ბაგრატიონმა, 1424 წელს, საქართველო თავის სამ ვაჟს გაუნაწილა, რომელთაგან ერთს კახეთი ერგო... ეს ის წელია, ოდეს შარლ მეშვიდემ, რომელიც მაშინ მხოლოდ ზურაბის მფეფე-ლა იყო, ამბოღების დღის ციხე-ქალაქი შარტიტე საღურ ლუარ დაჰკარგა. ფიროსმანიშვილის ისტორია მხოლოდ 1863 წელს იწყება, როცა კურბე-მ (ვით რაფაელმა — როგორც თვითონ ამბობს —) „კონფერენციიდან დაბრუნება“ დახატა და მანამ თავისი „საუბრე მდელი“-ზე „უკუგდებულთა სალონი“-ში გამოჰქვინა.

მამის სიკვდილის შემდეგ ნიკო, ეხლა თბილისად წოდებულ, მაშინდელ ტიფლისში გაუგზავნიათ. ეს უნდა მომხდარიყო 1870 წელს და იქ თავის მასპინძელ ნათესავთან, რომელიც სამხედრო პირი ყოფილა და სახელად კალანთარი რქმევი, ნიკოს აღმედგრა ხატვის სურვილი და აკვარელს ჰკიდებს ხელს. მაშინ მისთვის ნამდვილ მხატვრად გახდომას რა პირი უნდა აჩვენოდა? 1891-იან წლებში 28 წლის ნიკო საბარგო მატარებლის კონდუქტორად მოაწყვიტეს. ამ ხელობაზე მან სამი წელი დაჰყო (1894 წ. იანვარი), ვიდრე ავადმყოფობამ მას ამ ხელობის მიტოვება არ აძულა. რის შემდეგაც მან თბილისში რძის ნაწარმოთა სააგარო გახანა და, უნდა ვიფიქროთ, ამ დროს უნდა მისცემოდა მას პირველად კიდელზე დახატვის შესაძლებლობა: მან თავისი დუქნის კედლები

მისი ნახელავი ძროხების სურათებით მოხატა და თუმცა მისი მხატვრული შემოქმედების თარიღად 1888 წელს მიიჩნევენ, ე. ი. როცა იგი 25 წლისა იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დუქნის გახსნის შემდეგ უნდა დაეწყო მას სერიოზული მუშაობა თავის სურათებზე. მისმა „ძროხებ“-მა (1894?) ყოველ შემთხვევაში ჩვენ დრომდე ვერ მოაღწია. უნდა დავუშვათ, რომ 1896 წელზე ადრე მხატვარ ფიროსმანს არ იცნობდნენ. ხოლო რაც მას პირადად შეეხება, ამბობენ, რომ იგი იმ დროს საამო თანამესუფრე ყოფილა: თავაზიანი და ხელგაშლილი; თანაც საკმაოდ ფიცხი, მაგრამ არა გულგვარძლიანი.

ცხადია არავის, ვისაც მისი პირველი სურათები ხელთ ჩაუვარდა, ისე დიდად არ დაუფასებია, ჯერ თუხდ იმიტომ, მხატვარს არც კი უფიქრია ამაში გასამაჯელო მიეღო, ხოლო, გარდა ამისა, ცუდი მასალისაგან შექმნილი სურათები მალე ფუჭდებოდა; მათი ნაწილი დანიშნული იყო სარდაფების დასამშენებლად, რომელთაგან ზოგი დაანგრეს, ზოგი ხელახლა შეღებეს, ბევრ სხვას ბნელ სარდაფთა სინესტემ და მოუვლელობამ მოუღო ბოლო.

კირილე ზდანევიჩის თუ დავუჯერებთ, რომელიც თუმცა გვიანდელი მოწემა (მან ფიროსმანი მხოლოდ 1912 წელს ნახა), მაგრამ თავისი ძმა ილიას გვერდით (პოეტი ილია დიდი ხნიდან პარიზში მცხოვრები, პიკასოს მეგობარი და პოეტური მიმართულების „ზაუმ“-ის წევრი), ფიროსმანის დღის სინათლეზე გამოყვანის ავტორია. აი, ამ ზდანევიჩის თუ დავუჯერებთ, ფიროსმანის პირველი პალიტრა (1895 — 1906) შეიცავდა ბაც მწვანეს, ბაც ყვითელს და ნაცრისფერს, რასაც იშვიათად შეიძლებოდა შავი და ლურჯი მიმატებოდა, რის ნიმუშებსაც წარმოადგენს დიდი სურათი „ნადირობა შავიზღვის პირას“, რომლის პარიზში არ ხილვას ძლიერ ვნანობ (1 მეტრი 05 სიმაღლე, 3 მეტ. 58 სიგანე). 1895 წლიდან 1903 წლამდე ჩვენში იმპრესიონისტთა ტრიუმფის ხანაა, მაგრამ ამავე დროს ხანა, როდესაც იწყება არჩევანის ადატანა ევრეთ წოდებულ „პრიმიტივებ“-ზე, რომელთა სახელებია: სეზან ვან გოგ და გოგენ, რომელთა მაგალითიც ჩვენმა მხატვართა ახალმა თავობამ გაკვეთილად მიიღო, რის შემდგომ მორო-ს ატელიიდან გაქცეულნი დერენ, რუალტ და მატის, თავიანთი ოსტატის სწავლის უარყოფილნი, „ფოვიზმ“-ს გამოიგონებენ.

მე აქ ვთქვი სიტყვა „პრიმიტივი“, რომელიც მაიძულებს... ფიროსმანს მივუბრუნდე. შემიძლია ნაძლევი დავილო, რომ მას აქ შეხედავენ, როგორც „ნაი“-ს და ეს სწორედ ის არის, რაც შეიძლება ითქვას კურბე-ს ზოგი სურათის, სეზან-ის და გოგენ-ის შესახებ, რადგან ეს მხატვრები სკოლის მიდევნით არ ხატავდნენ. ჰენრი რუსსო ლე დუანის-ს პრეცედენტმა, მისი სახელის განთქ

ჰან, ის გამოიწვია, რომ აჩქარებულმა ხელოვნების მკლდეებმა წარამარა აღმოაჩინეს, თითქოს ანალოგიური ფენომენები „შაბათ-კვირ“-ის მხატვართა შორის, ბოლოს ბავშვთა შორისაც. ამგვარად შეიქმნა „ნაივ“-ობის მოდა.

ფიროსმანში ის არის საკვირველი და შეუდარებელი, რომ მისთვის ეს ეპიდემიური ეტიკეტის ტარება სრულყოფილ საშიში არ არის. დამიჯერეთ: ფიროსმანი მთელი თავისი არსებით იმას წარმოადგენს, რაც სწორედ წინააღმდეგია ცნებისა „ნაივ“ (= გულუბრყვილო). იგი მხატვარი არის, რომელმაც თავისი მხატვრობისათვის თვით გამოიგონა ყოველი. დაახლოებით ორმოცი წლის მანძილზე თვით განავითარა იგი; მან თვითვე შექმნა თავისი ტექნიკა. ისევე, როგორც თავიანთი ტექნიკა შექმნეს „პრიმიტივ“-ებმა, იმათ, რომელნი მოსწყდნენ სკოლას, ზემოდ რომ ვახსენებ, ან რომელთ სკოლა არასოდეს გაუვლიათ; ვით მხატვრები, რომელთათვის გამოგონებულ იქმნა სიტყვა „პრიმიტივ“-ი. [იგულისხმებთან რენესანსის წინამორბედი მხატვრები. მთარგმნელი]

ლექსიკონი გვიხსნის: ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი პრიმიტიულ რამოდენიმე ფერსა ხმარობდნენ და ამათავან სხვა ფერებს შეზავებით ლებულობდნენო. თუ დავუკვირდებით, იტალიური მაგალითი, სხვა მიზეზთა გამო, კიდევ უფრო ახლოს არის იმასთან, რაც წარსული საუკუნის დამლევის საქართველოში ფიროსმანს შემოქმედის, მე მინდა ვთქვა, გენიის სახე ანიჭებს და რაც არც შეიძლება დავიყვანოთ, ჩვენში, ინსტიტუტსა და „დამოუკიდებელთა“ შორის მომხდარ ცდებამდე. [ინსტიტუტი და „დამოუკიდებლები“ აქ მოყვანილი არიან, როგორც კონსერვატიზმისა და აკადემიზმის სიმბოლოები. მთარგმნელი].

ფიროსმანისათვის სკოლა და აკადემიური სწავლა უცნობი იყო, თუმცა მას თვალ წინ ჰქონდა ის, რაც მთელ ქართულ ხელოვნებას საფუძვლად უდევს: ასურული ბარელიეფები, ბიზანტიური ფრესკები და სპარსული დეკორატიული ხელოვნება. თითქმის ყველა ავტორმა, ვინც კი ფიროსმანზე დაწერა რამე, ეს ჩემზე ადრე თქვა და ამაში ახალი არაფერია. მაგრამ მე დავუმატებდი, რომ თუ ფიროსმანის ხელოვნებას, ამ ხელოვნების წარმოშობის კვალი ემჩნევა, უმთავრესად ყურადღებას იპყრობს სწორედ ის ყაიდა, რომლითაც იგი ამ წარმოშობისაგან იმიჯნება. აი სწორედ ამ გზით მე ვახლოვებ მას, — ნუ აკვირდებით, — ჯიოტოსთან, ლეთიურ ყრმასთან, რომელიც ვესპასიანოს გამოქვაბულში, ხან ცაჩით, ხან ნახშირით, სურათებს ხატავდა და სადაც იგი შემთხვევით სიმაბუქმ აღმოაჩინა, ალტარებულ - განცვიფრებულმა. დიდი ოსტატები იანნი არიან, ვისაც ვერავინ იმეორებს. და ეს ტოსკანელი პატარა მწყემსი, იმიტომ შეიქმნა, რაც იგი იახნდა, რომ მან ბირველმა გაწყვიტა კავშირი მაშინდელი ტრადიციულ სწავლასთან, ბიზანტიურ დამატრია-

ვებელ ბრწყინვასთან, მის უძრავობასთან, მის მოოქრულ ფონთან, სიმაბუქმებრ ბილამაზესთან (რასაც მისმა ოსტატმა სიმაბუქმ ვერასდროს თავი ვერ დააღწია) და იმ თავისუფალი გზით წავიდა, რომელსაც „პრიმიტივ“-ს უწოდებენ. ამ გზაზე მავალს, მას ხშირად მოუქნელობა უხეშობას უსაყვედურებდნენ. აწვევ როგორც ჩვენს ხანაში — მატის-ს ან პიკასო-ს. და უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვა „პრიმიტივ“-ში არის ძირი სიტყვისა „პირველი“. დიდი მხატვარი ყოველთვის პრიმიტივია, ახალი მხატვრობისა, პირველი გამტენი ახალი გზისა. ასეთივე არის ფიროსმანი.

მე ეს დავწერე იმ გამოფენისათვის, რომელიც ამ დღეებში ლუერში, მარსანის პავილიონში უნდა გაიხსნას. და მარლო [აფრანგეთის კულტურის სამინისტროს მინისტრი იმ დროს. მთარგმნელი] ვერ უარჰყოფს, რომ თუ ფიროსმანისათვის დღეს ლუერის სახახლის მარჯვენა ფრთის კარი იღება, ამაში მთავარი პასუხისმგებლობა მე მენიჭება. ვინ ფიქრობდა, ვის მიაჩნდა შესაძლებლად, ან სასურველად, ვიდრე მე ამის შესახებ, მგონი ოთხიოდე წლის წინად, ჯერ მოსკოვში სუსლოვსა და შემდეგ პარიზს დაბრუნებისას, ანდრე მარლოს ველაპარაკებოდი? როდესაც ჩემი თხოვნის შედეგად ეს საკითხი მთავრობათა შორის მოლაპარაკების საგნად გადაიქცა, მოსკოვში შეამჩნიეს, რომ ფიროსმანზე აქამდე გამოცემულ ოთხ წიგნთაგან, სამი თბილისში გამოსულა 1927 წლიდან 1965 წლამდე, ხოლო მეოთხე — მოსკოვში 1964 წელს; ნაკლებად აკადემიური პირის კ. ზდანევიჩის ავტორობით (რომელმაც ადრინდელი გამოცემებით ისარგებლა). მაშინ გადაუწყვეტიათ, ამბობენ: მაღალ წრეებშიო, ნამდვილი ლამაზი, დასავლეთში გაგზავნის ღირაი წიგნი შეიკვეთათ, რომელიც ფიქრების ხმაურბაში ცნობილ ერთადერთ საბჭოთა სტამბაში უნდა დაებეჭდათ (საფოსტო მარკებს რომ ამზადებენ იმ სტამბაში), ქართველი ავტორის წინასიტყვაობით, რადგან არ შეიძლებოდა ამის დავალება მოსკოველთათვის, ვინაიდან ამ ხალხისათვის ფიროსმანი წარმოადგენდა სწორედ იმას, რასაც ისინი ებრძოდნენ. წიგნის ილუსტრაციები უნდა განმარტებულიყო რუსულ - ინგლისურ - ფრანგულად, უცხოეთში განხრახული გამოფენისათვის. წიგნი გამოიცა 1967 წ.

წლიდან წლამდე პარიზის გამოფენა გადაიდო. თუ რატომ — ჩემს თავს ნებას არ ვაძლევ წაზმოვადგინო ამის მიზეზი, ვინაიდან იგი ცხადია.

თითქმის ოცი წელიწადი ვცდილობ დავარწმუნო ისინი, ვისთანაც კი მოსკოვში ლაპარაკი შემოძლია, რომ ფიროსმანი დასავლეთში დავიწყებას მისცემს საბჭოთა მხატვრების კულტურისათვის და მათგან შემდგარ ამქარის მიერ გამოტანილ განკიცხვებს ყველაფრის მიმართ, რაც იმათ დოქტრინას არ ეკუთვნის. ბოლოს, რთულმა

და დიდმა მოლაპარაკებამ ჩვენთვის მხოლოდ სიხარულის მომგვრელი შედეგი გამოიღო, რომლის წყალობით ფრანგულ - საბჭოთა კომისიამ, რომელსაც ერთსა და იმავე დროს ავტომანქანების, ნედლი მასალის, სასოფლო ნაწარმის, სპექტაკლის და ხელოვნების საქმეებიც ეკითხება, მილიარდები დასძრა. ფიროსმანის გამოფენის საკითხიც დაისვა და ხელისმომწერათა ცერემონიის აღფრთოვანებაში, გამოფენის მოწყობაც გადაწყდა. (ჯერ ამ გამოფენის, თავს ნებას ვაძლევ ვთქვა, შინაურულად პრაგასა და ვარშავაში მოწყობა უცდიათ) გამოფენის აღვილად ლუვრი და დროდ გაზაფხულის დამდეგი აირჩიეს.

საფრანგეთში ბუნებრივად მიაჩნდათ, საამისო წინასიტყვაობა ჩემთვის დაევალებინათ, რის დაწერასაც შეხელი მიეცა. და რომლის დასაწყისსაც თქვენ აქ გაეცანით. მაგრამ გამოფენის მომწყობებს ოფიციალური დიპლომატიური გზით აცნობეს, რომ საბჭოთა მთავრობას სურდა, გამოფენის კატალოგში მხოლოდ ამ მთავრობის მიერ მოწოდებული ტექსტები გამოქვეყნებულიყო: ერთი მოსკოველი აკადემიკოსისა და საქართველოს ერთი მინისტრისა; ვერაფერს ვიტყვი; ეს მათი საქმეა. მაგრამ მე გულუბრყვილობა ჩავიდინე და „არს დეკორატივ“-ს ვათხოვე, უკვირ დიდი ხნიდან ჩემს მფლობელობაში მყოფი (ფიროსმანის) ერთი სურათი, რომელიც დაახლოებით ხუთი წლის წინად ჩამოვიტანე პარიზში, კულტურის მინისტრის ნებართვის წყალობით, რომელმაც თავაზიანობა გამოიჩინა და ამ სურათის ჩასადები ყუთიც გააკეთებინა. მე უბრალო ზრდილობის მოვალეობად მიმაჩნდა, ეს სურათი განზრახვლი გამოფენისათვის მოუხუთმის განკარგულებაში გადამიცა. აქ ეს ამბავი ბუნებრივად ჩანდა და მადლობაც მითხრეს. მაგრამ ისე, ვით არა ვინმე მაგანის, არამედ სწორედ ჩიმი წინასიტყვაობა არ ისურვის, არ ვიცი კი, რომელ ინსტანციაში (ეს არც იმდენად მნიშვნელოვანია, რადგან ქნობილი ცენტრალიზმის წყალობით ბოლო ანგარიშში ამ ინსტანციების ერთმანეთში არევა ფრიად ადვილია). ამ შემთხვევაშიც პარიზშიც სიტყვიერად განმარტებულ იქნა, რომ მოსკოვის „არაგონის სურათი“ არა სურდა. როგორც თვითონ მიხვდებით, მე არაფერი დავაპირე, არ მინდა დაბრკოლებად აღიქმართო იმ ორი ჩემის კეთილგანწყობილებაში, რომელთაგან ერთი ჩემი სამშობლოა, ხოლო მეორე იმ ხალხისა, რომლის მიერ დაწერილი მსხვერპლი მე არ დამიწყებია; არც ის გრძნობები, რომელიც მე მისთვის გამიცდია, გრძნობები, რომელთაც ვერ ჩააქრობს მხატვრობის გარემო ატეხილი ისტორია.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს თუ დავუშვებთ, რომ პეი-

ზაჟი, რომელიც მე შინა მაქვს და რომლის რეპროდუქციაც თბილისში რამდენჯერმე გამოქვეყნდა, („არსებლის მთის“ ან თბილისის სინათლეების“ სახელით) არა სასურველად იქცა, რადგან მე თვით გავხდი არა სასურველი, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ ამის პოლიტიკური გამართლებაც ახალია. რადგან სად ვის გაუფონია, რომ სახელმწიფოს, თუნდაც სოციალისტურს, უარი ეთქვას, მაგალითად, დე ვინჩის ან რემბრანტის სურათის გამოფენაზე, იმ საბაბით, რომ ამ სურათის პატრონი კაპიტალისტი არისო?! ამ საკითხს მხოლოდ იმიტომ ვაყენებ, რომ მე საინტერესოდ მიმაჩნია ინტერნაციონალური მორალის ამ ერთი ადგილის გაშუქება.

იქნებ ვინმემ უტიფრობად ჩათვალოს ამ ჩემს პირად შემთხვევაზე საჯარო ლაპარაკი. ასეთებს ვთხოვ გაიხსენონ, რომ მე დიდი ხანია მუშათა მოძრაობის იმ ღრმა მიმდინარეობას ვეკუთვნი, რომელიც თავის მთავარ მოთხოვნილებათა შორის, საიდუმლო დიპლომატიის გაუქმებას მუდამ ასახელებდა.

მე ამ ამბის დამალვის საჭიროებას ვერა ვხედავ, სწორედ იმ მომენტში, როდესაც პარიზში ფიროსმანის გამოფენას ტარიუმს ვუსურვებ. რადგან ეს ტარიუმფი იქნება ერთდროულად მხატვრობისა და ნამდვილ ინტერნაციონალიზმისაც, რომელიც სრულიად არ მოდის სამხედრო მიღწევებით. ოკუპაციებით ან დიქტატებით. გვსურს თუ არა გვსურს, მსოფლიოს თვალში მხატვარი დიდ მხატვრად მხოლოდ პარიზში იქცევა. ეს ასე არის, თუნდაც ამის თქმისათვის ბურჟუაზიულ ნაციონალისტად მომნათლონ, ჩვენში თუ სხვაგან.

ხოლო მე ფიროსმანის თანამემამულიებს ვაპყრობთ თვალს; ვინც საქართველოს დიდება შექმნა — რუთა-ვილიდან ბაზათაშიღამდე, წერეთლიდან ტიციან ტაბიძემდე, მეთორმეტედან — მიოკვი საუკუნემდე; აქრეთვე იმ მეგობრებისაკენ (ვიცქირები), მე რომ იქ მყავს და რომელთა დასახილებას უმჯობესია მოვერიდო. იქაური ჩვეულებისამებრ ვიღებ მე სასმისს და ფიროსმანის მოსაგონარის დასალევად მოაწოდებ მათ, რომელთაც ვუთმობ საამისო სიტყვა წარმოსთქვან იმ ხელოვნებით, რასაც ისინი ანე შეუდარებლად ფლობენ, რისი მიტოქეობა არ ძალმიძს და უცნობი ქართველი ფიროსმანისათვის ეტლი მე ჩემს სასმისს.“

მთარგმნელი მ. ქავთარაძე

Les Lettres françaises. Directeur : Aragon. N° 1273 du 5 Mars au 11 Mars 1969.

შალვა ამირეჯიბი

(შალვა ამირეჯიბის დაუბეჭდავი ლექსები. არქივიდან)

შემოდგომა

ამინდი ისევ მშვენიერი მოდგა კარებზედ,
ლამაზი იცის შემოდგომამ ჩვენში დარები,
ალარ დადიან მეხრეები ღამინარეზზედ
და უბჯენიათ საწნახელებს ქვევრზედ ღარები.

მომხიბლავი დრო! მაშინ ჩიტი ჯდება ასკილზედ,
თუმც არა ცივა, მაგრამ ქარი ღმულის ეწრებში
და მოლალურის უკანასკნელ გამოძახილზედ
ზუნება ქალს ჰგავს მელიგინეს თეთრსა ზეწრებში.

ს...

ღმერთი ქვეყანას უგზავნის რისხვას,
ინძრა ტოკიო და ნავასაკი
და ალარ ველი უცვე განკითხვას,
ვაი, საბრალო ჩვენი ასაკი!

მეგობარს ცოდვა გაგანდო მინდა.
ტოლები ასე დამიცოტავდით.
შენ იცი, კენტიც არ ვიყავ წმინდა
და ზოგშიაც ხომ ერთად ვსცოდავდით.

არა ვყვარობდი ქალებს მრავალებს
და მე თვითონაც არვის ვუყვარდი,
და რადგან არვინ მანდობდა ვალებს,
ჩაჩრებსაც ხელში ვერ ჩაუვარდი.

ლექსი მიმაჩნდა მე სიფაქიზეთ,
მაგრამ რითმას არ გაუტუსაღდი,
გრიგოლს არ ვთვლიდი ირუბაქიძეთ
და ტიცინასაც ტიტეს უძახდი.

მიყვარდა ღვინო და ჩიჩი-ბიჩი
და საქართველოს მსურდა დიდება,
და მიტომ ვკვდები ეს კაი ბიჭი,
ამდენი ცოდვა რომ მეკიდება!...

ვ...

მეუდაზნოევ მყუდრო ცხოვრების,
ლალად ნაზიდო მთებისგან ცათას,

სავანეს, ჩემებო შეუპოვრების,
ვნახავ თუ არა შენ სადგომს სადას?..

ვნახავ თუ არა ნაპირებს ცვრიანს,
სად საკრეულა აგორებს ჭავლებს,
სადაც მწყემსები საქონელს სცვიან
და ქორი ცაში კამარას ავლებს?

მოვა თუ არა უამთა სიამე
რომ კვლავ გაწვიოს შენი მგოსანი,
რომ შენთან ღმინში გასტეხოს ღამე
და შენი ლუქმა პატიოსანი.

თუ ოცნებაა ეს მხოლოდ უდრო
და მე ჯერ გვიან დამიბრუნდება,
დილით ამინდი შენს კარზედ მყუდრო,
სალამოს ცეცხლთან წასაუბრება!...

ელ. მ.

ნეტავ თქვენ მართლა ასე არ ვეჭნათ,
რაზედ გვესტუმრეთ ნავიწყ მხარეში?
აპრილის თვეში, სკაპენის ქვეყნად
თავს არა ვგრძნობდით სიმწუხარეში!

თქვენ ჩემთვის ისე იყავით კოხტა,
რომ სულ ამივსეთ გული ჯავრებით
და აი, ეხლა, როცა ეს მოხდა,
თქვენ ისევ უკან მიემგზავრებით!..

წარგზავნა

პ...

სალამი! შენდა სმენამდე
მოვა თუ არა ჩემი ხმა!?
აქეთგანა და თქვენამდე
რამდენი ფიჭვი შემიხმა!
მალაღს მეშვიდე სართული,
არსად დაბალი ოდები,
ქალები ტიტვლად დართული,
მოდები, კიდევ მოდები!



შალვა ამირჯიბი სამხედრო სამოსში

არწივის ნაცვლად ბლერიო,
ცხენის მაგივრად ტაქსები,
პოლიტიკაში — ჰერიო,
ლივაში — ანგლო-საქსები!
ჩვენს გაზეთში სწერს ოლარი.
თქვენსაში კლარა ცეტკინა,
ისე ავარდა დოლარი,
რომ ფრანკს გვერდები ეტკინა.
უყვართ ხეებში აქ შაბლი,
ყელზედ იბამენ ცრუ ქარვებს,
მაგრამ ღვინოა აქ შაბლი
და დარდებს მე ის მიქარვებს.
აზას დროს, არც ძველ ჰელადას
არც კახურ საინახოში,
არ დაუღვრია ხელადას
ჯერ წვეთი — უფრო ზარხოში!

როს მაგონდება მამათა
მიმქრალი საწუთროება,
მე ვაბზობ, ჰქონდათ ხომ მათა
ჩვენზედ უკეთი დროება!

დაჰქონდათ გრძელი ყურთმაჯა,
ულვაში ნამუსიანი
და აფიქრებდათ ფარაჯა
რუსული გარუსიანი.

ჰყავდათ ლამაზი ცოლები,
ჰქონდათ ტიკები კუპრისა,
ომებში გმირთა ტოლები
არიფნი იყვნენ სუფრისა.

უყვარდათ საქართველოცა
სწამდათ მთავარი მის წესი,
რომ ხატი უნდა გელოცა,
თუ გქონდა ხატის მიზეზი!

დრონი დარულნი ღვინითა
ლიოდნენ წალმა წაღებით
და იმარხოდნენ ღვინითა
და წვეტიანი წაღებით!

წარბაზაჰნა მიტეხში

აღყას არტყავდა კეისარი ბიზანტიელი,
მერე სპარაები მას ანგრუენდნენ, სდგებოდა ახლად,
შიგა სცხოვრობდა თამარ-ქალი, ოქოოს დიელი,
ეხლა რუსებმა ის აქციეს პატიმარ სახლად.
მაგრამ ეამ ყოველ ხალხი გულში მისი სახელი
იყო მსახველი უკეთესის მომავალისა,
იცავდა ჯვარი ურწმუნოთა ხშირი მნახველი,
და კუბო წმიდა ჯვარისათვის ტანჯულ ქალია.
ჩვენ დროშიც მოჰყავს მას პოეტი ალტაცებაში!
თქვენ შეიხურეთ შავ აკლდამის ცივი კარები,
და რომ არავინ ჩამოგართვათ დამარცხებაში
გადმოჰკიდევით მის კედლებზედ თქვენი ფარები.
ეგზე ძველ დროში, შინ მოსული ომით რაინდი
კარში ჰკიდებდა თვის საჭურველს და თავის აღვირს,
უფერულ ზავის აწვებოდა მას გულზედ ბინდი
და მოელოდა ახალ ომის ახალსა საყვირს.
და თქვენც გჯეროდეთ, რომ დადგება ეამი ქებული,
დაუფაანდება მამულიწვილს თვის მეოხება,
თქვენს გიხაროდნენ გაიგონებს დამონებულნი
და გვეღირსება ჩვენ ქართლისა კვლავ ამბოხება!

22 წ.



ჩვენ სასტიკ დღეთა ქარიშხალებში,
 სისხლის წვიმებში, ცეცხლით მდაღეთა,
 შენ შეიჩივნი უშუალო თვალებში
 და გულს იმედი — ბუერის მნახეთა.
 ხარ ჩემი დიდი თანამედროვე,
 მაგრამ ჩვენი დრო შენთვის რა მგამა,
 შენ სულ სხვა დროებს დაემკედროვე
 და სხვა მოგესმის ცხოვრების გამა.
 იცნობ ჰომიროსს, კითხულობ ლათინს,
 წინაც ქართული ვიდევს დასათა,
 რას გეტყვის, მითხარ ცოდნის პალადინს,
 ჩემი ლექსები ცოტა და სადა?
 მაგრამ მთაწმინდის მწვანე ძირებში,
 სადაც ჰეგზამეტრა გვასმენდი შენა
 მეცა მწვევია მოცლილ კვირებში
 ოცნება ლალი და ქალი ზეხა.
 და ესვამდი მისგან ნაწოდ ჯამიდგან
 და ვით ჯირითში და ვით ჰუნენი,
 მოჭროდნენ ჩემსკენ წარსულ უამიდგან
 დღენი, წლები და საუკუნენი.
 შენ გახსოვს ჩემი იგი ასაკი
 ბედმა რომ შემდეგ ასე განმარტა,
 გადახმა შენი სკოლის ნასახი
 და იქ ჯალათმა პალო ამართა
 და შენ თითონაც გადმოხვეწილი,
 დღეს შორით უმზერ მაშულის გეზებს,
 გყავს საქართველო ღმერთ შებვეწილი
 და მისდევ წადილს ერთხელ ნაქეზებს.

შ. ჭ.

და შენ მარწმუნებ იჭვიან მგოსანს
 რომ გახდა მიწა შენთვის ცარიელ?!
 სადა სწერია ვეფხის ტყაოსანა,
 რომ სიყვარულით მოკვდა ტარიელ!
 როს დატრიალდა მის თავზედ ჯარა,
 გახდა ნესტანი მისთვის შორეთი,
 კლავში ასმათი ამოიხარა
 და გადგა როგორც ანახორეტი.
 და ჰქონდათ იმათ გამოქობილი,
 მწვადებს იწვავდენ ცვრიანს და ამოს
 და უკერებდა ნაზი დობილი
 ვეფხვებთან ომში დახეულ სამოსს.
 ნესტანს ფიქრისგან არ იცილებდნენ,
 ტირილში ვაყი იყო მათესტრო
 და, ალბათ, კიდევ იქორწინებდნენ,
 ცბიერ ავთანდილს რომ არ მოესწრო!

შენ ბალში კატა გადმოხტა,
 შენ ძალლი გსურს მიუსიო,
 მერე მე მესმის კაკუნი
 და შენი სიტყვა მუსიო!
 ნიკოლ, შენ მოხველ ჩემთანა,
 კარაქით, პურით, ყავითა,
 ნიკოლ ეგ შენი ღიმილი
 ყავაში შექარად ჩავიდა!

ერთხელ მე გკითხე შენ, ნიკოლ,
 შენ საქართველოს სცნობ განა?
 და შენ მითხარი: მუსიო,
 ეგ არის ნანოს ქვეყანა!
 მაგრამ ნიკოლ, ხომ ნანოსაც
 არ ახსოვს თავის ქვეყანა
 და ამბობს, რომ საქართველო
 არის ბაბალეს ქვეყანა!
 ნიკოლ, შენ იმ ცას არ იცნობ,
 სად დედას მე შევეძინე
 და მეუბნები: მუსიო,
 რა ლამაზია ვეზინე!
 ცალხელში ძალლი, ცალში მე...
 მე რომ „კრეგს“ წყალში გადვისვრი,
 შენ სიცილს იწყებ მაშინვე!

1936 წ. სექტემბერი.

მ. ს.

ცხლა ღამეა მშვიდი და თბილი,
 მთვარე სერებზედ მიესვენება,
 არა მაქვს დარდი სხვა უფრო ტკბილი,
 ვიდრე სახელის შენი ხსენება.

გნახე და ვილე შენი თილისმა
 და დამავიწყდა რომ იყავ ქალი,
 მოხველ ვით ნაზი სიყვარულის ხმა,
 წახველ ვით მეხი და ქარიშხალი!

ანტიანაკრემონტი

შემოდგომამ დაუბერა, მარნია კარებს აჭრიალებს,
 ბერი კაცი ღვინოს დაღვეს, ჭაბუკს ჩაამაჭრიალებს!
 მე ბერძენი არა ვარ, რომ წყალს ურევდე თავანკარში,
 სადღეგრძელოს ან სულ დავცლი ან და გამიყვანენ კარში

მუზას

**

მოგახსენეს თვალ ნედლობით
რომ ტფილისი მტერს ჩაბარდა
და რომ პეტრე, უეტლობით,
ზოგრეთს ფეხით გადაბარგდა.
და ამბობდა ელდა ნაცხებს;
თუ არ ეტლით, ო, იზიდავ,
ჩემი ქვეყნის მკლავის მარცხებს
მე ფეხებით ვერა ვზიდავ!

22 წელი

+

უცხო მხარეში საიდან სადა,
ჩვენ ბეჯითნი ვართ მუდამ ამაში,
რაც უნდა სუფრა გვეშალოს სადა
აღათს არ ვკარგავთ პურის ქამაში.

დევბა ქაქუცა. ჩვენა ვართ ჩუმად...
ღვინოს დაისხავს ერთი სამადა
და სადღეგრძელოს ამბოხს ბითუმად
ის დალოცვილი ჩვენი თამადა!

და გველანდება შორი ხეობა,
ნაპირში ციხე, კოშკებ ჩართული,
კოშკებში სახლი, სახლში ღლეობა
და თქვენი ღზინი ასე ქართული.

22 წელი

**

გუშინ პარნასზედ მე გიანელით,
იმ ადგილების მსურდა მზერანი,
სადაც მოვლილი მუზათა ხელით
ბარათაშვილის სძოვდა მერანი,
და რა მერანი იქ ვეღარ ვნახე,
გაოცებულმა დარაჯს შევეძახე:
— სად არის ცხენი? და მრქვა დარაჯმა:
— გახდა ოჩანი და შეხვდა ქუში,
ალბად გიცადა აქამდის ქაჯმა
რომ მიიცვალა ის მხოლოდ გუშინ!
ნაცვლად მომაგლო მან თარაქამა,
მოზვერს ზედ ჰქონდა თავისი ნიხრი:
„პაოლო არის ამისი მამა,
რქა აქვს ცისფერი და იცის წიხლი“.

23 წელი

ჩვენს სასტიკ დროში შენ იყავ ჩუმად,
პარნასის მთაზედ ღამია მთეველი
და როს მგოსნები მღერდნენ ზითუმად
შენ არ ყოფილხარ მათი შრჩეველი.
გადაგვიარა სასტიკმა ომმა,
ჩვენ ყველას მოგვხვდა მისი ლახტები.
შპრე მიატოვა ზერლინის ლომმა
და ევროპაში ინძრენ ტახტები!

კვლავ შეიკრიბა ვერსალში ხალხი,
იქ პალადინათ კლემანსო იყო,
ვარშავამ მოსკოვს ჩააცვა თალხი
და საქართველომ ხმალი აიღო.
მაშინ ტფილისმაც ნახა ბრიტები,
თურქმა ბათუმი ჩვენ ჩაგვაბარა,
მაგრამ ამხედრდნენ იაეც სკვიტები
და დარჩა ქართლი ღვთის ანაბარა.

ასე ვიდოდნენ ქარტახილებში
უშთაგონებით პოეტის ღღენი.
როცა კიკეთის მთა გრეხილებში
შენ მომევიღნე ღვთაებრივ მშენი.
უფერულობის დიდ მიდამოზედ
ძველი სამსხვერპლოს ჩამოდგი ნეშთი
და მნაბავს, შენსა ცისფერს სამოსზედ
კასტალიისა ბანულია ნესტი.

არ ამჩნევია შენ სახეს ძვირფასს
განვლილ ბრძოლათა დიდი ჭრილობა,
და ვითო ქაფიღვან გამოსულ ნიავს
გამკობს უზადო ტანაყრილობა
სალამი შენდა, თუ ხარ იქიღვან
თავისუფლების სად ჰყვავის მღელო,
თუ მოგაქვს ჩვენთან პარნასის მთიღვან
აღმდგარი ღმერთი და საქართველო!

22 წელი

**

ენლა ღამეა მშვიდი და თბილი,
მთვარე სერებზედ მიესვენება,
არა მატვს დარდი სხვა უფრო ტკბილი
ვიდრე სახელის შენი ხსენება.

ქრისტიანული მადრიდის უნივერსიტეტი,
 კონსტანტინოპოლი, ბუქარესტი, ჰაგერატი,
 ასევე სხვადასხვა ქვეყნები.

მე და ჩემი ძმები ჩვენს, ლეონი, ან
 დიმიტრი, 22^ლ ან 23^ლ დანა, კარგი რეპუტაცია
 / მათი მათი მათი - უნდა იყოს - მათი...
 იქნება ადამიანი რომელიც / მათი მათი
 სხვა მათი მათი ან მათი მათი
 სხვა. მე და ან მათი იმ მათი,
 მათი ან მათი მათი. მათი
 მათი მე და მათი იმ მათი.
 მე და მათი მათი. მე და
 მათი მათი მათი მათი,
 მათი მათი მათი.

მათი

Chateau. 1925 წ. მათი.

შალვა ამიძეჯიძის წერილი ქ-ნ ელენე აფხაზის მიმართ
 მარიამ ლოლობერიძის არქივიდან

**

შენ გივალოდნენ ბაირონი, ბუშკინი, მური,
 ზოგჯერ ვოლტერსაც არა ზარდა შენზედ დაობა
 და რომ უმწიკლოდ ცელქი იყო ჩვენი ამური,
 ამათ ამომებს დელაბორტის წმინდა რაობა.
 უყვარდა აბატა თეკლეს ყელი, კატოს ლეკური
 და აქ ეგონა მას სამოთხე კატოლიკური.
 ნამდვილ სამოთხეს მერე მისვლა ბერმა გაბედა,
 ყველა იქ იყო: იეგოვა პალესტინიდან,
 ვენიდან მიცცი, რომით პუცცი, ნიცით ბაბეტა,
 მაგრამ არც ერთი ტვილისელი თვალის ჩინიდან.

რომ ზვნი ქნამ სვენიდამ შინ ანხ/სარე
 ზვნი დუყნობელ ამ ზუგუნი ვით ავიტ ვინებ
 ავიტნმ ვინთ ვინთ მთავრი პრეზიდენტიცა დეპო
 რე ჯემსონმა საბნობელ ანგელ ვინგონებ
 მე, მთავრობათა სავარჯის მუყროთ სარე,
 ვინაქნამო თანხით არს მუყროთ ვინა,
 ყარო - შინვა შინა მთავრთ შინთ მთავრთ,
 რომ ვინაქნამ მთავრთ ვინთ შინა მთავრთ,
 რე ვინაქნამ შინ სვენიდამ ზემ მთავრომ,
 რომ სარე მუყრო, შინ მთავრი მთავრობელ,
 რომ ვინაქნამ შინ მთავრთ მთავრობელ
 რე შინ ვინთ იამ ზემ ვინთ სთავრომ.
 ამ იამთავრობელ ზვნი ქნამ რომ ვინაქნამ იამ,
 ზვნი შინაქნამ ვინთ შინ მთავრი მთავრობელ
 რე რომ სარე ქნამ ვინაქნამ შინ მთავრობელ
 სარე შინ ამ მთავრობელ მთავრობელ.
 ქანთა 1922 წ. მთ.

მ. ს.

მოდი, ტურავ, ერთად მზეში გავიდეთ,
 სალაღობით ჩვენსა ბაღში შავიდეთ,
 არ დავდგეთ, სოფლის ბოლოს გავიდეთ,
 მერე ველში, მერე წყალზედ ჩავიდეთ,
 იჭიდგანაც ზევით მთაში წავიდეთ,
 ჯეთონებში მუსაიფით შავიდეთ,
 ჩიტებივით მაღლა ცაში ავიდეთ,
 ღრუბლებივით დაღმა აღარ დავიდეთ,
 ორთქლისავით მხოლოდ აღმა ავიდეთ,
 ამ ქვეყნიდან უჩინარად გავიდეთ!

1933 წ.

**

თუმცა დრომ ფუჭმა და ჭკუამ მოკლემ
ჩვენ ასპარეზი დღეს არ გვიჩინა,
მაგრამ სთქვი მაინც შენმა სოფოკლემ
ოიდიპოზედ რად მიიძინა?

მყევხარ თასებში თავნაკიდები,
ეყმე ხარიტებს მზიანა და თეთრებს,
და დაგვაფიწყდა ლაბდაკინები,
ხელი ააღე ბერძნულ ტრიმეტრებს.

**

სუფრაზედ ბნეულ ფიანდაზებში,
შენს დიდ ლხინებში, მუდამ კრიალა,
ხარიტებს შორის და სველ თაებში
მონახე ჩემი ქვრივი ფიალა!

ნახათ ემთხვიე მის პირებს ღარიბს,
უთხარ, რომ ვუცდი ამინდებს ზღვასთან
და ნუ შეგაკართობს ჩემ ერდგულ არიფს
რომ ღროს უჩემოდ ატარებს სხვასთან.

კახელი მეზვრის ღამაში ხარჭა
პირველ მაჭრობას გავიკან რთველში,
ჩემთან აღერა შემოეხარჯა
და მეგობრებზედ გამცვალა თვეში.

ჩემი ორგული იყო ის მუდამ,
გოგონა სახლში ნაკლებ წვებოდა
და ვით მეძავი ნაშობი მუდამ
ღამის ლხინებში თან დამყვებოდა!

**

პირკანის ღომო, მოთარევე ძველსა ომებში,
ჯადო-სპარსეთო, ქართლის რისხვავ, შენგან რა დარჩა,
შენი გმირები გადაახლდნენ შენს პოემებში
და ხმალის ნაცვლად დაგაქვს მხარით ნოხი და ფარჩა.

აღარ გვიგზავნის ქართლი ძველი ღამაჲ ქალწულებს,
შენი არამი ვერ იკეთებს ძველებურ ღაბაბს
და იქ სად უწინ აღერებდი ნაჯახს და ცულებს,
იქ შენი შვილი დღეს უგემურს გვიზელავს ქაბაბს.

მაგრამ ჰყვაოდა ერთხელ შენიც შირაზის ვარდი,
შენმა პოეტმა და ჯალათმა მოკლეს აზია.
ფასობდა შენი ვარაყი და ლაპინ-ლაყვარდი,
ი.მში მახვილი, მუსაიფში კურტუაზია.

გიყვარდა სიტკბო, ნაზი იყო შენი ლეილა,
მუდამ ამბოხი რკინით სწერდი ცეცხლზედ შაჰ-ნა
და შენს მომავალს ვერ შესწირე ვერც ერთი დიდ
ოდეს ზღაპრებში ათენებდი ათას ერთ ღამეს!

22 წელი

**

სახე დამინაოქდა,
სიჭაბუკის ნასახი
და დამიდგა ნაოცდა
მეცხრამეტე ასაკი.

კარში უთადარიგოდ
დაჭრის ქარი მეოტი,
ახ, ამ წუთში რა რიგად,
მე შენ მოგეხვეოდი!

27 წელი.

**

სიყრმე საუზმობს, ხანი სამზრობს, ვახშობა სიბერე
და სძინავს სიკვდილს, დღე ჰგავს სიცოცხლეს!
დღე ყოველ კვდება ღორმუცელა და კაცი ერთხელ
გულის მზიერო — შენ განიხილე!

26 წელი

შ. დ.

უნაზესო ქაფურზედ,
გაჩენილო ჰელადაში,
დამწვარი ხარ შამფურზედ,
დამბრჩვალი ხარ ხელადაში.

22

მ. ს.

დღეს მეც დამიდგა კარგი ტაროსი,
მზემ ჩემ გულშიაც შემოაშუქა,
მე თქვენ მიყვარხართ, როგორც ჩაროხი
და კიდევ როგორც პატარა ცუვა!

მე თქვენ მიყვარხართ ისეთიან დარდით,
ხან დაყვავებით, ხან ნაშარევად,
მე თქვენ მიყვარხართ ზამბახით, ვარდით,
მე თქვენ მიყვარხართ გადასარევად!



მარცხნიდან მარჯვნივ: გიორგი ნოზაძე. ზის: შალვა ამირეჯიბი, დგას: მხატვარი + მიხეილ ბილანიშვილი. ხეებს შორის (ქვემოდან ზემოთ): მხატვარი ელენე ახვლედიანის ასული, ლიდა ნოზაძისა, ქეთო ჩხენკელისა

**

გავიდნენ წელნი უღარნო ჰავით
და ჯაფამ სულ სხვამ უფრო გამხარა,
მე ბედმა ჯერეთ თქვენგან გამყარა
და მეზე აღვილს, სადაც თქვენ ყვავით.
ათასში ერთხელ, ვიეთმე ყბედით,
ხმად მესმის (ზოგნი მეც მაგონებენ!)
რომ თქვენით ბევრნი მანდ ამაყობენ
და კმაყოფილი ბრძანდებიან ბედით!...
თქვენ იცით, ბედი მე არ მეწვევა,
ახვა ამას იქნებ უკეთ მოგიყვეთ,

როდესაც სხვაფრივ მოცლილი იყვეთ
და იოლ ამბით გსურდეთ შექცევა.
მაგრამ იმდენი გავიდა ვადა,
დროო კაცს, მიბრძანეთ, რას არ უშვრება,
რომ ეხლა არც მე მეხამუშება
დღენი წასულნი ისე შავადა.
ჯერ იყო და გულს მე ჩამივარდით,
მერე მეგონა ვფიქრობდით წყვილად
და ვითო ორი შუა ზდება ადვილად —
მიყვარდით მე და თქვენ არ გიყვარდით.
მერე ხომ სულაც წავგებთვით თმენა
და ჩვენც ვანებთ ერთმანეთს თავი;
მე მწუხარებამ ჩამიგლო ენა
და თქვენც ქვეყნისა სცანით ამბავი.
თქვენ მომხრე მაშინ ნაკლები გყავდათ,
ხალხშიაც ისე ველარ ხვიდოდი,
ჩვენი მართალიც ასე გტანჯავდათ,
მოგონილა როგორ აუხვიდოდით.
მერე მგზავრობა ცალკე დაიწყეთ,
მე დაგრჩით სადღაც დაკარგულ ბარგად,
გეგონათ ეხლა კი დამივიწყეთ
და მაინც თურმე გახსოვდით კარგად...
თქვენ ნახეთ მაშინ, იქვეების სენით,
როგორ სცვივოდა თქვენ ფიქრს ვარაყი
და პირველადაც მაშინ იგრძენით,
რომ ბედი არვის ეძლევა ზენით
და თითონ ბედიც არის არაკი!
მაგრამ ღრუბლებმა გადაიპრა,
ახალ ხალისით და წლებით ნორჩით,
თქვენ დაიშუშეთ გულის იარა
და მადლი უფალს, ყველაფერს მორჩით!

26 წ.

+

(დასასრული შალვა ამირეჯიბის ლექსთა
ხელნაწერი რეველისა).

+

† ვასო წულაძე

ზოგი რამ წარსულადან

აკაკი ჩხენკელის არჩევა მეოთხე დღეში

1905 წლიდან 1917 წლამდე, ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში სახელმწიფო დუმის ხანად ითვლება. 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ იქიდან მიიწი დაიწყო რაღაც, რომელსაც პოლიტიკური პარტიები იყენებდნენ, რათა ხალხს შერჩენოდა რეჟიმის საწინააღმდეგო პრძოლის სულიერი განწყობილება; პირველი ადგილი სახელმწიფო დუმას ეკავა, შემდეგი — პრესას.

რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიაში დაიბადა მიმდინარეობა, ეგრეთ წოდებული „ლიკვიდატორობა“; არალეგალური მუშაობა უნდა შეჩერებულიყო და მხოლოდ ლეგალურ ასპარეზზე განგვეგრძო მუშაობა; კოპერატივები, სახალხო უნივერსიტეტი და სხვა.

ამ გზას არ გაჰყვნენ კავკასიელი სოციალდემოკრატები; არალეგალური ორგანიზაციების გამაგრება და მათი საშუალებით ხელმძღვანელობა ლეგალურ ასპარეზზე მუშაობა იყო მიზანი. პრაქტიკამ ეს გზა გაამართლა.

დუმის ტრიბუნებიდან წარმოთქმული სიტყვები, ჩვენი დეპუტატების მიერ, საუკეთესო პროპაგანდა იყო ძველი რეჟიმის წინააღმდეგ.

რუსი სოციალდემოკრატები = მენშევიკები პირველი დუმის არჩევნების დროს ჯერ ბოიკოტის დიდი მომხრე იყვნენ; მაგრამ შემდეგ ბოიკოტი შეცდომად აღიარეს და შესცვალეს პოზიცია. თვით ლენინმა შეცდომად აღიარა ბოიკოტის ტაქტიკა.

პირველ დღეში ჩვენმა დეპუტატებმა, ნოე ჟოდანიას მეთაურობით, დიდი სახელი მოიხვეჭეს; მეორე დღეში კი დეპუტატი წერეთლის და არჩილ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით სოციალდემოკრატებმა საქვეყნო სახელი გაითქვეს და რევოლუციის საქმეს დიდი სარგებლობა შემატეს. მესამე დღეში მათ საქმეს ნაყოფიერად განაგრძობდნენ კარლო ჩხეიძე და ევგენი გეგეჭკორი. მესამე დღე მთავრობას არ გაურეკია.

მოახლოვდა მეოთხე დუმის არჩევნები. საჭირო იყო მზადება. ამ დროს, 1910 თუ 1911-ში, ბათუმში დაიჭირეს ჩვენი ორგანიზაციის მეთაურები: ალ. შატილოვი, ზაქარია ჩიჩუა, ვლადიმერ ჯიბლაძე და სხვები. დავრჩით მეორე-ხარისხოვანი მომუშავენი, რომელთაც უნდა გვეკისრა ამ გამოცდილი ხალხის მაგიერობა.

ნოე ჟოდანია ლანჩხუთში იყო და იქედან გვიწევდა ხელმძღვანელობას.

ჩვენი პარტიის კანდიდატი იყო აკაკი ჩხენკელი; მის წინააღმდეგ ყუთს იღვამდა ალ. შერვაშიძე.

ბათუმში ყველა ამრჩეველი (ოთხი კაცი) ჩვენები გავი-

ყვანეთ. მათ მიემატა მურღულის მადნებში არჩეული მუშა ამრჩეველი. მაგრამ ამრჩეველთა რიცხვი 27-დე იყო, ყარსიდან, ართვინიდან, სოხუმიდან და სხვა. ასე რომ ხმები საძებარი გახდა. ნ. ჟოდანიამ კაცი გაგზავნა ყარაში, რათა იქაურ ამრჩეველებთან მოლაპარაკება გაემართა. ამ მიზნით დამიბარა ლანჩხუთში, რომ კაცის გასაგზავნი ხარჯი ბათუმის ორგანიზაციიდან ჩამეტანა.

დადგა დღე დეპუტატის არჩევნებისა. ალ. შერვაშიძე დიდი რიხით მოვიდა ბათუმს, ოცდაათი შეიარაღებული თანმხლებელით.

ქალაქის თვითმართველობის დარბაზში იყო დანიშნული არჩევნები, რომელიც სრულ თორმეტ საათზე უნდა დაწყებულიყო. მანამდე დერეფანში ვუცდიდით და მოლაპარაკებას ვეწეოდით ამრჩეველებთან.

აკაკი ჩხენკელი დიდ ამბავში იყო; ის ყარსიდან ჩამოსულ ამრჩეველებს — თათრებს — უხსნიდა თავის საარჩევნო პროგრამას, რომელსაც ჩვენი თაჯიმანი უთარგმნიდა. დარბაზის გახსნის დრო იყო და თავმჯდომარე კი — დამოქმდის ჩინოვნიკი ზიკოვი — რატომღაც კრებას არ ხსნის. თურმე ნუ იტყვიან! რაღაცას უცდიან: ნამესტნიკთან დეპეშა ჰქონიათ გაგზავნილი, რომ ჩხენკელი, როგორც როსტოვში ადმინისტრაციულად გადასახლებული, და ახლა აქ მყოფი, დაიჭირონ და ამით უზრუნველჰყონ შერვაშიძის არჩევა.

და იი კიდევაც, ბათუმის პოლიცემისტერი რუჩი, გააფთრებული კიბეზე ამორბის, ხელში უყავია დეპეშა და ხმამალა ყვირის: „გასპადინ ჩხენკელი, გასპადინ ჩხენკელი“. დააპატიმრეს და წაიყვანეს.


მაგრამ მისმა დაჭერამ მისი საარჩევნო შანსები ასწია. სომხებმა გამოგვიცხადეს, რომ ახლა ჩვენ ჩხენკელს ვაძლევთ ხმას!

საარჩევნო დარბაზი გახსნეს და არჩევნებს შეუდგნენ. აკაკი ჩხენკელმა მიიღო 14 ხმა, ხოლო შერვაშიძემ — 12. არჩეულ იქმნა ჩხენკელი.

ამსობაში პოლიცემისტერს ჩხენკელი გუბერნატორთან წაყვანა; იქ ჩხენკელს ხელი მოაწერიეს, რომ იქ სალამოსვე დატოვებდა ბათუმს...

გამოვედით თუ არა თვითმართველობის შენობიდან, ჩხენკელი საგუბერნატოროდან დაბრუნებული, ჩვენ ეტლით მოგვადგა; მაგრამ ის უკვე დეპუტატად იყო არჩეული და მეორე დღეს იმავე გუბერნატორმა დიდი პატივით მიიღო და კანონის თანახმად საგზაო ხარჯები და საჭირო საბუთები მისცა.

† ვასო წულაძე



შალვა ამირეჯიბი

კარიკატურა, შეარულებული + სვიმონ ბერეუიანის მიერ
გიორგი ნოზაძის არქივიდან



ვასო წულაძე თავისი ოჯახით

ვ. ნოზაძე

თეიმურაზ ბატონიშვილი

თეიმურაზ ბატონიშვილი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს გიორგი მეფის ვაჟი; იგი დაიბადა 1782 წ., გარდაიცვალა 1846 წელს.

როდესაც რუსეთმა ქართლ-კახეთის (საქართველოს) სამეფო გააუქმა, თეიმურაზ ბატონიშვილი ამას წინააღმდეგა. რუსებმა იგი დააპატიმრეს. 1803 წლის თებერვლის 26-ს თეიმურაზი თბილისიდან ვაიპარა და ირანს წაიღო თავის ბიძა ალექსანდრე ბატონიშვილთან.

სპარსეთის შაჰი ბაბახანი, იგივე ფათ - ალი ქართველ ემიგრანტებს დახმარებას პირდებოდა საქართველოს რუსეთისაგან დახსნის საქმეში.

ალექსანდრე ბატონიშვილი რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლელად ემზადებოდა და ძალებს იკრებდა. თეიმურაზ ბატონიშვილიც ამ საქმეში, რააკვირველია, მასთან ერთად იღწვოდა.

აბას მირზა, რომელს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა ჰქონდა დავალებული, 1804 წელს რუსებთან შეტაკებაში დამარცხდა. შემდეგ წელსაც მან მარცხი განიცადა და ამ ბრძოლაში თეიმურაზ ბატონიშვილი მძიმედ დაიჭრა. მაგრამ არც ალექსანდრე, არც თეიმურაზი და არც სხვა ქართველები იმედს არიკვარავდნენ და ბრძოლაზე ხელს არ იღებდნენ.

რუსეთის არა ერთ მოწოდებაზე: თეიმურაზი სამშობლოში დაბრუნებულიყო, თეიმურაზი უარით უპასუხებ-

და და ბაგრატიონთა სამეფოს აღდგენას მოითხოვდა.
თეიმურაზი არამც თუ მარტო სპარსეთ-ირანის დახმარებას ელოდა, არამედ დიპლომატიური გზით ოსმალეთის, ინგლისის და ბოლოს საფრანგეთის დახმარების მიღებასაც ცდილობდა; ხოლო შემდეგ ნაპოლეონის იმედოვნებდა.

„თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“-ზე, თეიმურაზის დიპლომატიური საქმიანობაზე მხოლოდ კანტი-კუნტი ცნობები ისმის.

ბ-ნი შოთა მეხია, რომელსაც ეკუთვნის გამოკვლევა „თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“-ზე თეიმურაზის დიპლომატიური საქმიანობას მხოლოდ აღნიშნავს; აგი მარტო რუსული ისტორიული წყაროებით სარგებლობს და ჩასაკვირველია, მესაძლებლობა არა აქვს სხვა ქვეყნებში მასალები დაძებნოს...

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგის საერთაშორისო ევროპულ ვითარებაში ვერც სპარსეთის შაჰი, ვერც მისი მემკვიდრე მირზა ხანი და ვერც ქართველი ემიგრანტები ვერ ერკვეოდნენ, სათანადო ცნობათა სინაკლულის გამო; და იმედს ხან ინგლისზე, ხან საფრანგეთზე ამყარებდნენ. ბოლოს ეს იმედიც გაცრუვდა საბოლოოდ. და თეიმურაზ ბატონიშვილი 1810 წელს არჩევა უკვე რუსეთს შეურიგდეს, ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი მომხრენი რუსეთის მიმართ შეურიგებელ ნიადაგზე დგომას კვლავ განაგრძობდნენ... სიკვდილამდე.

ამ დროს თეიმურაზი აბას მირზას ლაშქარში არტილერიის უფროსად იყო და რუსებისაგან გამოგზავნილმა პეტრე ლარაძემ მას ძლივს მიაღწია და როგორც ბატონიშვილი დავითი წერს, მან „მოაცთუნა“ თეიმურაზი და რუსებს, გენერალ ტორმასოვს მიუყვანა, რომელმაც „წარგზავნა იგიცა რუსეთსა შინა“-ო. ბ-ნი შოთა მესხია ფიქრობს: რაღაც შეთანხმების პირობების წარდგენით პეტრე ლარაძემ „თეიმურაზი მოაცთუნა და შესძლო მისი დაბრუნება სამშობლოში. ჩანა შერიგებისას წამოყენებული პირობები არი გატარებულა. სხვანაირად აუხსნელი იქნებოდა, თუ რატომ გამოყვა ასე ადვილად ლარაძეს და თუ რატომ დარჩა თეიმურაზი განაწყენებული საქართველოში დაბრუნების შემდეგ“-ო. (გვ. 31-32).

1810 წლის დასასრულს თეიმურაზ ბატონიშვილი პეტერბურგს გააგზავნეს და სიკვდილამდე იქ დარჩა.

ჯერ კიდევ სპარსეთში ყოფნისას თეიმურაზი თავისუფალ დროს ისტორიის შესწავლასა და პოეტური ნაწარმოებთა წერას, და მთარგმნელობას ანდომებდა. ხოლო პეტერბურგში ყოფნისას კი მან თავისი მეცნიერული მუშაობა გააფართოვა. განსაკუთრებით დიდი და ნაყოფიერი იყო მისი მუშაობა მარი ბროსესთან გაცნობის შემდეგ; მარი ბროსე რუსეთის აკადემიის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვით 1838 წელს თეიმურაზ ბატონიშვილს ასე ახასიათებს:

„მე არ შემიძლია განსუცვიფრებლად წარმოვსთქვა თე-

იმურაზის სახელი, რომელშიც მაღალი ზნეობა შეერთებულია განათლებულ გონებასა და ვრცელ მეცნიერებასთან, რომელიც მწერლობით შრომაში პოულობს კეთილშობილურს გასართობს, რომლის მიზანი არის თავისი შრომით უკვდავოს ხსენება თავისი ერისა, რომლის ძღაბალ მოწაფედ, ავინდის ქვეშ უნდა ვთქვა — აღვიარებ ჩემს თავს“-ო.

თეიმურაზ ბატონიშვილი იყო რუსეთის აკადემიის წევრი და პარიზის „ახიური საზოგადოების“ მუღმივი თანამშრომელი.

მე აქ თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას არ აღვწერ; ხოლო როდესაც წავიკითხე ბ-ნი შ. მეხიას ნაჩვენები, აღმოჩნდა, რომ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი არა აქვს მოტანილი. ბევრი რამ არის კიდევ თეიმურაზ ბატონიშვილის მოღვაწეობიდან გამოსარკვევი — მე მხოლოდ ერთ შესანიშნავ მოვლენაზე მივუთითებ.

JOURNAL
D'UN VOYAGE
DANS
LA TURQUIE-D'ASIE
ET LA
P E R S E ,
FAIT en 1807 et 1808.

A P A R I S ,
Chez LE NORMANT , Imprimeur-Libraire ,
rue des Prêtres St. Germain-l'Auxerrois ,
n.º 17.
A M A R S E I L L E ,
Chez JEAN Mossy , Imprimeur-Libraire , à la
Canebière.
~~~~~  
1809.

ეს არის ამაღე ყობერ-ის მიერ 1809 წელს პარიზში დაბეჭდილი წიგნი რომლის სათაურია — მოგზაურობის ყურნალი აზიურ თურქეთში და სპარსეთში, 1807 და 1808 წელს.

## PRÉFACE DE L'AUTEUR.

CE Journal est la simple narration d'un courrier : il marque la distance des lieux et la population. J'y joint un Vocabulaire en italien, turc et persan, et quoiqu'il ne soit pas complet, il comprend les mots les plus usuels, et peut servir à un voyageur. Le Prince Timurat-Mirza me l'a donné à mon passage à Tauris. Ce Seigneur georgien est catholique, âgé d'environ 45 ans, distingué par ses connaissances et son crédit à la Cour de Tauris.

P. S. Je ne sais pas les langues orientales, et je n'ai pris aucune part à l'impression du Vocabulaire. C'est M.<sup>r</sup> Mossy qui a eu soin de le mettre en ordre.

ამედე დე ყობერ (1779—1847 წ.წ.) იყო ნაპოლეონის მიერ სპარსეთს გაგზავნილი იქაური მდგომარეობის გამო-სარკვევად. შემდეგში ამედე დე ყობერი იყო ორიანტალური ენათა შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორი.

ამადე ყობერ-ის ამ წიგნს მიუძღვის ავტორისავე წინასიტყვაობა, რომელშიც ნათქვამია —

ეს ყურნალი არის უბრალო მოთხრობა შიკრიკისა: იგი აღნიშნავს ადგილთა შორის მანძილსა და მოსახლეობას.

მას დავურთე იტალიური, თურქული და სპარსული, ლექსიკონი და თუმცა იგი სრული არ არის, იგი შეიცავს უფროს ჩვეულებრივ სიტყვებს და შეიძლება იგი მოგზაურმა მოიხმაროს. პრენს (პრინცი) ტიმურატ-მირზამ მო-

მცა იგი ჩემს გავლისას თავრიზში. ეს ბატონი (სენაორ) ქართველი, არის კათოლიკე (იგულისხმება: ქრისტიანი), დაახლოებით 45 წლისა, გამორჩეული თავისი ნაცნობობითა და ნდობითა თავრიზის სასახლეში

ამადე დე ყობერს მოაქვს მაგალითები, თუ როგორ უნდა გამოითქვას ლექსიკონის სიტყვები) და მერმე დასძენს —

rer, et que la luette touche légèrement le voile du palais.

3.<sup>e</sup> Ghain : Elle se prononce comme le R grasseyé des parisiens ou des provençaux,

4.<sup>e</sup> Kaf : La prononciation de cette lettre s'approche beaucoup de celle du Q français, dans le mot Quoique.

5.<sup>e</sup> Wau : Elle se prononce comme la syllabe ou, dans le mot oui.

6.<sup>e</sup> Hé, comme l'H aspirée, dans les mots hardi, ha ! Voilà en quoi consiste tout le changement que nous avons cru devoir faire dans ce petit Vocabulaire.

Le Prince persan, Auteur de cet Ouvrage, s'était servi des lettres grecques et italiennes pour ce que nous venons de faire en français. A présent il nous reste à dire un mot de l'Ouvrage lui-même.

L'Auteur l'a divisé en trois parties : la première contient un recueil de mots séparés ; la seconde, la déclinaison de quelques noms tant au singulier qu'au pluriel, au masculin qu'au féminin ; et la troisième, comprend les conjugaisons de plusieurs Verbes très-utiles et très-nécessaires.

სპარსელმა პრინცმა, ამ ნაშრომის ავტორმა, მოიხმარა ბერძნული ასოები და იტალიური, ხოლო ჩვენ იგი ფრანგულად უნდა გაგვეკეთებინა. ახლა ჩვენ გვრჩება ვთქვათ აიტყვა თვით შრომის შესახებ.

ავტორმა იგი დაყო სამ ნაწილად: პირველი შეიცავს ცალკეულ სიტყვათა კრებულს; მეორე — ზოგ სიტყვათა ბუნებას, როგორც მხოლოდობითში, ისე მრავლობითში;

როგორც მამრობით, ისე მდედრობითში; მესამე — უღ-  
ღვლილებას ზოგ მეტად სასარგებლო და მეტად საჭირო  
ზმნათა-ო.

ეს „პრენს პერსან“ = „სპარსელი პრინცი“, რასაკვირ-  
ველია, არის თეიმურაზ ბატონიშვილი და ეს ნათქვამია  
თვით სიტყვარია მიძღვნაში. ეს სიტყვარი ამაღე დე უო-  
ბერმა მიუძღვნა გენერალ გარდან-ს, ნაპოლეონის ელჩს  
სპარსეთში:

# VOCABULARIO

## ITALIANO, PERSICO ET TURCO,

### COMPOSTO

Da Sua Altezza Serenissima **TIMURAT MIRZA,**  
Principe di Giorgia :

### DEDICATO

A **M. DE GARDANE**, fratello della Sua Eccellenza  
l'Ambasciatore di Francia appresso l'Imperatore  
di Persia.

ამგვარად, ირკვევა, რომ თეიმურაზ ბატონიშვილს  
სპარსეთში ყოფნისას შეუდგენია იტალიურ - სპარსულ -  
თურქული ლექსიკონი და იგი ამაღე ჟობერისათვის გა-  
დაუცია, უჩუქებია.

### ვ. ნოზაძე

1967 წ.

შ ი ზ ნ თ ა თ ა რ ო ზ ე ი

**ქართველი ხალხის სამსჯავროზე.** პარიზი, 1966 წ. (ქა-  
რთული ეროვნული საბჭოს და ეროვნული პოლიტიკური  
ცენტრის გამოცემა).

ეს არის პაატუხი (არც მაინც და მაინც მკაცრი!) იმ წიგ-  
ნის გამო, რომელიც თბილისში გამოსცეს (და თბილისე-  
ლებს არ აჩვენეს!). ამ წიგნის ავტორი ბ-ნი ფ. ლომაშვი-  
ლი, რასაკვირველია, მოსკოვის ყურმოჭრილი მონა, ეძი-  
ვრაციას თავს ეხანძის და ყველა ცოდვას პას უწყალოდ  
ზურგზე ჰკიდებს. ეს გასაგებია: ემიგრაცია კომუნისტებს  
სახარობელად ეჩვენებათ. მთლიანად ემიგრაციის ლანძ-  
ღვა - გინების გარდა, ბ-ნი ლომაშვილი პირადად ეხება  
ზოგ ემიგრანტს და ზოგ მათგანს „გარეწაბს“ უწოდებს,  
— ეს მიაი ენის დამახასიათებელია.

ქართული ეროვნული საბჭო და ეროვნული პოლიტი-

კური ცენტრი „ლირსად“ თელის მოსკოვის დასქმს ბს-  
სუხი გასცეს, და ისიც მეტად თავშეკავებით!

**ა. ბადრიძე,** ოქტომბრის შედეგები. გამოქვეყნებული პროკ.  
ინსტირველი. პარიზი 1967 წ.

ემიგრაცია ბექდვითი სიტყვით განაგრძობს საბჭოთა  
კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას. ეს წიგნაკი (48-გვერდი-  
ანი), განიხილავს ოქტომბრის შედეგებს და დაყოფილია  
მოკლე თავებად: ოქტომბრის შეთქმულება, ინდუსტრი-  
ალიზაცია, კოლექტივიზაცია, ეკონომიური რეფორმა.  
რუსიფიკაცია, საბჭოთა ადამიანი, ახალგაზრდობა, ოქ-  
ტომბერი და საქართველო. დასკვნები: — ბოლშევიზმის  
იდეოლოგია დიდი ხანია გაკოტრებულია; უკლასო საზო-  
გადოების ნაცვლად შეიქმნა ახალი არისტოკრატია, პო-  
ლიტიკური ძალაუფლებით აღჭურვილი; სოფლიან საბე-  
ურნეო პოლიტიკა დამარცხდა; თუმცა ცდილობენ რე-  
ფორმების საშუალებით გამოასწორონ შექმნილი მძიმე  
მდგომარეობა, მაგრამ ეს ცდაც შედეგს არ იძლევა; ხალ-  
ხი დამონებულია; თავისუფალი აზროვნება — შებორ-  
კილი; არც ერთი დაპირება ოქტომბრის რევოლუციისა  
არ გამართლებულა; ერები დაჩაგრული არიან და მოსკო-  
ვის საწველ ფურად გადაქცეული...

**ბ. სარჯველაძე,** ნოე ჟორდანის ხსოვნისათვის (დაბა-  
დების ასი წლისთავის გამო). პარიზი 1968 წ.

ბ-ნმა ბ. სარჯველაძემ გამოსცა წიგნაკი (64 გვ.) დაბო-  
უკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაბა-  
დებიდან ასი წლის თავზე. ავტორი სამართლიანად შენი-  
შნავს, რომ ნოე ჟორდანის მრავალფეროვანი, ღრმა ში-  
ნაარსიანი ხანგრძლივი პოლიტიკური ცხოვრების, სა-  
ხელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოთავე-  
სება ვიწრო ჩარჩოებში შეუძლებელია; არც არსებობს  
ამისი შესაძლებლობა უცხოეთშიო. მაგრამ მაინც მოკ-  
ლედ საჭიროდ მიაჩნია ზოგიერთ მოვლენათა აღწერა.  
წიგნი საინტერესოდ არის შედგენილი და დასკვნაც სა-  
თანადოდ აღნიშნული: „ამ ქვეყნიდან განშორების შემ-  
დეგ მებრძოლი პრეზიდენტი, ასული დიდების მწვერვალ-  
ზე, — თავისუფლების დროშით, — ჩება სიმბოლო, ქა-  
რთველი ერის ბრძოლისა და გამარჯვებისა“-ო.

**ამირანი,** სამშობლოსათვის თავდადებულნი. პარიზი,  
1967 წ.

ეს არის პატარა წიგნაკი, რომელიც მიეძღვნება ოცდა-  
ექვს მაისს, გმირთა ხსოვნას. და ბოლოს თავდადებულ  
ახალგაზრდობას. ავტორი ამბობს: — შემოდასახელებულ  
გმირთა სახელები მხოლოდ სანიმუშო და სიმბოლიური  
ვასენება იმ ათასებისა, რომლებიც ამათავით დაეცნა  
სამშობლოს სამსხვერპლოზე“-ო.

**ქართველ ერს.** პარიზი, 1968 წ. (წაკითხული ქართული ასოციაციის საზეიმო სხდომაზე, 1968 წ. პარიზში, საქართველოს დამოუკიდებლობის 50 წლისთავზე.)

აქ, სხვათა შორის, ნათქვამია: — „ამრიგად, თავისუფლება, დემოკრატია და სოციალური სამართალი გახდა ქვეყნობის (დამოუკიდებელი საქართველოს) ეროვნულ - სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში“-ო. და რადგან საბჭოთა კავშირი კრიზისის განიცდის, დასკვნაც უმძდევი არის: — „ყოველგვარ კრიზისს თუ გადატეხას ჩვენი ერი მზად უნდა შეხვდეს ერთიანი და მთლიანი, დაუწყობელი იმაში, რომ ერის ბედს საბოლოო ანგარიშში თვით ერის ურყევი ნებისყოფა გადაწყვეტს. იმედით შევუერთებთ მომავალს: ისტორია და მისი პრაქტიკები ჩვენი მოკავშირეა“-ო.

**ა. ბადრიძე,** ჩეხოსლოვაკიის ბრძოლა თავისუფლებისათვის. პარიზი 1969 წ.

ჩეხოსლოვაკიის ამბავი აქ, უცხოეთში, ყველამ კარგად იცის, და იცის მხოლოდ ისე, როგორც იგი მოხდა სინამდვილეში; ეს არ იცინა საბჭოთა კავშირში, სადაც თავის მოქალაქეს ყველაფერს უმალავენ და შეთხზულ - მოჭორილ ცნობებს აწვდიან, უფრო ადვილ მოსანელებლად.

ბ-ნ ა. ბადრიძის წიგნაკი მოკლედ და მართლად აღწერს ჩეხოსლოვაკიის ხალხის ბრძოლას ეროვნული პოლიტიკის თავისუფლებისათვის; რუსეთის მიერ (თავის დამქაშებთან) იქ ტანკებით შეჭრას და ხალხის გაწეულ წინააღმდეგობას. წიგნაკი გამოცემულია იმ მოსაზრებით, რათა მან მიაღწიოს იქ, ქართველ მკითხველს და სწორი ცნობები გააგებინოს. ავტორის დასკვნა არის: „სიმართლე მაინც გაიმარჯვებს — ჩეხოსლოვაკია მოიპოვებს სრულ თავისუფლებას, რადგან მისი გადაწყვეტილება არის ურყევი: იყოს თავისუფალი“.

**ბრანდის უნივერსიტეტში.**

*Georges Nakashidse, what happened to Georgian consciousness under Russian Rule.*

შეერთებული შტატების ბრანდის უნივერსიტეტი მართავს ხოლმე სხდომებს, რომელში მონაწილეობა იღებენ სპეციალისტები პატარა ერთა საკითხების შესახებ. შემდეგ ის მოხსენებანი იბეჭდებიან. ერთ ასეთს წარმოადგენს პროფ. დრ. გიორგი ნაკაშიძის მოხაზება ქართულ საკითხზე. მოხსენებელი მოკლედ გააცნობს დაძვინჯილ საქართველოს ისტორიას; წითლების შემოსევას; შემდეგ სტალინის მისვლას თბილისში და მუშების პროტესტს; ლაპარაკობს ტერორსა და ხალხის ოპოზიციას და ბოლოს ქართველი ხალხის აჯანყებაზე; მის დამარცხებაზე; „წაწოლის პოლიტიკაზე“; განსაკუთრებით ეხება

გამარჯვებულ პოლიტიკას და ქართველი ინტელიგენციის წინააღმდეგობას. საერთოდ ეს 12-გვერდიანი წერილი დასაბუთებული პროპაგანდა არის ქართველი ერი ბრძოლის შესახებ.

*George Nakashide, Professor Roman Smal-Stocki and the Promethean Movement.*

**პროფ. რომან სმალ-სტოცკის გარდაცვალების გამო**

პროფ. დრ. გიორგი ნაკაშიძემ მოათავსა პოლონურ ცნობილ ჟურნალში „კულტურა“ (1970 წ. იანვარი) წერილი ქართველთა მეგობარი, დიდი უკრაინელი მოღვაწის, პროფ. რომან სმალ-სტოცკის შესახებ „პრომეთე“-ს მოძრაობასთან დაკავშირებით. დასახელებული პიროვნება იყო უკრაინელთა ბელადი, როგორც პოლიტიკურ; იგი კულტურულ დარგში. იგი ოცი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა „პრომეთე“-ს მოძრაობას და ბ-ნი ნაკაშიძე აცნობს ახალგაზრდა მკითხველთ, თუ რა იყო „პრომეთე“ და რა მიზანს ისახავდა იგი.

რუსეთმა დაიპყრო იმპერიიდან გამოყოფილი და გახდა თავისუფლებული ქრები, რომელთა პოლიტიკურ - ეროვნული ემიგრაცია უცხოეთში ერთა თავისუფლებისათვის ბრძოლას განაგრძობდა. საჭირო იყო გაერთიანება, ერთად ბრძოლა; მაგრამ ამისათვის აუცილებელი იყო აგრეთვე აახსარი, რაც ემიგრაციას, ცხადია, არ გაახდენდა დაეხმარებოდა მას ამ ბრძოლაში? არა დიდი სახელმწიფონი, რომელთა მაშინ რუსეთისაგან არავითარი საფრთხე არ მოელოდათ, არამედ ის ქვეყანა, რომელს სწორედ ეს საფრთხე ელოდა და რომელმაც რუსული ბატონობა იწვნია. ეს გახლდათ პოლონეთი. ამის მიზანი ამ შემთხვევაში იყო: საბჭოეთიდან გამოაული ემიგრაცია იავის მოკავშირედ გაეხადა და მისთვის საშუალება მიეცა პოლიტიკური მუშაობა უცხოეთში და სამშობლოში ეწაშრობინა. და აი, ამ ნიადაგზე წარმოიშვა გაერთიანებული ორგანიზაცია, რომელიც მოინათლა სახელით: „პრომეთე“. ამ მოძრაობის ცენტრი იყო ვარშავა და ამ „პრომეთე“-ს თამჯდომარედ აიჩიეს ბ-ნი რომან სმალ-სტოცკი; მალე დაიწყო ეროვნულ ენებზე ჟურნალების გამოცემა: პოლონურ, უკრაინულ, რუსულ, ფრანგულ, თურქულ, ვინურ და ქართულ ენაზე... ამას გარდა — „პრომეთე“-ს წარმომადგენლები სათანადო პოლიტიკურ მუშაობასაც მისდევდნენ.

ბ-ნი გიორგი ნაკაშიძე, რომელიც მაშინ (1930 წლიდან) აღმოსავლეთი ენების ინსტიტუტში (ვარშავა) ქართულს ასწავლიდა, სმალ-სტოცკისთან შეხვედრა ხშირად უხდებოდა და ამ ქართველთა დიდ მეგობარს იგი წერილს მიუძღვნის ახლა და მოგონებებსაც უზიარებს მკითხველთ.

პროფ. სმალ-სტოცკიმ ამერიკაში დაბეჭდა დიდი წიგნი რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა შესახებ, რომელშიც იგი ხშირად ლაპარაკობს საქართველოზე... პროფ. სმალ-

სტოკცი ომის შემდეგ ამერიკაში ცხოვრობდა და იქ თავის პოლიტიკურ მუშაობას დაუღალავად განაგრძობდა... სიკვდილამდე.

„სამშობლოს ხმა“, უცხოეთისათვის დანიშნული ორგანო (ამჟამად მონათლული „სამშობლო“-დ; მაგრამ სახელის დარქმევა არაფერს ცვლის); ეს გაზეთი იყო: მოსკოვის ორგანო და მისი დამცველი. ამისათვის მას სჭირდება ტყუილი. ტყუილი და ტყუილი!

„სამშობლოს ხმა“, № 5, 1968 წლისა სწერდა:

„1917 წლის ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გააუქმა ეს ნაძალადევი აქტი“-ო. ესე იგი: ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოსპობა ცარისტული რეჟიმის მიერ, ეს ნაძალადევი აქტი, გააუქმაო. თურმე ხუ იტყვიო, ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას აღუგვია ცარისტული ძალადობა ქართულ ეკლესიაზე და მიუნიჭებია მისთვის დამოუკიდებლობა! ავტოკეფალია!

შეიძლება ასეთი ტყუილის თქმა?

ყველამ იცის, რომ საქართველოს სამღვდლოებამ თვითონ აღიდგინა დამოუკიდებლობა, გამოაცხადა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია 1917 წლის მარტის 12-ს. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებასაც კი (26 მაისს) იგი წინ უსწრებდა! მაგრამ ათასჯერ ნათქვამი ტყუილი იქნებ ვინმემ დაიჯეროსო, — ფიქრობენ ბოლშევიკები! ეს მათი ცნობილი ხერხია!

**დ. ახვლედიანი, ცნობის ფურცელი, №2. პარიზი, 1968**

ბ-ნი დ. ახვლედიანის ეს „ცნობის ფურცელი“ გვაწოდებს ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორი ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება არის შექმნილი საქართველოში. პოლიტიკურად — ბატონობს მოსკოვი და მისი პოლიტიბიურო. ეკონომიურადაც. თვით კომუნისტური პრესის დამოწმებით, ბ-ნი დ. ახვლედიანი გვიჩვენებს, თუ რა დიდი ხარვეზები აქვს კომუნისტურად დაგეგმულ მეურნეობას და რა ზარალი მოაქვს მას სახალხო მეურნეობისათვის. ბ-ნი დ. ახვლედიანი იბრძვის სიმთლისათვის და კომუნისტებს უკიჟინებს, რომ ისინი დამპყრობელი რუსეთის დამქაშები არიან, რომ მათი თავისუფლება არის მონური თავისუფლება — აღმასრულებლობა მოსკოვის კარნახისა, უსიტყვოდ გატარება ყველა ზომისა, რასაც ზემოდან, მოსკოვიდან უბრძანებენ და სხვა.

ბ-ნი დ. ახვლედიანის ეს წიგნაკი არის ხმა სიმართლისა და სამართლიანობისა. იგი ეხება აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის ამბავს, რაც იქ, საქართველოში გადაბრუნებულ - დამახინჯებულად იცინა, და აქ კი ყველამ ზედმიწევნით ვიცით, თუ როგორი იმპერიალისტური ზრახვებით დაიჭირა მოსკოვმა ეს ქვეყანა! ჩეხოსლოვაკიაში რუსული და მისი დამქაშების შესვლას ავსტრიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ უწოდა „ტახე-

ბის კომუნისმი“! ბ-ნი დ. ახვლედიანი ამხელს და აგმობს მოსკოვის ვერაგულ პოლიტიკას მცირე ერების მიმართ და ავტორი იმედით საცხება, რომ ეს მოსკოველი ურჩხული უეჭველად დაიღუპება.

**ვ. ნანუაშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 50 წლისთავი. სან ფრანცისკოს ქართველთა კერა. 1968 წ. ივნისის 2.**

„უცვ 50 წელმა განვლო მის შემდეგ, რაც საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა. დღეს საქიროა გადავხედოთ ამ ნახევარი საუკუნის მანძილიდან, ისტორიული თვალსაზრისით, ჩვენი ერის არსებობის დროს, ამ დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის წარმოებულ ბრძოლას...“-ო — გვეუბნება მომხსენებელი.

ბ-ნი ვ. ნანუაშვილი წარსულ ამბებს ანალიზს უკეთებს და გვეუბნება, რომ „ყოველი დაპყრობილი ერი ამ ხანაში (1918 წ.) დაადგა სწორედ ამავე გზას (დამოუკიდებლობას). აქაც ერთსა და იმავე განუყოფელ შოვლენას ვხედავთ. მაშაადამე, ეს საუღიად ლოლიკური მანევრი იყო იმ ხანაში, როდესაც დამპყრობელი იმპერიების სამხედრო ძალები თავიანთი განვითარების უმაღლეს წერტილზე იდგნენ. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს იმას, რომ ყოველი თვითეული დაპყრობილი ერის ბედი ექვემდებარება პოლიტიკური ვითარების ერთ და იმავე კანონებს, როგორც მთლიანი კრებული დაპყრობილი ერებისა. ანევე ერთდროულად მიმართეს ახალად იარაღს დაპყრობილმა ერებმა პირველი მსოფლიო ომის პირველ დღეებშივე. ასევე მოიქცა საქართველოც...“

მონახვალის გამო ბ-ნი ვ. ნანუაშვილი გვაწმუბებს, რომ მშვიდობიანობის მოტანა შეუძლია მხოლოდ გაერთიანებას თავისუფალი ერებისა თავისუფალ ერებთან და თანაბარუფლებიან ერებისა თანაბარუფლებიან ერებთან. უამისოდ მხოლოდ შიშველ იმპერიალისტურ დაპყრობასთან გვაქვს საქმეო.

„ერების მკვიდრი გაერთიანება ვერ მოხერხდება მანამდე, სანამ ყოველი დაპყრობილი ერი არ მოიპოვებს სრულ თავისუფლებას“-ო. ამიტომ ყოველი დაპყრობილი ერის ბრძოლა, სწარმოებს იგი განმარტოებულ ტრაღედიას სახით, თუ საერთო გაერთიანებული მოქმედების ფარგლებში, ყველა ეს ბრძოლა წარმოადგენს ბრძოლას მთელი კაცობრიობისათვის, მისთვის მშვიდობის მოპოვებისათვის და ამ მშვიდობიანობის მკვიდრი და საღ საძირკველის შესაქმნელად“-ო. როგორც ისტორია გვიჩვენებს, ამ ტიტანურ ბრძოლაში პატარა საქართველო პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას კაცობრიობის წინაშე და ამ ბრძოლაში არაა დროს არ ყოფილა უკნასკნელიო, — დაასკვნის ავტორი.

ბ-ნმა ვანო ნანუაშვილმა (1969 წლის დეკემბერში) იმავე წესით (საწერი მანქანისა და გამრავლების საშუა-



ლებით) დაბეჭდა მე-5 და მე-6 რვეული, ინგლისურად და ქართულად: „მსოფლიო ძალთა განწყობილება და დაპყრობილი ერების პოლიტიკური პოტენციალი“. ამ საკითხის დაწვრილებითი ანალიზის შემდეგ, ბ-ნი ვ. ნახუაშვილი დაასკვნის: „მოსკოვს, თავისი აგონიის კრიზისში, აქვს ორი მკრთალი აჩრდილი თავის მიღწევის იმედისა, ეს შემდეგი ქრთ იმედია (მირაჟი): რომ იგი აღადგენს და შეირჩენს ატომის იარაღის მონაპოვს და მისი შანტაჟის თვისებას, რომ მოულოდნელ მოქმედებით მოასწრობს ცამოიყენოს ტექნიკური მომზადების ფაქტის წინაშე“. თუ კი რუსეთმა მოულოდნელი ომი დაიწყო, შეიძლება პირველ წაშმატებას მიაღწიოს, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ დროებითი. რუსულ იმპერიულიზმს გამარჯვება საბოლოო არ უწერია...

**ვ. გურგენიძე.** მესხეთ-ჯავახეთის ეკონომიკური და კულტურული განვითარება. „მნათობი“, მარტი, 1969 წ.

აი ისტორიკოსიც! ესე იგი ტყუილების შემთხვევილი! თუ მე მართალს არ მოგახსენებთ, თვითონ გასიხვეთ! ეს ვაი-ისტორიკოსი გურგენიძე მკითხველებს არწმუნებს — „მენშევიკების ბატონობის წლებში (1918—1921) საქართველოს, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთის ეკონომიკურმა ჩამორჩენილობამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. მენშევიკების უკუღმართი პოლიტიკა ხელს კი არ უწყობდა აღნიშნული მხარის წინაგლას, არამედ პირქით, ყოველ მხრივ ბორკავდა მას. კიდევ მეტი, მენშევიკურმა მთავრობამ თავისი უილაჯო პოლიტიკით შესაძლებლობა მისცა თურქებს მოეწყვიტათ საქართველოსაგან მესხეთ-ჯავახეთი, დაპატრონებოდნენ მას და, ადგილობრივ ბეგებთან ერთად, ეწარმოებინათ მოსახლეობის ხელახალი რბევა და აწიოკება“-ო. „1918 წლის 4 ივნისის დადებული საზავო ხელშეკრულებით თურქეთის ხელში გადადიოდა ახალციხე - ახალქალაქის მაზრები“-ო...

სინიდიცი კარგი საქონელია! მაგრამ სად გააჩნიათ ის ამგვარ ისტორიკოსებს?!

ისტორია კი ანეთი არის: — 1918 წლის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით **ბოლშევიკებმა** ოსმალეთს მიუბოძეს ყაზახ-არდაგან-ბათუმის მხარე. ამიერკავკასიამ ხელშეკრულება უარყო. ამის შედეგად ამიერკავკასიას ომი მოუხდა თურქეთთან და, რააკვირველია, მოუწყობელმა ქვეყანამ ეს ომი წააგო. ოსმალეთმა იარაღის ძალით ბრესტ-ლიტოვსკში ლენინისაგან მიღებული, ნაჩუქარი ყარს - არდაგან - ბათუმის მხარენი იარაღით დაიკავა.

თურქეთის დამარცხების შემდეგ მთელი ეს მხარე, ოსმალეთის მთავრობამ, მუდროპის დროებითი ზავის ძალით, პატონს დაუბრუნა. ეს არის ისტორია.

მერმე რა მოხდა? — 1921 წელს მოსკოვმა თურქეთს აღუთქვა ყარსი და ბათუმიც.

ბულუ მღვიანმა, მოსკოვის კარნახით, ყარსი და ბათუ-

მის მხარე ოსმალეთს მიუძღვნა. და სხვა ქართული ტერიტორიაც გაასაჩუქრა... ვინ მოშლის ამ ისტორიულ ფაქტებს? მას ტყუილი ვერ მოსპობს...

**STUDIA CAUCASICA.** Editorial Board : *George Dumézil*, Collège de France, Ecole des Hautes Etudes, Paris; *Tibor Halasi-Kun*, Columbia University, New-York; *David M. Lang*, University of London; *Karl Horst Schmidt*, University of Bonn; *Hans Vogt*, University of Oslo. Editors in chief : *Carl L. Eberling*, University of Amsterdam; *Aert H. Kuipers*, University of Leiden. Publishers : *Mouton and Co.* The Hague, 1963-1966.

ეს არის წმინდა და ჭეშმარიტი მეცნიერული ჟურნალი, რომელიც კავკასიას შეეხება და მის გაძვეთა ხელმძღვანელების სახელით დაზღვეული არის მისი მეცნიერული ღირსება. პირველ წიგნში მოთავსებულია ნარკვევი კავკასიის ეთნოურ-ისტორიული ხასიათისა, რუქებით დასურათებული. შემდეგ მოდის წერილი ლაკის ეხის გრამატიკაზე. მერმე — „პროტო-ჩერქეზული ფონოლოგია“; გამოკვლევა: „კავკასიური - თურქული ანატოლიური დიალექტები“. მერმე არის მოთავსებული წერილი: „ქართველები და ჩერქეზები ირანში“. ეს პირველი წიგნი არულებდა ზიბლიოგრაფიით. გამოცემა შეიცავს 150 გვ.

მეორე წიგნში მოთავსებული არის ორჰან ალპარსლახ დარე დღუმეხილის მიერ გამოკვეყნებული ტექსტი ზენუნუნ კოიფუ-სისა; მერმე დაბეჭდილია ლაკის დიალექტურ განაწილებაზე და ამას გარდა მეგრულ-ჭანურის შესახებ გამოკვლევა. ამას მოადევს წერილი ბერძნულ - სომხურ რელიგიურ წინააღმდეგობათა შესახებ. აქვეა კ. ჰ. შმიდტის გამოკვლევა: „ტემპორა ქართულსა და ინდოევროპულ ენებში“ კ. ლ. ემელინგის წერილი: „ლიტერატურული ავარულის გრამატიკა“. დასასრულს დაბეჭდილია წიგნთა მიმოხილვა.

ეს გამოცემა მხურვალედ მისააღმებელია: მას თავისი მეცნიერული წვლილი შეაქვს კავკასოლოგიაში და ვუსურვებთ მას დღეგრძელობას.

**Nodar Dumbadze, The Sunny Night, translated by George Nakashidze. Introduction by Robert Payne.**

ბ-ნ ნოდარ დუმბაძის რომანი: „მზიანი ღამე“, ინგლისურად ნათარგმნი ბ-ნ გიორგი ნაკაშიძის მიერ და რობერტ პეინის წინასიტყვაობით, გამოცემული არის ერთსა და იმავე დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში და კანადაში. ჩვენ ამ მოვლენას მხოლოდ აღვნიშნავთ, რადგან ქართველი მკითხველი ბ-ნ ნოდარ დუმბაძეს კარგად იცნობს, როგორც დიდად ნიჭიერ მწერალს, იუმორით დაჯილდოებულს და კრიტიკულად მოაზროვნეს, რაც მეტად იშვიათი შემთხვევა არის საბჭოთა მწერლობაში...

წიგნი, რასაკვირველია, მშვენივრად არის გამოცემული და ამერიკელი მკითხველი ბ-ნ დუმბაძის შემოქმედე-

ბას ახლა მანც გაიცნობს. ბ-ნ გიორგი ნაკაშიძეს კი მადლობა უნდა ვუთხრათ ამ წიგნის თარგმნისათვის.

**Khariton Chavichvili, La Philosophie du Socialisme. enève 1968.**

ეს ღრმად მოხუცებული, ბატონი ხარიტონ შავიშვილი დაუცხრომელია და კალამს ხელიდან არ უშვებს. უკანასკნელად მან დაბეჭდა მიაი შრომა: „სოციალიზმის ფილოსოფია“, რომელშიც იგი, რასაკვირველია, მოკლედ განიხილავს შემდეგ საკითხებს — წარმოშობა ფილოსოფიისა, ისტორიული მატერიალიზმი, მარქსიზმი, ბოლშევიზმის ისტორიული მიზეზები, რუსული უტოპია და ამას მოსდევს დასკვნა. ეს დასკვნაც, ცხადია, მოსალოდნელი იყო. ავტორი გვეუბნება, რომ „ქეშმარიტი სოციალიზმი, რომელიც არის ყოველგვარი დაჩაგვრის წინააღმდეგ და მომხრეა, როგორც პიროვნების, ისე ერთი თავისუფლებისა, შეიფერება კაცობრიობის აუცილებელ საჭიროებას, რომელსაც სურს ბოლო მოუღოს ომის ბაზარობას და ამა ქვეყნად მშვიდობის დამყარებას“-რ.

**Ahmet Ozkan (Melazvili), Gürcüstan. Tahih edebiyat anat Folklor. Istanbul 1968.**

ბ-ნ აჰმეტ ოზკანის (მელაშვილის) დაახელებული წიგნი არის თურქულ ენაზე დაბეჭდილი საქართველოს ისტორია, კულტურა, ფოლკლორი. რამდენადაც ვიცით, ეს პირველი შემთხვევა უნდა იყოს, რომ თურქულ ენაზე ამგვარი წიგნი იბეჭდება და ამიტომ ამ შრომას დიდი მნიშვნელობა მიეწერება; ავტორს მადლობა უნდა გადავხადოთ, რომ საქართველოს მეზობელ თურქეთთან დასახელებული წიგნი მიაწოდა.

წიგნი მდიდრულად არის დასურათებული. ამ შრომას დართული აქვს ცნობილი მეცნიერის, პროფ. ჟორჟ დღუმეზილის წერილი.

**Georges Charachidzé, Le système religieux de la Géorgie païenne. Analyse structurale d'une civilisation. Préface de Georges Dumézil. Paris, 1968.**

ახალგაზრდა მეცნიერის, გიორგი შარაშიძის ეს დიდი შრომა ეხება „ქართულ წარმართულ რელიგიურ სისტემას“; ეს არის ერთი ცივილიზაციის სტრუქტურული ანალიზი. წიგნს მიუძღვის პროფ. ჟორჟ დღუმეზილის წინასიტყვაობა.

სამწუხაროდ, არა ვართ ამ საკითხის მკოდნე და ამიტომ ეს დიდი შრომა (შვიდას გვერდზე მეტი) არ შეგვიძლია სათანადოდ გავარჩიოთ და მკითხველს მისი დაფასება მივაწოდოთ; მაგრამ შევეცდებით მკითხველს გავაცუთვით ეს წიგნი, თუ იგი რას შეიცავს.

პირველ თავში ბ-ნი გიორგი შარაშიძე წინასიტყვაობის შემდეგ განიხილავს „ადამიანთა საზოგადოებას“; პირ-

ველ ნაწილში გარკვეული არის: 1. ხელისუფლების ობიექტი: სოციალური ჯგუფი: ა). საზოგადოების ფორმა, ბ) საზოგადოების აღნაგობა, გ). სქესთა ოპოზიცია და დ). ოჯახური დამოკიდებულების სტრუქტურა. შემდეგ ქვეგანყოფილებაში განხილული არის: ა). საფუძველი ხელისუფლებისა: „შამანიზმი“: ქადაგის დანიშნულება, ბ). ქადაგის „ზედმიწვეწულობა“, გ). ქადაგობა და სნეულებანი, დ). ქადაგის სოციალური ფუნქციები, ე). ქადაგობა ბარში. ქვენაწილი 3: ხელისუფლების შესრულება: რელიგიური თემა; ა). დროშა: მხადრე, ბ). მღვდელი, გ). რელიგიური თემა, დ). დამოკიდებულება საიქიოსთან.

მეორე ნაწილი წიგნისა განიხილავს ღმერთების საკითხს. პირველ ქვეგანყოფილებაში: „კვირია“, — საზოგადოების ღმერთი: ა). უზენაესი ღმერთის დამხმარენი, ბ). კვირია და მისი შვილის დაბადება, გ). შთამომავლობა, ნათელი, თვალი; შემდეგ მოდის „კოპალა“ ანუ ბუნების საკითხი საზოგადოებაში: ა). ლეგენდები: ელვა - მები და დემონები, ბ). კოპალა და სიკვდილი, გ). სამგლოვიარო დოლი, დ). სამგლოვიარო წესები, ე). კოპალა და ტყვე სულები ვ). კოპალას თვისებები.

შემდეგ განხილულია: წმიდა გიორგი ანუ საზოგადოება ბუნება=ნატურაში: ა). მრავალგვარი წმიდა გიორგი და მერყევი, ბ). წმიდა გიორგი მოგზაური, გ). წმიდა გიორგი: ბუნება ადამიანის სამსახურში: წმიდა გიორგი და განფენილობა; მალალ - მთიანი საძოვარის ბატონი, მკლები და ფუტკრები. შემდეგ: ადამიანთა საზოგადოება და ღვთიური რწყვილი: ა). ხანმატი — ა). რიტუალი, ბ). შენობანი, გ). ცენტრალური რიტუალი, დ). პერიფერიული რიტუალი. წმიდა გიორგი ქაჯებთან: ა). ტექსტები, ბ). თემატიკის ორი პირველი სერია, გ). რა ვიცით ქაჯებზე? წმიდა გიორგის დაბრუნება და ამის შედეგები: ა). დიაკონერის „სამძიმარის“ ხასიათი, ბ). მისი სახელი, გ). სამძიმარის ფუნქციები. — რძის ნაყოფთა სიმბოლიზმი: ა). სამძიმარი და კარაქი, ბ). კარაქი სამგლოვიარო რიტუალში, გ). კარაქი რელიგიურ ღვებებში, დ). სამძიმარი და სიკვდილი, ე). მითიანი და რიტუალი.

ამას მოსდევს ლაშარის საკითხის გარჩევა: ლაშარი ანუ პარმონიული რწყვილი: ა). შექწყვილებული კულტი ლაშარისა და თამარისა: ა). ლაშარი, ბ). სალოცავი თამარისა. შემდეგ: ხეთა სიმბოლიზმი; სტრუქტურა ღვთიური რწყვილისა და ბოლოს: დასკვნა. წიგნს დართული აქვს ვრცელი ბიბლიოგრაფია და ილუსტრაცია.

ასეთი არის ეს დიდი შრომა ბ-ნ გიორგი შარაშიძის ქართულ წარმართობაზე და იგი არის პირველი დიდი გამოკვლევა ამ საკითხზე, რომელიც ფრანგულად იბეჭდება. და თავის თავად (ცხადია, ასეთი შრომის გამოქვეყნებას ევროპულ მეცნიერებაში დიდი მნიშვნელობა მიენიჭება.

თეიმურაზ ბაგრატიონი, ვეფხისტყაოსანი მის დროს და რვა საუკუნის შემდეგ. ნიუ-იორკ სიტი, 1968 წ.

Shota Rustaveli, A. Man in his Time and Eight Hundred Years Later, by Theimouraz Bagration. New York City, 1968.

ეს წიგნაკი, ძვირფასად გამოცემული, არის სიტყვა, მიძღვნილი შოთა რუსთაველისადმი, მისი დაბადების რვა-ასი წლისთავზე, წარმოთქმული ამერიკის შეერთებული შტატების ქართველთა სათვისტომოს სხდომაზე, რომელმაც ეს წიგნი გადაიხადა 1966 წლის დეკემბრის 8-ს.

სიტყვა იგი წარმოთქვა თეიმურაზ ბაგრატიონმა, ხოლო წიგნაკად (24 გვ.) გამოსცა იმავე სათვისტომომ. იგი დასურათებულია ნაცნობი სურათებით, ხოლო ყდა ბისი შემკობილია მერედეთ ზალდასტანის მიერ... წიგნს ბიუტძვის მოკლე წინასიტყვაობა ჯორჯტაუნ უნივერსიტეტის პროფესორ კირილე თუმანოვისა.

თვით თეიმურაზ ბაგრატიონის სიტყვაში მოკლედ და სხარტად განხილულია არის მეთორმეტე საუკუნის პოლიტიკური და კულტურული ვითარება საქართველოში და შემდეგ მოთხრობილია თვით ვეფხისტყაოსანის შინაარსი, რაც, სამწუხაროდ, დაზღვეული არ არის უბრალო შეცდომისაგან. (ნათქვამია: თითქოს თინათინი და ავთანდილი ერთმანეთს წერილებს სწერდნენ, ნაპღვილად კი საქმე ნესტან-ტირაიელის მიწერმოწერას ეხება).

შემდეგ განხილულია ვეფხისტყაოსანი მსოფლმხედველობის მხრითაც. წიგნაკი დიდად სასარგებლო არის ინგლისურის მკითხველისათვის, რამეთუ იგი ზოგად ცნობებს იძლევა რუსთაველზე და მის პოემაზე.

შალვა ბერიძე, რუსთაველი და იურისპრუდენცია, რომი, 1968 წ.

Ch. Bérizdé, Rustaveli e la Giurisprudenza. Roma, 1968.

პროფ. დრი შალვა ბერიძე ამ წიგნაკს მიუძღვნის მიქელ-ანჯელო გიდი-ს, „იტალიაში კავკასიის შემსწავლელი“ ინსტიტუტის პრეტორს. წიგნაკში დაბეჭდილია ვეფხისტყაოსანიდან ამოკრებილი იურიდიული დებულებები და ხანდახან შედარებული უცხოეთის მწერალთა მიერ გამოთქმულ შეხედულებასთან.

თავისი ხანდაზმულობისას ბატონი შალვა ბერიძე კიდევ მუშაობს ვეფხისტყაოსანის დარგში და ვუსურვებ მას მრავალამიერ სიცოცხლეს თავისი მუშაობის მხნედ გავგრძელებისათვის.

3. 6.

„მხოლოდ ერთი წელიწადი“.

HARPER AND ROW, PUBLISHERS. NEW YORK AND EVANSTON 1969.

ყველამ იცის: სტალინის აპულმა, სვეტლანა ალილუი-

ევამ თავისუფლება აირჩია, მიატოვა საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეხიზნა. მალე მას იქ გამოსცა (1963 წ.) თავისი წიგნი სათაურით: „ოცნი წერილი“, რომელშიც მოთხრობილი არის, თუ როგორ მოხდა მისი სულიერი და ზნეობრივი გარდაქმნა და რად მიატოვა სამშობლო, თუმცა ამაზე მან წინად არც უფიქრობია. ეხლახან გამოვიდა მისი მეორე წიგნი: „მხოლოდ ერთი წელიწადი“. ქ-ნი სვეტლანა აქ უკვე უფრო ძირითადად ეხება აღძრულ საკითხებს და, სხვათა შორის, თავისი მამის იოსებ (სოსო) ჯუღაშვილ-სტალინის და მის მიერ შექმნილი კომუნისტური რეჟიმის მკაცრი, უაპროვითი დახასიათების შემდეგ ამასაც გვიამბობს: —

„არაფერი არ მიმიწევდა უკან, გარდა მეგობრების ნახვის სურვილისა და ჩემი შეილებისადმი სიყვარულისა.

მთელი ჩემი ცხოვრება იყო მხოლოდ ფეხების ნელ-ნელა კვდომის, სუსტობის და არა ზეალურობის. არ ვიყავი დაახლოებული სისხლის ნათესავებთან; არ მიზინვარებდა არც მოსკოვი, სადაც მე დავიბადე და გავატარე ჩემი ცხოვრება; არც არაფერი დანარჩენი, რაც ჩემს გარშემო ბავშვობიდან არსებობდა.

მე ორმოცი წლისა ვიყავი; აქედან ოცდაშვიდი წელიწადი გავატარე მძიმე პრესის ქვეშ და შემდგომი 14 წელიწადი კი ამ პრესიდან თანდათან ვთავისუფლდებოდი. 1926 წლიდან 1953 - მდე, რომელსა „სტალინის პერიოდს“ უწოდებენ ისტორიკოსები, იყო ხანა ერთპირადი დესპოტიზმისა, სისხლიანი ტერორისა, ეკონომიკურ გაჭირვებათა, უსასტიკეს ომთა და იდეოლოგიური რეაქციისა. 1953 წლიდან ქვეყანა იწყებს თანდათანობით სულის მოთქმას. ტერორი თითქოს ჩაბარდა წარსულს, მაგრამ ის, რაც წლობით შენდებოდა, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა, აღმოჩნდა ცხოველი და მჭიდრო, როგორც პარტიის შიგნით, ისე დამონებულ და დაპრიმავებულ მილიონთა მასსაში.

მიუხედავად იმისა, რომ მე ვცხოვრობდი „პირამიდის მწვერვალზე“, სადაც სიმართლე ძნელად აღწევდა, მთელი ჩემი ცხოვრება, ისე როგორც მთელი ქვეყანა, გაიყო ორ პერიოდად: 1953 წლამდე და მის შემდეგ. ჩემი სულიერი ტყვეობიდან განმათავიანუფლებელი პროცესი მიდიოდა, სხვებისაგან განსხვავებული, თავისი გზებით, მაგრამ ის მიდიოდა შეუჩერებელი და წვეთ-წვეთად სიმართლემ გაარღვია გრანიტი. წვეთი ურტყამს ლოდს არა ძალით, არამედ ხშირი დაცემით — ეს ლათინური ანდაზა ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ვისწავლე. სხვანაირად შედგენილი ვიქნებოდი ამერიკაში, საგონებელში ჩავარდნილი: თუ რა გზას დავადგე?! ისე კი ვიცხოვრებდი წყნარად საქართველოში, სადაც მამა-ჩემის სახელს დღემდე დიდი პატივით იხსენიებენ; გაუძღვებოდი ექსკურსანტებს გორში, სტალინის მუზეუმის დასათვალიერებლად; და თა-

ნაც ვუამბობდი „დიდი საქმეებია“ და „მიღწევების“ შესახებ.

ოჯახში, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე, ყველაფერი არა ნორმალური და სულის შემხუთველი იყო; დედის თვითმკვლელობა საუკეთესო გამომეტყველი იყო გამოუყვანი მდგომარეობისა. გარემორტყმული კრემლის კედლებით; საიდუმლო პოლიცია სახლში, სკოლაში, და სამზარეულოშიც კი. გამძვინვებულმა, გავერახებულმა ადამიანმა, კრემლის კედლებით ჩამოიშორა ძველი ამხანაგები, ახლობელნი, მთელი ქვეყანა და თავის დაშქამებთან ერთად ქვეყანა გადააქცია საპყრობილედ, სადაც სიკვდილით სჯიდნენ ყოველივე ცოცხალს და მოაზროვნეს.

ის ადამიანი, რომელიც იწვევდა შიშს და სიძულვილს მრავალ მილიონიან ხალხში, იყო მამა-ჩემი.

მე რომ ბედით დაგბადებულყავი უცნობი ქართველი მეწაღის ოჯახში! როგორი ბუნებრივი და ადვილი იქნებოდა ჩემთვის, სხვებთან ერთად, მძულებოდა ეს შოთველი ტირანი, მისი პარტია, მისი საქმიანობა და პიტყვები. განა ცხადი არ არის, სად არის შავი და სად თეთრი!

მაგრამ მე დავიბადე მის საყვარელ ქალიშვილად. მთელი ახალგაზრდობა გავატარე მისი შეურყეველი ავტორიტეტის ნიშნის ქვეშ. ყველაფერი მიკარნახებდა და მძიძულებდა ეს ავტორიტეტი რომ მერწმუნებოდა. თუ გარშემო ამდენი ცრემლი იღვრებოდა და კვნესა ისმოდა, მე ისღა დამრჩენოდა მეფიქრა, რომ ეს სხვების ბრალი იყო.

27 წლის განმავლობაში მოწმე ვიყავი მამა-ჩემის სულიერი დაკნინებისა და ვაკვირდებოდი, როგორ დღითიდღე სტოვებდა მას ყველაფერი ადამიანური და სოციალური ნელნელა იქმნებოდა იგი თავისივე შავნელ ძეგლად.

ჩვენ თაობას გვასწავლიდნენ გვეფიქრა, რომ ეს ძეგლი განსახიერება იყო კომუნისმის ყველა მშვენიერი იდეალისა და მისი ცოცხალი გამოახსენება.

კომუნისმს თითქმის აკვნიდან გვასწავლიდნენ: სახლში, სკოლაში, უნივერსიტეტში. დასაწყისში ჩვენ ოქტომბრელები ვიყავით; შემდეგ — პიონერები; შემდეგ — კომკავშირელები და ბოლოს ჩვენ გვღებულობდნენ პარტიაში. მე თუ არავითარ აქტიურ მუშაობას არ ვეწეოდი (როგორც მრავალი სხვა) და მარტო საწევრო გადასახადს ვიხდიდი (როგორც ყველა), აუღერითა: მოვალე ვიყავი ხმა მიმეცა ყოველი პარტიული დადგენილებისათვის, მაშინაც კი, როდესაც მე მას არ ვიზიარებდი.

ლენინი ჩვენი ხატი იყო; მარქსი და ენგელსი — მოციქულნი და თვითველი მათი სიტყვა — აბსოლუტური ჭეშმარიტება; მამა-ჩემის თითოეული სიტყვა კი. ზეპირი. თუ ბეჭდვითი, ზეციური მხილებადა.

ჩემს ახალგაზრდობაში კომუნისმი მიმაჩნდა შეურყეველ სიმაგრედ. ასევე შეურყეველი იყო მამა-ჩემის ავტორიტეტი და რომ ის ყოველთვის და ყველაფერში მართალი იყო. შემდეგში ნელნელა ეჭვი შემეპარა მის სა-

მართლიანობაში და თანდათან ვრწმუნდებოდი მის გაუმართლებელ სიმაკრეში. მარქს - ლენინის თეორიები და დოგმები ფიქრდებოდნენ და ჭკნებოდნენ ჩემს შეგებებაში. პარტია ჰკარგავდა გამართულ რევოლუციურ სამართლიანობას. როდესაც, 1953 წლის შემდეგ, პარტია შეეცადა ტლანქად და უძღურად, გამიჯნულიყო თავისი ყოფილი ბელადისგან, — პირიქით დაგწმუნდი პარტიის და „პიროვნების კულტის“ ღრმა შინაგან მთლიანობაში, რააც პარტია ამაგრებდა ოცი წლის განმავლობაში.

ჩემთვის თანდათან ცხადი ხდებოდა არა მარტო მამა-ჩემის დესპოტიზმი, არამედ მასთან ერთად მის მიერ შექმნილი სისტემა სისხლიანი ტერორისა, რომელმაც მილიონობით უდანაშაულო მსხვერპლი შეიწირა.

ჩემთვის ცხადი ხდებოდა აგრეთვე, რომ მთლიანად ეს სისტემა, რომელმაც დასაშვებად გახადა ეს მოვლენები, თვით იყო ღრმად შელახული და რომ ვერც ერთი თანამონაწილე. რამდენიც არ უნდა ეცადოს, ვერ აიცილებს პასუხისმგებლობას. ამ რიგად დაიმსხვრა მთლიანად სიცრუეზე აგებული შენობა. ერთხელ თვალახელილი ძნელად დაიმრავლებს თავს. პროცესი განთავისუფლებისა იყო ძნელი და დიდხანს გრძელდებოდა. — ის კიდევ განაგრძობს სვლას.

ჩემი თავობა კარგად არ იცნობდა ისტორიას: მისი ქვეყნისა, რევოლუციისა და პარტიისა. ჩვენ დიდხანს გვიმალავდნენ სიმართლეს.

მე ვიცნობდი მამა-ჩემს ოჯახში და ახლობელთა წრეში, რომელთა მიმართ ის მუდამ ცვალებადი იყო; მაგრამ მე დიდხანს არ შემეძლო გამეგო ისტორია იმ პოლიტიკური ბრძოლისა, რომელსაც ის აწარმოებდა თვით პარტიაში, ერთგულებიანობისათვის, მისივე ამხანაგების მიმართ. რაც მეტს ვეცნობოდი სიმართლეს, ხშირად მოულოდნელი წყაროებიდან, მით უფრო ვიტახუცებოდი და იკოდებოდა ჩემი გული. ამ საშინელებისაგან თავის დასაღწევად არ ვიცოდი სად გადავხვეწილიყავ.

ის ხომ ჩემი მამა იყო. აი, რატომ სიმართლე უფრო შემზარავი იყო ჩემთვის“...

გადმოქართულებული ალ. ტატიშვილის მიერ

Georges NOZADZÉ : Aperçu sur l'Art religieux géorgien. Extrait de la revue " Bedi Kartlisa ", Paris, 1961.

ასეთი სათითაურით ფრანგულ ენაზე გამოვიდა გიორგი ნოზადის წიგნი, რომელშიც შეტანილია ის წერილები, რომლებიც ავტორს წარუთულ წლებში გამოუქვეყნებია ქართველოლოგიურ ჟურნალ „ბედი ქართლისა“-ში. ამ პატარა წიგნაკში, განხილულია ჩვენი ეროვნული ძეგლების, სახელდობრ: კედლის მხატვრობის და ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი თვისებები. ავტორი გვატნობს ქართველ მეცნიერთა: გ. ჩუბინაშვილის, შ. ამირ-

ნაშვილის და უცხოელ მკვლევართა: მალტრუშაიტის, ტოლმაჩევსკაიას და სხვათა უკანასკნელი ხნის გამოკვლევებს, რომელთაც დიდი შრომები გასწიეს, რათა გაეფანტათ მსოფლიოში ტრადიციულად დამკვიდრებული ის მცდარი აზრები, თითქმის ძველი ქართული ხელოვნება არის — ბიზანტიური ხელოვნების ერთ-ერთი შტო.

უცხოელი მოგზაური-მკვლევარნი, რომლებიც წარსულ საუკუნეებში საქართველოში მოგზაურობდნენ, აჩვენებდნენ, ზერეღეთ აღწერდნენ და აქვეყნებდნენ ჩვენი ეროვნული ძეგლების ნიმუშებს, რის შედეგად დამკვიდრდა ეს მცდარი შეხედულებანი. დღეს კი, როდესაც ზემოხსენებული თანამედროვე მკვლევარნი, მეცნიერული მეთოდით შეიარაღებულნი, ამ საკითხს მიუდგნენ, სულ სხვა სურათი გარდაგვეშალა თვალწინ. ე. ი. ძველი ქართული შემოქმედებანი ატარებენ საკუთარ, ორგინალურ დამოუკიდებელ სახეს.

ჩვენ უფლება გვაქვს უფრო შორს წავიდეთ და აღვნიშნოთ, რომ საქართველომ თავისი აყვავების ხანაში, აღმოსავლეთის საქრიატიანო კულტურის განვითარებაში, თავისი როლი ითამაშა, და მისი გავლენის სფერო შორს მიდიოდა; სკილდებოდა რა კავკასიას და სამხრეთ რუსეთსა, რუმინეთს, სერბეთს და სხვათა — ხელოვნებაზე თავის დაღს აჩენდა. თუ ზოგიერთ დარგში არის ნიშნები ბიზანტიის გავლენისა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ეპიზოდურია და საერთოდ ხომ ცნობილია, რომ ბიზანტიური კულტურის შექმნაში თავისი სიტყვა სიტყვს აღმოსავლეთ ქრისტიანულმა ერებმა, საქართველომ, სომხეთმა სირიამ და სხვებმაც.

წიგნში მოყვანილია მაგალითები ჩვენში ცნობილ საკულტო შენობების კედლის მხატრობისა, როგორც არის: ათენი, შიომღვიმე, გარეჯა, გელათი, წალენჯიხა, უბისი, სვანეთის საყდრები და სხვანი. ჩვენ აქ ვხედავთ, რომ ყველა ეს შედეგია, თავის შინაარსით, უორმით და ფერებით, სრულიად განსაკუთრებულ ქართულ ეროვნულ სტილს წარმოადგენს.

სასიამოვნოა, რომ წიგნი ლამაზად არის გაფორმებული. მოყვანილია მრავალი სურათი და დართული აქვს ბიბლიოგრაფია. რა თქმა უნდა ეს პატარა წიგნი ვერ ამოსწურავს მთლიანად ამ მეტად რთულ საკითხს, მიუხედავად ამისა, ფართო მკითხველს მაინც საერთო წარმოდგენას აძლევს.

ჩვენი დიდი სურვილი იქნება, რომ ამ პატარა წიგნმა აღძრას მისწრაფება სპეციალისტებისა, რომ ფრანგულ ენაზე გამოსცენ შრომები, რომელიც ასე საჭიროა ჩვენი ეროვნული კულტურის პროპაგანდისათვის უცხოეთში. სწორედ რომ ქართველებზეა ნათქვამი: „სხვების ბამბაც ჩხრიალებს — ჩვენი კაკალიც არაა“.

გამონაკლისია პროფ. შ. ამირანაშვილის შესანიშნავი წიგნი — ქართულ მინაქრებზე, ფრანგულ ენაზე გამო-

ცემული 1962 წელს, პარიზში, რომელმაც სამართლიანად საყოველთაო დიდი მოწონება დაიმსახურა.

**რ. გაბაშვილი**

L'APPORT DE LA RACE CAUCASIENNE (BLANCHE) DANS LA CIVILISATION MONDIALE. PARIS 1967.

ეს მცირე მოცულობის წიგნაკი (18 გვერდი, რომელიც ავან სამი მეოთხედი სურათება უკავია), განსვენებული რევაზ გაბაშვილის მიერ დაწერილი ნაშრომის მხოლოდ დასკვნებს შეიცავს.

ბ-ნი რევაზ გაბაშვილი, პოლიტიკურ და პუბლიცისტურ მუშაობასთან ერთად, არქეოლოგიით იყო გატაცებული; მას ბეჯითად სწავლობდა და დარჩა მას ხელნაწერი აღნიშნულ საკითხზე; მან შესძლო მხოლოდ თავისი შრომის დასკვნები გამოექვეყნებინა ფრანგულად. ეს დასკვნები მაინცდამაინც წმინდა მეცნიერულ შთაბეჭდილებას არ ტოვებს, რადგან იგი სიტყვათა მხოლოდ მსგავსებაზე არის დაყრდნობილი, როგორც მაგალითად: ბაბილონური „ციგურატ“, მაინცა ქართულ სიტყვად: „ცისგორა“; ან კიდევ თვით სახელს „ბაბილონი“ იგი თვლის ქართულ სახელად მხოლოდ იმიტომ, რომ ქართულად სიტყვა „ბაბილო“ ნიშნავს „ვენახი“ (ასეც აქვს ეს განხარტებული ს. ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში). ბაბილონში არსებობდა სახელები მეფეთა თუ ადგილთა, რომელიც ჩვენებურს ემსგავსება, მაგ. სახელი „ლარსი“ და სხვა ამგვარი კომბინაციებით სიტყვათა და სახელთა ავტორის მიერ გააზრებულია ის წვლილი. რაც კავკასიურ რასას საერთო ცივილიზაციაში შეუტანია. წიგნაკის დამახასიათებელია გონება მახვილობა და აღფრთოვნებული გატაცება, რათა კავკასიურ რასას ბაბილონურ-სუმერულ კულტურაში სათანადო ადგილი მიანიჭოს.

**მკითხველ**

ჰროფესორ დოკტორ ვახტანგ ჯობაძე:

TURK ARKEOLOJI DERGISI 1964-1965.  
რვეული მესამე; ინგლისური ტექსტი:  
ORIENS CRISTIANUS.

რვეული 49/1965;: გერმანულად; ისტამბულის გერმანული არქეოლოგიური ინსტიტუტის უურჩაღის მე - 15 ნომრიდან ამონაბეჭდი, გერმანულად: ჩამოთვლილ გამოცემებში მოთავსებულია პროფესორ დრ. ვახტანგ ჯობაძის არქეოლოგიურ მუშაობათა ანგარიში. ჩვენს მეცნიერს, ფულბრაიტის ინსტიტუტისა და უტაჰ-ს უნივერსიტეტის ფინანსური დახმარებით, არქეოლოგიური გათხრები უწარმოებია ანტიოქიის მიდამოებში, სადაც, როგორც ცნობილია, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში, ქართველთა სამონასტრო მოღვაწეობის მრავალი ნაშთი

მოიპოვება. გამოქვეყნებულ ტექსტს თან ახლავს გათხრათა გეგმები, ფოტო-სურათები, ქართულ წარწერათა ასლები და მათი გახსნა-ამოკითხვა.

მადლიერების გრძნობით ვუსურვოთ ჩვენს თანამემამულეს კვლავ ნაყოფიერი მუშაობა ამ საპატიო და სასახელო დარგში.

**ბ. ქ.**

**CAUCASE, par Armand Gaspar (Editions "Rencontre", Lausanne, 1969).**

როდესაც თვრამეტი წლის წინად პარიზში გავიცახი ბ-ნი არმან გასპარ ის იყო სულ ახალგაზრდა ჟურნალისტი, მაგრამ უკვე საერთაშორისო პოლიტიკის განყოფილების სრულყოფილი ცნობილი „გაზეტ დე ლოზანა“-ისა, კარგად ჩახედული აღმოსავლეთი ევროპის ჩაგრულ ერთა საკითხში. ბ-ნი არმან გასპარ იმ თავითვე მოწადინებულია გააცნოს თავის მკითხველს კავკასიის ერების საკითხი: სადაც უკუხო. სლავური ძალა სთელავს ადამიანის და ხალხების უფლებებს და ავიწროებს მათ კულტურას.

ასე მაგალითად: 1951 წ. აპრილში — (საქართველოს დაპყრობის 30 წლისთავზე და ამის გამოისობით) ის იხსენებს „გაზეტ დე ლოზანა“-ში მოთავსებულ მოკლე წერილში, ამ თარიღს და რუსეთის მიერ ჩადენილ საერთაშორისო ძალადობას.

იმავე წლის ივლისში ის უძღვნის ვრცელ წერილს საბჭოთა იმპერიის დამონებული ერების საკითხს და განიხილავს მათი პოლიტიკური ემიგრაციების მოქმედებას. ყურადღების ღირსია, რომ ამ წერილს შესავალად დავუდო: იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ 26 მაისს (1951 წ.) ამერიკის რადიო ხმამ („ვოის ოფ ამერიკა“) დაიწყო თავისი გადაცემები ქართულ ენაზე. თანაც მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ გადაცემების გახსნა პირადად ითავა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრმა დინ აჩესონმა, რომელმაც მიმართა უშუალოდ და მეტად საგულისხმო, შესანიშნავი სიტყვით — ქართველ ხალხს. (აქვე დავუმატებ — დღეს ეს საიდუმლოებას არ წარმოადგენს, — რომ ამ მიმართვის მთავარი ავტორი იყო აწ განსვენებული ირაკლი ორბელიანი).

იმ დროიდან დაწყებული, ამ ნიჭიერ და გონება-მახვილ ჟურნალისტს ბ-ნი არმან გასპარს აღარ შეუწყვეტია ამ მიმართულებით მწერლობა და მან მრავალი წერილი უძღვნა კავკასიელი ერების პოლიტიკურ თუ კულტურულ საკითხებს ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენაზე — ჟურნალებში და საინფორმაციო ფურცლებში. მით უფრო ყურადღების ღირსია მისი უკანასკნელი შრომა, ცალკე წიგნად გამოშვებული შარშან: „კავკასია“, ნაყოფი მისი 1968 წელში კავკასიაში მგზავრობისა.

ეს შრომა, მიუხედავად რამოდენიმე მცირე შეცდომისა, არის უთუოდ დადებითი და ჩვენი ეროვნული საკითხისათვის სასარგებლო. წიგნი ადვილად იკითხება; სწრაფად იპყრობს მკითხველის ყურადღებას და შეუძენველად მიჰყავს მკითხველი ბოლო ნაწილამდე, სადაც მოთავსებულია დოკუმენტალური ზოგი ცნობა. რომ მკითხველს არ დაეზაროს ამ ცნობების ყურადღებით წაკითხვა, ისინი მოხერხებულად ამოფარებული არიან გონების შესაქვეყარი სათაურების ქვეშ.

შეიძლება აქვე აღვნიშნოთ კიდევ, რომ ვიდრე წიგნი დაისტამბებოდა, მისი პირველი ნაწილი ფელეტონების სახით დაბეჭდა სამხრეთი საფრანგეთის გაეროელებულმა გაზეთმა: „ნის - მატენ“-მა.

წიგნის გაფორმება მოსაწონია: კარგი შრიფტი; ასზე მეტი ფოტოსურათი — მათ შორის 15 ფერადი —; სქემატური რუკა; სულ 192 გვერდი; ჩასმული ლამაზ, პრიალა. მაგარი მუსაოს ყდაში. ფოტოსურათები თითქმის ყველა შესრულებულია ცნობილი შვეიცარიელი ფოტორეპორტერის მიერ, სახელად: დერიაზ. სურათები „გერისტულია“; სიუჟეტის სილამაზეზე უფრო ცდილობენ ფართული სინამდვილის გამოსახვას და ქარავმების გახსნას. „უმნიშვნელო“ როდია ის სულ პატარა სურათი, რომელსაც ვხვდებით პირველსავე გვერდზე. დააკვირდით რუსის ჯარისკაცის პოზას და გამომეტყველებას; მერამე იმ ადგილობრივი მოსახლეობის სახეებს, სტალინის ტრიბუნიდან რომ გიყურებენ... წამსვე იხადება მტყველი კონტრასტი!

დასახელებული წიგნის პირველი ნაწილი მოგვითხრობს (ოთხ თავად) ბ-ნი არმან გასპარის მიერ მიღებულ შთაბეჭდილებებს: ოსეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში და სომხეთში. (ჩრდილო კავკასიის სხვა მხარეების დათვალიერება მან ვერ მოახერხა, მისგან დამოუკიდებელი, „გაუგებაზი“ პირობებისა გამო)... სამაგიეროდ ყველგან, სადაც იგი მოხვდა, ჩვენმა რეპორტერმა ბევრ რამ ნახა, მოისმინა და ბევრ რამესაც მიხვდა და დააფასა. მისი თხრობითი სტილი სწრაფია, შეკუმშული, ნათელი და სიამოვნებას გვევრის თავისი აშკარა სიმპატიით კავკასიის ყველა ხალხისადმი. (ვენანობთ მხოლოდ, რომ ეს გამოცდილი მწერალი ირიდება ამ ხალხთა მომავლის გათვალისწინებას და გაურბის ყოველივე პოლიტიკურ პროგნოზს).

ამ დაკვირვებათა ნაწილს მოსდევს — უკვე მოგახსენეთ. — სამოციოდე გვერდზე მოცემული სადოკუმენტაციო ნაწილი. ავტორს არა აქვს ფუჭი პრეტენზია ამ ფარგლებში მიაწოდოს მკითხველს ფართე, ამომწურავი ინფორმაცია. მას უნდა ჩაუნერგოს მკითხველს ისეთი ცნობები, რომელთა შეუძლიათ მკითხველის გონება და მეხსიერებაში ფესვები მოიკიდონ, მისი ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილონ. აი, ასე მოხერხებულად განლაგებული

აქვს მას მისი სადოკუმენტაციო თავები — აქ მომაქვს სათაურები და შინაარსის დედააზრი:

„ამიერკავკასია არ მისდევს მოსკოვის დროს“ (ეხება კავკასიის რესპუბლიკების ეროვნულ - პოლიტიკური თვითარსებობის სინამდვილეს).

„საკითხის სფერო“ (გეოგრაფია, ბოტანიკა, კლიმატოლოგია, ეთნოგრაფია, სარწმუნოება).

„ჯერ საკითხებს შემოწმებას“ (რეჟიმი, პრივილეგიები, პრესა, რადიო, მრეწველობა, მეურნეობა, მშენებლობა, კულტურა და სხვა).

„ადამიანთა ხსოვნის დასაბამიდან“ (მითოლოგია, ისტორიული თარიღები — მათ შორის 1921 წელში რუსული ჯარების შემოჭრა —).

„ქვეყნის ადგილობრივი გენია“ (მისტიკა, სამწერლო ძეგლები, ხელოვნება, სამხედრო დარგი, რამოდენიმე თანამედროვე „დიდი“ პიროვნება — აქ ცოტაოდენ მეტად გილს უთმობს სომხებს, ვიდრე სხვებს —)

„საბუთები და საბაზები“ (ამონაწერები „დაბადებიდან“, ესქილედან, ქსენოფონტედან, მარკო პოლოდან, ი. სტრუტის, შარდენ და ტავერნიედან).

„უამთა იერი“ (ზენი და ტრადიციები, ჩაცმულობა, კერძები, მუსიკა, ცეკვა, იგავები, გართობა და ჰუმორი). ვუსურვებთ ამ წიგნს თარგმნილ იყოს ევროპა-აზიის სხვა და სხვა ენაზე.

### ლ. ზურაბიშვილი

თამარ პაპავა, გაბნეული საფლავები. პარიზი, 1970 წ.

ეს კეთილშობილი გრძნობებით დაწერილი კეთილშობილი წიგნი, როგორც მისი სათაურიდან ჩანს, უცხოეთში გარდაცვლილ თანამემამულეთა მოსაგონარად არის დაწერილი, მაგრამ არჩევანი შეჩერებულია ისეთ პირებზე, ვისთანაც ავტორს ახლო დამოკიდებულება ჰქონია, ახ მათთან სულიერი ნათესაეობა უგრძვნია. დიდი სიყვარულითა და გულწრფელი პატივისცემით არის გაყენებული თითოეული წერილი.

წიგნის ცალკე თავთა პერსონაჟები არიან: ნ. ჟორდანი, ვ. ახმეტელი, გრ. რობაქიძე, კიტა ჩხენკელი, აღმაქსანდრა ფხაკაძის ასული მკურნალისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მაგრამ ავტორისათვის პირულიად უცნობი პირი, ქეთევან ირამაძეც ინაწილებს ერთ ცალკე თავს, კახთა დედოფლის, ქეთევან წამებულთან ერთად.

ამგვარ არჩევანზე შეჩერებისა და მაღალი ლიტერატურული ხარისხით გამოცემული წიგნი, დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე და ფრიად ამაღლევბელიც კი არის. ხოლო რაც შეეხება იმ თავს, რომელსაც სათაურად აწერია: „ბუხართან“, მასში ქ-ნი თამარ პაპავა ახერხებს მკითხველიც თავის ბუხართან დასვენს და თით-

ქოს მხილველი მოწმე გახადოს აღწერილი განწყობილებისა და სცენისა, რომელშიც გაცოცხლებულნი არიან: ს. ფირცხალავა, ზ. ავალიშვილი, მ. წერეთელი, გრ. რობაქიძე, შ. ამირეჯიბი.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ წიგნის ეს თავი მომავალი ქართველი რომანისტების მიერ გამოუყენებელი არ დარჩება. და ეს მით უფრო სამართლიანიც იქნება, რამდენადაც ქალბატონი თამარ პაპავა ამის ღირსიც არის. რადგან თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მუდამ კარგი ენისა და სტილის მქონე ავტორი, მიუხედავად ხანში შესულობისა, თავის ენასა და წერის მანერას კიდევ უფრო აუმჯობესებს, რაც საერთოდ მხოლოდ დიდ მწერლებს ახასიათებს...

წიგნს დამატების სახით დართული აქვს დავით ვაშაძის ერთხელ უკვე დაბეჭდილი წერილი: „ქინი რამ აკაკი პაპავაზე“. უნდა გავებლო და ვთქვა, რომ ამ თავისთავად კარგი წერილის ადგილი იქ იყო, სადაც იგი უკვე დაიბეჭდა („კავკასიონ“-ში). ხოლო ამ წიგნში უმჯობესი იქნებოდა, ქალბატონ პაპავას, თუნდა ცრემლით, დაეწერა რამოდენიმე სიტყვა თავის ქმარზე და კაცზე. ეს არ არის საყვედური; ამისთვის არც საბაზი მაქვს და არც უფლება; მკითხველის გულის ტკივილის გამოთქმა არის მხოლოდ. იქნება ასეთი წერილი არსებობს კიდევ, მაგრამ ქალბატონმა თამარ პაპავამ იგი, კდემამოსილებისა გამო, არ დაბეჭდა და თავის ასულთ, ტურფასა და მზიას დაუტოვა გამოსაქვეყნებლად.

დასახელებული წიგნის სულიერ განწყობილებას ზედმიწევნით ეგუება, ბოლოში მოთავსებული, ბ. ბებური-ვილის მიერ ანტიკურ ბერძენთა სტილით დაწერილი მოთქმა.

შესაფერია და კარგიც ყდაზე დაბეჭდილი მწუხარე ქალის სტილიზებული, პროფილიც, შეარულებული ქ-ნ თ. პაპავას შვილიშვილის, ნინო ქვიშვილის ასულის მიერ.

### მ ქავთარაძე

### საჭირო ბანმარტმბა

„კავკასიონ“-ს მეცამეტე წიგულში (1968 წ.) ჩვენი მეგობარის გიორგი ნაკაშიძის საუნივერსიტეტო მოგონებაში დაშვებულია უნებლიე შეცდომა. ჩვენ მოვალეობად მიგვაჩნია ეს უნებლიე შეცდომა გამოვასწოროთ, რადგან ეს შეცდომა შეეხება ჩვენს მეგობარს, რომელიც სწორედ მტერთან ბრძოლაში დაიღუპა. გიორგი ხაკაშიძე იგონებს ხელისუფლების წინააღმდეგ სტუდენტთა გამოსვლას და ასახელებს სტუდენტთა გამეგობის სამი წევრის დაპატიმრებას. გიორგი ნაკაშიძე ამბობს: დაპატიმრეს სამი აქტიური წევრი — სევირიან ჭირაქაძე, ფილიპე შჩრძე და კოწია ტყავაძე. რა თქმა უნდა, ჩვენს

გარდა სხვებიც იყვნენ დაპატიმრებული, რომელთაც, გასაგები მიზეზისა გამო ჩვენ აქ არ ვასახელებთ და არც გიორგი ნაკაშიძეს დაუსახელებია. მხოლოდ მან დაუშვა ერთი შეცდომა, რომლის გამოსწორება სიმართლის აღდგენა იქნებოდა. მის მიერ დასახელებული კოწია ტყავაძე გამგეობის წევრი არ ყოფილა, რადგან ასეთი პიროვნებაც არ ყოფილა; იყო კოწია სამყურაშვილი, სოციალდემოკრატი, (ჭიათურიდან), სტუდენტთა გამგეობის წევრი, შემოსეული მტრის წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი. მან ჯერ კიდევ ადრევე, თავი ისახელა კოჯოროთან ბრძოლების დროს, როცა მუხანათური მტერი საქართველოს შემოესია. აქ კოწია სამყურაშვილი ირიცხებოდა ცნობილი ილიკო მახარაძის არტილერიაში, რომელიც

თბილისის ზღუდეებს იცავდა. იუნკრებმა და აღმოსავლეთის არტილერიამ მტერს დიდი ზიანი მიაყენეს. კოწია სამყურაშვილი აქ გმირულად იბრძოდა. და კიდევაც დაიჭრა. მაგრამ ბრძოლის ველი არ დაუტოვებია.

მეტეხში პატიმრობის შემდეგ ის დაბრუნდა ჭიათურაში და განაგრძობდა ბრძოლას. ჭიათურის აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო და დახვრიტეს მამასთან და სხვა ქართველებთან ერთად, რკინის გზის ვაგონებში, ზესტაფონის მახლობლად.

აი, ეს კოწია სამყურაშვილი გახლდათ სტუდენტთა გამგეობის წევრი.

სევ. ჭირაქაძე

+  
სამგლოვნიარო

კონსტანტინე გვარჯალაძე  
(1884 — 1969)

1920 წლის აგვისტოს ირიცხვებში ვიდექი, ერთი მეგობართან ერთად, რუსთაველის გამზირზე; პაპანაჭება სიციხის მიუხედავად, იმ სანატორიელ და დაუვიწყარ ჟამს, საერთო სამაისო სულიერი ალტკინება სუფევდა. შორიდან ვიციანი ჩვენსკენ მომავალი, წარმოსადგევი მუხრან ხოჭოლავა, რომელსაც ბათუმიდან ვიცნობდი, სადაც ის ჩვენი ეროვნული მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი იყო ინგლისის საოკუპაციო ჯარების სარდალთან, გენერალ კუ-კოლის-თან. ბ-ნ მუხრანს თან ახლდა ვილაც ეჭრობული გარეგნობის კაცი, რომელიც დიდი შესტებით ენერგიულად, უთუოდ საინტერესო ამბებს უყვებოდა, რადგან ვხედავდი, რომ ბ-ნი მუხრან ხოჭოლავა მას ყურადღებით უსმენდა. ვინ უნდა იყოს ეს ევროპელი? — ვკითხე ჩემს მეგობარს. — ეს კაცი ჰრის კოწია გვარჯალაძე, ჩვენი საერთო მეგობრის ბიძა, — მიპასუხა მას.

წინა დღით გაზეთებმა გვაუწყეს მისი ევროპიდან მოსვლა; იმ დღით კი, ჩვენი უფროსი მეგობრებისაგან გავიგეთ, რომ კოწია გვარჯალაძემ საქართველოს იურიდიულად ცნობის შესახებ იმედიანი, ოპტიმისტური მოხსენება გაუკეთა ჩვენს ეროვნულ მთავრობასო. მას შემდეგ ბ-ნი კონსტანტინე გვარჯალაძე პირველად ენახე და გავიცანი აქ, პარიზში, 1928 წელს, როდესაც იძულებული გახდა ინგლისიდან აქ, პარიზს გადმოსულიყო. და შემოძლია ვთქვა, რომ მე მის ახლო მეგობართა რიცხვში ვითვლებოდი. თბილისში თუ ის გარეგნობის მიხედვით ვციანი ევროპელად, აქ, ხანგრძლივი პოლიტიკური მეგობრობის შემდეგ, შემოძლია განვაცხადო, რომ მისი ევრო-

პელობა ამ სიტყვის სრული დადებითი გაგებით, იყო მხნეობა და სწორი ანალიზზე აგებული ოპტიმიზმი იყო მისი მებრძოლი ხასიათის ძირითადი თვისებები.

ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორის და ნოე რამიშვილის მიმყოლი ქართველ სოციალდემოკრატიულ მოღვაწეთა თაობიდან ის უეჭველად განსხვავდებოდა თავისი მსოფლმხედველობით ძირითადი საკითხებისადმი საკუთარი მიდგომით და თავისი ცვალებით; და ეს მოსალოდნელი იყო.

კონსტანტინე (კოწია) გვარჯალაძემ უმაღლესი გახათლება თავისუფალ ქვეყანაში, შვეიცარიაში მიიღო; მას არასოდეს არ განუცდია რუსეთის დაუსრულებელი სივრცე-ველებს გამო აღტაცება; ის არასოდეს არ ყოფილა აზიიდან მემკვიდრეობით მიღებული, ადაშიახის უარყოფელი და პიროვნების გამხრწნელი რუსული გენიის მოტოფილვე; კიდევ მეტი: მასზე, საბედნიეროდ, უხერხემლო რუსულ მენშევიზმის არც ერთ ვარიანტს არ დაუტოვებია გავლენა; ის თავის სულიერ და გონებრივ საზრდოს პოულობდა ევროპულ ჰუმანისტურ სოციალიზმში, რომლის ამოცანას და დანიშნულებას პიროვნების და ერის თავისუფლებაში ხედავდა; ამიტომაც გვიადვილდებოდა ჩვენ, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებს მასთან იდეურ-პოლიტიკური თანამშრომლობა და პირადი მეგობრობაც.

კონსტანტინე გვარჯალაძე იყო უდავოდ ქართველი ეროვნული მოღვაწე; იმავე დროს უყოყმანო ქართველი სოციალდემოკრატი, მაგრამ ყოველთვის ერისა და ახლად ამდგარი სახელმწიფოს ძირითადი საკითხებს უდგებოდა და სწვევდა ერისა და სახელმწიფოს უზენაესი ინტერესების თვალსაზრისით. ის ცნობილი იყო როგორც შრომის დაუხოველი, ენერგიული პოლიტიკური მო-



დღაწე. დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგაც, უცხოეთში, მას ეროვნული მთავრობისაგან ბევრი საპასუხისმგებლო დავალება შეუსრულებია. როგორც მოვალეობის და დისციპლინის კაცს, ხშირად მისთვისაც ძნელად შესასრულებელი დავალება მიუღია თავის თავზე, რადგან ის იყო დისციპლინის და ორგანიზაციის უდავო მალიარბელი. თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურისათვის კ. გვარჯალაძე ორგანიზაციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, განსაკუთრებით კი თავისი საკუთარი პარტიისას. ის დისციპლინას არა მარტო საზოგადოებრივ ურთიერთობაში, თვით საკუთარ ცხოვრებაშიც იცავდა. ის არა ცნობდა ძალდატანებით, იძულებით მოხვეულ დისციპლინას, არამედ ნებაყოფლობით და შეგნებულად აღიარებულს. ის არ იყო თავის პრინციპებში მერყეობას ჩვეული, მაგრამ როგორც ეს ჩვევია ყოველ განათლებულ და ჭეშმარიტ დემოკრატს, ის სხვისი აზრის მსმენელი და დამფასებელი იყო. მისთვის უცხო იყო საკუთარი თავის წამოწევა წინ, ან ჭირვეული ამბიციები. ორი თუ სამი ათეული წლის განმავლობაში ის ტრიალებდა ევროპულ, ავტორიტეტულ სოციალისტურ წრეებში, სადაც მისი საშუალებების ფარგლებში საკუთარი ენერჯის დაუზოგავად საქართველოს ინტერესებს იცავდა. ის თვალყურს ადევნებდა სოციალისტური აზროვნების განვითარებას და ცდილობდა ახალი მონაცემების მიხედვით ანალიზი გაეკეთებინა ჩვენი წარსულისა და მომავლის საკითხებისათვის.

1948 წ. კ. გვარჯალაძემ მის მიერ მოწვეულ ერთ წრეში წაგვიკითხა ერთი თავისი დიდი ნაშრომი. ეს შრომა ეხებოდა ჩვენი ისტორიის გასული საუკუნის მიწურულს და ამ საუკუნის დასაწყისს. ეტყობოდა, მას ამ შრომაზე ხანგრძლივად და გულმოდგინედ ემუშავნა. ის ამ შრომაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა, რაც ბუხებრივია, მესამე დასის წარმოშობის ისტორიას. ამ მოვლენისა და მისი მიმყოლი ხანის გაშუქება, მიდგომა და დაფასება სრულიად ახალი და მოულოდნელი აღმოჩნდა იქ დამსწრე საზოგადოებისათვის და მან ყველასაგან საერთო მოწონება მიიღო. ჩემთვის დღემდე გაუგებარია: რატომ არ ეღიროსა დღის სინათლეს ეს მეტად საინტერესო შრომა, რომელსაც უფიცი და პრინციპი ავტორები ამ ეპოქაზე უცხო ენაზედაც ახერხებდნენ თავიანთი შრომების გამოქვეყნებას. კ. გვარჯალაძის ამ შრომის დასკვნებზე საკვებით ადვილი ხდებოდა, თეორიულად მაინც, იმ საკითხის მოგვარება, რომელსაც კ. გვარჯალაძემ დიდი ენერჯია მოანდომა. მე ვგულისხმობ ქართულ პოლიტიკური ძალების გაერთიანების საკითხს, რომელსაც ის თავის წაქცევამდე ქადაგებდა. ეს მისი წაქცევა უღმობელი იყო, რადგან ამის შემდეგ იგი მიჯაჭვული იყო დიდ ხნის განმავლობაში, ლოგინზე, განუკურნებელი სეხის გამო. უდავოდ ჩვენი წრიდან მისი ნაადრევი გასვლა დი-



კონსტანტინე გვარჯალაძე მეუღლითურთ

დი დანაკლისი იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციისათვის, რომლის მოწინავე, ხელმძღვანელ წრეებში იდგა განსვენებული სამი ათეული წლის განმავლობაში. მის მიმართ ბედიც მეტად უსამართლო აღმოჩნდა, — სიკვდილიც კი თავის დროზე არ აღიროს...

მე მჯერა, მომავალი საქართველოს ისტორია მას ჩასთვლის იმ ბრწყინვალე ხანის ერთ-ერთ შემომქმედად, რომელსაც მომავალი თაობები სიამაყით მოიგონებენ...

## კირილე ვეკუა

(1891 — 1968)

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ერთად ერთი და მხოლოდ საიუბილეო წერილი დაგვუქდეთ „კავკასიონ“-ში (1967 წ.)! მაშინ ვწერდით:

„მუდამ ხომ სამელოვანო სიტყვას არ ვიტყვით?

„მუდამ ხომ გათხრილი საფლავის წინ თავს არ დავხრით და ჩვენს თანამებრძოლს ცრემლით არ გამოვქმვიდოვებით?

„მუდამ ხომ სამძიმარის წერილს არ დავუქდავთ?

„ერთჯერ მაინც გავხაროთ!

„და ასეთი შეთხვევა მოგვცა დოქტორ კირილე ვეკუას დაბადებიდან 75 წლისთავის აღნიშვნით“.

ამ ზეიმის შემდეგ დრ. კირილე ვეკუას დიდხანს არ უცოცხლია და ვერ დატკბა იმ ცხოვრებით, რაც მას მოხუცობაში უსათუოდ უნდა რგებოდა, თუ კი სადმე წყალობა არსებობს!

ვინც იცის, თუ რა გაჭირვება, რა დუხჭირი, რა უამბო საივე განვლო მან, როდესაც დღიური ლუკმა სახატრელი იყო სტუდენტობისას, იგი არ დაინანებდა მისთვის მოხუცების დროს დაღინებით ეცხოვრა!

არ ვიცნობ არც ერთ ისეთ ქართველს, რომელს ასეთი განუზომელი ენერჯია გამოეჩინოს თავისი უძაღლესი სწავლის მიღწევისათვის უცხოეთში და შერმე რა პირობებში და ვითარებაში? ფრანგ ტყვეთა ყოფილ ბაოაკში ცხოვრება; ყოველთვიური სამოწყალო დახმარება ხუთი მარკის ოდენობით, ამერიკული საზოგადოებისაგან, და სხვა?! ან როგორ ისწავლოს მეცნიერების ისეთი ძნელი დარგი, როგორიც არის ქიმია? იგი კვირობით დადის ბერლინელ მსაოლელოთა ასპარეზზე, რათა თბილში ჩამტვრალმა უჩვენოს, თუ რომელმა მსროლელმა რა ნიშანში მოარტყა... იგი მიდის რომელიღაც სცენაზე, რათა დათვის ტყავით გადაცმულმა დათვურად იბაჯბაჯოს სცენაზე.. იგია კინოგადაღებაზე, სადაც სტუდენტებს პირველ რიგში ლებულობენ მასიურ სცენებში მონაწილეობის მისაღებად... იგი მიდის პარიზს, რათა ზაფხულში, მონპარნასის სადგურზე „შარია“ ატაროს და ბარგი გადაზიდოს... ცოტა ფული შეიძინოს და ბერლინში ისევ ქიმიას ჩაუჯდეს... და რა ვიცი კიდევ: რას არ გამოძებნიდა ხოლმე, დიდად გაჭირვებული, მაგრამ არასოდეს დავარდნილი! მოშიმშილე, ოღონდ არასოდეს გულგატეხილი! და მისმა ფოლადისებურმა ნებისყოფამ შესძლო ის, რომ დაასრულა ქიმიური დარგი და სადოქტორო ეგზამენი ჩააბარა; და რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო, იგი დასტოვეს ამავე დარგის ლაბორანტად, სადაც იგი ეხლა ასწავლიდა სხვებს და ხელმძღვანელობდა სტუდენტებს ქიმიურ მუშაობაში. და მაღლიერმა პროფესორებმა, მისმა

ყოფილმა მოწაფეებმა, რომლებიც ამჟამად დიდი ადგილის მქონე იყვნენ, დრ. კირილე ვეკუას დაბადებიდან 75 წლისთავი დიდი ზეიმით და პატივისცემით გადაუხადეს. ამის შემდეგ იგი ქიმიურ ლაბორატორიას მაინც არ მოშორებია და იქ მუშაობას განაგრძობდა სიკვდილამდე...

კირილე ვეკუა პოლიტიკური პიროვნებაც იყო. საზოგადოებისას, როდესაც იგი ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, რასაკვირველია, მაშინდელი საზოგადოებრივი განწყობის მიხედვით, იგიც რევოლუციური სტუდენტობას ეკუთვნოდა, ხოლო რევოლუციის დროს იგი სამეგრელოს ერთ რაიონში სამიწათრეფორმო კომისიის ხელმძღვანელი იყო. ერთხელ ქუთაისს ამოვიდა და, სხვათა შორის, მითხრა: ეს რეფორმა მიწისა, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ იცი გლეხობა რას ამბობს? რა საჭირო არისო მამულის უფასოდ ჩამორთმევა, — ეს არც სამართლიანი არისო! უკეთესი იქნებოდა ჩვენ თვითონ მოვრიგებოდით მემამულეებს და შევიდით დესიატინის უფლებით შევიძენდით მათგან, ფულის გადახდით, მიწასო! და შემდეგ დასძინა: მე მგონიაო ჩვენი გლეხები მართალი არიანო...

მერმე კირილეს შეგვხვდი ბერლინში, როდესაც იგი სხვებთან ერთად, ზოლშევიკურმა მთავრობამ გადმოასახლა უცხოეთში. როგორც სტუდენტი, ის ცხოვრობდა ბარაკში და მას ყოველდღე ვხედავდი. კირილე იყო კეთილშობილი, კეთილი, გულწრფელი, პატიოსანი, გულკეთილი, უწყინარი, სიამტკბილი, ბუნჩულა... მიუხედავად ნივთიერი სიღატაკისა, სულით მდიდარი და სათნო...

როდესაც ბერლინის წითელი ჯარი უტევედა, მე კირილე ვნახე; მას ხელში თოფი ეჭირა! სიცილი ამიტყდა: თოფი კირილესე უფრო გრძელი იყო! — რად გინდა ეგ თოფი, ან ვინ მოგცა? — ბერლინის სახალხო თავდაცვა არისო გამოცხადებული, — მიპასუხა. — მერმე შენ რა თოფოსანი ხარ? რა იცი შენ ეხლანდელი ზაქოლისა? წამოდი ჩემთან ერთად დასავლეთისაკენ... — მაღლობელი ვარ ამ ზრუნვისათვის, მაგრამ ამდენი ხანი არის, რაც მე ბერლინში ვცხოვრობ და ვმუშაობ, — არ შემიძლია მივტოვო იგი გაჭირვებისას. კი გავისტრი თოფს, — დარდნილ ვაქვს!

ეს შემთხვევაც მისი, კირილეს დიდბუნებოვანობისა და ღრმა ერთგულება - პატივისცემის დამახასიათებელი! იგი დარჩა ბერლინში... მან ბერლინს ვერ უშველა, მაგრამ თავისი ზნეობრივი მოვალეობა მაინც შეასრულა.

შემდეგ რუსულმა ჩეკამ იგი დააპატიმრა. ამ ჩეკაში, — როგორც უთქვამთ — ერთი ქართველი იყო და მისი წყალობით იგიც სხვებთან ერთად, გაანთავისუფლეს; რასაკვირველია, იგი მიუბრუნდა ლაბორატორიას და განაგრძო იქ მუშაობა.

ერთ დღეს მეწვია აქ, პარიზს: უნდოდა ძველი თავისი მეგობრები და ამხანაგები ენახა. ყველა ინახულა. მერმე

### რევაზ გაბაშვილი

(1882 — 1969)



დოქტორ კირილე ვეკუა

მეუბნება: წამიყვანეო სადგურს მონპარნასზე! მინდა ვნახო ის ადგილი, სადაც „შარია“-ს ვატარებდი და „ატანსიონ“-ს გავყვიროდიო. მონპარნასის სადგურს მაშინ ანგრევდნენ; მაინც ავედიო ზემო სართულზე და მაჩვენა თავისი სამუშაო ადგილი. რა კმაყოფილებით მიყვებოდა, თუ როგორ მუშაობდა იგი! მონპარნასის სადგურზე მომუშავე და შემდეგ: ქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ბერლინში...

დ. კირილე ვეკუა ნარკვევებსაც წერდა ქიმიურ საკითხებზე; მხოლოდ ერთჯერ მოკრძალებით შემოაჩვენა: ჩემს საუკეთესო ნარკვევებს ჩემი სახელით ვერ ვბეჭდავ! ამ ნარკვევებით ჩემი უფროსი პროფესორები სარგებლობენო. მე მას ვუპასუხე: ეხლა გაიგე, რომ ეს ყველგან ასე არის? — ეს კირილემაც კარგად იცოდა...

კირილე ვეკუა მოულოდნელად გარდაიცვალა, მაგრამ ყველა თავისი საქმე უკვე ადრე ჰქონდა მოწესრიგებული ანდერძით. მას მოუწყვეს პირველი ხარისხის დასაფლავება, რომელს აუთარებელი ხალხი დაესწრო...

ვინი

ქართულ ინტელექტუალურ ოჯახს, ენიგოაციაში, დაეკარგა კიდევ ერთი მისი დიდი და ვერავისით შემცვლელი წევრი: გარდაიცვალა 87 წლის რევაზ გაბაშვილი. ეს დანაკარგი განსაკუთრებით მტკივნეული და საგრძნობი გახდა მაშინ, როდესაც მასზე პოლიტიკურად გამწყურალი მოპირდაპირენი მასსიურად დაესწრნენ დაკრძალვას და ამ პატივისცემის აქტით საბოლოოდ წაშალეს მასზე გაქრცელებული, ყოველად უშინაარსო ხმები, თითქოს იგი თავისი მოღვაწეობით, თუნდაც უნებლიეთ, მტრის საქმეს უწყობდაო ხელს.

რევაზ გაბაშვილი მარტო დიდი პატრიოტი არ იყო. ის დაბადებითაც და აღზრდითაც, თითოთ საჩვენებელი დიდი ქართველი რევოლუციონერი იყო და ლტოლვილებში მომწყვდევამდე მხოლოდ ეროვნული ბრძოლით იყო აღტყინებული. გარეთ თუ რუსულ იმპერიას ებრძოდა; შიგნით ის დაუზოგავის სისასტიკით უტევდა დოქტრინით გაბრუებულ ქართულ მოწინავე ინტელიგენციას, სულ ერთია, იყო ის მემარცხენე, თუ მემარჯვენე, რამაც მეტად დაამძურა მას მონარისტა ფული, თუ სოციალისტური რუსეთთმე ქართველები. ემიგრაციაში კი უფრო გაამძაფრა ეს პოზიცია, როგორც პრინციპიალურ, აგრეთვე ტაქტიკურ დარგში. მისთვის საქართველო იყო არა ეკაპი რომელიმე ლოზუნგის განხორციელებისა, — არა საცადი მინდორი, — არამედ საქართაშორისო კულტურულ - პოლიტიკური თვითღირებულება.

მის მიერ შესწავლილმა და პრესაში თუ ბროშურებში გამოქვეყნებულმა უნარტულმა პოზიციებმა არა მარტო ქართველი, არამედ მსოფლიო მეცნიერების ყურადღებაც კი მიიპყრო და სათანადო გამოძახილიც ჰპოვა.

რუსული ოკუპაციით დამძიმებულმა და შეუჩერებელი მძროლის პროცესში მყოფმა თანამედროვე ქართველობამ, თუ კიდევ ბევრი არ იცის რევაზ გაბაშვილის თავგანწირული და უპრეტენზიოდ წარმოებული ბრძოლების ეპიზოდებზე, სამაგიეროდ მომავალი თაობები ბევრს გაიგებენ და ალბათ რეზოს ღირსეობას, როგორც ეკატერინე გაბაშვილის ღვიძლი შვილისას, ზედ დაურთობენ მის პირად ღირებულებას პოლიტიკურ და რევოლუციურ საქმიანობაში.

ქართული ეროვნული ინტერესების დაცვის საკითხში რევაზი არავითარ კომპრომისს არ იზიარებდა. კერძოდ, მედგარი იყო ის ნამდვილ, ჭეშმარიტ, რეალურ დემოკრატიზმის აღიარებაში და არ ეგებოდა ცრუ და ყალბი დემოკრატიების საპროპაგანდო ანკესზე. მისთვის მორალური შინაურ პოლიტიკაში ისევე მიუცილებელი იყო, ზოგორც გამჭრიახი გონება. ამიტომ ის დაუზოგავად ჰკიცხავდა მისი თუ სხვა პარტიის მეთაურთა ყალბანდურ

თუ დემაგოგიურ გრეხვებს.

განსაკუთრებით იყო ის აჯანყებული იმ ქართველი ინტელიგენციის წინააღმდეგ, — მემარცხენე იყო ის თუ მემარჯვენე, — რომელიც აბსოლუტურ ნდობას და ერთგულებას უტყუარად რუსეთის პროგრესულ, თუ კონსერვატიულ ინტელიგენციას. ამათში ის მხოლოდ დამპყრობელებს და კოლონიზატორებს ხედავდა და ამის არგუმენტებს უამრავს პოვულობდა, როგორც წინა, ისე მიმდინარე საუკუნის განმავლობაში.


ნეტარხსენებულ დედა-მის, ეკატერინესთან იმდროინდელი ქართული ელიტა იკრიბებოდა; გასაკვირი არ არის, თუ ამ პატრიოტული ჯგუფების გავლენა რეზოზე უაღრესად დიდი აღმოჩნდა. აქედან უშუალოდ იწყება რეზოს გამოსვლა საზოგადო ასპარეზზე და შოლვაწეობის პრაქტიკულ - პოლიტიკური ორბიტაში ჩაბმა, რომელსაც სრულებით არ ერტყა დალი პოპულიარობისა და კარიერის ძიებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთო საზომში რეზო დიდ გამონაკლისს წარმოადგენდა თავისი ხასიათით და მოქმედებით; იგი შეპყრობილი იყო აგრეთვე წიგნის სიყვარულით და როგორც ლიტერატურულ, ისე ეთნოგრაფიულ დარგში ის ფეხ და ფეხ მისდევდა მიმდინარე პროგრესს, რაც დაუფასებელ ღირსებას არგუნებდა მისგან გამოძინარე საინფორმაციო მარჯავას.

გარდაცვალების წინა დღით რეზომ უკვე იცოდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო და არ დაჰვარა, რომ ზანთითქმის მთელი საუკუნის სიცოცხლის პერიოდში მხოლოდ სამჯერ იტირა. ერთი იყო სიხარულის ტირილი დამოუკიდებლობის აღდგენის გამო; მეორე — ამ დამოუკიდებლობის დაკარგვის შედეგად და მესამე კი — უცხოეთის მიწაში ჩაწოლის ახლო მოლოდინში...

დაყუჩდა მისი ამბოხი სული და მკებნარე კალამიც შეჩერდა სამუდამოდ.

**ძველი მეგობარი**



რეზო გაბაშვილი ბავშვებს მოუთხრობს...

პირველი საერთაშორისო ომის შედეგად რუსეთის იმპერია მოიშალა. იმპერატორი ნიკოლოზ მეორე ტახტიდან ჩამოხრძანდა. ხელისუფლება პოლიტიკურ - ლიბერალურ პარტიათა წარმომადგენლებმა დაიუფლეს.

ეს გახლდათ ე. წ. „თებერვლის რევოლუცია“, ამ უმად მიჩქმალული და მივიწყებული.

„თებერვლის რევოლუცია“ რუსის ხალხმა და იმპერიაში შემავალმა ხალხებმა დეპეშით მიიღეს.

ბოლშევიკურმა უზარმაზარმა საპროპაგანდო აპარატმა და მისმა ამჟღად დასავლეთის ინტელიგენციის ქარაფშუტა ნაწილმა „თებერვლის რევოლუციას“ ნაცარი მიაყარეს, ხოლო ე. წ. „ოქტომბრის რევოლუციის“ სახელი განადიდეს და აღაზევეს. ბოლშევიკებმა მსოფლიო დაარწმუნეს, რომ „დიდი ლენინის“ ბელადობით მოხდა „ოქტომბრის რევოლუცია“, რომლის 50 წლისთავი დიდი ზაქითა და ზარზეიმით იდღესასწაულეს.

ნამდვილად კი, „ოქტომბრის რევოლუცია“ არის მხოლოდ მითოსი. არავითარი „ოქტომბრის რევოლუცია“ არ მომხდარა. იყო მხოლოდ შეიარაღებული ბოლშევიკების აჯანყება, გამარჯვებული „პუჩი“, რომელმაც ხელისუფლება დაიპყრო, „დროებითი მთავრობა“ და „დამფუძნებელი კრება“ გარეკა, ხოლო შექმნილმა ბოლშევიკურმა „ხუნტა“-მ, ზემოდან ბრძანებით, დეკრეტების ძალით (თავისი იდეოლოგიის მიხედვით), გარნა ხალხის დაუკითხავად და შეუკითხავად, თვითნებურად და იძულებით, ე. წ. „სოციალისტური რეჟიმი“ დააწესეს, რომელს მილიონობით ხალხი მსხვერპლად მიუტანეს, ზვარაკად უღმობელად შესწირეს.

ეგრეთ წოდებული „ოქტომბრის რევოლუცია“ იყო „ზეგარდმო რევოლუცია“, „ზემოდან რევოლუცია“, ვინაიდან იგი რუსის ხალხს არ მოუხდენია. და „ზეგარდმო რევოლუცია“ რუსის ხალხმა და უოფილ იმპერიაში შემავალმა ხალხებმა დეპეშით მიიღეს, მაგრამ ამ დეპეშას თან მიჰყვა ფანატისკოს და გაშმაგებულ ბოლშევიკთა ხიშტები და ზარბაზნები. ბოლშევიკური „ხუნტა“-ის ამ ძალადობასა და მიმძლავრებას დაარქვეს „ოქტომბრის რევოლუცია“, რომლითაც ხიშტებზე დაყრდნობილი ჩეკისტური წესწყობილება შექმნეს და „სოციალისტურ“-კომუნისტურ რევოლუციად“ გაასაღეს და მისი სახელით საბჭოთა ხალხები ძალმომრეობით „აცხონეს“ და ჯოჯოხეთში გადასტყორცნეს; და მსოფლიოსაც, გაბედნიერება დაჰპირდნენ — ყველა რუსულ - კომუნისტურ სოციალურ ჯოჯოხეთში უნდა შევიდეს, რაც უეჭველად ბოლშევიკური აღთქმით „სოციალური სამოთხე“ იქნება.

„ნეტარ“ იქმნება მაშინ მსოფლიო... მაააშ!

ქვემოთ დაბეჭდილი მასალა უნდა მოთავსებულიყო „კავკასიონი“-ს უკანასკნელ წიგნში, მაგრამ არ მოხერხდა. ახლა ვბეჭდავთ. მიუხედავად იმისა, რომ გავიდა ორი წელი, ამ წერილებში აღძრულ საკითხებს თავისი მნიშვნელობა შენარჩუნებული სქეს, რადგან ამ

ხანის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მდგომარეობაში არაფერი შეცვლილა და არც გაუმჯობესებულა, არამედ საბჭოთა კავშირის ბუნება უფრო გამოვლინდა, რასაც სხვათა შორის, ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმა ააშკარავებს.

**დ. ვაშაძე**

**საბჭოთა კავშირის**

**ნახევარი საუკუნის იუბილე**

ბუნების ძალთა დაპყრობა, მისი საიდუმლოების გახსნა, ადამიანის ინტერესების სასარგებლოდ რომ გამოეყენებინათ; კოსმოსის დაპყრობა, ისე როგორც ზღვების ფლობა, კეთილი ზრახვებისათვის რომ მოეხმარათ; ტექნიკასა და მეცნიერებას ერთი მაგისტრალური ხაზით რომ ევლოთ, და ადამიანის წინაშე თავისი ვალის მოხდანი და კეთილშობილური მოტივებით ეხელმძღვანელოთ, ცხოვრებაც ბედნიერი და ღირსეული გახდებოდა ამ ქვეყნად.

ვინ უარჰყოფს საბჭოთა კავშირის დიდ წარმატებებს სამყაროს შეცნობის და კოსმოსურ სივრცის ათვისებაში?

ხომ მას ეკუთვნის დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, ადამიანის პირველი გაფრენა კოსმოსში, პირველი სურათი მთვარის უკანა ნაწილის, პირველი მანქარი და პირველი რბილი დაშვება? ვის არ ახსოვს ვ. ტერეშკოვა, პირველი მამაცი ქალი, ან პირველი ჯგუფური გაფრენა კოსმიურ სივრცეში, „ვენერა მეორის“ და „ვენერა მესამის“ გაფრენები?

საბჭოთა კავშირის მძიმე ინდუსტრია, სამხედრო შეიარაღების მიზნებს ისე მჭიდროდ რომ ემსახურება, ვერ წვდება ხალხის კეთილდღეობის სამსახურშიდაც მეცნიერებაში მიღწეული შედეგები გამოიყენოს და პარტიის უკანასკნელი ყრილობის დადგენილებები სახელმწიფო ბიუჯეტს უფრო მეტად ამძიმებს ატომური ბომბებისა და რაკეტების წარმოებით.

ჩვენ დღემდის გვეგონა, რომ მეცნიერების მიზანს ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვას წარმოადგენდა, და

კვლევა-ძიების გზით მიღწეულ შედეგებს ხალხის სამსახურში გადაიტანდნენ, მისთვის „ცხოვრება გაეადვილებინათ. ასეც უნდა ყოფილიყო ნორმალური სვლა პროგრესული ცხოვრების, რომლის მაგალითსაც დასავლეთი სახელმწიფოების ჯანსაღი გონება გვიჩვენებს, სადაც ხალხი მატერიალურად და სოციალურად უზრუნველყოფილია.

მძიმე ინდუსტრიის, მეტალურგიის და ენერგეტიკის სფეროში საბჭოთა კავშირმა გიგანტურ წინსვლას მიიღწია, რასაც შვიდი წლის გეგმის უკანასკნელი წელი (1965) გვიჩვენებს: ფოლადის პროდუქცია ყოველწლიურად იზრდება 5-6 მილიონ ტონამდე და დღეს 90 მილიონი ტონის საზღვარს სცილდება, მაშინ როცა 1952 წელს მხოლოდ 34 მილიონ ტონას შეადგენდა; ქვანახშირის და ელექტროფიკაციის განვითარებაც ხომ ისტრონომიულ ციფრებს აღწევს და კიდევაც გვჯერა, რომ ზოგიერთ დარგში ამერიკის პროდუქციას წინ უსწრებს. მაგალითად: ცემენტის პროდუქცია 72,4 მილიონი ტონა რუსეთის 1965 წელს, უპირისპირდება მხოლოდ 56 მილიონ ტონას ამერიკისას; რკინის ინდუსტრია საბჭოთა რუსეთის 1958 წელს 88,8 მილიონ ტონას აღწევს, როცა ამერიკა მხოლოდ 73, 5 მილიონ ტონას გვიჩვენებს. რასაკვირველია აქედან შემცდარი დასკვნები არ უნდა გამოვიტანოთ, ვინაიდან საერთოდ აღებული საბჭოთა ინდუსტრიის პოტენცია ამერიკის ნახევარსაც არ უდრის. ასეთ რითმს მძიმე ინდუსტრიის წარმოებისას საბჭოთა რუსეთი დიდი ხნით ვერ ინარჩუნებს და თუ 1930-1940 წლებში ის 16,5 პროც. შეადგენდა, 1954-1962 წლებში უკვე 9,5-ზე ჩამოდის და ახლა კი დაახლოებით შვიდ პროცენტამდე ეცემა.

სამხედრო რელსებზე გადაყვანილ მძიმე ინდუსტრიას ყოველთვის მოსდევს ფინანსური კრიზისი, რომელიც ეკონომიურ ფიასკოს იწვევს და ეს უკანასკნელი ხშირად ბოლოვდება სახელმწიფო კრიზისით, და თუ დღეს რუსეთის ბატონები სულს დაფავენ, მაგრამ მაინც ცოცხლობენ, ეს იმ პლატინ-ოქროს მარაგს და ვალიუტის სიმდიდრეს მიეწერება, რუსეთის ბანკების სარდაფებში მზრუნველობით რომ ეწყობა. მაგრამ როდემდის? ნუთუ დღეს კიდევ საიდუმლოებას წარმოადგენს, რომ კრემლის მმართველები სესხის ძიებაში არიან და სასოწარკვეთილებას მიცემულნი, ამერიკის და დასავლეთ ბურჟუაზიასთან ვაჭრობა-მრეწველობის ნორმალურ მდგომარეობაზე თავს იმტვრევენ? საბჭოთა რუსეთი საფრანგეთის მსუბუქი ავტომანქანების ფირმას „რენოს“ და იტალიის „ფიატს“ იმდენი ემუდარა, სანამ ისინი რუსეთში ფილიალის გახსნაზე არ დაითანხმა, თორემ თვით რუსეთს წლიურად მხოლოდ ორასი ათასი ცალის გამოშვება შეუძლია, მაშინ როცა მარტო პატარა დასავლეთი გერმანია წლიურად 2,5 მილიონ ცალს ამზადებს, ესე იგი

12-ჯერ მეტს ვიდრე ვეებერთელა საბჭოთა კავშირის საბჭოთა კავშირის დელეგაცია, შემდგარი: ნახშირის, მანქანების მშენებლობის, რკინის გზის, მეტალურგიული ინდუსტრიის და ცენტრალური საბჭოთა გაერთიანებული პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლებიდან, პროფესიონალური კავშირის ცენტრალური საბჭოს სეკრეტარის, გაერთიანებული ორგანოს „ტრედ“-ის რედაქტორის ვასილი პროხოროვის ხელმძღვანელობით ხომ ამ უამთაც (5-17 ივნისამდე) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტუმრებია, რომელთაც აქაური ინდუსტრიის და საერთოდ ეკონომიური ცხოვრების გაცნობა დათვალეირების დროს თავბრუ ესხმებათ და თვალეები უზნელდებათ, როცა ხედავენ, რომ ყოველ მეოთხე მცხოვრებზე ერთი ძლიერი ავტომანქანა და ყოველ მეხუთეზე ერთი მხატვ კერძო ავტომობილი მოდის. დაუჯრებლად მიაჩნიათ, რომ პატარა გერმანია, მცხოვრებლების რიცხვით 4-ჯერ ნაკლები, ვიდრე საბჭოთა რუსეთი, მიმდინარე წლის თებერვალში 13,4 მილიონ ძლიერ ავტომანქანას და 10,6 მილიონ მხატვ და კომბინირებულ ავტომანქანას ითვლის.

ელმავალსამენებელი და ორთქლმავალ-ვაგონ შემკეთებელი ქარხნებით სავსეა თურმე საბჭოთა კავშირის ტერიტორია, მაგრამ მათ დასამზადებლად შეკვეთებს საფრანგეთში აძლევენ, ისე როგორც ქალაქ კილ-ის გემსაშენში დღესაც რვა დიდი საბჭოთა სავაჭრო გემი მზადდება. ბევრს ვაჰყვირიან განვითარების მიღწევებზე და ამერიკელებს პირველობაშიც კი ედავებიან, მაგრამ თვით საბჭოთა ფიზიკოსი კაპიტა მეცნიერებათა აკადემიის ყრილობაზე უშიშრად აცხადებს, რომ „ერთი მესამედი ყველა მიღწევის კვლევა-ძიებათა პროტოკოლები ამერიკიდან მოდის და მხოლოდ ერთი მეექვსედი საბჭოთა რუსეთს ეკუთვნის“-ო.

უპირატესულ პირობებში მყოფ მძიმე ინდუსტრიაში არსებობს ცხოვრებისათვის აუცილობელი დარგები, რომელნიც თავიანთ ამოცანებს ოდნავადაც ვერ ასრულებენ. აქ პირველად უნდა მოვიხსენიოთ მანქანათმშენებლობა. 1960 წლისათვის გამოზადებულ გეგმის შესრულებას მხოლოდ ოთხი წლის დაგვიანებით აღწევენ ტურბინების, გენერატორების, ნავთის და ტრაქტორების პროდუქციაში, მაშინ როცა წარმოება მეტალურგიული იარაღების 17 პროცენტით, ორთქლმავლების — ცხრა პროც., სიმძიმამწვევი იარაღებით — რვა პროც., მჭვირთავ მანქანების — შვიდი პროც., ბალახსაჭრელი მანქანების — 40 პროცენტით ნაკლებად სრულდება და 1644 წელსაც ვერ აღწევენ 1960 წლისათვის მოთხოვნილ გეგმას.

თვით 1965 წლის 26 ივლისის „პრავდა“ დარცხვენით, მაგრამ მაინც აღიარებდა, რომ წლის ბოლოს შეიძლება ძირითადი საქონლის ინდუსტრიის მთავარ წარმოებაში მიაღწიონ შვიდი წლის გეგმას, დანარჩენ წარ-

ზობათა დარგებში უკვე წლის პირველი ექვსი თვის თავ-  
ზე იცოდნენ ამის შეუძლებლობა. ამ ფაქტების შეცვლა  
არც პოდგორნის ტრაბახს შეუძლია, რომელიც ამ პრო-  
ცენტული ტემპის სისწორეს მწუხარებით აცხადებს, მა-  
გრამ ყოყმობს, თითქოს პირველი ექვსი თვის თავზე  
9,3 პროცენტს აღწევს პროდუქციით.

საბჭოთა რუსეთის დღესაც მეტი უჯდება თავისი ინ-  
დუსტრია, ვიდრე ის მისგან იღებს. დასავლეთ სახელ-  
მწიფოებში წარმოებით ცხოვრობენ, რომელსაც გადასა-  
ხადის ან სხვა ფორმით სახელმწიფოებისათვის სარგებ-  
ლობა მოაქვთ, რითაც მათ შესაძლებლობა ეძლევათ სა-  
ზოგადოებიდან დაკისრებული მოვალეობის შესრულე-  
ბისა. სოციალისტურ ქვეყნებში კი წარმოებას სახელ-  
მწიფოდან უდგია სული, რომლის შედეგად, ადრე თუ,  
გვიან, გაკატრება მოელის.

1960 წლიდან სახელმწიფოს მიერ ინდუსტრიაზე გაღე-  
ბული სესხი ყოველწლიურად მატულობს და განსხვავე-  
ბა დადგენილი გეგმის და სინამდვილეში მიღწევების შო-  
რის თანდათან იზრდება. წარმოების დაფინანსება საბჭო-  
თა რუსეთში ყოველთვის წაგებით თავდება და მას დღე-  
მდე მოგება არ უნახავს.

მოგება კი მთავარი იმპულსია წარმოების და მას უნ-  
და ექვემდებარებოდეს მისი მიღწევისათვის განმოსაყენი-  
ბელი საშუალებანი. მოგების გარეშე სახელმწიფო ვერ  
იარსებებს და ეს არა კაპიტალისტური ფორმის მთავარი  
პრობლემაა, არამედ სოციალისტური საზოგადოების  
ეკონომიური ღონისძიებაც.

სოციალიზმი კაპიტალიზმიან იმით განსხვავდება,  
რომ ზედმეტი პროდუქტი (მოგება) საზოგადოების კუთ-  
ვნილებას შეადგენს და ამავე საზოგადოების მშრომელ-  
თა ინტერესებს ხმარდება. მოგების სამართლიანი განა-  
წილებისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა და სხვა  
ფორმებია და მათ შორის სოციალისტური საუკეთესოდ  
ბიჩნეული, მაგრამ არა საბჭოთა სოციალისტური ფორმა,  
არამედ თავისუფლებაზე და დემოკრატიაზე დაყრდნო-  
ბილი საზოგადოება, სადაც მშრომელთა კლასის ექსპლო-  
ატაციას ადგილი არა აქვს.

ამ მხრივ დემოკრატიული ბურჟუაზიული ქვეყნების  
სახელმწიფოებრივი ორგანოები და მშრომელთა მიერ  
შექმნილი პროფესიონალური კავშირები მოგების საზო-  
გადოებისათვის მოხმარებაში და საერთოდ ხალხის მოთ-  
ხოვნილებათა დაკმაყოფილებაში გაცილებით მეტ მხრუ-  
ნველობას იჩენენ ვიდრე კომუნისტური სახელმწიფოები.

ყველაზე საჭირობოროტო საკითხი არის საბჭოთა კავში-  
რის სოფლის მეურნეობა. გამაყრუებელი მკვებარობა,  
მუდმივი ყოყმობა, დაუსრულებელი ლაყბობა, დაუბო-  
ლოვებელი ბაქიობა სოფლის მეურნის აღწერელ სიღა-  
რბებს და სოციალური უზრუნველყოფის უმწეო მდგო-  
მარეობას ვერ მალავს. ქალაქის და სოფლის მცხოვრებთა

პირობებს შორის დიდი უფსკრულია. სურსათ-საზოგადო-  
პროდუქცია მარტის პლენუმის თანახმად მომავალი ხუთი  
წლის განმავლობაში უნდა გაიზარდოს 25 პროცენტით  
ესე იგი: 5 პროცენტით წლიურად, მაშინ როცა ზრუნო-  
ვის დროს მხოლოდ 2 პრ. -ს შეადგენდა. უკეთესმა, სო-  
ციალურმა საშუალებამ, დიდმა ინვესტიციამ და მილიონ  
790.000 ტრაქტორების დამზადებამ უნდა გადაარჩინოს  
საბჭოთა მეურნეობა დაღუპვისაგან.

თუ რუსეთს, ჯერ კიდევ 1913 წელს, თავისი აგრა-  
რული ნაწარმოების 41,7 პროც. საზღვარგარეთ ვაჭონ-  
და, დღეს საკუთარი მცხოვრებლების მოთხოვნილებას  
ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს. სოფლის მეურნეობის  
დარგში მთავარ როლს მარცვლეულობა თამაშობს. სი-  
ნამდვილეა, რომ ხორბლის მოსავალი ჰექტარზე რუსეთ-  
ში, ცარიზმის დროსაც ვერ გადასცილდა, მაშინ, როცა  
დასავლეთ ქვეყნების სოფლის მეურნეობაში დიდ რევო-  
ლუციას ჰქონდა ადგილი, სადაც ჰექტარზე შემოსავლი-  
ანობა ოთხჯერ გაიზარდა და წარმოდგენილი რეზერვე-  
ბი შეკქმნა, საიდანაც ხორბალი დამწეულ ქვეყნებს ნაწი-  
ლობრივ საჩუქრის სახით ურიგდებათ.

რუსეთში ცარიზმის დროს ჰექტარზე 20 ცენტნერ  
ხორბალს იღებდნენ, რომელიც ოქტომბრის რევოლუ-  
ციის შემდეგ მინიმუმამდე დავიდა და შიმშილობა გამო-  
ცვია. მე30-ე წლებში შემოსავალი თანდათანობით აი-  
ყვანეს 14 ცენტნერზე, რის განვითარებასაც მეორე მსო-  
ფლიო ომმა ხელი შეუშალა და 1965 წელს 22 ცენტნერ  
მოსავალს აღწევს, ე. ი. სწორედ ცარისტული რუსეთის  
დროის შემოსავალს.

ამავე დროს ამერიკის შებრთებულ შტატებში ოციდან  
36 პროცენტამდე დიდდება ხორბლის მოსავალი ჰექტარ-  
ზე, და კანადაში კი, რომლის შედარება რუსეთთან შეიძ-  
ლება, 14-იდან 28 ცენტნერამდე აღის. ასეთი ზრდა მო-  
სახერხებელი იყო მხოლოდ ბრწყინვალე ორგანიზაციით,  
უძლიერესი ტენიკური საშუალებათა გამოყენებით, გა-  
მოცდილი განაყოფიერებით და ნიადაგის რაციონალური  
გამოყენებით და განსაკუთრებით კი ამერიკელი ფერმე-  
ბის მუყაითობით.

ძველ ევროპულ კულტურულ ნიადაგზე ჰექტარზე შე-  
მოსავალი კიდევ უფრო დიდია: გერმანიაში 42-იდან გა-  
იზარდა 72-მდე და დასავლეთ ევროპის დანარჩენ ქვეყნე-  
ბში 60-დან 80-მდე. რაც შეეხება პოლანდიას, ის 94 ცენ-  
ტნერს იღებს მიწის ერთ ჰექტარზე.

მხედველობაში თუ მივიღებთ საბჭოთა რუსეთის მცხო-  
ვრებთა მუდმივ ძლიერ ზრდას, მდგომარეობა უფრო  
უიმედოდ გვეჩვენება. ზრუნველი შეეცადა ახალ ფართო-  
ბების დამუშავებით მდგომარეობა გამოესწორებია, მა-  
გრამ ეს უმთავრესად უშედეგოდ აღმოჩნდა, ვინაიდან  
ცემბერში და ყაზახისტანში (ერთად 18 მილიონი ჰექტარ-  
ი) ახალი მიწების ერთმა ჰექტარმა მხოლოდ ექვსი

ცენტრერი მოსავალი მოგვცა საშუალოდ. ასე რომ აქ, გა-  
ღებულ დიდი ხარჯებისა და შემოსავლიანობის შორის  
არავითარ პროპორციულ დამოკიდებულებაზედ არ შეი-  
ძლება ლაპარაკი.

ვერც ძველ მიწაზე მოხერხდა მოსავლის გადიდება.  
რისთვისაც საჭირო მინერალური სასუქი და სასუქება-  
რიკები საკმაოდ არ აღმოჩნდა.

მიუხედავად კოლექტივიზაციის ძალადობით გატარე-  
ვისა 1929 წელს, რასაც სტალინი თავის ქვეშევრდო-  
მებს თავზე ახვევს და მას იმით ანელებს, რომ გლეხო-  
ბას საკუთარი დამუშავებისათვის უმნიშვნელო მიწას  
უტოვებს, 1931 წელს მაინც ახერხებს ხორბლეულის მი-  
ლიონ ტონობით საზღვარგარეთ გატანას (რითაც მას შე-  
ძაძღებლობა მიეცა დასავლეთიდან შემოტანილი მანქა-  
ნები და ინდუსტრიის სხვა ნაწილები დევიზებით გადაე-  
ხადა).

საბჭოთა რუსეთი მესამე რაიხსაც საკმაოდ ამარაგებდა  
და მეორე მსოფლიო ომის გამოცხადების წინა დღესაც  
სტალინმა ხორბლით დატვირთული ვაგონების მთელი  
ქსელის ხომ გერმანიაში შეიყვანა. სტალინის ბატონო-  
ბის მთელ სიგრძეზე პურის ყიდვა საბჭოთა მოქალაქეებს  
მხოლოდ კარტაზე შეეძლოთ, რამაც შიმშილის პერიოდი  
შექმნა, მაგრამ მისი მიღწევების ექსპორტი მაინც საყუ-  
რადღებოა. 1934-38 წლამდე რუსეთს ყოველწლიურად  
4.666 ტონა მარცვლეულობისა გაჰქონდა და ჩრდილო  
ამერიკის (5.312 ტონა) და ლათინური ქვეყნების შემდეგ  
(9.079) პირველ ადგილზე იდგა შედარებით ავსტრალია-  
სთან (2,768), აზიასთან (2,187) და აფრიკასთან ( 670 ტ.)

მეორე მსოფლიო ომმა და მისმა შედეგებმა მდგომარეობა შეცვალა და 1960 და 61 წლებში მსოფლიო ბაზ-  
რის მარცვლეულობით მომარაგება 1.000 ტონაში შემ-  
დეგ ნაირად გამოიყურება: ჩრდილო ამერიკა 39,967 მი-  
ლიონი ტონიდან, წინააღმდეგ ომამდის 24 მილიონისა,  
მსოფლიო ბაზარზე არსებულ მარცვლეულობაში, ამერი-  
კას წილი უდევს 89 პროცენტით, ავსტრალიას — 19ით,  
და საბჭოთა ბლოკს — 1/65 პროცენტით.

ომის შემდეგ, ამ საერთაშორისო მდგომარეობას, სა-  
ბჭოთა კავშირში ძალადობითი კოლექტივიზაციას, ხრუ-  
შჩევის დალოცვილი ხელიდან შექმნილი „დიდი კოლ-  
ხოზების“ („აგროგოროდი“) შექმნა მოჰყვა და მის მი-  
მეორე „ახალმიწების ათვისება“ ხომ დაგვირგვინება იყო  
საბჭოთა რუსეთის ეკონომიური კატასტროფისა!

რამდენი მილიარდი მანეთი გაიფლანგა მექანიზაცია,  
ტრაქტორებისა, აბალახებული ადგილების მოხვნისათ-  
ვის; ტყის დამცველსარტყლის მიზნით გამოწვეულ ნერ-  
გვას, ძალადობით სიმინდის თესვას, აგრარული მართ-  
ვის სამჯერ მომხდარ რეორგანიზაციას, გადატანა  
ათეულათასობით სოფლის მამინების და მისთვის მო-  
შახურობე ხელთა თანგაყოლა ცენტრალური რუსეთიდან

კახახსტანში, შუა კრიზისში და რუსეთის ახიურ ნა-  
წილში და ყველაფერი ეს უნაყოფოდ, ვინაიდან საბჭო-  
თა რუსეთმა ვერ მოაწყო მარცვლეულობის კულტურა.  
არა მარტო ცუდ მოსავლიან 1963 წელში, რომელიც  
საბედისწერო გახდა ხრუშჩევისათვის. არამედ მას შემ-  
დეგ ყოველწლიურად შეაქვს რუსეთს რეგულიარულად  
10-12 მილიონი ტონა მარცვლეულობა კანადიდან, ამე-  
რიკიდან, ავსტრალიიდან და არგენტინიდან, როგორც  
მცხოვრებლების, ისე ცხოველების გამოსაკვებად.

აგრარულ პროდუქციაზე სახალხო მეურნეობის სხვა  
დარგებიც უშუალოდ ძალზე დამოკიდებულია. 1965 წ.  
იანვრის 30 - ს გამოქვეყნებული ცნობები 1946 წლის  
მარცვლეულობის მდგომარეობაზე აშკარად ამოწმებს,  
რაც ბევრმა არ იცის დასავლეთში, რომ ღორების გა-  
მონაკლისით, ცხოველების სტატისტიკა საბჭოთა რუსე-  
თში მოსახლე თითო სულზე ნაკლებია, ვიდრე ცარის-  
ტულ რუსეთში.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა კავშირში 1964  
წელი სოფლის მეურნეობის რეკორდად მიჩნეული წე-  
ლიწადაა, და თუ შევადარებთ რუსეთის რეგულიარულად  
წინა წლი და 1964 წლის მეცხოველეობის მდგომარეობას,  
მივიღებთ 1.000 სულზე 53 ცალ ნაკლებ მსხვილფეხა პირუტყვს და 296 ცალ ნაკლებ ცხვრებს და თხებს.

1928 წელთან შედარებით კი („ნების“ დრო) 1964  
წლის განსხვავება უფრო დიდია და სახელდობრ 90 ცა-  
ლით ნაკლები ცხვრები და თხები.

ოქტომბრის რეგულიაციიდან დაწყებული ძლევა მო-  
სილი საბჭოთა რუსეთი ცდილობს კატასტროფის  
დაძლევას, მაგრამ ვერ მიაღწია და ვერც მიაღწევს იმ  
არაბუნებრივი სისტემის ფარგლებში, რომელიც ყო-  
ველგვარ თავისუფალ ინიციატივას ახშობს.

რაც შეეხება ბინათმშენებლობას, — „ბევრს ვაშე-  
ნებთ, მაგრამ საბინაო საკითხი ყველაზე მწვავეა“ —  
გვიმხელს ბრეჟნევი.

ასეთია საბჭოთა რუსეთის წარმოების და მისი სახალ-  
ხო მეურნეობის უნუგეშო მდგომარეობა და ეკონომიუ-  
რი კრიზისის დაძლევა მხოლოდ ერთი გზით შეიძლება:  
შემოსავლის გაზრდა რენტაბილიტეტის აღდგენით და  
გასავალის შეკვეცა უაზრო შეიარაღების პოლიტიკის  
უარყოფით. ამის განხორციელება შესაძლებელია მხო-  
ლოდ დღემდე ძალაში დარჩენილი ბოლშევიკურ დოგ-  
მებზე ხელის აღებით. სხვა გზა არ არსებობს. და თუ  
ლევანდელი ბატონები მოსკოვში ამ ნაბიჯს არ გადა-  
დგამენ, ადრე თუ გვიან, მათ მეჭვიდრები გაუჩნდე-  
ბათ, რომლებიც შექმნილი მდგომარეობიდან იძულე-  
ბულნი, ამ გზას დაადგებიან.

აღმოსავლეთის სოციალისტურ სახელმწიფოთა ბლო-  
კის პარტიის თეორეტიკოსები და ნაციონალ - ეკონო-



მისტები ერთმანეთს ეთანხმებიან იმ საკითხში, რომ დაგეგმულ მრეწველობას საფუძვლიანი რეფორმები ესაჭიროება, და ზოგნი გაბედულნი და ზოგნი კი ფრთხილი კესპერიზმენტებით ცდილობენ იმის გამოარკვევას, თუ მეურნეობის და მრეწველობის გამოცოცხლებისათვის დასავლეთის პროდუქციის და აღებმიცემობის რომელი ელემენტების გადაღებაა შესაძლებელი კომუნისტური სტრუქტურის დაუზიანებლად.

ხარკოვის გამოჩენილი პროფესორი ლიბერმანი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც მოგების როლის გაზრდაზე მიუთითებდა კომუნისმის მშენებლობის ინტერესებისათვის, რაც საბჭოთა საზოგადოების სტრუქტურაში დიდ ცვლილებებს გამოიწვევს, მაგრამ ეს ეკონომიური ლიბერალიზმის გზაზე შედგომად არ უნდა გავიგოთ.

დასავლეთი, წარსულში, აღმოსავლეთში მომხდარი ცვლილებების დაფასებაში ხშირად ცდებოდა და დღეს მეტი გამოცდილების ნიადაგზე ფრთხილად უნდა ეკიდებოდნენ საექვო აზრებს, რომლის უდროო გამოტანა საზოგადოების დღიური ცხოვრების წესრიგის ნორმალურ პირობებს ხელს შეუშლის.

საინდუსტრიო ქალაქები დნებრზე და დონეცის ნაპირებზე, საიდანაც უკრაინის საშუალო და აღმოსავლეთის მთელი მიდამოები ელექტრონით მარადღებთან, განსაკუთრებით ნოყიერი და რაციონალურად გამოყენებული ზაპოროჟიის მხარე, ჩვენი პლანეტის უნაყოფიერესი მიდამოები — „შავი მიწა“ —, რომლის ათვისებასა და იქ გზების გაშენებას მრავალი გერმანელი და იაპონელი იმის ტყვე შეეწირა. აწინდელი სტალინი, ეს ძველი სამთომადნო და საინდუსტრიო ქალაქი, სადაც ნახშირის და რკინის პროდუქცია ჯერ კიდევ 1725 წელს, პეტრე ლიდის დროს იწყება და პირველი ნამდვილი შახტი ინგლისელმა ჯონ ჰუზემ მოაწყო; ბევრი ნახშირ-მღაროებით და სხვა მრავალი ბუნებრივი სიმდიდრით ცნობილი კრივოი როგი, ციმბირის ახალი ინდუსტრია, რომელმაც ოცი მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა — ამ მხარეებით დაჯილდოვებული და მსოფლიოში ბუნებრივი სიმდიდრეებით ცნობილი რუსეთი განა მუდმივ ეკონომიურ კრიზისს უნდა განიცდიდეს?

მართალია ბრეჟნევი, როცა ის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 23-მე ყრილობაზე მძლავრ ატომური მრეწველობის და ენერგეტიკის შექმნაზე ლაპარაკობს, წიალის გიგანტური სიმდიდრეების ათვისებაზე მიუთითებს და მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, გეოლოგიისა და სხვა დარგებში მიღწევებით ამაყობს, მაგრამ ის მაინც, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ ფიცავს გეგმის მიერ დავალებათა შესრულების მიუღწევლობას ისეთ დიდმნიშვნელოვან სფეროებში, როგორც არის უპირველეს ყოვლისა სოფლის მეურნეობა, ქიმიური

პროდუქცია, ქვანახშირის, მანქანებისა და საჭიროების წარმოების დარგი და სხვა.

მართალია, საბჭოთა ქვეყანაში ყოველწლიურად ათასობით შენდება ქარხანა, ფაბრიკა, ელექტროსადგური, რკინიგზა და გზატკეცილები, წყალსაცავი სხვა და სხვა სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების ობიექტები, საავადმყოფოები, სკოლები და ვეებერთელა სახლები, მაგრამ ყველაფერი ეს კაპიტალის დაბანდებათა სწორი გემით და ჩრესურსების ეფექტურად გამოყენების გზით ითუ არ ხდება, მას ნაყოფის მაგიერად ხშირად ზარალი მოაქვს სახელმწიფოსათვის.

საბჭოთა რუსეთის მესვეურები ეკონომიურ კრიზისს ერთმანეთს უსაყვედურებენ, მაგრამ ერთმანეთზე გადაბრლება საქმეს ვერ უშველის. ხრუშჩევი სტალინს უსაყვედურებს და ბრეჟნევი და კოსიგინი ყველაფერს ხრუშჩევის ბეცი პოლიტიკის შედეგად აცხადებენ. ყველგან, მთელ აღმოსავლეთში, ცდილობენ კრიზისს რამენაირად თავის დააღწიონ, მაგრამ დესტალინიზაციაზე შედეგის კრიზისის დასაძლევად არ ეძარა, თუ მას მეურნეობის დებოლშევიზაცია არ მოჰყვა.

გლეხობის მატერიალური დაინტერესების გზაზე დადგომას, როგორც ეს პოლონეთში და იუგოსლავიაშია, ახდაც გლეხებს თავისუფალი არჩევანი აქვთ კოლექტივიზაციის და ინდივიდუალური ექსპლოატაციის შორის, რუსეთში ჯერ არ აპირებენ, მაგრამ ლოკალურ მმართველებს ინსტრუქცია დაურიგდათ: გლეხებს თავისუფლება მიეცეთ პატარა საკუთრების მშვიდობიანი დამუშავების და გამოღებული პროდუქციის თავისუფალ ბაზარზე გაყიდვის.

ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები სოფლის მეურნეობაში და მოსავლიანობაში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ და ამის მაგალითია — საქართველო. ეს აკლია რუსეთის ევროპული ნაწილის ზონას, ბელორუსიას და ბალტიის სახელმწიფოებს, ყაზახეთს, შუა აზიის რესპუბლიკებს და სხვა მრავალ რაიონს. ამ ადგილებში მეტი ნაყოფის მიღებისათვის სამელიორაციო ფართო პროგრამის განხორციელებას ისახავენ მიზნად. აგრონომების, ინჟინრების, მექანიზატორების, მეცნიერების და ნათი მიღწევების ჩაყენება სახალხო მეურნეობაში ვერ უშველის საქმეს. მთავარია მაინც გლეხის მუყაითობა, სოფლის მშრომელთა შემოქმედების ენერჯია და ინიციატივა, რომლის გარეშე ვერც ტრაქტორების და მანქანების რიცხვი, ვერც მშრომელთა მასების სოციალისტური შეჯბობება, ვერც ლენინის და ვერც წითელი დროშის გადაცემა და მენდლები სასწაულს ვერ მოახდენენ.

საბჭოთა მეურნეობის ცუდ მდგომარეობას სასუქების ნაკლებობაში და არა თვით სისტემის უფარვისობაში ზედავენ. ზოგიერთები კი ბრალს დებენ ბიუროკრატებს

და ეს უკანასკნელი ხომ დიდად აღემატებოდა ცარიზ-  
ის დროისას.

ხრუშჩევის მემკვიდრეებს აქვთ საბუთი სოფლის მე-  
ურნეობაში საკუთრებას უპირატესობა დაუთმონ, რაც  
პრაქტიკამ იმით დაამტკიცა, რომ სოფლის კერძო მე-  
ურნეობის მონაწილეობამ, რომელიც საერთო მე-  
ურნეობის ოთხ პროცენტსაც არ შეადგენს, 1965 წელს  
სოციალისტური საბჭოთა კავშირის საერთო პრო-  
დუქტიაში მიიღწია რძის 38 პროცენტს, ხორცის — 40  
პროცენტს, კვერცხის 60 პროცენტს.

ეს მდგომარეობაში იმყოფებიან ის კოლხოზ - და  
სოვხოზ - გლეხობა, რომელიც ცუდი ვითარებისა და  
დიდი მანძილის გამო კერძო, ან კოლექტიური სახით,  
კერძო აგარაულ ბაზარზე მნიშვნელოვნად ვერ მოქმე-  
დებენ.

ხრუშჩევს ექსპერიმენტები აქვს აკლდა, როგორც ინ-  
დუსტრიის ორგანიზაციაში, ისე სახალხო მეურნეობა-  
შიც, მაგრამ, არსებითად, მხოლოდ არსებული სისტე-  
მის ფარგლებში ხდებოდა პრობლემების გადაწყვეტა და  
ეს ფართო კონკრეტული რეფორმებით კი არ გამოიხა-  
ტებოდა, არამედ მცირე გაუმჯობესების გზით: მეტი  
ჯამაგირი, მეტი საზღვარგარეთის პასპორტი, მეტი უც-  
ხო წიგნები და საბჭოთა კავშირის ინტელიგენციაც  
ცვლილებებს კი არ თხოულობს, არამედ შეკეთებას; დე-  
მოკრატიას კი არა, არამედ „დემოკრატიზაციას“, თა-  
ვისუფლებას კი არა, არამედ „ლიბერალიზმს“.

ხრუშჩევის გეგმა კოლმეურნეობის კონცენტრაციისა,  
რომლითაც ის პროდუქციის გაზრდას ფიქრობდა, ხორ-  
ცისა და რძის ნაწარმოებზე ფასების მომატებით, მესა-  
ქონლეობის წახალისება და დაინტერესება და დაპირე-  
ბა, ყველაფერი თავ საყრელად გექნებათო, არ გა-  
ბართლდა. გეგმის მიხედვით, 1959 - 1965 წლამდე სოფ-  
ლის მეურნეობის პროდუქტია 70 პროცენტამდე რომ  
უნდა გაზრდილიყო, ათ პროცენტსაც ვერ აღწევს.

თავისი ბატონობის უკანასკნელ წლებში ხრუშჩევი  
ცდილობდა პროდუქციის უკანამორჩენილობა წარმოე-  
ცის ხელმძღვანელობის დეცენტრალიზაციით მანც და-  
ეცლია. მან უმაღლესი გეგმადამდები მოხელეები მოსპო-  
და მათ ადგილზე იმავე უფლებებით ლოკალური რაი-  
ონების პარტიის კადრები აღჭურვა; გარდა ამისა ქარ-  
ხანა-ფაბრიკების უფლებები გააფართოვა და ბიურო-  
კრატია შეკვეცა. მაგრამ ყველა ეს ცდა მარცხით თავ-  
დება და ბრეჟნევი და კოსიგინი საბჭოთა უმაღლეს ყრი-  
ლობაზე ხრუშჩევის ეკონომიურ პილიტიკას დიდ შეც-  
დომად აცხადებენ: „განვითარების მაგივრად ხრუშჩევის  
გზამ გაყინულ წერტილამდე მიგვიყვანა და ბევრ სფერო-  
ში კატასტროფამდე“.

დეცენტრალიზაციის დოქტრინის ადგილს იჭერს მკაც-  
რი ცენტრალიზაცია. 27 ერთეულად დანაწილებული

წარმოების სამინისტრო ცენტრალურად ხელმძღვანე-  
ლობს მოსკოვიდან საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე  
და მის ფარგლებში შემავალ რესპუბლიკების ეკონომი-  
კურ ბედს.

ბრეჟნევი უბრუნდება სტალინურ წვირულ კოლექტი-  
ურ მეურნეობას და რაიონულ სისტემაზე დამყარებულ  
სოფლის მეურნეობას 71 მილიარდი მანეთის დახმარე-  
ბას პირდება. ახალი ბატონები მძიმე ინდუსტრიისა და  
წეიარაღების პოლიტიკის შეკვეცაზე არც კი ფიქრობენ,  
პირიქით, კიდევაც უნდა გაცხოველდეს და მასაც დიდი  
დაპირებებით ჰკვებავს, თუმცა კრემლის დღევანდელი  
მმართველები პერსპექტივების დასახევაში სიფრთხილეს  
იჩენენ. ხალხის შემოსავალი ხრუშჩევის აზრით, 1966-  
1970 წლამდე 150 პროცენტით უნდა გაზრდილიყო, ახ-  
ლა 38 პროცენტით კმაყოფილებიან; ელექტროფიკა-  
ცია 950 მილიარდ საათკილოვატზე უნდა ასულიყო,  
დღეს 840-ს ჯერდებიან. პარტიის პროგრამა ითვალის-  
წინებდა 77 მილიონ ტონა ხელოვნური საქონლის (ე. წ  
კუნსტშტოფის) პროდუქციას; ამჟამად 2,1 მილიონ ტო-  
ნას მისაღებად თვლიან.

კომუნისტებს დღეს შინაური ცხოვრებისათვის არ გა-  
აჩნიათ ნათელი და მყარი პროგრამა. ისინი პირდებიან  
კვლას ყველაფერს: მეტი მძიმე ინდუსტრია და მეტი  
სამომხმარებლო საქონელი, მეტი შეიარაღება და მეტი  
კეთილდღეობა, მკაცრი ცენტრალისტური გეგმა და ფაბ-  
რიკა-ქარხნების მეტი ავტონომია. კოსიგინის გეგმა აც-  
ხადებს საბჭოთა წარმოების გაფურჩქნისა და აყვავების  
პერიოდს. სოციალური პროდუქციის ბრუტო 1970  
წლამდე 40 პროცენტით უნდა გაიზარდოს, ინდუსტრიის  
პროდუქტია 50 პროცენტის სიმაღლეზე უნდა ავიდეს,  
მხატვრული ავტომანქანების პროდუქციამ ოთხჯერ მეტი უნ-  
და მიჰყვას, ტელევიზია ას პროცენტამდე ზრდას უნდა  
აღწევდეს და მაცივარების წარმოება სამჯერ უნდა გა-  
იზარდოს. სურსათ-სანოვავის დარგში: ხორცის ზრდა  
20-25 პროცენტამდე, რძის — 15-18-მდე, ბოსტნეულო-  
ბის — 35-40-მდე, თევზის — 50-60-მდე, ხილის უნ-  
და ავიდეს 45-50 პროცენტამდე და სხვა.

რასაკვირველია, ქიმიური და მეტალურგიული ინდუ-  
სტრიაც არ უნდა ჩამორჩეს ამ ტემპს, ენერჯის სექ-  
ტორზე გაშენება ახალი ელექტროსადგურების და ექს-  
პორტის აღმავლობაც ჩქარი ტემპით უნდა ხდებოდეს  
ყველაფერი ეს ქალაქზე ლამაზად და მწყობრად ჩა-  
მოთვლილია; სინამდვილეში კი „კაპიტალისტური ექს-  
პლოატატორების“ ხელში მუშათა კლასი გაცილებით  
უკეთესი ცხოვრების პირობებით სარგებლობს. ამას ადა-  
სტურებენ საბჭოთა კავშირის სტატისტიკოსებიც, რო-  
მელიც 1966 წლის ბოლოში გვიმხელენ, რომ ინდუსტ-  
რიაში მომუშავეს ხელფასი 54 კაპიკს აღწევს და მანე-  
თის ყიდვის ძალას თუ გავითვალისწინებთ, გერმანულ

მარკებზე გადატანით, საბჭოთა კავშირის ინდუსტრიაში მომუშავე ხელფასს 1,64 მარკა შეადგენს. ეს კი გერმანელი მუშის ხელფასის მესამედია და ამერიკელი მუშა კი ხუთჯერ მეტს იღებს საათში.

რისი ყიდვა შეუძლია საბჭოთა კავშირის ინდუსტრიის მუშას? შეუძლია მას რვა წუთის ხელფასით ერთი ლიტრა რძის ყიდვა, როგორც დასავლეთი გერმანიის მუშას? ან 38 წუთის ხელფასით 13 კვერცხის ყიდვა? კოსტუმის შეძენისათვის გერმანელ მუშას 33 საათის მუშაობა სჭირდება, ამერიკელს — 21 საათი და შვეიცარიაში — 29 საათი. რამდენი კვირა უნდა იმუშაოს ამისათვის კაცმა საბჭოთა კავშირში და ვის შეუძლია იქ ტელევიზიის შეძენა, მაშინ როდესაც გერმანელი მუშა მას 102 საათის ხელფასით ყიდულობს, ამერიკელ მუშას კი მხოლოდ 50 საათის მუშაობა სჭირდება.

ამ ციფრებს თუ დავაკვირდებით და საბჭოთა კავშირში ინდუსტრიის მუშის მდგომარეობას სახეში მივიღებთ, გლეხის ცხოვრების პირობებს თუნდაც ნუ მოვიხსენიებთ, და თანაც ვავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა კავშირი ეკონომიკური ძალით და ტექნიკისა და მეცნიერების დონით მეორე ადგილზე დგას მსოფლიო ინდუსტრიაში, კუშათა კლასის ასეთი დონე სამარცხვინოსა, რომელიც ფეოდალური ხანის მდგომარეობიდან დიდად არ განირჩევა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ი. პელშე თავის მოხსენებაში ოქტომბრის რევოლუციის 49 წლისთავზე რომ ამბობს: „მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია უზრუნველყოს მშრომელთა რეალური პოლიტიკური თავისუფლებანი და მატერიალური დოვლათის სამართლიანი განაწილება; რომ მხოლოდ სოციალიზმის გზით შეუძლიათ ჩვენი პლანეტის მშრომელ ადამიანებს მიაღწიონ სრულ სოციალურ განთავისუფლებას, ხალხის ნამდვილ ბატონობას და ნამდვილ საყოველთაო კეთილდღეობას“, და ყველაფერი ეს საბჭოთა კავშირში თურმე ხინამდვილედ შეიძლება განხორციელებული, ვინაიდან სოციალიზმი უკვე დიდხანია დაუმყარებიათ და ამჟამად კომუნიზმის დამკვიდრებისათვის იბრძვიან. ამით ვერავის თვალებს ვერ აუხვევენ და ოქტომბრის 50 წლის თავზე გლეხობა და მუშათა კლასის მდგომარეობას ხომ ცხოვრებას ვერ უწოდებთ, წლებზე ფეხს იდგამენ, დღიდან დღეზე დიდი დავიდარებით თავი გააქვთ და გამწარებულ სიკაცხლის დაბოლოვებაზე ფიქრში მწუხარებაშიც არ ვარდებიან.

ცხოვრებამ დიდხანია დაამარცხა კომუნიზმის აპოლოგეტა მონაჩხანი. კომუნისტურ რუსეთში ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიკური ზრდის ნაყოფით მხო-

ლოდ პარტიის წევრები და ბიუროკრატიული ნაწილები სარგებლობენ.

ლენინის სიტყვებს ზიბლიად რომ აცხადებენ და მი ყოველ სიტყვას საფუძვლიან გამართლებას და დასაბუთებას აძლევენ, განა ლენინს არ ეკუთვნის ის აზრი, რომ არც ერთი საბჭოთა სახელმწიფო მოხელე ან და პოლიტიკური ხელმძღვანელი მუშაზე ან მასწავლებელზე მეტჯამაგირს არ უნდა იღებდეს თვეშიო?! იუგოსლავიაში წარსული წლის ოქტომბრიდან შემოღებულა და ძალაში შედის ლენინის მიერ დადგენილი ხელფასი. გერმანულ მარკებზე გადატანით, ტიტოს თვიურად 1.424 მარკის მიღების უფლება აქვს დატოვებული (445.000 დინარი) და ამ თანხაში უმაღლესი სახელმწიფო მოხელის პრემიაც ირიცხება. სამხედრო მინისტრი და პრეზიდენტი, კონსტიტუციის ძალით, 1.088 გერმანულ მარკას იღებენ (340.000 დინარს). ტელეფონის ხმარების უფლება კი კერძო დანიშნულებათვის ნოემბრის 1-დან გასული წლისა უფასოდ მხოლოდ სახელმწიფო პრეზიდენტს, ვიცეპრეზიდენტს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ეძლევათ და მხოლოდ მათ შეუძლიათ სახელმწიფო ბინით და ავტომობილით სარგებლობა.

საბჭოთა სახელმწიფოების ხალხები დაპირებებით და ემოციებით აღარ კმაყოფილდებიან და აშკარა პასიურ, მალულ წინააღმდეგობაზე გადადიან. საბჭოთა კავშირის დღევანდელი ხელმძღვანელებიც არ არიან ფანტაზიორები, იციან საბჭოთა საზოგადოების მოდერნიზაციის აუცილებლობის საჭიროება, მაგრამ ამ მოდერნიზაციის გზებზე არ არიან შეთანხმებულნი. თვით კოსიგინის და პარტიის შეფის ბრეჟნევის შორისაც წინააღმდეგობაა. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ხრუშჩევის შემდეგ საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობაში არაღეგალური პოლემიკას აქვს ადგილი „იდეოკრატებისა“ და „ტენოკრატების“ შორის. ბრეჟნევი, ჩანს, პირველ მიმართულებას ეკუთვნის, რომელიც თეორიულ იდეოლოგიას, როგორც უშეცდომო მოძღვრებას, უპირატესობას ანიჭებს, მაშინ როცა კოსიგინი „ტენოკრატების“ მხარეზე მდგომი, როგორც ეკონომიკის ექსპერტი პრაქტიკული ცხოვრების არგუმენტაციას ეყრდნობა. პოლემიკას მწარე ზასიათი მიეცა და პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგი ს. პ. ტრაპენიკოვი აცხადებს 1965 წლის ოქტომბრის ნ-ს „პრავდა“-ში, რომ სიაულებელა იმის მტკიცება, თითქოს თეორია და პრაქტიკა ერთი და იგივე იყოსო. საინტერესოა აგრეთვე 1966 წელს იანვრის 21-ს მოთავსებული „რეფორმის“ იდეოლოგიის იური ფრანცევის აზრი, თვით ლენინის ციტატებით შემკობილი, პრაქტიკის მნიშვნელობის შესახებ და მის უპირატესობაზე თეორიასთან შედარებით. ლენინი ამბობდაო, გვიცხადებს ფრანცევი, რომ „რუსეთისათვისაც დაუბრუნებლად ითვლება დრო, როცა სოციალისტური პროგრამა წიგნები და-

ხმარებით სადისკუსიო საგანს წარმოადგენდა, ახლა სოციალიზმზე შეიძლება მხოლოდ გამოცდილებიდან ლაპარაკი. ამით ლენინის თეორიის მნიშვნელობა არ უარუყვია, ის მხოლოდ გვაფრთხილებდა, რომ ახალი საზოგადოების მშენებლობის დროს, თავზე მოხვეული იდეები, სწორი პრაქტიკის ანალიზის გარეშე არ შეიძლება ნაყოფიერი იყოს“-ო.

ტრაპესნიკოვი პრაქტიკოსების წინააღმდეგ პოლემიკას აგრძელებს, ფრანცევი ეკამათება ტრაპესნიკოვს და იუდიხი, რომელიც წმიხდა მარქს-ლენინის მოძღვრებაზე დგას, კამათობს ფრანცევთან. ისმება კითხვა, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა საბჭოთა კავშირში უპირველეს ყოვლისა არის ტექნიკურ-ეკონომიკური, თუ პოლიტიკურ-იდეოლოგიური პრობლემა? პირველს თუ მიეძახებენ, მაშინ პარტიული აპარატის როლი ავტომატურად მცირდება და ტექნიკრატების ავტორიტეტი და პრესტიჟი ამით, რასაკვირველია, მოიგებს. შეიძლება შეხიხვევითაც არ არის, რომ ორთოდოქსები სწორედ ახლა, ეკონომიკური რეფორმის სტადიაში განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენენ. მაშ რას ერჩოდენ ხრუშჩევს, რომელიც სოციალიზმში კაპიტალისტური მეთოდების გააოყვანებას აიოიანების მიხედვით სასარგებლოდ რომ ივლიდა?

მაგრამ კოსიგინი გრძნობს ამ უხერხულობას და აცხადებს, „რომ რეფორმები არ ნიშნავს კაპიტალისტური წარმოების ფორმების შეთვისებას და ჩვენ მარქსისა და ლენინის ხაზზე ურყევად ვდგევართო. საწარმოო იარაღები რჩებიან მომავალშიც სახელმწიფოს ხელში. ეს ფუნდამენტალური საფუძვლები შეურყეველია კომუნისტური მოძღვრებისათვის“-ო. („კომუნისტი“ 7.11.165). ბავშვი წვერულვანით რომ არ იბადება, ყველასათვის ცნობილია, და რომ ბრეჟნევი და კოსიგინი საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ სიტემას ერთი ხელის მოსმით ვერ უარპყოფენ, აშკარაა. მაგრამ ისიც ნათელია, რომ კოსიგინის საწარმოო პროგრამის რეფორმებში ფართოდ აქვს დათმობილი ადგილი ცნობილ პროფესორ ლიბერმანის რჩევას, რომელიც უკმაყოფილოა, რომ საკმაოდ დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სახელმწიფო კონტროლის ხელშია, მაგრამ წარმოების ელემენტარული საფუძვლები, დამოუკიდებლად პოლიტიკური სისტემის მეფობისა, მისი სტრუქტურისამებრ საბჭოთა პრაქტიკაში ტარდება.

ცნებები, როგორიც არის „მოგება“, „კერძო ინტერესები“, „სტიმულობა“ და „რაციონალიზაცია“ მუდამ აკერძობს ამ ბოლო დროს რუსის კომუნისტებს პირზე.

დაგეგმულ წარმოებას სტალინის დროისას უბრუნდება კოსიგინი: 1) სპობენ ხრუშჩევის მიერ შექმნილ სახალხო წარმოების საბჭოებს, 2) მის ნაცვლად, როგორც სტალინის დროს, ხელმეორედ შემოიღეს ოცი საინდუსტრიო სამინისტრო, რომელიც მოსკოვიდან მთლიან

წარმოებას საბჭოთა კავშირისას ხელმძღვანელობს, 3) ქარხანა-ფაბრიკებს მინც ეძლევათ გადაწყვეტილების თავისუფლება, რითაც რენტაბელობის გაზრდას ფიქრობენ. კოსიგინი მუშათა და ქარხანა-ფაბრიკების ხელმძღვანელთა ინტერესის ნაკლებობაზე მიუთითებს და პირდება უკეთესი სამუშაო პირობებს და პრემიებს, რომელიც პროდუქციას კი არ უნდა ეყრდნობოდეს, არამედ აამდვილად გაწეულ მუშაობის მიღწევებს.

უხეში დაგეგმული რეგლამენტების მაგივრად წინ წამოყენებულია დღეს, ქალაღზე მინც, ქარხანა-ფაბრიკების რენტაბელიტეობა, რომელსაც პროფესორი ლიბერმანი დოქტრინალური პარტიის თეორეტიკოსებიდან უკვე დიდი ხანია მოითხოვდა, რითაც ადგილობრივ საწარმოების ხელმძღვანელობას მეტი მოძრაობის თავისუფლება ეძლევა.

მაგრამ ეძლევა მეტი მოძრაობის თავისუფლება თვით პუშას, ხალხის სიმდიდრის შემქმნელს, რომელზედაც პროდუქცია და მთელი ხალხის კეთილდღეობაა დამოკიდებული?

ოქტომბრის რევოლუციიდან დაწყებული, 45 წლის განმავლობაში ამ მხრივ თავისუფლების ნატამალიც არ არსებობდა. მუშა იყო ნომერი და ყმა. ის იქ უნდა წასულიყო, სადაც მას გააწესებდნენ; იმით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რასაც აძლევდნენ; უნდა გაეკეთებინა, რასაც მისგან მოითხოვდნენ. ხრუშჩევმა აღიარა, რომ ეს ძალადობითი სისტემა ეკონომიური ცხოვრების სამარედ წეიძლება გადატეულიყო; რა გააკეთა ამ მიმართულებით?

მეფე ჩამოაგდეს, მაგრამ პოლიტიკური თავისუფლების ნაცვლად მონობა დამყარდა; კაპიტალის ბატონობა არ შეწყვეტილა; ის სახელმწიფოა ხელში გადავიდა; ადამიანის ჩავვრაც გრძელდება და უფრო სასტიკი ფორმებით; ცარიზმის დროის დაქრავებული მონობა, დღევანდელი ცხოვრების პირობებთან შედარებით, უფრო ადამიანური იყო, ვიდრე დღევანდელი მუშაობის პროცესი. ყველა ფიცულობს სოციალისტობაზე, მაგრამ სოციალური საკითხების მოგვარებაზე არავინ არაფერი არ სმენია. მოხუცებულებზე და შრომის უნარიანობის დამკარგველებზე ზრუნვას დღემდე არ ფიქრობდნენ საბჭოთა კავშირში და მუშების, მოსამსახურეების და გლეხებისათვის პენსიების შემოღება მხოლოდ ამა წლინ გეგმას შეადგენს. რაც შეეხება მუშებისა და მოსამსახურეების გადაყვანას 5 სამუშაო დღეზე და ორი - დასვენების-დღიან კვირაზე, რაც ბურჟუაზიულ ქვეყნებში უკვე დიდი ხანია არსებობს, საბჭოთა კავშირში ოქტომბრის 50 წლისთავზე პირდებიან. (იხილეთ ამის შესახებ „კომუნისტი“ 1967 წ. აპრილის ოთხისა. ა. კირილენკოს მოხსენება ლენინის დაბადების 97-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე).

1966 წელს „კომუნისტის“ მარტის 30-ს ნომერში ბრეჟნევი თვითონ ამბობდა: „ამ ხუთწლედში გათვალისწინებულია გადიდდეს ხელფასთა ოდენობა სახალხო მეურნეობაში სამოც მანეთამდე თვეში და რომ სოფლის მეურნეობის პენსიაც კი არა აქვთ დღემდეო და არც მოსტუტა ზრუნვია შემოღებული“. საბჭოთა რუსეთს კი პროპაგანდისათვის გამოსაყენებელი სიტყვები 50 წლის მანძილზე არ დაკლებია და მას დღემდე თავის სასარგებლოდ კიდევაც მოხერხებულად იყენებდა.

საბჭოთა კავშირის ადამიანი, ფეოდალურ პირობებში ჩაყენებული, მოკლებული ყოველგვარ უფლებას, არ ასრულებდა ნაყოფიერად მისთვის დაგეგმულ მუშაობას. ის, მართალია, აღწევდა მასზე გაწერილ ნორმას, რომ ამით ფიზიკური არსებობა შეენარჩუნებინა, მაგრამ ისე ცუდად, რომ ხრუშჩევი იძულებული იყო აღეარებინა თავის უკანასკნელ სიტყვაში საბჭოთა უმაღლესი ორგანოს წინაშე, რომ საბჭოთა ფაბრიკებში 30 პროცენტამდე გამოუყენებელი და წუნდებული საქონელი მზადდებოდა.

სწორედ მუშაობის მორალი და საბჭოთა ბიუროკრატის მცდარი გეგმები არის მიზეზი იმისა, რომ საბჭოთა ინდუსტრიის პროდუქცია დასავლეთისას ზომიერ ნორმასზედაც დიდი მანძილით დაშორებულია. მაგალითად: იმავე სამუშაო პროცესისათვის, რისთვისაც ამერიკაში თექვსმეტი მუშა არის საჭირო, კიევის ფოლადის ქარხანაში ასი მუშა აუცილებელია!

ერთ-ერთ გერმანულ ფირმისაგან აშენებულ მაშინების ქარხანაში, სადაც 500 მუშა ფირმის გეგმის მიხედვით არსებობდა საკმარისი, მაშინების მომსახურეობისათვის სინამდვილეში 750 მუშა არის დაკავებული.

ბრეჟნევის და კოსიგინის მიერ გათვალისწინებული ღონისძიებებიც იფიქრებენ გადაწყვეტი მნიშვნელობის მთავარ ფაქტორს—ადამიანს, რომელმაც გამოდარების პროცესში ცვლილებები განიცადა და ამ ცვლილებების მნიშვნელობაც შეითვისა. ამ ცვლილებებიდან შეთვისებულ მონაპოვარს მას დღეს ვერც პარტია და ვერც მთავრობა ვეღარ წაართმევს ასე ადვილად და მის წინააღმდეგ მოსკოვის ბატონები ვერას გახდებიან, რადგან მათი უხეში პლანდადგენილი მრეწველობის სისტემა საბჭოთა ადამიანის მიერ მოპოვებულ ორ უფლებას ვერ ეგუება: ხელის თავისუფალი არჩევანი და მისი თავისუფალი შეცვლა.

მოსკოვის ცენტრალური პლანის მიხედვით 1966 წელს საბჭოთა წარმოებაში 76 მილიონი მუშა მოხელე უნდა ჩაებათ. ეს რიცხვი დეტალამდის გამოანგარიშებულია მოსახლეობის, — პროდუქციის —, და განათლების სტატისტიკის მიხედვით. დადგენილია აგრეთვე ინდივიდუალური გამოყენება მუშა-ხელის ტექნიკური წარმოების, ტექნიკის და რეგიონალური თვალსაზრისით.

მაგრამ საბჭოთა ადამიანი დღეს აღარ ითმენა და არც

ემორჩილება, როგორც ეს სტალინის დროს იყო, უსუსლო საგანივით მოპყრობას. მუშათა წრეებში დღეს გადაჯგუფების დიდ პროცესს აქვს ადგილი, და ეს არა მარტო სოფლიდან ქალაქში, აოფლის მეურნეობიდან ინდუსტრიაში, არამედ თვით სხვა და სხვა ინდუსტრიის სფეროებშიდაც.

მაშინ სოციალური კოლხოზის გლეხობამ 1953-1958 წლამდე 3,4 პროცენტით დაიკლო, 1959-1962 წლამდე 27 პროცენტამდე ჩამოიდა და თუ დიდი ქალაქები ჩქარი ტემპით იზრდებიან, სოფლები ცალიერდებიან. უშორესი ადგილები და აგრეთვე ევროპული რუსეთის მხარეები, როგორც, მაგალითად სმოლენსკი, კალინინი, კიროვი გვიჩვენებენ გაცილებით ნაკლებ მცხოვრებლების რიცხვს, ვიდრე სამი წლის წინად, გადამწყვეტია ეს მოძრაობა ციმბირის საწარმოო განვითარებისათვის, სადაც ძალით და დაპირებებით მუშახელის და ახალგაზრდობის გადინაცვლება თავის დროზე ხალხთა მოგზაურობის ეპოქას წააგავდა.

აღმოსავლეთში მასიური ჩასახლება წარსულს ეკუთვნის. მოსკოვის „ეკონომიჩესკაია გაზეტა“ ვერ ფიცავს, რომ 1956-1959 წლამდე ევროპული რუსეთიდან ციმბირში ჩასახლებული ათასი სულიდან, 135 სული ისევ რუსეთის ცენტრალურ ევროპას, შავი ზღვის ადგილებს და ჩრდილო კავკასიას უბრუნდება, რის შედეგად სახალხო მეურნეობას არა თუ მძიმე ტვირთის ტარება უხდება და მოსკოვში ექაპერტები ორ მილიარდ წლიურ წაგებას ანგარიშობენ, არამედ ინდუსტრიის პროდუქციის წონასწორობაც დამაფიქრებლად ირღვევა.

ამით აიხსნება, რომ საბჭოთა რუსეთის წარმოების საერთო განვითარების მიუხედავად უძუშვევართა დიდი რიცხვის რაიონები არ აკლია. მოსკოვის იგივე „ეკონომიჩესკაია გაზეტა“ დარცხვენითად გვაუწყებს, რომ „ზოგიერთ ადგილებში მოსახლეობის მოზრდილი მუშახელის საკმაო რიცხვი სამუშაო პროცესში აყვანილი არ არის-ო, რითაც ის საიდუმლოებაც გაცემულია, რომ დიდ ქალაქებში, როგორც არის მოსკოვი, ოდესა და ლენინგრადი 6-8 პროცენტი, ლიტვის რაიონებში, მალდავის რესპუბლიკაში, დასავლეთ რუსეთში და უკრაინაში მუშახელის 10-12 პროცენტი უძუშვევრები არიან. ამ მიზეზის გამო მოსკოვში და ლენინგრადში საცხოვრებლად გადასვლა აკრძალულია, მაგრამ მიუხედავად ამისა მოსკოვში, მაგალითად, რომელიც თავის ბუნების, პროდუქციის, მომარაგების და მალაზიების მიხედვით 8 მილიონ მცხოვრებს არ უნდა აღემატებოდეს, ყველამ იცის, რომ 2 მილიონი არა ლეგალურად ცხოვრობს.

მოსკოვის ეკონომიკური თეორეტიკოსებს სხვა მოვლენებთან სჭირდებათ ბრძოლა, მათი გეგმის განხორციელების სურვილებს წინ რომ ელობებიან. საბჭოთა აღზრდის სისტემა, რომელიც ნაციონალწარმოების საჭიროე-

ბის ახალგაზრდებისაგან შეთვებისათვის სკოლებში არსებული „პოლიტიკური წელი“ ზრუნავდა და რომლის დანიშნულებას გაწრთვნილი ძალების წარმოების სხვა და სხვა დარგში განაწილებას შეადგენდა, პედაგოგს თავის მიმზიდველობას. მომზადებულ კადრებს არ უნდათ განწყობებულ ადგილებზე წასვლა, არამედ თავის სურვილებისამებრ მოქმედებენ. მოსკოვის, კიევის და სვერდლოვსკის გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ მხოლოდ 15-20 პროცენტი სკოლის დამთავრებისას, გამზადებული დარგის პროდუქციაში სამუშაოდ მიდის. და არ გვაკვირვებს საბჭოთა კავშირის სამინისტრო საბჭოსთან არსებული ცენტრალური მმართველობის სტატისტიკის განყოფილების ცნობა, რომ დაკარგული სამუშაოდრო ინდუსტრიის სხვა და სხვა განყოფილებაში მხოლოდ ერთ წელში 230 მილიონ სამუშაოდღეს აღწევს.

თავისი კომუნისტური ეკონომიკური პოლიტიკით საბჭოთა რუსეთი დაღუპვის გზაზედ მიეჭანება, და თავის თავს ვერ გადაარჩენს, როგორც ცენტრალისტური ისე დეცენტრალისტური მეთოდებით, თუ მან თავის დევიზად არ გაიხადა „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“. ის უნდა მიეჩვიოს, პირველად პლანს კი არა ადამიანს ჰხედავდეს, ვინაიდან ადამიანი პლანისათვის კი არაა, არამედ პლანი უნდა ემსახურებოდეს ადამიანს. მაგრამ ამით კომუნისში ხომ წინააღმდეგობაში ჩავარდება და თავის თავს უარპყოფა. ბრეჟნევემა იგრძნო ეს წინააღმდეგობა, როცა ის ახალი ეკონომიკური დოქტრინის განცხადებისას ხაზს უსვამდა იმას, რომ ახალი გადაწყვეტილებანი არ ნიშნავს კერძო კაპიტალის აზრების გზაზე შედგომას, არამედ იმ გზაზედ გადაღობებას, რომელზედაც სიარული რუსის ადამიანს სახეში აქვსო. და ის ცდილობს ამას იდეოლოგიური ფორმულების უცვლელი ერდგულებით და სინამდვილეს კი უკანდახევით ბრძოლას აძლევს. მას არ შეუძლია რუსული საზოგადოების დესტალიზაცია და ხელი. მაგრამ მუდმივი, განუწყვეტელი ნაბიჯით მოლოდავს განვითარება საბჭოთა კავშირში და უახლოვდება საზღვარს, სადაც კომუნისტური სახელმწიფო ძალების პრეტენზიები და რუსეთის ხალხის მოთხოვნილება უფლებების, თავისუფლების და ღირებების მინიმუმზე ერთმანეთს დაუპირისპირდება.

კომპრომისები და ყოველდღიური ცდები ფარავენ დღემდე მათ წრეში არსებულ წინააღმდეგობას. წარმოებისა და მეურნეობის რეცენტრალიზაცია ზოგიერთ გათვალისწინებულ საზღვრებში პოზიტიურიც კი აღმოჩნდა, ვინაიდან დეცენტრალისტური ეკონომიკა ცენტრალისტურ პოლიტიკურ რეჟიმში ყოველთვის პრობლემატიურად მოქმედებს, რისი ცხადი მაჩვენებელი სტალინის ეპოქაა.

საბჭოთა რუსეთმა „ნატოს“ დაპირისპირებისათვის თუ

„ვარშავის პაქტი“ (ვარშავის სამხედრო კავშირი) მოაწყო, „ვეროპის საერთო ბაზრის“ კონკურეციისათვის დილინით ადრე შექმნილი „კომეკონის“ს გამოყენება სცადა, რომლის 16 წლის არსებობა ნაციონალური და სუპრანაციონალური მიზანთა შეუორიგებლობაში გამოიხატება. ურთიერთ დახმარებისა და თანამშრომლობის პრინციპებზე აგებული „კომეკონი“ს სტატუტები ხელს არ უშლის საბჭოთა რუსეთს მხოლოდ თავის ინტერესებზე იზრუნოს და ამ მიზნის განხორციელებისათვის ხშირად მუქარას და ძალადობას მიმართავს, თუშცა ბოლო წლების გამოაშკარავებული ცნობებიდან მოსკოვის აღნიშნულ რეალურ ღონისძიებებს ბევრი დაბრკოლება ელოდება წინ.

„კომეკონის“ წევრობაზე ჩინეთი და იუგოსლავია თავიდანვე უარს აცხადებს და დღესაც მხოლოდ მეთვალყურეობის როლში ესწრებიან მის სხდომებს. ბულგარეთის და რუმინიის უკმაყოფილება იზრდება, რომელთა ფუნქციები სოფლის მეურნეობის როლით ამოიწურება და ხედლი მასალით მიწოდებით განისაზღვრება, რის შედეგადაც მათი ინდუსტრია სრულიად განუვითარებელი რჩება. რუმინიის და ბულგარეთის გარდა არც უნგრეთს, პოლონეთს და ჩეხოსლოვაკიას სურთ თავისი მრეწველობის თუნდაც ერთი ნაწილის საბჭოთა ეკონომიკურ სამსხვერპლოზე მიტანა.

რამდენადაც საბჭოთა რუსეთი ეკონომიკური ინტეგრაციის განხორციელებასაკენ ისწრაფვის, იმდენად უფრო აშკარავდება მისი ნაციონალური, ეგოისტური ინტერესები. „კომეკონი“ სინამდვილეში რუსეთის ეკონომიკური ექსპლოატაციის ახალი ფორმაა. სამრეწველო გეგმის კოორდინაციას და სპეციალურ სამუშაო განაწილებას პრაქტიკაში თვითეული სახელმწიფოს მოთხოვნილება და მათი რეალურ ღონისძიებათა გათვალისწინება კი არ უდევს საფუძვლად, არამედ საბჭოთა რუსეთის კოლონიალური კერძო ინტერესები და აქ იწყება შეგნებანი, რომელთაც ბოლოს და ბოლოს კარგი არაფერი მოჰყვება.

სატელიტების საერთო აზრია, რომ მათი ცხოვრების პირობების გაუარეება შედეგი არის საბჭოთა რუსეთის წარცვისა, მათი საქონელი რუსეთს შეაქვს საერთო ბაზარზე დაწესებული ფასების ქვევით, მაშინ როცა საბჭოთა ექსპორტისათვის უმაღლეს ფასებს მოითხოვენ. რასაკვირველია, მარტო ეს არ არის მიზეზი სატელიტების კომუნისტურ სახელმწიფოებში არსებული მუდმივი ეკონომიკური კრიზისისა, არამედ ამ ქაოსის მთავარი მიზეზი უნდა ვეძიოთ თვით მათ კომუნისტურ ეკონომიკურ სისტემაში, რომლის საუკეთესო მაგალითი არის იუგოსლავია, რომელმაც 15 წელზე მეტია. რაც თავი გაინთავისუფლა საბჭოთა რუსეთის მყვლეფავ ეკონომიკური პოლიტიკიდან და მიუხედავად დასაფლეთის დიდი

ფინანსური დახმარებისა, მისი ეკონომიური ცხოვრება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ოდესღაც მდიდარ აგარულ რუმინიას საკუთარი მოახლეობის გამოკვებაც აღარ შეუძლია დღეს, მისი თითქოს ინდუსტრიალური განვითარება ხომ მხოლოდ ფანტაზიაში არსებობს და გიგანტიური ფოლადის ქარხანა პოლესტიში, ისე როგორც კრემკივოცის კომბინატი სოფიას ახლოს, რომელსაც საკუთარი მცხოვრებლები „ხლღგარეთის სამარეს“ უწოდებენ, მხოლოდ ზღაპარია.

რუსეთის მთელი სატელიტები, ზოგნი მალულად და ზოგნი კი აშკარად, თავის გადარჩენას ნაციონალურ კომუნისტურ მეურნეობაში ეძებენ, რითაც მათ იმედი აქვთ ნაციონალური პოტენციის შენარჩუნების, მაგრამ აქაც იუგოსლავიის ცუდა კომუნისმის ვარიაციებით საკუთარ ფეხზე დადგომის საკმარის არგუმენტაციას იძლევა თვით ეკონომიკური სისტემის უვარგისობა. დისციპლინური ღონისძიებანი, როგორც ეს სტალინის დროს იყო, ვეღარ აწესრიგებენ აღმოსავლეთი ევროპის შორილებას რუსეთისადმი და მიმა „ურთიერთი დახმარების და სოციალისტური შრომის განაწილება“ სატელიტებში გამოცალი ეკონომიური კრიზისი შექმნა, დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის სურვილი დაბადა, რამაც მოსკოვისა და ბეკინის შორის კონფლიქტია დასაწყისნივე თავი იჩინა დასავლეთ მეზობლებთან ეკონომიკური კონტაქტების დაჭერის სახით.

უადგილობის გამო, ლენინ-სტალინიდან მოყოლებული დღემდე, საბჭოთა რუსეთის ეკონომიკური ცხოვრებაში მომხდარ ხშირ ცდებს ერთ წერილში თვითთულად ვერ განვიხილავდით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მოსკოვის მთავრობა ცენტრალური პლანის პრინციპს მაგრად იცავს და რეცენტრალიზაციის მიზნით ზომებსაც იღებს თუ რომელიმე კომპეტენტური ორგანო „ლოკალიზმის“ ტენდენციებში ვარდება და განსაკუთრებით, თუ ეს საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებს ეხება, და ამავე მეთოდებს ხმარობს სატელიტების მამართაც, რაც, როგორც დავინახეთ, ხშირი მარცხით თავდება.

შეუძლიათ კრემლის ახალ ბატონებს საბჭოთა კავშირში გაშვებული პირობების მნიშვნელოვანი შეცვლა? თანამედროვე ხელისუფლების „ტექნოლოგიურ“ ღონისძიებათა მიუხედავად, კიდევ ბევრი წელი გაივლის, სანამ მთავარი პრობლემა, კომუნისტური წარმოების მთლიანი უვარგისობა, კომუნისტებიანაგან აღიარებული იქნება.

არა-კომუნისტური პარტიის მიერ წარმოების აგარულ და ინდუსტრიალურ ნაწილებად დაყოფამ გამოიწვია უმთავრესად მეურნეობის კრიზისი არა მძიმე ინდუსტრიის პრივილეგია არის მიზეზი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის კატასტროფისა, არამედ სოფლია მეურნეობის ყალბმა სისტემამ ჩააგდო ეს ქვეყანა გამოუვალ ეკონომიკურ ჩიხში, რომლიდანაც ის ეკონო-

მიკური პოლიტიკის სისტემის ძირეული ტკივილებს გასრუნე თავს ვერ დააღწევს. აქ რომ ობიექტური ფაქტორები მეტ როლს თამაშობენ, ვიდრე მაგალითად ხრუშჩევის შეცდომები. ეს იქიდან ჩანს, რომ ბრეჟნევი-კოსიგინის ხელში ჩინეთისადმი დამოკიდებულება კიდევ უფრო გაუარესდა.

ატეხილმა განგაშმა მარცვლელობის მოსავლის 1966 წლის რეკორდზე, რამდენადაც ეს დასაჯერებელია, შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. აგარული პოლიტიკა არც ისე ნათელი და მიზანშეწონილია, როგორც ანას კრემლის ბატონები გვიცხადებენ. და დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ 1966 წლის მოსავლის რეკორდი საბჭოთა რუსეთის აგარული კრიზისის ბოლოდ მივიჩნიოთ. ის სხვადასხვა სახით კიდევ დიდხანს მუდმივ მდგომარეობაში დარჩება.

შინაური და გარეშე პრობლემების წარჩინებულად ნოვგარებისათვის საბჭოთა კავშირი უნდა გამოემშვიდობოს, კომუნისმის სახელმძღვანელო პრინციპებს, რაც არც ისე ადვილი საქმეა, ვინაიდან აქ მნიშვნელოვანი რეფორმების მთელი კომპლექსია საჭირო, რისთვისაც სახელმწიფო აპარატის მომსახურეთა შორის, ისე თვით ჯართო მასსაში, განსაკუთრებით რუსეთში, ამის სურვილი არ არსებობს.

ინტელექტუალური ხელმძღვანელობაც ნაკლებია; სამა თუ ოთხმა „კულტურულმა რევოლუციამ“ 50 წლის განმავლობაში დაბადა საჭირო კადრების და მოაზროვნე ნაწილის გარდუვალი სიღარიბე და უმწეობა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

**დ. ვაშაძე**

სექტემბერი, 1967 წ. იტყვოე, გერმანია.

**დამატება.** რა ცვლილება მოხდა (ან არ მოხდა) ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში? შეიცვალა რაზე მიაწვდევ?, და პასუხად საბჭოთა კავშირის მამამთავრის და ფუძემდებლის ლენინის სიტყვებს ვიმოწმებ:

„თუ გლახობა უწინ მონები იყვნენ მემამულეების, დღეს მთელი რუსი ხალხი მოხელეებისაგან დამონებულა. თუ ბატონყმობის დროს გლახობა მოქალაქეობრივ თავისუფლებას მოკლებული იყო, დღეს მთელი რუსეთის ხალხს პოლიტიკური თავისუფლება აქვს წართმეული.“—1903 წელში ნათქვამი ამ სიტყვებით კომუნისტური მოძრაობის ბელადი ცარიზმის ლიბერალურ რეფორმებს დასცინოდა, მაგრამ მიაი ეს სიტყვები; საბჭოთა რუსეთის დღევანდელი სოციალისტური რეალიზმის სურათსაც მთელი თავისი სიმძაფრით გვიხატავს.

საბჭოთა რუსეთი, მის ფარგლებში ძალით მოქცეულ რესპუბლიკათა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური სახელმწიფოთა ნაციონალური ხასიათის ყოველგვარ

გამოვლინება, თუგინდ, ეკონომიკურ სფეროშიდაც ხომ ძირშივე ახრჩობს და თავის ნაციონალ - ეკონომიკურ დაბყრობითი პოლიტიკას პროპაგანდისა და გამოდავების სტრატეგიით წილბავს. ამის ფაქტები ხომ უამრავია ჯერ ომამდე და ომის შემდეგ კი ამერიკა-ევროპის დემოკრატიის თვალეზიანათვისაც ადვილად დასანახავი.

რა შეიცვალა ხრუშჩევის გადაგდების შემდეგ? ყველა მთავარი პრობლემა გადუწყვეტილი დარჩა. მწერალთა პროცესებს ბოლო არ უჩანთ. ხდება რეაბილიტაცია სახელმწიფო საიდუმლო პოლიციის, დესტალინიზაცია აქტებს ჩაბარდა და ბრუქენევის ირგვლივ ფართოვდება ძველად ცნობილი პიროვნების კულტი.

ოქტომბრის რევოლუტცია, წმინდა რუსული მოვლენა, ესეთ ფორმას სოციალისტურ დემოკრატიისას მაინც მიიღებდა, რომელიც მუშათა კლასის მდგომარეობას საზოგადოებაში განამტკიცებდა.

პროფესორ ლიბერმანის თეორიამ ქარხანა-ფაბრიკების რენტაბილიტეტობაზე გადასვლით, როგორც პროდუქტიაში იანე მოგებაში, გამოაშკარავა რა პარტიისა და მეურნეობაში ბიუროკრატიის ზედმეტბორცობა, მიმართა საზოგადოების ყურადღება იქითკენ, რომ ვერც ერთი ინდუსტრიული საზოგადოება ვერ გაუძლებს ამდენი პარაზიტების ხანგრძლივად შენახვას. 250 სტუდენტის პროცესზე, გამოძიებლის შეკითხვაზე არალეგალურ ორგანიზაციების მიზნების შესახებ ერთერთი სტუდენტი მკაცრად და ხმამაღლა უპასუხებს: „პირველი რაც უნდა მოხდეს, თქვენ ყველას მუშაობაში ჩავაბამთ“.

ოქტომბრის რევოლუტციის დღესასწაულის მონაწილეების წინა რიგებში ზოგიერთებს რომ მაინც საკადრობი ფუნსაქცილები ჰქონოდათ. 800. 000 წყვილი საბჭოთა რუსეთმა დასავლეთ ევროპაში შეისყიდა.

მეტი ვიდრე ერთი მესამედი სურსათ - საწვავისა თვალუწვდენელი სახელმწიფოს ბაზარზე გამოაქვს კერძო მონაკვეთებს და კოლხოზის გლეხი ოქტომბრის მიერ კერძო საკუთრებად დაპირებული მიწების გასახელმწიფოებას დღესაც შურის ძიების მიზნით მოდუნებული მუშაობით უპასუხებს. მაშინ, როცა ინდუსტრიული პროდუქტები 1913 - 1965 წლამდე 61 - ჯერ გაიზარდა, სოფლის მეურნეობის პროდუქტია მხოლოდ 2,5 პროცენტით ცარისტულისას აღემატება.

საბჭოების მცხოვრებლების ორი მესამედი აგრარულ სფეროში თუ მუშაობს, ამერიკა ერთი მეხუთედით თავის მცხოვრებლებისა 60 პროცენტზე მეტ სურსათ - საწვავს ამზადება, ვიდრე საბჭოები. მუშებს, გლეხობას და მოსამსახურეებს ხუთი სამუშაო დღეზე და ორ დასვენების - დღიან კვირაზე გადაყვანა ოქტომბრის 50 წლის თავზე რომ დაჰპირდნენ და ზოგიერთ ადგილზე

კიდევაც შემოიღეს, იქვე დაწესეს ლენინის ბაზართა თავისუფლების ბაზაზე, მაგრამ თუ ბიჭი ხარ და მცინარე სახით ნუ გამოცხადდები.

მუშა ენერჯის უმაგალითო ექსპლოატაცია და უზნეო გამოყენება გამოიხატება კოლხოზ - სოვხოზ გლეხთა სოციალისტურ შეჯიბრებაში, რის მსგავსსაც ბურჟუაზიულ ქვეყნების ქარხნებშიდაც ადვილი ჰქონდა „აკორდის“ სახით, მაგრამ რაც დიდი ხანია აკრძალულია, როგორც უზნეო და უმართებულო საქციელი და არა-ადამიანური მოპყრობა ცოცხალი არსებისადმი.

მიშელ ტატუ თავის წიგნში („სსრკ. ლოზანა, 1966“) ნოვოთხრობს, თუ როგორ დარაჯობენ საბჭოთა რუსეთში მატარებლის იმ ვაგონის „კუბებს“, რომლებშიდაც უცხოელი ტურისტები და ჟურნალისტები სხედან. რათა იქ მათხოვრები არ შეიპარონ, მაგრამ ისინი მაინც უსხლტებიან დარაჯებს ხელიდან და უცხოელებს ხელს უშვერენ მოწყალებისათვის.

საბჭოთა პრესის ცნობების კითხვა განსაკუთრებით სამეურნეო დარგში საშუალო ინტელიგენტს დიდი ხანია ძობებზრდა და რატომ?

ახალგაზრდა პოეტი ვოხნესენსკის ძღველვარე და სასოწარკვეთილებით სავსე წერილი, 1967 წლის გაზაფხულის, უნდა წაიკითხოს კაცმა, რათა დაინახოს უკმალოფილო გრძნობების პროტესტის განუწყვეტელი ჯაჭვი საბჭოთა კავშირში. მას ოფიციალურად ამერიკაში გელოვნების ფესტივალზე დასწრების უფლება მისცეს, მაგრამ არაოფიციალურად ყველაფერში ხელს უშლიდნენ. პოეტი მოსთქვამს:

„ალტანელია ის სიცრუე და უპრინციპობა ყოველდღიურად აქ რომ თავს იჩენს. ეს ეწინააღმდეგება ადამიანის ელემენტარულ ღირსებას. მე ცოცხალი ადამიანი ვარ, ხორცისა და სისხლისაგან და არა რომელიმე მათონენტი, რომელსაც უცხო სურვილისამებრ აცეკვავებენ. გარშემო არაფერია გარდა სიცრუისა, სიცრუე, სიცრუე და კიდევ სიცრუე“-ო.

ეს ხომ სიკვდილის განაჩენია იმ სისტემისა, რომელშიდაც მგოსანი ცხოვრობს!

ეკონომიკურმა რეფორმამ, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდნენ, სურათი ოდნავადაც ვერ შეცვალა შემოსავლის გაზრდისა და მოკების თვალაზრისით მუშაობის ახალ სისტემაზე გადაყვანილი ზოგიერთი სახალხო მეურნეობის წამოწყებანი უშედეგოდ დაარულდნენ და „სოციალიზმის“ და „კომუნისმის“ პიონერები წათვან უარყოფილი და შეგინებული კაპიტალისტური მსოფლიოს ბაზრის მეურნეობის მეთოდების გზაზე ინერციით შეუმჩნევლად დგებიან.



მოსე იმნაიშვილი

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობა

ბევრი იწერება დღეს კომუნისტური ქვეყნების და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაზე და ყველა იმ აზრისაა, რომ სოფლის მეურნეობა დიდი ხანია განიცდის მძიმე კრიზისს და რომ ამ კრიზისსაგან თავის დასაღწევად საბჭოთა მთავრობა იძულებული იქნება ძირბუდიანად შეცვალოს თავისი ანტიხალსტური სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა.

როგორ და რატომ ჩავარდა საბჭოთა სოფლის მეურნეობა ამ მძიმე მდგომარეობაში, რამ გამოიწვია მისი კრიზისი და რა შეიძლება ითქვას მისი მომავლის პერსპექტივაზე? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭირო იქნება მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

რუსი გლეხობისათვის ბოლშევიკური აჯანყება იმით იყო საინტერესო, რომ ბოლშევიკები მას მიწას პირდებოდნენ. მართლაც, გლეხობამ მიწა მიიღო, მაგრამ შემდეგ მან უარი თქვა თავისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვაზე, ვინაიდან ამ პროდუქტებისათვის ია იღებდა მხოლოდ ფასდაკარგულ ქაღალდის ფულს, არა ნამდვილ ეკვივალენტს ინდუსტრიული საქონლის სახით. ამას ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ უპასუხა რეპრესიებით, პროდუქტების ჩამორთმევით, რეკვიზიციებით, რაბაც გლეხები შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწყევდნენ. ეს იყო სამხედრო კომუნისმის პერიოდი. ამ პერიოდს სამოქალაქო ომთან ერთად სავსებით დასცა სახალხო მეურნეობა, რამაც ლენინი აიძულა 1921 წელს „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“, ანუ „ნეპ“ გამოეცხადებინა, რაც სამხედრო კომუნისმის ლიკვიდაციას და კერძო ინიციატივის აღიარებას ნიშნავდა.

„ნეპის“ პერიოდში მოლონიერდა მთელი მეურნეობა. სამრეწველო წარმოებამ რაღაც 5 წელიწადში მიიღწია 1913 წლის დონეს. დიდი წარმატებები ჰქონდა სოფლის მეურნეობას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მთავრესად მარცვლეულის ექსპორტი ერთობ გაიზარდა, მოსახლეობა იყო მძღარი და შეიძლება ითქვას, რომ „ნეპის“ პერიოდი შედარებით კეთილდღეობის პერიოდი იყო.

მაგრამ ამ წარმოების გაძლიერებასთან ერთად გაიზარდა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებები. მრეწველობას აკლდა ტექნიკა, ნედლი მასალა და ნახევარფაბრიკატები, რაც რუსეთს წინათ ომამდე უცხოეთიდან შემოჰქონდა. ამავე დროს მოლონიერებული გლეხობის მოთხოვნილებები და ინტერესი ინდუსტრიული ნაწარმოებისადმი სავრძნობლად გაიზარდა და დაკმაყოფილებას ითხოვდა. ამ ვითარებიდან და განსაკუთრებით რუსეთის ინდუსტრიის საწარმოო და ტექნიკური ჩამორ-

ჩენილობიდან გამომდინარეობდა იძულება და აუცილებლობა ინდუსტრიალიზაციისა, რომელიც ბოლშევიკური სამეურნეო პოლიტიკის საფუძველი გახდა.

მაგრამ ინდუსტრიის შექმნისა და განვითარებისათვის საჭირო იყო კაპიტალი და მუშახელი. მუშახელი მაშინ იაფი, მუქთი მუშახელი რუსეთში ბევრი იყო. მასობრივი იძულებითი შრომა, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს არაფერი უღირდა და რომელმაც შემდეგ აუარებელი ღირებულება შექმნა, ნორმალური მოვლენა იყო იქ.

უკანასკნელ დროს შრომის იძულებითი ხასიათი შენედა, საკონცენტრაციო ბანაკები თითქოს გაქრნენ, კოლმეურნეობებში კი შრომის პირობები ცოტაოდნად გაუმჯობესდა; მაგრამ, თუ მასობრივი მუშახელი ბოლშევიკებისათვის თავსატეხი პრობლემა აღარ იყო, სამაგიეროდ კაპიტალი მათ არ გააჩნდათ.

ჩვეულებრივად სამრეწველო კაპიტალის დაგროვება მეურნეობაში არის ნორმალური პროცესი და ხდება თვით ინდუსტრიული აკუმულაციის პირობებში. კაპიტალი რამდენადმე იქმნებოდა აგრეთვე „ნეპის“ პერიოდშიც, ინდუსტრიულად სუსტ ქვეყანაში, რომლისათვის უცხოეთის კაპიტალის ბაზარი დახურულია, როგორც ამა ადგილი ჰქონდა ბოლშევიკებისათვის, ფულის (კაპიტალის) დაგროვება შესაძლებელია ხალხის ხარჯზე, მომხმარებელთა ხარჯზე, ხალხის მოხმარების და კვების შეკვეცის გზით. ბოლშევიკებმაც ეს გზა არჩიეს. ამ სისტემის პოლიტიკური ფორმაა აბსოლუტური ხელისუფლება. აბსოლუტიზმმა განდევნა გლეხობა მისი მიწაწყალიდან ინგლისში 16/17 საუკუნეში; გერმანიაში 17/18 საუკუნეში და ამით ჩაუყარა იქ საფუძველი კაპიტალიზმის განვითარებას. ასევე მოიქცა ბოლშევიკური დიქტატურაც საბჭოეთის სახელმწიფო კაპიტალიზმის განვითარებისათვის.

ინდუსტრიალიზაცია მოითხოვდა აუარებელ ფულს. გლეხობა, სოფლის მეურნეობა იყო მაშინდელ პირობებში ერთადერთი წყარო, რომელსაც შეეძლო მიეცა სახელმწიფოსათვის საშუალებანი ინდუსტრიალიზაციისათვის. მაგრამ ბოლშევიკური ხელისუფლება გათავხედდა და „ნეპის“ პერიოდში გაძლიერებულ გლეხობას დიდი გადასახადები გააწერა. 1928 წლისათვის, ე. ი. კოლექტივიზაციის დაწყების წინ პრარქტიკაში შემოღებული სისტემა მარცვლეულის დამზადებისა გლეხთა პერსონალური ვალდებულებების გზით, რაც სინამდვილეში ამ გლეხების ექსპროპრიაციას ნიშნავდა, არ გამოდგა, რადგან გლეხობამ უარი თქვა მარცვლეულის ჩაბარებაზე, რის შედეგად მარცვლეულის ექსპორტი სავსებით შეწყდა, ამით საბჭოთა სახელმწიფოს შემოსავალიც. ამავე დროს კი ხელისუფლებას უნდა ეზრუნა ქალაქების მოსახლეობის, პირველ რიგში პარტიული და სამხედრო ძალის პურიით მომარაგებისათვის.

შეიქმნა პურის (მარცვლეულია) მწვავე კრიზისი, რომელიც ბოლშევიკურ გეგმებს და თვით ბოლშევიკურ ხელისუფლებას განადგურებით ემუქრებოდა. გლეხობის მტრული განწყობილების გამო სტალინი ამ კრიზისის წელიწადში (1928) ამბობდა:

„პური (მარცვლეული) არ არის უბრალო საქონელი. პური არ არის ბამბა, რომელიც არ იჭმება და რომელსაც ყველა არ იყიდის. ბამბისაგან განსხვავებით, პური ჩვენს პირობებში ისეთი საქონელია, რომელსაც ყველა ყიდულობს და ურომლისოდ არსებობა შეუძლებელია... კულაკმა იცის, რომ პური არის ვალუტათა ვალუტა. ზედ-ნეტი პური კულაკის ხელში წარმოადგენს საშუალებას კულაკობის ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერებისათვის. კულაკისაგან ამ ზედმეტი პურის ჩამორთმევით ჩვენ არა მარტო ვაადვილებთ ქალაქთა და წითელი არმიის მომარაგებას, არამედ აგრეთვე ვაცლით კულაკობას მისი ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერების საფუძველს“. (უნდა აღინიშნოს, რომ კულაკი წინათ ეწოდებოდა მდიდარ გლეხს, რომელიც დაჭირავებულ მუშებს ამუშავებდა; ბოლშევიკებისათვის კი კულაკია ყოველი გლეხი, რომელსაც სურს თავისი შრომის ნაყოფი თვითონვე მოიმკას).

სტალინმა მისცა სიგნალი, რის შემდეგ დაიწყო რეპრესიები, ხვრეტა, საკონცენტრაციო ბანაკები; მრავალი მილიონი გლეხი და არაგლეხი გახდა საშინელი პოლიტიკის მსხვერპლი. 1932 წლის შიმშილი, მისი ექვსი მილიონი დაღუპულით, იყო ნაძალადევი კოლექტივიზაციის ერთ-ერთი რგოლი.

ბოლშევიკების მიზანი იყო სოფლის მშრომელთა ნაწარმოების მითვისება და „კლასობრივი მტრის“ განადგურება.

„ნების“ პერიოდმა ბოლშევიკური ხელისუფლება გლეხობისაგან დამოუკიდებელი გახადა და ნორმალური განვითარების პირობებში ეს მდგომარეობა ასევე დარჩებოდა, მაგრამ ბოლშევიკებმა ერთი დაკვირვებით შეაბრუნეს ეს მდგომარეობა: ნაცვლად გლეხების პერსონალური დაჯალდებულებისა პურის ჩაბარების საქმეში, მასასა-დამე, ნაცვლად თვითელი გლეხის პირადი პასუხისმგებლობისა, ბოლშევიკებმა შემოიღეს გლეხობის კოლექტიური დაჯალდებულება, კოლექტიური პასუხისმგებლობა, მსგავსად იმისა, რაც არსებობდა ველიკოროსების ძველ სამთავრობო თემებში („ობშინობა“). შემდეგ, მე-17 საუკუნეში ეს სამფლობელო „ობშინა“ გადაიქცა ფისკალურ „ობშინად“ („მირ“-ად), რომელიც შემდეგ შნიშენილოვან როლს თამაშობდა ველიკოროსული რუსეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პირველი დიდი ომის წინ რუსეთმა თავი დააღწია საზოგადოებრივი ცხოვრების ამ დრომოქმულ და დამპალ ფორმას, მაგრამ სულ რამდენიმე წლის შემდეგ ბოლ-

შევიკურმა ხელისუფლებამ ისევ მოახვია მას ეს ფორმა თავს კოლექტივის (კოლმეურნეობის) სახით, რომლითა პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე სოფლის ნაწარმოების ჩაბარების საქმეში არაფრით განსხვავდება იველი „მირ“-ის „კრუგოვია პორუკასაგან“.

კოლექტივიზაციის ჩატარებით ბოლშევიკურმა სახელმწიფომ უზრუნველყო თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილება სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებით, რისთვისაც მან მწარმოებელი, გლეხი, სახელმწიფო ორგანოებს დამორჩილებულ კოლექტივს მიაკრა და ორივე, კოლექტივი და გლეხი, თავისი ბატონობის ქვეშ მოაქცია. გარდა ამისა, კოლექტივიზაციამ გამოიწვია მრავალი და იაფი მუშახელი, შედიგი, წინააწარ ნაყოფისხმევი. ყვილადერი ეს მან მოახმარა ინდუსტრიალიზაციას და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას. ასე შეიქმნა ნაძალადევი კოლმეურნეობა, თუმცა მას ბოლშევიკური პარტიის მშინდელი პროგრამა როგორც ნებაყოფლობითს ითვალისწინებდა. 1919 წლის მერვე ყრილობაზე მიღებულ პროგრამაში ნათქვამია, რომ „რუსეთის კომუნისტური პარტია ცხოვრებაში ატარებს ზომებს, რომლებიც მიმართულია მსხვილი სოციალისტური მიწადმოქმედების ორგანიზაციისაკენ“, როგორც, მაგ., ხელის შეწყობა სასოფლო-სამეურნეო კომუნებისათვის, როგორც მიწათმოქმედთა სრულებით ნებაყოფლობითი კავშირებისათვის, და სახელმწიფოს მხრით ყოველგვარად ხელის შეწყობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამომუშავების დარგში“. ამავდროს, „უწევს რა ანგარიშს იმას, რომ წვრილი გლეხური მეურნეობა კიდევ დიდ ხანს იარაღებს, რუსეთის კომუნისტური პარტია მისწრაფის რიგი ზომების გატარებისაკენ, რომლებიც მიმართულია გლეხური მეურნეობის ნაყოფიერების გადიდებისაკენ“.

ამრიგად, ძველ პროგრამაში ლაპარაკია მხოლოდ ნებაყოფლობით კომუნასა და კოოპერაციაზე, ნაძალადევი კოლექტივიზაცია კი, როგორც ეს შემდეგ გატარებული იქნა, ახრათაც არავის მოსვლია. 1928 წლამდე საბჭოთა ხელისუფლებას არ გამოუჩენია დიდი ინტერესი კოლექტივისადმი და მისი ბედი სავსებით ბუნებრივ მსვლილობას მიანდო, რაც სავსებით ეთანხმებოდა ბოლშევიკების შეხედულებას კოლმეურნეობაზე, რომელშიც ისინი სოციალიზმის შესაფერ ფორმას არ ხედავდნენ, ასეთ ფორმად მათ მიაჩნდათ ბიუროკრატიული საბჭოთა მეურნეობა.

ჩვენ ცოტა დაწვრილებით შევხვით კოლმეურნეობის წარმოშობას, ვინაიდან ის საბჭოთა ეკონომიკისათვის, წითელი საბჭოთა რეჟიმისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელია და საკონცენტრაციო ბანაკებთან ერთად აშკარა იძულებითი შრომის სფეროა. მაგრამ, მაშინ რო-

დესაც საკონცენტრაციო ბანაკები სტალინის შემდეგ თიქოს გაქრნენ, კოლმეურნე ახლაც განაგრძობს მძიმე პირობებში შრომას, რომლის ნაყოფს წინანდებურად კომუნისტური სახელმწიფო ითვისებს.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების და სათანადო კანონმდებლობის მიხედვით, კოლმეურნეობა თავისი ნატურალური შემოსავლიდან ვალდებულია უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარება სახელმწიფოსათვის, დააბრუნოს „სათესლე სესხები“, მოახდინოს „მტს-ის მუშაობის ნატურით გადახდა“, შესრულოს ვალდებულებანი „კონტრაქტაციების და შესყიდვების“ მხრით, გადაიხადოს სახელმწიფო გადასახადები და დაზღვევა, დაუბრუნოს ფულადი სესხები სახელმწიფოს, უზრუნველყოს საკუთარი საზოგადოებრივი მეურნეობის ინტერესები საწარმოო და საზოგადოებრივი ფონდების აღდგენით და დაცვით. და, როცა ეს წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებანი შესრულებული არიან, მხოლოდ მაშინ შეუძლია კოლმეურნეობას სახელმწიფოს დაკმაყოფილების და საზოგადოებრივი ფონდების შემდეგ დარჩენილი, როგორც ნატურალური, ისე ფულადი შემოსავალი თავისი წევრთა შორის გაანაწილოს. მაგრამ უსასაწილებელი იმდენი რჩება, რომ კოლმეურნეს არ აქვს ფარანტია, რომ მისი შრომა გადახდილი იქნება. ასე იყო მთელი ხნის განმავლობაში, რაც საკოლმეურნეო სისტემა არსებობს. მაგრამ ცეკას და საბჭოთა მთავრობის 1966 წლის მაისის დადგინებებით, კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილების დროს პირველ რიგში გამოყოფილი უნდა იქნას საშუალებანი კოლმეურნეთა შრომის გადახდისათვის“ და იმავე წლის 1 ივლისიდან შემოღებულ იქნა კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული გადახდა საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა სათანადო კატეგორიების სატარიფო განაკვეთის საფუძველზე.

სოფლის მეურნეობა კომუნისტური სახელმწიფოს სიმდიდრის მთავარი წყაროა. ეს სახელმწიფო აძვალტყავებს კოლმეურნეებს, თვითონ კი მდიდრდება. გლეხებისაგან მუქთად ჩამორთმეულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს ის თვით ამ გლეხებზე და მთელ მოსახლეობაზე დიდი გამოჩენით ყიდის და აუარებელ ფულს აკეთებს.

კომუნისტური სახელმწიფო წარმოების პატრონია, იგი ამავე დროს ვაჭარიცაა, მთელი საბჭოთა კავშირი ერთი დუქანია და ამ დუქანზეა მიწერილი მთელი საბჭოთა ხალხი, ვინაიდან სხვა დუქანი იქ არ არსებობს. სახელმწიფო აიძულებს ამ მოსახლეობას იყიდოს მის დუქანში; უნდა იყიდოს კი ყველაფერი — ნემსიდან და ხახვიდან ავტომობილამდე. ამის მსგავსი სისტემა შემოღებული იყო წინათ, ძველ კაპიტალისტურ ინგლისში. ის მდგომარეობდა იმაში, რომ ფაბრიკანტები დუქანებს ხსნიდნენ

და მუშებს აიძულებდნენ ამ დუქანებში ეყიდათ საქონელი. კაპიტალისტებს ამით ამ მუშებისაგან ორმაგი გამოარჩენა ჰქონდათ: ერთი იმით, რომ ისინი მუშებს არა მარტო ხელფასს აძლევდნენ და, მეორე, მუშების მიერ ნათ დუქანებში ნაყიდ საქონელზე იგებდნენ. ექსპლუატაცია იყო კლასიკური.

მარქსი (თავის „კაპიტალში“ ტ. 1 ) და ენგელსი („ანტიდუორნიზმი“, ნაწილი მე-3, თავი მე-4) ამ სისტემას უწოდებდნენ „ტრუქსისტემ“-ს და სასტიკად ჰკიცხავდნენ მას. რასაკვირველია, გასაკიცხავი იყო არა ის, რომ კაპიტალისტები დუქანებს აღებდნენ, არამედ ის, რომ ისინი მშრომელებს ორმაგად ტყავს აძრობდნენ. აი, ამ ტყავის მძრობელის როლს ასრულებს ახლა და დიდი ხანია კომუნისტური სახელმწიფო, რომელმაც ორი წლის წინათ ამ თავისი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე გადაიხადა. ორმაგი ტყავისძრობაა, როცა სახელმწიფო კოლმეურნეს ერთი ტონა ხორბლის მხოცვისასათვის მხოლოდ 83 კაპიკს უხდის (იხ. „პრობლ. მირა ი სოც.“, 1965, ნოემბრის 5, გვ. 35), მანასადამე, კილოგრამზე 0,083 კაპიკს აძლევს, ე. ი. ხორბალი სახელმწიფოს მუქთად მიჰქვს, რაც კოლმეურნის ექსპროპრიაციას ხიშნავს. ამავე დროს იგივე სახელმწიფო 1 კილოგრამ ხორბლის პურს 27 კაპიკად ყიდის. აღსანიშნავია, რომ პურის მოხმარება საბჭოთა მოსახლეობის ერთ სულზე, მაგ., 1964 წელში 159 კილოგრამს უდრიდა, მოსახლეობა კი 226,4 მილ. სულს შეადგენდა. ეს რაც შეეხება მხოლოდ ხორბალს, მაგრამ იგივე სურათია სხვა პროდუქტების შემთხვევაშიც, ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მიმართ. და, თუ ამას მივუმატებთ კვების და მსუბუქი და საერთოდ მთელი მრეწველობის პროდუქციას, ფოსტას, რკინიგზებს, მომსახურობის დარგებს, ვაჭრობას, მაშინ, ამგვარი მონაცემების საფუძველზე არ არის ძნელი იმის წარმოდგენა, თუ რა აუარებელი სიმდიდრე გროვდება საბჭოთა სახელმწიფოს ხელში. კომუნისტური სახელმწიფო მართლა გამდიდრდა ხალხის ხარჯზე. სად მისი ამდენი სიმდიდრე?

საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობაში გატარებული სრული მილიტარიზაცია და მას აქვს განსაკუთრებული მიზანდასახულება: ის ამზადებს საშიშ სათამაშოებს, რითაც მოსკოვი ცეცხლს ეთამაშება. თვითონ სქელ ჯავშანში ზის და სხვებსაც აიარალებს. მილიარდობით დოლარი დაუჯდა მას თავის დროზე ჩინეთი, ინდონეზია, კუბა, არაბული და სხვა ქვეყნები. მხოლოდ ინდონეზია, კუბა, არაბული და სხვა ქვეყნები და უკიდურესად დღესაც მხოლოდ ეგვიპტემ მიიღო 1967 წლამდე მოსკოვისაგან დაახლოებით ოთხი მილიარდი დოლარის აუარებელი იარაღი და ფულადი დახმარება.

მთელი ეს იარაღი ერთი დაკრით გაანადგურა ისრაელმა 1967 წლის ომში. ამის შემდეგ თვითონ მოსკოვ-

მა მიაწოდა ეგვიპტეს სამაგიერო შეიარაღება და სულ რაღაც სამი კვირის განმავლობაში თითქმის აღუდგინა მას დანაკლისი. შეცდება, თუ ვინმე იფიქრებს, რომ საბჭოთა მთავრობა ამ იარაღს ყიდის; სრულიადაც არა! ეს იარაღი პოლიტიკური ანგარიშით საჩუქრად ეძლევა მოსკოვისაგან ამ ქვეყნებს.

ყოველ შიმთხვევაში ერთი კაპიციც არაგის გადაუხდია. კუბას მოსკოვი აძლევს დღიურად ერთ მილიონ დოლარს; წელიწადში, ამ რიგად, თითქმის ოთხას მილიონ დოლარს.

თვით საბჭოთა კავშირი, როგორც პრესა (გერმანული ვაჭეთი „მიუნხნერ მერკურ“) 1967 წლის აპრილში იტყობინებოდა, შეიარაღებისათვის ხარჯავს წლიურად არა ნაკლებ 50 მილიარდი დოლარისა; ფიქრობენ, რომ ამ ხარჯების მხრით საბჭოთა კავშირი არ ჩამორჩება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მაშინ როდესაც მისი ნაციონალური შემოსავალი შეერთებული შტატების ნახევარსაც არ შეადგენს. ამავე დროს მშრომელი ხალხის ნაოფლარი ხმარდება აუარებელი პარაზიტული ელემენტების შენახვას, როგორცაა მრავალ-მილიონიანი კომუნისტური საკონტროლო აპარატი საბჭოთა მურნეობაში, პოლიტიკური პოლიცია მისი არმიით და სხვა. გარდა ამისა საბჭოთა ხელმძღვანელობას მრავალი სხვა უსარგებლო ხარჯი აქვს, მაგ.: გარდა კოსმოსის ათვისებისა, მრავალი კომპარტიის შენახვა, კომუნისტური პროპაგანდა მსოფლიო მასშტაბით, საბჭოელი კომუნისტების ხელი ურევია ყველგან არეულებებში. ასე ახიანებს საბჭოთა მთავრობა ხალხის დოვლათს, მაშინ როდესაც საბჭოთა ეკონომიკა მუდმივი კრიზისის მდგომარეობიდან ვერ გამოსულა, ამ კრიზისები უმთავრესი წყარო კი საბჭოთა მილიტარიზმი და საბჭოთა სოფლის მეურნეობაა.

საბჭოთა სოფლის მეურნეობა ორგანიზაციულად და ეკონომიურად სამ სხვადასხვა ერთმანეთის საწინააღმდეგო პრინციპზეა აგებული, იქ არსებობს სამი სხვადასხვა ტიპის მეურნეობა: საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და კოლმეურნეთა დახმარე საკარმიდამო მეურნეობები.

საბჭოთა მეურნეობები ეკუთვნიან სახელმწიფოს და იმყოფებიან ბიუროკრატიული აპარატის ხელში. ეს საბჭოთა მეურნეობები კომუნისტებს მიაჩნდათ და მიაჩნიათ სოციალიზმის შესაფერ სამეურნეო ფორმად; ისინი არიან ბევრ რამეში უფრო პრივილეგიური მდგომარეობაში, მაგალითად: იმით, რომ უზრუნველ ყოფილი არიან ტრაქტორებით, ჩვიდმეტი პროცენტით და ენერჯით ორჯერ უკეთესად, ვიდრე კოლმეურნეობები. მიუხედავად ამისა, 1965 წელში საბჭოთა მეურნეობების 50 პროცენტზე მეტი ზარალით მუშაობდა, მაშინ რო-

დესაც ზარალით მომუშავე კოლმეურნეობების რიცხვი მხოლოდ 28 პროცენტს შეადგენდა (იხ. ჟურნალი „ეკონომიკა სელსკ. ხოზ.“, 1967 წომ. 2, გვ. 10-11).

საკოლმეურნეო წესდება უფლებას ანიჭებს კოლმეურნეებს იქონიონ დახმარე საკარმიდამო ნაკვეთები 0,25-დან 0,5 ჰექტარამდე და იყოლიონ ერთი ძროხა, ორი მოზარდით; ერთი ღორი ნამატით, ათი ცხვარი ან თხა, ფრინველი, კურღლეები, ფუტკარი; წმინდა მეცხოველეობის რაიონებში კი ორჯერ მეტიც. კოლმეურნისათვის ამ საკარმიდამო ნაკვეთს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ის ამ თავის კერძო მეურნეობიდან 55 პროცენტით აკმაყოფილებს თავის ოჯახს, 28 პროცენტს მას აძლევს კოლმეურნეობა, 17-ს კი კოლმეურნეობა უფლობს სხვაგან.

კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწა 1964 წელში შეადგენდა მთელი საკოლმეურნეო სათესი მიწის 3,1 პროცენტს. მაგრამ ამ მცირე ფართობზე პირადად დაინტერესებული კოლმეურნე აღწევს გაააოცარ შედეგებს. რომლებიც ნათელყოფენ საკოლმეურნეო სისტემის მთელ უაზრობასა და უკუღმართობას: ამ მცირე მიწაზე იმავე წელში მეურნემ მოიყვანა კარტოფილი, რომელიც მთელი საკავშირო მოსავლის 60 პრ., და ბოსტნეული, რომელიც 39 პროცენტს შეადგენს. აგრეთვე ამ კოლმეურნეთა მეცხოველეობის დარგში შედეგები არა ჩვეულებრივია: მაშინ როდესაც კოლმეურნეთა კერძო საქონლის რაოდენობა 1964 წ. საბჭოთა კავშირის მთელი საქონლის სულადობის 28,8 პრ. შეადგენდა, ხორცია წარმოება საკარმიდამო მეურნეობაში უდრიდა მთელი წარმოების 42 პროცენტს, რძის 42,7-ს და კვერცხის 74 %-ს.

ეს ციფრები იმის მაჩვენებელია, რომ კოლმეურნეთა კერძო მეურნეობას უდავო უპირატესობა აქვს კოლმეურნეობების წინაშე. ეს არის იგივე უპირატესობა, რომელიც კერძო მეურნეობას ისე, როგორც ის დასავლეთში არაებობს, საბჭოთა სოფლის მეურნეობის მიმართ საზოგადოოდ ახასიათებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგ., 1963 წელში სოფლის მეურნეობაში ჩაბმული იყო 4.761 ათასი სული, ე. ი. მშრომელთა მოსახლეობის შვიდი პროცენტი; საბჭოთა კავშირში კი — 36.499 ათასი სული, ე. ი. მშრომელი მოსახლეობის 36 პროცენტი. საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია კი უდრიდა შეერთებული შტატების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მხოლოდ 75 პროცენტს. (იხ. დთი ინფორმაციონ პლიზ ელმანაქ“ 1967 და „ნაროდნოე ხოზიანისტვო სსსრ“, 1966., გვ. 82). შრომის ნაყოფიერება საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაში იყო საშუალოდ ოთხჯერ ნაკლები, ვიდრე შეერთებულ შტატებში (იქვე)

1965 წელში ხორბლით დათესილი ფართობი უდრიდა შეერთებულ შტატებში 19.956 ათას ჰექტარს. საბჭოთა კავშირში — 67.270 ათასს და დასავლეთ გერმანიაში —

1.270 ათას ჰექტარს. ხორბლის მოსავალი კი იმავე წელში შეადგენდა შეერთებულ შტატებში 36.108 ათას ჰექტარს; საბჭოთა კავშირში — 74.200 ათასს და დასავლეთ გერმანიაში — 4.347 ათას ცენტნერს (ერთი ცენტნერი უდრის 100 კილოგრამს). ამის მიხედვით ხორბლის მოსავალი 1 ჰექტარზე 1965 წ. უდრიდა: შეერთ. შტატებში 18,1 ცენტნერს, საბჭოთა კავშირში 10,9-ს, დასავ. გერმანიაში 30,9 ცენტნერს (იხ. სტატისტიკა იარბუხ ფაქტურ ბუნდესრეპუბლიკ დოიჩლანდ, 1966, გვ. 175, 184 და იქვე ინტერნაციონალე ფუბერზიხტენ, გვ. 54)

დასასრულ, აღვნიშნავთ კიდევ, რომ 1913 წელში მეფის რუსეთში მარცვლეულის მოსავალი, საბჭოთა წყაროების მიხედვით, ერთ ჰექტარზე 8,2 ცენტნერს შეადგენდა, 52 წლის შემდეგ კი, 1965 წელში საბჭოთა ხელმძღვანელობის ხელში რუსეთის ფედერაციის ფარგლებში იმავე მარცვლეულის მოსავალი 1 ჰექტარზე 9,5 ცენტნერს უდრიდა (იხ. „ნაროდნოე ხოზიაისტვო სსსრ“ 1966, გვ. 311, 313). შეიძლება ამას პროგრესი ვუწოდოთ? რასაკვირველია, არა.

ამ მონაცემების მიხედვით შეიძლება თამამად ითქვას, რომ საბჭოთა კავშირი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დიდად ჩამორჩენილია, თუმცა საბჭოთა ხელმძღვანელობის ტრახანს ბოლო არ აქვს, რომ საბჭოთა სოფლის მეურნეობა ყველაზე უფრო მექანიზებულია. სინამდვილე კი სხვას ლაპარაკობს: ტრაქტორების რიცხვი, მაგ., საბჭოთა კავშირში 1963 წ. შეადგენდა 1451000 ცალს, შეერთ. შტატებში 4 657 000-ს და დასავლეთ გერმანიაში 1 053 066 ცალს (იხ. სტატისტიკალ აბსტრაქტ ოვ დთი იუნაიტედ სტიტს 1966 და სტატისტიკის იარბუხ დერ ბუნდესრეპუბლიკ, 1966). ყოველ 100 ჰექტარზე საბჭოთა კავშირში მოდიოდა 0,7 ტრაქტორი, შეერთებულ შტატებში — 3,7 და დასავლეთ გერმანიაში — 12,0 ტრაქტორი (1965 წელში). (იხ. სოვიეტ აფერს, ნომერი 4).

ეს საწარმოო და ტექნიკური ჩამორჩენილობა საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო კრიზისების მთავარი მიზეზთაგანია, მათი უმთავრესი მიზეზი კი თვით კოლმეურნეობების არსებობაში მდგომარეობს. კოლექტივიზაცია დასაწყისიდანვე იყო კრიზისის დაუშრეტელი წყარო საბჭოთა ეკონომიკაში. ის იყო ნაძალადევად, გლეხების სურვილის წინააღმდეგ ჩატარებული და ამით პოტენციურად შეიცავდა კრიზისის გამომწვევ ძლიერ ელემენტებს. მეურნეობის ეს სისტემა სავსებით ეწინააღმდეგება მასში ჩამბულ მშორმელთა ინტერესებს. რომლებიც შელახულია იმით, რომ კოლმეურნის შრომის ნაყოფს ეპატრონება სხვა, მისი შრომა კი გადაუხდელი რჩება. კოლმეურნეები გაურბიან შრომას კოლმეურნეობებში. სტალინის ტერორი კიდევ შიშს გვრიდა კოლმეურნეებს და აიძულებდა მათ გეგმის შესრულებას. სტალინის შემ-

დეგ კი კოლმეურნეები გარბიან ქალაქში და სოფლად რჩებიან უმთავრესად ქალები, მოხუცები და ბავშვები.

ხრუშჩოვმა დაგმო სტალინი, მაგრამ მისი პოლიტიკა სოფლის მიმართ ერთგულად განაგრძო. კიდევ მეტი, ხრუშჩოვმა მიზანში ამოიღო კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები, რომლებსაც სტალინი არ ერჩოდა, დაიწყუნათი შეკვეცა და თითქმის მოსპო საკოლმეურნეო ვაჭრობა.

ხრუშჩოვის აზრით, კოლმეურნეები მეტ დროს ანდომებენ თავიანთ დამხმარე მეურნეობებს და ამ ზომებით ის ფიქრობდა, რომ კოლმეურნეები დაუბრუნდებოდნენ საკოლმეურნეო მუშაობას, მაგრამ კოლმეურნეთა უკმაყოფილებამ იმატა, რის შემდეგ მოსავალიც კიდევ უფრო შემცირდა და ხრუშჩოვი იძულებული გახდა მარცვლეული უცხოეთიდან შემოეტანა. ეს იძულება ხრუშჩოვის შემკვიდრებისათვისაც არაებობს.

ახლა მარცვლეულის მოსავლის შემცირებით გაძლიერებული კრიზისის გამო, საბჭოთა ხელმძღვანელობა აღიარებს კერძო საკარმიდამო მეურნეობების არსებობის და საკოლმეურნეო ბაზრის გაძლიერების აუცილებლობას. გაზეთი „პრავდა“ (20 ივლისისა) ამ საკოლმეურნეო ბაზარს „დიდი მნიშვნელობის საქმედ“ აცხადებს და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისაგან მოითხოვს ამ ბაზრისათვის „დახმარების გაწევას“, ვინაიდან, როგორც გაზეთი წერს, „საბჭოთა ვაჭრობა ხელს შეუწყობს საბჭოთა ადამიანების მატერიალურ მოთხოვნილებათა უკეთესად დაკმაყოფილებას“. მაგრამ, როგორც კი მარცვლეულის კრიზისი შენელებდა, საბჭოთა ხელმძღვანელობა უთუოდ დაუბრუნდება თავის ჩვეულ ანტიგლეხურ პოლიტიკას.

ხრუშჩოვმა სტალინისაგან გაქმნილი აგრეთვე ლოზუნგი „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას“, მაგრამ მთელმა აქციამ ამ ლოზუნგია განსახორციელებლად საბჭოთა ხელმძღვანელობას არაფერი მისცა. ამ „შეჯიბრებაში“, რომელიც სოფლის მეურნეობას ეხებოდა, მოსკოვი მოქმედებდა ძველებურად, რუსულად. რუსეთში სასოფლო - სამეურნეოპროდუქციის გადიდება ყოველთვის ხდებოდა სათესი ფართობის გადიდებით. ეს ვასაგებია, ვინაიდან არე დიდი იყო და იძულება მექანიზაციისათვის არ არსებობდა. ეს კომუნისტურ რუსეთშიც ასე დარჩა. რასაკვირველია, არე ამერიკაშიც დიდი იყო, მაგრამ ამერიკელი, რომელშიც პურიტანული ბუნება ცოცხლობდა, კაპიტალისტური სულისკვეთებით იყო გაშსკვალული; კაპიტალისტური კი არ ნიშნავს მხოლოდ მომგებიანს, არამედ აგრეთვე რაციონალურს. აი ეს აკლდა და აკლია მოსკოვს, რომელიც ახლაც, ხრუშჩოვის შემდეგაც, სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის გადიდებას ახალ-ახალი ყამირი მიწების გამოყენებით გახაგრძობს. მხოლოდ უკანასკნელი წლის განმავლობაში სა-

თესი ფარაობი გადიდებულ იქნა 2,5 მილიონი ჰექტარზე მიწით.

მიუხედავად ამისა, მარცვლეულის მთელი მოსავალი სინამდვილეში იყო გაცილებით უფრო ნაკლები, ვიდრე 1968 წელში, როცა ის 165 მილიონ ტონას შეადგენდა. ოფიციალურად, 1969 წლის მარცვლეულის მთელი მოსავალი უდრიდა, როგორც გაზეთი „პრავდა“ 6 იანვარს იტყობინებოდა, 160,5 მილიონ ტონას. „პრავდა“ ინუგეშებდა თავს იმით, რომ ეს მოსავალი დაახლოებით უკანასკნელი ოთხი წლის (1965 - 1968) საშუალო წლიურ მოსავალს უდრის. „პრავდამ“ გაიმეორა მოსავლის ციფრი, რომელიც საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ, ბაიბაკოვმა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიასზე გასული წლის 16 დეკემბერს შემდეგნაირად გამოაცხადა:

„მარცვლეულის მთელი მოსავალი შეადგენდა 160,5 მილიონ ტონას, ანუ დაახლოებით ხუთწლედის უკანასკნელი ოთხი წლის მარცვლეულის წლიური მოსავლის დონეზე“. („პრავდა“, 17. 12. 69.).

ბაიბაკოვმა შეუფარდა თავისი განცხადება ბრეჟნევის სიტყვებს, რომლებიც მან კოლმეურნეთა მესამე ყრილობაზე თქვა: „წელსაც მთავარი სასოფლო - სამეურნეო პროდუქცია და დამზადება იქნება დაახლოებით უკანასკნელი ოთხი წლის საშუალო წლიური მოცულობის დონეზე“-ო. უკანასკნელი ოთხი წლის (ე. ი. 1965 - 1968) მარცვლეულის წლიური მოსავლის მოცულობა კი უდრიდა 152,8 მილიონ ტონას. მაშასადამე, ბრეჟნევთან წინააღმდეგობაში რომ არ ჩავარდნილიყვნენ, ბაიბაკოვს უნდა ეთქვა და „პრავდას“ დაეწერა 152,8 მილიონი ტონა. მათ კი 1969 წლის მარცვლეულის მთელი მოსავლის რაოდენობად გამოაცხადეს 160,5 მილიონი ტონა, — რვა მილიონი ტონით მეტი. რატომ?

გასულ 1969 წელში მარცვლეულის კულტურები, წინააღმდეგ მოლოდინისა, ერთსა და იმავე დროს დაშვიდნენ და მოსავლის აღება, ტექნიკისა და მუშახელის ნაკლებობის გამო, მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. ამიტომ საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა ვერ შიასწრეს მთელი მოსავლის აღება და მარცვლეულის დიდი რაოდენობა დაიღუპა. ყაზახეთში, მაგ., მოსავლის დიდი ნაწილი სრულეებით აუღებელი დარჩა. (იხ. აკადემიკოს ა. ბარაევის წერილი გაზ. „პრავდაში“, 4. 12. 69). გარდა ამისა, შემოდგომის დიდმა წვიმებმა გააძნელეს მკა და გააუარესეს მარცვლის ხარისხი იმით, რომ ის სველი, ტენიანი გახდა. ამ ტენიანი მარცვლის გადარჩენა კიდევ იყო შესაძლებელი, მაგრამ საშრობი აგრევატები აღარ აღმოჩნდა. აი, ყველა აქ აღნიშნული მიზეზის გამო დაიღუპა მარცვლეულის მოსავლის დიდი ნაწილი, სახელობრ, ზეგით ნახსენები რვა მილიონი ტონის რაოდენობით. მაგრამ ამის აშკარა აღიარება საბჭოთა ხელმძღვა-

ნელობამ უარყო და გადაწყვიტა, ეს გაფუჭებული და დაღუპული რვა მილიონი ტონაც მთელი მოსავლის სიძველეში შეეტანა. სინამდვილის აღიარებას საბჭოთა ხელმძღვანელობამ არცაა ამზიგად, უთუოდ პრესტიჟის მოსაზრებებით, ამ სინამდვილის გაყალბება, ფალსიფიკაცია.

აკადემიკოსი ა. ბარაევი დასახელებულ წერილში („პრავდა“, 4. 12. 69.) და ზოგი სხვა ავტორიც უარყოფენ პარტიული ხელმძღვანელობის და პრესის მიერ მომიზეზებულ ობიექტურ სიძნელეებს“ (ესე იგი, ცუდ ამინდს), როგორც კარგი მოსავლის ერთად ერთ ხელისშემშლელთ, და მოსავლის სიმცირეს და გაუარესებას ხსნიან პირველი რიგში ტექნიკის უქონლობით.

წარუღ წლებში საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერ გაუჭირდა დაეკმაყოფილებინა თავისი საჭიროება, მთელი თავისი მოთხოვნილება მარცვლეულის მიმართ (როგორც შიგნით, საბჭოთა კავშირში, ისე მის გარეთაც), ახლა კი ეს მოთხოვნილება მარცვლეულის მიმართ კიდევ უფრო გაიზრდება, ვინაიდან საბჭოთა მთავრობამ იკისრა ახალი ვალდებულებები მისცეს სხვა სახელმწიფოებს, მათ შორის ჩეხოსლოვაკიას, დამატებითი მარცვლეული. ამ გარემოებასაც სხვებთან ერთად შეუძლია კიდევ უფრო გაამწვავოს მარცვლეულის არადაამკმაყოფილებელი მოსავლით შექმნილი მდგომარეობა.

მოსავლის ამ მარცხში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა თვეების განმავლობაში ბრალს დებდა ცუდ ამინდს და სხვა არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებს. უდავოა, ამინდს და სხვა ბუნებრივ პირობებს დიდი, ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ სოფლის მეურნეობაში. მაგრამ საბჭოთა სოფლის მეურნეობის შემთხვევაში მარტო ამინდი არაა დამნაშავე. ეს დებულება მჭერ-მეტყველურად დაგვიმოწმა უკანასკნელ წუთში, დავიანიბით, გაზეთმა „პრავდა“-მ, რომელიც 14 ნოემბერს თავის მოწინავე წერილში, სხვათა შორის, წერდა:

„წარმოების დონის მუდმივი ამაღლება მოითხოვს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების აღჭურვას უკეთესი საწარმოო მანქანებით. ცნობილია, რომ სოფლის მოთხოვნილებები თანამედროვე ტექნიკის მხრით ჯერ კიდევ სრულად არ კმაყოფილდება. ბევრ მეურნეობას აკლია სახანავი ტრაქტორები, მანქანები მინერალური და ორგანიული სასუქების მოსაყრელად, საშელოორაკიო მანქანები. განაკუთრებით ჩამორჩენილია მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია, სადაც ხელით შრომის წილი დღემდე დიდია. სწორედ ამ მიზეზის გამო ჯერ კიდევ მაღალია ხორცის, რძის და სხვა პროდუქტების თვითღირებულება. სოფლად მწვავედ იგრძნობა ტრანსპორტის ნაკლებობა — სატვირთო ავტობილების, ავტოსაბმურების და ხელის ურმების“.

თვით „პრავდა“ აღიარებს, მაშასადამე, რომ საბჭოთა სოფლის მეურნეობას ავროტექნიკა და მომსახურება

(ტრანსპორტი) აკლია. ამაში კი დამნაშავეა არა ამინდი, არამედ ადამიანი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ბიუროკრატიული გულგრილობა.

ადამიანია, არა ამინდი, პასუხისმგებელი იმისათვის, რომ ნიადაგის გასანოყიერებლად მინერალურ სასუქს სულ მცირე ყურადღება ექცევა საბჭოთა სოფლის მეურნეობაში, სადაც 1967/68 წელში სათესი მიწის ერთ ჰექტარზე მხოლოდ 28,7 კილოგრამი მინერალური სასუქი მოდიოდა, მაშინ როდესაც კომუნისტურ ქვეყნებშიაც კი, მაგ., ბულგარეთში ერთ ჰექტარზე ამ სასუქის 133 და ჩეხოსლოვაკიაში 186 კილოგრამი მოდიოდა (იხ. გაზეთი „ზაუდლოიჩე ცაიტუნგ“, 1929 წლის, 29 ნოემბრისა, გვ. 11). დასავლეთის ქვეყნებში, მაგ., დასავლეთ გერმანიაში სათანადო რიცხვი უდრიდა 236,8 კილოგრამს 1964/65 წელში (იხ. „სტატისტიშეს იარბუხ ფარ შუხ-დესრეპუბლიკ დოიჩლანდ“, 1966, გვ. 191). ექვს გარეშეა, მინერალური სასუქის მოხმარება მარცვლეულის მოსავალს საგრძნობლად გაზრდიდა. საბჭოთა მთავრობა დაადგა ახლა, მოგვიანებით, ამ გზას და აპირებს მინერალური სასუქის წარმოების გაძლიერებას.

ანდა ავიღოთ მეცხოველეობის დარგი. ამინდი თითქმის არაფერ შუაშია, როცა საქონელი, მოუვლელობის იმ უყურადღებობის გამო იხოცება და ამის შედეგად მოსახლეობის მომარაგება კვების პროდუქტებით უარესდება. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მაგ., ძროხების სულადობა 1964 წლის 1 ივლისიდან 1969 წლის 1 ივლისამდე შემცირდა ასი ათასი სულით. თითქმის კატასტროფული ხასიათი მიიღო ცხვრების და თხების სულადობის შემცირებამ, რომელიც იმავე ხნის განხვევლობაში ათ პროცენტს უდრიდა; სახელობრ, 138,5 მილიონიდან შემცირდა 125,9 მილიონ სულამდე. (იხ. „იზვესტია“, 26. 7. 69). საქონლის ამ დახოცვის მიზეზი იყო, ცხადია, ხორცის, რძის და რძის პროდუქტების ნაკლებობა, ამ პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების გაუარესება.

რახან ღძეხ და რძის პროდუქტებზეა ლაპარაკი, აღვნიშნავთ აქვე, რომ საბჭოთა კავშირში ერთი ძროხა საშუალოდ 1.880 კილოგრამ რძეს იძლევა; აღმოსავლეთ გერმანიაში — 3090-ს და დასავლეთ გერმანიაში კი — 3649 კილოგრამს. (იხ. გაზეთი „ზაუდლოიჩე ცაიტუნგ“, 29; 11. 69, გვ. 11). მაშასადამე, საბჭოთა კავშირის მოსახლეობა, განსაკუთრებით ბავშვები, უნდა დაკმაყოფილდნენ იმის ნახევრით, რაც სხვაგან ნორმალურად მიიღობენ. კომუნისტები კი ირწმუნებიან, რომ საბჭოთა კავშირი კომუნისტების მშენებლობის პროცესში იმყოფება!

ყველაფერს ამას, ესე იგი, საბჭოთა ხელმძღვანელობის უვარგისი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის საზიანო შედეგებს ერთვის კიდევ ის, რომ იქაური აგრარულ სისტემის პრობებში თვით კოლმეურნეები არ არიან პირადად და-

ინტერესებული მეურნეობის შედეგით და გამოიქვითა ლაქში. მთელ ამ მდგომარეობას აქვს ქრონიკული ხასიათი, რაც საბჭოთა სოფლის მეურნეობაში მუდმივი კრიზისის საშიშროებას ქმნის.

„დაეწვიოთ ამერიკას“ - ლოზუნგის განხორციელებას აგრეთვე ხრუშჩოვიც ცდილობდა — და ამას მიმართავენ მისი მემკვიდრეებიც — სათესი ფართობის გადიდებით ყამირი მიწების ხარჯზე, მაშასადამე, სიფაოთით და სიგანით, არა სიღრმით; ექსტენსიურად, როგორც ყოველთვის, არა ინტენსიურად. ხრუშჩოვის უარყოფითად სახელგანთქმული „ყამირი მიწის“ ეპოპეა ჩაიშალა. ეს იყო სელა უმცირესი წინააღმდეგობის გზით, საჭირო კი იყო არაბული წარმოების ინტენსიფიკაცია მექანიზაციის საშუალებით და შრომის ნაყოფიერების ზრდით, საჭირო იყო ახალი ხაზი პოლიტიკაში ეკონომიკური სიძნელების დასაძლევად.

ჯერ სამეურნეო და მეცნიერულ წრეებში გამართული კამპანია და შემდეგ საბჭოთა პარტიულსა და მთავრობის წრეებში დოგმატიკოსება და რეფორმების მომხრეთა შორის წარმოებული დავის და ბრძოლის შემდეგ, პარტიის ცეკას 1965 წლის სექტემბრის პლენუმმა და პარტიის 23-ე ყრილობამ მიიღეს გადაწყვეტილება გადაიყვანონ მრეწველობა დაგეგმვისა და ეკონომიური წახალისების ახალ სისტემაზე. გეგმიანი ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის გადაწყდა, რომ შემოღებულ იქნას სრული სამეურნეო ანგარიში. ამ გადაწყვეტილებით სახელმძღვანელოდ აღიარებულია მრეწველობაში რენტაბელობის და მოგების პრინციპი. მაქსიმალური მოგების მისაღწევად კი უნდა იქნას შემცირებული წარმოების თვითღირებულება, რაც საბჭოთა მეურნეობის შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ საწარმოო მასალების უფრო ეკონომიურად გამოყენებისა და მუშახელზე გაწეული ხარჯების შემცირების გზით. ამ ამოცანის შესრულების მიზნით საწარმოთა ღირებუტორებს მიეცათ მეტი დამოუკიდებლობა. რეფორმამდე საწარმოთა ღირებუტორები არ იწუხებდნენ თავს შრომის ხარჯების შემცირებისათვის, ეინაიდან მაღალი ხელფასი ადიდებდა საქონლის ფასს, მთელი პროდუქციის ღირებულებას, ამით სახელმწიფო შემოსავალს. ახლა კი საწარმოს ღირებუტორი დანტერესებული იქნება იმით, რომ იმავე რაოდენობის საქონელი დაამზადოს უფრო ნაკლები მუშახელით, რისთვისაც ის მომავალში მუშახელს შეამცირებს, ზედმეტ მუშებს დაითხოვს. ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საბჭოთა მეურნეობებისათვის, სადაც ზედმეტი მუშახელის პროცენტი ღიღია, რაც ფაქტიურ უმუშევრობას ნიშნავს.

დაგეგმვის და ეკონომიკური წახალისების ახალ სისტემაზე თავიდან გადაყვანილი იყო 3 600 სამრეწველო

საწარმო, რომლებიც მთელი პროდუქციის ერთ-მეორედ მეტს ამზადებდნენ. ამ საწარმოებმა, როგორც სსსრკ-ის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ 1967 წლის პირველი ნახევრის შედეგებზე გამოქვეყნებული ცნობიდან ჩანს, გადაჭარბებით შეაპარულეს გეგმა, რაც მით უფრო ადვილი იყო, რომ ეს საწარმოები წინათაც წარმატებით მუშაობდნენ და მათთვის სპეციალური პირობები იყო შექმნილი. საბჭოთა ხელმძღვანელობას სჭირდებოდა ჩქარი და ეფექტური მიღწევები, რომ წარმატებით ეკონომიკური ფრონტზე ზემოთ ედღესასწაულა ოქტომბრის 50 წლისთავი.

შემდეგ ახალ სამეურნეო სისტემაზე გადაყვანილ საწარმოთა რიცხვი თანდათან იქნა გადიდებული და 1969 წლის დასაწყისისათვის ამ სისტემაზე მუშაობდა უკვე 26 ათასი ინდუსტრიული საწარმო, რომლებიც მრეწველობის მთელი პროდუქციის სამეოთხედს ამზადებდნენ.

აი, ეს პარტიის ცეკას და 23-მე ყრილობის ზევით აღნიშნული დადგენილება გავრცელებულ იქნა 1967 წელს სოფლის მეურნეობაზედაც, სახელდობრ საბჭოთა მეურნეობებზე. თორმეტი ათასი საბჭოთა მეურნეობიდან, რომლებიც მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ორმოც პროცენტს იძლევიან, მხოლოდ 390, უმთავრესად აჭამდის წარმატებით მომუშავე საბჭოთა მეურნეობა იქნა გადაყვანილი ახალ სისტემაზე. საბჭოთა მეურნეობებიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნახევარზე მეტი ზარალით მუშაობს. ახალი სისტემა პირობებში მათი ამოცანა არის იმუშაონ რენტაბელურად. ამ მიზნით შერჩეულ მეურნეობათა დირექტორებს მიენიჭათ მეტი ოპერატიული დამოუკიდებლობა და მუშაკებს მატერიალურად აინტერესებენ.

სახელმწიფოზე მიაყიდი პროდუქციის ფასების მხრით ეს საბჭოთა მეურნეობები გათანასწოებული არიან კოლმეურნეობებთან. რომლებიც თავიანთი პროდუქტებისათვის 10 პროცენტზე მეტს ღებულობდნენ, ვიდრე საბჭოთა მეურნეობები, რაც ამ უკანასკნელებს დამატებით შემოსავალს მისცემს.

ცენტრის მიმართ საწარმოთა უფლებების გაფართოება, ცენტრალური დაგეგმვის მინიმუმამდე შესუსტებით, მშრომელთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერება და საბჭოთა ეკონომიკაში საბაზრო დამოკიდებულებათა წემოლება, რენტაბელობის და მოგების პრინციპის განხორციელებით, - ესაა დღევანდელ პირობებში საბჭოთა ეკონომიკისათვის ერთად-ერთი გამოსავალი კარგი პერსპექტივებით. მაგრამ ეს მოითხოვს პარტიის მანვე ეკონომიკური პოლიტიკის გადასინჯვას, უარს ცენტრალიზაციასა და ზევიდან წარმოებულ დაგეგმვაზე და დემოკრატიული პრინციპების განხორციელებას საწარმოების და მთელი მეურნეობის მმართველობაში. კომპრომიზები და

ნახევარზომები ამ მხრით ქმნის მხოლოდ ილუზიებს და საქმეს არ შველის.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას 1965 წლის სექტემბრის და 23-ე ყრილობის გადაწყვეტილება ძალაში შევიდა მრეწველობისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის; კოლმეურნეობებზე კი ეს გადაწყვეტილება არ იქნა გავრცელებული, ვინაიდან კოლმეურნეობებისათვის, როგორც შემდეგ გამოიჩვენა, მზადდებოდა „ახალი“ საკოლმეურნეო წესდება.

კოლმეურნეობის მომავლის პერსპექტივებზე პარტიული დოგმატიზმი ამბობს, რომ „სოფლის შემდგომი განვითარება კომუნისმიზაკენ წავა სოციალისტური მეურნეობის ორივე ფორმის — კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების — განვითარების და გაუმჯობესების გზით“. (იხილეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1961 წლის პროგრამის დასასრული).

პროგრამა არაფერს ამბობს, რასაკვირველია, იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობა, კომუნისტური შეხედულებით, არ წარმოადგენს სოციალისტური ტიპის მეურნეობის ფორმას, — ასეთია მათთვის მხოლოდ საბჭოთა მეურნეობა, რაც ჩვენ უკვე ზევით გავკვრიტ აღვნიშნეთ. [იხილეთ ამ საკითხზე ვ. მილიუტინი (წინათ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სახალხო კომისარი), „საბჭოთა კავშირის აგრარული პოლიტიკა“, გვ. 100 და შემდეგ. მოსკოვი, 1927].

ეს შეხედულება ნელა, მაგრამ ურყევად და თანდათანობით ხორციელდება კომუნისტური პრაქტიკით, რომელიც ხრუშჩოვის დროს მის აგრო-ქალაქების შექმნის ფანტასტიურ პოლიტიკასთან იყო ნაწილობრივ დაკავშირებული. ეს პრაქტიკა დღესაც გრძელდება, რაც პოლიანსკიმ თავის სიტყვაში კოლმეურნეთა მესამე ყრილობაზე ამკარად გამოთქვა. ეს პრაქტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ხდება არსებული კოლმეურნეობების სისტემატიური გაუქმება და მათ ადგილზე ახალი საბჭოთა მეურნეობების დაარსება ან გაუქმებული კოლმეურნეობების არსებულ საბჭოთა მეურნეობებთან გაერთიანება.

კოლმეურნეობათა რიცხვი მცირდება აგრეთვე იმითაც, რომ წვრილ-წვრილი კოლმეურნეობები ერთიანდებოდნენ, მაშასადამე, ადგილი ჰქონდა კოლმეურნეობების გამსხვილებას, ან საბჭოთა მეურნეობებს უერთდებოდნენ. ორივე პროცესი, კოლმეურნეობების გამსხვილება და საბჭოთა მეურნეობების გამრავლება, მიმდინარეობდა პარალელურად. კოლმეურნეობის რიცხვი უდრიდა (იხილ. „ნაროდნოე ხოზიასტვო სსსრკ ვ 1965 გოდუ, გვ. 257):

|            |           |
|------------|-----------|
| 1940 წელში | 236,9 000 |
| 1950 -ში   | 123,7 000 |
| 1960-ში    | 44,9 000  |
| 1965-ში    | 36,9 000  |



ამავე დროს საბჭოთა მეურნეობების რიცხვი შეადგენდა:

|            |           |
|------------|-----------|
| 1940 წელში | 4 159-ს,  |
| 1950-ში    | 4 988-ს,  |
| 1960-ში    | 7 375-ს   |
| 1965-ში    | 11 681-ს. |

ამრიგად, კოლმეურნეობების რიცხვი სისტემატიურად კლებულობს და ერთ მშენიერ დღეს ისინი გაქრებიან; მათ ადგილს დაიჭერენ საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც იმით ხასიათდებიან, რომ მათგან უმრავლესობა ხარაღით მუშაობს. ეს იმას ნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო კრიზისები დარჩება. არსებობს ამის ერთადერთი ალტერნატივა: მიწის გადაცემა გლეხებზე. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი საბჭოთა კავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა და სასოფლო-სამეურნეო კრიზისების მოსპობა თუ შენელება. გლეხური მეურნეობა არის რაციონალური; მას აქვს ოპტიმალური შედეგი.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ზოგიერთი საბჭოთა ხელმძღვანელის მიერ და პრესაში გამოთქმული აზრები კი (მაგ. ჟურნალი „ვობროსი ეკონომიკი“, 1966, № 7 და 11, 1967, № 1) იძლეოდა საბუთს გვეფიქრა, რომ არსებობდნენ ძალები, რომლებსაც შესაძლებლად მიაჩნდათ კოლმეურნეობების კოოპერაციულ სისტემაზე აწყობა სახელმწიფოს მონაწილეობით რაიმე ფორმაში. ეს იქნებოდა კომუნისტური პარტიის 1919 წლის პროგრამისკენ მიბრუნება, რომელიც ნებაყოფლობითი კოოპერაციის შექმნას მოითხოვდა. მეორე მხრით, კომუნისტური რეჟიმი აგებულია ტლანქ იძულებაზე და საეჭვოა მან ამგვარი ნებაყოფლობითი კოოპერაციის არსებობა დაუშვას, თუ თვითონ მას საკონტროლო ფუნქციები არ ექნება.

მაგრამ ამგვარ ვარაუდებს და აზრებს გამოეცალა ყოველი საფუძველი ახალი საკოლმეურნეო წესდების მიღებით, რომელიც არსებულ მდგომარეობაში არაფერს ცვლის; კოლმეურნეობების მიწა რჩება სახელმწიფო საკუთრებად. თავიანთი პროდუქტების გაყიდვის მიზნით კოლმეურნეობებმა წინანდებურად უნდა დადონ ხელშეკრულებები სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. მასალის ყიდვაც მათ შეუძლიათ მხოლოდ ამ ორგანიზაციებთან საშუალებით. აგრეთვე კოლმეურნეთა ოჯახებს შეუძლიათ, როგორც აქამდის, მხოლოდ 0,5 ჰექტარი მიწა იქონიონ და წინანდებურად მხოლოდ ერთი ძროხა და ერთი მოზარდეული ორ წლამდე, ერთი დედა-ღორი ნამატით ან ორი გასასუქებლად, 10 ცხვარი ან თხა, ფუტკარი, ფრინველი და კურდღლები საკუთარი საჭიროებისათვის იყლიონ. წმინდა ტექნოველეობის რაიონებში მეურნეებს შეეძლოთ წინათ კერძო მეურნეობაში ამ საქონლის ორმაგი რიცხვი ჰყოლოდათ; ახალი წესდება ამ შესაძლებლობას აღარ იძლევა. გარდა ამისა,

ახალი საკოლმეურნეო წესდება კოლმეურნეებს პირდება პენსიას, რაც წინათ არ იყო. მაგრამ ცნობილია, რომ მშრომელთათვის საბჭოთა პენსიები ისე მცირეა, რომ ადამიანის სიცოცხლეს ვერ უზრუნველყოფს, რასაც განსაკუთრებით კოლმეურნეები თავიანთ თავზე გამოცდიან.

„ახალი“ საკოლმეურნეო წესდების მიღებამდე ზოგიერთი კომუნისტური ხელმძღვანელი შესაძლებლად თვლიდა განსაზღვრულ ღონისძიებათა მიღებას კოლმეურნეთა მდგომარეობის მცირედი გაუმჯობესებისათვის.

შეგავსად იმისა, რასაც პოლიანსკი („კომუნისტ“, 1967, № 25) ფიქრობდა. მისი წინადადებები გულისხმობდნენ კოლმეურნეობების მიერ ჩააბარებულ საქონელზე ფასების გადიდებას; საზოგადოებრივი სექტორიდან კოლმეურნეებისათვის საშუალო ხელფასის და პენსიების გადიდებას; მათ უზრუნველყოფას სამუშაოთი მთელი წლის განმავლობაში და სხვა უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან ზომებს. მაგრამ ამგვარი ზომების განხორციელება არ არის რეფორმა და ვერ აკმაყოფილებს კოლმეურნეებს, რომელთა ოცნება არის, რომ მიწა დაუმტუნდეს გლეხს. ამას მოითხოვს როგორც გლეხის, ისე სახელმწიფოს სწორად გაგებული ინტერესი. გლეხი დაინტერესებულია თავისი შრომის ნაყოფით და მხოლოდ იმით; ის უნდა ეკუთვნოდეს მას, არა სხვას.

ამ გზით წავიდა თავის დროზე დამოუკიდებელი საქართველოს სოციალ - დემოკრატიული მთავრობა, რომელმაც გლეხებს მიწა საკუთრებად გადასცა. საქართველოს სოფლის მეურნეობაში შემდეგ მიღწეულმა წარმატებებმა საგნებით გაამართლეს საქართველოს მთავრობის ეს პოლიტიკა. ამავე საფუძველზე აეგო შემდეგ, ევროპაში სოციალდემოკრატიული პარტიების აგრარული პროგრამა, მაგალითად: ავსტრიასა და შვეიციაში.

ამ პრინციპს დიდი ხანია დაადგინეს სხვა კომუნისტური სახელმწიფოები, პოლონეთი და იუგოსლავია. ორივეში აღდგენილია კერძო გლეხური მეურნეობა და ორივემ ამით დიდ წარმატებებს მიაღწია. რატომ არ უნდა იყოს ეს შესაძლებელი აგრეთვე საბჭოთა კავშირშიდაც? კერძო გლეხური მეურნეობა არის ბუნებრივი, რაციონალური და გამოცდილებით გამართლებული სამეურნეო ფორმა სოფლად. გლეხობის კერძო მეურნეობებთან ერთად პოლონეთში არსებობენ აგრეთვე კოლმეურნეობებიც; მაგრამ მათი მნიშვნელობა იქ ძლიერ მცირეა: პოლონეთში მთელი სათესი მიწის 87 პროცენტი ერთ-პიროვნული გლეხების ხელშია.

სასოფლო-სამეურნეო სიძნელებები კომუნისტური ქვეყნების საერთო სენია და, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთსა და ბულგარეთშიც ებრძვიან მათ და ამზადდებიან რეფორმებს, რომლებიც სოფლად უთუოდ ახალს და უკეთეს პირობებს შექმნიან.

როგორც აქ დავინახეთ, სოფლის მეურნეობაში საბჭოთა სახელმწიფო ბევრად ჩამორჩა დასავლეთის სახელმწიფოებს და კომუნისტებს ამ მხრით კვების საბუთი არ აქვთ. მაგრამ სოცია, ისინი ეკონომიკურ წარმატებებით ტრახაზობენ, — და ტრახაზობენ კი სისტემატუოდ, — ნათ სახეში აქვთ ინდუსტრიის აღმავლობა და წარმატებები, რასაც კომუნისტები თავიანთ ბრძნულ ხელმძღვანელობას და სამეურნეო სისტემას აწერენ. ისინი გაიძახიან, რომ ამგვარ წარმატებებს მიაღწია მხოლოდ კომუნისტურმა რეჟიმმა და ისინი შეუძლებელი იქნებოდნენ კაპიტალისტური სისტემის დროს. მაგრამ ცხობილია, რომ ბატონყმობის მოპოობის შემდეგ, განსაკუთრებით გასული საუკუნის მიწურულში და ამ საუკუნის დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ, რუსეთის მრეწველობის განვითარება ძლიერი დინამიკით ხასიათდებოდა. ქვანახშირის მოპოვება, მაგ., 1909 - 1913 წლებში რუსეთში გაიზარდა 40 პროცენტით და ამ წრდამ დიდად გაუსწრო გერმანიისას, სადაც ის შეადგენდა 28-ს, შერთ. შტატებში 24-ს, ინგლისში 7-ს. დაახლოვებით ასე იყო მრეწველობის სხვა უმთავრეს დარგებშიდაც. ეს დინამიკური განვითარება გაგრძელდებოდა შემდეგშიც და ის ევოლუციური გზით მიაღწევდა უტკივნიულოდ, შეიძლება ვადაჭარბებოთაც, იმას, რასაც ახლა ასე იკვებნიან კომუნისტები. მაგრამ ამ ევოლუციური აღმავლობას ბოლო მოუღო ყოვლად გაუმართლებელმა ბოლშევიკურმა ამბოხებამ, რის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანი თავის ექსპერიმენტულ შეუბრალებლად შეაკლა და მთელი ინდუსტრიული განვითარება თავის საშხედრო წიხნება დაუშორჩილა, ხალხის საჭიროებათა უგულებელყოფით. მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირმა კაცობრიობის გამანადგურებელი საშხედრო საგნების მზადებაში ყველა ინდუსტრიულ ქვეყანას გაუსწრო და იარაღით მთელ მსოფლიოს ომებისა და არეულობებისათვის ამარაგება, პირველ საჭიროებათა და საყოფა -- ცხოვრებო საგნების დამზადებაში ის დიდად ჩამორჩა სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებს.

**მ. იმნაიშვილი**

**დამატება —**

**კოლმეურნეთა მისამამ შრილობა**

გასული წლის შემოდგომის მიწურულში ჩვენ გავხდით ერთი ახირებულის, მაგრამ საბჭოთა პირობებში ნორმალური ამბის მოწმე: ჩვენ ვგულისხმობთ ე. წ. კოლმეურნეთა ყრილობას, რომელმაც ხანგრძლივი ძილის შემდეგ თვალები გაახილა და მოკლე ხნით ამოძრავდა. ეს ამოძრავება გამოიხატა იმაში, რომ ყრილობის წევრებმა სხვის

მიერ შედგენილი და მათთვის წარდგენილი წესდების პროექტი ერთგულად მოისმინეს და ის კომუნისტურად, ე. ი. ხმის ამოღებულად ხელების აწევით მიიღეს. წესდების პროექტი ყრილობას საქმიანად არ განუხილავს და დისკუსიას ცალკეულ საკითხებზე ადვილი არ ჰქონია.

კოლმეურნეთა ყრილობა დიდი ხანია უნდა შეკრებულყო. 1956 წელში, მე-20 პარტიულ ყრილობაზე და შემდეგ ხშირად იყო ლაპარაკი ამ ყრილობის მოწვევაზე, მაგრამ 15 წლის განმავლობაში, მხოლოდ ზეპირი გახზახებით და ლაყობით დაკმაყოფილდნენ. მხოლოდ, როცა 1965 წელში და შემდეგ, განსაკუთრებით მრეწველობისათვის, საერთო სამეურნეო რეჟორმის საკითხი დაისვა და ამ რეჟორმის გატარება, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებშიდაც, გადაწყდა, გაახსენდათ, რომ არსებობდნენ კიდევ კოლმეურნეობები და კოლმეურნეები. ამათთვის კი 1966 წელში გადაწყდა შემუწავდეს ახალი წესდება და წესდების პროექტის შედგენა მიენდო სპეციალურ კომისიას ბრეტენვის თავმჯდომარეობით და უსარმაზარი შემაგდენლობით (149 წევრი). სამი წლის განმავლობაში, „მძიმე მუშაობით“ დატვირთული კომისიის წევრები ოფლში იწურებოდნენ და ბოლოს გათავდა იმით, რომ წარსულ შემოდგომაზე ყრილობას პროექტით წარუდგენეს, რომელიც ძველი წესდებისაგან მხოლოდ მცირე ცვლილებებით განსხვავდებდა. ამით ბრეტენვი და მისი კომისია ქებას და სახელს ვერ მოიხვეჭენ

კოლმეურნეთა ყრილობა კოლმეურნეობებს, კოლექტივიზაცია და მათავრებისას, სტალინმა დაუწერს და მათ წესდებაც მისცა. ერთი ეს ფაქტი უცვე იმის მაჩვენებელია, რომ კოლმეურნეები წესდებაზე დიდ იმედებს ვერ დაამყარებდნენ. ეს კოლმეურნეთა ყრილობა და წესდება იყენენ და არიან კომუნისტური პარტიის და სახელმწიფოს იარაღი ბატონობისათვის კოლმეურნე გლეხებზე. მალე (1935 წ.) სტალინმა დაამტკიცა ახალი წესდება, რომელიც ზოგიერთი ცვლილებებით (1938 წ.) უკანასკნელ დრომდე ძალაში იყო და ყრილობაც მთელი 34 წლის განმავლობაში აღარ შეკრებოდა, ის იყო უმოქმედოდ და ემსგავსებოდა ცოცხალ ლეშს. გასული წლის ნ. იმბერში ამ ყრილობას ისევ დაუძახეს და შედგა ამრიგად კოლმეურნეთა მესამე ყრილობა, რომლის მუშაობის დამთავრების შემდეგ ის ისევ ძილს მიეცა და ახლა განაგრძობს ლეშის არსებობას.

ჩვენ ეს ტრაგიკომედია, რასაკვირველია, ნაკლებად გვალევებს; ჩვენთვის უფრო საინტერესოა ის, რასაც ამ უკანასკნელმა ყრილობამ დასტური მისცა: სწორად რომ ვთქვათ, საინტერესო ამ ყრილობაზე ცოტა იყო. ყრილობის შემადგენლობა იყო ჩვეულებისამებრ შერჩეული, თითქმის 5 ათასი დელეგატიდან დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ აქტიური კომუნისტები, რომლებიც სიმართლეს და საკუთარ აზრს არასოდეს იტყვიან. მათი სიტყვე

ბიც ყრილობაზე შეიცავდნენ მხოლოდ შაბლონს და ბაქიობას; წესდების მუხლებს არავინ შეხებია; საკუთარი ინიციატივა არავის გამოუჩენია; საქმე კი ეხებოდა კოლმეურნეების სასიცოცხლო ინტერესებს.

ბრეჟნევი კარგათ იცნობდა თავის მსმენელებს და თავის სიტყვაში თავიდანვე უსირცხვილოდ აღნიშნა, რომ „კოლმეურნობამ იხსნა გლეხი მძიმე წარსულისაგან, მისცა მას მტკიცე ადგილი ცხოვრებაში, გახდა ის მისი საკუთარი ბედის ბატონ-პატრონად“ (პრავდა 26. 11. 69). ამ სინამდვილის დამახინჯებას, ამ ტყუილს პაუხი, რასაც ეწოდებოდა, არავინ გასცა. მაშ რატომ გარბიან კოლმეურნეები სოფლიდან და გარბიან უმთავრესად ახალგაზრდა სპეციალისტები? ამ ფაქტს ვერავინ უარყოფს. ამიტომაც ბრეჟნევის და პოლიანსკის მოხანენებებში კოლმეურნეობების ტექნიკური კადრების შექმნის საკითხს უმთავრესი ყურადღება მიექცა, აგრეთვე მომავალში სოფლისათვის უკეთესი და მტკიცე ტექნიკის მიწოდება, ფართო ქიმიზაციის (მინერალური სასუქის) და მელიორაციის განხორციელება.

ამავე დროს პოლიანსკიმ განაცხადა, რომ კოლმეურნეთა ყროლობის მომზადების პროცესში წესდების პროექტის შემდგენელმა კომისიამ შრავალი მიმართვა მიიღო აუარებელი წინადადებებით და სურვილებით. ამათ შორის, გამოტყდა ის, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ წინადადებები, რომლებიც მოითხოვენ, რომ „წესდებაში აღნიშნულ იქნან სამუშაო დროის ხანგრძლივობა და საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომის მონაწილეების მინიმუმი, გამოსასვლელი დღეების და წლიური შევსებულების მიცემის წესი“ („პრავდა“ 26. 11. 69). ამგვარი წინადადებები წესდების პროექტის კომისიამ უარყო. პოლიანსკიმ ეს უარყოფა იმით დააბაბუთა, რომ ეს საკითხები ცალკეული კოლმეურნეობების კომპეტენციაში შედიან და ყველაფერი ამის წესდებაში შეტანა მის გართულებას ნიშნავს. მეტისმეტი დეტალიზაცია საჭირო არ არისო“. აქ უკვე აშკარად სჩანს, რომ აბჭოთა ხელმძღვანელობას არ სურს ხელები შეუკრას ადგილობრივ ადმინისტრაციას და პარტიულ ორგანოებს მათ მისწრაფებაში მაქსიმალურად გამოიყენონ კოლმეურნის შრომა.

რას აძლევს კოლმეურნეებს ეს ახალი წესდება? არაფერს ისეთს, რაც მათ უკვე არა ჰქონდათ. პირიქით, შეიძლება ითქვას, ნაწილობრივ კიდევ აუარესებს კოლმეურნის მდგომარეობას, სახელდობრ იმით, რომ ახლა კოლმეურნეს შეუძლია, თავისი დამხმარე მეურნეობისათვის, იქონიოს მიწის ნაკვეთი ნახევარი ჰექტარის რაოდენობით, მხოლოდ იმ ფართობის ჩათვლით, რომელიც შენობებს უჭირავს; წინათ კი კოლმეურნეს მისი კერძო მეურნეო-

ბისათვის ეძლეოდა ნახევარი ჰექტარი მიწა შენობათა ფართობის გამოკლებით. ახლა, მაშასადამე, კოლმეურნის ისედაც მცირე ნაკვეთის შეკვეცა მისთვის საკმაოდ საზარელი უნდა იქნეს.

ახალმა წესდებამ შემოიღო პენსიები კოლმეურნეებისათვის და ამან დააკმაყოფილა კოლმეურნეთა მხრით ხშირად გამოთქმული სურვილი. საბჭოთა ხელმძღვანელობას სურს ამით კოლმეურნის გული მოიგოს, მაგრამ ეს პენსია ძლიერ მცირეა. გარდა ამისა, ახალმა წესდებამ ისევ შემოიღო ხრუშჩოვის მიერ გაუქმებული საკოლმეურნეო ბაზარი და ამით აღადგინა ძველი მდგომარეობა.

საერთოდ ახალი წესდება ცნობს კოლმეურნეთა კერძო დამხმარე მეურნეობის მნიშვნელობას მოსახლეობის კვების საქმეში. მაგრამ „მოვა დრო“, ამბობს პოლიანსკი, „როცა საზოგადოებრივი მეურნეობა მიაღწევს მაღალ დონეს, რომლის დროს კოლმეურნეები ოვითონ უარს იტყვიან დამხმარე მეურნეობაზე, როგორც ეკონომიურად არახელსაყრელსა და ზედმეტზე. მაგრამ დაუსაბუთებლად მისი შეკვეცა, ამ პროცესის ახლა დაჩქარება ნიშნავს, არ გაუწიო ანგარიში რეალური ცხოვრების ფაქტებს სოფლად“ („პრავდა“; 26. 11. 69).

რომელია ეს რეალური ცხოვრების ფაქტები? ეს ფაქტები ცხადყოფენ, რომ კოლმეურნეები — მათი რიცხვი წესდების 15 მილიონ ოჯახს თითქმის 60 მილიონი სულით და მათ ემატება კიდევ ამდენივე არაკოლმეურნე, ასე რომ საბჭოთა მოსახლეობის თითქმის ნახევარს აქვს საზღვებლობა კერძო საკარმიდამო მეურნეობებისაგან — თავიანთი საკარმიდამო მეურნეობებით თითქმის 60 პროცენტით აკმაყოფილებენ თავიანთი ოჯახების საარსებო მოთხოვნილებებს და პროდუქციის ნაწილს ყიდიან კიდევ საკოლმეურნეო ბაზარზე. ამით ისინი არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფ საბჭოთა ხელმძღვანელობას უადვილებენ მოსახლეობის მომარაგებას ასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. ამიტომაც საბჭოთა ხელმძღვანელობა დადებითად აფასებს ამჟამად კოლმეურნეთა კერძო საკარმიდამო მეურნეობას. ამ გარემოებას უნდა უმაღლოდნენ კოლმეურნეები, რომ მათ კერძო მეურნეობებს ჯერ-ჯერობით ხელს არ ახლებენ, ისინი სჭირდებათ ახლა. მაგრამ ჩვენ არ გავცივირდება, რომ ეს კოლმეურნეები ერთ დღეს მათი საკარმიდამო ნაკვეთებიდან განდევნონ საბჭოთარი კომუნისმის გულისათვის გაუბედურებულნი. პოლიანსკი სახავს ასეთ პერსპექტივებს.

მ. იმნაიშვილი

ს. ჭირაქაძე

სოციალიზმის იდეალიზაცია და განდევნა

ამა წლის (1967) ოქტომბერში რუსეთის რევოლუციის 50 წელი აღსრულდება. ეს ხანი, მაინც და მაინც, ისტორიისათვის გრძელი არ არის, მაგრამ მძიმე ტრაგიკული, სისხლიანი მოვლენებითაა დატვირთული. ბოლშევიკები, ლენინის მეთაურობით, შეთქმულებით, სამხედრო გადატრიალებით, ძალადობით ხელისუფლებას დაეპატრონენ და უხეში ძალით განდევნეს თებერვლის რევოლუციის მესვეურები და ახლად შექმნილი დროებითი მთავრობა.

დაუყოვნებლივ, ლენინი და მისი პარტია, სოციალისტური რევოლუციის ლოზუნგების განხორციელებას შეუდგა, იმ ქვეყანაში, სადაც დემოკრატია და ეკონომიკური განვითარება სუსტი იყო, სამრეწველო პროლეტარიატის ხვედრითი წონა დიდი უმცირესობით იფარგლებოდა, უმრავლესობა გლეხობის ინდივიდუალურ ჩამორჩენილი მეთურნობით ხასიათდებოდა; აქ, ის მარქსიზმს დასცილდა, ხალხოსნების (ნაროდნიკების) პროგრამას მიემხრო, რომელსაც წარსულში ასე უღმობლად და დაუზოგველად ებრძოდა, დემოკრატიულ-ბურჟუაზიულ ეტაპებს გადაახტა, ნახევრად ფეოდალურ და ნახევრად კაპიტალისტურ გარემოცვაში, ისიც ერთ ქვეყანაში, ვახვლახ სოციალიზმის მშენებლობა წამოიწყო.

თუ როგორი იყო ამ 50 წლის განმავლობაში ლენინის სოციალიზმის პრაქტიკა, სტალინიან მიერ, ადმინისტრაციული სიმკაცრით, ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გატარება, თუ რაოდენი ტანჯვა-წამება მიაყენეს საბჭოთა-კავშირის ხალხებს, ეს საყოველთაოდ ცნობილია, ხოლო სოციალიზმი მშენებლობა ნორმალური გზით მაინც ვერ წარიმართა, ამდენი გაჭირვების, განსაცდელის შემდეგაც; არავინ უწყის მათი საბჭოთა წყობილება „სოციალიზმია თუ ბარბაროსობა“?

საბჭოთა-კავშირის კომუნისტური პარტია 50 წლის თავს დიდი ხეიმით დღესასწაულობს. ამან შესაბამისად გამოქვეყნდა (იხ. ვაზ. „კომუნისტი“-25 ივნისი-1967 წ.) პარტიის ცენტრალური კომიტეტის ძალზე ვრცელი თეზისები, სოციალისტური რევოლუციის იდეები, სოციალიზმის დაფუძნება გამართლებულად და საბოლოო გამარჯვებულად არის გამოცხადებული. სოციალიზმის მშენებლობა, კულტურულ - ეკონომიკური მიღწევები განდიდოვებულ ფორმებშია წარმოდგენილი. განდიდება დაღს ატარებს. შევეცადოთ მათ გადაჭარბებულ ოპტიმიზმში, მცირეოდენი კორექტივი შევიტანოთ და აგრეთვე ჩვენი პოზიცია განვსაზღვროთ.

ჩვენთვის უმთავრესია არა სოციალისტური თეორიების კრიტიკა, არამედ მისი შესრულების შესაძლებლობა. თეზისებში ჩვენთვის საყურადღებოა: სოციალიზმის საბო-

ლოო გამარჯვება, სოციალიზმის მშენებლობა, სოციალიზმი ზმზე გადასასვლელად და მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივა. არის თეზისებში, შიგადაშიგ, ბევრი გაცვეთილი ფრაზეოლოგია, გამოხრული, ფუტურო აზრები პროპაგანდისათვის განკვეთილი, რასაც ჩვენ ყურადღების გარეშე ვტოვებთ.

**1. — სოციალიზმის გამარჯვება.** ეს ფუნდამენტური ტექსტი (გაზეთის ექვსი გვერდი), პარტიის სამდივნოს მიერ შედგენილი, თანამედროვე საბჭოურ მარქსიზმ-ლენინიზმის, სინთეზის ამსახველია. კომუნისტური პრესა აღნიშნავს, რომ თეზისები „კრიტიკული მიდგომით“ ანალიზებს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ნახევარი საუკუნის ისტორიას. თეზისების ცდა იმართულია დაამტკიცოს სოციალისტური წყობილების შეუჩერებელი წინსვლა და სიმყარე. უცხოეთის კომუნისტური პარტიების ზრდა-განვითარება, კოლონიური ხალხების ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობათა შეწყვეტელი გაძლიერება.

ისტორიის მოვლენები, ისეთი სისტემატურობითაა ნაჩვენები, თითქოს, განვითარების პროცესი ლარივით, გეგმაზომილიად, შეუფერხებლად და უწყვეტად მიმდინარეობდა; აინამდვილეში, მეტ წილად, წინსვლასთან ერთად ნახტომება და ხან კიდევ დახევასაც ჰქონდა ადგილი. თეზისების შემადგენლები ხშირად ისტორიის მსვლელობის დიალექტიკას უგულვებელყოფენ: თითქოს უკრიზისოდ, წინაღმდეგობათა გარეშე ხდებოდა სიძნელეთა დაძლევა და ნახევარი საუკუნის ბრძოლა, პრაქტიკული მოქმედება წინასწარ მიღებული დოქტრინების სქემებით არის შეკრული.

როცა ამ გრძელ, დამლელ ტექსტს კითხულობთ, თქვენ შედიხართ რაღაც განსაკუთრებულ დახშულ სამყაროში, სადაც ყოველგვარი ეჭვი მათთვის იმთავითვე გამორიცხულია. სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას, თუ მათი სოციალისტური ექსპერიმენტები „მეცნიერულ საფუძველზე“ იყო დამყარებული, როგორ-ღა გახდა შესაძლებელი ამდენი გაუგებრობა, მძიმე შეცდომები, გადახვევ-გადმობრუნება, შინაპარტიული დაპირისპირება და დავა იდეოლოგიურ საკითხებზე, პარტიის ლიდერების უსაზღვრო ამბიციები, „პროლეტარიატის დიქტატურის“ წიაღში აღმოცენებული „პიროვნების კულტის“ ათეულ და ათეულ წელთა განმავლობაში, მისი მანებლობის შეუმჩნეველობა, მისი დაუსჯელობა?

ამბობენ: ყველაფერი რიგზე იყო და ყველაფერი ნორმალურად, მწყობრად მიმდინარეობდა, სოციალიზმის მშენებლობა წარმატებით მიემართებოდა, ისე რომ პიროვნების კულტს და მის ერთპიროვნულ დიქტატურას სრულებით არ დაუბრკოლებია ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა. აქ იმას კი აღარ გვიხანიათ, თუ საბჭოთა კავშირში ეკონომიკურ-კულტურული ცხოვრ-

ბა, ნორმალურად და დიდი მიღწევებით ვითარდებოდა, სტალინის ხანგრძლივი დიქტატურა როგორ-ღა გახდა 'სესაძლებელი და თუ ამისათვის ობიექტური პირობები არ იყო, რა ნიჟარაგზე წარმოიშვა „პიროვნების კულტი“? ამკარად უნდა ითქვას და არა მიკიბულ-მოკიბულად: პიროვნების კულტი დიქტატურის შედეგია, თუ არა? ჩვენთვის ცხადია, მარქსის თახახმად რევოლუციაა უნდა მოყოლოდა პროლეტარიატის დიქტატურა; ლეხინ-სა ეს შეცვალა ერთპარტიული სისტემის დიქტატურით; სტალინმა ის გარდაქმნა განუსაზღვრელ ერთპიროვნულ ღირანად. აქედან დაიბადა „პიროვნების კულტი“, რა-ბაც ამდენი ზიანი მიაყენა მთელ ხალხს და თვით კომუ-ნისტურ პარტიაა. თეზისებში, ამისი ღრმა ანალიზი სრუ-ლებით არ არის მოცემული, უვნებელ, სტალინის პირად მანკიერებად არის აღიარებული და არა დიქტატორული იყენის დამახასიათებელ თვისებად. ასეა როცა შიშის და ტერორის ქვეშ, თავისთავად, დამბლა დაცემული გა-რემო იქმნება, უმრავლესობა-კი, შეგნებულად თუ შე-უგნებლად, შეგუების ტენდენციით ძლეული, დიქტატო-რის ყოველ მოქმედებას და საქციელს უთაკილოდ ამარ-ილებს. სადაც დემოკრატია არ სუფევს, პიროვნულ დიქ-ტატურას და მის კულტს გზა გახსნილი აქვს, სხვა საშუ-ალებით, მისი მოსპობა, აღკვეთა, არანაირად შესაძლე-ბელი არ არის.

თეზისების დაჟინებით განმეორებაში, ვხვდებით მე-ტად დამახასიათებელ სიტყვებს — „აბსოლუტური, მეც-ნიერული“ — რაც ასე ხშირად იხმარება ავტორების მიერ, ისე რომ, შეუფერებლობას ვერც-კი ამჩნევენ. ტექ-სტი ამტკიცებს, რომ „მუშათა კლასი“, საბჭოთა-კავში-რის ხალხი, კომუნისმის იდეებისადმი აბსოლუტურ ერთ-გულობას“ იჩენს, ან ასეთი მტკიცება: „კაპიტალიზმის სოციალიზმში გადასვლა, აბსოლუტურად ისტორიულად აუცილებელი პროცესია,“ თუმცა იმავე საბჭოთა-კავში-რში, არც ისე იოლი შეიქმნა და მასში გადასვლის ვადე-ბი თანდათან ჭიანჭურდება. წინააღმდეგ, გაჯიუტებულ ჩინელ კომუნისტებისა, — მათს მომხრეებისა, რომ ახალი მსოფლიო ომი, ყველგან სოციალიზმის დამყარებას დააჩქარებს; მათი თეზისები, სოციალიზმის საქმი-სათვის ომის გამოყენებას ერიდება, მის საშიშროებას გა-ურბის და უფრო მოქნილ და სხვადასხვანაირ ტაქტიკას იკავს, — მშვიდობიან, ლეგალური საშუალებით ფიქრობს უომრად და ურევოლუციოდაც კი სოციალიზმის მი-ღწევას. იმ მრავალი ოპოზიციის და გადახვევათა მიმართ, ტექსტში დაგმობილია წარსულში ტროცკის და მისი მიმდევრების, რომელნიც მემარცხენეობის სიტყვიერე-ბის საფარ ქვეშ, ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, სო-ციალისტური მოძრაობა ავანტურისტული გზით წარემა-რთათ. ახლა, როგორც თეზისებიდან ირკვევა, მათი და-ნაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი (ტროცკის-

ტები) ანტი-საბჭოების და პარტიის გენერალურ ხაზის წინააღმდეგ პოზიციაზე მდგარნი, პარტიის შიგნით ლო-იალური კამათისა და ბრძოლის თავისუფლებას მოითხო-ვდნენ. აგრეთვე უკუგდებულა თანამედროვე ტროცკი-ზმი (იგულისხმება მაოციზმი — ჩინეთის კულტურული რევოლუცია) და მემარჯვენე ოპორტუნისტების კაპი-ტულაციური სულისკვეთება, ხოლო არას ამბობენ, რო-გორც ეს წინად, სტალინის დროს, ჩვეულებათ იყო და ოპოზიციონერებს ბრალად აღარ დებენ „შპიონობა და ღალატში“, მოკრძალებით მაინც ადანაშაულებდნენ კრემლის გენერალური ხაზიდან გადახვევას და აცდენას. დღემდე, არც ძველი ოპოზიციონერების, რომლებიც სტალინის ეპოქაში ფიზიკურად, ასე უწყალოდ, შეუბრა-ლებლად განადგურდნენ და არც ახლის- (ხრუშჩოვის ხა-ნის ოპოზიციონერების) გამართლება და პოლიტიკური რეაბილიტაცია, არავის მოუხდენია, მცირედი გამონაკ-ლისით. მათ ისტორიულ წარსულს და ღვაწლს მღუშმარე-ზის ლოდი ფარავს.

სიმკაცრით შეარულებული ვრცელი ქვეყნის ინდუ-სტრიალიზაცია, როგორიც იყო ეკონომიურად ჩამორჩე-ნილი რუსეთი, რევოლუციის შემდეგ ანარქიით მოცული სამოქალაქო ომში გახვეული, მოგვიანებით, სოფლის მე-ურნეობაში მიწის იძულებით კოლექტივიზაციის გატარე-ბამ, რამაც ხალხს ამდენი ტანჯვა, რბევა, მიაყენა გლე-ხობის მასიურად გადასახლება — აწიოკებამ დაანგრია მათი კეთილდღეობა და მეურნეობა მთლად მოშალა, რის წედვეიც დღემდესაც დიდად საგრძნობია. თეზისებში, ჩვენ ვერ ვხვდებით ვერავითარ შენანიებას, შეცდომების აღიარებას.

„კაპიტალისტურ სამყაროს გარემოცვამ, საბჭოთა ხა-ლხი იძულებული გახდა შედარებით მოკლე ვადაში შე-ესრულებია დიდი ეკონომიური ტრანსფორმაცია“, — აწე-რენ თეზისების ავტორები. მართალია, დიდ გარდა-ქმნებს, დიდ ძვრებს“ ჰქონდა ადგილი, მაგრამ მან დიდი მსხვერპლი შეიწირა. სრულებით არავითარი გახსენება, არც გაკვრით მითითება იმის შესახებ, რომ 1925-26 წ. მემარცხენე ოპოზიცია დაჟინებით მოითხოვდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დაუყოვნებლივ წამოწყებას, მაშინ როდესაც სტალინ-ბუხარინი ფიქრობდნენ, სოციალიზმის მშენებლობა, უფრო ნელი ტემპით, აუქმარებლად, წარ-მოებულყო, რათა რადიკალურად გარდაქმნით გლეხთა მასების გულისწყრომა არ გამოეწვიათ და უფრო შეძლე-ბულ გლეხობის მეარველობით, მათ ინტერესების დაკმა-ყოფილებით, მძიმე ეკონომიური კრიზისი მეტ-ნაკლებად შეენელებინათ.

აქ, ჩვენი თეზისებიდან მოვიტანთ რამოდენიმე ამონა-წერს, რათა ნათლად დავინახოთ, თუ როგორ იღვალუ-რად არის დახატული სოფლის კოლექტივიზაცია, — თ-

თქოს ეს ჩატარდა არა აღმინისტრაციული ძალდატანებით, არამედ ნებაყოფლობით:

„სოფლის მეურნეობის გარდაქმნა სოციალისტურ საწყისებზე ყველაზე რთული და ძნელი საქმეა. უნდა დაგვეძლია წვრილი მექაქუთორის საუკუნეებრივი ჩვეულების ძალა, შეგვეცვალა მისი ფსიქოლოგია, დაგვერწმუნებინა გლეხი ახალი ცხოვრების უპირატესობაში... მილიონობით წვრილი ერთპიროვნული მწარმოებელი გლეხი გაერთიანდა კოლმეურნეობაში, დაადგა სოციალიზმის გზას... ექსპლოატატორთა წინააღმდეგობა სოფლად დასვლულ იქმნა მუშათა კლასის და სოფლის ღარიბთა ძალებით, რომლებსაც მტკიცე კავშირი ჰქონდათ საშუალო გლეხობასთან. მთლიანი კოლექტივიზაციის ბაზაზე ჩვენ ქვეყანაში მოისპო უკანასკნელი, ყველაზე მრავალრიცხოვანი ექსპლოატატორი კლასი“-ო.

ხუთ მილიონზე მეტი გლეხი აყარეს და გადაასახლეს ჩრდილოეთის ცივ მხარეში და აზიურ რესპუბლიკებში, რომლებიც სრულებით არ ყოფილან კულაკები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ეკუთვნოდნენ ღარიბ გლეხობის სოციალურ ფენას, მაინც ნაძალადებ კოლმეურნეობას ამჯობინებდნენ თავიანთ ტრადიციულ წვრილ მესაკუთრულ საოჯახო მეურნეობის და კარმიდამოს შენარჩუნებას, ვიდრე კოლექტიურ შრომის უღელში შემებას. რეზისებში, საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს, ეს ბარბაროსული საშუალებით ჩატარებული კოლექტივიზაცია სავსებით უწინააღმდეგოდ და ნებისმიერ განხორციელდა, ყოველგვარი რეპრესიების გარეშე, უმტკივნეულოდ და შეუფერხებლად. ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი გლეხთა ამბოხების და იარაღით გაბრძოლების შესახებ. დღესაც გლეხობა არ არის კმაყოფილი შრომის პირობების და შესატყვის მატერიალურ სარგებლობის დონით. შედეგი: მოისპნენ კულაკები, მაგრამ კვლავ იშვა ახალი პრივილეგიური ფენა (პარტიის მდივნები, კოლმეურნეობების თავჯდომარეები, მართველი ბიუროკრატია, სხვადასხვა სპეციალისტების მთელი არმია და სხ.), რომელიც კოლმეურნეთა არა ნაკლებ ექსპლოატაციას ეწევიან, ვიდრე ოდესმე კულაკები ეწეოდნენ.

1924 წ. და 1936 წ. კონსტიტუციები, ორივე განხილულია, როგორც „დიდი ისტორიული მნიშვნელობის ნოვლებად“. პირველი მრავალეროვნებიანი საბჭოთა სახელმწიფო დაფუძნებულია ფედერაციულ საწყისებზე, სადაც რუსეთის სახელწოდება სრულიად წაშლილია, ის გახდა სხვა რესპუბლიკების თანასწორ უფლებიანი ერთერთი რესპუბლიკა. მაშასადამე, ეს ისე მოეწყო როგორც ლენინს ატურდა, რომელსაც, თითქოს არ უნდოდა რუსეთი ყოფილიყო გაბატონებული, ჰეგემონის მპყრობელი ერი. ხოლო თეზისებს მაინც საჭიროდ მიიჩნია აღნიშნოს, რომ ლენინისტურ ეროვნულ პოლიტიკის რეალიზაციაში, იმავე რუსეთის მუშათა კლასმა,

რუსეთის ხალხმა, მისმა კულტურის და ენის უპირატესობამ, დიდი როლი ითამაშა. იქვე მოხსენებულა სტალინის რუსული სახელმწიფოებრივი იდეები; რომლის პრინციპია, რომ რუსული კულტურა და ენა მძლავრი იარაღია საბჭოთა-კავშირის სხვადასხვა ერთა ურთიერთობისათვის. ამ რიგად, სტალინმა კვლავ წამოსწია რუსი ხალხის, მისი ენის და კულტურის უპირატესობის აზრი, რაც გულისხმობდა „თანასწორუფლებიან“ ერთა გამაღებულ რუპიფიკაციას, დიდი რუსეთის ჰეგემონიას; სინამდვილეშიც ასეც არის, — ფორმალურად თანასწორუფლებიანობა, ნამდვილად კი წმინდა რუსული სახელმწიფოს ბატონობა.

„განთქმული, 1936 წლის კონსტიტუცია“ მიღებულ იქნა პარტიის მასიური წმენდის, რეპრესიების და ტერორის პერიოდში, რომლითაც საბჭოთა ხალხებს „ძინებისათ თავისუფლება და დიდი უფლებები“, რაც არასდროს ცხოვრებაში გატარებული არ ყოფილა. იქ განცხადებულია, რომ საბჭოეთში კონსტიტუცია არის სოციალიზმის სახელმწიფოებრივ საფუძვლებზე:

— „მოქალაქეთა ფართო სოციალური თავისუფლება და უფლებანი; შემოიღო ფარული კენჭისყრით, ხელისუფლების ორგანოების პირდაპირი, თანასწორი და საყოველთაო არჩევნების სისტემა, გააფართოვა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლობა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში, პოლიტიკური ზედნაშენი სოციალიზმის ეკონომიკური ბაზის შესაფერი გახდა“.

ეს, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეეფერება; სოციალიზმი, ასე სწრაფად, ხანდაუხმელად, „დაკვრითი წესით“ ვერ დამკვიდრდებოდა. ლენინი კი ითვალისწინებდა არა ახლავე სოციალიზმის განხორციელებას, არამედ, პირველი ხანისათვის, ის დასახული იყო მთავარ ძისაღწევე ობიექტად, მიზნად, მრავალი ეტაპის გავლით; მას აზრადაც არ მოსვლია, რომ ხელისუფლების მოპოვებით სოციალიზმი უკვე დამყარებულია.

თეზისებში ასევე კრინტიც არ არის დაძრული იმის შესახებ, რომ „ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუციის“ შემდეგ, ხრუშჩოვის ეპოქაში, „ყველაზე უფრო ლიბერალური კონსტიტუცია“ უნდა შემოეღოთ, რადგან სტალინის ეპოქის კონსტიტუცია უკვე მოძველებულად ჩანდა, თან ის ემსახურებოდა ერთპიროვნულ დიქტატურას და მისი კულტის გამტკიცებას. პრესაში განცხობვლებული კომპანია სწარმოებდა მიაი შედგენის დასაჩქარებლად; არავინ იცის რა ბედი ეწვია იმ კომისიას, რომელსაც ახალი კონსტიტუციის პროექტის მომზადება ჰქონდა დავალებული. ხრუშჩოვთან ერთად კონსტიტუციის გეგმა, როგორც სჩანს, დავიწყებას მიეცა. ალბათ, დარწმუნდნენ იმაში, რომ საქმე ახალ-ახალი კონსტიტუციის შემოღებაში კი არ მდგომარეობს, არა-

მედ, მის ძირითად კანონების ცხოვრებაში გატარება, რაც მათ არ ძალუძთ, რადგან ხალხისთვის თავისუფლებისა და უფლებათა მიცემას, სიფრთხილის გამო, ასე ადვილად ვერ იმეტებენ.

თეზისები ამართლებს გერმანია — საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის პაქტის დადებას (1939 წ. სექტემბერი). ეს თავდაუსხმელობის ხელშეკრულება, რომლითაც, ვითომც ჩაშლილ იქნა დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების ფარული გეგმები და მათი ბოროტი განზრახვანი საბჭოთა კავშირის მიმართ, რამაც შესაძლებელი გახადა დროის მოგება ქვეყნის თავდაცვის გასაძლიერებლად.

„საბჭოთა მთავრობა ენერგიულად ცდილობდა ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას, რათა გზა გადაეღობა ომისათვის. ეს ღონისძიება წააწყდა დასავლეთელ პოლიტიკოსთა — „მიუნხენელთა წინააღმდეგობას, რომლებიც ცდილობდნენ ფაშისტური აგრესია წარემართათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და კავშირი დაედოთ ჰიტლერთან. ამ რთულ ვითარებაში საბჭოთა კავშირმა გერმანიასთან დადო თავდაუსხმელობის ხელშეკრულება, რომელმაც ჩაფუშა იმპერიალისტთა ვარაუდები და საშუალება მოგვცა დრო მოგვეგო ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განსამტკიცებლად. დასავლეთის მართველი წრეების ხელშეწყობით ჰიტლერმა დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, ხელში ჩაიგდო ევროპის ბევრი სახელმწიფო და დაიძრა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

ეს გრძელი ამონაწერი იმის ნიმუშია, იმის მაჩვენებელი, რომ პოლიტიკური მიზნით საბჭოთა კავშირში, თუ როგორ შეიძლება დამახინჯდეს ისტორიული ფაქტები და მოვლენები, ყველა ცოდვის იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე გადაბრალებით, საკუთარ დანაშაულის დასაფარავად, მცირედი საყვედური, შენიღბულად, მიმართულია სტალინის მიმართ, ომის პირველ ხანებში მიღებული საომარ მარცხის გამო: „თავისი როლი შეასრულა ჰიტლერული გერმანიის ჩვენზე თავდასხმის შესაძლო დროის განსაზღვრაში დაშვებულმა შეცდომებმა და ამასთან დაკავშირებულმა დაუდევრობამ პირველი დარტყმის მოგერიებისათვის მზადებაში, ე. ი. სტალინმა ვერ გაითვალისწინა თავდასხმის მომენტი და ვერ შესძლო მოუმზადებლობის გამო პირველი დარტყმის მოგერიება. ხრუშჩოვის წინანდელი ბრალდება სტალინის უპასუხისგებლობის შესახებ, მოხსნილად შეიძლება ჩაითვალოს, რამოდენიმედ შემაუბუქებელია და დიქტატორი, მისი პიროვნება, მისი როლი ტექსტში ასეა მოხსენებული: „შეიქნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ი. ბ. სტალინის თავმჯდომარეობით.“ ასე ძუნწი და ლაკონური „დიდი სამამულო ომის“ ისტორია, მასში სტალინის როლი მინიმუმამდე არის დაყვანილი და ახალი ფორმულით შეცვლილი: გამარჯვება საბჭოთა არმიამ დაიცვა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მო-

ნაპოვარიო. სად გაპქრა „უდიდესი სტრატეგის“, „გენერალისიმუსის“ ტრიუმფია განდიდება, კულტის მწვერვალზე აყვანილი ძველი ქება--დიდება?

დასასრულ, „შეურყვეველი დასკვნა“ გაკეთებული: მსოფლიოში არ არის ძალა, რომ სოციალიზმის დანგრევა შეეძლოს, —მედიდურად ღალადებენ თეზისების ავტორები. „ამერიდან, ჩვენი ქვეყანა კაპიტალიზმის აღდგენის ყოველგვარ საფრთხის გარეშეა“ო. ჩვენ ამ დებულებას ვერ გავიზიარებთ, არცაა ამის საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რეჟიმი, თავის არსებობის 50 წელს ითვლის, რომელიც მათ ასე ღრმად განმტკიცებულად და დამკვიდრებულად ეგულებათ, მთლად დამაჯეოებელი მიანც არ უნდა იყოს; ჩვენ კი მათი „ღრმა რწმენა“, მოჩვენებითი და ილუზიის ნაყოფი გვგონია. მყარი და უცვალეზადი ამ ქვეყნად არაფერია, ერთა და სახელმწიფოთა მუდმივი კონფლიქტები ამის დამამტკიცებელია. შემთხვევით, ისიც იმპერიალისტური მოკავშირეების უხვი დახმარებით, ერთ ომში გამარჯვებით, „შეურყვეველი დასკვნის“ გამოტანა ნაადრევი და სახიფათოა; შეიძლება ერთი ომი მოიგო, მეორე — წააგო; ომის ფორტუნა ყოველთვის ერთ მხარეზე როდია! მეცნიერული დეტერმინიზმი ხშირად არ მართლდება, ისტორიის მსვლელობა აუცილებლად სწორხაზოვანი არ არის, მას ფათურაკი ბევრი ჩვევია.

უკან კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება, სოციალიზმის წაშლამატებლობით, რეჟიმის შინაგან პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის დეფორმირების შედეგად, ადრე თუ ოციან, მართლაც, აუცილებელია.

ტექსტი გმობს „სტალინის პიროვნების კულტს“, რომელმაც გამოავლინა მარქს - ლენინიზმის წინააღმდეგი უცნაური სულის კვეთება, წინ წამოსწია ისტორიის სარბიელზე ერთი პიროვნების როლი, დაშორდა პარტიის კოლექტიურ ხელმძღვანელობის ლენინისტურ პრინციპებს, ხელი მიჰყო სრულებით გაუმართლებელ რეპრესიებს და სოციალისტური კანონიერების ნორმების დარღვევას.

„ამ დამახინჯებებმა, მიუხედავად მთელი თავიანთი სერიოზულობისა, ვერ შესცვალეს სოციალისტური საზოგადოების ბუნება, ვერ შეარყიეს სიღრმით სოციალიზმის საფუძვლები. პარტიასა და ხალხს ღრმად სწამდათ კომუნისმის საქმე, ერთუზიანობით შრომობდნენ, ახორციელებდნენ ლენინურ იდეალებს, სძლევდნენ სინელებს, დროებით მარცხსა და შეცდომებს“ - ო, უმატებს თეზისები.

თუ სოციალიზმის ბუნების სიღრმეს და მის საფუძვლებს სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურით გავსინჯავთ, მაშინ ეს მტკიცება შეიძლება მართალი იყოს, მაგრამ, თუ სოციალიზმის რეალიზაციას განვიხილავთ განსხვავებათა მოსპობის თვალსაზრისით, ან შრომის მონური

პირობების დასასრულის, ანდა, როგორც სოციალიზმი გულისხმობდა, მწარმოებელთა თავისუფალი ასოციაციის დაწესების მიხედვით, მაშინ, სტალინის 30 წლის ბატონობამ, უდავოდ, რამოდენიმე ათეული წლებით უკან დახია, ძალდაუტანებლად და ნებიერი თანხმობით, სოციალისტური სახელმწიფოს აღმავლობა.

„საბჭოელებს უმუშევრობის შიში აღარ აქვთ, საბჭოთა-კავშირი არ იცნობს რა არის უმუშევრობა და სიღარიბე“, ამბობს თეზისები. იქნებ მართალია, თუმცა ვექვობთ, რაც შეეხება უმუშევრობას. სიღარიბეზე თუ ვიტყვივით რამეს, საკმარისია ფავეცნოთ კოლმეურნეების და არაკვალიფიციურ მუშათა ცხოვრების დაბალ დონეს, მიუხედავად საგრძნობი პროგრესისა, საბჭოთა მცხოვრებთა უმრავლესობა ჯერ კიდევ ძალიან ღარიბად ცხოვრობს.

„ჩვენი ქვეყანა არჩევანის წინაშე იდგა: ან შეგნებულად შეეზღუდათ ადამიანთა მატერიალურ ცხოვრების დონე და გმირული მეცადინეობით უმოკლეს ვადაში შეექნა მძლავრი ეკონომიკა და განემტკიცებინა თავისი თავდაცვის უნარიანობა, ან და მას, რეაქციის გაერთიანებული ძალები გასრესდნენ“. (თეზისები). ჩვენ ხომ ვიცით, კაპიტალის დაგროვების პირველ პერიოდში, როგორც კაპიტალისტურ, ისე სოციალისტურ საზოგადოებაში საჭიროა მახვერპლის გაღება და ცხოვრების დონის შეზღუდვა, ხოლო, საჭირო აღარ არის, განემარტოთ, თუ ვინ ირჩია ეს შეზღუდვა, — ხალხმა, თუ მას ზევიდან, დაუკითხავად, ძალის-ძალათ თავზე მოახვიეს? ვალეზული მახვერპლი ერთი და ორი თაობის მიერ, დიდი ზომისაა, შედეგი დუხჭირი და მკლეა, სოციალიზმის მსუქან-მეწველ ძროხებამდე ჯერ კიდევ გრძელი მანძილია გასავლელი.

**კომუნისმის მშენებლობა.** თეზისები მეორე პარაგრაფი, მომავალ „კომუნისმის მშენებლობას“ ეხება. როგორც ცნობილია, სოციალიზმის პრინციპია — თვითეთლისაგან, უნარის მიხედვით, თვითეთულს — შრომის მიხედვით. სოციალიზმიდან კომუნისმზე, ერთიდან მეორეზე გადასვლა, რა თქმა უნდა, ასე იოლად არ მოხდება, აუცილებელია, — განმარტავს თეზისები, — შეიქნას სათანადო მატერიალური და ტექნიკური ბაზა“. აქედან ჩხადია, ამჟამად, საბჭოთა-კავშირში კომუნისმზე გადასვლის წინამძღვარი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჯერ კიდევ არ არსებობს. როდისთვის იქნება მზად? ხრუშჩოვმა (პარტიის ახალი პროგრამის მოხსენება, დეკემბერი - 1961წ. 22-ე ყრილობა), გადასვლის პერიოდი 1980 წ. განსაზღვრა, მისი მეგვიდრეები უფრო ფრთხილად იქცვიან: არსებითარ ვადას არ სდებენ. რაც შეეხება მაო-ძე დუნს, ის მეტად გრძელ და ხანიერ მანძილს ითვალისწინებს, მრავალი პერიოტიებით. მისთვის, ამ ოპერაციისათვის, საჭიროა რამდენიმე თაობა, კიდევ მეტი, რამდენიმე საუკუნე. ჩვენ ამ დავაში არ ვერევით,

ეს მათი საქმეა, ამის განსაზღვრა უიმედო ცდად მიგვაჩნია, ალბათ, იდეალისტ კომუნისტების ბევრ თაობას, თმა ისე გაუჭალარავდებათ, რომ კომუნისმის ამომავალ მზის სხივებს ვერ იხილვენ.

იმის მაგივრად, რომ შორეულ მომავლის პერსპექტივებზე ილაპარაკონ, ვანა უმჯობესი არ არის დღევანდელ მდგომარეობას ჩაუკვირდენ და თავიანთ თავს შეეკითხონ: სოციალისტური პრინციპი — თვითეთულს, შრომის მიხედვით — თუ მართებულად და ზუსტადაა გატარებული? მართლაც, გარდა კოლმეურნებისა, მუშები ყველა ხელფასიანია, მაგრამ ხელფასის იერარქია (საფეხური) ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე პროფესიულ კვალიფიკაციის იერარქია. სხვაგვარად რომ ვსთქვათ, უფრო მაღალი ხელფასი წარმოადგენს არა მარტო შრომითი ანაზღაურებას, არამედ, აგრეთვე, დამატებით ჯილდოს (პრემიას), რომელიც დანიშნულია შრომის ნაყოფიერების (პროდუქტიობის) ზრდის და პროფესიულ კვალიფიკაციის (დახელოვნების) ამაღლებისათვის. საიდან მოდის (ხელფასზე მიმატებული ჯილდო? ეს ჯილდო მომდინარეობს სხვა მუშახელის მიერ შექმნილი ღირებულებიდან, სახელდობრ: სოფლის კოლმეურნეობათაგან, რომელთაც (მათი შრომის ღირებულებაზე), სახელმწიფოს მიერ შესყიდულ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, ნათ ძალზე მცირე ფასს უხდიან.

პირველად, ხრუშჩოვმა მოახდინა ხელფასის იერარქიის ზოგი რამის შეცვლა: უფრო დაბალი ხელფასის მომატება; ხოლო, ადამატებული ბობოლა ბიუროკრატების ჯამაგიერები და პრივილეგიები ოდნავ შემცირებულ იქნა. სტალინის დროის ფადაჭარბებული ჯამაგიერები და პრივილეგიები ერთგულების მოახვეჭად, შეკვეცილია და გამოაწორებული. მაგრამ ხელფასის განსხვავება ჯერ კიდევ მრავალსაფეხურიანია, განსაკუთრებით ფიზიკური და გონებრივ მუშაკთა შორის, რაც ზოგ იდეალისტი კომუნისტების აზრით, სოციალიზმიდან კომუნისმზე გადასვლით მოისპობა... ალბათ, ის ხანგრძლივად იარსებებს და უეჭველად მანამდე დაჩჩება, სანამ ფიზიკურ მუშაკთა კვალიფიკაციის არ მიღწევს უფრო მაღალ დონეს.

თეზისების რწმუნებით: სოციალიზმის დროს არ შეიძლება ხელფასის გათანაბრება, ვინაიდან სოციალური და ეკონომიკური დიფერენციაცია მთლად წაშლილი არ არის, სხვადასხვანაირ სამუშაოთა არსებობის გამო. (შრომის სხვადასხვა სახის გამო). ხელფასის ახლავე გათანაბრება, თვით მუშების მატერიალური დაინტესების სტიმულირებას ავნებს.

ზოგიერთ სტატისტიკური ცნობების მონაცემებს თუ გადავხედავთ და ვერწმუნებით ციფრებს, სოციალურ ეკონომიურ და კულტურულ დარგში, მეტად შთამბეჭდავია და შიგნით, არავის შეუძლია ის საცილობელი გა-



ხადოს, თუმცა უცხოეთში სამართლიან ექვემდებარებას ბადებს, მაინც, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა-კავშირის, ჩამორჩენილი და ეკონომიურად განუვითარებელ ქვეყნის მდგომარეობიდან გამოვიდა, ძლიერ ინდუსტრიულ ქვეყანად იქცა. ზოლო, საბჭოთა ხალხებს, ჯერ კიდევ, დიდი ღონისძიება და ბევრი დრო დასჭირდება, დაეწიოს ისეთ მაღალ მწარმოებელ მქონებელს, როგორც არის ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები. მახლობელ პერსპექტივაში ამის მიღწევა, ისიც წარმოების სოციალისტური სისტემით, მეტად ძნელი საქმა.

როგორც ყველაფერში, პარტიის და სახელმწიფოს შეიარაღებით, ეკონომიურ სიტუაციას, პოლიტიკური მოსაზრებით, განგებ ამარტივებენ, მაგალითად, როცა თეზისებში ამბობენ, რომ სამრეწველო პროდუქციის (1929—66 წ.) საშუალო წლიური მატება 11,1 პროცენტს აღწევდა, ამერიკის 4 პროცენტს ინგლის-საფრანგეთის — 2,5 პროცენტს, რომ მათმა წარმოების ზრდის ტემპმა ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს გაუსწრო, სინამდვილე არ შეესაბამება, შეიძლება ციფრები მართალი იყოს, ზოლო დასკვნები, რომელიც მათ გამოყავს, სწორი არ არის. დასაშვებია, პირველ ხუთწლეულში წარმოების ზრდის ტემპი, მართლაც სწრაფი და აჩქარებული იყო, რაც ბუნებრივია, ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც ინდუსტრიალიზაცია ის-ის იყო იწყებოდა, შემდეგ, მეორე ომის დამთავრებისას, დანგრეული ქვეყანა რეკონსტრუქციას აჭიროებდა. ეს კი მოითხოვდა აღმშენებლობის გაფართოვებას. აქედან აჩქარებულ ტემპზე გადასვლას. ახლა კი განვითარების ტემპი მოდუნებულია. სპეციალისტების გამოანგარიშებით, ის ძლივს აღწევს წლიურად 8 პროცენტს, მაშინ როდესაც, კაპიტალისტურ ქვეყნების მატება ხუთი პროცენტით განისაზღვრება.

ეს ციფრები ამოღებულია თვით თეზისებიდან. მე შევასწორე რეიმონ არონის, ვიქტორ ფეის და ენციკლოპედიკ ენციკლოპედიის მიხედვით. აქ საქმე ეხება პროდუქციის მატებას წლიურად; საბჭოების მიხედვით: საბჭოთა კავშირში წლიურად პროდუქცია მატულობს 11,1 პროცენტით; ამერიკაში კოთხი პროცენტით. აქაური ეკონომისტების გამოანგარიშებით: საბჭოთა კავშირში დაახლოებით პროდუქცია მატულობს რვა პროცენტით; ამერიკაში — ხუთი პროცენტით. ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა კავშირი წინ უსწრებს ამერიკას პროდუქციის ზრდაში. ტემპი ზრდისა საბჭოთა კავშირში უფრო დიდია. ამერიკაში წლიური მატება პროდუქციისა სტატისტიკურად წინააღმდეგ შემთხვევაში: რომ ამერიკაში ზრდის ტემპი ისეთივე იყოს, როგორც საბჭოთა კავშირში, ზეპროდუქციასთან გვექნებოდა საქმე. ეს კი დაარღვევდა ეკონომიკური განვითარების წონასწორობას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში ზრდის ტემპი უფრო ძლიერია, პროდუქცია იქ უფრო

ნაკლებია, ვიდრე ამერიკაში. რა თქმა უნდა, ამერიკა წარმოების ყოველ დარგში წინ არის საბჭოთა კავშირზე. ეს საყოველთაოდ ცნობილია. საამისო სტატისტიკური ცნობების მოტანა შემეძლო, მაგრამ ეს ჩემ წერტილს გადადიდებდა. ტემპი რუსეთში შეიძლება აჩქარებული იყოს, მაგრამ მისი ინდუსტრიის შესაძლებლობა კი ნაკლებია რადგან კაპიტალისტურ ქვეყნებში ინდუსტრია მეტის-მეტად არის განვითარებული და ძლიერია. და ალბათ საბჭოთა კავშირს მთელი ერთი საუკუნე დასჭირდება, რომ ამერიკას დაეწიოს პროდუქციის დარგში.

საბჭოეთის წარმოების ტემპის შენელების ტენდენცია ორი გარემოებით აიხსნება: უწინარეს ყოვლისა, ისეთ აგრარულ ქვეყანაში, როგორც ძველი რუსეთი იყო, კაპიტალის პირველადი დაგროვება და მისი წარმოებაში დაბანდება ჩქარის ტემპით მოხდა, მაშინ როდესაც, კაპიტალისტურ ქვეყნებში ინდუსტრიალიზაცია დიდი ხანია დამთავრებულია და ამ უამად, წარმოების ტემპი სასვებით ნორმალურად მიმდინარეობს, ისიც ბაზრის მოთხოვნილების მიხედვით. მეორე ისაა, რომ ეკონომიური მართვლობის მეთოდი საბჭოთა-კავშირში ავტორიტეტულ და ცენტრალიზებულ საწყისზეა აგებული, რისაც ინდუსტრიალიზაციის დასაწყისში შედარებით დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო, ახლა კი ტემპის შენელებას იწვევს კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა, მუშახელის სიმცირე, უვარგისი პრობოები შრომის, დაბალი ხელფასი, გაწეულ შრომის არა-სრულად ანაზღაურება, მოკლე, მატერიალური დაუინტერესლობა. აქედან, ლიბერალ-ტრაპეზიკოვი ეკონომიურ გამგებლობის უახლოესი რეფორმა, რაც მიზნად ისახავს, მატერიალურ დაინტერესების და სტიმულირების საფუძველზე, საწარმოთა პროდუქციის ზრდას, ბაზარზე იაფ და ხარისხოვან საქონლის გამოშვებას, საერთო კეთილდღეობის ამაღლებას და მაშასადამე, მთელი მშრომელი ხალხის შრომის პირობების გაუმჯობესებას, სოციალიზმის პრინციპების თანახმად, გაწეულ შრომის სრულ ანაზღაურებას. ჯერხობით, ახალი ეკონომიკური რეფორმა ნაწილობრივ ტარდება, საბჭო-კავშირის ვრცელ ტერიტორიაზე, ისიც გამოცდის სახით, თუ კარგი შედეგი მოიტანა, ის მთლიანად გატარებული იქნება, როგორც საწარმოო ეკონომიკაში, ისე სოფლის მეურნეობაში. როგორც თეზისებიდან ჩანს, ამ ახალი ექსპერიმენტის რეზულტატით, პარტია, მთავრობა და ეკონომიური წრეები, კმაყოფილი უნდა იყვნენ.

თეზისების თანახმად: „ეკონომიკური რეფორმა ნიშნავს ახალ მიდგომას ეკონომიკის მართვისადმი, გააძლიეროს ხელმძღვანელობის ეკონომიური მეთოდების როლი, სრულყოფს სახელმწიფო დაგეგმვა, გააფართოოს საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობა და ინიციატივა, ყოველი ღონისძიებით დაწერგოს და სრულყოფს სამეურ-

ნეო ანგარიში. რეფორმის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობის სწორ შეხამებაზე საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობასთან, მორალურ და მატერიალურ სტიმულირებასთან, სოციალისტურ საფუძველზე სასაქონლო - ფულადი ურთიერთობისა, და მასთან დაკავშირებული კათეგორიების — მოგების, ფასების, კრედიტის და სხ.“

შეცდომა იქნებოდა გვემტკიცებინა, როგორც ამას წერებთან დასავლეთის ზოგი ეკონომისტები, ან ჩინელი კომუნისტები, რომ საბჭოთა კავშირი ვითომც კაპიტალიზმის აღდგენის გზაა დაადგა. წარმოების გაძლიერების და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაუხვევის მიზნით, მართლაც გამოყენებულია კაპიტალისტური წარმოების ნაწილობრივი პრინციპები (მატერიალური დანტერესება, ინიციატივა, სტიმულირება და სხვა), ხოლო ეს იმას არ ნიშნავს კაპიტალიზმის რესტავრაცია ხდება. სანამ ჯერ კიდევ პარტიას აბსოლუტურად ხელთ უპყრია სახელმწიფოს მართვა - გამგეობის საქმე, სადაც უძრავ - მოძრავი ქონება მის განკარგულებაშია, მთელი ქვეყნის უამრავი სიმდიდრე მის ხელშია, სადაც კერძო საკუთრება არ არსებობს, დემოკრატია და პიროვნების თავისუფლება ძირიან-ბუღდიანად აღმოფხვრილია, კაპიტალიზმის აღდგენაზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია. კაპიტალიზმისაკენ ოდნავი შეზღუდვა, პატარ - პატარა ეკონომიკური რეფორმები, კაპიტალისტური წარმოების მეთოდების გამოყენება, რადიკალურად ვერ შეარყევს საბჭოთა წესწყობილების პოლიტიკურ რეჟიმს და ერთპარტიულ ძლევამოსილებას. თუ მათრლაც რამოდენიმედ, იქ სოციალიზმი კაპიტალიზმისაკენ იხრება, ამას მკირედი გამართლება მაინც აქვს, რადგან წამდაუწყუმ ნაქები სოციალისტური წარმოების სისტემა, არც იმე ნაყოფიერი და უმჯობესი გამოდგა კაპიტალისტურ წარმოებასთან შედარებით, როგორც ეს ეგონათ სოციალიზმის დოგმატიკოსებს, ლენინ - სტალინ - ხრუშჩოვის და სხვებს. ექვს გარეშეა, იქ არსებობს სოციალისტური ყიდის სახელმწიფო კაპიტალიზმი და გაუზიარებლად, მისი ზატონ - პატონია კომუნისტური პარტია. ახალი ეკონომიკური რეფორმა გამიზნულია ბიუროკრატული სკლეროზის და ადგილებზე გამეფებულ კონსერვატიზმის მოსასპობად, რუტინის, უნიციაცივიზმის, საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვის და დატაცების აღაკვეცად. ასეთი უნიათო პალიატივები ვერას დროს სოციალიზმის უხეირო ექსპერიმენტებით დაზიანებულ ეკონომიკურ ცხოვრებას ვერ გააჯანსაღებს.

თეზისებში სრულებით აღნიშნული არ არის უადრესად ცენტრალიზებული მართველობით გამოწვეული იმედის გაცრუება, მისი უვარგისობა, მისი სიმდარე, ან პროდუქციის ცუდი ხარისხის დაშლადება, უხარის-

ხობა, გვემის შეუსრულებლობა და სხვა. დაგვემის ახალი მეთოდი, თითქოს უფრო მოქნილი, პრაქტიკასთან შეგუებულია, რომელიც ნახევრად მაინც ანგარიშს უწევს მცხოვრებთა საჭიროებას, მათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. თუ დააჯერებელია, საგრძობლად გაუმჯობესდა შრომის ნაყოფიერება, ნაწარმოა ხარისხი და საქონლის თვითღირებულება ძალზე შემცირდა. მაინც, ჯერ კიდევ, ნაჩქარევი იქნება რეფორმის შესახებ რაიმე გარკვეული დასკვნის გამოტანა, რადგან მთლიანად მთელი მრეწველობა მის ფარგლებში არ იმყოფება, არც კოლმეურნეობაშია სავსებით გატარებული ახალი სისტემის მართველობა. ის, რაც ხდება სახალხო დემოკრატის ქვეყნებში, სადაც ეს რეფორმა უფრო ადრე გატარდა, მაინც და მაინც, ეკონომიკურ ცხოვრებას დიდ წარმატება არ ხვდომია წილად, ვიდრე საბჭოთა კავშირში, იქ მიღებული შედეგების თანახმად თუ ვიმსჯელებთ, მაშინ დიდი ოპტიმისტი ვერ იქნებით ახალი მომავლის“.

თეზისები ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარტია და მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიკური და სოციალური პროცესების მეცნიერული ხელმძღვანელობას, ცენტრალიზებული გვემინი ხელმძღვანელობის ყოველი ღონისძიებით სრულყოფას და მართვის დემოკრატული საფუძვლების განვითარებას, „მართვაში მშრომელი ფართო მასების ჩაბმას“ ცენტრალიზებული მართველობის სისტემა, მეტ-ნაკლებათ, შეიძლება, ხალითლაც შესუსტდა, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით, მთლად საკმარისი არ არის, ცენტრიზმი კვლავ ძალაში რჩება, სიტყვა „დემოკრატის“ დამატებით, რაც საბჭოთა წყობილებაში ყოვლად ფორმალური და ეფექტიანობა მოკლებულია. ამავე დროს იმედოვნებენ, სოციალურ-ეკონომიკური პროცესები რალაც მეცნიერულ საფუძვლებზე დაამყარონ, მეონი, აქ უნდა იგულისხმებოდეს სოციალ-ეკონომიკური ახალი პრობლემისადმი ზუსტი მეცნიერული მიდგომა, კონკრეტულად, ბაზრის მექანიზმის და მცხოვრებთა უსაჭიროება მოთხოვნილებათა გულდასმით შესწავლა. ამასთანავე, ახლა მაინც ყველამ იცის, „მართველობის დემოკრატული საფუძველი, და განსაკუთრებით, მშრომელთა ფართო მასების მართველობაში ჩაბმა“, არას დროს რეზოლუციები იქით არ წასულა, შორს არც ახლა წავა. ზომ ცნობილია, რომ პროფკავშირებს და საქარზნო კომიტეტებს, პრაქტიკულად, არავითარ ეკონომიკური პრეროგატივები არ გააჩნიათ, არ აქვთ არავითარი უფლება საწარმოთა გამგებლობაში ჩარევისა. მართალია, ისინი მონაწილეობენ პროდუქციის გაუმჯობესების სხვა და სხვა კონფერენციებში და ეს მხოლოდ და მხოლოდ თათბირის ხასიათს ატარებს. უკვე, ზევიდან წინასწარ დადგენილის შეცვლა მათ არ შეუძლიათ. უმთავრესად, ამ კონფერენციების

თათბირების ობიექტია წარმოების შრომის რაციონალიზაციისაკენ წაბიძგება, მუშების ინიციატივისაკენ წაქეზება, ცოტა ოდენი შრომის პირობების გაუმჯობესება და სხვა ამგვარი. სხვა რომელიმე სერიოზულ საკითხებზე მათ არავინ ეკითხება. ამისათვის გავისხენოთ, თუ გნებავთ, ხრუშჩოვის მიერ ირონიული შენიშვნები, როცა ის იუგოსლავიაში ყოფნის დროს (1963 წ.) იტალიური ჟარგონების მუშათა თვითმართველობის სისტემას გაეცნო, გადაკრული დაცინვით თქვა: ჩვენც შემოვიღებთო! რა თქმა უნდა, მას არავითარი ამისი მსგავსი არ შემოუღია! ამხანად კი საბჭოთა კავშირში, ეკონომიკური მართველობის სადავეები პარტიის პასუხისმგებელ პირთა და ტექნიკოსთა კუთვნილებას შეადგენს. მუშათა წარმომადგენლებს იქ ადგილი არა აქვთ; მათი უფლება და ნოვალეობა არის აუცილებლად მონაწილეობის მიღება და უსიტყვოდ მორჩილება. ხრუშჩოვის პერიოდის ნაწილობრივ ეკონომიკურ მართველობის დეცენტრალიზაციამ, ავტონომიური სახალხო სამეურნეო საბჭოთა ეკონომიკური რეგიონების შექმნით, მეურნეობაში სრული ანარქია გაამეფა და ეკონომიკური კრიზისი გაამწვავა; ვერც ცენტრმა და ვერც ავტონომიურმა მართველობამ ეკონომიკური დაქსაქსული პროცესს თავი ვერ გაართვა, რაც შემდეგ მარცხით დამთავრდა. მისმა მემკვიდრეებმა ავტონომიური მართველობა მოშალეს და კურსი კვლავ ცენტრალიზმისაკენ აიღეს, ეკონომიკური დარგების მიხედვით, წინად გაუქმებული სამინისტროების აღდგენით.

თუჩისებს თუ დაუჯერებთ: „მთელი ძალა-უფლება თვით ხალხის ხელშია“, სინამდვილეში ხელისუფლება პარტიას უპყრია, ფორმალურად, უმალღეს და ადგილობრივ საბჭოებს ეკუთვნის. ხოლო ეს ფორმულა, რატომღაც 50 წლის თავზე, 1917წ. ოქტომბრის გადატრიალების ლოზუნგს გვაგონებს: „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს! ამით, ალბათ უწყვიტელი კავშირი უნდა გააბან აჩლანდელთან და წინანდელთან. ხოლო, ამჟამად შიტად ძნელია ვინმემ დაიჯეროს, რომ საბჭოთა კავშირში ხელისუფლება რეალურად ხალხის ხელშია; ჭიკყნის ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია (მცხოვრებთა 5 პროც. წარმოადგენს); ყოველ დონეზე საბჭოების დიპლუტატები ზევიდან პარტიის ორგანიზაციების აპარატებიდან ინიშნებიან, 99 პროცენტი არჩევნები მხოლოდ ამის ფორმალური დადასტურებაა. არავის არ ძალუძს სხვა კანდიდატი წამოაყენოს, ან არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს, ან ხმა წინააღმდეგ მისცეს. ასევე ყოველ მოხელეს, მინისტრებს და თანამდებობის პირებს პარტია ნიშნავს; ადგილის შეცვლა ან გადაყენება პარტიის უმაღლეს საბჭოებში ფორმალურად ამტკიცებენ. ამის შემყურეს, როგორ შეუძლია დაიჯეროს, რომ საბჭოთა კავშირში,

ისიც სოციალიზმის დროა, ხელისუფლება ხალხის ხელში არის!?

წარსულში, ყოველი ცდა, მთავრობა პარტიას დაპირისპირებოდა, ვინც ამის ინიციატივა გამოიჩინა, მარცხით დასრულდა. ეს მოიწადინა რიკოვმა, მაშინ მთავრობის თავმჯდომარემ; ის მაშინვე ყოვლის შემძლე სტალინმა, პარტიის გენერალურმა მდივანმა, გადააყენა. შემდეგ, მის აცოცხლეში, არავის უცდია ასეთი რამ. ასევე მალენკოვის ცდაც; მისი გადაყენებით გათავდა. ხრუშჩოვმა მას ჯერ პარტიის მდივნობა ჩამოართვა, შემდეგ მთავრობის თავმჯდომარეობაც მისტაცა. 1964 წ. ხრუშჩოვი, როცა ამ ორივე პოსტის უფალი იყო, მოულოდნელად გადააყენეს, რადგან ცენტრალურ კომიტეტს და პოლიტბიუროს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა; უფრო სასახლოდ მიაჩნდა მთავრობის ხელმძღვანელობა, ხშირად პარტიის დაუკიხავად, პიროვნულად სწყვეტდა საშინაო და საგარეო საკითხებს, კოლეგიალურ ხელმძღვანელობას უფლებებს უყოფდა, უდიერად ეპყრობოდა საერთო დადგენილებას, მოქმედებდა თვითნებურად და პარტიას არა-ერთხელ აღარულებულ ფაქტის წინაშე აყენებდა.

პროლეტარიატის დიქტატურას სახელმწიფო სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ, მთელი ხალხის პოლიტიკური ორგანიზაცია მუშათა კლასის ხელმძღვანელობით ხდება“. (თუჩისები). მთელი ხალხის სახელმწიფოს იდეა, პირველად ხრუშჩოვმა გადმოსროლა, თუმცა ასეთი იდეა მარქსიზმისათვის აბსოლუტურად უცხოა. ენგელსის თანახმად, „სახელმწიფო, კლასის მეორე კლასზე, ჩაგვრის იარაღია“. ზეკლასიური სახელმწიფოს კონცეპცია, ლასალის „ფოლკშტაატ“ (სახალხო სახელმწიფო), უფრო ენათესავება, ვიდრე მარქსისტულ კლასობრივ სახელმწიფოს, რომელსაც მარქსი, თავისდროზე, სასტიკად აკრიტიკებდა. საბჭოთა კავშირის სახელმწიფოს ახალი ვაგება (მთელი ხალხის და ა-ა კლასობრივი. აქედან ხრუშჩოვის რევიზიონიზმის საწყისი): სტალინიან თეორიას სასტიკად უარჰყოფს, რომლის მიხედვით, რაც უფრო სოციალიზმს ვუახლოვდებით, მით უფრო მწვავედ და კლასთა ბრძოლა. მით უფრო საჭიროა სიფხიზლი და პოლიციური რეპრესიები, სოციალიზმის მოწინააღმდეგეთა გასანადგურებლად. ამას გარდა, როგორც იგივე სტალინი ადასტურებს, უკვე სოციალიზმის დროს მუშათა კლასი აღარ არის სახელმწიფოს სათავეში, სახელმწიფოს ჰეგემონიის მატარებელია სრულიად ახალი ჭიკფასიანი საშუალო კლასები და იანნი მისდგებიან სხვა და სხვა სოციალური პრივილეგიური ფენებისაგან.

რაც შეეხება „კომუნისტურ სამეურნეო თვითმართველობას“, ეს ჯერ კიდევ არ შექმნილა. შეიქმნა მხოლოდ „სახალხო სასამართლოები“, რომელთაც დავალებული აქვთ მცირეწლოვან დამნაშავეთა გასამართლე-

ზა. ამ მუშათა თვითმართვლობამ უნდა შესცვალოს სოციალისტური სახელმწიფო, როცა მისი არსებობის საჭიროება აღარ იქნება, ე. ი. როცა სოციალიზმი დასრულებული იქნება, როცა ინტერესთა დაპირისპირება და პრივილეგიური კლასები მოისპობა, როცა სოციალიზმი კომუნისმზე გადადის. ამნაირად, საბჭოთა სახელმწიფოს პრობლემების გადაჭრა სახვალთო საქმე არ არის, ის უფრო დიდ ხანს იარსებებს, ვიდრე ზოგიერთებს ჰგონიათ. როცა სახელმწიფოს „სულის დაღვრა“ - ზე - ხრწნა - წარყვანაზე, მის გაქრობაზე, მის „მუშათა თვითმართვლობით“ შეცვლაზე ბჭობენ და სხვა.

ხოლო, ამ ბოლო დროს, როცა სოციალიზმის მშენებლობის დათქმული ვადა ძალზე ჭიანჭურდება, ირგვლივ კაპიტალისტური ქვეყნების გარემოცვით განპირობებული, ახლა მარქს აღარ იმოწმებენ, თავს იკავებენ გაჯრბიან კიდევ. სახელმწიფოს მოსპობის თეორია და მისი მუშათა თვითმართვლობად გარდაქმნა, მათთვის ამჯერად ხელსაყრელი აღარ არის.

თუ საბჭოთა სახელმწიფო მთელი ხალხის სახელმწიფო არის, მაშასადამე, კომუნისტური პარტია, რომელიც ამ სახელმწიფოს მიუძღვის, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო აღარ არის. მართლაც, მათივე ცნობებით, პარტიაში მუშები უმრავლესობას არ წარმოადგენენ, მასში გლეხობის რიცხვიც გაცილებით უფრო წაკლებია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ პარტიის წევრთა სოციალურ წარმოშობას, მათი უმეტესობის რიგები ბიუროკრატიული კადრებისაგან შესდგება. (ცნობისათვის: ორასოც მილიონ მცხოვრებზე მხოლოდ ხუთი პროცენტია პარტიის წევრი. სულ პარტიის წევრთა რიცხვი კამიტ მილიონამდე აღწევს; პარტიულ მუშათა რაოდენობა — 38 პროცენტი; კოლმეურნეთა — 16 პროცენტი; დანარჩენი — პარტიის კადრები და ინტელიგენცია).

თუნდა პროლეტარიატის დიქტატურა, რაც ყოველთვის არის ერთი პარტიის დიქტატურა, პოლიტიკური მომენტის საჭიროებით „მთელი ხალხის სახელმწიფომდე“ აღამაღლეს, მაინც ხელისუფლების მონოპოლიას კომუნისტური პარტია ინარჩუნებს, მას ხალხს არ უზიარებს, ჰეგემონიის დაკარგვის შიშით. არც ერთი ოპოზიციური პარტია დაშვებული არ არის, პარტიის შიგნით კი ოპოზიცია აკრძალულია, შემდეგი პრინციპული მოსაზრებით: უკლასო საზოგადოებაში, სადაც არ არის ეკონომიკური ინტერესების დაპირისპირება და ჯახი, პოლიტიკური პარტიების არსებობა, ან ოპოზიცია ზედმეტი მარგია, ხელისუფლების მოპოვებისათვის ზრდილა გამართლებულად ვერ ჩაითვლება. მაშინ როდესაც, მარქსის და თვით ლენინის მიხედვით, სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური მართვლობის ორგანო, მისი ატ-

რიბუტებით, ყოველგვარი პოლიტიკური ფორმაციით, მაშასადამე, კომუნისტური პარტია, უნდა გამჭრალიყო, რამდენადაც სოციალიზმის მშენებლობა, თანდათან, წარმატებას მიღწევდა და ის უნდა შეცვლილიყო მეურნეობის გამგებლობის ორგანოებით. ეხლა მოვისმინოთ თეზისების მტკიცება:

„იმდენად, რამდენადაც სოციალიზმი ვითარდება და წინ მიიწევს, იმდენადვე პარტიის როლი და ხელმძღვანელობა შესაბამისად მატულობს.“.

ამ რიგად, ცხადია, მთავარი იდეია სოციალიზმის დროს, არა მარტო სახელმწიფოს მოსპობის იდეაა დატოვებული, არამედ შენარჩუნებულია ყოველგვარი პოლიტიკური ინსტიტუტების არსებობის აუცილებლობა. კიდევ მეტი: პარტიამ უნდა შეინარჩუნოს სახელმწიფო ხელმძღვანელობის როლი და მისი ყოველივე ფუნქცია, სოციალიზმის და მგონი, კარგა ხანს, კომუნისმის დროსაც, და რაც უფრო მიზან - შეუწყობელია, ეს მათი „მთელი ხალხის საბჭოთა სახელმწიფო“, პარტიის დადგენილებათა აღმარულებელ ორგანობამდე არის დაკვანილი. ნამდვილი პოლიტიკური ფუნქციის მატარებელი, ერთადერთი ფაქტიური ხელისუფლების მპყრობელი, პარტია იყო და არის და არა მთელი ხალხის სახელმწიფო. ასე იყო ამ 50 წლის განმავლობაში; თუ რა იქნება შემდეგ, ეს არავინ უწყის.

„ზრუნვა პარტიის რიგების სიწმინდისათვის; იმისათვის, რომ ყოველმა კომუნისტმა ღირსეულად ატაროს და გაამართლოს პარტიის წევრის მაღალი წოდება, ეს პარტიის ყველა მისი ორგანიზაციის ცხოვრების კანონია (თეზისები). პარტიის თვითგანდიდება უადგილო და შეუფერებელია მაშინ, როდესაც პარტიის ერთი დიდი ნაწილი, განსაკუთრებით მისი ახალი თაობა, გაბუტული და უკმაყოფილოა, მას უსაყვედურებს ღოგმატიზმა და კონსერვატიზმს; სურს თავი გაითავისუფლოს მისი მექრეგობის, მომაბეზრებელი სხვა და სხვა დავალებისა და ათასნაირი დირექტივისაგან. ამ უარყოფითი განწყობის დასაძლევად და გასაჯანსაღებლად, თეზისებს საჭიროდ მიაჩნია კომუნისტური აღზრდის საქმეს მეტი ყურადღება მიმეცეს: „კომუნისტური აღზრდის ახალი, უფრო რთული ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც პარმონიულად შეარწყმულია მაღალი იდეურობა, შრომისმოყვარეობა და ორგანიზებულობა, სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე, ფიზიკური სრულყოფა“. ასეთი კომუნისტური აღზრდის სულისკვეთების შესაქმნელად ბევრი ენერგია იხარჯება, — შედეგი მაინც მიუღწეველია; მას ვერც ფარავენ. პრესაში უამრავი წერილია გამოქვეყნებული, უკმაყოფილების ამსახველი ამდენი იდეოლოგიურის, შრომის დისციპლინის ერთგულების, მორალის სიწმინდის და ფიზიკური სრულყოფის მოხმობა არაფერს გამოხატავს, თუ არა უტოპიურ სურ-

ვილებს, — პროპაგანდა ხავსმოკიდებულა და ბლაგვი-ახლაგზარდობას თავისუფლება სწყურია და არა გამაბრუებელი, გონების გამომფიტავი პროპაგანდა.

თეზისები არ ივიწყებს ხელოვნებას და ლიტერატურას და იცავს ტრადიციულ პოზიციას — „სოციალისტურ რეალიზმს, რომლის დამახასიათებელი ნიშნებია ღრმა ხალხურობა, კომუნ-ტური პარტიულობა, რევოლუციური ჰუმანიზმი და მოქალაქეობა, სიმართლე და სინამდვილის ღრმად შესწავლა, შეუთრგებლობა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი, მაღალი იდეური მოთხოვნისა, შეუთრგებლობა ყოველივე იმისადმი, რაც ხელს უშლის წინსვლას და გაბედული შემოქმედებითი ძიება“.

თეზისების ეს აზრები პრესტორიული და ძველთა-ველია. გაბედულ ნოვატორობას და შემოქმედებით ძიებაზე საუბარი ყოვლად გაუგებარია, როცა საქვეყნოდ ცნობილია, რომ საბჭოთა ცენზურა ფოლადის სალტებს უტყნის, თავისუფალ შემოქმედებას ამხინჯებს; ყოველ „ნოვატორულ სულისკვეთებას და გაბედულ ძიებას“, არამც თუ გზას უხსნიან, არამედ სიმართლის მთქმელს უნდობლობად უყურებენ; მათ გამოსვლას მტრულად ღებულობენ, ყოველ ნოვატორს, ახლის შემოქმედს შინის და ტერორის ქვეშ აყენებენ, ყველასგან პარტიის მითითების მორჩილებას და სრულს კომფორმის მოთხოვენ.

დავუბრუნდეთ ერთხელ კიდევ თეზისების ზოგიერთ ცებულებებს, რომელნიც ნამდვილ პროპაგანდას წარმოადგენენ და არა სერიოზულ მსჯელობას: „სოციალიზმი კანონზომიერად კომუნისტურ საზოგადოებად გადაიზრდება“. ჯერ სოციალიზმის მშენებლობა დამთავრებული არ არის და მისი პრინციპი — თვითულისაგან უნარის მიხედვით თვითულის — შრომის მიხედვით, შეუთრგებელია, კომუნისმის საზოგადოებად როგორ გადაიზრდებოდა? რა მყარ სოციალოგიური საფუძველზე არის დამყარებული? რატომ მაინც და მაინც კომუნისტურ საზოგადოებად გადაიზარდოს და არა სხვაგვარ საზოგადოებრივ მწყობრად? ამბობენ: მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლისო, „რომ გადავიდეთ სოციალიზმიდან კომუნისმზე, საჭიროა შევქმნათ სათანადო მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, მნიშვნელოვნად გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, უზრუნველვყოთ მატერიალური და სულიერი სიკეთის სიუხვე, მოვსპოთ არსებული განსხვავებანი ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომის შორის, დავაშვიდროთ მეცნიერული მსოფლმხედველობა და კომუნისტური ხნეობა, მხოლოდ ამ პირობით შეიძლება განხორციელდეს კომუნისმის ძირითადი პრინციპი: თვითულისაგან — უნარის მიხედვით, თვითულის — მოთხოვნის მიხედვით. ის იქნება კომუნისმის სრული სუფევა. ამ ფანტაზიაზე

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, აქ მხოლოდ დაუმატებთ: თუ სოციალიზმის დროს, თვითულის უნარის და შრომის მიხედვით ბევრ სიძნელეებს აყენებს ცხოვრების სინამდვილეში მისი დანერგვა, უფრო მეტ სიძნელეებს და დაბრკოლებებს წააწყდება, თვითულისაგან უნარის და მოთხოვნის მიხედვით პრაქტიკაში გატარება, თეორიულად მომზიბლავ ფორმულას წარმოადგენს, განაკუთრებით, „მოთხოვნის მიხედვით“, ხოლო ტექნიკურად დაუძლეველს. ეს მოითხოვს, მართლაც, ხანგრძლივ პერიოდს, წარმოების სასწაულებრივ დახვევებას და ადამიანის სრულს გარდაქმნას. აქ მას ეცლება მეცნიერული საფუძველი და უტოპიის ზღვაში იძირება. კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმირება, ადამიანის გარდაქმნა, არც ისე ადვილია, როგორც მათ ეჩვენებათ, ისეც მოკლე ხანში, როგორც მათ ჰგონიათ.

დანარჩენი, როგორც არიან, სოციალისტური კანონიერების დაცვა, კომუნისმის მეცნიერულ და დემოკრატიულ ნიადაგზე პრინციპების აგება, საშინაო მშენებლობის მასშტაბით და ტემპით მათი ქვეყანა (საბჭოთა კავშირი) მსოფლიოში ერთ - ერთ პირველ ადგილზეა, ნუშათა კლასის დიდი ისტორიული მისია, რომ გლეხობა, მუშათა კლასის ერთგული მოკავშირე და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის აქტიური ძალა და სხვა ამგვარი, ცარიელ-ტარიელ სიტყვათა რახარხუნია.

„საბჭოთა საზოგადოებაში დამკვიდრდა ერთა და ხალხთა თანასწორობის, მეგობრობის და თანამშრომლობის ურთიერთობა, შექმნა მათი შემდგომი აყვავების და დაახლოვების მტკიცე საფუძველები. ერების მეგობრობის და თანამშრომლობის ურთიერთობა საყვებით შეესაბამება თვითულის ერის ინტერესებს, საბჭოთა ხალხების მთელ თანამეგობრობას, იგი სოციალური პროგრესის მძლავრი დამჩქარებელია. მოკავშირე რეპუბლიკებში სწრაფად ვითარდებიან საწარმოო ძალები, თანამედროვე მრეწველობა, სოციალისტური სოფლის მეურნეობა, მტკიცდება ერების ეკონომიური თანამშრომლობა, იზრდება თვითულის მათგანის წვლილი კომუნისტური მშენებლობის საერთო საქმეში. კომუნისტურ მშენებლობის პროცესში მრავალმხრივი ხდება მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური ურთიერთობა. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა ერთიანი ურთიერთ დამაკავშირებელი კომპლექსია, რომელიც ერების შემდგომი დაახლოვების ობიექტური საფუძველია. ეკონომიკური და სოციალისტური ერთიანობის საფუძველზე სოციალისტურ ერებში აქტიურად ვითარდება ინტერნაციონალური თვისებანი, მკვიდრდება კომუნისმის მშენებელთა საერთო საბჭოთა ტრადიციების, მიზნების და მარქსიზ-ლენინური იდეოლოგიის ერთიანობა, კო-

მუნიციპლის საქმიანადმი ერთგულება, ღრმა ინტერნაციონალიზმი და საბჭოთა პატრიოტიზმი, ეროვნული ღირსების პატივისცემა, მეგობრობა და ძმობა, — ასეთია ერთიანი და ამასთან მრავალფეროვანი სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა დამახასიათებელი ნიშნები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად იბრძვის ეროვნული შეზღუდულობის წაშლის, კუთხურობის, ნაციონალიზმის, შოვინიზმის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ...

„საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა შექმნა და ავითარებს ფორმით ეროვნულ და შინაარსით სოციალისტურ კულტურას. ორმოცზე მეტმა ხალხმა მხოლოდ ოქტომბრის შემდეგ მიიღო დამწერლობა. სოციალიზმმა შექმნა ეროვნული კულტურების აყვავების და ურთიერთ გამდიდრების პირობები. თვითეული ეროვნული კულტურა იცავს და ავითარებს თავის საუკეთესო ეროვნულ თავისებურებებს და ტრადიციებს, ძლევს მოძველებულ ფორმებს და შემოქმედებითად იყენებს სხვა ერების კულტურის მიღწევებს. ერების ურთიერთობის, მეცნიერული, კულტურულ ფასეულობათა გაცვლის საშუალება გახდა რუსული ენა. საბჭოთა კავშირის გამოცდილებით მთელი მსოფლიო რწმუნდება ლენინური ეროვნული პოლიტიკის სასიცოცხლო ძალაში. ჩვენს ქვეყანაში ეროვნული საკითხის გადაჭრამ უცილობლად ცხადჰყო, რომ აქტიური და დამოუკიდებელი ისტორიული შემოქმედება არ არის მხოლოდ “რჩეული ერების” კუთვნილება, არამედ მისაწვდომია ყველა ხალხისათვის. საბჭოთა მრავალფეროვანი სოციალისტური სახელმწიფო პრაქტიკით ცხადჰყოფს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების გამარჯვებას“.

ეს გრძელი ამონაწერი თეზისებიდან განგებ მოვიტანეთ, რომ გვეჩვენებინა მათი ბრახაბრუნის ბრწყინვალე ნიმუშები. შეეფერება სიმართლეს და რეალობას მათი სიტყვა და პრაქტიკა? საეჭვოა ვინმემ დაიჯეროს მათ ბიერ სამართლიანად ეროვნულ საკითხის გადაჭრა, მაშინ როდესაც უამრავი ერი, სწორედ სოციალიზმის საბუფფოში, ეროვნულ მონობის მძიმე უღლის ქვეშ გმინავს, სასტიკ კოლონიალიზმსა და რუჰიციზმს დაქვემდებარებული. ფიქტიური ერთა თანასწორობა და ხელოვნურად, ზევიდან თავზემოხვეული ფედერაცია, რუსული ნაციონალურ - კომუნიზმის მჭრელი იარაღია, ჰეგემონიის შესანარჩუნებლად. აბა სად ვაგონილა დიდსა და პატარა ერებს ჰარმონიულად და დაღბინებით ერთად ეცხოვროს, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, დიდს პატარა არ დაეჩაგროს! ჩაგვრის კანონი ყველგან და ყოველთვის თანაბრად მოქმედობს — ძლიერი მბრძანებლობს, უძლური მოაჩილებს; ეს უღმობელი კანონი ვერც ლენინმა, ვერც სოციალიზმმა ვერ შესცვალა. — პირუკუ, მისმა მემკვიდრეებმა კიდევ უფრო

განამტკიცეს. ერთს მაინც შევნიშნავთ — სრულებითაც იომ არ იყოს საბჭოთა წყობილება, ანდა სოციალისტური სახელმწიფო, მაშინაც შესაძლებელია ესა თუ ის ერი ეკონომიკურად და კულტურულად განვითარდეს, ამაში სოციალიზმს არავითარი უპირატესობა და დამსახურება არ მიუძღვის. ჩვენს ეპოქაში უამრავი კოლონიური ხალხი განთავისუფლდა, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრებით და ეროვნული თავისუფლებით ტკება. რად უნდა იყენენ საბჭოთა კავშირის ერები მაინც და მაინც გაბატონებული ერის — რუსეთის — ნაძალადეგ ფედერაციულ სახელმწიფოზე მიკრულნიჯაქველი?! განა სოციალიზმის მშენებლობას შეეფერება მათი დამოუკიდებელი არსებობა?! ხომ შეიძლება ვთქვათ: მათივე კონსტიტუციით მოკავშირე რესპუბლიკები იყენენ დამოუკიდებელი, თუნდაც შინაურ საქმეებში მაინც ავტონომიური, ისე რომ არ დაირღვეს კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობა?! თუ მართლაც გასურთ სამართლიანად მოგვარდეს ერთა კეილიმეზობლური განწყობილება და თუ ნამდვილად გასურთ მთელი მსოფლიოს თანაგრძნობა და დიდი სიმბათიები გამოიწვიოთ, უნდა გადაჭრით უარჰყოთ იმპერიალიზმი, რუსეთის ნაძალადევი პირველობა და ბატონობა; უნდა დაშალოთ კოლონიალურ სისტემაზე აგებული თქვენი ფედერაციული სახელმწიფო, მაშინ და მაშინ თავისთავად დამყარდება ერთა სოლიდარობა და თანამეგობრობა. მანამდე კი ჩვენი ბრძოლის მთავარი ძიზანი — საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება და დემოკრატიული რეჰიმის აღდგენა — ძალაში რჩება.

**მსოფლიოში საბჭოთა კავშირის როლი.** თეზისების მესამე ნაწილი მიძღვნილია ინტერნაციონალურ რევოლიციურ მოძრაობისა და მასში საბჭოთა კავშირის როლისადმი: „განვილიმა 50 წლის ისტორიულმა გამოცდილებამ დამაჯერებლად დაადსტურა რევოლუციური თეორიის დასკვნა, რომ კაპიტალიზმი განწირულია“.

კაპიტალიზმის დაღუპვას, თითქმის ერთ საუკუნეზე ბეტია რაც წინასწარმეტყველებენ, ხოლო მისი აღსასრული არც ისე მოკლე ხანშია მოსალოდნელი. არასოდეს, არც ერთ ეპოქაში, კაპიტალიზმი ისე ჯანსაღი და ცხოველყოფილი არ ყოფილა, როგორც დღეს ჩვენ თანამედროვე დროში. სოციალიზმს უფრო ესაჭიროება კაპიტალიზმი ვიდრე კაპიტალიზმს სოციალიზმი. ამის უამრავი ფაქტია. ჩვენ მათ აქ ვერ ჩამოვთვლით. როცა სოციალიზმი გაჭირვებაშია, კრიზისები კარს ადგება, მთხოვრის ხელი კაპიტალიზმისაკენაა გაშვერილი.

ტიქსტი წამდაუწუმ, ლოკალურ (ადგილობრივ) ომებს ემობს, რომლის გამჩალებელი და ხელია შემწყობი თვისიან კომუნისტური პარტია ყველგან და ერთადამივე პლანზე ალაგებს, ვიეტნამში „ამერიკის აგრესიული იმ-

პერიალიზმს“, არაბულ ქვეყნებზე ისრაელ დამპყრობთა თავდასხმას.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების განვრცობა გრანდიოზულ არეშია წარმოსახული, მაშინ როდესაც იმპერიალისტური სახელმწიფოების, საერთაშორისო კაპიტალიზმის თანამედროვე ვითარება, ჩვეულებისამებრ, უფსკრულის პირასაა მიყვანილი:

„ეკონომიური კრიზისი, წარმოების ზღვრების, ციკლური კრიზისები, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კაპიტალისტური მეურნეობის საერთო მერყეობა, საწარმო სიმძლავრეთა (ძალთა) არასრული დატვირთვა, მშრომელთა შორის ხვალისდელი დღისადმი რწმენის უქონლობა და სხვა“.

ამით სურთ საკუთარი იდეაჲსი დაფარონ, თითქოს სოციალისტური წყობილება სტაბილური და სრულებით უკრიზისო ქვეყანა იყოს.

თეზისები ადასტურებს, რომ რევოლუციური მოძრაობა, გზადაგზა, წინააღმდეგობას ეხეჩება: „საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობა ხშირად აწყდება შინაგან დაბრკოლებებს, რაც დაკავშირებულია მის სწრაფ ზრდასთან, ანტიიპერიალიზმის ბრძოლაში მონაწილეთა სოციალურ ძალთა სხვადასხვაობასთან“.

რა თქმა უნდა, ამ მუდვივ დაბრკოლებებს არავითარი კავშირი არა აქვს სწრაფ ზრდასთან; გაუმართლებელია მისი გადაბმა მოძრაობის გაძლიერებასთან. სიძნელები უმთავრესად გამოწვეულია კომუნისტურ პარტიათა შორის იდეოლოგიური ბრძოლით მთლიანობის დარღვევით, ერთცენტრიანობის შესუსტებით, კონკრეტულად, ჩინეთ - საბჭოების კომუნისტების დაპირისპირებით და ურთიერთი ოპოზიციით, სწორედ ამ საერთაშორისო რევოლუციურ და კომუნისტურ მოძრაობის დასაპყრობად და ჰეგემონიის ხელში ჩასაგდებად. საბჭოთა კავშირი ანგარიშს ვეღარ უწევს, რომ მისი მიმზიდველობითი ძალა საგრძნობლად ჩამოშლადარდა, ჩამოქვითდა, თავდაცვის პოზიციებზე ძლივს მაგრდება, და ვინ იცის, რამდენი ხნით? ამასობაში კი საქირთა როგორმე ხელისუფლების, ტერიტორიალური მთლიანობის, სოციალისტური რეჟიმის, შენარჩუნება, მოკლედ, საბჭოთა მთავრობის ცდები მიმართულია იქითკენ, რომ დღევანდელი „სტატუს ქვო“ შეინარჩუნოს, ლამობს ახალი მსოფლიო ომი როგორმე თავიდან აიცილიოს იმიტომ, რომ ჯერჯერობით შეიარაღებაში ამერიკას ვერ უთანასწორდება; კიდევ იმიტომ, რომ დასავლეთი ეკროპა, მისი ცივილიზაცია, წესები, მისი ცხოვრების მატალი დონე, საბჭოთა ახალგაზრდობისათვის მეტად მონხიზლავი და მიმზიდველია, იმიტომ ყოველ ღონეს ხმარობს ყოველგვარ საერთაშორისო ვართულებას მოერიდოს, რადგან რეჟიმისათვის ეს იქნება საბედისწერო.

საბჭოთა კავშირის ამ 50 წლის ცხოვრება უფრო

რთული და მწვავე იყო, სავსე კონფლიქტებით, ვიდრე ეს თეზისებშია ასახული, გადაჭარბებული და შელამაზებული, ისტორიული მოვლენები დროის შესაფერისად შეკეთებული, არის ისტორიული ფაქტების დამახინჯება, ზოგიერთ საკითხზე ყალბად და მცდარად გაშუქებული, ყოველი სიკეთე, წინასწარი განზრახვით, კომუნისტურ პარტიანზე მიწერელი, ხოლო სიამე, ბოროტება, დანაშაული და ყველა მანკიერება, მათ მიერ ჩადენილი ხალხის გასაწამებლად და საზიანოდ, ჯურღმულშია ჩადებული და მიჩქმალული. 1917 წ. რევოლუციის სრულებით არ ჭირდება არც უზომო ქება, არც გადამახინჯება, მით უფრო, რომ კომუნისტებს თებერვლის რევოლუციაში, თვითმპყრობელობის დამხრბაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ; დემოკრატიის წინააღმდეგ წეთქმულებით, ოქტომბრის სამხედრო გადატრიალებით, რევოლუციის მონაპოვარი ძალმომრეობით მიითვისეს და ის უკუღმა წარმართეს, უმრავლესობას უმცირესობამ თავზე მოახვია არა-პროლეტარიატის დიქტატურა, არამედ ერთპარტიული სისტემის ბატონობა ტერორით მოსპო ყოველგვარი თავისუფლება და მუშათა კლასის სახელით, მისი პროფანაციით, დამყარდა ისეთი საშინელი, რეპრესიული რეჟიმი, რომ არამც თუ ხალხი, მთელი რევოლიციური ინტელიგენცია, გლეხობა და მუშათა კლასი, თვით კომუნისტური პარტიის ძველი მებრძოლებიც კი მისი მსხვერპლი გახდა. ამ უხეშ შეცდომათა და მძიმე მანკიერებათა დაფარვით კომუნისტები უფრო ამცირებენ იმ მცირეოდენ მიღწევების ისტორიულ მნიშვნელობას, რაზედაც თეზისების გასწრივ ამაჲოდ ამდენი კება-დიდებაა შესხმული.

**ს. კირაქაძე**

**ალ. მანველიშვილი**

**ეროვნული საკითხი  
საბჭოთა კავშირში**

(ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე)

ცნობილია, რომ ყველა სოციალისტურ პარტიას და მათ შორის კომუნისტებსაც თავიანთ პროგრამაში მიღებული ჰქონდათ ე. წ. ერთა თვით გამორკვევის პრინციპი. რაც პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ ყოველ დაპყრობილ ერს ეძლევა უფლება თვითონ აირჩიოს: სურს მას თუ არა თავისუფალი, დამოუკიდებელი ცხოვრება, თუ ამა თუ იმ ფორმით დამპყრობელისადმი მონობა. —

ეს ფორმულა თავისთავადაც აბსურდულ ხასიათს ატარებს. ისტორიას არ ახსოვს მთელ დედა-მიწის ზურგზედ, რომ რომელიმე ერს სხვისი მონობა აერჩიოს. რა-ნაირად შეიძლება თავისუფლებისათვის უკვე მებრძოლ ერებს ასეთი პრინციპი შესთავაზოთ?! ამ ფორმულის მი-

ცენება შეიძლება მხოლოდ ჩამორჩენილი ხალხების მი-  
მით, რომელნიც სოციალური ევოლუციის დაბალ სა-  
ფეხურზედ სდგანან, ჯერ არ მომხდარა მათი ეროვნულ  
ორგანიზმად ჩამოყალიბება და ამა თუ იმ მიზეზით მოხ-  
ვედრილა სხვათა წმართველობისა და ბატონობის ქვეშ  
აბა დაუვირდიოთ: შეიძლება თუ არა მისი მიყენება ქარ-  
თველი ერისადმი? ისეთი ერისადმი, რომელსაც თავისი  
ეთნიური და მერე ეროვნული მეობა გამოარკვია უკვე  
რამდენიმე ათასი წლის წინ, სახელმწიფოებრივი ცხოვ-  
რებით იცხოვრა რამდენიმე ათასი წლები; მრავალი და-  
პყრობაც განიცადა; მრავალი ბრძოლები თავისუფლე-  
ბისათვის, და მეოცე საუკუნეში კითხეთ მას, სურს თუ  
არა თავისუფლება!...

ამ ფორმულის აბსურდულ ხასიათსაც რომ თავი და-  
ვანებოთ, კომუნისტებმა ესეც უარჰყვეს, არა მარტო  
პრაქტიკულად, სიტყვიერედაც. ჯერ ლენინმა და მერმე  
სტალინმაც არა ერთხელ განაცხადეს, რომ ერთა თავი-  
სუფლებას სცნობენ, ხოლო შეთანხმებით კომუნისმის  
პრინციპებთან; მაგრამ რადგან კომუნისტური პრინცი-  
პები მოითხოვენ ყველა ერის ერთად შერწყმას ერთი  
მთლიანი კომუნისტური საზოგადოების დასაარსებ-  
ლად; ამით უკვე გამორიცხულია ერთა სრული დამოუ-  
კიდებლობა. კომუნისტებიც ამას ასრულებენ.

1917 წ. რევოლუციის შემდეგ იმპერიის ყველა ხალხმა  
მართლაც „გამოარკვია“ თავიანთი მდგომარეობა იმ  
ფაქტით, რომ ყველამ თავისი დამოუკიდებლობა გამოა-  
ცხადა. მათ არ მიიღეს კომუნისტური რეჟიმი, რაც დამყ-  
რდა რუსეთში, როგორც ნაციონალური მოვლენა.

რუსეთისათვის მიუღებელი აღმოჩნდა აღნიშნულ ერ-  
თა დამოუკიდებლობა. თუმცა, მოაჩვენებლად, ზოგი  
მათგანის დამოუკიდებლობაც იცნეს, მაგრამ მალე ყვე-  
ლა დაიპყრეს იარაღით და აღადგინეს ძველი რუსეთის  
ძმურია. იმ განსხვავებით, რომ ძველად ამ ქვეყნების  
წმართველებს ეწოდებოდათ გუბერნატორები, შემდეგ  
კი მათ სახელი შეეცვალათ, ჯერ კომისრებათ და მერმე  
მინისტრებად.

ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ კომუნისტები ყვე-  
ლაფერა იყენებდნენ და მათ შორის ეროვნულ საკით-  
ხსაც. ეს სტილი პროპაგანდისა მათ შეინარჩუნეს გაბა-  
ტონების პირველ წლებშიაც, რადგან ეროვნული დამო-  
უკიდებლობისადმი მისწრაფების განდრეკა ერთბაშად  
ძნელი იყო. იგივე ფრაქციოლოგია კონსტიტუციაში, ხო-  
ლო სინამდვილეში კი სულ სხვა ამბები ხდებოდა.

მაგ: კომ. პარტიის მე-10-12 ყრილობებზე (1921-  
:1923) ხაზგამით იყო გაკრიტიკებული ცარისტული რე-  
ჟიმის ეროვნული პოლიტიკა, რომელიც მიმართული  
იყო იქით, რომ მოესპო დაპყრობილ ერებში სახელმწი-  
ფოებრიობა, დაეცა მათი ეროვნული კულტურა, ნელ-  
ნელა მოესპო ადგილობრივი ენები და მათ ნაცვლად გა-

ებატონებინა რუსული და ბოლოს მოეხდინა ამ ხალხთა  
სრული ასიმილიაცია. პარტიის ყრილობები კი მოუწო-  
დებდნენ საწინააღმდეგოს.

მიუხედავად ამგვარი ფრაქციოლოგიისა, მდგომარეობა  
არ შეცვლილა და მეტიც, თვით საბჭოთა კონსტიტუცი-  
აშიც ვერ დაფარეს მათი იმპერიალისტური ზრახვები.  
თუ ამასაც არ მივიღებ მხედველობაში, კომუნისტებისა-  
თვის არ არსებობს კანონი. ის არის დაწერილი მხოლოდ  
სხვებისათვის, საპროპაგანდოდ, ცხოვრებაში კი მოქმე-  
ლობს დაუწერელი კანონი.

აი რამდენიმე ნიმუში საბჭოთა კანონმდებლობისა და  
პრაქტიკისა:

1; რეჟიმი აღიარებს რომ საბჭოთა კავშირი არის შე-  
მდგარი თავისუფლად, თავისუფალი ერების მიერ. მაშინ  
როდესაც ყველამ უწყის, რომ რუსის კომუნისტებმა ყვე-  
ლს ეს ერი დაიპყრეს იარაღით და თავზედ მოახვიეს ნა-  
ც-ლაღვეი კავშირი—ეს ახალი ფორმა ბატონობისა.

2; ამ დებულებიდან გამომდინარე, ყველა ერს უფლე-  
ბა აქვს ეს კავშირი დასტოვოს. სინამდვილეში არც ერთ  
ერს განძრევის უფლება არ აქვს და ოდნავ ეროვნულ  
გადახრახუნედაც მოსკოვი მათ სასტიკად უმასპინძლდება.

ამნაირად, თუ დაწერილი კანონი ეკუთვნის ყველა  
ერს, მათი განხორციელება მხოლოდ რუსების საქმეა  
და ცხადია ის ხორციელდება წმინდა რუსული ინტერე-  
სების მიხედვით.

ამასვე ვხედავთ საბჭოთა საგარეო პოლიტიკაში. ყო-  
ველ რესპუბლიკას კონსტიტუციით შეუძლია თავისი  
დიპლომატიური წარმომადგენლობა ჰყავდეს, სინამდვი-  
ლეში ამის მაგალითს არ ვიცნობთ და ყოველ რესპუბ-  
ლიკას რომ საგარეო საქმეთა მინისტრიც ჰყავს, არავინ  
უწყის თუ რა საქმეს აკეთებენ ისინი...

ფიქრობენ, რომ თანამედროვე რუსეთის იმპერია არის  
ახალი ტიპისა. გარეგნულად ეს ასეც მოჩანს. მაგრამ სა-  
კმარისია მას ღრმად ჩაუკვირდეთ, და დავრწმუნდებით,  
რომ ძველ რუსულ პოლიტიკასა და ახალ შორის არ არ-  
სებობს არსებითი განსხვავება. აი ზოგი ფაქტის შედა-  
რება.

- 1. ძველი რუსეთი ატარებდა ასიმილიაციის პოლიტი-  
კას; მისი საბოლოო მიზანი იყო დაპყრობილი ხალხების  
გარუსება.
- 2. ამისთვის ჯერ აუქმებდა დაპყრობილ ხალხთა სა-  
ხელმწიფოებრიობას.
- 3. სპობდა ადგილობრივ ეროვნულ კულტურას რომ  
ხალხი ადვილად გადაგვარებულყო.
- 4. ადგილობრივ ეკონომიურ სისტემას უმოჩილებდა  
რუსეთის ეკონომიურ ინტერესებს, ძირშივე სპობდა და-  
მოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობას.
- 5. დაპყრობილ ქვეყნებში ხელთ იგდებდა მიწებს და  
იქ რუსებს ასახლებდა, მაგ.: საქართველოში, რევოლუ-



ციის წინ მთელი მიწების 46 პრ. რუსია მთავრობის საკუთრებას შეადგენდა. ამნაირად ამცირებდა ადგილობრივ მცხოვრებთა რიცხვს, რათა პროპორციულად უმცირესობამდე დაეყვანა.

ამასვე აკეთებს საბჭოთა რუსეთი, ზოგჯერ ახალი ფორმისა და მეთოდების შეტანით.

მიწებისა და ყოველგვარი საკუთრების საკითხი კომუნისტ რუსებმა უფრო რადიკალურად გადასჭრეს: ყველაფერი გამოაცხადეს სახელმწიფო საკუთრებად. ეს მესაკუთრე კი გახლავთ რუსეთი. ხოლო რუპების ჩასახლებას კომუნისტები უფრო მასიურად ახდენენ. დღეს დიდი პროცენტი მოდის მუშებზე, რადგან აქ ახალი რუსეთი მიმართავს ახალ მეთოდს. ის ადგილობრივ ამრავლებს ინდუსტრიას, ხოლო რუსეთის ინტერესთა გეგმით და შერჩევით. ამნაირად იჭერს ორ კურდღელს: ადგილობრივ ამუშავეებს ნედლ მასალას, რათა მზა პროდუქტი წაიღოს და ამ საჭიროების საბაზით დაპყრობილ ერებში ასახლებს რუსია მუშებს. გარეგნულად ამას ეძლევა „საკავშირო“ ხასიათი. რეალურად კი მრეწველობის მთავარი მიზანია ემსახუროს ცენტრს ე.ი. რუსეთს. საერთოდაც საკავშირო ბიუჯეტის მთავარი ნაწილი ხმარდება მხოლოდ რუსეთს. მაშასადამე აქაც ყოველივე მიმართულია ადგილობრივ მცხოვრებთა თანდათან რუსიფიკაციისაკენ.

რუსეთის ამგვარი პოლიტიკის ნათელსაყოფად მივმართავთ თვით საბჭოთა სტატისტიკურ ცნობებს. დავეყვაროთ ყოველდღობით ზოგი ნიმუშით იმის შესახებ, თუ რუსები როგორ ამცირებენ დაპყრობილ ერებში ეროვნულ მოსახლეობის პროცენტს და ზრდიან რუსებისას. ვაღარებთ 1926 წ. და 1959 წ. აღწერის ცნობებს. აი როგორია მიღწევა 33 წლის განმავლობაში:

| ეროვნული მოსახლეობა შეადგენდა 1926 — 1959 წ.     |            |                   |
|--------------------------------------------------|------------|-------------------|
| ყაზახისტანში                                     | 57 პროც.   | — 29 პროც.        |
| ყირგიზეთში                                       | 66 პროც.   | — 40 პროც.        |
| თურქესტანში                                      | 78 პროც.   | — 61 პროც.        |
| უზბეგისტანში                                     | 76 პროც.   | — 62 პროც.        |
| საქართველოში                                     | 72,5 პროც. | — 64,3 პროც.      |
| ამავე წლებს შორის რუსული ელემენტი გაიზარდა       |            | 1926 წ. — 1959 წ. |
| რესპუბლიკებში                                    |            |                   |
| ყაზახისტანში                                     | 19,7 პროც. | — 43,0 პროც.      |
| ყირგიზეთში                                       | 11,7 პროც. | — 30,2 პროც.      |
| თურქესტანში                                      | 8,2 პროც.  | — 17,3 პროც.      |
| ტაჯიკისტანში                                     | 6,8 პროც.  | — 13,3 პროც.      |
| უკრაინაში                                        | 9,2 პროც.  | — 17,7 პროც.      |
| ბელორუსიაში                                      | 7,2 პროც.  | — 9,1 პროც.       |
| საქართველოში                                     | 3,6 პროც.  | — 10,8 პროც.      |
| აზერბაიჯანში                                     | 9,5 პროც.  | — 13,9 პროც.      |
| სომხეთში                                         | 2,2 პროც.  | — 3,2 პროც.       |
| კერძოდ ამიერკავკასიაში 1926 წელს უდრიდა 263,014, |            |                   |

ხოლო 1959 წელს 959, 000 სულს.

აქედან: საქართველოში — 1926 წ. — 83,524; აზერბეიჯანში — 160,317 და სომხეთში — 10,173 სულს.

1959 წელს კი საქართველოში — 408,000; აზერბეიჯანში — 501,000; სომხეთში — 50, 000 სულს.

სამწუხაროდ, 1959 წლის შემდეგ ცნობები ხელთ არა გვაქვს და საფიქრებელია, რომ მდგომარეობა კიდევ უარესი იქნება.

ბოლო ხანებში რუს კომუნისტებმა გარუჟების პოლიტიკას თეორიული დასაბუთებაც მოუპოვეს, ცხადია, იმავე კომუნისტების პრინციპებით.

ახალი თეორეტიკოსები გვასწავლიან. რომ ადგილობრივ, ყოველი დარგის წინვითარება ეროვნული ხაზით ანაქრონიზმად იქცა. ნელ-ნელა უნდა დაიწყოს ერთა და-ახლოება და შერწყმა, გათქვეფა ერთ დიდ კომუნისტურ ერში. ცხადია, ეს იქნება რუსის ერი. მოსკოვის მესვეურები, ცხადია, გრძობენ სიძნელებს და ამიტომაც მოუწოდებენ, რომ ეს მოხდეს საფეხურებით. პრინციპი, ადგილობრივი კულტურის განვითარებისა „ეროვნული ფორმით, სოციალისტური შინაარსით“, აგრეთვე წყალმა წაიღო და უკვე ლაპარაკია იმაზე, რომ ყველა ერი როგორმე ენობრივად დაახლოვდნენ. პირველი სტადია ამ დაახლოვებისა იქნება რეგიონალური. ე. ი. ჯერ მონათესავე ენები უნდა ალაპარაკდნენ ერთ საერთო ენაზე, მაგ. ყველა სლავიანი მიიღებს რუსულ ენას. ამით გადაწყდება ბედი უკრაინისა, ბულგარუსისა, ყაზახებისა და სხვ. ჩრდილო-კავკასიელებიც ჯერ ერთ საერთო ენას შეიმუშავენ. ხოლო ისეთ რაიონებში, სადაც ენათა შორის ნათესაობა არ არსებობს, მაგ.: ამიერ-კავკასიაში, აქ საერთო ენად ცხადია გამოდგება უფროსი ძმის რუსული ენა და ა. შ. ამნაირად ყველა გზებს მოსკოვისაკენ მივყავართ...

ასეთი რამ რომანოვებსაც არ დასიზრმებიათ...

რა ხდება მეორე ბანაკში. სამსხვერპლოდ გამზადებული ბატკანი ზომ თავისით არ დასდებს კისერს დანაზე? ამ მოვლენებს უნდა გამოეწვია დიდი რეაქცია და მართლაც, დღეს საბჭოთა კავშირი გადაქცეულია დიდი ჭიდილის მოედნად.

პატარა ერები ებრძვიან რუსეთს: ხან აქტიურად, ხან პასიურად. აქტიური ბრძოლა გამოიხატება პერიოდულ აჯანყებაში. პასიური კი მუდმივი და განუწყვეტელია. ეს ბრძოლა არ არის ადვილი, რადგან ყოველი უკმაყოფილების გამომქდევნებას რუსები სისხლის ღვრით უპასუხებენ. ისინი თვით ადგილობრივ კომუნისტებს არაფერში ენდობიან. მაგ: როდესაც 1956 წელს თბილისში გამოსვლები მოხდა, გაზეთების ცნობით, მოსკოვმა ორმოცი ათასი პოლიციელი გაგზავნა აჯანყების ჩასაქრობად და „დამნაშავეთა“ დასასჯელად. ეს კი შეადგენს რამდენიმე დღეობა ჯარს და თვით ქართველ კო-

მუნისტებს არ მისცეს ნება „თავიანთი რესპუბლიკის“ საქმეთა მოგვარებისა-

რომ ქვეყნის მმართველობის ყოველივე სადავე რუსებს უჭირავთ ხელში, ამისთვის ერთ კურონოზულ მოვლენასაც დავასახელებთ. ეს ეხება კულტურულ დარგს. მაგ.: თბილისში რომ ქართველი ახალგაზრდა სადოქტორო დისერტაციას დაიცავს, ის უნდა დაამტკიცოს მოსკოვში არსებულმა სპეციალურმა დაწესებულებამ, სხვანაირად მას ძალა არ ექნება. მაშაადამე, არა მარტო ქართულ სამეცნიერო დაწესებულებებს, თვით ე. წ. ქართულ მთავრობასაც არა აქვს უფლება ასეთი პატარა საკითხი თვითონ გადასწყვიტოს.

ერთ მაგალითსაც ეკონომიკური ცხოვრებიდან დავასახელებ. ისტორიული წყაროებიდან ვიცით, რომ საქართველოს, დაცემის ხანაშიც დიდძალი სიმინდი გაჰქონდა უცხოეთში. რუსეთის ბატონობის პერიოდში საქართველოში სამყოფი ხორბლეულობაც აღარ მოდიოდა და ეს პრობლემა ქართველ ერს მუდამ აწუხებდა. ეს საკითხი კომუნისტების დროსაც დაისვა. ქართველობა მოითხოვდა, რომ ყოველგვარ პირობებში საქართველო ჯერ ადგილობრივი პურით უზრუნველყოთ. ამას რუსეთი დაუპირისპირდა თავისი მომგებიანობის თეორიით და ადგილობრივადაც გამონახა თითო-ოროლა კომუნისტები. მათი აზრით საქართველოს მიწაზე კულტურული მეურნეობის მოშენება უფრო სასარგებლო იქნებოდა, მაშინ როდესაც პურის მიღება შეიძლებოდა რუსეთიდან. ხედავთ, ლუკმა პურითაც როგორ უნდა მიაბან საქართველო რუსეთს. ამ ბრძოლამ დიდ ხანს გასტანა და თითქმის ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ შედეგებზე აღარაფერი ვიცით...

ადგილობრივი მრეწველობის განვითარებაც ამავერ მიზანს ემსახურება.

რუსეთის იმპერიალიზმის ამგვარ ხასიათს ამხელს არა მარტო თავისუფალი კაცობრიობა, არამედ იგივე ხმები გაისმის თვით კომუნისტურ ქვეყნებში, იქ სადაც „კავშირის“ ქვეყნებთან შედარებით კიდევ აქვთ საშუალება ხმის ამოდებისა, მაგ.: რუმინია, ალბანეთი და სხ. ხოლო საუკეთესო ნიმუში კი არის კომუნისტური ჩინეთის დაფასება. (რუსეთ-ჩინეთის კონფლიქტში ათას წვრილმანს სახელებენ და მთავარ ეროვნულ საკითხზე სდუმან!)

8 სექტემბერს 1963 წელს ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარშალ ჩენმა ასე დაახასიათა ანაბჭოთა რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკა: ისინი, (რუსები) „აცხადებენ ე. წ. საერთაშორისო განაწილებას შრომისა სპეციალიზაციის, სინამდვილეში კი შრომის საერთაშორისო განაწილებისა და სპეციალიზაციის საბაბით, ისინი სკდილობენ მიიღონ სარგებელი სხვათა ხარჯზე. გამოდიან რა თავიანთ ქვეყნის კერძო ინტერესებიდან, ისინი ცალმხრივად მოითხოვენ მოძმე ქვეყნებისაგან დაემორ-

ჩილონ მათ მოთხოვნილებას და ამითვე ლახვარს სცემენ დამოუკიდებლობას და სუვერენობას მოძმე ქვეყნებისა და ხალხების ინტერესებს. აი სად არის ნაციონალიზმი, ნაციონალური ეგოიზმი და ელიკოდერჟავული შოვინიზმი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით!“

საკითხი გარკვეულია. დარჩა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. შეიძლება სრუსეთის იმპერია და კომუნისტური რეჟიმის დამხობა მოხდეს ერთ და იმავე დროს. რადგან თვით რუსის ერსაც აღარ შეუძლია ატანა გამანადგურებელი რეჟიმისა, ხოლო პატარა ერები ისე არასოდეს ყოფილან მზად მიიღონ თავიანთი დამოუკიდებლობა, როგორც დღეს. ამანაირად უნდა მოველოდეთ საბჭოთა იმპერიის დამხობას. ეს არის ხეველი ყოველი იმპერიის. ჩვენი თავისუფლებაც დროის საკითხია. ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში რუსეთმა ამოსწურა ბატონობის ყველა საშუალება. მისი დაცემის დრო შორს არ არის...

მრავალსაუკუნოვანი ტანჯვის შემდეგ საქართველოც განთავისუფლდება და გახდება თავისი სვე-ბედის ატაროხი.

აღ. იაველი ივილი

სან ფრანსისკო. დეკემბერი 1967 წელი.

### შალვა კალანდაძე

### საგზოთა მცენიარება

კაცობრიობის განვითარების ისტორიაში მცენიარება ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა. ძველ ეგვიპტესა, საბერძნეთსა, რომსა, საშუალო საუკუნეებში მეცხიერთა, სწავლულთა დაუღალავმა, თავდადებულმა მოღვაწეობამ ღრმა კვალი დააჩნია საზოგადოების ვითარების მსვლელობას. მცენიარება — აზრია; აზრი კი მუდამ წინ უსწრებს პრაქტიკულ მოქმედებას. მცენიარების ბუნება შემოქმედების თავისუფლება არის. ღირებულებათა მარაგი სიბნელით მოცული კოშკი იქნებოდა, მის ზედაპირზე აზრის თავისუფლების სხივი რომ არ გადაკრავდეს. მაგრამ სამწუხაროდ, ისტორიაში არა ერთი და ორი ცდა ყოფილა თავისუფლების ჩასახშობად. მცენიარების დევნის ბევრ შემთხვევას ჰქონია ადგილი წარსულში. მაგრამ ჩვენი დრო ამ ხრივ გაცილებით უფრო მძიმეა. მსოფლიო ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთ ნაწილში, სახელდობრ დასავლეთში, მცენიარული შემოქმედების თავისუფლება. მეორე ნაწილში, ე. წ. კომუნისტურ სამყაროში და, კერძოდ, საბჭოთა კავშირში, მცენიარული შემოქმედების თავისუფლება პატივსაყრი-

ლია; იქ მეცნიერებას სახელმწიფოსა და პარტიის მოსა-  
სახურის როლი აქვს დაკისრებული.

გარეშე მეთვალყურეთათვის საბჭოთა კავშირში მეც-  
ნიერთა მდგომარეობა სახარბიელოა: მრავალი მეცნიე-  
რული დაწესებულება, მეცნიერულ მუშაკების ძიებით  
არმია, წლიდან-წლამდე მეცნიერულ მუშაობისათვის  
დიდი თანხების გაღება და სხ. მაგრამ ჩვენი ვიცით, რომ  
მეცნიერთა მდგომარეობა იქ არა ისეთია, როგორც გა-  
რედან მოსჩანს. საბჭოთა კავშირში არიან ფილოსოფო-  
სები, მეცნიერები, აკადემიკოსები, მეცნიერება კი არა.  
და ეს უბრალო იმ მიზეზის გამო, რომ მეცნიერებისა და  
ფილოსოფიის სფეროში ჭეშმარიტების არავითარი ძიება  
არ შეიძლება, ჭეშმარიტება უკვე ხაზოვანია. ეს დიალექ-  
ტიკური მატერიალიზმია. არა თუ ჭეშმარიტებაა დია-  
ლექტიკური მატერიალიზმი, ის არის ერთად-ერთი ჭე-  
შმარიტება და ყველასათვის სავალდებულო, რომელიც  
პოლიტიკურ მოსაზრებებიდან გამოძვინარეობს და მა-  
შასადაძე ის პარტიულია. „ფილოსოფიაში, მეცნიერება-  
ში, ისე როგორც პოლიტიკაში უპარტიო თვალსაზრისი  
რეგვენების საქმეა. მეცნიერების თავიუფლებისა და  
არაპარტიულობაზე ლაპარაკი, — სწერდა ლენინი, —  
ბუნდოვანი ზღაპრებია, რომელთაც ჩვენს კულტურულ-  
მეცნიერულ ფრონტზე ადგილი არ უნდა ჰქონდეს“.

ლენინი საბჭოთა მეცნიერების ბურჯია. მისი ნაწერე-  
ბი საბჭოთა მეცნიერების კვლევა-ძიებათა ერთად-ერთი  
წყაროა. მეცნიერულ პრობლემათა პოლიტიზაცია, მათი  
რევოლუციურ მოქმედების სახელმძღვანელოდ გადაქ-  
ცევა, ლენინის კატეგორიული მოთხოვნაა. ამ მოთხოვ-  
ნიდან ერთი გოჯითაც გადახვევა საზინელ ერესად ითვ-  
ლება.

ორმოციან წლებში გამოვიდა აკადემიკოს ალექსანდ-  
როვის ნაშრომი: „დასავლეთის ფილოსოფიის ისტორია“.  
ეს ნაშრომი პარტიულ ხელმძღვანელობას სრულებით არ  
მოეწონა და ავტორი იძულებული იყო საჯაროდ განეც-  
ხადებია, რომ მომავალში, ის პარტიის დირექტივებს  
დაემორჩილება.

1965 წელს ნოემბერში საბჭოთა კავშირის კინემატო-  
გრაფისტების კავშირის ყრილობაზე მოსკოვში, კინო-  
სტენარისტმა კირილე ვლადიმეროვიჩმა განაცხადა: „მე  
ისტორიკოსი ვარ. ჩემი პირველი შრომა შამილზე დავ-  
წერე. შამილი, როგორც ეროვნულ განმათავიუფლე-  
ბელ მოძრაობის ბელადი. მაგრამ პოლიტიკური ამინდი  
შეიცვალა და შამილი ოცდაათიან წლების ბოლოში იმ-  
პერიალიზმის აგენტად იყო გამოცხადებული. და მე ვა-  
ღიარე ჩემი შეცდომა. შემდეგ, ომის პერიოდში, შამილი  
კვლავ ეროვნულ განმათავიუფლებელი მოძრაობის მე-  
თაური გახდა. მაშინაც ვაღიარე, რომ შევეცდი. შეცდო-  
მად ვაღიარე, რომ შევეცდი. დაბოლოს ჩემი შეცდო-  
მების მთა დადგა და ერთხელ მომეჩვენა, რომ მე თვი-

თონ შეცდომა ვარ. მაგრამ შემდეგ, ჩვეულების მიხედვით  
ესეც შეცდომით ვაღიარე და დავარწმუნე ჩემი თავი,  
რომ არა ვარ შეცდომა!“

ეს არ ვახლავთ ავტორის მიერ მოგონილი, არაბედ სა-  
ბჭოთა რეჟიმის მწარე, ნიშანდობრივი თვისებაა.

ისმება კითხვა: არის ეს მეცნიერება? დაწერო წიგნი,  
შიგ ჩადო შენი სული საუკეთესო ნაწილი, შემდეგ გაი-  
ძლონ ამ წიგნს მიაფურთხო და საჯაროდ აღიარო, რომ  
მასში ბევრი სისულელეა წამოროშილი.

მიუხედავად ამისა, ზოგთა აზრით საბჭოთა კავშირში  
მეცნიერება მინც არსებობს — რა უყოთ რომ ზოგჯერ  
დასვრილია. მაგრამ ჩიტის ბუდეც დასვრილია, მაგრამ  
შიგ ჩიტი სასიამოვნოდ გალობს. ატომური ბომბი ცი-  
დან არ ჩამოვარდნილა, არც „სპუტნიკები“, არც „სოიუ-  
ზები“. სრული პიმართლეა. დასავლეთის სპეციალისტები  
აღნიშნავენ, რომ ატომური ფიზიკა და მოლეკულარული  
ქიმია ფართოდ არის განვითარებული საბჭოთა კავშირში,  
მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, პარტიული ხელმძღვანე-  
ლობის უტიფრობა ასე შორს ვერ მიდის და ვერ მოით-  
ხოვს მეცნიერთაგან ელემენტარულ ნაწილებს შორის  
„კლასობრივი ბრძოლის“ არსებობის დასაბუთებას. ამ  
დაზგში პარტიული ხელმძღვანელობა უმწეოა ხელები  
აფათუროს და მეცნიერთა მუშაობას შედარებით თავის-  
უფალი გასაქანი აქვს. რაც შეეხება ჭეშმანიტარულ სფე-  
როს, აქ მის განვითარებაზე ლაპარაკი, როგორც ზევით  
აღნიშნა, შეუძლებელია. 52-ტი წლის განმავლობაში  
არც ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში, თუ პოლიტი-  
კურ ეკონომიკაში არც ერთი დამოუკიდებელი შრომა არ  
გამოქვეყნებულა, რომ არ ყოფილიყოს ის ლენინიზმით  
დადალული. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ზოგიერთ  
დაზგში საბჭოთა მეცნიერებამ ფართო მასალა დააგროვა  
მაგრამ ეს მასალა ნედლია, რადგანაც საბჭოთა მეცნიერე-  
ბი შიშობენ საერთო დასკვნების გაკეთებას, მაშასადაძე  
ეს კიდევ არ არის მეცნიერება.

საბჭოთა ხელმძღვანელობა ბევრს იკვებნის საბჭოთა  
ფიზიკისა და ზუსტ მეცნიერებათა მიღწევებზე. ჩვენ ამ  
მიღწევების ირგვლივ არ დავიწყებთ დავა, ხოლო შევ-  
ნიშნავთ, რომ თავისუფალი დასავლეთის მეცნიერების  
მიღწევებთან შედარებით, საბჭოთა მეცნიერების მიღწე-  
ვები ფრიად საღათ გამოიყურება. და რომ ჩვენ შეხედუ-  
ლებას მეტი სიცხადე მოვფინოთ, შემდეგ კითხვას ვარდ-  
გენთ: რა დარჩება თანამედროვე დასავლეთის ფიზიკაში  
უკეთუ ჩვენ მიგან გამოგყავით და ამოვიღეთ საბჭოთა  
ფიზიკა? ვფიქრობთ პასუხის გაცემა არ არის ძნელი:  
მცირე, ფრიად მცირე მნიშვნელობისა და ღირებულების  
რამ მოაკლდებოდა. თუ თანამედროვე ფიზიკიდან დასა-  
ვლეთის ფიზიკას გამოგყოფდით მსოფლიოსათვის ეს იქ-  
ნებოდა აუნაზღაურებელი ზარალი. წარმოუდგენელია  
თანამედროვე ფიზიკის მაქს პლანკისა, ჰეიზენბერგის და

ნილს ბორის გარეშე, მაგრამ კაპიცასა და იოფეს გარეშე კი სრულიად ადვილად წარმოადგენია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კაპიცა სამეზობრო მეცნიერია, ის ინგლისში სწავლობდა და როგორც მეცნიერი იქ დავაუკაცდა.

ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენი განზრახვაა საბჭოთა მეცნიერთა ნიჰს ბინდი მოვფინოთ. პირიქით. ჩვენი მწარე სიტყვები მიმართულია არა მათდამი, არამედ საბჭოთა რეჟიმის ველურ პოლიციურ აპარატისადმი. დაიმონეს რა მეცნიერები, ისე როგორც მთელი მოსახლეობა, საბჭოთა დიქტატორებმა მეცნიერთა მოღვაწეობას თავიანთი დესპოტური ძალა-უფლებების განმტკიცებისათვის საჭირო მიმართულება მისცეს და რადაც არ უნდა დაჯდეს ჯოჯოხეთური ენერჯით ყველას ანადგურებენ, ვინც შეგნებულად თუ შეუგნებლად მათ ამ გზაზედ ელობება.

**შ. კალანდძე**

მიუნხენ, ნოემბერი, 1969 წ.

**თამ. ჩილაია**

**კომუნისტური რელიგია**

50 წელიწადია მას შემდეგ, რაც რუსეთში საბჭოური სახელმწიფო შეიქმნა და ამ ხანის განმავლობაში 50-ჯერ ათასი სხვა და სხვა შეხედულება არის გამოთქმული მის შესახებ; ამიტომ ძნელია რაიმე ახალი დაფასება, მისი ახლებურად გამოჩენა.

მაგრამ არავის დააკლდება რამე, თუ ჩვენ საკუთარ დაფასებას ვაგაყნობთ და თუმცა შეიძლება სხვადასხვა ასეთი რამ ბრძანა, კანდიერება არ იქნება ჩვენც ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ —

რუსული კომუნისტი და საერთოდ კომუნისტი იმ სახით, როგორც იგი რუსეთში წარმოიშვა, არის კომუნისტური რელიგია.

როგორ შეიძლება არსებობდეს კომუნისტური რელიგია?! შეიძლება კი არა, ნამდვილად არსებობს, რადგან კარლ მარქსი არის ზესთაბუნებრივი, არა ამქვეყნიური ძალა; არის პიროვნება და მისი სწავლა, რომლის სიტყვას ყველა უნდა ემორჩილებოდეს და მისგან ცხონებას გამოელოდეს. მარქსი არის გაპიროვნებული ღმერთი, რომლის შესახები დოგმები სავალდებულო არის, ისე როგორც ღმერთის სიტყვა და დოგმები სავალდებულოა. კარლ მარქსს ჰყავს თავიანი მოციქული, ლენინი, მისმა მოციქულმა შექმნა მარქსისტული ეკლესია და რადგან მოციქული, ან პაპი არის წარმომადგენელი ღმერთისა, ლენინიც არის წარმომადგენელი ღმერთი - მარქსისა.

როგორც ყველა რელიგიაში, ისე მარქსიზმშიც იყო ბრძოლა ერთი გარკვეული, ჩამოყალიბებული, მტკიცე

ეკლესიური დოგმების დასადგენად, და თუ ისტორიის მიხედვით, აღმოჩნდება, რომ ამ რელიგიური სწავლის გარშემო ყოველთვის იყო დიდი ბრძოლა და ერთი ხაზის გამომუშავების ცდა, რომელსაც მრავალი ასიათასი ადამიანი შეეწირა, რადგან ადვილი არ არის ყველა ადამიანს ერთნაირად აფიქრებინო და ამოქმედო იგი. ამიტომ რელიგიის ისტორიაში გაჩნდა აუაზებელი გადახრა, მრავალი გადავევა, სექტა, რომელსაც ეკლესია ებრძოდა ცენერალური ხაზის დასადგენად და გასამაგრებლად. ამ ბრძოლაში ბევრი სისხლი დაიღვარა, ბევრი ადამიანი დაიღუპა; მაგრამ თუ შევადარებთ იმ მსხვერპლს, რაც კომუნისტურ საკუთხეველზე შეიწირა, იგი იქნება მცირე, უმნიშვნელო რამ. სპეციალისტების ანგარიშით, რუსეთის ახალმა რელიგიამ იმსხვერპლა სამოცდახუთმეტი მილიონი ადამიანი. აქედან კომუნისტური დოგმის ზეარაკად გახდა 5.600.000 მრეწველი, მემამულე, ვაჭარი და სხვა „ბურჟუაზიული ელემენტი“, 17 მილიონი გლეხი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური ცენტრალური კომიტეტის ორგანოში „ცხოვრება პარტიისა“ გამოცხადებული იყო, რომ 1933 — 1937 წელთა მანძილზე პარტიულ „განწმენდას“ შეეწირა 798.072 კომუნისტური პარტიული წევრი! მარქსისტულ - ლენინურმა ახალმა რელიგიამ ამდენი მსხვერპლი გადასანსლა!

რით გამოიხატება ეს რელიგია და რა არის მისი მთავარი დოგმა? ეს არის ისეთი რელიგია, რომელშიც პირველ ადგილზე დგას: სოციალიზმი და კომუნისტი. ესე იგი: კომუნისტური ესხატოლოგია.

რა არის ეს ესხატოლოგია? იგი არის სწავლა (დოგმა) უკანასკნელ ნივთთა, მოვლენათა (ეს - ხატოს) შესახებ, რომლის თანახმად დადგება დრო, როდესაც ყველაფერი შეიცვლება და საერთო ბედნიერება დამყარდება.

ჩვენ ვიცნობთ სხვა და სხვა შეხედულებას ამ ესხატოლოგიაზე, ოღონდ ჩვენთვის იმგვარი ესხატოლოგია არის მნიშვნელოვანი, რომელიც კომუნისტურ ესხატოლოგიას გამოხატავს. ესხატოლოგიის ერთი სახე არის ის შეხედულება, რომლით თანახმად, მომავალში, მგელი და კრავი მშვიდობიანად ერთად იცხოვრებს მეორე მისი სახე არის „ხილიაზმუს“, ანუ „ათასი წლის“ შემდეგ, მესიის ქვეყანაზე მოსვლასთან ერთად ამ ქვეყნად სრული ბედნიერება შეიქმნება; მესამე მისი სახე არის წარმოდგენილი ასე: სიკვდილის შემდეგ სული იმყოფება განსაწმენდელში ანუ სალხინებელში და შემდეგ იგი, ცხონებული იქნება და სხვა.

კომუნისტურ რელიგიაში ეს ესხატოლოგია გამოხატული არის იმ ხანით, როდესაც საზოგადოებაში ნივთიერი ურთიერთობა სრულებით გამოიცვლება, სრულიად უკლასო საზოგადოება შეიქმნება, ყველა გაათანაწიორდება და წარმოიშვება „საბჭოური ადამიანი“, რომლის სრულ ბედნიერებას საზღვარი აღარ ექნება.

(ადამიანის ასეთი გარდატეხა და გარდაქმნა, „საბჭო-ური ადამიანი“ შექმნა და ბევრი სხვა რამ არის კომუნისტური მითოსი, და როგორც მითოსს, მას განამდევ-ლება, თუ განხორციელება არ უწყდება).

ეს იქნება კომუნისტური ხანა, მაგრამ ათას წელს „კვინ მოუცდის! კომუნისტურმა ხუცეებმა უკვე გამო-აცხადეს, რომ ხანა ასეთი ბედნიერებია უკვე დასრულ-და სოციალიზმის დამყარებით და ახლა იწყება კომუნ-ნიზმის ხანა, რაც ხრუშჩოვის ფანტაზიით 1980-იან წლ. განხორციელდება; არამც თუ მარტო საბჭოთა კავშირ-ში დამყარდება ასეთი ხანა, არამედ მთელ მსოფლიოში, როდესაც ყველგან კომუნნიზმს ხორცი შეეხებება.

კომუნისტური რელიგიის ეს ექსატოლოგია გამოდის ძველი რუსული შეხედულებიდან, რომლის მიხედვით რუსეთის ხალხი ჟნდა ყოფილიყო მესიის მატარებელი „მესიას“, ანუ „ცხებული“, ღმერთის მიერ ცხებული და არჩეული პიროვნება, თუ ერი ამ ქვეყანაზე სრულ-ყოფილ ცხოვრებას დაამყარებს, ოქროს ხანას დაამკვი-დრებს, დაკარგულ სამოთხეს აღადგენს.

ეს რელიგიური - პოლიტიკური მესიანიზმი რუსულმა სლავიანოფილურმა წრეებმა რუსეთის ხალხს დააკისრეს და მას მსოფლიოში ბედნიერების დამყარების ამოცანა დაუსახეს. სლავიანოფილთა ასეთი შეხედულება რუსმა მარქსისტებმა, ლენინის სწავლით, რუსეთს თავზე მო-ახვიეს ძალით, ამ იდეის სახელმწიფო იდეად გადაქცი-ვით და შემდეგ მისი გავრცელებით, მაგრამ არა მარტო მარტივი გაქადევით, არამედ აგრეთვე ძალითაც, საჭურ-ველის, ანუ იარაღის შემწეობითა და საშუალებით.

არსად, არც ერთ ქვეყანაში კომუნისტური ექსატო-ლოგიის იდეა თავისი ბუნებრივი განვითარების გზით არ განხორციელებულა. ყველგან ყველა ქვეყანაში მოს-კოვმა იარაღის მეოხებით გაავარცხლა და განამტკიც თავისი რელიგია, — პირველად ყოვლიანა რუსეთის იმ პერიისაგან განთავისუფლებულ ერთა შორის, და ამგვა-რად ეს რელიგიური მესიანიზმი, კომუნისტური ტერ-მინი რომ ვიხმაროთ, „გადაიხარდა“ რუსულ იმპერია-ლიზმში.

რუსეთის ხალხი „უნდა გაბედნიერდეს!“ მან სხვა ხალ-ხებიც „უნდა გააბედნიეროს“; ავემოს მას „სამოთხის ხი-ლი“; ოღონდ სხვების „გაბედნიერება“ ნებაყოფლობით, თავისთავად არ მომხდარა — არსად! და რადგან მათ არ ესმით და არ გაეგებათ თავიანთი ინტერესები, ამიტომ ძა-ლით უნდა „გააბედნიეროს“ მოსკოვმა ისინი; ეს, ღღეს „ქართველი პატრიოტები“ რომ უწოდებენ — „ჩვენი დედაქალაქი“ — მოსკოვი — ღვთის მიერ „ცხებული“, „მესია“, ხიზმით იპყრობს უკრაინა, მელორუსია, აზერ-ბაიჯანს, სომხეთს, საქართველოს, თურქესტანის ქვეყ-ნებს და მეორე მსოფლიო ომის დროს ბალტიის სახელ-მწიფოებს: (ლატვიას, ლიტვას, ესტონეთს), შეიერთება

ომის შემდეგ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დიდ ნა-წილებს, რუმინულ ბესარაბიას, გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილს (კონიგსბერგის შხარეს), ხოლო ევროპია აღმო-სავლეთს (პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, უნგრეთს, რუმინეთს და ბულგარებს, საერთოდ ევრეთ-წოდებულ „სა ტელიტებს“ თავის მჭიდრო კავშირში ამყოფებს, მათზე ბატონობს); ხოლო გულუბრყვილონი არიან ისინი, რომელნი ფიქრობენ, რომ რუსეთი აღმოსავლეთი გერმა-ნიის ე; წ. „სახალხო დემოკრატიის“ რესპუბლიკას ძალ-დატანების გარეშე ხელიდან გაუშვებს! რამეთუ რუსუ-ლი კომუნნიზმისათვისა ერის თვითმყოფობისა და ნება ყოფლობა იდეა არ არსებობს, — ერი, როგორც ერი მის მიერ უკუგდებულა; მას აინტერესებს ტერიტორია ხალხებით დასახლებული; ეს ტერიტორიები მან უნდა დაიკავოს; იგი უნდა გააკომუნისტოს და რუსეთთან ბა-ტონობაში ამყოფოს.

ამგვარად: მარქსიზმ - ლენინიზმ - სტალინიზმ - ხრუ-შჩოვიზმ - ბრეჟნევიზმის, საერთოდ მოსკოვური კომუნ-ისტური პარტიის კომუნისტური რელიგია, რუსულ იმ-პერიალიზმად გადაქცეული, მთელ მსოფლიოს გაბედნი-ერებას უქადის, ყველგან კომუნნიზმის დაფუძნებით.

როგორც ეს ყველა დიდ და ფართო ხასიათის რელი-გიური თუ სოციალ - რელიგიურ მოძრაობას ახასიათებს (ქრისტიანიზმი, მაჰმადიანიზმი), ერთგურ წარმოშობი-ლი მესიანიზმის იდეა ცდილობს მოიპოვოს ბატონობა და რუსულ მესიანიზმს სწორედ ეს ახასიათებს. მან გა-ავრცელა თავისი იდეა, მისწრაფება მთელ მსოფლიოში, ზოგან იგი განხორციელების პროცესშია, მაგრამ მას თან დაჰყვა ეროვნულ მომენტი და ამიტომ ეს რუსული კომუნისტური მესიანიზმი ჩინურ, რუმინულ, თუ იუ-გოსლავური და სხვ. რუსული გენარალური ხაზიდან გა-დახვევას იტულისხმობს, რასაც გააფთრებით ებრძვის რუ-სული კომუნნიზმი, ხან კი ცდილობს იგი შეიგუოს, მაგ-რამ ხელიდან კი არ გაუშვას.

თავის თავად ცხადია: ეს რუსული კომუნისტური მეს-იანიზმი თავისი მიზნის მისაღწევად ხშირად ტაქტიკას იცვლია: ხან მგელის, ხან ბატკანის სახით გამოჩნდება და უკანასკნელ ხანაში „კოექზინსტენციის“ ანუ თანა-არსებობის სახით გვევლინება, ამას ქადაგებს; კომუნია-ტურ რუსეთს შეუძლია მშვიდობიანად იცხოვროს დაწ-ყველილ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ერთადო, მაგრამ იგი არაოდეს მხედველობიდან არ უშვებს იმ გარკვეულ მიზანს, რომელსაც იგი ემსახურება; ეს მიზანია არის — მსოფლიოში კომუნისტური სამოთხის დამყარება. ესაა მისი, რუსული კომუნისტური ანკესი, რომელზეც კაპი-ტალისტური ღღავი გულუბრყვილოდ უნდა წამოეგოს.

შიში. როგორც თითქმის ყველა რელიგიაში, ისე კო-მუნისტურ ეკლესიაშიც დიქტატურა ბატონობს. პაპი, და სულთანიც, ძველად მაინც, და კომუნნიზმის ხანაში

პოლიტიკური, თუ დიქტატორი ერთი და იგივე არის. კათოლიკური, თუ მამულისადაც დოგმები უკვე გარკვეულია და ხელუხლებელი. კომუნისტური დოგმებიც ცნობილია და დადგენილი ლეიონ-სტალინის წიერ. მოწინააღმდეგეს ვერც ერთი ვერ იღუვებს; იგი დაისჯება. კათოლიკური ეკლესია აღჭურვილი იყო ინკვიზიციის დაწესებულებით, რაც ისტორიას დიდი ხანია ჩაბარდა. კომუნისტური ეკლესიას ჰყავდა და ჰყავს უღმობელი ჩეკა; პირველმა შედარებით ამასთან მცირე მსხვერპლი მოითხოვა, ხოლო ჩეკამ მილიონ თავებს სიცოცხლე მოუსპო დახვრეტით, ციხით, კონცენტრაციული ლაგერებით და კატორღული მუშაობით; ვოლგის არხი ცნობილია ხომ „სისხლიან არხად“ — იმდენი საბჭოთა მოქალაქე დაიღუპა იქ!

მაგრამ კათოლიკურ ეკლესიასა და კომუნისტურ ეკლესიის შორის განსხვავება მაინც არის. კათოლიკური ეკლესიის წევრთა შორის უკვე დიდი ხანია შიში აღარ არსებობს, — ინკვიზიციასთან ერთად იგი გაჰქრა. კომუნისტურ ეკლესიაში სტალინის დროინდელი შიში დღესაც ბატონობს უწყევად, რადგან დღესაც ექვმიტანილი პიროვნება განწირულია. „შიში ბატონობს მთელ სახელმწიფოში; შიში ბატონობს მთელ საზოგადოებაში“ შიში ბატონობს ოჯახში და საბჭოთა მოსახლეობის თვითულ წევრში.

კათოლიკურ ეკლესიას ჰქონდა ცენზურა; მაგრამ ამ ეკლესიის წევრს დღესაც შეუძლია აკრძალული წიგნის წაკითხვა; ამჟამად კი მთელი რეფორმების ხანა დაიწყო მასში. ოღონდ საბჭოთა მოქალაქეს არც დღეს, ამ 52 წლის შემდეგაც არ შეუძლია მიიღოს, ან წაიკითხო აკრძალული წიგნი; ამ შემთხვევაში იქ ცენზურა სრულყოფილია. ამ ვებერთელა ქვეყნის საზღვრები ჩაკეტილი არის და „ბურჯუაზიული წიგნი“ მისთვის მიუღწეველია. საბჭოთა ხელისუფლება დიდად ზრუნავს თავისი მოქალაქეათვის; იგი სუფთა კომუნისტური წიგნით უნდა საზრდოობდეს; იგი სხვა აზროვნებით არ უნდა ძეირყვნას; და ამიტომ არაკომუნისტური რამ არც უნდა წაიკითხოს, არც უნდა გაიგონოს. ამისი დარაჯი არა კომუნისტური ცენზურა, უღმობელი მდეგნელი. და რადგან ეს ასე არის, ამიტომ შიში ბატონობს იქ განუსაზღვრელი და სულის შემხუთავი.

**ისტორიული ტყუილი. სიცრუე.** ტყუილი არის შეგნეპულად გამოთქმული სიყალბე; განზრახ ნათქვამი არა სწორი და არა გულწრფელი აზრი იმ მიზნით, რომ სხვა შეცდომაში შეიყვანოს; სიცრუე ჭეშმარიტებად მოაჩვენო, ტყუილი სინამდვილის სახით გაასაღო.

ისტორიული სიცრუის შექმნაში კომუნისტები დიდად დახელოვნებული არიან; იანნი არამც თუ არ ჩამორჩებიან შუა საუკუნეთა ცრუ ბერებს, რომლებიც ყალბ დო-

კუმენტებს სთხზავდნენ, არამედ სჯობნიან კიდევ და მერმე როგორ: ამორღია მათთან შედარებით ბავშვია!

**ცნობილია:** შუა საუკუნეთა გასწრივ ეკლესია და მისი დამცველები აუარებელ ცრუ, ყალბ, მომატყუებელ საბუთებს ადგენდნენ და სწერდნენ, — ეს არ ითვლებოდა სიცრუეთ, რადგან ეს წესი და ჩვეულება ტყუილისა ერთ მიზანს ემსახურებოდა, ანუ როგორც ამბობს ამ საკითხის მკვლევარი რაინჰოლდ ლორენც —

არა მარტო მტკიცე რწმენა კეთილი მიზნისათვის, სრული ნორჩილება დასახული მიზანის წინაშე ამოძრავებდა შუა საუკუნეთა ცრუებსა და მატყუარებს, არამედ ის მოვლენაც, რომ მათ არ გაეგებოდათ, არც ესმოდათ, თუ რა არის სიმართლე, რა არის ჭეშმარიტება, — ეს არ იყო თვითმყოფი აბსოლუტური, როგორც ეს ჩვენ დღეს გაგვეგება, არამედ იყო მხოლოდ რელატური, რაც მათი მიზნიდან გამოდიოდა. და ეს მიზანი იყო ერთადერთი, მხოლოდ ღმრთიერი ჭეშმარიტება, რაც მაცხოვრების გეგმას, ცხოვნების რწმენას შეეფერებოდა; რაც ეკლესიას, საიქიო ცხოვრების რწმენას ეთანხმებოდა, — ეს იყო მართალი და ჭეშმარიტი; ხოლო სიცრუე იყო ყველაფერი ის, რაც ამ დასახულ მიზანს ეწინააღმდეგებოდა; რაც ღმერთის გაგებას ცხოვნებისას არ უდგებოდა. ამიტომ თვითეული კაცისათვისაც ნამდვილი, მართალი და ჭეშმარიტი იყო ღმერთის მიმართებით და ღმერთთან დამოკიდებულებაში ჩნდებოდა. ამიტომ სთხზავდნენ სწავლული ბერები ისტორიულ სიცრუეს და იყენებდნენ მათ ეკლესიის დოგმების განსამტკიცებლად.

ისტორიული სიცრუის შეთხზვა და ტყუილის გამოგონება არც ისე ძნელი იყო, რადგან კრიტიკული მიდგომა მოვლენებისადმი არ არსებობდა და ლეგენდებს დიდი გასავალი ჰქონდა; შეთხზულ გამოსაღვე ამბებზე დიდი მოთხოვნილება იყო. და ეს გაგრძელდა რენესანსის ხანამდე, როდესაც მორცხვად მაინც კრიტიკამ თავი წამოჰყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, ისტორიულ სიცრუეს ისევ დარჩა ასპარეზი მეფორამეტე საუკუნემდე... განსაკუთრებით იტალიაში, რომელიც თავის თავს ძველი რომის განმასხვებლად სახავდა. ამ მხრივ შესანიშნავი არის მაკიაველი, რომელიც ფიზიკური რეალისტი იყო, მაგრამ ამის მიუხედავად, მისთვის სახელმწიფო ინტერესი და სახელმწიფო ძალაუფლება, ვნებადი ნატურა ძალისა და ბედნიერებისა იტალიის ხალხისთვის წარმოდგენილი ჰქონდა. მისთვის სახელმწიფო იყო ნამდვილობა, ჭეშმარიტება და ყველაფერი დანარჩენი ამ მიზანს ემსახურებოდა; ამიტომ სიცრუეს, ტყუილს, მოტყუებას მის სწავლაში პირველი ადგილი ეჭირა, რაც შემდეგ ხანაში გალამაზებული სახელით მოინათლა და ეს იყო დიპლომატია.

**პოლიტიკური სიცრუე.** რაც შეეხება პოლიტიკურ სიცრუესა და მოტყუებას, აქ თვით სახელმწიფო, ანუ მი-

სი მეთაურობა, თუ მმართველი პარტია, ან საერთოდ მმართველის მოქმედება, თუ ქადაგება სიცრუისა და ტყუილისა გამოხატულება არის თავისი პოლიტიკის გასაძარტლებლად, გასადიდებლად, საქებად და სატრაბახოდ. ამგვარი პოლიტიკა მოკლებული არის ადამიანის ღირსებასა და ღირებულებას, როგორც ზნეობის, ეთიკის თვალსაზრისით, იმე უბრალო რიგიანობის მხრითაც.

მართალია, ფიქრობენ: პოლიტიკური ტყუილი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობსო; სახელმწიფოს თავდაცვას, განმტკიცებასა და გაძლიერებას ემსახურებაო, ხოლო პირადული ტყუილი კი არ არის, არამედ არაპირადული არისო, მაგრამ იგი მაინც სიცრუეზე და ტყუილზე არის დამყარებული — ეს განსაკუთრებით და თვალნათლივ ჩანს საბჭოთა კავშირის მაგალითზე, სადაც სიცრუე და ტყუილი არის ნამდვილი ხელობა.

ტყუილის ეს ხელობა, რომელზეც აგებულია საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, აგრეთვე სამეურნეო პოლიტიკასაც ეხება. საამისო მაგალითების მოტანა შორს წაგვიყვანდა...

ისტორიული ტყუილი, უეჭველად, რუსეთის სახელმწიფო ინტერესებით გამოწვეული, თავის თავად არის ისტორიული და პოლიტიკური სიცრუე, ყოველგვარ მორალს მოკლებული და ამ სიცრუეს 52 წლის განმავლობაში უჩიჩინებენ საბჭოთა ხალხებს; 52 წლის განმავლობაში ასარჩალევენ ენას უცხოეთის და თავისი ხალხის წინაშე და ამას ისეთი ვეებერთელა პროპაგანდით აკეთებენ, რომ უცხოეთში ბევრს გზაკვალს უზნევენ, ხოლო შინ, საბჭოთა ხალხებს შორის თუმცა ბევრს გაეგება, რომ ყოველი ეს პროპაგანდა ტყუილი არის, მაგრამ სიმართლის თქმას ვერაინ ბედავს, რადგან სახელმწიფო და პარტიული აპარატი ასეთ მოყრტიე პირებს ენასა ჰგლეჯენ, ან საკონცენტრაციო ბანაკებში, ან საგიჟეთში უკრავენ თავს. და ყველა იძულებულია სიცრუე გადაყლაპოს, მოინელოს კიდევ, თუ არა სურს თავისი თავის გაუბედურება.

ღმერთი სიცრუისა ბატონობს საბჭოთა კავშირში და ამ ღმერთს ემსახურება საბჭოთა სახელმწიფო; ამ საშინელ ღმერთს ეთაყვანება, როგორც სახელმწიფო, ისე მისი პარტია; როგორც პოლიტიკა, ისე ჩვეულებრივი მოქალაქე; ყველა სიცრუის ღმერთის მონად არის გადაქცეული... ყველა ტყუილს ლაქლაქობს; ყველა ტყუილს იმეორება შინ და გარეთაც, საბჭოთა კავშირში, თუ მისი საზღვრების მიღმა. ამგვარად, როგორც სახელმწიფოებრივი ცხოვრება, ისე ოჯახური და პირადული ტყუილზე არის დაფუძნებული და მის გარეშე არსებობა არავის შეუძლია. ზნეობრივი თვალსაზრისით ეს არის გარყვნილების, გათახსირების, დაკნინების სამეფო, ადამიანის სულის გამანადგურებელი.

**ეკონომიკური სიცრუე.** რაც შეეხება ეკონომიკურ,

სამეურნეო სიცრუეს, ამაში საბჭოთა კავშირს ვერაინ დაეტოვება. უეჭველია, ამ 52 წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა (როგორ?! ხალხი ხომ არ მომკვდარა!), მაგრამ ამ ვაკეთებასთან ერთად იმდენი სიცრუე და სიყალბეა, რომ ვაზეთია წაშეთხველს, თუ მსენელს გული შეუწუხდება; ამ შემადრწუნებელი ტყუილის დასახსიათებლად მრავალთა და მრავალთა შორის მხოლოდ ერთ მაგალითს აღვნიშნავ. საბჭოთა მთავრობა და პარტია ტრაბახობს, რომ მან კავშირში შემავალ ხალხთა მეურნეობა სამრეწველო საფეხურზე აიყვანა, მას ინდუსტრიალიზაცია მოუხდინა და ამ მიზნით აქვეყნებს ცრულ სტატისტიკას: საერთო, ბრუტო ზრდა წარმოებისა 1940 წელს, შედარებით 1913 წელთან, ტაჯიკისტანში გაიზარდა 308-ჯერო! და აქ სრულებით ნახსენები არაა არც ვაკვრით, რომ ძველად ამ ქვეყანაში დიდად განვითარებული ხელოსნობა იყო!

**სამოთხეზე სიცრუე.** არ გაეჩერდები იმ სიცრუეზე და მართლა თავბრუდამხვევ სიცრუესა და წესიერი ადამიანის შეგნების შემლახველ ტყუილზე: რომ საბჭოთა ხალხები ბედნიერი არიან; სასიამოა მათი ცხოვრება; საამურია იგი! და ამას ათეულ წელთა მანძილზე, დღემდე, ყოველდღიურად ქადაგებენ ყოველი საშუალებით... — ასეთი ტყუილის ქადაგება ისტორიაში არსად, არც ერთ ხალხს არ მოუხმენია, არც დასისზმრებია... ეს მხოლოდ კომუნისტურ სამოთხეში ხდება... „სამოთხეში“ ხდება იმიტომ ვთქვით, რომ ეს მეთოდი ტყუილისა სავსებით ეთანაბრება და შეეფერება იმ ტყუილს, რომელს ეკლესია და მისი დამცველი სწავლული ბერები მიმართავდნენ თავისი რელიგიური დოგმების დასამაგრებლად.

ამგვართვე კომუნისტური რელიგიის განსამტკიცებლად და დასამაგრებლად კომუნისტური მთავრობა და პარტია სიცრუეს მიმართავენ და მომავალი ცხოვრების, სამოთხის დაპირებით საბჭოთა კავშირში დამწყვედულ ხალხებს, თუ მის სატელიტებში მოქცეულ ერებს რელიგიური აღზნებით მიითრევენ. ამით აიხსნება ის ცნობილი მოვლენა, რომ კომუნისტები ყოველ რელიგიას, ქრისტიანულს, თუ მაჰმადიანურს, ბუდისტურს, თუ ისრაულს გამწარებით ებრძვიან, რადგან ამ რელიგიებში ისინი თავისი რელიგიის მეტოქეა ხედავენ და სურთ, რომ მხოლოდ ერთი რელიგია იყოს გაბატონებული, რელიგია მარქს - ლენინისა.

განუსაზღვრელი ტრაბახი და გაზვიადება გადაბმული არის სიცრუესთან და ორივეს ერთად გარკვეული დანიშნულება აქვს: აქოს და ადილოს საბჭოთა რეჟიმი და ამით ეთაყვანონ იმ რელიგიურ მარქსიზმ - ლენინიზმს, რომელსაც, როგორც იტყვიან, „ბრძნული ჩვენი პარტია“ ხელმძღვანელობს. ეს გადაჭარბება - სიცრუე მარქსისტული რელიგიის სამსახურში არის ჩაყენებული და მას თავგანწირვით ემსახურებიან.

ამ სიტუაციასთან დაკავშირებით განვითარებულია და დღესემოდგმული, უსაზღვრო ტრაბახი, მკვებარობა, ბაქი-ბუქი, ფახიფუხი ბლინძეა, რასაც უბრალო ერთი უენეველი მკვლევარი და ჟურნალისტი — ტატუ შემდგეი მაგალითით ახასიათებს: — საბჭოური კვერცხის შავავსი, შესანიშნავი და კარგი არსად არ არსებობსო (საბჭოელები თქმით)!

**მლიქვნელობა.** სრულიად ცხადი უნდა იყოს, რომ საბჭოური ვითარებაში ფართო გასავალი აქვს მლიქვნელობას, პირმოთენობას, რასაც რუსული სიტყვა „პოდხალიმსტოვ“ კარგად გამოხატავს. ეს არის ის საშინელი ჭირი, რომლითაც მთელი საბჭოთა კავშირის ცხოვრება მოწამლულია. ეს „პოდხალიმსტოვ“, ცოტა თუ ბევრად ყველგან არსებობს, მაგრამ ისეთი სიგანითა და სიღრმით, როგორც ეს საბჭოთა კავშირშია, — არაა.

საბჭოთა კავშირში „პოდხალიმსტოვ“ არის სისტემა, რომლის გარეშე ადამიანს არ შეუძლია ნაბიჯი გადადგას; ეს მლიქვნელობა — პოდხალიმსტოვ საჭირო არის საბჭოთა მოქალაქისათვის, რათა მან იცხოვროს... და აგრეთვე კარიერა გააკეთოს. წამოსკუბდეს.

**სამგლეთი.** საბჭოთა კავშირი სამგლეთია. ეს არის მგელთა ქვეყანა, და მისი საზოგადოება არის არა ჰუმანური, როგორც კვენით ტრაბახობენ, არამედ ნამდვილად: მგლური. სახელმწიფო ყველას სძარცვავს; ყველა — სახელმწიფოს; და თვითელი მოქალაქე ერთმანეთს ჰგლეჯს. სხვაგვარად ცხოვრება იქ შეუძლებელია. ამიტომ არის იქ გაბატონებული ეგრეთ წოდებული „მაენებლობა“, „ქურდობა“, „ხალტურა“. ერთმა ტყვემ ეს სიტყვა ასე განმარტა: თუ მეზობელს მოვპარავ რამეს, — ეს არისო ქურდობა; ხოლო სახელმწიფოს (კოლხოსს, ან სხვა დაწესებულებას) მოვპარავ რამეს, ეს არისო „ხალტურა“. შორეულად მგავსი რამე არსად არ არის გაბატონებული და ამგვარი რამ გაბატონებულია მხოლოდ საბჭოთა კავშირში, რადგან ვაჭირებისა და მოუწყობლობის ნიადაგზე ასეთი ძარცვა-გლეჯა მართლაც აუცილებელია. და ამიტომ არის საბჭოთა ქვეყანა სამგლეთი და იქ მგელის ფსიქოლოგია არის დამკვიდრებული.

**გამოფიტული ცნებები.** უკლასო საზოგადოება. ძოსკოვი მსოფლიოს ყურს ჟყრუებს: ჩვენ სოციალიზმი დავამყარეთ და ახლა კომუნიზმის შენებას შევუდგებითო! ჩვენ უკლასო საზოგადოებას შევქმნითო; ხან და ხან ამბობენ: უკვე შევქმნითო! ეს არის ვეებრთელა ტყუილი, და მხოლოდ ცინიკებს შეუძლიათ ასეთი რამე წამოროშონ. რას ბრძანებთ? საბჭოთა კავშირში გაბატონებული არის არისტოკრატია, პარტიული არისტოკრატია; ხოლო დანარჩენი ხალხი კი მონად არის გადაქცეული. საბჭოთა კავშირი მონათმფლობელურ საზოგადოებაზე არის დაფუძნებული.

კომუნისტებმა ევროპის კულტურის ცნებები შეითვი-

სეს, თავისად გაიხადეს, მაგრამ მათ შინაა. სი გამოაცალეს გამოფიტეს. „დემოკრატია“, „სოციალიზმი“, „სიტყვის თავისუფლება“, „არჩევები“, „პიროვნების ხელშეუხებლობა“ „თავისუფლება“, „ეროვნული დამოუკიდებლობა“ და სხვა და სხვა ამგვარი, რაც დასავლეთის კულტურას ახასიათებს, მათ ამოჰამეს, გამოაფულურეს და სამაგიეროდ მასში კომუნისტური სიბინძურე ჩატენია. საბჭოთა კავშირში „დემოკრატია“ არის პარტიული არისტოკრატის ბატონობა; სიტყვის თავისუფლება არის მხოლოდ პარტიული პირების ლაქლაქი; პრესის თავისუფლება არის პარტიის ბატონობაში მორჩილად ყოფნა და პარტიის ნებაზე წერა; ერთა თავისუფლება არის ერების დაქედვა და ძალით საბჭოთა კავშირში ჩაქედვა; მართალი არის ის, რასაც პარტია ბრძანებს, რასაც მოსკოვი დაადგენს და სხვა არავინ შეიძლება იყოს მართალი. დასავლეთი ევროპის კულტურისა და საზოგადოებრივი წესის ცნებები საბჭოეთში გამოფიტულია და შიპ ნაკვლად იქ სიტუაცე და ტყუილი არის ჩატენილი.

**დასაჭურისება.** ისე როგორც შუა საუკუნეთში, როდესაც ეკლესია ცდილობდა ერთი გარკვეული ასკოვნება გაებატონებინა, დღეს, მეოცე საუკუნეში, კომუნისტური რეჟიმი გამწარებული იბრძვის კომუნისტური იდეების ხალხში ჩასანერგად, 50 წლის განმავლობაში ჩასჩინებენ ხალხს და ასწავლიან შეუწყვეტელად მარქსიზმ-ლენინიზმს და დღემდე ამ მიზნისათვის ვერ მიუღწევიათ — არ იქნა და არა, ვერ გაამარქსიანტეს და ვერ გააღენინეს ხალხი არსებითად და შეგნებულად, ვაძობთ, არსებითად და შეგნებულად, რადგან გარეგნულად ყველა არის მარქსისტ-ლენინისტი; უამისოდ ამ სამგლეთში კაცი ვერ იცხოვრებს, ვერ იცოცხლებს, — ეს არის შემადრწუხებელი მორალური გაბრწნა. ყველა უნდა ხელაპყრობილი იყოს და გაიძახოდეს: გაუმარჯოა მარქსიზმ-ლენინიზმს.

**მწერლობა?** აბა, რა სათქმელია. მწერლობა უნდა ემორჩილებოდეს ლენინიზმის იდეებს; უნდა ემსახურობოდეს კომუნიზმს; მან უნდა დახატონ კომუნისტური შეენიერება, კომუნისტური სამოთხისებური ცხოვრება და მისი თავდადებული გმირები. მწერლობა ურდგენებს პროგრამას, რომელსაც მან მხატვრული ხასიათი უნდა მიანიჭოს. და ასეთი მწერლობა, თავის თავად ცხადია, ტყუილზე აგებული, მლიქვნელური, არის ჟუნეო, ამგვარ ნაწარმოების წაკითხვა, რომელს მოკლებული აქვს ყოველგვარი ესთეტიკა, ნორმალურ ადამიანს არწყვეინებს... დახუთულია და დაბერწებული ამგვარი საბჭოური მწერლობა, რომელს „თავისუფალ“ სუციალისტურ მწერლობას უწოდებენ; დასაჭურისებული არის იგი.

**მონობა.** კომუნისტებმა მოტყუებით დაიწყეს თავისი შემხსრავი მოღვაწეობა; ისინი დაპირდნენ გლეხობას მიწას და ამით გლეხობის გული მოინადიროეს; მაგრამ ეს მიწა შემდეგ გლეხს ჩამოართვეს და სახელმწიფოს გა-



დასცეს; შექმნეს კოლმეურნეობა, რომელშიც შერევის მშრომელები და პირუტყვები. ამ „სოციალისტურმა რეჟიმმა“ მილიონობით გლეხები შეიწირა და შიმშილობამ კიდევ უფრო მეტი. გუშინდელი თავისუფალი გლეხი გახდა სახელმწიფოს მუშად და ეს სახელმწიფო ითვისებს გლეხ - მუშის შრომის ნაყოფს და მერმე იმავე მუშა-გლეხზე დიდი მოგებით ყიდის. მსოფლიოს ისტორიაში, არც თვით ხუთი-ექვსი ათასი წლის წინად ეგვიპტეში, ასეთი საშინელი ექსპლოატაცია გლეხისა და მუშისა არ არსებულა; ასეთი ძარცვა-გლეჯა მშრომელისა არავის დასიზმრებია. აბა როგორ შევადაროთ ეს სოციალისტურ-კომუნისტური ექსპლოატაცია კაპიტალისტურ რეჟიმს, რომელსაც სრულებით არ ახასიათებს ამგვარი ექსპლოატაცია. გლეხი გახდა სახელმწიფოს მონად და კომუნისტური რეჟიმი არის მონათმფლობელური. მაგრამ ესეც არ არის საკმარისი. კომუნისტებმა განამტკიცეს ექსპლოატაციის და ძარცვა-გლეჯის უსაზიზღრესი წესი: შეჯიბრების დაწესებით. ვინ მოიყვანს მეტ პურს? ვინ მოკრეფს მეტ ჩაის? და სხვა. და აი, გამარჯვებულთ ერგებათ „შრომის დროშა“; მათ აცხადებენ „შრომის გმირად“. ეს მეთოდი ექსპლოატაციისა ამ დაწყვეტილ და შეჩვენებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში არსად არ არსებობს.

**მუშა?** მუშებს დაპირდნენ: შენ იქნებიო ქარხნის პატრონი. და ეს იყო ჩვეულებრივი კომუნისტური ტყუილი. მუშა კომუნისტებმა გადააქციეს ქარხნის მონად, ეპე იჯე, სახელმწიფოს მონად, რადგან ქარხანა სახელმწიფოს ეკუთვნის და იგივე აწესებს ხელფასს, რომლის მაგვარი სიმცირე კაპიტალისტურ რეჟიმში არ მოიპოვება. მარქსისტული თვალსაზრისით ნაქადაგოვი: „ზედმეტი ღირებულების თეორია“, რომელიც კაპიტალისტური მრეწველობის წინანდობლივი თვისება არისო, თვით კომუნისტებმა თავის მრეწველობას მიუყენეს და ეა „ზედმეტი ღირებულება“ და კიდევ მეტიც სახელმწიფოს მიუბოძეს.

საბჭოთა სახელმწიფო არის კაპიტალისტური რეჟიმის სახელმწიფო, მაგრამ არა დღეისეული, არამედ მეთვრამეტე საუკუნისა. არც ერთი თანამედროვე კაპიტალისტური რეჟიმი, არაად, არც ერთ ქვეყანაში ისეთი მანკიერებით არ არის სავსე, როგორც კომუნისტურ-კაპიტალისტურში... განუსაზღვრელი ექსპლოატაცია-ყვლევა არის მისი მთავარი ნიშანი. ამ ექსპლოატაციას კომუნისტებმა დაუმატეს ეგრეთ წოდებული „სტახანოვშინი“. იყო ერთი ვირი ვინმე მუშა, რომელმაც მალაროში მუშაობისას სხვებზე მეტი ნაყოფი მიიღო და ატყდა მთელ საბჭოთა კავშირში განგაში, - ქადაგება: მიბაძეთ სტახანოვს, აი რამდენი გამოიმუშავაო და ძალით დააჯიბრეს მალაროები და ქარხნები მეტის გამო-

მუშავებისათვის და გამარჯვებულს ერგებოდა „სოციალისტური შრომის დროშა“, რომელიც სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა. ამგვარი საზიზღარი ექსპლოატაცია კაპიტალისტურმა რეჟიმმა არ იცის.

რასაკვირველია საბჭოთა მუშებს აქვთ პროფესიონალური კავშირები, რომლებიც ყოველგვარ უფლებას მოკლებული არიან, არც გაფიცვის უფლება აქვთ, რადგან, კომუნისტების თქმით, მუშები ფუფუნებით ცხოვრობენ და ბედნიერები არიანო. ასეთი თქმით საბჭოეთში დამყარებულ მონობას მალავენ, ნიღბავენ...

**წუნდებული.** კომუნისტური მეურნეობა დაგეგმული მეურნეობა არის. მოსკოვში არსებობს დამგეგმავი დაწესებულება, რომელიც წინასწარ არდგენს, თუ რა დამდენი უნდა გაკეთდეს; როგორი უნდა იყოს წარმოება ვეებერთელა საბჭოთა კავშირში ხუთი ან შვიდი წელიწადის განმავლობაში. ჭგვმა არდგენენ მოსკოვში და განხორციელება მისი სავალდებულოა გეგმის მიძღები დაწესებულებებისათვის. ბევრი რამ გაკეთდა ამგვარი დაგეგვით, მაგრამ ეს დაგეგმული მეურნეობა იმდენ ხარალს იძლევა, რაც თავისუფალ მეურნეობის პირობებში სრულებით წარმოუდგენელია. და რადგან გეგმა არ სრულდებოდა და შეუძლებელიც იყო მისი შესრულება, სიდიდის გამო, ამიტომ ბრალი დაადგეს და გამოძებნეს „მავნებლები“. რომელთაც ან ხვრეტდნენ, ან კონცლაგერში აგზავნიდნენ. და, ცხადია, შიმის გამო, ყოველი დაწესებულება ცდილობდა გეგმა შეესრულებინა, ამიტომ მას ჩქარა უნდა ემუშავნა, გამოეშვა დავალდებული რაოდენობა საქონელისა; აქედან წარმოიშვა „წუნდებული“ პროდუქცია, რაც თავის თავად აგრეთვე მხოლოდ ხარალი იყო. ასე გაგრძელდა ათეულ წელთა მანძილზე და მხოლოდ ამ ბოლო დროს კომუნისტები იძულებული გახდნენ წარმოების ერთი მცირე ნაწილი მაინც მოგების პრინციპზე გადაეყვანათ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი დღე და ღამე ტრაზახობენ: ჩვენ შევქმენითო უბრწყინვალესი ინდუსტრია, ისინი იძულებული არიან დაგეგმილ კაპიტალისტურ ქვეყნებს მიმართონ დახმარებისათვის. ვრცლად რომ არ მოგახსენოთ, მაგალითად საკმარისია იტალიის საავტომობილო ქარხნის გახსნა რუსეთში. ოღონდ კი თავისი ბატონობა და თავისი რელიგია შეინარჩუნონ და სხვას არ დაეძებენ...

**„რუსსკი ჩაი“.** ამ დაგეგმულ მეურნეობას უკანა მზაკვრული საჩრული უდევს. დაგეგმეს ვეებერთელა საბჭოთა ქვეყნების მეურნეობა და იგი სპეციალობის ნიდავზე გადაიყვანეს, ხოლო ამ გზით კავშირში მყოფი ერები თავის მეურნე-მონებად გახადეს. საქართველომ მოსკოვს უნდა მიცეს ჩაი, თამბაქო, ღვინო, ციტრუსები და სხვა; თურქეთის რესპუბლიკებმა: ბამბა და სხვა;

აზერბაიჯანმა თავისი ნავთის ნაწარმოები... ასე: ყველა მხარე ვალდებულია თავისი კოლონიალური მეურნეობა შექმნას და მოსკოვის მღვდლებს ემსახუროს. საბჭოთა კავშირში შემავალი ერები, ამ სპეციალიზაციის საფუძველზე ყველა ეს ერი არის გადაქცეული კოლონიალ, მაგრამ ისეთ კოლონიალ, როგორც ეს წინადაცაბიტალისტურ ქვეყნებს ჰქონდათ; ხოლო ასეთი კოლონიები მოსკოვის არა ზღვის გაღმა, არამედ თავის საზღვრებში აქვს და არხეინად მათ ექსპლოატაციას უწევს. ყველა კოლონიალური ნაწარმი მოსკოვის მიაქვს, იგი ხმარობს, იგი ყიდის მას შინ და გარეთ, იგი ღებულობს ფულს და კოლონიალურ რესპუბლიკებს კი მცირე რაზმს სამოწყალოდ მიუგდება; ლომის კერძი მოსკოვის ეკუთვნის, ხოლო კატის სარჩო კი კოლონიალურ რესპუბლიკებს დამადლებითა და დაყვედრებით უგზავნის...

თბილისურ გაზეთში წამიკითხავს: ამდენი და ამდენი ჩვენი მარმარალო იყიდაო იაპონიამ. მაგრამ ამის დამწერი აღარაფერს ამბობს იმაზე, თუ ვინ წაიღო, ვის საღაროში შევიდა გაყიდულის თანხა; არც იმაზე ამბობს, თუ საქართველოს „ხაზინას“ აქედან რამდენი ერგო.

უცხოეთს გამოტანილ ჩაის აწერია: „რუსკი ჩაი“; აზერბაიჯანულ ხიზილალას ხომ აწერია „რუსკაია იკრა“, ან „რუსკიე პაპიროსი“ და სხვა და სხვა. არც ინგლისის კოლონიალურ პოლიტიკას, არც ფრანგულს და არც ჯანდაბურს ასეთი რამ არ გაუბედა. არ არსებობდა „ინგლისური ჩაი“, ხოლო იყო: ჩინური, ცვილონური, ინდოეთისა, ყველას თავისი ჰქონდა. მხოლოდ რუსულ „ველიკოდერჟავინულ“, პირწავარდნილ კოლონიალურ პოლიტიკას და თავხედობას შეუძლია ასეთი რამ: წააწეროს სხვა რესპუბლიკების ნაწარმს თავისი სახელი და მოგებული ფული ჯიბეში ჩაიდვას. სახელიც წაართვას და საზრავიც.

**დაპრობის სიცრუე.** ქათოლიკური ეკლესია და გნებათ მაჰმადიანობა, რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში ცდილობდა ბატონობა მოეპოვებინა; პაპი იბრძოდა მსოფლიო სახელმწიფოს შესაქმნელად და ამ მიზნით: ომებს ეწეოდა, საჭურველით იბრძოდა. მაგრამ ამ ომებში იგი დამარცხდა და დღეს პაპის სახელმწიფო მხოლოდ ვატიკანით შემოიფარგლება...

კომუნისტურმა რუსულმა რელიგიამ ვეებერთელა სახელმწიფო შექმნა და იგიც ცდილობს მსოფლიო სახელმწიფოდ გარდაიქცეს. კოლონიალური სახელმწიფოები დღეს აღარ არსებობენ, მაგრამ მოსკოველებმა აღმოაჩინეს ნეოკოლონიალიზმი, რომელიც უკვე განთავისუფლებულ ერებს სისხლსა სწოვს. ამიტომ მოსკოვმა მთელი თავისი უზარმაზარი საპროპაგანდო მანქანა მომართა და მთელ მსოფლიოში ერთა განთავისუფლების მოწოდება გატყუორცნა. ამით მოსკოვის კარდინალები ორი მიზნის მიღწევას ცდილობენ: 1. გამოდიან „ჩაგრულ

ერთა“ შემწედ და 2. ამითვე მალავენ იმ ცხად მოვლენას, რომ თვითონ მათ ჰყავთ დაპყრობილი ერები რომლებსაც (ცინიკურად) „თავისუფალ ერებს“ უწოდებენ, თუმცა ისინი სინამდვილით მოსკოვის სრულ ბატონობაში იმყოფებიან, მოსკოვის საწველ ფურად იხმარებიან. ეკლესიას ასეთი რამ არც დასიზმრებია.

კომუნისტებმა ერთა საკითხში ტყუილით დაიწყეს ქადაგება და მათ თავისუფლება გამოუცხადეს. კონსტიტუციაშიც კი შეიტანეს (თვალთა სხვათა ასახვევად) გასაოგნებლად და დასაბრმავებლად, ერთა თავისუფლების პრინციპი და საბჭოეთიდან გამოსვლის უფლება. აბა, რა ბრძანებაა. საბჭოური კონსტიტუცია ფარატინა ქალაღი არის. ტყუილებით სავსე.

აქ არ დავასახელებ საქართველოს, არც სომხეთს, არც აზერბაიჯანს, რათა მიდგომა არ დაგვწამონ თუმცა ცაბ და ქვეყანამ იცის რომ რუაეთში შევამალი ყველა ქვეყანა დაპყრობილი არის იარალით; გუშინდელი მაგალითი ავილოთ: ბალტიის სახელმწიფონი: ლიტვა, ლატვია, ესტონია. ისინი მეორე მსოფლიო ომამდე ცხოვრობდნენ თავისუფლად; მართავდნენ თავის საქმეებს დამოუკიდებლად; ჰქონდათ მჭიდრო კავშირი თავისუფალ ქვეყნებთან; იყვნენ დამოუკიდებელი. ამის უარყოფა ხომ არ შეუძლია არავის, გარდა უსინიდიანო კომუნისტისა.

ბალტიის სახელმწიფოების „გაკომუნისტების საქმე“ ადრევე დაიწყო. 1939 წელს წითელი არმიის გენერალურმა შტაბმა დაბეჭდა რუკა, რომელზედაც იმ დროს 1939 წელს, ჯერ კიდევ ომის წინ, ბალტიის სახელმწიფოებს ჰქონდათ შემდეგი წარწერა: „ლატვიისკაია სსრ“, „ლიტოვისკაია სსრ“, „ესტონსკაია სსრ“. მაშასადამე, ბალტიის სახელმწიფოების დაპყრობა უკვე გეგმა იყო რუსეთისათვის, ომის წინ, თუმცა ძველი ხელშეკრულებით მან ეს სახელმწიფონი იცნო და მასთან ურთიერთობაც ჰქონდა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარანტიით.

ბალტიურ სახელმწიფოებიდან ხალხთა გადასახლების გეგმა რუსებმა 1939 წელს შეადგინეს მოსკოვში. 1939 წლის ოქტომბრის 11-ის ერთ დოკუმენტში, რომელსაც ნომრად უზის 001223, დაგეგმულია, თუ რამდენი ხალხი უნდა გადასახლონ ლატვია,-ლიტვა,-ესტონიიდან. ამ განსაცვიფრებელ და მზაკვრულ, საძაგელ საბუთს ხელს აწერს გენერალი სეროვი... მიაქციეთ ყურადღება: — **1989 წლის 11 ოქტომბერს. ოფიციალური საბუთია.**

და უფრო მეტიც: პოლიტიკური და ზნეობრივი საშინელება კიდევ ის არის, რომ სწორეთ ამ დღეს, როდესაც ეს დოკუმენტი ხელმოწერილია, კრემლში ნადიმი გაუმართეს ლატვიის სახელმწიფო დელეგაციას სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გამო. ასეთ გათახსირება-გარყენილებას სახელსაც ვერ მოუძებნით.

მერმე რა მოხდა? ეს ყველამ იცის: რუსეთმა ბალტიის ქვეყნებს ოკუპაცია მოუხდინა და საბჭოთა კავშირში ძალით შეათრია და რასაკვირველია, იქ კომუნისტური რეჟიმი დაამყარა. მერმე დაიწყო ხალხთა დაჭერა და მათი მასობრივი გადასახლება ციმბირში. ხოლო „ინდუსტრი-სალიხაციის მომიჯნავეებით რუსთა ჩასახლება, ევროეთ წოდებულ „სპეციალისტთა“ სახით; შეესივნენ ამ პატარა ქვეყნებს რუსები და თავისი პროცენტი დიდად აამალეს. ამ ქვეყნების გარუსებას გზა გაუხსნეს. რა უქნება, მაგალითად, ლიტვას? 1959 წელში, იქ ჩასახლებული რუსების რიცხვმა ოკუდათერთმეტ პროცენტს მიაღწია, (ზუსტად: 30,9 %-ს), ანუ ჩასახლება იქ 412.000 რუსი და უკრაინელი; ხოლო (შენიშნეთ კარგად:) თვით ლიტველთა რიცხვი 75,5 პროცენტიდან 62 პროცენტამდე დავიდა. და 1965 წელს კი 57 პროცენტამდე შემცირდა.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ხოლო ვიტყვი, რომ არიან ისეთი ქართველი კომუნისტები (და მათ შორის მეცნიერათ წოდებული), რომელიც ამტკიცებს: საბჭოთა კავშირი არ არის იმპერიალისტური სახელმწიფო, რადგან იგი ერთა თავისუფლების მომხრე არისო. მხოლოდ სინიდის მოშლილს შეუძლია ასეთი რამე წამოროშოს... მაგრამ სად არის სინიდისი კომუნისტებს შორის?

ჩვენ ძალიან მოკლედ დავახსიანეთ რუსული კომუნისტური რელიგია, ხანდახან ვადავუხვიეთ ხოლმე, მაგრამ ესეც საკმარისია იმის დასადგენად, რომ ეს რუსული კომუნისტური რელიგია თავისი ესხატოლოგიით და იმპერიალიზმით, პოლიტიკურ - ეკონომიკური და კულტურული იმპერიალიზმით დასავლეთის ქვეყნებისათვის ააშიშროებას წარმოადგენს და მას ჯოჯოხეთს უმზადებს, მის გასაბედნიერებლად.

**თამ. ჩილაია**

ჩაკარიტა, 1968 წ.

**ბ. ვარდანი**

**საბჭოთა კავშირი**

**ი. ა. კურგანოვი** — ნაციი სსსრ ი რუსსკიჲ ვოპროსი ფრანკფურტ ამ მაინ, 1961.

თავის თავად საინტერესო წიგნია, რადგან ბ-ნი ი. ა. კურგანოვი განიხილავს საბჭოთა კავშირში შემავალი ერების საკითხს თვით რუსეთის საკითხთან დაკავშირებით. ავტორი მიმოიხილავს სხვა და სხვა შეხედულებას იმის განსაზარტებლად, თუ რა არის ერი და ბოლოს ჩერდება კომუნისტურ თეორიაზე. ვ. ი. ლენინი ამტკიცებდაო: — სოციალიზმის მიზანი არის არამც თუ მარტო კაკობრიობაში პატარა სახელმწიფოებად დაქსაქსვის

მოსპობა და ერების ყოველგვარი განკერძოების მოსპობა, არამც თუ მარტოდ ერთა დაახლოება, არამედ მათი შეერთება-გათქვეფა...

მაგრამ ეს ერები დღეს არსებობენ და კომუნისტური პარტია ამ ერებით სარგებლობს, რათა მთელ მსოფლიოში თავისი ბატონობა განამტკიცოს. კომუნისტური პარტია ლამობს, — ამბობს ი. ა. კურგანოვი, — ილაპარაკოს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობაზე, თუ ეროვნულ დამოუკიდებლობაზე კავშირის გარეთ, ყოველ ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი მიზნისაკენ მიიწევს: ისარგებლოს ეროვნული განწყობილებით, სანამ ისინი არსებობენ, თავისი ხელისუფლების გასამაგრებლად და გასაფართოებლად. —

შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს კაცს — ამბობდა სტალინი, — რომ ჩვენ, რომლებიც მომხრე ვართ მომავალში ეროვნულ კულტურათა ერთი მთლიან (ფორმითაც და შინაარსითაც) კულტურულად შერწყმისა (გაერთიანებისა, გათქვეფისა) ერთი საერთო ენით და ამავე დროს მომხრენი ვართ ამაჟამად ეროვნული კულტურათა გაფურჩქენისა, პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. მაგრამ ამაში უცნაური არაფერია. ეროვნულ კულტურებს უნდა მიეცეს ააშუალება, რათა ისინი განვითარდენ. გაფართოვდენ, გამოაჩინონ თავისი ყველა შესაძლებლობა, რომ შეიქმნას პირობები მათი გაერთიანება-გაჩრდაქმნისა ერთ საერთო კულტურად და ერთი ენით, მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების ხანაშიო. ასეთი იყო სტალინის აზრი.

და ამ ურყევი მიზნისაკენ მიექანება საბჭოთა კავშირი, — და სწორეთ ამ თვალსაზრისით განიხილავს ბ-ნი ი. ა. კურგანოვი საბჭოთა კავშირში კომუნისტური პოლიტიკის განვითარებას და დასკვნაც მისი შემაწუხებელი არის, როგორც ამას მკითხველი დაინახავს.

ავტორი იწყებს მოახლეობის რიცხვის ზრდით და სხვათა შორის ამიერკავკასიის დემოგრაფიასაც გვიჩვენებს —

|                                      |             |
|--------------------------------------|-------------|
| აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ცხოვრობდა: |             |
| 1926 წელში                           | 2. 300. 000 |
| 1959 წელში                           | 3. 698. 000 |
| მომატება                             | 15,5%       |
| საქართველოში ცხოვრობდა:              |             |
| 1926 წელში                           | 2. 700. 000 |
| 1959 წელში                           | 4.044.000   |
| მომატება:                            | 14. 3%      |
| სომხეთში:                            |             |
| 1926 წელში                           | 900. 000    |
| 1956 წელში                           | 1.763.000   |
| მომატება                             | 37,7%       |

საიდან გაჩნდა ეს მომატება? როგორ გაიზარდა მოსახლეობა რიცხვი? ბუნებრივი გამრავლებით? დაბადე-

ბათა რიცხვით? რასაკვირველია, ნაწილობრივ ამ მატე-  
ბაში შედის ბუნებრივი გამრავლება; კერძოდ სომხეთში  
ბევრი ახალი სომეხი მივიდა უცხოეთიდან, შესახლდა;  
მაგრამ მთავარი კავკასიის რესპუბლიკათა მოსახლეობის  
გამრავლებისა ეს არ არის. კავკასიურ რესპუბლიკებში  
(აზერბაიჯან,- სომხეთ,- საქართველოში) ჩასახლებული  
არის რუსეთიდან, თუ უკრაინიდან მოყვანილი ხალხი:

|                          |           |       |
|--------------------------|-----------|-------|
| აზერბაიჯანის მცხ. რიცხვი | 3.698.000 | 100%  |
| აქედან აზერბაიჯანელი:    | 2.494.000 | 67.4% |
| რუსი:                    | 501.000   | 13.0% |
| სომეხი:                  | 442.000   | 12.0% |
| ლეკი:                    | 98.000    | 2.7%  |
| სხვანი:                  | 163.000   | 4.4%  |
| სომხეთში:                | 1.763.000 | 100%  |
| აქედან სომეხი არის       | 1.552.000 | 88.0% |
| აზერბაიჯანელი            | 108.000   | 6.1%  |
| რუსი                     | 56.000    | 3.2%  |
| ქურთი                    | 26.000    | 1.5%  |
| სხვანი                   | 21.000    | 12%   |
| საქართველოში             | 4.044.000 | 100%  |
| აქედან ქართველები        | 2.601.000 | 64.3% |
| რუსები                   | 141.000   | 3.5%  |
| აფხაზები                 | 63.000    | 1.6%  |
| რუსები                   | 438.000   | 10.8% |
| სომხები                  | 408.000   | 10.1% |
| აზერბაიჯანელები          | 154.000   | 3.8%  |
| ბერძნები                 | 73.000    | 1.8%  |
| უკრაინელები              | 52.000    | 1.3%  |
| ებრაელები                | 52.000    | 1.3%  |
| ქურთები                  | 16.000    | 0.4%  |
| სხვანი                   | 41.000    | 1.0%  |

თუ რუსებსა და უკრაინელებს შევეერთებთ, სლავური  
ელემენტი 1959 წელს საქართველოში თითქმის ნახევარი  
მილიონი სული იქნება.

როგორ განდენენ ეს „უცხოელები“ ამ ქვეყნებში?

საბჭოთა რუსეთმა იარაღის ძალით დაიბრუნა რუსე-  
თის იმპერიის ეროვნებანი; ამას გარდა, მეორე ომის შე-  
დეგად, აგრეთვე ძალით შეიერთა ბალტიის დამოუკიდე-  
ბელი სახელმწიფოები და ამათ გარდა კიდევ პოლონეთს  
ჩამოართვა ბელორუსებითა და უკრაინელებით დასახ-  
ლებული ტერიტორიები; ჩეხოსლოვაკიას — რუთენია;  
რუმინეთს — ბეპარაბია. დიდად გაიზარდა ციმბირი და  
თურქესტანი, სადაც ასე ათასობით ძალით ჩასახლდა სხვა  
ეროვნებათა შვილები (გადასახლება, კონკლავაგირები, იქ-  
ვე ჩატოვება გადასახლებულთა). მაგრამ მთავარი მაინც  
ეს არ არის. მთავარი ის არის, — ამბობს კურგანოვი, —  
რომ მოსკოვი გევმით უნდა შექმნილიყო ერთი საბჭო-  
ური ეკონომიკა და ამას საფუძვლად დაედო საბჭოელ  
მეცნიერთა გევმით სამი დებულება:

1. დაგეგმული სოციალისტური მეურნეობა ყველა  
რესპუბლიკაში უმაღლესი ტექნიკის განვითარების გზა-  
ზე; 2. დაჩქარებითი განვითარება მეურნეობისა ჩამორ-  
ჩენილ რესპუბლიკებში; 3. შექმნა რაციონალური სის-  
ტემისა, ტერიტორიების მიხედვით.

და აქ ჩვენ შევნიშნავთ: უფროსმა „ძმამ“, რუსეთმა  
დაგეგმა მეურნეობა. აჰა! საქართველოში მოდის ჩაი!  
მოჰყავთ ციტრუსები! ყურძენი, ხილი. აბა, დავეხმაროთ  
საქართველოს ფინანსიურად: დარგონ მეტი, გააფართო-  
ვონ სუბტროპიკული მეურნეობა; კიდევ მეტი: ტექნი-  
კურადაც უნდა ავამაღლოთ რესპუბლიკები; გავხსნათ  
იქ ქარხნები; შევქმნათ ახალი მრეწველობა. და ასე  
ყველგან. ეს იყო კაპიტალის ჩაბანდება ინდუსტრიულად  
ჩამორჩენილ რესპუბლიკებში; ხოლო ეს კაპიტალი დი-  
დად ნაწილობრივ ამ ქვეყნებიდან შედიოდა მოსკოვის  
სალაროში. და არ დავივიწყოთ რომ თვით რუსეთში არა  
ერთი და ორი რაიონი არის დღესაც ძალიან ჩამორჩენი-  
ლი და ინდუსტრიულად განუვითარებელი. მაშ რატომ  
ასე ჩქარა, რატომ ასე დაჟინებით და სწრაფად ადიდე-  
ბენ კაპიტალის ჩადებას კავკასიაში და თურქესტანში?  
ამას შევუხებულად და გარკვეულად აკეთებთ მოსკოვი.  
მოსკოვის ის აზრი და მშვენიერი იდეა კი არ იზიდავდა,  
რომ, მაგალითად, საქართველო ინდუსტრიალურად მაღ-  
ლა აეყვანა, არამედ სხვა ფარული აზრი და მზაკვრული  
იდეა, რომლის ძალით მოსკოვის სურდა საქართველოს  
ეკონომიური ცხოვრება მჭიდროდ რუსეთის საბჭოთა  
ეკონომიკასთან გადაეჯაჭვა და ამით იგი გაუნძრევლად  
დაეხა. ამ მოვლენას გარუსების მიზანიც თან ახლავს. მა-  
გალითად: ქუთაისში საავტომობილო ქარხანაა. იქ მი-  
იყვანეს ათასობით რუსები და უკრაინელები. არასოდეს  
ქუთაისის ხანგრძლივი რუსული ყოველ-დღიური ვაზეთი  
არა ჰქონია. დღეს კი ხუთი ყოველდღიური რუსული ვა-  
ზეთი გამოდის; ოსურგეთში — ორი. და რასაკვირვე-  
ლია, რუსული სკოლებიც. იცით, სად არის შოვი? რაჭა-  
ში, სადაც ელექტრო-სადგურს აკეთებენ... მიიყვანეს იქ  
რუსები და, ცხადია, გახანეს რუსული სკოლა. რაჭაში  
სადაც ძველად მხოლოდ ერთი რუსი იყო ხოლმე. ისიც  
„პრისტავი“ და სხვა ბევრი მაგალითია ამგვარი.

ბ-ნ ი. ა. კურგანოვის ჩვენებით იყო: კაპიტალის ჩა-  
ბანდება საბჭოთა კავშირში 1959 წლიდან 1965 წლამდე  
მთლიანად საბჭოთა კავშირში 1.488 მილიარდი მანეთი,  
სულზე 7.126 მ.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციაში 954.9 მილიარდი მან.  
სულზე 88.127 მ.

აზერბაიჯანში 29.5 მილიარდი მანეთი  
სულზე 8.000 მ.

საქართველოში 16.8 მილიარდი მანეთი,  
სულზე 4.200 მ.

სომხეთში 12.5 მილიარდი მანეთი

სულზე 7.000 მ.

რა გეგმით ხდება კაპიტალის ჩაბანდება სხვა და სხვა რესპუბლიკაში? ამის გამო ი. ა. კურგანოვი ამბობს — პირველ რიგში აქ როლს თამაშობს სტრატეგია. რასაკვირველია, განაპირა რესპუბლიკების ეკონომიკა ვითარდება ნელნელა, მაგრამ მაინც ვითარდება, ოღონდ ეს განვითარება, — დაასვენის კურგანოვი, — ხდება „ჩამორჩენილი“ ერების არა პარტიული ზრუნვის შედეგებით, არამედ საერთოდ მთელი ქვეყნის განვითარების მიხედვით.

საერთო, ბრუტო ზრდა წარმოებისა ეროვნულ რესპუბლიკებში 1940 წელს, შედარებით 1913 წელთან გაიზარდა საბჭოთა კავშირში 12-ჯერ; საქართველოში — 27ჯერ; ტაჯიკისტანში — 308ჯერ. ნამდვილად კი, — ამბობს კურგანოვი, — ეს არის ცალიერი სიტყვა. ამ სტატისტიკაში არ არის ის ხელოსნობა, რაც ამ ქვეყნებში იყო განვითარებული და ითვლიან მხოლოდ მსხვილ მრეწველობას; ნამდვილად კი წარმოება განვითარდა რუსეთში 12-ჯერ; საქართველოში 10-ჯერ; ტაჯიკისტანში რვაჯერ (8,8). ტაჯიკისტანში 1913 წელს სრულებით არ იყო მრეწველობა და რას ადარებენ 1940 წელს საბჭოთა სტატისტიკოსები? არაფერს! ასეთი შედარებები სხვა რესპუბლიკებში მიმართავენ (ამბობს კურგანოვი) არის არა მეცნიერული, არა სტატისტიკური, არამედ პარტიული, ფანტასტიკური!

ეს იმას ნიშნავს, ასეთი ახრი წამოროშო: ერეკლე, პატარა კახის დროს ჩვენში არც ერთი კილოვატი ელექტრონისა არ იყო და დღეს კი ამდენი გვაქვს!

ნაციონალურ რესპუბლიკათა ეკონომიური წყობა არ შეიძლება იყოს ჩაკეტილი; საბჭოთა მოსკოველი ეკონომისტები და დამგეგმელები გარკვევით ამბობენ:

„რასაკვირველია, შექმნა ცოტა თუ ბევრად სრული ინდუსტრიული კომპლექსია პატარა რესპუბლიკებში, რომლებიც ვითარდებიან როგორც შემადგენელი ნაწილი მთელი ქვეყნის ეკონომიკური რაიონებისა, მიზანშეწონილი არ არის. თითოეულ რესპუბლიკაში ვითარდებიან მრეწველობის მხოლოდ ის დარგები, რომლებთათვის იქ არის ეკონომიური და ბუნებრივი პირობები“-ო.

ეს ხდება კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც და არავითარი „ნაციონალური“ კომპლექსი არ არისო, — ამბობს კურგანოვი. კიდევ მეტი; სულ მცირედი ცდაც კი რომელიმე ერმა საბჭოთა კავშირში ნაციონალურად ააგოს თავისი ეკონომიკა ბოროტმოქმედებად ითვლება და პარტიულ ორგანოებს ევალებათ ამის წინააღმდეგ ბრძოლა; ასეთი ცდა გამოცხადებულია „მესტინისტვო“-დ.

ცხადია, — დაასვენის კურგანოვი, — კომპლექსური მეურნეობა, როგორც ნაციონალურ რესპუბლიკათა განკერძოებული ეკონომიკა, არ არსებობს, და ცხადია, მათ

მთელ პარტიულ-ნაციონალურ სიტყვიერებას, საბჭოთა კავშირში არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს; მას მხოლოდ საექსპორტო მნიშვნელობა ენიჭებაო.

საბჭოთა ეკონომიკა შენდება არა როგორც მრავალ-ეროვნული სისტემა, ანუ როგორც სისტემა ნაციონალურ = განკერძოებული ეკონომიკის კომპლექსი, არამედ, ვით მონონაციონალური, ერთ-ნაციონალური. ამ ეკონომიკის საფუძველი არის პარტიულ - სახელმწიფოებრივი მონოპოლია წარმოების ყველა საშუალებაზე — ერთი „ხაზენი“ — და პარტიულ-სახელმწიფოებრივი დაგეგმვა ქვეყნისა, საბჭოთა მწარმოებელი მოქმედებისა — „ერთი გეგმა“-.

ამიტომ საბჭოთა მეურნეობა არის ყველაზე უფრო ცენტრალიზებული ეკონომიკა მთელ მსოფლიოში, რადგან კომუნისში, როგორც ამბობს ლენინი, არის მთელი სახელმწიფოებრივი ეკონომიკური მექანიზმის ერთად ერთ მსხვილ მანქანად გარდაქმნა, — ისეთი სამეურნეო ორგანიზმი, რომელიც იმუშავებს ისე, რომ მრავალი მილიონი ადამიანი ერთი გეგმით ხელმძღვანელობდესო.

ეს ლენინური ფორმულა საბჭოთა ეკონომიკის შესახებ საექსპორტოდ არ არის გამოგონილი, არამედ მას სრული სინამდვილის მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა ეკონომიკა არის ერთნაირი, ერთიანი, ცენტრალიზებული ეკონომიკა. და როგორ ხდება ეს ცენტრალიზაცია? მოსკოვში შედგენილი გეგმით მტკიცდება სპეციალიზაცია:

„თვითეული რაიონი სპეციალიზირდება ამა თუ იმ წარმოებაში და ამით მას შეაქვს თავისი წვლილი მთელი ქვეყნის საერთო შრომაში და თვითეული რაიონი ღებულობს სხვა რაიონებისაგან ყველაფერს მას, რაც თვითონ აკლია. შრომის ასეთ განაწილებას რაიონთა შორის მივეყვართ მათ შორის მჭიდრო ურთიერთობის დამოკიდებულებაში და ამით იქმნება მთელი ქვეყნის სამეურნეო ერთიანობა“.

ამგვარად, სამეურნეო ერთიანობა მრავალ-ერთიან სახელმწიფოში არის ერთი პირობათაგანი ერების დაახლოებისა და მათი ერთიანობის განვითარებისა.

მაგალითად: აზერბაიჯანს ეკისრება მანქანათმშენებლობა, ავტოტრაქტორის მრეწველობა, ნავთის წარმოება;

საქართველოს ევალება: მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, ავტომობილების მრეწველობა;

სომხეთს: მანქანათმშენებლობა, ქიმიური და სასურსათო მრეწველობა; და ასე ყველა რესპუბლიკაში ხდება სპეციალიზაცია.

მანქანათმშენებლობა, — ამბობს კურგანოვი, — მოითხოვს ყველაზე უფრო მეტ კოლხერაციას და ამით ნაციონალური რესპუბლიკები საბჭოთა კავშირის საერთო ეკონომიკას მჭიდროდ უკავშირდებიან.

ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რადგან მრავალ შემთხვევაში რესპუბლიკების მანქანათმშენებლობა ვი-

თარღება შემოზიდული ნედლი მასალით და შემოტანილი ნახევარფაბრიკატებით. მაგალითად: აზერბაიჯანის სანავთო და ქიმიური მრეწველობა მუშაობს საბჭოთა კავშირის მხოლოდ სხვა და სხვა რაიონებისათვის. საქართველოს მეტალურგიული მრეწველობა მუშაობს აზერბაიჯანული მადანით, უკრაინის ქვანახშირით და მას თავისი ნაწარმი გააქვს სხვა რაიონებში. საქართველოს საავტომობილო მრეწველობა ნედლ მასალას ღებულობს საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებიდან და გააქვს სხვა რაიონებში. ასევე სომხეთიც. ესტონიის ასპიტის ქვის მრეწველობა მხოლოდ ლენინგრადისათვის და ტალინისათვის მუშაობს; ლატვიის რონოლომშენებლობა შეზიდული ნედლი მასალით მუშაობს და ვაგონებს აბარებს საბჭოთა კავშირის სატრანსპორტო სამინისტროს; სასურსათო მრეწველობა ლატვიისა სხვა რაიონებისათვის მუშაობს და ასე ყველა რესპუბლიკაში.

და აქ ჩვენ დავძენთ: ამ სპეციალიზაციის გზით ხდება, ამკარაა, ეროვნული ეკონომიკის ხელოვნური, არტიფისიული ზრდა და დაჯაჭვება რუსეთთან.

რომ ყველაფერი კეთდება განსაზღვრული მიზნით, რასაც სარჩულად უძევს ერების გადაგვარება, მათი გათქვეფა, ამას ქალაქი რუსთავის შექმნის ამბავიც გვაცნობებს. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, სადაც მრავალი არა-ქართველი მუშაობს, ამ მიზანს ემსახურება. ეს ქარხანა, პოლიტიკური მიზანით შეიქმნა, რადგან მას თავისი სამუშაო მასალა არა აქვს, — ეს ნედლი მასალა მას სხვა, კავშირის რაიონებიდან შეაქვს; ნაწარმოები მეტად ძვირი ჯდება, უფრო მეტად ძვირი არის იგი, ვიდრე რუსეთში. და თუ რუსული ეკონომიკური პოლიტიკა მონეგებიანობის, რენტალეობის პრინციპზე გადავიდა, რუსთავი უნდა გაუქმდეს, ან ძალზე შემცირდეს. მაგრამ გასაკვირველი ესეც არის: ყურები გამოგვიჭედეს ტრახანით, თუ როგორ განვითარდა ინდუსტრიულად საქართველო! და რას ვგებულობთ? თურმე ამიერკავკასიის ფარგლებში ყველაზე წინ დგას ინდუსტრიულად: სომხეთი! და სომხებს თავისი ქიმიური მრეწველობისათვის სრულებით არ ჭირდებათ „უცხო“ მუშების მიყვანა, ისე, როგორც რუსთავის მეტალურგიას. ეს მიყვანა რუსებისა და სხვათა ასიმილიზაციის ერთი მეთოდია.

სოფლის მეურნეობაში სპეციალიზაციას განსაკუთრებული მოვალეობა აწევს კისერზე. კერძოდ საქართველოს დაევალა გააფართოოს ჩაის, თამბაქოს, ციტრუსების, ვენახის, ხილის და სხვა ამგვარი სასოფლო-სამეურნეო არე და თავისი მოყვანილი ნაყოფი სხვა რესპუბლიკებს მიაწოდოს, პრაქტიკულად: მოსკოვს. შესანიშნავია ის ანეგდოტი, რომელიც საქართველოში არის გავრცელებული: ჩამომდგარია საბარგო მატარებელი; ტვირთავენ ლიმონ-ფორთოხალ-მანდარინს და სხვა ციტრუსოვან ნაყოფებს. ერთი გურული უყვირის საქონლის მიმ-

ღებს — კაცო! ყველაფერი რომ რუსეთში მიგაქვთ, ცოტა აქაც დაგვიტოვეთ! აქაც გვყავს ბევრი რუსი!

პირველი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის მრეწველობაში, — ამბობს კურგანოვი, — რასაკვირველია, სამხედრო მრეწველობას, მძიმე ინდუსტრიას მიეკუთვნება. 1918 წლიდან 1957 წლამდე, ამის ჩათვლით, კაპიტალის ჩადება საბჭოთა კავშირში საერთოდ გამოიხატება ციფრით: 919,4 მილიარდი მანეთი ანუ 100%, ხოლო სუბუქ ინდუსტრიას კი მხოლოდ 11,4%. ანეთი ვითარება შეუძლებელია კაპიტალისტურ ქვეყნებში, მაგრამ რადგან მძიმე ინდუსტრიას აქვს მნიშვნელობა პარტიისათვის-ო.

ხოლო სუბუქი კი ხალხისათვის არისო დანიშნული. აქ მთავარ როლს თამაშობს, ამკარაა, სამხედრო-ატრატიული მიზანი და ეს სამხედრო - სტრატეგიული მრეწველობა განაპირა რესპუბლიკებში კი არ არსებობს, არამედ ციმბირში და თურქესტანში, ხაზით — მოსკოვ-ურალ-ყაზახისტანი-ციმბირი. ამით აიხანება განაპირა რესპუბლიკების სამრეწველო ჩამორჩენილობაც.

სოციალური ცვლილებები, რაც საბჭოთა კავშირში მოხდა, დიდად მნიშვნელოვანი იყო: მოსპეს კერძო საკუთრება, გაანადგურეს ბურჟუაზია; კომუნისტური შეხედულების მიხედვით, კერძო საკუთრება და კაპიტალი აუცილებლად ამოიშრება ერთმანეთისაგან ადამიანება, აღვივებს ნაციონალურ შუღლ-დავას; აძლიერებს ნაციონალურ ჩაგვრას; მაგრამ კოლექტიური საკუთრება და შრომა აუცილებლად ადამიანებს აერთიანებს, ეროვნულ ქიშპობაას ასუსტებს და ნაციონალურ ჩაგვრას სპობსო!

საბჭოეთში ახლა „კოლექტიური სოციალისტური“ საკუთრება და მთელი მოსახლეობა, ეროვნების მიუხედავად, გარდაქცეული მუშახელად ერთი მწარმოებლისა, რომელსაც ეწოდება სახელმწიფო. ამიტომ მოსპეს კერძო საკუთრება, მოსპეს „კულაკები“, ესე იგი, გაანადგურეს 5.600.000 მრეწველი, ვაჭარი, მემამულე, და სხვა „ბურჟუაზიული ელემენტი“ და 17. 100.000 შეძლებული გლეხი. და შეიქმნა ამგვარად ერთი სოციალური სტრუქტურა მოსახლეობისა, რომელსაც ეკუთვნის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია. პირველ რიგში, რასაკვირველია, დადგა ქალაქი თავისი მუშებითა და ინტელიგენციით. მაგრამ ეს განვითარება არ იყო ნორმალური, არამედ ძალდატანებითი; მობილიზაციის უყუთებდნენ გლეხებს და გადაჰყავდათ ქარხნებში; ორგანიზებული იყო გლეხთა ბავშვების ძალით წაყვანა საქარხნო სკოლებში და ამას თავისი მიზანი ჰქონდა კიდევ: არევა და შეთქვეფა მოსახლეობისა ქალაქებში, სადაც ყველა ერის შვილები მიჰყავდათ. იზრდება, ცხადია, ქალაქთა რიცხვი მცირედ დასახლებულ ციმბირში, უდაბნოებში, სადაც ყველა ერის წარმომადგენლები ერთმანეთში ითქვიფებიან, — ჩვენ უფრო სწორით რომ მოვახსენოთ: რუსები ხდებიან.

ამ მხრივ, თუ საქართველოს გავსინჯავთ, შემდეგ სურათს ვიხილავთ.

საბჭოთა საქართველოს ქალაქური მოსახლეობა შეადგენდა 1.696.000 სულს; მაგრამ საბჭოთა საქართველოში (1959წ.) იყო 438.000 რუსი; 443.000 სომეხი; 52.000 უკრაინელი და სხვა. სულ: 1. 491. 000 არა ქართველი. საქართველოს ქალაქთა მოსახლეობაში 35 - 40 % არიან არა - ქართველი.

და აქ ჩვენ დავუმატებთ: მოდიან ეს უცხოელები და მოაქვთ თან რუსული ენა! აბატონებენ რუსულ ენას! ახდენენ დენაციონალიზაციას. და ამგვარად ყველა რესპუბლიკაში. ამის მიზანი არის: შექმნან ერთი მთლიანი საბჭოთა ერი და საბჭოთა ადამიანი, რასაკვირველია, რუსული ენითა და რუსული კულტურით!

აკად. პროფ. ალ. ბარამიძე, როდესაც საქართველოში სპარსეთის ბატონობის საკითხს ეხება, ამბობს შემდეგს:

„სპარსეთი ძალდონეს არ იზურებდა, რომ, პოლიტიკურ ბატონობასთან ერთად, ქართველობისათვის თავზე მოეხვია თავისი იდეოლოგია. ქართველობის სულიერად დამორჩილება საუკეთესო საშუალება იქნებოდა დამპყრობელთათვის თავიანთი მტაცებლური პოლიტიკურ-ეკონომიური მადის (დასაკმაყოფილებლად“-ო. (იხ. ალ. ბარამიძე — ნარკვევი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. წიგნი მესამე, 1952 წ. გვ.17).

განა ეს ამბავი არ მეორდება დღესაც, მეოცე საუკუნეში, როდესაც რუსეთი ბატონობს საქართველოზე?

კოლმეურნეები ისე, როგორც მუშები, — ამბობს კურგანოვი, — იძლევიან ნაყოფს, რომელიც არსებითად მათ არ ეკუთვნით, არამედ საწარმოოს, რომელს მთლიანად კომუნისტური პარტია განაგებს. კოლმეურნეები, იმე როგორც მუშები, მუშაობენ ზედამხედველების, მონაგარიშეთა და კონტროლიორების თვალყურის დევნებით. კოლხოზნიკები და მუშები დამორჩილებული არიან ექსპლოატაციას; მათ ამუშავებენ იძულებით და წაქეზებით, შათრახისა და ჯილდოს აღთქმით. ერთი მხრით დასჯა; ხოლო მეორე მხრით დამსახურების წოდება, ორდენები, მედალები, სურათები გაზეთებში და სხვა.

კოლმეურნული მოსახლეობა მუშებად გარდაიქცა, — ისინი ვაჰყავთ ერთი ადგილიდან სხვა ადგილზე, როგორც ეს მოხდა „ცელინების“ დამუშავებისას. ამის გამო „პრავდა“ წერდა: „ასი ათასობით მუშები, კოლმეურნეები, სპეციალისტები მოვიდნენ ყაზახისტანში ქალაქებიდან და სოფლებიდან რუსეთის ფედერაციისა, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, მოლდავიიდან და სხვა რესპუბლიკებიდან. მაგალითად, ჩვენ სოვხოზში ათზე მეტი ეროვნებაა: რუსები, უკრაინელები, კაზაკები, სომხები, ბელორუსები და სხვები“. ან კიდევ: „მოსულნი რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, საქართვე-

ლოდან, სომხეთიდან, ლატვიიდან და სხვა მოძმე რესპუბლიკებიდან; მათ თავისი თავდადებული შრომით დაუფასებელი განძი შეიტანეს ყაზახისტანის ხორბლის მეურნეთა სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში“-ო...

და ამ ყაზახისტანში ამჟამად ადგილობრივ მცხოვრებთა რიცხვი მხოლოდ 29,6 %ს წარმოადგენს.

ჯერჯერობით ასე ტრაგიკულად არ არის მდგომარეობა საქართველოში, მაგრამ იგივე ამბავია, მაგალითად, გორის ერთ ქარხანაში, რომელზეც ერთი გაზეთი წერდა: და დიდი ტრაზახით იყო ნათქვამი — ჩვენ ქარხანაში ოცი სხვა და სხვა ერის შვილები მუშაობენ ერთად, ძმურად კომუნისმის ასაშენებლად!

ეს მოსულები ლაპარაკობენ, ცხადია, რუსულად, ამტკიცებენ რუსულს ქართველთა შორის და მოსულთათვის რუსული სკოლები არის გახსნილი...

კულტურა, — ამბობს კურგანოვი, — არის საერთაშორისო და ეროვნულიც. ეროვნულ კულტურას კავშირი აქვს საერთაშორისოსთან და ეს ურთიერთობა გასაგებია; მაგრამ საბჭოთა კავშირში ნაციონალური კულტურა ვითარდება პარტიული დიქტატურის ზედაწეობით.

პარტიული დიქტატურა, — ამბობს კურგანოვი, — ტოტალურად რომ განაგებს ხალხს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ავითარებს ქვეყანაში არა საერთოდ კულტურას, არამედ პარტიისათვის საჭირო კულტურას, რომელიც არის „ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური“.

კულტურის ეროვნული სახე (ფორმა) გულიანობის ეროვნულ ენასა და კულტურის გამოვლინებას იმ განსაკუთრებულ მოვლენებს, რაც რომელიმე ერს ახასიათებს (მუსიკა, ხუროთმოძღვრება, ფერწერა, მწერლობა და სხვა). რაც შეეხება ეროვნული კულტურის შინაარსს, იგი — კომუნისტების იდეოლოგიით — გაპირობებულია საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური სისტემით ანუ:

„კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში მას აქვს ბურჟუაზიული შინაარსი; იგი არის ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამტარებელი“, ესე იგი, არსებობს სხვა და სხვა ნაციონალური ფორმა, მაგრამ ერთი საერთო შინაარსი — ბურჟუაზიული იდეოლოგია. ხოლო „სოციალისტური საზოგადოების პირობებში ეროვნული კულტურა განასახიერებს ერის სოციალისტურ ყოფაცხოვრებას, რაც ახალ სოციალისტურ იდეოლოგიას გამოასახავს“ ესე იგი: მას აქვს ეროვნული ფორმები, მაგრამ ერთი საერთო შინაარსი — სოციალისტური იდეოლოგია. აქედან არის სტალინური თქმა: „კულტურა ფორმით ეროვნული, შინაარსით — სოციალისტური“.

ამაში არის ერთგვარი შინააღმდეგობა, — ამბობს კურგანოვი, — მაგრამ როგორც ამტკიცებენ საბჭოთა

კავშირში, ეს წინააღმდეგობა არის დიალექტიკური, დაკავშირებული კომუნისტურ საზოგადოებაში გარდამავალ ხანასთან. ამ კომუნისტური საზოგადოების გარდამავალ ხანაში კომუნისტური პარტია კულტურის ნაციონალურ ფორმებს ხმარობს ხალხში ინტერნაციონალური კომუნისტური შეგნების აღსაზრდელად. რამდენადაც ეს ინტერნაციონალური შეგნება ხორციელდება, იმდენად ეს ეროვნული ფორმები, რომლის საშუალებით ეს აღზრდა ხდება, თავის მნიშვნელობას ჰკარგავს და იგი სოციალისტური ფორმით იცვლება. ამგვარად, კულტურა იქნება ფორმით — სოციალისტური და შინაარსითაც — სოციალისტური. და კომუნისტური პარტიის პოლიტიკა კულტურის დარგში სწორეთ ამ მიმართულებით მიდის. ამ პოლიტიკის მიზანია ეროვნული კულტურების გაერთიანება ერთ საზოგადო სოციალისტურ კულტურაში და ამით საბჭოთა კავშირის ერთ მთლიან საბჭოთა ერად გახდომა.

და ჩვენ დავძენთ: რააკვირველია, რუსული ენისა და რუსული კულტურის გაბატონებით.

კომუნისტების შეხედულებით, მთელი მსოფლიოს ერთ საბჭოთა ერად გახდომა მოხდა მთელ მსოფლიოში „პროლეტარიატის დიქტატურის“ გამარჯვების შედეგად. სტალინი სრულიად გარკვევით ამბობს — ერთ ქვეყანაში ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურების გაფურჩქნა მათი ერთიანი მთლიანი, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, სოციალისტური კულტურის შესაქმნელად, რომელსაც ექნება ერთი ენა, მოხდება მაშინ, ოდეს მსოფლიოში პროლეტარიატი გაიმარჯვებს და სოციალიზმი დამყარდება, — ამაში არის დიალექტიკური დასმა საკითხიანა ნაციონალური კულტურის შესახებო, — ამბობს კურგანოვი.

აი, რას პირდებიან რუსი კომუნისტები მსოფლიოს, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, ხელში არა ჰყავთ გამოქერილი საბჭოთა კავშირში შემავალი ერები? და, აი კომუნისტების მიზანი არის ეს ერები გააერთიანონ, გათქვიფონ, შექმნან მათგან ერთი საბჭოთაური ერი, რასაკვირველია, რუსულ ენაზე მოლაპარაკე და რუსული კულტურით.

პრაქტიკულად კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკა კულტურის დარგში, — ამბობს კურგანოვი, — ორი გზით მიდის: 1. დააჩქარონ ეროვნულ კულტურათა გათანასწორება და დაახლოება; 2. ხოლო ამ პროცესში, რათა შეიქმნეს ერთი და მხოლოდ საბჭოთაური კომუნისტური კულტურა, ჯერჯერობით სარგებლობენ ყველა ერის კულტურით, პირველად ყოვლისა კულტურით რუსი ერისა, რომელიც ქვეყნის უმრავლესობის ენას წარმოადგენს. საბჭოთა კავშირში თავის დედა ენად რუსულ ენას თვლის 114.000.000 ადამიანი, ხოლო სხვა ენებზე მოლაპარაკე არის 10.200.000.

და ჩვენ განვმარტავთ: ვანა ძნელი არის აღნიშნული პოლიტიკის წყალობით 114 მილიონმა გადაყლაპოს ათი მილიონი? ვანა წარმოუდგენელად ძნელი არის, როდესაც რუსული ენა გაბატონებულია მწერლობაში, ტელევიზიით, რადიოთი, ფილმით, გაზეთით, წიგნით და ამას გარდა პოლიტიკური ზომებით, ძალმომრეობითა და ძალ დატანებით?!

წერაკითხვის მცოდნეთა რიცხვი, განსაკუთრებულ ზომათა შედეგად, ძალიან გაიზარდა. 1897 წლის აღწერით წერაკითხვის მცოდნეთა რიცხვი მთელ იმპერიაში იყო 24,0%, ხოლო 1959 წელში კი 94,3 პროცენტი. რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებელს, დამთავრებულთა რიცხვი იყო (1959 წ.) მთელ საბჭოთა კავშირში ათასზე — 18; თვით რუსეთში უმაღლესი სასწავლებელის დამთავრებულთა რიცხვი იყო 19; აზერბაიჯანში — 21; საქართველოში — 38; სომხეთში — 28.

გაინტერესებთ სტუდენტთა რიცხვი? 1965 - 66წ.წ. საქართველოში 76.000 აზერბაიჯანში (მათ შორის ბევრი რუსია) 67.000 სომხეთში 38.000

სად მიდიან ეს სწავლულები. იტევს მათ საქართველო? არა! მიდიან რუსეთში. რჩებიან იქ, ცოლშვილებიან. რუსდებიან. ესეც არის დენაციონალიზაციის ერთი საშუალება. უეჭველია. და ქართველები კი ტრაბახობენ: საქართველო ამდენი და ამდენი უმაღლესი განათლების პირი ჰყავსო!

ეროვნული ინტელიგენცია იზრდება და ეროვნული კულტურის განვითარებაში მთავარი არის ენა, მაგრამ კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, — ამბობს კურგანოვი, — სავსებით ცხადია: ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა კავშირში შემავალი ერების ენამ უნდა გაიაროს ორი ეტაპი, რათა იქ მხოლოდ ერთი ენა გაბატონდეს: 1. პირველ ეტაპზე აუცილებელია ეროვნულ ენათა განვითარება 2. ხოლო მეორე ეტაპზე აუცილებელი არის შემოღება და განმტკიცება ერთი ენისა, რაც, ცხადია, იქნება რუსული ენა. საბჭოთა კავშირში ლაპარაკობენ და წერენ 119 ენაზე; მაგრამ პარტია სისტემატიურად ამზადებს ერთი ენის (ცხადია: რუსულის!) გაბატონებას და ამ ეროვნული ენებით იღებს ფართოდ სარგებლოს იმისათვის, რომ აღმოფხვრას ხალხებში ყოველგვარი ეროვნული გამოსახულება, აღზარდოს ხალხები საბჭოთა ინტერნაციონალურ მარქსისტულ - ლენინური სულით, ესე იგი, რუსული ენა გაბატონოს; ანუ როგორც თქვა პარტიის 21-ე ყრილობაზე მუხტიდინოვმა: „ჩვენი ქვეყნის ხალხებს პარტიის აღმზრდელიობითი გზა არის მღვივე საბჭოთაური პარტიოტიზმი, განუსაზღვრელი ერთგულება მარქსიზმ - ლენინიზმის დიდი იდეებისადმი...“ და ამგვარად, ეროვნული ენები თავის მნიშვნელობას ნელ-ნელა დაჰკარგავენ. ამას უფულო კიფრიც ააბჟა-



რავებს; ჟურნალი „კომუნისტ“ (1958 წ. № 1) წერდა: „მომავალი შერევა-ათქვეფვა ერებისა გულისხმობს ერთი ენის დამკვიდრებას... პროცესი ენათა დაახლოვებისა მოედება მომავალში ყველა ხალხს“-ო.

აი, რას პირდებიან რუსი კომუნისტები მსოფლიოს: აქ უნდა გაბატონდეს, რასაკვირველია, რუსული ენა!

თვითნ კურგანოვი კი შენიშნავს: რომელი ენა იქნება მსოფლიო ენა — ეს შორეული მომავალის საქმე არისო, მაგრამ რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, აქ კი რუსული ენა ნელ-ნელა ბატონდებაო გვ. 98).

ეს გარკვეული მიმართულება ჩანს ადგილობრივ, ეროვნულ ენებზე ჟურნალებისა და წიგნების რიცხვის შემცირებით, ხოლო იზრდება რუსული ენის გაძლიერება:

თუ 1950 წელში არა - რუსულ ენაზე გამომცემლობა იყო 28%, ექვსი წლის შემდეგ, 1956 წ. იგი იყო მხოლოდ 25 %; ტირაჟი იყო 18 პროცენტი და 1956 წელს კი 15 პროცენტი და თუ ჩავთვლით, რომ ამ გამომცემლობას უმთავრესად რუსულიდან თარგმანი წარმოადგენს, სურათი ნათელი იქნება...

საბჭოთა კავშირი, — ამბობს კურგანოვ, — ამგვარად განვითარების მეორე ეტაპზეა: არ უღლება პირველი ეტაპი და დაიწყო მეორე ეტაპი, იქმნება „სოციალისტური კულტურა რუსულ ენაზე“-ო.

საბჭოთა კავშირის ერების სრული გათქვეფვა - გადაგვარებისათვის, — ამბობს კურგანოვ, — და ერთი საბჭოური ერის შექმნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პატარა ერების ეროვნულ - საცხოვრებისო ჩვეულებათა მოსპობასა და ახალ საბჭოურ ტრადიციათა დამკვირვებას, რომელსაც ძალდატანებით ახდენენ. ყველგან შემოაქვთ და უნდა განმტკიცდეს საბჭოური ზნეჩვეულება და ეს ხდება როგორც ქალაქად, ისე სოფლად. თუ ძველად ეროვნული ჩვეულებისა და ადათის დამცველი იყო გლეხობა, თავის მიწასთან დაკავშირებული, ახლა გლეხობას ეს მიწა აღარა აქვს, იგი გადაქცეულია მუშად და გათქვეფილ - არეული, სხვა ერთა შვილების ჩასახლება მხოვებით, რაც ადვილია კოლმეურნეობის განმტკიცებით. გაჰქრა ეროვნული ტანისამოაი; ისპობა დღეობები; აღმოიფხვრა ძველი ჩვეულებები, დღესასწაულები და სხვა. ჟურნალი „კომუნისტ“ წერდა (1959 წ. №13): „ყოველი ცუდა ხელოვნურად შეინახონ, დააკონსერვონ, ან აღადგინონ ზნეჩვეულებები. ძველი ჩვეულება და ტრადიცია... სერიოზულ ზიანს აყენებს მშრომელთა კომუნისტურად აღზრდას“-ო.

მაგრამ ამ შემთხვევაში, — ამბობს კურგანოვ, — მთავარი ყურადღება კომუნისტური პარტიის მიერ მიქცეული არის თითოეული ერის ინტელიგენციაზე, რომელსაც იგი ზრდის საბჭოური იდეებით, მარქსისტულ - ინტერნაციონალური სულისით. სხვა და სხვა ერის ინტელიგენციებს პარტია ერთი მეორეში ურევს, თქვიფავს, აღ-

ზობს ერთი რესპუბლიკიდან მეორეში გადაყვანითა და რების გადასმით, გადასახლებით, ჩასახლებით.

პარტია ერთი მხრივ აწყობს ადგილობრივ რესპუბლიკებში ძრავალ ეროვნულ - კულტურულ დაწესებულებას და ამით იბირებს, თავის ძხაოეზე გადაჰყავს ეროვნული ინტელიგენცია, მისთვის პრივილეგიური მდგომარეობის შექმნით, ორდენებით, პრემიებით, ხინებით, და სხვა დაჯილდოებით; მაგრამ ახასთანავე მას მუხრუჭს უჭერს და აიადგურებს მისი ეროვნული იდეების გამძვინვარებას და ამგვარად. — ამბობს კურგანოვი, — ცდილობს მოუხსოს მან ეროვნული თავისებულება; აღმოუფხვრას მას ეროვნული თვითიგნება; გადაიყვანოს იგი საბჭოურ ნიადაგზე, — იქმნება საბჭოური ადამიანი!

ერთ შემთხვევას გაიამბობთ: სრულიად მოულოდნელად იბილისიდან მოსულ ტურისტს შეეხვდით. საუბარის დროს ანაზღველად მას ვკითხვ: თქვენ რა ეროვნებისა ბრძანდებით. ასეთი შეკითხვა მას გაუკვირდა და მიპასუხა: როგორი თუ რა ეროვნებისა? რასაკვირველია, ვარ ქართველი! ამაზე მე მას მივუგე: უკაცრავად ვარ, მაგრამ თქვენ ქართველად არ ითვლებით. იგი მეტად გაკვირდა: როგორი თუ არ ვითვლებით? ეგ საიდან მოიტანეთ? არ მესმის, ბატონო! ამაზე მე მას ვუპასუხე შეკითხვით: რა გიწერიათ თქვენ პასპორტში? მან მომიგო ცოტა ამაყად: რასაკვირველია, მიწერია „ქართველი“! ამან მე შემაწუხა და ვუთხარი: ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თქვენ პასპორტში არ გიწერიათ, რომ თქვენ ბრძანდებით „ქართველი“-მეთქი. დიდად ეწყინა. ალბათ ეგონა მას, რომ მე ანტისაბჭოურ პროპაგანდას ვეწეოდი. და ვთხოვე მას ეჩვენებინა მისი პასპორტი. აგერ მაქვს პასპორტიო; ამოიღო პასპორტი და მე მაძლევდა. არა, ბატონო, ვუთხარი მას: თქვენ თვითონ მოძებნეთ, სად გიწერიათ „ქართველი“. მან ბევრი ეძება და ვერ მიაგნო. მაშინ მას გამოვართვი პასპორტი და ვუჩვენე, თუ რა ეწერა მასში. რა ეწერა? ეროვნება — „საბჭოელი“; „სოვიეტიკ“ ვერ წარმოიდგენთ ჩემი თანამსაუბრის შეძრწუნებას... ცრემლები მოადგა თვალებზე... მე დავდუმდი.

საბჭოთა კავშირი არის ეროვნული ფედერაცია, მაგრამ ეს არისო, მხოლოდ ქალაქად, ამბობს კურგანოვ. ფაქტიურად კი საბჭოთა ფედერაციის საფუძველს წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც ყველაფერს განაგებსო. მთელი საბჭოთა კავშირი დაყოფილია ოთხ კატეგორიად: 1. საბჭოთა რესპუბლიკა, 2. ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც შედის საკავშირო რესპუბლიკაში. 3. ავტონომიური ოლქი და 4. ეროვნული ოლქი. ყველა ამ კატეგორიას არა ჰყავს ერთნაირი წარმომადგენლობა; არა აქვს ერთნაირი უფლება ეროვნულ თვითგამორკვევაში. მთელ ფედერატიულ სა-

სტემას მეთაურობს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭო; კალკულ მთავარი და ავტონომიურ რესპუბლიკებსაც ჰყავთ თავისი უმაღლესი საბჭო. კავშირის უმაღლესი საბჭო შედგება ორი დაწესებულებისაგან. საბჭოთა კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ირჩევა ოთხი წლით, ანუ უფრო სწორათ, ინიშნება ამ ვადით. რადგან იქ არავითარი ნამდვილი არჩევნები არ არსებობს: ყველგან ირჩევა ის კანდიდატი, რომელსაც კომპარტია წამოაყენებს და ყველგან ეს კანდიდატი ღებულაობს ხმების 90 პროცენტზე მეტს. ამიტომ შემადგენლობა საბჭოსი არის უმთავრესად კომუნისტური. დავასახელოთ 1958 წლის საბჭოთა შემადგენლობა. ამ წელს იყო უმაღლეს საბჭოში 67 პროცენტი კომუნისტი და 24 პროცენტი არა - პარტიული (ესეც კომუნისტი, მაგრამ არა-პარტიული წევრი). დეპუტატების უმრავლესობაა ჩინოვნიკური-მოხელეები, შემდეგ — მუშები (რასაკვირველია: ორდენოსნები, ჩინიანები და სხვა) და ბოლოს გლეხები (ესენიც ცხადია: დაჯილდოებულნი ჩინებით, ორდენებით და სხვა). საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 1316 დეპუტატიდან იყო 60 — საბჭოთა კავშირის გმირი; 83 — სოციალისტური შრომის გმირი; 76 — ლაურეატი, დაჯილდოებული პრემიებით, და 1211 დეპუტატი, დაჯილდოებული ორდენებითა და მედალებით.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭო, — ამბობს კურგანოვ. — არის დეკორატიული დაწესებულება, რომელშიდაც შედიან დეკორირებული კომუნისტებიო.

რუსეთის კომუნისტური პარტიის წევრად ითვლება — 5.843.456 წევრი; უკრაინის რესპუბლიკაში — 1.388.000; აზერბაიჯანში — 143.730; საქართველოში — 208.584; სომხეთში — 80.350.

ანუ ახალი სტატისტიკით, 1961 წლისა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი იყო 9.626.700 აქედან რუსები 6.116.700 ანუ: 63,3%  
 ანუ საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის 54,5%  
 ქართველები 170.000 ანუ მოსახლეობის 1,8%  
 აზერბაიჯანელები — 106.000 1,1%  
 სომხები — 161.000 1,7%

აი, ეს ექვსი მილიონი რუსი პარტიული წევრი ფორმალურად არის მთელი პარტიის პატრონი და ფაქტიურად კი მოსკოვში მოკალათებული რუსული პოლიტიკური არის გამგე და ბატონი უზარმაზარი საბჭოთა კავშირისა და ამით აიხსნება ის რუსული იმპერიალისტური კოლონიალური და რუსიფიკატორული პოლიტიკა, რომელს საბჭოთა კავშირში აქვს ადგილი.

საბჭოთა კავშირის ბატონ-პატრონი, რომელიც სხვა რესპუბლიკათა პარტიებზედაც უეჭველად ბატონობს. რადგან ამ რესპუბლიკებს თავისი საკუთარი უფლება არ გააჩნიათ და მოსკოვზე არიან ნავსებით დამოკიდებული:

მოსკოვი თავისი ნებით უდებს საზღვარს რესპუბლიკებს (ყირიმის საზღვრების შემცირება), თავისი ნებით რესპუბლიკებს ავტონომიურ ოლქად გარდააქცევს, (კარელო-ფინეთის რესპუბლიკა); მოსკოვის გეგმის მიხედვით თავისი სამკვიდროდან აპყრის მოსახლეობას და გადაიყვანს სხვაგან და ამგვარად რესპუბლიკების მოსახლეობას ერთმანეთში ურევს, თქვეფავს, ალხობა. 1941 წელს მოსპეს ავტონომიური რესპუბლიკა გერმანთა და ეს ხალხი გაფანტეს ციმბირში; 1945 წელს მოსპეს ყირიმის რესპუბლიკა და მთელ ხალხს ციმბირში უკრეს თავი; ხოლო ჩრდილო-კავკასიდან ათიათასობით აპყარეს ჩერქეზები, ყარაჩაები, ბალკარელები, ინგუშები და სხვები და გადაპყარეს ციმბირში; აპყარეს კალმიკთა მთელი რესპუბლიკა და 1958 წელს გამოაცხადა მოსკოვმა: „ვხელმძღვანელობთ რა ეროვნებათა თავისუფალი განვითარების პრინციპით“ 1958 წლიდან აღდგენილ იქნება ყალმიკთა რესპუბლიკაო. რა არის ეს? დაცინვა ყოველი პრინციპისა და ხალხისა!? მაგრამ ამ ხერხს ხმარობს მოსკოვი სწორეთ ეროვნებათა გადასაგვარებლად და გაანრუსებლად.

კავკასიის რესპუბლიკებში ადგილობრივ მცხოვრებთა პროცენტი იყო 69,3; ხოლო იქ ჩასახლებულთა — 30,7. შუაზიური რესპუბლიკებში ადგილობრივ მცხოვრებთა რიცხვი იყო 57,4%; ჩასახლებულთა რიცხვი კი — 42,6 პროცენტი; ხოლო ყაზახისტანში ადგილობრივ მცხოვრებთა რიცხვი წარმოადგენს 29,6 პროცენტს და იქ ჩასახლებულთა რიცხვი არის 70,4 პროცენტი! სახელი რესპუბლიკისა რჩება, მაგრამ მის მცხოვრებთა სახე იცვლება, განადგურებით...

ბ-ნი ი. ა. კურგანოვი გვიმტკიცებს, რომ რუსეთი და საბჭოთა კავშირი ერთი და იგივე არ არისო; საბჭოთა კავშირი არისო ქვეყანა ინტერნაციონალური, რომელსაც განაგებს კომუნისტური პარტია; რომელსაც აქვს იდეა მსოფლიოს საბჭოთა კავშირის შექმნისა და მსოფლიოს ხალხთა გაბედნიერებისა. არაფერ შუაში აქვთ რეთ წოდებული „რუსული იმპერიალიზმი“ არ არისო ეს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის შედეგი არისო; ხოლო თვით რუსის ხალხს სრულებითაც არ ახასიათებს და მის ბუნებას არც ეგუება იმპერიალიზმი!

დიდი ვაჭირვებით დავეთანხმოთ ამ შეხედულებას, მაგრამ თვით რუსეთის კომუნისტური პარტიის შემადგენლობა საკმაოდ ნათელსა ჰყოფს იმ მოვლენას, რომ იგი არის რუსული და მისი დედაქალაქი მოსკოვი, მისი პოლიტიკური დედა. რუსეთის ხალხს და მის ინტელიგენციას ყოველთვის ახასიათებდა ის რწმენა, რომლის მიხედვით იგი არის კაცობრიობის დამხსნელი; თავის თავს გრძნობდა ქრისტიანული მესისის მატარებლად, რომელმაც უნდა გადაარჩინოს მთელი მსოფლიო და შეიყვანოს იგი ამქვეყნიურ სამოთხეში. ეს ძველი სლა-

ვიანოფილური მესიანიზმი დღესაც გვაქვს ჩვენ კომუნისტური იდეოლოგიის სახით და ამით არსებითად არაფერი იცვლება. ორივე შემთხვევა არის იმპერიალისტური... დამპყრობი..

თუ პოეზიას აქვს რაიმე მნიშვნელობა ერისათვის და იგი არის გამონახატულებაც ხალხის მისწრაფებათა, იმედისა და მისი განამდვილებიანა, მაშინ უნდა გაიცნოთ ჩვენი თანამედროვე რუსი ცნობილი პოეტის ანდრე ვოზნესენსკის უკანასკნელად, 1967 წელს დაბეჭდილი ლექსის ერთი ადგილი —

ლოცვით მიმართეთ რუსეთს მისი ჭაუგონარი (ჯმაგალითო) ხვედრისათვის.. ჩვენი მარადი თავგანწირულებისათვის. როგორც ვათა, რომელიც თავის გვამში ღებულობს ყველა ტყვიას, რაც რომისათვის და ვენისათვის იყო დანიშნული... რუსეთი მხსნელი, რომელიც არ უნდა იყოს ბათუ.. ყოველთვის რუსეთი, კიდევ რუსეთი, მარადიულად რუსეთი...

ეს ლექსი დაბეჭდილი იყო გაზეთ „ლე მონდ“-ში 26 მარტისა 1967 წ. და აქ გაზეთი შენიშნავს:

— „რუსეთი მხსნელი“ (გადამარჩენელი) პირდაპირ დაკავშირებულია უკანასკნელი ათეულების (რუსის) ინტელიგენციის „სლავიანოფილთა“ რწმენასთან, რომელიც თავის სამშობლოს მსოფლიოს დამხსნელად, გამოუმხსნელად თვლიდა. ეს ძალიან შორს პარისო „პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმისაგან“-ო. მაგრამ გაზეთი „ლე მონდ“ მაინც სცდება არსებითად, რადგან „პროლეტარული იმტერნაციონალიზმი“, რომელს მოსკოვი ეტრფის, არის დღეს რუსული კომუნისტი და მისი სახით, რუსული იმპერიალიზმი.

ბ-ნი ი. ა. კურგანოვი შემდეგ ეხება საბჭოთა კავშირის მოსპობის საკითხს; იცავს „რუსეთის მთლიანობას“; ომის საკითხსაც ვასინჯავს; მომხრე არის ერების ფედერაციისა რუსეთში, დემოკრატიულ ნიადაგზე და იმედი აქვს, რომ შიგნით მომხდარი გადატრიალებით მოხდება კომუნისტიზმის დამხობა და საამისოდ მას თავისი მნიშვნელოვანი მოსაზრებებიც მოაქვს, რომელს ლოგიკურად ამაგრებს, მაგრამ მაინც ყველაფერი მოსაზრებად რჩება, რასაკვირველია.

აქ აღძრულ საკითხებს არ შეეხებოდით. მაგრამ მკითხველს გავაცნობთ იმ დისკვენებს, რაც კურგანოვს საბჭოთა საკითხის შესწავლის შედეგად მიუღია:

1. შეუძლებელია საბჭოთა კავშირში ეროვნულ - განმათავისუფლებელი რევოლუცია, რადგან საბჭოთა კავშირში ხდება ინტენსიური პროცესი ერების ერთი მხარეში აღრევისა და თანდათანობით ეროვნული რესპუბლიკები გეოგრაფიულ სახელად რჩებიან, სადაც ადგილობრივ მკვიდრთა რიცხვი მცირდება და ზოგ შემთხვევაში უმცირესობად გარდაიქცა.

2. პროცესი საბჭოთა კავშირში უფრო და უფრო ხალხთა ასიმილაცია-გათქევევის გაძლიერებისა.

3. პროცესი ეკონომიური გარდაქმნისა, კერძოდ მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის სპეციალიზაცია; ერთი მხარეს მეორესთან მჭიდროდ აბაშს პარტია, აკავშირებს და ეროვნული რესპუბლიკებს საზღვრებს გადალახავს; ჰქმნის საბჭოთა კავშირის მთელი ეკონომიკის ერთიან და განუყოფელ მთლიანობას.

4. პროცესი ნაციონალურ კულტურათა დაახლოებისა მთელ საბჭოთა კავშირში; ხდება ეროვნული კულტურების თანდათანობითი გარდასვლა ერთ საერთო „საბჭოთა კულტურაში“

5. პროცესი დაახლოებისა და გაანეროვნება = დენაციონალიზაციისა ქვეყნის ყველა მხარეში; პროცესი ძველ ეროვნულ თავისებურებათა მოსპობისა და ახალი ყოფაცხოვრების შექმნისა.

6. პროცესი ხალხთა ეროვნული თვითშეგნების სერიოზული გამოცვლისა და გარდაქმნა ძველი ერებია ახალი, გარდამავალი ტიპის ერის წარმოშობისათვის...

7. რით მოისპობა ეს საშინელი პროცესი? ავტორის აზრით, ეს პროცესი მოისპობა საბჭოთა კავშირში მხოლოდ შინაგანი გადატრიალებით, კომუნისტური პარტიის მოსპობით და დემოკრატიული ფედერატიული რუსეთის შექმნით.

შეიძლება ასეთი რამ? ბ-ნი ი. ა. კურგანოვი მხოლოდ ამგვარი იმედით არის გატაცებული...

**ბ. ვარდანი**

**ლიკსუს**

**ორი ინგლისელი პროფესორი**

**საბჭოთა ამიშრკავკასია და ცენტრალ აზიაში**

**Alec Nove**, Bonar Professor of Economics, University of Glasgow and **J.A. Newth**, Lecturer in Soviet Studies. University of Glasgow — *The Soviet Middle East. A model for Development ?* George Allen and Unwin Ltd. London, 1967.

როგორც ეს თვით წიგნის ყდაზე არის აღნიშნული ამ ორი ინგლიელ სწავლულს განუხილავს „საბჭოთა შუა აღმოსავლეთი“. — საბჭოთა შუა აღმოსავლეთი შეიცავს ცენტრალურ აზიას და ამიერკავკასიას (ტრანსკავკასიას), რომელიც გადაყლაპულ იყო რუსეთის იმპერიის მიერ და ახლა არის საბჭოთა კავშირის ნაწილი. ავტორები განიხილავენ ამ ქვეყნების განვითარებას და ამასთან დაკავშირებით სხვა და სხვა საკითხს წარმოადგენენ. მართებულად იანნი მკითხველთ თვითეული ამ მხარის გეოგრაფიისა და ისტორიის ძალიან მოკლედ აცნობენ, რათა მკითხველს ამ

კვეყნებზე სწორი შეხედულება შეუქმნან. პირველი თავი დასახელებული წიგნისა ამიერ კავკასიას ეხება და გეოგრაფიულ-ისტორიულ თვალის გადავლებით კმაყოფილდება.

ამიერკავკასიას, -- ამბობენ ავტორები, -- აქვს შორეული ისტორია, ქრისტიანულ წელთაღრიცხვის უკან. ამ მხრივ, ეს მხარე უფრო ძველია, ვიდრე თვით რუსეთი და წარსული დიდების ტრადიციები დაჩენილი არიან და დღესაც აქვთ მათ გავლენა.

შემდეგ ავტორები ძალიან მოკლედ და თითქმის გაუგებრად სულ ერთ გვერდზე მიმოიხილვენ აზერბაიჯან-საქართველო-სომხეთის წარსულს და ამბობენ: ინგლისელებმა დაიკავეს, „ოკლპაცია მოუხდინესო“ აზერბაიჯანს და გერმანელები გააძევესო („ექსპელდ“) საქართველოდან. არც ერთი და არც მეორე ამბავი ზუსტად გარკვეული არ არის, რადგან ინგლისელებმა დაიკავეს მარტო ბაქო, ხოლო საქართველოდან გერმანელები წავიდნენ დამარცხების შემდეგ, მუდროსის წინარი ხელშეკრულების ძალით. თუ მთელი ამბავის მოყოლა ავტორებმა არ მოიმდომეს, სათანადოდ გამოთქმით, ეს ზუსტად უნდა ავლნიშნოთ.

„ცენტრალური საბჭოთა მთავრობა“ ძალიან იყო სამოქალაქო ომით და ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლით გართული-ო. არც ეს თქმა — „ცენტრალური საბჭოთა მთავრობა“ არის ზუსტი დახასიათება მოსკოვში შექმნილი ბოლშევიკურ მთავრობისათვის, რადგან ის იმ ხანად „ცენტრალური“ კი არ იყო, არამედ მხოლოდ მოსკოვური. მაგრამ მოიცალა მან 1920 წელს და 1920 წლის აპრილის ოცს საბჭოთა მთავრობა „დაყენებულ იქნა“ (ვოზსეტ აპ) აზერბაიჯანში; დეკემბერში მას მოჰყვა სომხეთი და ბოლოს 1921 წელს წითელი არმია შეესია საქართველოსო. მადლობა ღმერთს! აქ მაინც არ არის ნათქვამი „დაყენებულ იქმნაო“!

ეს სამი სახელმწიფო ამიერკავკასიის ფედერატიულ სოციალიტურ საბჭოთა რესპუბლიკად გადაქციეს 1922 წელს; 1936 წლის კონსტიტუციით ეს ფედერაცია დაშალეს და ცალკე რესპუბლიკად ისინი საბჭოთა კავშირში შეიყვანეს. აქ მათ მოტანილი აქვთ დემოგრაფიული სტატისტიკა.

შემდეგ ავტორები ეხებიან ყაზახისტანს და ცენტრალ აზიას; და აქაც ვხვდებით არა ზუსტ თქმას, როგორც მაგალითად, ჩრდილოეთ ყაზახისტანის შესახებ, რომლის გამო ნათქვამია, რომ აქ მიწების დამუშავებაა და მარცვლეულობის გავრცელების ზრდას თან მოჰყვა მთელი საბჭოთა კავშირიდან „მუშების იმიგრაციაო“. ავტორებმა კარგათ უნდა იცოდნენ, რომ ეს არ იყო „იმიგრაცია“ არამედ ძალადობით გადაყვანა მუშებისა ამ მხარეში. შეეძლოთ ხომ ეთქვათ „ნაძალადევი იმიგრაციაო“? ამ იმიგრაციის შედეგი ის არის, რომ ყაზახისტანში ადგი-

ლობრივ მცხოვრებთა რიცხვი უდრის ოცდაათი პროცენტს, მაშინ როცა რუსები, უკრაინელები, ბელორუსები 52,1 პროცენტს შეადგენენ!

შემდეგ ავტორები აღწერენ რესპუბლიკების კონსტიტუციურ მდგომარეობას და იმ დასკვნამდე მიიდას, რომ თითქო ყველაფერი მოსკოვის ხელშია და ცენტრალიზაცია გაბატონებულიაო. ეს მათი დასკვნა სწორია.

მესამე თავში ავტორები ეხებიან ინდუსტრიალიზაციის საკითხს და მკითხველს წინასწარ აფრთხილებენ, საბჭოური სტატისტიკა სანდო არ არისო, რადგან გადაჭარბებულიაო, მაშასადამე, სიცრუე არისო. მაინც იძულებული არიან ეს სტატისტიკა იხმარონ და ტყუილი სტატისტიკით ვგებულობთ: 1940 წელს სამრეწველო პროდუქცია ყოფილა —

|                                                                                         |     |
|-----------------------------------------------------------------------------------------|-----|
| საქართველოში 1940 წ. (ასი ითვლება 1928 წელში: 340 ხოლო 1956 წელში (ასი ითვლება 1958 წ.) | 157 |
| აზერბაიჯანში                                                                            | 161 |
| სომხეთში                                                                                | 195 |

აქედან ჩანსო ინდუსტრიის განვითარება, — ამბობენ ავტორები: საერთოდ ეს განვითარება შედარებით სხვა რესპუბლიკებთან და კერძოდ თვითონ რუსეთთან, ძვირე არისო. აქ მათ მოაქვთ სტატისტიკა, რაც ეხება ინდუსტრიას, მშენებლობას, ტრანსპორტს, სოფლის მეურნეობას და დაააკენიან — თუმცა ამ ქვეყნებში (იგულისხმება ცენტრალ აზია და ამიერკავკასია) ციფრები გვიჩვენებს ზრდას, მაინც იგი ძალიან ჩამორჩენილი არისო თვით რუსეთისაგან. (გვერდი 41).

რუსი კომუნისტები იმის საჩვენებლად, როგორი ეროვნული შემოსავალი აქვს რესპუბლიკის თვითეულ მცხოვრებს, საფუძვლად უდებენ ლატვიის „სიმდიდრეს“ (ეს ბრჭყალები ავტორებს ეკუთვნის), რაც მათი აზრით, ძალიან გასაკვირველია, მაგრამ სურათი ასეთია: —

|                                              |      |
|----------------------------------------------|------|
| თვითეულ მცხოვრებზე ეროვნული შემოსავალი არის: |      |
| ლატვიაში                                     | 81,2 |
| რუსეთში                                      | 81,2 |
| აზერბაიჯანში                                 | 55,4 |
| სომხეთში                                     | 61,7 |
| საქართველოში                                 | 55,4 |

და ამას დასძენენ ავტორები: საეჭვო არისო რამდენად მართალი და სწორი არის ეს ანგარიშიო. ეს ციფრები არ გვეუბნება, რა შემოსავალი აქვთ მუშებს ან გლეხებს, მაგრამ უეჭველია, ქალაქი მცხოვრებთ უფრო მეტი შემოსავალი ექნებათო. (გვერდი 42). მაგრამ მაინც ამბობენ ავტორები — ამ რესპუბლიკების ეროვნული შემოსავალი იზრდებაო. ოღონდ სინამდვილეში ეს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე თვით რუსეთისაო. დასახელებულ ქვეყანანი და სხვა რესპუბლიკებზე, მათი აზრით, ჯერ კიდევ ჩამორჩენილთა შორის ჩაირიცხებიანო.

ამ ინდუსტრიულ განვითარებასთან დაკავშირებით, აკტორები ახსენებენ ქალაქ რუსთავსა და მის მრეწველობას და ამბობენ: რუსთავის ფოლადის მრეწველობა ძვირ ფოლადს აკეთებს, რადგან ნედლი მასალა და სათბობი შორიდან მოაქვსო.

ჭიათურის შავიქვა, მარგანეცის ბუდობები მთელი მსოფლიო მარგანეცის ბუდობათა ათ პროცენტს შეიცავს და უკრაინის ნიკოპოლთან ერთად საბჭოთა კავშირი მთელ მსოფლიოში უდიდესი მწარმოებელიაო. 50-იან წლებში აშენებულმა რუსთავმა მოთხოვა ჭიათურის შავიქვის დაახლოებით წლიურად მილიონი ტონა და მას აქვს სულ ცოტა მეტი, ვიდრე ადგილობრივი მნიშვნელობა. იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა კავშირის მეტალურგიულ ცენტრებთან ამიერკავკასიის მრეწველობა დაშორებულია, შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ რუსთავის მეტალურგიული წარმოების შექმნა გამოწვეულია უფრო ადგილობრივი მოთხოვნებითი პრესტიჟისათვის, ვიდრე ზუსტი განსჯით ეკონომიკური სარგებლობის შესახებო. (გვ. 19).

ჩვენ კი ვიტყვი, რომ რუსთავის ინდუსტრიის შექმნით მოსკოვმა გადააჯაჭვა საქართველო საბჭოთა კავშირს და არა-ქართველ მუშათა მოყვანით ქართველთა გარუსებას ამით აჩქარებს; ავტორები ამ საკითხს არ ეხებიან, მაგრამ ყაზახისტანის შენახებ მაინც ამბობენ: ადგილობრივ მცხოვრებთა რიცხვი უკვე მცირე იყო რუსეთიდან და უკრაინიდან ჩამოსახლებულ, ძალით გადასახლებულ ხალხთან შედარებით და წარმოების განვითარებამ (კარაგანყისაში) სულ მთლად შეამცირა მკვიდრთა მოსახლეობაო: ახლა ძნელია ითქვას, რომ ყაზახისტანი ახლა არისა ეროვნული რესპუბლიკა, როცა იქ დიდი უმრავლესობით რუსები არიან დასახლებულიო. (გვ.47).

აქ ავტორები ისევ რუსთავის მეტალურგიულ წარმოებას ეხებიან და ამბობენ: რუსთავის მეტალურგიის ხშირად ასახელებენ, როგორც მაგალითს არა-რაციონალურ ადგილზე შექმნილს, რადგან მისი წარმოების ნაყოფი არისო ძვირი. შესაძლებელია: ეკონომიური ანგარიშის გაძლიერების შედეგად მერმე აღარ გაიზარდოს, — ეს პოლიტიკურ მოსაზრებათა მიხედვით შექმნილი ინდუსტრია არისო (გვ. 51).

1959 — 65 წლის შეიღწეული გეგმის მიხედვით წარმოება უნდა გაზრდილიყო:  
1965 წლის გეგმით: ნამდვილად გაიზარდა:  
სომხეთში — 220 195  
აზერბაიჯანში — 190 161  
საქართველოში — 175 157

დიდი განსხვავებაა გეგმასა და სინამდვილეს შორის. ავტორები ამბობენ, რომ 1959 წლის სტატისტიკის მიხედვით, ამიერკავკასია და თურქესტანი ანუ ცენტრალუ-

რი აზია სოფლური იყო, ქალაქთა მოსახლეობის შედარებით. გამონაკლისია მხოლოდ სომხეთი.

აღნიშნულ წელს ქალაქებში ცხოვრობდნენ: სოფლებში:  
აზერბაიჯანში 1.042.000 1.915.000  
საქართველოში 979.000 1.720.000  
სომხეთში 1.576.000 1.210.000

მაგრამ ავტორები აქ არაფერს ამბობენ, თუ ეს მოქალაქეობა რა ხალხისაგან შესდგება; სტატისტიკიდან კი ვიცით, რომ აზერბაიჯანსა და საქართველოს ქალაქებში (განსაკუთრებით ბაქოში და თბილისში) ბევრი უცხოელი (რუსები, უკრაინელები) ცხოვრობს. კერძოთ, საქართველოს ქალაქებში არა ქართველთა რიცხვი უდრის 30- 40 პროცენტს!...

შემდეგ ავტორები აგრიკულტურას განიხილავენ და კოლექტივიზაციას ეხებიან, რომელმაც დიდი მტკივნეული გადატრიალება მოახდინა სოფლის მეურნეობაში და დიდი მსხვერპლი გამოიწვია. ეხლა სწერენო კომუნისტები, რომ საქართველოშიც ეს კამპანია ჩატარდა გლეხთა დაუეთხზავად და ადგილობრივ პირობებთან შეუგუებლად; „უხეში მოსპობა, ადმინისტრაციული ძალმომრეობა, ძალით შეყვანა ყველა ქვლეზობისა კოლმეურნეობებში“ — ო, ამბობს „ეპროსი ინტორი“ (აგვისტო, 1964 წელი.), მაგრამ ეს მოხდაო 1932 წელში და შემდეგ „პარტიამ გამოასწორა ეს შეცდომაო“. მაგრამ საქართველოში, ამბობენ ავტორები, შეიძლება იმიტომ, რომ სტალინი მასთან იყო დაკავშირებული, იქაური იყო ან იქნება იმიტომ, რომ ბერიას თავისი პოლიტიკური გეგმისათვის, მხარია დაჭერა სჭირდებოდა, კერძო საკუთრება გლეხთა შორის უფრო ნებადართული იყო, ვიდრე სხვაგანო. მაგალითად, თუ თვითონ რუსეთში ცხენების საკუთრებად ყოლა თითქმის აღარ არსებობდა 30- ათიან წლებში, საქართველოში 65 პროცენტი ცხენებისა კერძო პირებს ეკუთვნოდაო. 1941წ. ძვირფასი პლანტაცია ჩაისა, ღვინისა და ხეხილისა იყო და ახლაც არის კერძოთა ხელში და ქართველ გლეხებს შეუძლიათ იმოგზაურონ მოსკოვს და გაბერილი ფასებით გაყიდონ თვისი თაწარმოები თავისუფალ ბაზარზეო. თვით უკანასკნელადაც, 1962 წელს, როცა კერძო შრომა სასტიკად აკრძალული იყო, ორი მესამედი ყურძნისა და ხილისა კერძო პირთა ხელში იყო საქართველოში. ყველაფერი ეს იმით აიხსნება, რომ გლეხებს აქვთ მიწა, რომელზეც ეს ძვირფასი ნაყოფი მოჰყავთო.

როგორც ხედავთ, ავტორები კარგად არ არიან საქმეში ჩახედული. არაფერ შუაში არც სტალინი, არც ბერია აქ არ არიან. ისე როგორც ყველგან მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც კოლმეურნეობა შრომის სრულ ნაყოფს არ იძლევა, რადგან ბევრითად არავინ მუშაობს იმის გამო, რომ ეს ნაყოფი მას არ ეკუთვნის, ამიტომ საქართველოშიც ასეთი ვითარება იყო. და რადგან საქართვე-

ლოს მოსკოვში დადგენილი გეგმა უნდა შეესრულებინა და მოსავალი მოსკოვისათვის უნდა მიეცა, ამ ქვეყანაში არც ყურძენი და არც ხილი, არც ციტრუსები არ მოიპოვებოდა. ამის ჭამო წარმოიშვა საკარმიდამო მეურნეობა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გლეხებს „საკუთარი მიწა“ აქვთ, როგორც საერთოდ მიწა, არამედ მხოლოდ თავის ეზოში, რისი მოწლა მართლა შეუძლებელი იყო, ნება დართეს ხილი თუ ყურძენი, თუ ციტრუსი მოეყვანათ. ეს არ არის „მიწის საკუთრება“, როგორც ეს ავტორებს ესმით, არამედ კარმიდამოს მიკუთვნილი მიწა, რაც ქართულ სახლს ყოველთვის ახასიათებდა, რადგან ქართული სოფელი ამ მხრივ ევროპიელ სოფელს არ ჰგავს. ეს „საკარმიდამო მიწა“ რუსეთშიც არის შემოღებული. შემდეგ ავტორები ეხებიან სასოფლო მეურნეობის ნაყოფიერების დაცემას კოლექტივიზაციის შედეგად და მტკიცე ფაქტების შემოღების გამო, მაგრამ ფიქრობენ, რომ მდგომარეობა გაუუმჯობესდაო 1935 წლისათვის. ისინი ახსენებენ ყამირი მიწების გატეხის ამბავს, რომელიც დაიწყო 1954 წელს ციმბირში, ვოლგის აღმოსავლეთით და განსაკუთრებით ყაზახისტანში დიდი იმმიგრაცია რუსთა და უკრაინელთა და არაფერს არ ამბობენ იმაზე, რომ ეს იმმიგრაცია იყო ძალით მოწყობილი. ამ იმმიგრაციის გამო 1959 წელში ყაზახისტანის მოსახლეობას გადააქარბა რუსობამ და გულუბრყვილოდ ფიქრობენ ავტორები, ეს გადასახლება და ჩასახლება რუსთა თუ უკრაინელთა მხოლოდ სასოფლო მეურნეობის ინტერესით იყო გამოწვეული. მათ არ ესმით ის მოვლენა, რომ ყამირის გატეხას, რაც დიდი მარცხით დასრულდა, გარკვეული რუსული პოლიტიკურ-ნაციონალისტური მიზანიც ჰქონდა, რაც მოასწავებდა ყაზახისტანის ეროვნულად გათქვეფას სლავიანურ ზღვაში. ისინი ფიქრობენ, თითქო ყაზახისტანში ეროვნულად დაჯოგება იყო შემთხვევითი! (გვ. 61)

შემდეგ ავტორები განიხილავენ ფასის საკითხს და ამბობენ 1957 წლიდან კოლმეურნეთა შემოსავალი ძირს იწევს, რადგან სახელმწიფო სათანადო ფასს არ იხდია მარცვლეულობისათვის და სხვა პროდუქტებისათვის და ასე საქართველოშიც. ამიტომ ჰგონიათ ავტორებს, რომ უკანასკნელ ხანაში გლეხის შემოსავლის სტატისტიკას აღარ აქვეყნებენო. აკრძალულ იქმნა საქართველოდან საკარმიდამო მუშაობის ნაყოფის და სხვა რესპუბლიკაში გატანა, ასე სხვაგანაც, მაგრამ ბოლოს დაპირდნენ გლეხებს ამ ზომას მოესპობთო.

მეხუთე თავში ავტორები განიხილავენ სოციალურ მომსახურებას და ამბობენ, რომ განათლება, როგორც ამიერკავკასიაში, ისე ცენტრალ აზიაში აწრაფი ნაბიჯით წავიდა; აგრეთვე ჯანმრთელობის საქმეშიც; საოჯახო დახმარება, პენსია და სხვა განვითარება, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, თუმცა 1947 წლის შემდეგ ასეთი დახმარება შემცირდაო. ისინი დაწვრილებით ჩერდებიან

სწავლის საკითხზე, განსაკუთრებით, ცენტრალ აზიის ქვეყნებში და შემდეგ ამიერკავკასიაზე.

ჯერ კიდევ მეფის ხანაში აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს ინტელიგენცია ცდილობდა ხალხში განათლების შეტანას, ხოლო კერძოდ საქართველოში, სადაც შორსმხედველი ინტელიგენცია მეცხრამეტე საუკუნის ბოლოში სწრაფად ანვითარებდა განათლების საქმეს, მოითხოვდა ქართული ენის თანასწორობას, თუ არა რუსეთისაგან გამოყოფას; ამ ინტელიგენციამ მოახდინა კონცენტრაცია იმ ელემენტებისა, რაც დამახასიათებელია ქართველი ხალხისთვის, განსაკუთრებით თავისი სათაყვანებელი ენის განვითარებაზე ზრუნვით. 1914 წლიდან მომავალ სამ რესპუბლიკებში სწრაფად განვითარდა სწავლაგანათლება, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც იმ დროს ექვსი პროცენტი ქართველობისა სწავლობდა, მაშინ როცა რუსეთის იმპერიაში მხოლოდ 5,8 პროცენტი იყო. მოკლე სიცოცხლიანმა რესპუბლიკებმა, რომლებიც რუსეთის იმპერიის დასგრევის შემდეგ წარმოიშვნენ, მოახდინეს სკოლების ნაციონალიზაცია, და მათი სწავლაგანათლებითი მუშაობა დაიღუპა რესპუბლიკების დაღუპვასთან ერთად: ბევრი განათლებული ხალხი გადაიხვეწა უცხოეთში, რათა იქ თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის განეგრძო ბრძოლა, მაგრამ დარჩენილებმა ახალ ხელისუფლებასთან დაიწყეს თანამშრობლობა ქვეყნის აღსადგენადო. სწავლაგანათლება სისწრაფით წავიდა, თუმცა ცენტრალიზებულ მოსკოვის მთავრობასა და ადგილობრივ ნაციონალიზმს შორის ბრძოლა იყო, რის გამო „წმენდა წმენდას“ მიჰყვაო. ამან ვერ შეაბრკოლა ქართველთა შორის სწავლის საქმეო, უფრო ჩამორჩნენ აზერბაიჯანელები და სომხები. რაც თანდათან სწორდებო. ავტორები გაკვირვებულნი არიან უმაღლეს სწავლა დამთავრებულთა რიცხვით საქართველოში და გამოანგარიშებული აქვთ, რომ ყველას მათ არა აქვთ სამუშაო.

მთელ საბჭოთა კავშირში 1959 წლის იანვარში უმაღლეს სწავლა დამთავრებულთა რიცხვი იყო 3.778.000 და 1960 წლის ბოლოს 3.542.000 მუშაობაში იყო ჩამბული. საქართველოში უმაღლეს სწავლა დამთავრებულთა რიცხვი იყო 153.000 და მუშაობაზე მყოფთა რიცხვი 107.000! რას შერბა ეს 46.000 უმუშევარი? ბევრი მიდის, ცხადია, რუსეთში, იქ პოულობს სამუშაოს, იქ ცოლშვილიანდება, იქ რუსდება. ასე იყო ხომ მეფეთა დროსაც! ასე რომ ასეთი რიცხვით თავისთავად გარუსების პოლიტიკა სარგებლობს, დავძენთ ჩვენ.

მასწავლებლის ჯამაგირი სახარბიელო არ არისო; იგი მცირეა შედარებით. რაც ჯანმრთელობის საქმეს შეეხება იგი სწრაფად განვითარდა ყველგან, მაგრამ საავადმყოფოები უფრო პეტად ქალაქებში მოწყობილია, ვიდრე სოფლებშიო. არც ექიმების პირობები არისო კარგი, შე-

დარებით დასავლეთ ევროპის ექიმებთან, მათი შემოსავალი ნაკლებიაო.

ყველაზე უფრო საინტერესო არის, რასაკვირველია, ფინანსების საკითხი, მაგრამ აქ იმდენი ეჭვი და იმდენი ვარაუდი არის წარმოდგენილი, რომ კაცი ნათელ სურათს ვერ ღებულობს, თუმცა ავტორები ძალიან ცდილობენ ეს საკითხი გაარკვიონ და თავის მოსაზრებებს გამოთქვამენ, რომელს ასე ადვილად ვერ დავეთანხმებით. მათი აზრით, გარდა შეიძლება აზერბაიჯანისა, რომელსაც დანარჩენ ჩვენ რესპუბლიკებზე მეტი შეაქვს საბჭ. კავშირში, დანარჩენი რესპუბლიკები (ცენტრალ აზიისა და ამიერკავკასიისა) თვითეულ სულზე ნაკლებს იხდიან და შემოსავლის უფრო მეტი ნაწილი თვითონ ამ რესპუბლიკებს რჩებათ ეკონომიური და სოციალური განვითარების დაფინანსებისათვის და სხვა. ყველა ასეთი ანგარიში ალბათობია და ამიტომ არა დამაჯერებელი.

იგივე ეხება პირად შემოსავალს, რომლის შესახებ ავტორები პირდაპირ ამბობენ, რომ საბჭოთა მთავრობას არ სურს და არ აქვეყნებს პირადი შემოსავლის სტატისტიკას, და ამიტომ ძნელი გამოსარკვევია, თუ თვითეულ პირს რა შემოსავალი აქვს — ცალკეულ რესპუბლიკებში.

საინტერესოა მუშათა ჩაბმა მრეწველობაში და სოფლისმეურნეობაში. 1959 წლის სტატისტიკის მიხედვით ავტორები განიხილავენ მუშების შემოსავალს ცენტრალაზიაში და ამიერკავკასიაში და იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ეს შემოსავალი შეიძლება იყოს საკმაოდ ნაკლები, ვიდრე ევროპულ რუსეთში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, გვაჯერებენ ისინი, პრინციპით, მაგალითად: ქემალ ალიევი ნაკლებს ღებულობს ვიდრე ივან პეტროვი; თუ ისინი ერთდამავე სამუშაოს ასრულებენ თანასწორად ღებულობენო!

მნიშვნელოვანია მუშათა რიცხვი დარგების მიხედვით. მძიმე ინდუსტრიაში (მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, საამუშენო მასალა, კერამიკა, შუშეული, ხეტყე, საინჟინერო მუშაობა და სხვა) მუშათა პროცენტული რიცხვი იყო:

|                                                    |       |
|----------------------------------------------------|-------|
| საბჭოთა კავშირში                                   | 79,4% |
| აზერბაიჯანში                                       | 72,7% |
| საქართველოში                                       | 65,5% |
| სომხეთში                                           | 59,5% |
| მსუბუქ მრეწველობაში (ტექსტილი, ტყავი, სანოვაგე) .. |       |
| საბჭოთა კავშირში                                   | 20,6% |
| სომხეთში                                           | 40,5% |
| საქართველოში                                       | 34,5% |
| აზერბაიჯანში                                       | 27,3% |

|                                              |            |            |
|----------------------------------------------|------------|------------|
| სამრეწველო მუშა სააოფლო მეურნეობის დარგებში: |            |            |
| სომხეთში                                     | 31,5 პროც. | 47,1 პროც. |
| აზერბაიჯანში                                 | 27,3 პროც. | 47,5 პროც. |
| საქართველოში                                 | 25,6       | 47,8 პროც. |
| საბჭოთა კავშირში                             | 38,2 პროც. | 40,1 პროც. |

რასაკვირველია, ავტორებს არ აინტერესებს, თუ რა ეროვნებას ეკუთვნის ეს მუშები; არიან ისინი მოყვანილნიც თუ მარტო ადგილობრივნი. ჩვენ კი ვიცით რომ აზერბაიჯანში და საქართველოში ბევრი არა-ადგილობრივი მუშა იმყოფება, სხვა რესპუბლიკიდან გამოყვანილი და გადმოყვანილნი... ავტორებისათვის მართლაც ძნელია გამოარკვიონ, თუ როგორი შემოსავალი აქვთ სოფლის მეურნეობაში ჩამბულ პიროვნებებს. ისინი ამას ცდილობენ. ისინი გვაჯერებენ, რომ 1953 წლამდე ცენტრალაზიისა და ამიერ კავკასიის სოფლის მშრომელთა უკეთესი შემოსავალი ჰქონდათ, ვიდრე მათ „ძმებს“ (ეს ბრჭყალები ავტორებს ეკუთვნის) რუსეთშიო, მხოლოდ ეს უპირატესობა ახლა შემცირებული არისო. მათ მოაქვთ საამისო სტატისტიკაც, მაგრამ ეს ნათელა სურათს ვერ გვიჩვენებს.

ავტორებს მოუსურვებიათ ამიერკავკასიისა და ცენტრალაზიის განვითარება საბჭოთა ხანაში ირანთან და თურქეთთან შედარება...

ეს შედარება (თუმცა მათ ეს დიდად საინტერესოდ მიიჩნიათ) არ შეიძლება იყოს არც შეცნიერული და არც რაიმე გამორკვევის მაჩვენებელი. თვით ამიერკავკასიისა და ცენტრალაზიის (თურქესტანის ქვეყნების) ერთ სიბრტყეზე დაყენება, მათი დონის შედარებაც შეცდომად მიგვაჩნია, რადგან ამ ორი მხარის წარსული და უკანასკნელი ხანის ისტორია, კულტურა, ეკონომიკა თუ სოციალური ვითარება სულ სხვა და სხვა ხარისხის იყო და მათი შედარება — არც შეცნიერულია და არც მისაღები. მით უმეტეს, რომ სათანადო უცილო საჭირო სტატისტიკა ამისთვის მათ არ გააჩნიათ. მაგრამ ამ შედარებითი სტატისტიკიდან ჩვენ მაინც საინტერესო და სამწუხარო ამ ბავს ვტყობილობთ. დაბადებათა ყოველწლიური რიცხვი იყო 1963 წელს:

|              |             |
|--------------|-------------|
| აზერბაიჯანში | 40.600 აული |
| სომხეთში     | 33.100 —    |
| საქართველოში | 22.900 —    |

და ამ რიცხვში ხომ უცხოელთა ბავშვებიც შედიან!

ავტორებს რომ მოესურვებიათ ცალ-ცალკე ცენტრალ აზიისა და ამიერკავკასიის ცხოვრების განვირებისა და მდგომარეობის აღწერა, ეს ვაცოლებით უმჯობესი იქნებოდა და სურათიც — უფრო ნათელ-ჩრდილიანი.

შეიძლებელია უყურადღებოდ დავტოვოთ ის შენიშვნა, რომ რუსეთმა სპარსეთს თუ თურქეთს ტერიტორია წაართვა და უკანასკნელად სტალინმა მოითხოვაო თურ-

ქეთის ხელში მყოფი ტერიტორია (ყარსი).სამწუხაროდ, ავტორებს წარმოდგენა არ აქვთ ამ საკითხზე და ამ შენიშვნით ისინი მხოლოდ თავის უვიცობას იჩენენ.

საბჭოთა განთავსება გამოგვაყრუეს ტრაბახა ყვირილით საქართველოში ამდენი და ამდენი ელექტრონის ძალა გვაქვსო. თურმე მათ სატრაბახო ბევრი არ ჰქონიათ, როგორც ამას სტატისტიკა გვიჩვენებს.

|                                              |                |
|----------------------------------------------|----------------|
| 1962 წელს მოსახლეობის თვითურდ სულზე მოდიოდა: |                |
| საქართველოში                                 | 914 კილოვატი   |
| სომხეთში                                     | 1.337 კილოვატი |
| აზერბაიჯანში                                 | 1.995 კილოვატი |

წიგნის უკანასკნელ თავში ინგლისელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირის სამხრეთი რესპუბლიკების წინსვლა რუსეთის დახმარებით არისო და მკვიდრებულიო მაგრამ ბევრი საკითხი რჩებაო გამოურკვეველი. 1947 წლამდე მოქმედებდა რუსეთი, როგორც კოლონიალური სახელმწიფო? თუ როგორც ნოვოკოლონიალური?

კოლონიალიზმის დამახასიათებელი არის, — ამბობენ ისინი, — ის, რომ ეკატონობული ძალა ხმარობს კოლონიას თავისი პაკუთარი სარგებლობისათვის, იმ დროს, ის მას მრეწველობის დარგში შედარებით ჩამორჩენილად ცხოვრებს, მაგრამ ლებულობს თავისი კაპიტალის ჩადებით, მუშებისათვის ნაკლები ქირის მიცემით, ყურადღებას არ აქცევს მცხოვრებთა სწავლა-განათლებას და სხვა.

ეს მართლაც ასე არის ზოგადად, მაგრამ რას უპასუხებენ ამ წარმოდგენილ საკითხზე ავტორები? მათი პასუხი შემდეგი არის:

არც ერთი ეს დამახასიათებელი თვისება ტრადიციული კოლონიალიზმისა არ შეიძლება მიეწეროს საბჭოთა პოლიტიკას რესპუბლიკებში. აქ არ იყო რაიმე ეკონომიური ექსპლოატაცია... ცხადია, რომ ინდუსტრიალიზაცია, განსაკუთრებით ცენტრალ აზიაში, დაფინანსებული იყო თვით რუსეთის მიერ.

რატომ არ იკითხავენ ეს მეცნიერები: საიდან გაუჩნდა რუსეთს ეს კაპიტალი? მადლობისათვის ღმერთმა ხომ არ მიაწოდა ამ ათეისტურ კომუნისტურ რუსეთს ეს კაპიტალი ცენტრალური აზიის ბანდუსტრიალიზაციოდ? რუსეთის კაპიტალი იყო პირველ ხანებში მონური შრომა, გაძარცვა და გატყავება ხალხისა და ამ ხალხისათვის ქონების ჩამორთმევა! მილიონობით უფასო ხელის მუშაობით შექმნილი კაპიტალი! მაგრამ ამ მეცნიერებს ეს აინუნშიც არ მოსდის.

მაგრამ ისმის მეორე საკითხიც: რად სჭირდებოდა, ვთქვათ, ყაზახისტანს მეტალურგიის ასეთი განვითარება? თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ? რად სჭირდება მას რკინა 1.625.000 ტონი, ან საქართველოს — 1.363.000 ტონა ფოლადი? რასაკვირველია, ყველაფერი ეს მიაქვს რუსეთს. მაგრამ რას აძლევს მოსკოვი ერთ ტონა

რკინაში, ან ფოლადში? რა ფასს? განა საბჭოთა კავშირში ფასი მტკიცდება მსოფლიო ბაზრის ფასის მიხედვით? ამას ხომ ვერ იტყვიან ინგლისელი მეცნიერები... აზერბაიჯანი იძლევა 352 ტონ ყაქს აბრეშუმს, საქართველო კი — 374 ტონა. განა მათ უხდინა ამაში საერთაშორისო ბაზრის ფასს? თვითონ აზერბაიჯანში ამუშავებენ შვიდ ტონას, საქართველოში კი 20 ტონს, ყაზახისტანი იძლევა 1273.000 ტონა ბამბის ძაფა. ლებულობს ამ ბამბაში იმავე ფასს, როგორც მაგალითად ეგვიპტე, ან შეერთებული შტატების მეზამბე? ყაზახისტანი იძლევა 45.700.000 ტონა ქვანახშირს. ლებულობს იგი იმ ფასს, რასაც, ვთქვათ ინგლისელი მრეწველი ან მუშა? (ციფრები 1965 წლისაა) და კიდევ რამდენი სხვა. რასაკვირველია და უეჭველია, მოსკოვმა განავითარა მრეწველობა ცენტრალ აზიაში და ამიერკავკასიაში, მაგრამ ეს მან თავისთვის გააკეთა და ადგილობრივ რესპუბლიკებს კი იგი ღღმერთოდ ექსპლოატაციას უწევს. ესე არა ეს ყოველ დარგში; ასეა მეღვინეობაში; ასეა ციტრუსების მოყვანაშიც. ისიც ხომ ცნობილია, რომ საქართველოდან ღვინო გააქვთ კასრებით და ბოთლებში ასხავენ მას მოსკოვის ქარხნებში. გააქვთ ჩაი და მერე მას ყიდიან, და კოლოფებს აწერიან: რუსკი ჩაი“. იგივე ეხება ხიზილალს, რომელიც ცნობილია უცხოეთში, სახელით „რუსკი კავიარ“. და სხვა და სხვა. ქართული მარმალილოთი მოზოთულია მოსკოვის შესანიშნავი მეტრო და ეს მარმალილო მოსკოვმა საჩუქრად მიიღო საქართველოსაგან. ხოლო იაპონიაში გატანილ მარმალილოში რა მიიღო საქართველომ? ვის ეკუთვნის ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა? მოსკოვს თუ საქართველოს? იგი ეკუთვნის მოსკოვს. ვის ეკუთვნის ბაქოს ნავთი? რასაკვირველია, მოსკოვს. აი ეს საკითხები უნდა გაგერკვიათ ბატონო პროფესორებო! თქვენ ამბობთ, ბატონებო, რომ კოლონიალური სტატუსის დამახასიათებელი არის ის, რომ ვაბატონებული ხელისუფლება კოლონიის ეკონომიკას თავის სასარგებლოდ იყენებსო! ეს სწორია და თქვენ, რომ მიუდგომელი მკვლევარი ბრძანდებოდეთ არ იტყოდით, ცენტრალ-აზიის და ამიერკავკასიის რესპუბლიკები კოლონიას არ წარმოადგენენო!

მაგრამ ჩვენ მაინც მადლობელი ვართ ასეთი წიგნის გამოცემისათვის. რატომ? იმ უბრალო „იმიტომ“-ისათვის, რომ მათ ახსენა, მათ დასწერეს ამ რვა რესპუბლიკის შესახებ, რომელიც ჩანთქმულია ვებერთელა რუსეთში და რომლის ბედი ბევრს არ აინტერესებს; იმიტომ ვართ მადლობელი, რომ ამ ქვეყნების სახელი გამოიტანეს უცხოეთის ბაზარზე, ხოლო დაკვირვებული მკითხველი მაინც გაიგება, თუ რა დიდი კოლონიალური და იმპერიალისტური სახელმწიფო არის ეს დიდი რუსეთი.



შემოწირობებიანი

კავკასიონისათვის

|                                                   | ფრანკი | ლირა                                                  |
|---------------------------------------------------|--------|-------------------------------------------------------|
| ძველი მეგობარი ფანჩ. ტოროლა                       | 750    | პროფ. დრ. შალვა ბერიძე                                |
| იხანი                                             | 500    | ლონდონის ქართული სათვისტომო                           |
| პავლე ვაშაძე                                      | 300    |                                                       |
| პეტრე ხვედელიძე                                   | 250    | პროფ. დრ. ნაკაშიძე                                    |
| აკაკი შავგულიძე                                   | 250    | გ. ბოდბისხვეველი                                      |
| ნელი მდივანისა, ვ. ფალავას ასული, შოთა ბერეჟიანი, |        | პ. ხვედელიძე                                          |
| მ. ლოდობერიძის ასული, კობალაძე, ნატაშა, კ. ჯაყე-  | 200    | ალ. მიქელაძე                                          |
| ლი, რამიშვილი, აბულაძე, ზ. ტაჭიაშვილი             | 200    | გრ. აბულაძე                                           |
| ინდიკო პაპუაშვილი                                 | 200    | ევბულაძე                                              |
| სოშო-ოდეცკურ-მონბელიარის ქართველთა სათვის-        | 200    | პ. კვარაცხელია                                        |
| ტომო                                              | 200    |                                                       |
| ვ. ნოზაძის მოხსენებიდან შემოსული                  | 163    | ალექსანდრე შათირიშვილისა და მისი ოჯახისაგან რუბენ     |
| დავით ტორონჯაძე                                   | 150    | ჟიფიანის ხსოვნის აღსანიშნავად (სხვა და სხვა დროს      |
| ოკრიბელი                                          | 150    | მოწოდებული)                                           |
| პრ. ინჭკირველი                                    | 100    |                                                       |
| დრ. გ. ვეფხვაძე                                   | 100    | დედაჩემი პელაგიას (პელოს) გეგელაშვილის ხსოვნისა-      |
| არჩილ მდებეანიშვილი                               | 100    | თვის კავკასიონს ვაახლებ 250 გერ. მარკას. თამ. როიზან. |
| ნინო გვაზავასი                                    | 100    |                                                       |
| ჯაბა ხატულიანი                                    | 100    | ნიკო ორაგველიძის ხსოვნისათვის (გვირგვინის ნაცვლად)    |
| ელმაყ                                             | 100    | ალ. შათირიშვილის ოჯახისაგან                           |
| დრ. მარკოზ ტულუში                                 | 100    | 50 ფრ.                                                |
| ქეთ. დადიანის ასული                               | 100    |                                                       |
| ისიდორე ქარსელაძე                                 | 100    | სოშოს ქართველთა სათვისტომო ნიკო ორაგველიძის მო-       |
| ი. მამული                                         | 100    | სახსენებლად (გვირგვინის ნაცვლად)                      |
| დ. ქიმერიძე                                       | 100    |                                                       |
| ზაქარია ალიმბარაშვილი                             | 50     | ძველი მეგობრები მოაგონებენ ქართულ საზოგადოებას        |
| პოლიკო კლდიაშვილისა                               | 50     | იოსებ ხანანაშვილის მეუღლის როზას ხუთი წლის და         |
| ვ. რუხაძე                                         | 50     | მათი ასულის, თინას, 12 წლის გარდაცვალების თავს.       |
| ერასტო მაჭავარიანი                                | 50     |                                                       |
| გრ. ბაჩამიძე                                      | 50     |                                                       |
| ელ. ჯაყელი                                        | 50     |                                                       |
| ევ. აბულ                                          | 50     |                                                       |
| ს. ჭირაჭაძე                                       | 50     |                                                       |
| გრიგოლ ქვარცხავა                                  | 50     |                                                       |
| შვეიც. ფრანკი                                     |        |                                                       |
| ზატონიშვილი ირაკლი                                | 290    |                                                       |
| ირაკლი ოთხმეზური                                  | 45     |                                                       |

კავკასიონის მისამართი —

Directeur : D<sup>r</sup> Victor NOSADZÉ

KAVKASSIONI

10, rue Jules-Ferry

91 Leuville-sur-Orge

(France)

შინაარსი  
კავკასიონის მე-14 რვეულისა

|                                                               |    |
|---------------------------------------------------------------|----|
| გიორგი გამყრელიძე — ლექსები                                   | 5  |
| ჰერმან ჰესე — ჯუჯა (თარგმანი გ. გამყრელიძისა)                 | 6  |
| ელ. მაყაშვილი — მოთხრობები                                    | 19 |
| თამარ პაპავა — საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამი       | 26 |
| ვ. ნოზაძე — გამოგებანი ვეფხისტყაოსანისა                       | 39 |
| გიორგი ყიფიანი — ლექსები                                      | 47 |
| ბ. ბებურიშვილი — ალინაყ-ალიყან                                | 48 |
| გიორგი ყიფიანი — ლექსი                                        | 50 |
| ვეფხი აბულაძე — ლექსები                                       | 51 |
| გიორგი ყიფიანი — ლექსი                                        | 52 |
| ალექსანდრე შათირიშვილი — სამშობლოს ნატვრა                     | 53 |
| რუსთაველი ამერიკაში —                                         | 69 |
| დ. ქიქრიძე — ლექსები                                          | 70 |
| გ. ყიფიანი — ლექსი                                            | 71 |
| ალ. მანველიშვილი — ილია ჭავჭავაძე                             | 72 |
| ელენე წერეთლის ასული — ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება | 82 |
| ვ. ნოზაძე — მალან და მალანია                                  | 87 |
| ლუი არაგონ ფიროსმანის შესახებ                                 | 88 |

გვერდი

|                                                                                                                            |     |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| შალვა ამირეჯიბი — გამოუქვეყნებელი ლექსები                                                                                  | 92  |
| ვანო წულაძე — ზოგი რამ წარსულიდან                                                                                          | 100 |
| ვ. ნოზაძე — თეიმურაზ ბატონიშვილი                                                                                           | 101 |
| წიგნთა თაროზე (ბიბლიოგრაფია რ. ბეთანელისა, ვ. ნ. ალ. ტატიშვილისა, მკითხველისა, მ. ქ., ლევან ზურაბიშვილისა, მ. ქავთარაძისა) | 104 |
| ს. კირაქაძე — საჭირო განმარტება                                                                                            | 113 |
| სამგლოვიარო                                                                                                                |     |
| ნ. ურუშაძე — † კონსტანტინე გვარჯალაძე                                                                                      | 114 |
| ვინი — † კირილე ვეკუა                                                                                                      | 116 |
| ძველი მეგობარი — † რევაზ გაბაშვილი                                                                                         | 117 |
| საბჭოთა კავშირის 50 წლისთავი                                                                                               | 121 |
| დ. ვაშაძე — საბჭოთა კავშირის ნახევარი საუკუნის იუბილე                                                                      | 121 |
| მოსე იმნაიშვილი — საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობა                                                                        | 133 |
| ს. კირაქაძე — სოციალიზმის იდეალიზაცია და განდიდება                                                                         | 144 |
| ალ. მანველიშვილი — ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში                                                                       | 155 |
| შალვა კალანდაძე — საბჭოთა მეცნიერება                                                                                       | 158 |
| თამ ჩილაია — კომუნისტური რელიგია                                                                                           | 160 |
| ბ. ვარდანი — საბჭოთა კავშირი                                                                                               | 167 |
| ლიკსუს — ორი ინგლისელი პროფესორი საბჭოთა კავკასია და ცენტრალ აზიაზე                                                        | 175 |
| შემოწირულებანი                                                                                                             | 181 |

